

բոժոժի ԿՈՅՆԱՆԻ

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა**

**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს  
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**

**გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის  
სახელმწიფო მუზეუმი**

დომიტრი ყიფიანი

თხზულებანი

ათტომად

**დიმიტრი ყიფიანი**

# **თხზულებანი**

**ტომი VII**

**ოფიციალური და  
საქმიანი წერილები  
(1829-1859)**

შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები,  
კომენტარები და საძიებლები დაურთო

**თამაზ ჯოლოგუაშვილი**



საქართველოს ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**თბილისი 2023**

UDC (უაკ) 821.353.1-6  
ყ-561

დიმიტრი ყიფიანის ავტობიოგრაფიის მეშვიდე ტომში შესულია დიმიტრი ყიფიანის ოფიციალური და საქმიანი წერილები, მიმართვები, თხოვნები, განცხადებები და სხვ. (1829-1859). აქ წარმოდგენილი ტექსტები, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეა დღემდე გამოქვეყნებული, მრავალმხრივ საინტერესო მასალას როგორც საკუთრივ დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის, ისე XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ადმინისტრაციულ-მმართველობითი, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლისათვის და, ვფიქრობთ, დაინტერესებს როგორც სპეციალისტებს, ისე XIX საუკუნის საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორები:

**† ბეგო ბეჟუაშვილი**  
**რევაზ გოგია**

დიზაინერი

**დათო მოსიაშვილი**

**ISBN 978-9941-463-37-2** (დიმიტრი ყიფიანი. თხზულებანი)

**ISBN 978-9941-9802-7-5** (VII ტომი)

© თამაზ ჯოლოგუა, 2023



ԲՈՒՄՔՅԱՆ ԿՈՅՆԱՆԻ



## ს ა რ ჩ ე ვ ი

### 1829

1. თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსადმი ..... 15 305

### 1830

2. თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსადმი ..... 16 308  
3. თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსადმი .... 17 308

### 1836

4. ნიკოლოზ ნოჟევისადმი ..... 18 310

### 1838

5. ნიკოლოზ პირველისადმი ..... 19 313  
6. იეკიმ ესპეხოსადმი ..... 20 314

### 1839

7. ევგენი გოლოვინისადმი ..... 21 316

### 1844

8. ანდრეი ივანოვისადმი ..... 23 318



## 1845

9. ანდრეი ივანოვისადმი .....	24	319
10. ანდრეი ივანოვისადმი .....	25	319
11. მიხეილ ვორონცოვისადმი.....	26	320
12. მიხეილ ვორონცოვისადმი.....	27	324

## 1846

13. სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიან-ჭავჭავაძისადმი.....	32	325
14. თბილისის გარეუბნების მომწყობი კომისიისადმი.....	34	326

## 1847

15. პეტრე ლადინსკისადმი.....	34	327
16. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი .....	39	331
17. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი .....	39	332

## 1848

18. სტეფანე საფონოვისადმი .....	40	333
19. სტეფანე საფონოვისადმი .....	47	334
20. ანტონოვისადმი .....	51	336

## 1849

21. გორის მაზრის სასამართლოსადმი .....	53	337
22. მიხეილ კოლიუბაკინისადმი .....	54	339
23. სერგეი [ჭილაშვილისადმი].....	56	340
24. გორის მაზრის სასამართლოსადმი .....	57	342

**1850**

25. მიხეილ ვორონცოვისადმი.....	58	343
--------------------------------	----	-----

**1851**

26. მიხეილ ვორონცოვისადმი.....	61	344
27. ვასილ ბეზუთოვისადმი .....	63	346
28. გიორგი მაჩაბლისადმი .....	77	350
29. ივანე ანდრონიკაშვილისადმი .....	78	352
30. ივანე ანდრონიკაშვილისადმი .....	80	354

**1853**

31. სიმონ ქობულაძის საქმის გამომრკვევი კომისიისადმი .....	81	355
32. ალექსანდრე მაქსიმოვიჩისადმი .....	88	358
33. მიხეილ შჩერბინინისადმი .....	88	360
34. ქაიხოსრო ყიფიანისადმი.....	92	361
35. უცნობი პირისადმი.....	92	364

**1854**

36. ალექსანდრე ნიკოლაისადმი .....	95	365
37. ევგრაფი ვერდერევესკისადმი .....	95	368
38. ალექსანდრე ნიკოლაისადმი .....	97	374
39. იაკობ არზანოვისადმი.....	100	377
40. მიხეილ შჩერბინინისადმი .....	100	378

**1855**

41. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი .....	101	380
42. თბილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატისადმი .....	102	381
43. თბილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატისადმი .....	103	382
44. ვასილ ბებუთოვისადმი .....	107	383
45. ვასილ ბებუთოვისადმი .....	108	385

**1856**

46. ივანე კოლოსოვსკისადმი .....	109	386
47. კავკასიის მეფისნაცვლის ხაზინისადმი.....	111	387
48. ვასილ ბებუთოვისადმი .....	111	387
49. ვასილ ბებუთოვისადმი .....	112	388
50. ელისაბედ ვორონცოვსადმი .....	113	388

**1857**

51. ივანე ორბელიანისადმი .....	114	390
52. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი .....	118	393
53. ალექსი კრუზენშტერნისადმი .....	123	395
54. ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოსადმი.....	125	397
55. ირაკლი მუხრანბატონისადმი .....	134	398
56. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი .....	135	399
57. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი .....	138	400
58. ალექსანდრე გაგარინისადმი .....	141	400

59. ალექსი კრუზენშტერნისადმი .....	142	403
60. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი .....	143	404
61. ეკატერინე დადიანისადმი .....	144	407
62. ალექსი კრუზენშტერნისადმი .....	146	410
63. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი .....	148	412
64. ბეჟან ახვლედიანისადმი.....	149	413
65. ნინო და ეკატერინე დადიშქელიანებისადმი.....	149	417
66. დავით (დათიკა) სალიკის ძე ჩიქოვანისადმი .....	150	418
67. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი .....	150	420
68. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი .....	152	421
69. სიკო ჩიქოვანისადმი .....	153	422
70. ალექსანდრე ნიკოლაისადმი .....	154	424
71. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი .....	157	428
72. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი .....	160	429
73. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი .....	161	429

**1858**

74. ვასილ ინსარსკისადმი .....	162	430
75. ვასილ ინსარსკისადმი .....	167	433
76. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი .....	170	435
77. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი .....	171	436
78. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი .....	172	437
79. გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავისადმი.....	175	438
80. გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავისადმი.....	176	440

81. გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავისადმი.....	181	442
82. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი .....	182	443
83. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი .....	191	445
84. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი .....	192	446
85. ვასილ ინსარსკისადმი .....	193	446
86. გრიგოლ ორბელიანისადმი.....	193	447
87. ელიზბარ ერისთავისადმი .....	195	449
88. ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოსადმი.....	196	451
89. რუსეთის მმართველი სენატისადმი .....	197	452
90. ნიკოლოზ გულკევიჩისადმი .....	205	454
91. ვასილ ინსარსკისადმი .....	207	455

## 1859

92. ეკატერინე დადიანისადმი .....	211	457
93. ალექსი კრუზენშტერნისადმი .....	214	459
94. ეკატერინე დადიანისადმი .....	215	460
95. გორის მაზრის სასამართლოსადმი .....	219	462
96. გიორგი მუხრანბატონისადმი .....	223	465
97. ეკატერინე დადიანისადმი .....	225	469
98. კორნილი ბოროზდინისადმი .....	227	470
99. გიორგი [დადიანისადმი].....	228	471
100. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი .....	230	473
101. ალექსი კრუზენშტერნისადმი .....	230	474

102. ალექსი კრუზენშტერნისადმი .....	244	475
103. ეკატერინე დადიანისადმი .....	244	476
104. [ალექსი კრუზენშტერნისადმი] .....	246	479
105. ალექსი კრუზენშტერნისადმი .....	260	483

**შენიშვნები და კომენტარები:**

ტექსტისათვის .....	301
დამონმებანი .....	486
შემოკლებანი .....	501

**საძიებლები:**

პირთა .....	503
გეოგრაფიულ სახელთა .....	577



## 1. თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსადმი

საქართველოს<sup>1</sup> კეთილშობილთ დეპუტატთ შეკრებილებასა  
შინა გორის უეზდის აზნაურთ პრაპორშჩიკის  
**ქაიხოსრო და დიმიტრი ქოროს ძეთ ყიფიანთაგან**

თ ხ ო ვ ნ ა

წინაპართა ჩუენთა ყოველთვის უსარგებლიათ აზნაურობითის ღირსებასა შინა, და ანცა ჩუენცა ვსარგებლობთ, რომელზედაც დასამტკიცებელად აზნაურობითის ღირსებასა ზედა საბუთად გვსახურობენ ჩუენ: ღრამატანი იმერეთისა და საქართველოს მეფეთაგან ბოძებულნი<sup>2</sup> წინაპართა ჩუენთათვის; **პირველი** ღრამატა დიდის იმერეთის მეფის სოლომონისაგან მიწერილი პაპისა ჩუენისა გიორგი ყიფიანისადმი. **მეორე** ღრამატა იმერეთისავე მეორე მეფის სოლომონისაგან მიწერილი იმავე პაპისა ჩუენის აზნაურის გიორგი ყიფიანისადმი; რომლისათვისაცა გაუგზავნია თვითონ მამა ჩუენი ქორო მეფეს ირაკლისთან, და **მესამე** საქართველოს მეფის ირაკლისა გიორგობის თვის ა[1]-სა ყებ წელსა,<sup>3</sup> რომლითაცა უბძანებს იმედსა. – ხოლო დასამტკიცებელად გვაროვნებისა ჩუენისა აზნაურთ ღირსებასა შინა უპატივცემულესად წარმოვადგენთ ზემო ხსენებულ მეფეთაგან ბოძებულს ღრამატათა, აგრეთუე მოწმობასა ათთორმეტთა კეთილშობილთა გვამთაგან ბოძებულთ, პირ-



ველად რომელ ჩუენ ვსწარმოებთ იმ აზნაურთ ყიფიანთ გვარი-საგან, რომელიც აღმოჩენილ არს საქართველოს მეფის ირაკ-ლისაგან წარდგენილსა, და განსუენებულის ხელმწიფა იმპე-რატრიცა ეკატერინესაგან დამტკიცებულსა ტრახტატსა შინა ჩღპგ-ს წელსა;<sup>4</sup> და მეორედ რომელ ჩუენ გუეკუთვნისთ ზემოხ-სენებული მეფეთ ღრამატანი და ვსწარმოებთ ჩუენ სწორითა ხაზითა მამრობითისა სქესისათა ამა ღრამატებში ხსენებულთ პირთაგან. ამასთანავე დაურთავთ გვარიშვილობის სქემასა და სახლეურთ სიასა ჩუენისასა. ამისთვის უმორჩილესად ვთხოვთ კეთილშობილთ დეპუტატთ შეკრებილებასა შინა, რათა განიხი-ლოთ ჩუენგან წარმოდგენილნი საბუთნი აზნაურობითის ღირ-სებასა ზედა და მოგვეცეს ჩუენ თვის დროზედ ღრამატა.

აზნაური ქაიხოსრო ყიფიანი პრაპორშჩიკი.

აზნაური დიმიტრი ყიფიანი

ჩყკთ[1829]-ს წელსა

იანვრის 3[8]-სა

1830

## 2. თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსადმი

საქართველოს თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს  
გორის მაზრის აზნაურ დიმიტრი ყიფიანის

თ ხ ო ვ ნ ა

ვსწავლობ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც გიმნაზიად უნდა გადაკეთდეს.<sup>1</sup> ხელმძღვანელო-ბის სურვილია, მოვენყო ახალდაარსებული სასწავლებლის კეთილშობილთა პანსიონში.<sup>2</sup> რამდენადაც პანსიონში მისალე-

ბად დირექციისთვის აუცილებელია ხელთ ჰქონდეს უტყუარი ცნობები ჩემი აზნაურული წარმოშობის შესახებ, თავს უფლებას ვაძლევ, უმორჩილესად ვთხოვო საქართველოს თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს, რომ მომცეთ შესაბამისი მოწმობა ხსენებულ დირექციაში წარსადგენად.

აზნაური დიმიტრი ყიფიანი

29 მარტი 1830 წლისა.

### 3. თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსადმი

საქართველოს თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს  
აზნაურ დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის

თ ხ ო ვ ნ ა

ახალდაარსებული ტფილისის გიმნაზიის ხელმძღვანელობა თანახმა იყო, მიველე ხსენებული სასწავლებლის კეთილშობილთა პანსიონში პანსიონერად ხაზინის ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით საკრებულოში შემოტანილი მქონდა თხოვნა აზნაურული წარმოშობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შესახებ, რათა იგი სხვა დოკუმენტებთან ერთად ამიერკავკასიის სასწავლებელთა დირექციისთვის წარმედგინა. ვინაიდან მე არ შემიძლო საგიმნაზიო სწავლის გაგრძელება,<sup>1</sup> გადავწყვიტე სამსახურის დაწყება, დავტოვე ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, ავიღე დამადასტურებელი ატესტატი, რომ გავლილი მქონდა აღნიშნული სასწავლებლის სრული კურსი და სამსახურში მიღების თხოვნით ტფილისის სამაზრო სასამართლოს მივმართე.<sup>2</sup> ამასთან დაკავშირებით თავს უფლებას ვაძლევ, საქართველოს თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს უმორჩილესად ვთხოვო, მომცეთ

აზნაურობის დამადასტურებელი მოწმობა ხსენებულ სასამართლოში წარსადგენად, ამასთანავე, გააუქმეთ წინანდელი თხოვნა ხსენებული მოწმობის სასწავლებელთა დირექციამი წარდგენის შესახებ.

აზნაური დიმიტრი ყიფიანი

8 მაისი 1830 წლისა.

1836

#### 4. ნიკოლოზ ნოჟევისადმი

მის მაღალშობილებას, ვოლოგდის ვიცე-გუბერნატორსა და  
კავალერს  
ვოლოგდის საგუბერნიო მმართველობის მდივნის  
დიმიტრი ყიფიანის

პ ა ტ ა კ ი

ვოლოგდაში ორწლინახევრის სამსახურის განმავლობაში ჩემი გულმოდგინე შრომის მიმართ აქაური ხელმძღვანელობის კეთილგანწყობილი დამოკიდებულების წყალობით საკანცელარიო ჩინოვნიკობიდან საგუბერნიო მმართველობის მდივნის თანამდებობას მივალწიე, ხოლო გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვიყავი ბ-ნი სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი.<sup>1</sup>

ახალგაზრდული ასაკისა და უნარიანობის გამო იმედი მაქვს, რომ შემიძლია ჩემი სამსახურით მეტი სარგებლობა მოვუტანო უმაღლეს ხელმძღვანელობას. სწორედ ამიტომ გთხოვთ, მომცეთ ს.-პეტერბურგში წასვლისა და იქ სამსახურის შოვნის საშუალება. მსურს ჩემი შესაძლებლობები, ერთგულქვეშევრდომული გულმოდგინება და თავდაუზოგავი შრომა ვუძღვნა მის იმპერატორობით უდიდებულესობას, რათა ამით მცირეოდენ მაინც დავიმსახურო ხელმწიფე იმპერატორის კეთილმოწყალება.

ზემოხსენებულის საფუძველზე, მაქვს პატივი, თქვენს მა-  
ლალშობილებას ვთხოვო სათანადო განკარგულების გაცემა.

ვოლოგდის საგუბერნიო მმართველობის  
მე-10 კლასის მდივანი  
**დიმიტრი ყიფიანი**

19 ივლისი 1836 წლისა.  
ვოლოგდა

**1838**

### **5. ნიკოლოზ პირველისადმი**

იმერეთის მმართველის მე-10 კლასის მდივანი  
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი** ი თ ხ ვ ს შემდეგს:

1. საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორთან გახსნილ მდივნისა და „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორის ვაკანსი-  
ასთან დაკავშირებით,<sup>1</sup> მაქვს პატივი, აქვე დაფურთო ბ-ნი იმე-  
რეთის მმართველის მიერ ჩემ სახელზე გაცემული ცნობა იმის  
შესახებ, რომ აღარ არსებობს ამჟამად დაკავებული თანამდებო-  
ბიდან ჩემი გათავისუფლებისთვის ხელის შემშლელი დაბრკო-  
ლება და, შესაბამისად, გაახლებთ ყოვლად უქვეშევრდომილეს  
თხოვნას:

2. ვინაიდან გახსნილ ვაკანსიაზე თქვენი იმპერატორობი-  
თი უდიდებულესობის უმაღლესი ბრძანებულებით დაკმაყო-  
ფილებულ იქნა ჩემი თხოვნა და განწესებული ვარ ხსენებულ  
თანამდებობაზე, ვთხოვ თქვენს იმპერატორობით უდიდებუ-  
ლესობას ჩემი თხოვნის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტი-  
ლების დამტკიცებას.

3 აპრილი 1838 წლისა.  
ქუთაისი

უნდა წარედგინოს საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს, ბ-ნ მრჩეველსა და კავალერს, თავად ფალავანდოვს.

ჩემ მიერ დანერილ და ჩემ მიერვე გადათეთრებულ წინამდებარე თხოვნას ხელს ვანერ

იმერეთის მმართველის მე-10 კლასის მდივანი  
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი**

## **6. იეკიმ ესპეხოსადმი**

თქვენი აღმატებულება, რასაკვირველია, დამეთანხმება, რომ მეტ-ნაკლებად ყველა ეძებს – უნდა ეძებოს კიდევაც – ისეთ სამსახურს, რომლის მეშვეობითაც, უკიდურეს შემთხვევაში, არსებობისთვის საჭირო გასამრჯელოს მაინც მიიღებს.

თქვენი აღმატებულების მდივნად გამწესების წინ მე არა მქონია არავითარი საფუძველი, მეთხოვა ეს ადგილი – მხოლოდ გენერალ-ადიუტანტის, ბარონ როზენის, ნებას დავემორჩილე, მით უმეტეს, მაშინ ტფილისშიც იგივე ხელფასი მქონდა, რამდენიც აქ მეძლევა.

თქვენი აღმატებულებისათვის ცნობილია, რომ ამა წლის აპრილში ჩემი ყოფილი უფროსის, ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, თავად ფალავანდოვისგან მივიღე შემოთავაზება და უკვე დანიშნულიც ვარ მის მდივნად და „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორად, ხელფასი – წელიწადში 750 მან. ვერცხლით, რაც თითქმის ორჯერ აღემატება ჩემს ამჟამინდელ ხელფასს.

პატივი ვეცი იმ პირობას, რომელიც თქვენ შეთანხმებული გქონდათ მის აღმატებულებასთან, საქართველოს მთავარმართებელთან და უარი ვთქვი ხსენებულ თანამდებობაზე, დავრჩი თქვენი აღმატებულების განკარგულებაში იმ პირობით, რომ ხელფასი გამეზრდებოდა და დამემატებოდა წელიწადში 200 მანეთი ვერცხლით.

წავიკითხე დღეს ჩემთვის გადმოცემული თქვენდამი მისი აღმატებულების მოწერილობა (№10871), რომლის თანახმა-

დაც, კატეგორიული უარი მეთქვა ხელფასის მომატებაზე.<sup>1</sup> თავს მოვალედ მივიჩნევ, თქვენს აღმატებულებას მოვასხენო, რომ მხოლოდ მე ერთმა უნდა შევინახო ჩემი ხელფასით ოჯახი, რომელიც არანაკლებ 17 წევრისაგან შედგება.<sup>2</sup> გარდა ამისა, უნდა ვიმყოფებოდე შორს ღვიძლი ნათესაობისაგან, რომელთა გამო დავტოვე ყოველმხრივ ხელსაყრელი სამსახური რუსეთში. და, დასასრულ, მიწევს ვრცელი მიმოწერა თქვენი კანცელარიის სახელით და ამას ახლავს სათანადო პასუხისმგებლობა.<sup>3</sup> შეუძლებელია, ერთმა კაცმა თანაშემწეების გარეშე გაუძლოს იმერეთის მდივნობას და ეს თქვენ თვითონაც მოგეხსენებათ.

ასე რომ, მიუხედავად ჩემი გულწრფელი ნუხილისა, ვედარ დავრჩები თქვენს აღმატებულებასთან; შესაბამისად, უმორჩილესად გთხოვთ, ამინაზლაუროთ ხელფასი, რომელიც სამოქალაქო გუბერნატორის მდივნად გამწესების გამო ამა წლის აპრილიდან არ მეძლეოდა და გამათავისუფლოთ თანამდებობიდან, რათა ტფილისში ჩემი თანამდებობრივი მოვალეობის შესასრულებლად გავემგზავრო ახლავე, იმ ჩემი ორთვიანი შვებულების დაწყებამდე, რომელიც ბ-ნი მთავარმართველისთვის გაქვთ წარდგენილი.

მეათე კლასის მდივანი **ყიფიანი**

25 ოქტომბერი 1838 წლისა.

1839

## 7. ევგენი გოლოვინისადმი

მის აღმატებულებას, საქართველოს მთავარმართველს,  
ბ-ნ გენერალ-ლეიტენანტსა და კავალერს  
**ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინ I-ს**

მე-10 კლასის ჩინოვნიკის  
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის**

გასული 1838 წლის აპრილში თქვენი აღმატებულების მიერ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მდივნად ვიყავი გამწესებული.

დეკემბრის თვემდე ისევ ვრჩებოდი იმერეთის მმართველთან, რომელმაც თავისთან დამტოვა იმ იმედით, რომ დააკმაყოფილებდნენ მის შუამდგომლობას და მომიმატებდნენ ხელფასს, ხოლო, როცა თქვენმა აღმატებულებამ თავის პასუხში ეს შეუძლებლად მიიჩნია,<sup>1</sup> ტფილისში დაბრუნება და ჩემთვის განკუთვნილი თანამდებობის დაკავება გადავწყვიტე. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემი საკითხის გარშემო მიმონერის დასრულებამდე საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მდივნად სხვა დაუნიშნავთ, ხოლო იმერეთის მმართველთან, რომელთანაც, ოჯახური გარემოებებისა და ტფილისში ყოფნის აუცილებლობიდან გამომდინარე, ველარ დავრჩებოდი, ჩემს ადგილზე სხვა ჩინოვნიკი გაუმწესებიათ.

ამასობაში იწურება 28 დღე, რა ვადითაც გენერალ-მაიორმა ესპეხომ გამათავისუფლა და ამ ვადის გასვლის შემდეგ უსამსახუროდ რომ არ დავრჩე, მოგმართავთ, თქვენო აღმატებულებავე, და უმორჩილესად გთხოვთ, მიმილოთ თქვენს კანცელარიაში.<sup>2</sup>

მე-10 კლასის ჩინოვნიკი  
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი**

5 იანვარი 1839.  
ტფილისი

## 8. ანდრეი ივანოვისადმი

წლევიანდელ წელს პირველად გიგზავნით ას ორმოცდაათ მანეთს ვერცხლით და იმ წიგნების სიას, რომელთა შეძენაც ტფილისის ბიბლიოთეკას<sup>1</sup> სურს.

50 კაპ., რომელიც ვალად გვაქვს, ამ ფულიდან აიღეთ, დანარჩენი თანხით კი გამოგზავნეთ ის წიგნები, რომლებიც სიაშია მითითებული,<sup>2</sup> ცხადია, ბოლო გამოცემები და, აგრეთვე, აბონემენტები პერიოდულ გამოცემათა გამოსაწერად.

თანხას ვგზავნი მიახლოებით, რადგან დასახელებული წიგნებიდან უმეტესობის ფასი ჩვენთვის ცნობილი არ არის. თუ ეს ფული თქვენგან დაპირებული ფასდაკლების გათვალისწინებით ყველა წიგნს არ ეყო, შეგვატყობინეთ, რამდენის დამატება იქნება საჭირო და იმასაც გამოგზავნი.

ცხადია, საგანგებო თხოვნაც არ არის საჭირო, რომ წიგნები რაც შეიძლება მალე უნდა გამოგზავნოთ. თუ ყველასი ერთად ვერ მოხერხდება, ნაწილ-ნაწილაც შეიძლება: ჯერ ერთი პარტია, ერთი კვირის შემდეგ – მეორე პარტია...<sup>3</sup> ჩვენი განსაკუთრებული თხოვნა კი ის არის, რომ აუცილებლად გვიშოვოთ სიაში შეტანილი სამოგზაურო ლიტერატურა და ის წიგნები, რომლებსაც სიაშივე სპეციალური მითითებები აქვს დართული; აგრეთვე მოგვანოდოთ გასაყიდად გამოტანილი წიგნების სრული კატალოგი და ცნობები ახალგამოსული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბელეტრისტული და საისტორიო ლიტერატურის შესახებ.

თანდართულ სიაში არ შემიტანია დრამები, კომედიები და ვოდევილები, ერთი სიტყვით, პიესები, რომლებიც ამჟამად პეტერბურგში იდგმება, თუმცა უმორჩილესად გთხოვთ, თუკი ეს შესაძლებელია, პირველსავე პარტიას გამოაყოლოთ მათგან საუკეთესონი და, აგრეთვე, ანგარიში თითოეული გამოგზავნილი თხზულების რეალური ღირებულების მითითებით.



პასუხები, როგორც უნინ, მოიწერეთ ჩემს სახელზე და გთხოვთ ისიც იქონიოთ მხედველობაში, რომ მიმდინარე წელს ჩემგან უნდა ელოდეთ 700 მანეთს ვერცხლით, შესაძლოა, უფრო მეტსაც. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ – მიუხედავად წიგნით მოვაჭრე სხვა პირთა მიერ შემოთავაზებული ერთი შეხედვით უკეთესი პირობებისა, მე თქვენ გარდა საქმეს არავისთან არ დავიჭერ<sup>4</sup> და იმის იმედსაც ვინარჩუნებ, რომ თქვენ, ღრმად პატივცემულ ანდრეი ივანეს ძევ, ჩვენი ურთიერთობების მიმართ პატივისცემის ნიშნად, წიგნების გამოგზავნის ხარჯსაც საკუთარ თავზე აიღებთ და, ამას გარდა, გარკვეული პროცენტებით ფასდაკლებასთან დაკავშირებულ პირობასაც დაცავთ.

12 თებერვალი 1844.

1845

## 9. ანდრეი ივანოვისადმი

ტფილისის ბიბლიოთეკასთან<sup>1</sup> დაკავშირებული თქვენი ვალი მაქვს 78 მან. და 37 კაპ. ვერცხლით. არ მინდა ბოდიშები გიხადოთ, აქამდე ფულის გამოგზავნა რომ დაგიგვიანეთ, თუმცა იმას კი გეტყვით, რომ, რა გარემოებასაც არ უნდა შეეშალა ხელი, თქვენს წინაშე თავს მაინც დამნაშავედ ვგრძნობ. ამიტომაც აღნიშნულ თანხას ჩემი ჯიბიდან ვამატებ 6%-ს 1844 წლის 27 აპრილიდან, ანუ იმ დღიდან მოკიდებული, როცა თქვენი 31 მარტის წერილი №5362 მივიღე<sup>2</sup> და ამას ყველაფერს გადაგიხდით ორ თვეში, როცა ფულს ბიბლიოთეკის სხვა საჭიროებებისათვის გამოგზავნი. არც თქვენს ვალში დარჩენა მინდა და არც – სხვის საქციელზე პასუხისგება. ყველაფერს ის აჯობებს, ცოტაოდენი ჩვენი ფული თქვენთანვე იყოს. ამასთანავე, იმაშიც მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ არ გამიუქმებთ კრე-

დიტს და, უმორჩილესად გთხოვთ, გამომიგზავნოთ **შტიბელტის სკოლა**<sup>3</sup> ფორტეპიანოზე დაკვრის შესასწავლად და სამი ფუნტი ბერლინური მატყლის საქარგავი ძაფი. – ამას გარდა, გთხოვთ, მომანოდოთ ცნობები შემდეგ საკითხზე:

მჭირდება ცარსკოე-სელოს წარმოების კარგი შპალერი ოთხი ოთახისთვის. ამათგან **ერთია** სასტუმრო ოთახი ორი ფანჯრით, რომლებიც გადის სამხრეთის მხარეს. ოთახი სიგრძით 9 არშინია, განი – 7; **მეორეს** ერთი ფანჯარა აქვს, აღმოსავლეთის მხარეს. ეს არის კაბინეტი: სიგრძე – 6 არშინი; განი –  $4\frac{1}{2}$ ; **მესამეც** კაბინეტია ერთი ფანჯრით, რომელიც გადის დასავლეთის მხარეს: სიგრძე – 7 არშინი, განი – 5; და **მეოთხე** – საძინებელი აღმოსავლეთით გამავალი ორი ფანჯრით: სიგრძე 6 არშინი, სიგანე – 6 არშინი. სიმაღლე ყველა ოთახისა არის 6 არშინი. ფერები: ცისფერი, ღია მწვანე ან *vert de gris*,<sup>4</sup> ვარდისფერი და ლურჯი, თუმცა ფერების შერჩევა ოთახების ადგილმდებარეობისა და დანიშნულების მიხედვით შემოიძლია თქვენს გემოვნებასაც მივანდო. ახლა საჭიროა, შემატყობინოთ: როდის რამდენი გამოგიგზავნოთ, რომ დავამატო იმ თანხას, რომელიც თქვენი მმართველს და რომელსაც ორ თვეში გამოგვზავნი.

თუკი ჩემი რომელიმე თხოვნა თქვენთვის რამენაირად სამძიმო იქნება, ესეც შემატყობინეთ. ამასთანავე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ვალის გადახდას ორ თვეს არ გადავაცილებ, პასუხს კი ყველა შემთხვევაში ველოდები.

16 მარტი 1845.

## 10. ანდრეი ივანოვისადმი

გასული მარტის 16-ის წერილით გპირდებოდით, რომ ფულს ორ თვეში გამოგიგზავნიდით. გამოჩნდა საშუალება, დანაპირები ორ კვირაში შემესრულებინა. ამიტომაც, გიგზავნით

ამასთან ერთად ას ოცდახუთ მანეთს ვერცხლით და უმორჩილესად გთხოვთ, გამოქვეითოთ აქედან ის თანხა, რომელიც გეკუთვნით თავისი პროცენტებით, როგორც ამას გნერდით,<sup>1</sup> ხოლო დარჩენილი თანხით გამომიწეროთ „Библиотека для чтения“,<sup>2</sup> „Revue Étrangère“<sup>3</sup> და „Северная пчела“<sup>4</sup> იმ პირობით, რომ გამოგზავნონ ახლახან გამოსული ნომრები და, აგრეთვე, *შტიბელტის სკოლა*.<sup>5</sup>

2 აპრილი 1845.

## 11. მიხეილ ვორონცოვისადმი

მის ბრწყინვალეობას, ბატონ კავკასიის მეფისნაცვალსა და ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორს<sup>1</sup>

ამა თვის 10-ში ელიზავეტპოლში გარდაიცვალა იქაური მაზრის უფროსის თანაშემწე, საგუბერნიო მდივანი, თავადი ნიკოლოზ ბარათოვი,<sup>2</sup> რომელიც, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, თავისი განსაკუთრებული ნიჭიერებითა და ზნეობრიობით იძლეოდა იმედს, რომ იქნებოდა ერთგული მსახური ხელმწიფისა. იგი იყო ერთადერთი დასაყრდენი ოჯახისა, რომელიც შედგება დამბლადაცემული მამის, დედისა და სამი მონიფული დისაგან.<sup>3</sup> მათ დაკარგეს მზრუნველი შვილი, მოსიყვარულე ძმა და საარსებო სახსრის მოპოვების უკანასკნელი იმედი.

გარდაცვლილის მამა, თავადი მელიტონ ბარათოვი, 30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში თარჯიმნად მსახურობდა მთავარმართებლობაში და, ამჟამად მძიმე ავადმყოფობით სარეცელს მიჯაჭვული, იმდენად ლარიბია და ოჯახიც იმდენად არის გაჭირვებული, რომ სამგლოვიარო წესით ჩაცმა-დახურვის საშუალებაც კი არა აქვთ. მართალია, იგი ჯერ კიდევ იღებს

გენერალ-ფელდმარშალ ვარშავსკის<sup>4</sup> სპეციალური შუამდგომლობით დანიშნულ ყოველწლიურ ჯამაგირს – 900 მანეთს ვერცხლით, მაგრამ ხანგრძლივი ავადმყოფობისა და ყოველგვარი უძრავი საკუთრების უქონლობის პირობებში ეს თანხა საცხოვრებლის დაქირავებისა და ოჯახის გამოკვებისთვისაც კი არ არის საკმარისი; იმ ოჯახისა, რომელიც შთამომავლობით საქართველოს საუკეთესო გვარეულობებს მიეკუთვნება.

მოვასხენებ რა თქვენს ბრწყინვალეებას ყოველივე ამას, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ – მიაპყარით თქვენი მონყალე, ადამიანთა თანაგრძნობით გამსჭვალული ყურადღება გაჭირვებულთა მდგომარეობას და ამით პირადად მეც დამავალბთ: უბოძეთ ოჯახს პირველი საჭიროებებისათვის 50 ჩერვონეცი<sup>5</sup> და დაუნიშნეთ დახმარების სახით გარდაცვლილის წლიური ჯამაგირი – 750 მანეთი ვერცხლით. ეს შემთხვევა, ზემოხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაბამისი იქნება მე-3 ტომში შესული წესდების 277-ე მუხლისა პენსიებისა და შემწეობის შესახებ, რომლის თანახმადაც, ამგვარი დახმარება ეძლევა ამიერკავკასიაში მოსამსახურე გარდაცვლილი ჩინოვნიკის ოჯახს.

გენერალ-ლეიტენანტი **ლადინსკი**  
დირექტორი **ყიფიანი**<sup>6</sup>

30 ოქტომბერი 1845 წ.

## 12. მიხეილ ვორონცოვისადმი

ს ა ი დ უ მ ლ ო დ

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

მთავარსამმართველოს კანცელარიის იმ ჩინოვნიკების  
შესახებ, რომლებიც შტატის გარეშე დარჩნენ

მივიღე რა თქვენი ბრწყინვალეების მიმდინარე დეკემბრის 22 რიცხვის მონერილობა №394, მთავარმმართველობის კანცელარიის დირექტორს მივმართე წინადადებით, რომ ამ საქმის მომზადება და თქვენი ბრწყინვალეების კანცელარიისთვის გადაცემა რაც შეიძლება სწრაფად მომხდარიყო.

ამასთანავე, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია თქვენს ბრწყინვალეობას მოვახსენო, რომ საშტატო განრიგში თქვენ მიერ წარდგენილი და უმაღლესად დამტკიცებული ცვლილებების შემდეგ მთავარსამმართველოს კანცელარიის რამდენიმე ჩინოვნიკი და მწერალი შტატის გარეშე დარჩა. ეს ჩინოვნიკები არიან:

1. კოლეგიის მრჩეველი **ზნაჩკო-იაგორსკი**. მთავარმართველის საგანგებო დავალებათა უფროსი ჩინოვნიკებიდან იგი უფროსი ჩინოვნიკის ხარისხითვე მთავარსამმართველოს კანცელარიის დირექტორის თანაშემწედ იყო დანიშნული. სარგო: ხელფასი 1500 მან.; საბინაო – 450, კვებისა – 300 მან.; სულ: 2225 მან. ვერცხლით წელიწადში.

შესანიშნავი უნარიანობითა და გამოცდილებით, რომლებიც კავკასიაში ხანგრძლივი სამსახურის განმავლობაში, აგრეთვე, 1838 წლიდან მთავარმმართველობაში მუშაობით შეიძინა, მას უფლება აქვს, ისარგებლოს თქვენი კეთილმონყალე ყურადღებით, რის გამოც, მაქვს პატივი, თქვენს ბრწყინვალეობას ვთხოვო: კარგი იქნება, თუ შესაბამისი ვაკანსიის გამოჩენამდე იგი დარჩება თქვენი ბრწყინვალეების კანცელარიაში ან, უკიდურეს შემთხვევაში, საბჭოს კანცელარიაში იმ ანაზღაურებით, რაც ამჟამად აქვს და რისი უფლებაც ერთი წლის განმავლობაში მას კანონით ისედაც აქვს მინიჭებული. –

2. მთავარსამმართველოს კანცელარიის I განყოფილების უფროსი, კოლეგიის ასესორი **ლიულინი**, და

3. II განყოფილების მმართველი, კოლეგიის ასესორი **ორლოვსკი**.

ეს ჩინოვნიკები განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობის გაუქმების გამო შტატის გარეშე რჩებიან. მართალია, საბჭოს კანცელარიაში გათვალისწინებულია ორი ისეთი საქ-

მისმწარმოებლის დამატება, რომელთა კლასი და სარგო ზემოდასახელებულ ჩინოვნიკთა კლასსა და სარგოს შეესაბამება, მაგრამ მე მქონდა პატივი თქვენს ბრწყინვალეხასთან მოთათბირებისა ამ თანამდებობებზე სხვა პირთა დანიშვნის შესახებ. ასეთ ვითარებაში, მაქვს პატივი, შემოვიდე თქვენი ბრწყინვალეების წინაშე შუამდგომლობით: ბატონებს, **ლიულინსა** და **ორლოვსკის**, განსაკუთრებული სამსახურეობრივი გულმოდგინების, აგრეთვე, საქმის ცოდნის გამო მიეცეთ მრჩევლის თანამდებობა საგუბერნიო დანესებულებებში ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამაზრო მოსამართლეებად იქნენ გამწესებულნი. სანამ შესაბამისი ვაკანსიები გამოჩნდებოდეს, მათ, როგორც თანამდებობების გაუქმების გამო უშტატოდ დარჩენილ პირებს, გთხოვთ კეთილინებოთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, და კანონის თანახმად ერთი წლით შეუნარჩუნოთ ამჟამინდელი შემოსავალი: თითოეულს 1200 მან. სახელფასო და 360 მან. საბინაო ანაზღაურება.

4. მთავარსამმართველოს კანცელარიის მოსამსახურე, კოლეგიის მდივანი **გაბაევი**. იგი საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატის მდივანადაა ნამსახური. ჩინებული უნარიანობისა და სამსახურეობრივი გულმოდგინების გამო ახალი საგუბერნიო გამოსაღებების შემუშავებისას იგი ამ თანამდებობიდან სამოქალაქო მრჩეველ ბეზაკის დასახმარებლად იქნა გადმოყვანილი და ამ მნიშვნელოვან საქმეში ერთობ წარმატებული მონაწილეობით სავსებით გაამართლა ხელმძღვანელობის იმედები. მაგრამ თავისი შრომისთვის მას არა მარტო არავითარი ჯილდო არ მიუღია, არამედ საშტატო ადგილიც კი დაკარგა; მხოლოდ გასამრჯელო, სულ რაღაც 975 მან. ვერცხლით, დაუტოვეს და მთავარსამმართველოს კანცელარიას მიანერეს.

საბჭოს საქმისმწარმოებლის თანაშემწედ მისი დანიშვნა დაუმსახურებელი დაქვეითება იქნება; მისთვის საქმისმწარმოებლის ადგილის შეთავაზება კი მე არ შემიძლია, რადგან ასეთ თანამდებობებზე, ვფიქრობ, აუცილებელია დანიშვნა ისეთი ჩინოვნიკებისა, რომლებსაც ავადმყოფობისა თუ ად-

გილზე არყოფნის შემთხვევაში საქმეთა მმართველის შეცვლა შეეძლება.

ამასთანავე, გაბაევი შტატის გარეშე არ უნდა დარჩეს. მიმაჩნია, რომ იგი პალატაში ან VIII კატეგორიის რომელიმე დაწესებულებაში ასესორის ხარისხს იმსახურებს. მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალეობას, ასეთი ვაკანსიის გამოჩენამდე ერთი წლის ვადით დატოვოთ იგი თქვენი კანცელარიის შტატგარეშე თანამშრომლად ახლანდელი სარგოთი: 750 მან. სახელფასო და 225 მან. საბინაო ანაზღაურებით.

მთავარსამმართველოს კანცელარიის მაგიდის უფროსები:

5. კოლეგიის მდივანი **გნილოსაროვი**, რომელსაც მოსკოვის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და გამოირჩევა შესანიშნავი უნარიანობითა და სანაქებო ყოფაქცევით;

6. კოლეგიის მდივანი **გრისენკო**;

7. საგუბერნიო მდივანი **ლისოვსკი**, და

8. საერთო ჟურნალისტი, საგუბერნიო მდივანი **გოლდი**.

ისინი უნარიანი მოსამსახურეები და კეთილსინდისიერი პირები არიან, თუმცა რჩებიან შტატის გარეშე. ვშუამდგომლობ, მათაც ერთი წლის ვადით შეუნარჩუნდეთ ახლანდელი სარგოები: თითოეულს 600 მან. სახელფასო და 180 მან. საბინაო ანაზღაურება. ამასთანავე, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვოთ, მიიღოთ ისინი სამსახურში თქვენი ბრწყინვალეობის კანცელარიაში ან გაამწესოთ შესატყვის თანამდებობებზე რომელიმე საგუბერნიო ან საოლქო მმართველობაში.

ამათ გარდა, შტატების გარეშე რჩებიან:

ა) ის პირები, რომლებიც იღებენ 400 მან. (ვერცხლით) სახელფასო და 120 მან. საბინაო ანაზღაურებას:

9. მაგიდის უფროსების თანაშემწე, საგუბერნიო მდივანი **ორლოვი**;

10. საგუბერნიო მდივანი **ანტონოლინი**;

11. საგუბერნიო მდივანი **დეტკოვსკი**;

12. ჩინის არმქონე **სტეფანოვიჩი**, ახალგაზრდა კაცი, რო-

მელიც შესანიშნავი უნარიანობითა და სანაქებო სიბეჯითით გამოირჩევა. –

[ბ]) ის პირები, რომლებიც იღებენ 300 მან. სახელფასო და 90 მან. საბინაო ანაზღაურებას:

13. მაგიდის უფროსის თანაშემწე, საგუბერნიო მდივანი **და-კიშევიჩი;**

14. საგუბერნიო მდივანი **ველახოვი**, და

15. კოლეგიის რეგისტრატორი **ალიხანოვი**.

თუ არ ინებებთ ამ უკანასკნელი შვიდი ჩინოვიკის ჩარიცხვას თქვენი ბრწყინვალეების კანცელარიაში, მაშინ, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, გასცეთ განკარგულება შესაფერისი ვაკანსიის გამოჩენამდე ერთი წლის განმავლობაში ამჟამინდელზე არანაკლები ანაზღაურებით მათი სხვა სამსახურებში გადანაწილების შესახებ.

16. შტატის გარეშე რჩება აგრეთვე კოლეგიის მდივანი **სიმონოვიჩი**, რომლის სახელფასო ანაზღაურებაც 300 მან. წელიწადში. იგი შვილია გენერალ სიმონოვიჩისა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ღირსეულად მსახურობდა კავკასიაში. როგორც წარმომავლობით, ისე ფიზიკური ნაკლულებებით კოლეგიის მდივანი სიმონოვიჩი, რომელიც ყრუ-მუნჯია, იმსახურებს კეთილმონყალე ყურადღებასა და იმავე ანაზღაურებით თქვენი ბრწყინვალეების კანცელარიაში ჩარიცხვას. ეს იქნებოდა ნიშანი მამამისის დამსახურებათა პატივისცემისა და თანაგრძნობის გამოხატულება თვითონ მისი მწარე ხვედრის მიმართ. იგი სავსებით გამოსადეგი იქნება ქალაქების – განსაკუთრებით, საიდუმლო ქალაქების – გადამწერად.

დასასრულ, შტატების გარეშე რჩებიან აზნაურები: **გაბაევი** და **ენგბრესტი**, რომლებიც არავითარ გასამრჯელოს არ იღებენ და გადამწერები კანტონისტებიდან:

*მაღალი სარგოთი:*

**ერმოლაევი;**

**ალექსეევი;**



საშუალო სარგოთი:

**იველევი;**

**ტრეგუბოვი;** და

დაბალი სარგოთი:

**კომადა;**

**ივანოვი;**

**სემიონოვი.**

თქვენი ბრწყინვალეების კეთილმონყალე ყურადღებას მივაპყრობ ზემოხსენებულ ჩინოვნიკებს და, მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ შემდეგი შუამდგომლობა: იმ შტატების მიღების შემდეგ, რომლებიც უმაღლესად დასამტკიცებლადაა წარდგენილი, გასცეთ განკარგულება შესაბამის სამსახურებში მათი დამტკიცების შესახებ და, ამას გარდა, დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას საბჭოს კანცელარია განზრახული შემადგენლობით.

27 დეკემბერი 1845.

1846

### 13. სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიან- ჭავჭავაძისადმი

უმონყალესო ხელმწიფავ,

კნეინა სალომე ივანოვნა

დიდის გულსმოდგინებითა გთხოვთ სულგრძელობითს მოტევებას ამ მოხსენებისათვის, რომელსაც მაზედვინებს მხოლოდ გულითადი, ქეშმარიტი ერთგულება და განუსაზღვრებელი პატივისცემა თქვენის სახლისა და წრფელი მეგობრობა თქვენის შვილის დავითისა. ამას წინათ მიბრძანებდით, რომ

როდესაც დავით მოვიდოდა, მეც დამიბარებდით განსვენებულის<sup>1</sup> ქალაქების გადასარჩევად და მეც მაშინვე მოგახსენეთ, უთუოთ გიახლებით მეთქი. დღეს მომივიდა ამაზედ თქვენი კაცი და იმავე ერთგულებისა ჩემისა და დავითის მეგობრობის ვალად ვრაცხ მოგახსენოთ, რომ თქვენს შვილს დავითს გარდა, ან თუ არ თვით მისის მინდობით, არა ვისა აქვს უფლება, რომ შეეხოს ვინმე, უმეტესადრე თქვენის სახლის გარეშე კაცი, ვინც უნდა იყოს, განსვენებულის კნიაზის ქალაქებს. ამაზედ ჰბრძანებთ და სხვანიც მოგახსენებენ, რომ იქნება იმ ქალაქებში ზოგი ასეთი იყოს, რომ ახლავე უნდა მოხდეს განკარგულება რაიმე და იქნება საქმეც წახდეს რამე დავითის მოსვლამდის. მაგრამ სამსახურისა ჩემისა გამო მრავალის ამ გვარის გარემოების მცნობი მოგახსენებთ, რომ რა კაცს სიკვდილი ენევა, მისს საქმეთა წინაშე ყოველი კანონი სდუმდება, ვიდრემდის კანონიერად განირჩეოდნენ. კანონიერად ლა გარჩევა ეკუთვნის ან თვით მემკვიდრეს, თუ მემკვიდრე სრულ ასაკოვანი არის, ან აპეკუნებს, თუ მემკვიდრე მცირე წლოვანია. და თუ უამისოდ შეუდგა ვინმე რჩევასა და ამასობაში ან დაიკარგა რაიმე, ან ასეთი რამ აღმოსჩნდა, რომელიც სახლისა ან თვით განსვენებულის საიდუმლოებას იცავდეს რასმე, რაც სახლს გარეთ არ უნდა გავიდეს, მაშინ ან განმრჩევი მიეცემიან კანონის წინაშე პასუხის გებაში, ან საიდუმლო გამოცხადდება და იქნება ამით მრავალი ევნოს განსვენებულის ხსენებასაცა და ოჯახის სარგებლობასაც. ვინ იცის იქნება დავითს მამის ქალაქდთა და ნივთთა შორის ეგულებოდეს რამე დიდად საჭირო, და თვით კნიაზს გაეცეს ან დაეხიოს, ასე რომ სხვა არა ვისა ჰსცოდნოდეს; მაშინ დავითს ყოველი სიმართლე ექნება, რომ განმრჩევთ მოჰკითხოს და რას პასუხს მისცემენ.

უმორჩილესად გთხოვთ ყოველივე ესე გულის სიტკობებით მოიხსენიოთ, იფიქროთ და მოხსენება მიანეროთ მხოლოდ ერთგულებასა ჩემსა.

16 ნოემბერი 1846.

## 14. თბილისის გარეუბნების მომწყობი კომისიისადმი

ქ. ტფილისის გარეუბნების მომწყობ კომისიას  
კოლეგიის მრჩეველის, **დიმიტრი ყიფიანის**

[მ ი მ ა რ თ ვ ა]

კომისიის მიერ გასული ნომბრის 22-ის შემოთავაზების (№245) პასუხად გაახლებთ 300 მან. ვერცხლით და უმორჩილესად გთხოვთ განკარგულებას, რათა გადმომეცეს გარეუბან ახალ კუკიაში<sup>1</sup> მდებარე ის 750 კვადრატული საყენი მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მიწისმზომელმა ფიოდოროვმა მიმითითა.<sup>2</sup>

ამასთანავე, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია დავსძინო, რომ აღნიშნულ ნაკვეთს მომავალი წლის გაზაფხულზე შემოვლობავ.

30 დეკემბერი 1846.

1847

## 15. პეტრე ლადინსკისადმი

მის აღმატებულებას,  
ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსს,  
ბ-ნ გენერალ-ლეიტენანტსა და კავალერს  
**პეტრე ანტონის ძე ლადინსკის**  
კოლეგიის მრჩეველ **ყიფიანის**

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ამ დღეებში თქვენს აღმატებულებასთან იყვნენ რაჭველი ყიფიანები და მათი საქმისთვის ყურადღების დათმობა გთხო-

ვეს. მათ უფრო შორსმიმავალი განზრახვა ჰქონდათ – პირადად მეფისნაცვალს უნდა შეეწუხებინათ.

როგორც ტფილისში მცხოვრები ერთადერთი ნაცნობი მოგვარე, ვალდებულიც კი ვიყავი, მათი თხოვნა უფროსობის ყურამდე მიმეტანა და ამით ისინი, უკიდურესად შემფოთებულნი, დამეწყნარებინა – ვარწმუნებდი, რომ მათ, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, მთავრობა მათივე უფლებების შესაფერის ყურადღებას მიაქცევდა.

საქმე ისაა, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო კომისიამ, რომელიც საუბნო წარმომადგენელთა მიერ შედგენილ თავადთა და აზნაურთა სიებს განიხილავს, გვარი **ყიფიანი** აზნაურთა ჩამონათვალში ნახა. მიუხედავად იმისა, რომ რაჭის ერთ-ერთ საუბნო სიაში ეს გვარი თავადთა შორისაც იყო მითითებული, კომისიამ **ერთხმად** დაადგინა, ყიფიანთა გვარეულობა მთლიანად აზნაურთა რიგებში შეეყვანა და შემდგომში ამის საფუძველზე ემსჯელა მათი, როგორც აზნაურების, უფლებებზე. –

რაჭველმა ყიფიანებმა, თავადებმა, კომისიას მათი თავადური წოდების დამადასტურებელი დოკუმენტები წარუდგინეს და ამ დოკუმენტების მხედველობაში მიღება ითხოვეს.

მე ვნახე ეს დოკუმენტები. ისინი სამია და ამათგან თითოეული სავსებით აკმაყოფილებს 1846 წლის 30 მარტის უმაღლესი განკარგულების პირობებს და, შესაბამისად, ადასტურებს კიდევაც ხსენებულ ყიფიანთა თავადურ ღირსებას.

ერთ-ერთ დოკუმენტში ყიფიანი, როგორც თანამეფიცული, დასახელებულია სოლომონ II-ის 1804 წლის ფიცის ნიგნზე ხელისმომწერ თავად აგიაშვილთან ერთად და გათანაბრებულია გურიის მთავრის შვილთან, მეფე სოლომონ I-ის ძმისწულთან, გურულ ერისთავთან, ლეჩხუმელ თავად გელოვანთან, თავად იაშვილთან, აგრეთვე, ფიცის ნიგნზე ხელისმომწერ მეგრულ თავადთან, ჯაიანთან.

ორი დანარჩენი დოკუმენტის მიხედვით კი მეფეები სოლომონ I და სოლომონ II იმავე ყიფიანს უბოძებენ აზნაურებს თავთავიანთი გლეხებითა და მამულებით.

ეს ორი უკანასკნელი დოკუმენტი არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგანაც მათი ნამდვილობა დადასტურებულია ქუთაისში არსებული გაყალბებული ბეჭდების განმხილველი კომისიის მიერ<sup>1</sup> და გაკეთებულია კიდევაც შესაბამისი ჩანაწერი. —

გარდა ხსენებული ეჭვიმუტანელი მტკიცებულებებისა, იმის დასადასტურებლად, რომ ისინი იმერეთში რუსული მმართველობის დამყარებამდეც და მას შემდეგაც თავადებად ითვლებოდნენ, რაჭველ ყიფიანებს შეუძლიათ მიუთითონ იმ გარემოებებზე, რომლებიც განიხილებოდა ჩვენს სამმართველო დანესებულებებში: გიულდენშტედტზე, რომელმაც ჩვენი საუკუნის დასაწყისში იმერეთი მოიარა; დიუბუა დე მონპერეზე, რომელიც იქ 1835 წელს იმყოფებოდა. მათს თხზულებებში ჩამოთვლილ გვარებში **ყიფიანი** თავადად არის მოხსენიებული. ამგვარ მითითებებს, რასაკვირველია, ვერავითარი იურიდიული ძალა ვერ ექნება, თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, ასეთი დასკვნისთვის კი შეიძლება გამოდგეს: თუკი იმერეთში გავლით მყოფ ორ უცხოელს გაუგონია რაჭველი თავადების, ყიფიანების, შესახებ, ძნელი წარმოსადგენია, ეს თვითონ იმერლებს არ სცოდნოდათ.

ასეა თუ ისე, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ქუთაისის კომისიამ **ერთხმად** მიიჩნია, რომ იმერეთში ყიფიანები, უკლებლივ ყველა, აზნაურები არიან. საქმე ის არის, რომ თავადაზნაურობისგან არჩეული პირები კომისიაში იმყოფებიან ნახევარ-ნახევარი ვადით, რიგრიგობით. მოცემული ნახევარი ვადით კომისიაში რაჭიდან მხოლოდ ორი ადამიანი იყო წარმოდგენილი და თანაც კომისია განიხილავდა არა პირთა, არამედ გვარეულობათა საკითხს. იმერეთსა და საქართველოში<sup>2</sup> მცხოვრები მრავალრიცხოვანი ყიფიანებიდან მხოლოდ ორია თავადი (თავთავიანთი ოჯახებით): ოტია და ლევანი. ოტია, როგორც თავადიშვილი, თავიდან საარჩევნო ხმების უმრავ-

ლესობით რაჭის უბანმა კომისიის წევრადაც კი აირჩია, თუმცა შემდგომში მის ნაცვლად კომისიის წევრად სხვა თავადი იქნა დანიშნული. ამ უკანასკნელს ნაკლები საარჩევნო ხმა ჰქონდა, თუმცა საკუთრივ კომისიის სხდომაზე ხმათა უმრავლესობა მიიღო. ამ ყველაფრის ნახვა შეიძლება მეფისნაცვლის კანცელარიის საქმეებში. – და, დასასრულ, ოტია და ლევან ყიფიანების განკარგულებაშია 11 აზნაურული სახლეულობა, რომელთაგან ზოგიერთი ყიფიანია და აზნაურია. ჩვენ კი არა გვაქვს სხვა მაგალითი, აზნაური ბატონი იყოს აზნაურისა.

ასეთ ვითარებაში, ერთი შეხედვით, მთხოვნელებს არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეთ – 1846 წლის 30 მარტის განკარგულება მტკიცედ იცავს მათს წოდებრივ ღირსებას. მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ, თანახმად ინსტრუქციისა, უკან ველარ მიუბრუნდება ყიფიანების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების განხილვას. და თუ კომისიამ ეს მტკიცებულებები არ განიხილა, მას არ განიხილავს არავინ, რადგანაც ამჟამად მოქმედი წესები მხოლოდ ამ კომისიისთვის არის შედგენილი. შესაბამისად, რაჭველი ყიფიანები, რომელთა უფლებები დღესავით ნათელია, ველარ ისარგებლებენ იმ სიკეთით, რომელიც თავადმა მიხეილ სიმონის ძემ<sup>3</sup> ხელმწიფე იმპერატორს ამიერკავკასიის თავადაზნაურობისათვის გამოსთხოვა. ყიფიანები კარგავენ წოდებრივ ღირსებას, და ეს მაშინ, როცა ხელისუფლება მხოლოდ იმას ითხოვს, რომ წოდებრივი ღირსება არ მიეცეს იმას, ვისაც იგი არ ეკუთვნის. –

სწორედ ამას უხსნიდნენ ჩემი მოგვარეები მის აღმატებულებას, სტეფანე ვასილის ძეს,<sup>4</sup> შემდეგ, მისი დავალებით – მის აღმატებულებას, ვასილ ნიკოლოზის ძე სემიონოვს. მაგრამ ისინი საქმის სიძნელეს იმაში ხედავენ, რომ, თუ რაჭველ ყიფიანებს კომისიაში მტკიცებულებათა წარდგენის უფლება მიეცემათ, ამას სათავისოდ გამოიყენებს ყველა, ვინც კომისიამ თავადად ან აზნაურად არ აღიარა.

სავსებით სამართლიანია აზრი, რომ ის, რაც ამ შემთხვევაში კომისიას უნდა მოეთხოვოს, შესასრულებლად ძალზე ძნე-

ლია. მაგრამ რამდენად სამართლიანი იქნება, თუ კომისიისთვის მუშაობის შემსუბუქებას შევნიშავთ უფლებას იმ პირებისას, რომლებიც ამ უფლებას ველარასოდეს ვერ აღიდგენენ? მე ადგილობრივი ვარ – მკვიდრი. ჩემი წმიდათანმიდა ვალდებულებაა, თანამემამულეებს ავუხსნა საკუთრივ ჩემი რწმენა იმ დაწესებულებათა შეუცდომლობისა, რომლებსაც მართებლობა ჩვენდა სასიკეთოდვე ქმნის. ხოლო ის, რომ მართებლობა და მეფისნაცვალი ჩვენი მხარისთვის სიკეთის, ამ სიტყვის ფართო გაგებით, მოსურნენი არიან, მე ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. მომეცით საშუალება, თქვენო აღმატებულებავე, ჩემი ბედკრული მოგვარებებიც დავარწმუნო, რომ ისინი არ იქნებიან მოკლებულნი იმ კანონიდან გამომდინარე სიკეთეს, რომელიც თავადმა მეფისნაცვალმა ჩვენდა სასარგებლოდ 1846 წლის 30 მარტის განკარგულების სახით გამოითხოვა. იშუამდგომლეთ მისი ბრწყინვალეების<sup>5</sup> წინაშე, რათა ქუთაისის კომისიას ნება მიეცეს, განსახილველად მიიღოს ოტია და ლევან ყიფიანების მიერ თავადური ღირსების დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებები; ან კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, კომისიამ მათი წოდებრივი ღირსების საკითხი ხელახლა დასვას მაშინ, როცა კომისიის მუშაობაში თავადაზნაურობის წარმომადგენელ წევრთა მეორე ნახევარი მიიღებს მონაწილეობას. და, თუ ამ შემთხვევაშიც არ დამტკიცდება მათი თავადობა, მაშინ, დაე, ყიფიანებმა დაკარგონ თავიანთი წოდებრივი ღირსება – მე ვარ თავდები, რომ ისინი მათდამი დაქვემდებარებულთა ხარისხამდე ჩამოქვეითებას უდრტვიწველად შეხვდებიან.

იცით რა ჩემი ცხოვრების წესი, თქვენო აღმატებულებავე, გთხოვთ სამართლიანად განსაჯოთ ჩემი თხოვნა. საკუთარ თავზე ეს ვალდებულება რომ არ ამელო, ყიფიანები იჩივლებდნენ და ბევრი იმასაც იფიქრებდა, რომ ისინი მე წავაქეზე. ასეთი რამ კი არასოდეს მოხდება. შეიძლება ისიც კი თქვან, რომ თვითონ ვეძიებ თავადობას. მაგრამ, არა! მე აზნაური ვარ და

არასოდეს არ დავუშვებ, მივითვისო ტიტული, რომელიც ჩემს მამა-პაპას არა ჰქონია და არც თვითონ დამიმსახურებია.

კოლეგიის მრჩეველი **ყიფიანი**

20 მაისი 1847.

### **16. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი**

მონყალეო ხელმწიფე,  
კნიაზო კონსტანტინე დავითის ძეო

პეტრე ანტონიჩს<sup>1</sup> თვითონ უნდოდა თქვენთან ნიგნის მოწერა, მაგრამ ნამესტნიკს<sup>2</sup> მოელის ზეგ, შაბათსა, და საქმეების გამო ველარ მოახერხა. მე მიბძანა თქვენთან მოწერა და გთხოვს, რომ რაც ცხენები გყავთ გამოსაგზავნი, მალე გამოუგზავნოთ, მანამდისინ კარგი დარი დგას. ამ ნიგნის გათავებას დიდად ვეშურები, რომ ფორტამ არ გაგვისწროს. ჩემის მხრით, სანყალის ჰაჯი უსუფას<sup>3</sup> ლოტერიის საქმეს მოგაგონებთ, ეგება უშველოთ რამე და ბილეთები დაურეგოთ.

თქვენის ბრწყინვალეების უმორჩილესი მონა  
**დიმიტრი ყიფიანი**

15 ოკტომბერს [1847 წ.].

### **17. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი**

მონყალეო ხელმწიფე,  
კნიაზო კონსტანტინე დავითიჩ

ოთხშაბათს, ამ თვის 15-ს, ლეტუჩი ფორტით,<sup>1</sup> პეტრე ანტონიჩის<sup>2</sup> ბრძანებით, ნიგნი მოგწერეთ იმის ცხენების თავო-



ბაზედ; და ვინიცობაა, იქნება იმ წიგნმა დაიგვიანოს როგორმე, მისის აღმატებულების ბრძანებითვე განვიმეორებთ თხოვნასა, რომ იმ ცხენების გამოგზავნა დააშუროთ, მანამდისინ კარგი დარი დგას. თქვენც რომ არ დაიგვიანოთ, ურიგო არ იქნებაო, რადგან ოტპუსკი<sup>3</sup> დიდხანია გაქვსთო.

თქვენის ბრწყინვალეების უმორჩილესი მონა  
**დიმიტრი ყიფიანი**

18 ოკტომბერი 1847.

P. S. დღეს, შუადღის შემდეგ მეოთხეს საათზედ, კნიაზი ნამესტნიკი<sup>4</sup> მობძანდა.

**1848**

## **18. სტეფანე საფონოვისადმი**

მონყალეო ხელმწიფეო,  
სტეფანე ვასილის ძე

გავეცანი თქვენი აღმატებულების მიმდინარე იანვრის 31 რიცხვის წერილს: მიმონერას ბორჯომის მინერალური წყლების მართვა-გამგეობისთვის საჭირო წესების შესახებ და თვითონ ამ წესების პროექტს. მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას წარვუდგინო შენიშვნები იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც პროექტის შედგენისას არ ყოფილა გათვალისწინებული.

§ 1.

ვფიქრობ, წყლებით სარგებლობის კურსი არ უნდა გაიხსნას 15 მაისზე ადრე და არ უნდა გადასცილდეს 15 სექტემბერს. მცირე ფართობს, რომელზედაც ეს წყლებია, გარს მჭიდროდ აკ-

რავს ხშირი ტყეებით დაფარული დიდი მთები. იგი მდებარეობს ბორჯომის ხეობის თითქმის შუაგულში, მოიცავს დაახლოებით 40 კვადრატული ვერსის ტერიტორიას უზარმაზარი მთებით, თითქმის მთლიანად დაბურული ტყეებით რომ არის დაფარული და დასერილია მთის მდინარეებითა და ნაკადულებით. ამის გამო იქ თითქმის მთელი მაისის განმავლობაში, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ან განუწყვეტელი წვიმებია, ან კიდევ იქაურობა სქელ ნისლშია გახვეული, უღრუბლო ამინდში კი დილის სუსხი, მეტისმეტი ნამიანობა და სინესტეა. ასეთ პირობებში ავადმყოფების იქ ყოფნა გაუმართლებელია. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი დაბრკოლება, რის გამოც მაისის 15-მდე სამკურნალო კურსების გახსნა არ შეიძლება. არის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, მიზეზიც: ტფილისიდან გამგზავრებულ ადამიანს გზად ქსნისა და გორის სადგურებზე გაჩერება მოუწევს. მდინარეები ქსანი და ლიახვი კი ამ დროს, ჩვეულებრივ, ადიდებულია, ნაპირებიდან გადმოსულია, სხვა ფონები კი ამ დროს წყალუხვია და მათზე გადასვლა უკიდურესად სახიფათოა. —

სწორედ ამ მიზეზთა გამო, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბორჯომის წყლებით სარგებლობა არასოდეს არ იწყებოდა მაისის ბოლომდე ან კიდევ ივნისის დამდეგამდე. იმავე მიზეზებით კურსები ვერ გაგრძელდება 20-25 აგვისტოს შემდეგ, რადგანაც აგვისტოს მეორე ნახევარი იქ გაცილებით უფრო წვიმიანი და ნესტიანია, ვიდრე მაისი. ამიტომაც კურსების დაწყება-დამთავრების თარიღად უნდა განისაზღვროს დრო 1 ივნისიდან 20 აგვისტომდე. წყლებით სარგებლობა კი შესაძლებელია ნაშუადღევის 5 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ამის აუცილებლობის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ.

## § 8.

წყლების გამგებელი ოფიცერი, როგორც ეს წესების პროექტიდან ჩანს, გზათა VIII ოკრუგის ხელმძღვანელობას ექვემდებარება. ჩემი აზრით, უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ იგი

დაექვემდებარება გორის სამხედრო ხელმძღვანელს, რადგანაც უახლოესი სამხედრო მმართველობა გორშია, მით უმეტეს, ხსენებული ოფიცრის განკარგულებაში მყოფი ჯგუფი ომის ვეტერანთა გორის რაზმიდან უნდა გამოიყოს. – რაც შეეხება სამეურნეო სფეროს, უფრო ზუსტად, შემოსავალ-გასავლების აღრიცხვას, გამგებელი ოფიცერი ან უშუალოდ კორპუსის შტაბის საინჟინრო ნაწილს, ან – და ეს უმჯობესიც იქნება – სამედიცინო ხელმძღვანელობას უნდა დაექვემდებაროს. საქმე ისაა, რომ სამედიცინო ხელმძღვანელობის მოსაზრებების გაუთვალისწინებლად სამკურნალო წყლებზე არავითარი მონყობილობა არ უნდა გაიმართოს.

საერთოდ, გაცილებით ჯობს, ყველა სახის მონყობილობისთვის საჭირო ხე-ტყის მასალა გზათა ოკრუგის ხელმძღვანელობის ზედამხედველობითა და კერძო პირთა მეშვეობით დამზადდეს, რადგანაც მეტოქეობა მონარდეთა შორის, რომლებიც იქ ყოველთვის მოინახებიან, მნიშვნელოვნად დაზოგავს წყლების უკეთ მოსაწყობად საჭირო თანხებს. – თუმცა ამ უკანასკნელ შენიშვნას პროექტთან კავშირი არა აქვს.

## იგივე § 8.

არ არსებობს არავითარი საჭიროება, აღრიცხვის წიგნში ჩაიწეროს ყველა, ვინც წყლებზე სამკურნალოდ ჩადის, რადგანაც ჩასულების ნაწილი უარს ამბობს დარჩენაზე. ისინი ექიმების ახსნა-განმარტების შემდეგ რწმუნდებიან, რომ სამკურნალოდ ეს წყლები არ სჭირდებათ; სხვები კი – და ეს ძალზე ხშირად ხდება – აბაზანებს იღებენ ან გავლა-გამოვლაზე, ან, უბრალოდ, იქ საბანაოდ დადიან. ისინი, რომლებსაც სრული ან არასრული სააბაზანო კურსის გავლა სურთ, ბილეთებს იძენენ და, შესაბამისად, მორიგე ოფიცრისთვისაც გაცილებით გაადვილდება აღრიცხვის წარმოება – მხოლოდ ისაა საჭირო, რომ მასზე გაიცეს ზონარგაყრილი წიგნი, რომელშიც გაყიდული ბილეთების რაოდენობა და შემოსული თანხა ჩაიწერება.

რაც შეეხება ბილეთების გაყიდვის საკითხს, ვფიქრობ, პროექტში ჩამოყალიბებული წესები, თუკი ვინმე მოინდომებს, ფართო გასაქანს იძლევა ბოროტი განზრახვებისთვის, კერძოდ, ერთხელ გაყიდული და წიგნში გატარებული ბილეთი, რომელსაც პირი აბაზანის შესასვლელში ტოვებს, შეიძლება ყოველგვარი ჩანერისა და აღრიცხვის გარეშე თავიდან გაიყიდოს.

თავისთავად ცხადია, წყლებით მკურნალობა ვერ მოხდება მედიკოსის რჩევის გარეშე, რადგანაც არსებობს დაავადებები, რომლებსაც ბორჯომის წყლები კი არ რგებს, არამედ — ვნებს. ამიტომაც უკეთესი ხომ არ იქნება, ოფიცერმა, თანახმად **მე-9 პარაგრაფისა**, ბილეთი იმ პირზე გასცეს, რომელიც წარუდგენს მედიკოსის ცნობას კონკრეტულ რიცხვში აბაზანების მიღებისა და სააბაზანოდ გამოყოფილი საათების შესახებ და ეს საათები ბილეთზევე იქნება მითითებული. ასეთ შემთხვევაში მონაცემები თავისთავად გახდება ადვილად შესამოწმებელი: აბაზანებში შემსვლელელებზე გაცემული და ზონარგაყრილ წიგნში ჩაკერებული ბილეთები ან კიდევ შესული და სათანადოდ აღრიცხული თანხა ზუსტად უჩვენებს, არის თუ არა ბილეთი გაცემული და ფული აღებული თითოეულ აბაზანაზე. — აღრიცხვიანობაც მოწესრიგდება და თვითნებობაც აღიკვეთება.

**მე-9 პარაგრაფთან** დაკავშირებული შენიშვნა ძალაში რჩება.

პროექტის **მე-10 პარაგრაფის** მიხედვით, აბაზანაში ყოფნის ვადად განსაზღვრულია 1 საათი.

მე-16 პუნქტში, რომელიც კაპიტან ლობოდას მიერ არის შედგენილი, ნათქვამია, რომ განზრახულია წყლებზე დაბალი ჩინის მქონე პირთათვის 24-ადგილიანი ლაზარეთის აგება. კერძო პირებს კი, რომლებიც წყლებზე სამკურნალოდ ჩადიან, 30-ზე ნაკლებს ვერ ვივარაუდებთ.

ავიღოთ 10 ადამიანი, რომლებიც აბაზანაში შედიან საკუთარი სიამოვნებისა თუ სამკურნალო მიზნით. ამათთვის სქესობრივი განსხვავებულობის გათვალისწინებით საჭიროა ორ-

ორი აბაზანა, სულ – 4. საერთო ჯამში აბაზანით მოსარგებლეთა რაოდენობა იქნება დღე-ღამეში 64 ადამიანი.

თუ ამათგან თითოეული აბაზანაში დაყოფს 1 საათს, მაშინ ყოველი აბაზანის პრაქტიკული დატვირთვა იქნება 14 ადამიანი დღე-ღამეში, ხოლო ოთხ აბაზანაში – 56 ადამიანი. შესაბამისად, 8-ს აღარ მიეცემა აბაზანით სარგებლობის საშუალება.

ყველა ეს ციფრი მაგალითისთვის მომყავს და პრაქტიკული მოქმედებების საფუძვლად მათი აღება არ შეიძლება, რადგანაც მსურველთა რაოდენობა შეიძლება, და საჭიროც არის, გაცილებით მეტი იყოს, მით უმეტეს, წყლების შემდგომი კეთილმოწყობის პირობებში. ზემოდასახელებული ციფრებით მე იმის თქმა მსურს, რომ 1 საათი თითოეული მოსარგებლისთვის მეტისმეტად ბევრიცაა და წყლების სამეურნეო მართვის თვალსაზრისითაც რთული და წამგებიანია.

არა მგონია, მედიკოსმა ვინმეს აბაზანაში ყოფნა 25 წუთზე მეტი ხნით გამოუწეროს – ჩვეულებრივ, ნებართვა 10-20 წუთს შეადგენს ხოლმე. შესაბამისად, სავსებით საკმარისი იქნებოდა **მე-10 პარაგრაფში** ჩაგვეწერა, რომ თითოეული პირისთვის აბაზანაში შესვლის ვადად განისაზღვროს არა უმეტეს ნახევარი საათისა და, ამასთანავე, მუშაობის ყოველდღიურ პრაქტიკად დადგინდეს დრო დილის 5 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

სავსებით გამართლებულია, რომ პროექტში არ არის შეტანილი კაპიტან ლობოდასა და გენერალ ვრანგელის მიერ შედგენილი 3-პუნქტიანი ინსტრუქცია, რომელიც ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე აბაზანაში რამდენიმე პირის ყოფნას უშვებს. ეს შეიძლება დაშვებულ იქნეს მსურველთა განსაკუთრებული მოზღვავეების ან მედიკოსის სპეციალური ნებართვის შემთხვევაში, თუმცა დადგენილ წესად იგი არ უნდა ვაქციოთ. – კაცმა რომ თქვას, არც იქნება ამის საჭიროება, თუ 1 საათის ნაცვლად  $\frac{1}{2}$  საათი დანესდება. ოთხი აბაზანის მოწყობის შემთხვევაში, საჭირო გახდება ოთხი ისეთი რეზერვუარის მოწყობაც, რომლებშიც რაც შეიძლება მეტი წყალი ჩაეტევა. როცა

მე 1842 და 1844 წლებში ამ წყლებზე ვიმყოფებოდი, მხოლოდ ორი აბაზანა იყო მოწყობილი და ამიტომაც აბაზანაში შესასვლელად ან საათობით ლოდინი იყო საჭირო, ან კიდევ დანიშნულ დროზე გვიან იმიტომ უნდა შესულიყავი, რომ რეზერვუარში წყალი გამოლეული იყო.

შემდეგ:

ყურადღებას გავამახვილებ იმ პირთა უმთავრეს საჭიროებებზე, რომლებიც ბორჯომის წყლებზე სპეციალურად ჩადიან და ეს ეხება პროექტის **მე-11 პარაგრაფს**.

წყლებზე ჩასულთათვის ყველაზე მეტ უხერხულობას ქმნის სურსათ-სანოვაგისა და საცხოვრებლის უკმარისობა.

კარგია, რომ **მე-11 პარაგრაფით** გათვალისწინებულია პოვნა მარკიტანტისა, რომელიც სურსათ-სანოვაგით ივაჭრებს დადგენილი ნიხრის მიხედვით. თუმცა კიდევ უფრო უკეთესი იქნება, თუ წესებში ჩაინერება ჩამონათვალი იმ სანოვაგისა, რომელიც მარკიტანტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მთელი კურსის განმავლობაში: ქათმები, წინილები, ცხვრის ახალი ხორცი, შაქარი, ციკორი, ფუნთუშეული, სასადილოს პური და სხვ., იმის გათვალისწინებით, თუ რა არის სამედიცინო თვალსაზრისით მიზანშეწონილი დიეტური კვებისთვის წყლებზე ყოფნისას.

ამასთანავე, ნიხრის განსაზღვრისა და სადგომების გაქირავებისას უნდა აღიკვეთოს ფასების გაბერვის შესაძლებლობა. აუცილებელია, იქ ყველაფერი ნიხრით ან დადგენილი წესებით განისაზღვროს. კერძო პირები, რომლებსაც წყლებზე ჩასულთათვის აშენებული, უკეთ რომ ვთქვათ, შეკონინებული აქვთ ორი-სამი ქოხმახი – და ასეთები იქ არცთუ ცოტანი არიან – ერთ ციციქნა ოთახში, ერთი ადამიანი რომ ძლივს მოთავსდება, დღე-ღამეში 1 მანეთს (ვერცხლით) იღებენ. სამსულიანი ოჯახი სამ ოთახზე ნაკლებს ვერ დაიქირავენ და ამაში მან დღე-ღამეში 3 მანეთი (ვერცხლით) უნდა იხადოს. – ეს უზომო, აღმამფოთებელი ქირაა. – კერძო პირს იქ ამ ტიპის 10-ოთახიანი

სახლის აშენება შეუძლია და ეს 500 მანეთზე (ვერცხლით) მეტი არ დაუჯდება. თუ იგი ერთ ოთახში დღე-ღამეში 1 მანეთს აიღებს, 1 ივნისიდან 20 აგვისტომდე, 81 დღეში, 810 მანეთს (ვერცხლით) მოაგროვებს, ანუ თავდაპირველ დანახარჯს პირველივე ზაფხულში 160%-ით ამოიგებს. ჩასულები იხდიან, რადგან სხვა გამოსავალი არა აქვთ, მაგრამ მთავრობამ ასეთი უჩვეულო მევახშეობა არ უნდა დაუშვას.

დარწმუნებული ვარ, მთავრობის ყურამდე ამ ამბავს ჯერ არ მიუღწევია და არც მე მაქვს პატივი, ეს თქვენი აღმატებულების წინაშე დადასტურებულად განვაცხადო უკლებლივ ყველა იმ პირის სახელით, ვინც 1846 და 1847 წლებში ბორჯომის წყლებზე იმყოფებოდა.

სხენებული სახლის პატრონებისთვის ისიც ხომ მომგებიანი იქნება, რომ დღე-ღამის საფასურად ოთახზე 50 კაპიკზე მეტის აღების უფლება არ მიეცეთ, და ისიც თავდაპირველად, ხოლო ამის შემდეგ შეძლებისდაგვარად ეს ფასიც გაუნახევრდეთ? ზემოაღნიშნული გამოანგარიშების მიხედვით, ეს მათ მაინც მოუტანს 40%-იან მოგებას.

მოვახსენებ რა ყოველივე ამას თქვენს აღმატებულებას, იმასაც დავსძენ, რომ 1843, 1844, 1845 და 1847 წლებში ბორჯომის წყლებზე იმყოფებოდა სამხედრო შტაბეჭიმი<sup>1</sup> ამიროვი. იგი სწავლობდა ბორჯომის წყლებს, მის თვისებებს და, ვფიქრობ, თუკი თქვენი აღმატებულება ინებებს, უბრძანეთ, დაეკითხონ მას. ამიროვს ჩემზე უფრო შეუძლია, საფუძვლიანი ცნობები მოგანოდოთ თვითონ წყლებზე, იქ ჩასულთა საჭიროებებზე, რადგან გასულ წელს მე ვიმყოფებოდი ბორჯომის წყლებთან ახლოს და არა – უშუალოდ წყლებზე.

დასასრულ, მაქვს პატივი, თქვენო აღმატებულებავ, უმორჩილესად გთხოვოთ, ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს ღრმა პატივისცემასა და სრულ ერთგულებას.

8 თებერვალი, 1848.

## 19. სტეფანე საფონოვისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
სტეფანე ვასილის ძე

ბერლინელი მეცნიერი, ბარონი ჰაქსტჰაუზენი ითხოვს ასლებს იმ პატაკებისას, რომლებსაც ამიერკავკასიის ადგილობრივი ხელმძღვანელები თავ-თავიანთი მაზრების შესახებ ბარონ განს უგზავნიდნენ. ბარონი ითხოვს აგრეთვე ცნობებს მინდვრების მორწყვასთან დაკავშირებული განკარგულებების შესახებ.

მეფისნაცვლის კანცელარიის საქმეებიდან შეიძლება ამოღება იმ ძირითადი ცნობებისა, რომლებსაც ბარონი განი რომ ეყრდნობოდა, როცა ამიერკავკასიის მმართველობის გარდაქმნა ჰქონდა განზრახული.<sup>1</sup> ამონაწერების გაკეთება შეიძლება ბარონ განის იმ მოხსენებებიდანაც, რომლებსაც იგი განსახილველად გენერალ გოლოვინს უგზავნიდა. თვითონ პატაკები ადგილობრივი ხელმძღვანელებისა, ისევე, როგორც ბარონ განის თავმჯდომარეობით არსებული კომისიის დანარჩენი საქმისნარმოება, უნდა ვიფიქროთ, ყოფილ ამიერკავკასიის მხარის საქმეთა კომიტეტში შედიოდა.

თუმცა, ვიდრე საჭიროდ ჩაითვლება ბარონ ჰაქსტჰაუზენთან რაიმე სახის კავშირ-ურთიერთობა, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, თანახმად თქვენი აღმატებულების მოთხოვნისა, ხსენებულ მასალაზე ჩემი შემდეგი შეხედულება მოგახსენოთ:

ბარონ ჰაქსტჰაუზენის წერილის მიხედვით, იგი ზემოხსენებული პატაკების ასლებს იმისთვის ითხოვს, რომ იქიდან ამოიღოს ცნობები აქაური მხარის მცხოვრებთა კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ.

სავსებით სწორია ბარონის სიტყვები, რომ არც ერთ მეცნიერს ეს საკითხი დღემდე სისტემატურად არ შეუსწავლია. მართალია, შარდენი, გიულდენშტედტი, კოხი, დიუბუა-მონპერე, აგრეთვე, სხვა მწერლები რუსეთის მფლობელობაში მყოფი



ამიერკავკასიის აღწერისას წარმოაჩინენ მხარის მოსახლეობის ზნე-ჩვეულებათა მეტად თუ ნაკლებად განვრცობილ სურათს, მაგრამ მათი აღწერილობები კვლევაზე კი არა, მოგზაურობისას სახელდახელოდ შეკრებილ ცნობებზეა დაფუძნებული. ასე რომ, ამათგან რომელიმე, როცა ადგილობრივთა კერძო ცხოვრების თაობაზე მთარგმნელისგან რაიმე ზეპირგადმოცემას ან რაიმე ანკედოტს<sup>2</sup> გაიგონებდა, შემთხვევათა უცნაურობითა თუ ამბის სიმძაფრით გამონვეული შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი, აყალიბებდა და ავითარებდა იდეებს ხალხის ხასიათისა და ბუნების შესახებ.

ჩვენს დროში ადგილებიდან მიღებულ ცნობებს მეტისმეტ მნიშვნელობას ანიჭებენ და მათ ოფიციალური გზით მოპოვებულ ფაქტებს უწოდებენ. საზოგადოდ ასეთ ფაქტებად მიიჩნევენ ადგილობრივი ხელმძღვანელობისგან მიწოდებულ ცნობებს: უშუალოდ, ანუ ზეპირი გზით იქნება ეს, თუ – წერილობით. თუმცა ყოფილა არა ერთი და ორი უცნაური შემთხვევა, რომლებითაც ამ გზით მოპოვებული ცნობების არასანდოობა დასტურდება.

მახსენდება მოხსენება ერთი ადგილობრივი უფროსისა, რომლისგანაც ზოგიერთი სტატისტიკური ცნობის მიწოდებას მოითხოვდნენ. მან კი ოფიციალური წერილით მოახსენა, რომ მოთხოვნილი ცნობები მისდამი რწმუნებულ მმართველობაში არ მოიპოვებოდა. კიდევ მახსენდება მოხსენება სხვა ადგილობრივი უფროსისა – იგი იუწყებოდა, რომ ძეზნილი პირი მის სამმართველო ტერიტორიაზე არ აღმოჩნდა, არადა მოხსენებას ხელს სწორედ ის ძეზნილი პირი აწერდა.

უდავოა, რომ ასეთი ჩინოვნიკები ერთობ ცოტაა. რასაკვირველია, ვერც იმის მოლოდინი უნდა გვექონდეს, რომ პოლიციური სასჯელაღსრულებით ისედაც გადატვირთული ადგილობრივი ხელმძღვანელობა სათანადო მომზადების გარეშე შეძლებს ისეთი საკითხების გამოკვლევას ან აღწერას, რომლებშიც ის მეტად თუ ნაკლებად ჩახედული არ არის. საქმე კი განსაკუთრებულ დაკვირვებულობასა და საფუძვლიან ცოდ-

ნას მოითხოვს. – ამიტომაც, თქვენო აღმატებულებავ, ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და საერთო-საზოგადოებრივი თუ სათემო ურთიერთობათა წესის შესახებ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ მონოდეტულ ცნობებს, ვფიქრობ, ვერ მივანიჭებთ იმაზე მეტ მნიშვნელობას, ვიდრე ეს მოგზაურთა ნაწერებში გვხვდება; იმ მოგზაურებისა, რომლებიც ერთი და იმავე წყაროებით, ზეპირგადმოცემებითა თუ ანეკდოტებით სარგებლობენ. და ეს იმიტომ, რომ, რაც სარწმუნო მონაცემებსა თუ პირადად ნანახს არ ეყრდნობა, სპეციალურ შესწავლასა და ადგილზე ხანგრძლივ დაკვირვებას მოითხოვს.

ვინ იტყვის დარწმუნებით, რომ ბარონ განისთვის გადაცემული ან მის მიერვე პირადად შეკრებილი ცნობები უფრო სანდო იყოს, ვიდრე – ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ მიწოდებული? ან კიდევ: ვინ იტყვის, რომ სანდო იყოს ის ცნობები, რომლებიც რუსეთის მფლობელობაში მყოფი ამიერკავკასიის შესახებ შარდენტან, დიუბუასა და სხვებთან გვხვდება? ამიტომაც მათი უეჭველ ფაქტებად მიღება და სამეცნიერო ნაშრომებში გამოყენება არ შეიძლება. მით უმეტეს, მიწოდებულ ცნობებზე დაყრდნობით არაერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე ბარონ განის მიერ შემუშავებული დასკვნები, როგორც აღმოჩნდა, დაუდასტურებელ მონაცემებს ეყრდნობოდა.

შესაბამისად, ხომ არ შეიყვანს შეცდომაში ბარონ ჰაქსტჰაუზენს მის მიერვე მოთხოვნილი ქალაქდები, ან კიდევ, ხომ არ დააზარალებს ისინი მისი ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას, ეს ქალაქდები ტფილისში რომც აღმოჩნდეს?

ყოველ შემთხვევაში, თუ მას მივანოდებთ ამონაწერებს ბარონ განის მასალებიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ სამეცნიერო მიმოქცევაში – შესაძლოა, კლასიკურ ნაშრომშიც კი – არარსებული ფაქტები შევიტანოთ, ან კიდევ, შეიძლება ასეც ითქვას, სამეცნიერო ნაშრომში დავის საგნად ქცეული ან სულაც ყალბი მონაცემები მოხვდეს. და თუკი მას ვაცნობებთ, რატომ გვიჭირს მისთვის საინტერესო ცნობების მიწოდება, ამით საბაბს

მივცემთ, რომ ჩვენს მთავრობაზე იფიქროს ან სულაც გამოაქვეყნოს – არც საჭირო ცნობები აქვთ და არც ის იციან, საჭირო ცნობები როგორ მოიპოვონო.

ვფიქრობთ, საუკეთესო გამოსავალი მაინც ის იქნება, ბარონ ჰაქსტჰაუზენს სიმართლე ვუთხრათ, კერძოდ – მისთვის საინტერესო ქაღალდები ტფილისში არ არის და აქაურმა მმართველობამ სარწმუნოდ არც ის იცის, ეს ქაღალდები სად შეიძლება იყოს.

ბარონ ჰაქსტჰაუზენს, რასაკვირველია, ხელთა აქვს ვახუშტი ბატონიშვილის აღწერა – ქართული ტექსტიურთ გამოცემული აკადემიკოს ბროსეს მიერ (*Description géographique de la Géorgie*, S. Petersburg, 1842). ამ წიგნში შესულია აღწერა ქართველთა ზნე-ჩვეულებებისა და ადათ-წესებისა. უფრო დანვრილებითი და უფრო საყურადღებო აღწერა ჩვენ დღემდე არ მოგვეპოვება. მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ზნე-ჩვეულებებისა თუ ადათ-წესებისა უკვე შეცვლილია. ამას გარდა, ეს აღწერა, რომელიც ას წელზე მეტი ხნის წინაა შედგენილი, ამიერკავკასიის მხოლოდ ერთ ნაწილს ეხება – ქართველ მოსახლეობას.

რაც შეეხება მინდვრების მორწყვის საკითხს, ცნობილია, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობა, ისევე, როგორც აღმოსავლელი ხელმწიფეები, საირიგაციო საქმეებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და ამ მიმართულებით შრომატევად სამუშაოებსაც ასრულებდნენ, თუმცა ამის შესახებ არავითარი წერილობითი განკარგულებები მათ არ დაუტოვებიათ. გამონაკლისია ვახტანგ მეფის კანონებსა და შარიათის წესებში დაცული ზოგიერთი მოწმობა, რომლებიც სარწყავი არხების გაყვანისა და ფლობის უფლებას ეხება.

რაც შეეხება აღწერას იმ წესებისას, რომლებიც ამჟამად პრაქტიკაში არსებობს და მფლობელთა შორის მინდვრებისა და ბაღების მოსარწყავად არხებიდან წყლის გაყოფა-განაწილებას ეხება, ეს საქმე ადგილობრივი ხელმძღვანელობის, ზოგჯერ კი საამისო უფლებამოსილების მქონე ჩინოვნიკის,

მეშვეობით ხორციელდება. მასალა ამ საკითხის შესახებ შეიძლება მეფისნაცვლის კანცელარიის მე-5 განყოფილების საქმეებში, აგრეთვე, შემახის სახელმწიფო ქონების პალატის წლიურ ანგარიშებში ინახოს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, ვფიქრობ, იქ იმაზე მეტს ვერაფერს იპოვიან, ვიდრე ეს ერევნის მაზრის უფროსის 1840 წლის 5 ოქტომბრის №295 პატაკშია მოცემული.

ვასრულებ რა შეძლებისდაგვარად თქვენი აღმატებულების დავალებას, მაქვს პატივი აქვე გაახლოთ ჩემს სახელზე ა. თ. 17 რიცხვით გამოგზავნილი წერილი და ამონაწერი №298 ბარონ ჰაქსტჰაუზენის წერილიდან.<sup>3</sup>

ულრმესი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,  
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი აღმატებულების...

21 თებერვალი 1848.

## 20. ანტონოვისადმი

არსებული სამაზრო სასამართლოებიდან შტატები მხოლოდ ტფილისის, გორისა და თელავ-სიღნაღის სასამართლოებისთვისაა შემოღებული, ხოლო შტატები იმ სამაზრო სასამართლოებისა, რომელთა გაუქმებაც იგეგმება, უნდა გადაეცეს თითოეული საგუბერნიო ქალაქის საგუბერნიო სასამართლოებს, როგორც ეს, მაგალითად, ქუთაისსა და დერბენტშია.

ასეთ დასკვნამდე შემდეგ მოსაზრებებს მივყავართ:

1. ამიერკავკასიის მხარის მკვიდრთა ცხოვრების წესისა და განწყობების გათვალისწინებით, სამაზრო მმართველობებს, როგორც ეს დერბენტის გუბერნიაშია, უფლება ეძლევათ, თვითონვე გადაწყვიტონ ისეთი სამოქალაქო საქმეები, რომლებიც 300 მანეთის ფარგლებში ექცევა. შესაბამისად, კონკრეტულად ამ ფულადი ოდენობის სამოქალაქო საქმეებისთვის პირ-

ველი სასამართლო ინსტანცია იქნება სამაზრო მმართველობა. რაც შეეხება სამაზრო სასამართლოებს, ისინი რომც დაეტოვებინათ, იქ ბევრი საქმე მაინც ვერ შევიდოდა, რადგანაც იქაური სამოქალაქო დავების უმეტესობა ისედაც არ აღემატება ხოლმე 300 მანეთს ვერცხლით. ამას გარდა, მუსლიმურ ნაწილებში, რომლებშიც მხარის მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს, დავები უმეტესწილად განიხილება და წყდება შარიათის მიხედვით და მხოლოდ მცირე რაოდენობა საქმეებისა – ჩვენი დანესებულებების მიერ.

2. შემოთავაზებული გეგმის შემთხვევაში, მხარის თავისებური ტერიტორიული განფენილობიდან გამომდინარე, თითოეული საგუბერნიო სასამართლოსთვის ყველაზე უფრო შესაფერისი იქნება, როგორც ამას ქუთაისის გუბერნიის გამოცდილება გვიჩვენებს, სამოქალაქო საქმეების წარმოება 301-დან 2000 მანეთამდე და, აგრეთვე, სისხლის სამართლის საქმეები.

და 3. ხელისუფლების ღირსება ყოველთვის მართლმსაჯულებით განისაზღვრება, ხოლო იმისათვის, რომ მართლმსაჯულება შემთხვევითობებზე არ იყოს დამოკიდებული, სასამართლოს ადგილობრივი მოხელეები უნდა იყვნენ არა მარტო კეთილგანმზრახველნი და პატიოსანნი, არამედ – კვალიფიკაციის მხრივ ამ საქმისთვის მეტად თუ ნაკლებად მომზადებულნი. ასეთი მოხელეები კი, ყოველ შემთხვევაში, სანამ ხელისუფლება არ აღმოაჩენს ნაკლოვანებებს მათს მუშაობაში, უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ არა მარტო უფლებებით, არამედ – მატერიალურადაც, რითაც მოხელეების მორალურ ღირსებათა სრულყოფას შეეწყობა ხელი.

მაგრამ თითოეული სამაზრო სასამართლოსთვის ამგვარი მოხელეების მოძებნა, ორივე ტიპის სასამართლოში სარგოსა და სამსახურებრივი ხარისხის მხრივ აუცილებელი გრადაციის დაცვა ჩვენში ამ მიმართულებით გამოცდილ პირთა ნაკლებობის გამო შეუძლებელი ხდება. ამიტომაც ამიერკავკასიის მხარეში, ყველა სხვა სამაზრო სასამართლოს გაუქმება, გარდა სამი ზემოთ დასახელებულისა, რაოდენ უხერხულობასაც არ

უნდა ქმნიდეს, საბოლოო ჯამში, საგუბერნიო სასამართლოების ფორმირება თავ-თავიანთი უმაღლესი სარგოებითა და სათანადო იერარქიულ-თანრიგობრივი შემადგენლობით მაინც უფრო სასარგებლოდ უნდა მივიჩნიოთ.

რაც შეეხება სამ ზემოთ დასახელებულ – ტფილისის, გორისა და თელავ-სიღნაღის – სამაზრო სასამართლოებს, ისინი უნდა დარჩეს თუნდაც იმიტომ, რომ არსებობენ 1803 წლიდან და ხსენებული მაზრების მოსახლეობას გათავისებული აქვს ის სამართლებრივი წესრიგი, რომელიც ამ სასამართლოებმა განვლილი 45 წლის განმავლობაში დაამკვიდრეს.

[1848 წ.]

1849

## 21. გორის მაზრის სასამართლოსადმი

კოლეგიის მრჩეველ დიმიტრი  
და პრაპორშჩიკ ქაიხოსრო ყიფიანების

[თ ხ ო ვ ნ ა]

გორის მაზრის თავადებმა, ავალოვებმა, გასული წლის 19 აგვისტოს შეკრეს პირობა, რომლითაც ისინი თავიანთ ბორჯომის მამულს მთლიანად და სრული სარგებლობის უფლებით ხუთი წლის ვადით თავად მაკარ ჯამბაკურიან-ორბელიანოვს გადასცემენ.<sup>1</sup> – გარიგება დასამტკიცებლად გორის მაზრის სასამართლოშია წარდგენილი.

თავად ორბელიანოვთან იჯარა-შესყიდვის გარიგებაში თანამონაწილეობის სურვილი აქვთ ხელისმომწერი თავადების: ზაზა, სიმონ, დიმიტრი, ქაიხოსრო, ივანე და ალექსანდრე ავალოვების სხვა ნათესავებსაც. – რამდენადაც მეათედი ნაწილი

ამ მამულისა ნაყიდი მაქვს და მე მეკუთვნის, მსგავს გარიგებას, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ მამული თანამფლობელთა შორის არ გაიყოფა, ჩვენი მხრიდან ვერაფრით ვერ დავთანხმდებით. ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ:

მიიღოთ ჩვენი ეს თხოვნა, გაატაროთ იგი წიგნში და ამის საფუძველზე გასცეთ განკარგულება, რათა აღნიშნული გარიგება, როგორც არასწორად შედგენილი, გააუქმოთ.<sup>2</sup>

3 სექტემბერი 1849.

## 22. მიხეილ კოლიუბაკინისადმი

მის მაღალშობილებას, ტფილისის საგუბერნიო მმართველობის ქ. ტფილისის ვიცე-გუბერნატორსა და კავალერს  
**მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინს**

კოლეგიის მრჩევლისა და კავალრის  
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის**

თ ხ ო ვ ნ ა

თავად ავალოვებიდან რამდენიმე პირმა, ბორჯომის გაუყოფელი ადგილ-მამულის თანამფლობელებმა, მიმდინარე წლის აგვისტოში გორის მაზრის სასამართლოში წარადგინეს სპეციალური კერძო გარიგება, რომლითაც ისინი ხსენებული ადგილ-მამულის შემოსავლების აღების უფლებას ხუთი წლის ვადით მთლიანად პოდპოლკოვნიკს, თავად მაკარ ჯამბაკურიან-ორბელიანოვს, გადასცემენ. მეათედი ნაწილი ამ ადგილ-მამულისა მეკუთვნის მე – ნაყიდი მაქვს თავად ზურაბ ავალოვისგან. ნასყიდობის დამადასტურებელი აქტი ხელთა მაქვს. ვინაიდან აღნიშნული გარიგება მოხდა ჩემს ზურგს უკან და ჩემთან შეუთანხმებლად, მიმდინარე თვის დამდეგს გორის

მაზრის სასამართლოს მივმართე თხოვნით, შესაბამისი განკარგულებით გაეუქმებინა ავალოვებისა და ორბელიანოვის გარიგება,<sup>1</sup> რადგანაც: *პირველი* – მთელს ამ ადგილ-მამულზე მიმდინარეობს დავა ხაზინასთან; *მეორე* – თვითონ გორის მაზრის მეურვეობამ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მაისში ადგილ-მამულზე დაანესა სამეურვეო მმართველობა ავალოვებს შორის მისი გაუყოფლობის გამო; და *მესამე* – აღნიშნული გაუყოფელი ადგილ-მამულის მეათედის მფლობელი ვარ მე და ამ სახის გარიგებას არ დავთანხმდები არავითარ შემთხვევაში. – მიუხედავად ამისა, როგორც ჩემთვის ცნობილია, გორის მაზრის სასამართლოს ჩემი თხოვნის საპასუხოდ არავითარი განკარგულება არ გაუცია. ამასობაში ჩემამდე აღწევს ხმები, რომ პოლკოვნიკ მაკარ ორბელიანოვის მოწილადე თუ რწმუნებული, გადამდგარი კაპიტანი შიოევი შეუზღუდავი საგარიგებო უფლებით ადამიანებს, რომლებიც ლუკმას ბორჯომის ტყეებიდან საშენი მასალის გამოტანითა და მდინარეზე დაცურებით შოულობენ, თავს ახვევს ისეთ პირობებს ან, ნაცვლად ჩვეულებრივი სალბაშისა,<sup>2</sup> ისეთ ბაჟს აკისრებს, რომელიც, ერთი მხრივ, უკიდურესად ავიწროებს ხე-ტყის მწარმოებლებს, ხოლო, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აძვირებს ხე-ტყის საშენ მასალას ტფილისში.

ყოველივე ამის გამო, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, თქვენო მაღალშობილებავ, დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონ ჩემი თხოვნა<sup>3</sup> როგორც გორის სასამართლომ, ისე – და, განსაკუთრებით – იქაურმა სამაზრო მმართველობამ, რომლის სახელითაც თვითონ სასამართლო უნდა მოქმედებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზარალდება ჩემი კერძო ინტერესი, ამაზე მეტად ზარალდება ინტერესი თითქმის მთელი ტფილისისა და ოჯახები რამდენიმე ასეული გლეხისა, რომელთა საარსებო წყარო ბორჯომის მთებიდან ხე-ტყის გამოტანა და მტკვარზე დაცურებაა.

21 სექტემბერი 1849 წ.



## 23. სერგეი [ჭილაშვილისადმი]

მონყალეო ხელმწიფეო,  
სერგეი გაბრიელის ძეგ,

გასული სექტემბრის 23-ის თქვენი ღრმად პატივსაცემი წერილით მეკითხებით ჩემს კერძო შეხედულებას საგუბერნიო მმართველობაში წამოჭრილი ორი საკითხის შესახებ. –

ჩემთვის დიდად სასიამოვნო მოთხოვნის შესასრულებლად ყურადღებით წავიკითხე თანდართული მოხსენება და ვჩქარობ, თქვენს აღმატებულებას მოვახსენო:

1. დავების საპოლიციო განხილვა, რომელიც მოხსენებაშია შემოთავაზებული, ჩემი აზრით, სავსებით შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

2. საგუბერნიო მმართველობამ არ უნდა შეცვალოს პოლიციის გადანყვეტილებები, რადგანაც ერთი ნაწილი ასეთი გადანყვეტილებებისა, კანონის მიხედვით, საბოლოოა და არ ექვემდებარება კასაციას, ხოლო მეორე ნაწილი დამოკიდებულია თვითონ სადავო საქმის გარკვეულ ღირებულებაზე; ან სამაზრო მმართველობაზე, როცა მოდავე მხარე *სამი* კვირის ვადაში ასაჩივრებს საუბნო მმართველობის გადანყვეტილებას და საჩივრის ფულადი გამოხატულება აღემატება 30 მანეთს; ან კიდევ სასამართლო დაწესებულებაზე, როცა მოდავე მხარე *ოთხი* კვირის ვადაში ასაჩივრებს სამაზრო მმართველობის გადანყვეტილებას და საჩივრის ფულადი გამოხატულება აღემატება 100 მანეთს.

საგუბერნიო მმართველობის ძალაუფლება ასეთ შემთხვევებში შემოისაზღვრება შემდეგი პირობებით: ის უფლებამოსილია აღკვეთოს საქმის გაჭიანურება და უწესრიგობანი მისი განხილვის დროს. უწესრიგობათა აღკვეთის მიზნით საგუბერნიო მმართველობას შეუძლია პოლიციის გადანყვეტილება ჩათვალოს ხარვეზიანად ისეთ შემთხვევებში, როცა: პოლიციის მიერ განხილულია საქმე, რომელიც არ შედის მის დაქვემ-

დებარებაში ან როცა შედეგი არ არის შეტანილი გადაწყვეტილებების ნიგნში, არ გამოეცხადა მოდავე მხარეებსა და აღსრულებულია განსაზღვრულ ვადაზე ადრე. –

აი, თქვენო აღმატებულებაჲ, ჩემი წარმოდგენა თქვენ მიერ გამოგზავნილ ორ საკითხზე. – ხსენებული წარმოდგენის დასაბუთების მიზნით ზედმეტი არ უნდა იყოს, გაახლოთ ასლი ჩემ მიერ საბჭოსთვის წარდგენილი მოხსენებისა, რომელიც საბჭოს მიერ ჯერ არ არის განხილული. ამასთანავე, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებაჲ, ხსენებული ასლი უკან დამიბრუნოთ, რადგან მე ის აუცილებლად დამჭირდება.

ულრმესი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,  
მაქვს პატივი, თქვენო აღმატებულებაჲ...

10 ოქტომბერი [1849 წ.]

## 24. გორის მაზრის სასამართლოსადმი

პრაპორშჩიკი ქაიხოსრო და  
კოლეგიის მრჩეველი დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანები

ი თ ხ ო ვ ე ნ შ ე მ დ ე გ ს :

მიმდინარე სექტემბრის დამდეგს გორის მაზრის სასამართლოში შევიტანეთ თხოვნა თავად ორბელიანსა<sup>1</sup> და თავად ავალიშვილებს შორის 19 აგვისტოს დადებული იმ გარიგების შეჩერების შესახებ, რომლითაც ავალიშვილთა ბორჯომის ადგილ-მამულის მთელი შემოსავალი უნდა გადაეცეს ორბელიანს. ვინაიდან ჩვენ საბატონო უფლებით ვფლობთ ამ ადგილ-მამულის მეათედ ნაწილს, წინააღმდეგნი ვიყავით აღნიშნული გარიგებისა. ამჟამად წინააღმდეგობის გამომწვევი მიზეზები აღმოფხვრილია<sup>2</sup> და ამიტომ *ამ არზაზედ*<sup>3</sup> უმორჩილესად

ვითხოვთ: გააუქმოთ ჩვენ მიერ წარდგენილი ზემოაღნიშნული თხოვნა, რათა მან არ შეაფერხოს ავალოვებსა და ორბელიანო-ვებს შორის დადებული გარიგება.

ტფილისი, ოქტომბრის 11, 1849 წელი.

უნდა წარედგინოს გორის მაზრის სასამართლოს.

ხელს ვანერ პრაპორშჩიკი **ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანი**

კოლეგიის მრჩეველი **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი** ხელს ვანერ ჩემ მიერვე შედგენილ თხოვნას, თუმცა ამჟამად მოკლებული ვარ ქ. გორში ჩასვლის საშუალებას და ამიტომ თხოვნის წარდგენას ვანდობ ჩემს უფროს ძმას, ზემოთ ნახსენებ **ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანს**.

1850

## 25. მიხეილ ვორონცოვისადმი

თქვენო ბრწყინვალეობა,  
თავადო მიხეილ სიმონის ძე

თქვენს ბრწყინვალეობას უნებებია, ჩემთვის გამოეგზავნა ბატონი გაგემეისტერის პატაკი და მის მიერვე შედგენილი ანგარიშგება შემახის გუბერნიასა და ყუბის მაზრაში ახალ გამოსაღებთა დანესების შესახებ.<sup>1</sup> ამ საკითხზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი ვიტყვი, რომ ანგარიშგებაში ნაჩვენებია ამჟამად არსებულ გამოსაღებთა დაბეგვრისგან მიღებული თანხა ნ მაზრის მიხედვით, თუმცა რამდენი იქნება ეს თანხა ახალ გამოსაღებთა დაბეგვრის შემდეგ, ანგარიშგებაში ნაჩვენები არ არის.

საბჭომ ბოლოსწინა სხდომაზე განიხილა ახალჩამოტანილი ოქმები: ბაქოსი, ნუხისა და შემახისა. თუ გავითვალისწინ-

ნებთ კოცებუს აზრსა და მის მსჯელობას საბჭოს სხდომაზე, იგი მართლაც არ არის ბ. გაგემეისტერისადმი კეთილად განწყობილი, მიუხედავად ამ უკანასკნელის – სამართლიანობა მოითხოვს, ეს ითქვას – კეთილი განზრახვებისა და შრომისმოყვარეობისა. თუმცა, სამწუხაროდ, ისიც ირკვევა, რომ კოცებუს ეს არაკეთილგანწყობა ბ. გაგემეისტერის მიმართ სამართლიან დასკვნებს ეყრდნობა.

მიუხედავად იმისა, რომ კოცებუ ამჟამად აქ არ იმყოფება, თქვენი ბრწყინვალეების მიერ საბჭოზე საკითხის განხილვისას ნათქვამი უხერხულობების თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნება, შეიქმნას სპეციალური კომისია ჩემი თავმჯდომარეობითა და ბატონების, შჩერბინინის, დესიმონისა და კრუზენშტერნის, შემადგენლობით. ისლა დამრჩენია, თქვენს ბრწყინვალეებას ვთხოვო სათანადო მონერილობა ამგვარი კომისიის შექმნის შესახებ. – მაგრამ არის ასეთი გარემოებაც: საბჭომ უკვე იმსჯელა ნუხის, შემახისა და ბაქოს ოქმებზე, შეიმუშავა დასკვნა და შეიტანა კიდევაც სხდომის ყურნალში. აქვე ვურთავ ხსენებულ დასკვნას<sup>2</sup> და, ვფიქრობ, თქვენო ბრწყინვალეებავ, საჭიროა, იგი გადაეცეს ხსენებულ კომისიას – კომისიამ ზუსტად უნდა იცოდეს იმ საფუძვლების შესახებ, რომლებსაც ახალ გამოსაღებთა დაბეგვრის სისტემა დაეყრდნობა.

საქმე ისაა, თქვენო ბრწყინვალეებავ, რომ, როცა კავკასიის კომიტეტი<sup>3</sup> ახალი საფინანსო სისტემის შესახებ ბარონ განის უზარმაზარ ნაშრომს განიხილავდა,<sup>4</sup> ერთ-ერთი განხილვისას კომიტეტმა, მოიწონა რა ბეზაკის მარტივი ვარაუდი, შექმნა ასეთი საფუძველი: მოსახლეობისგან აღებული სხვადასხვა სახის გამოსაღები თუ ბეგარა მიმართოს ხაზინის სასარგებლოდ, გადაიყვანოს იგი ფულად გამოხატულებაში, შემდეგ კი – აქედან განსაზღვროს კომლობრივი გამოსაღების სარგო მინის შემოსავლისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხის გათვალისწინებით.

ბეზაკმა, რომელსაც ამ გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელება ჰქონდა დაკისრებული, შემოიღო ახალი სა-

გადასახადო სარგო მხარის იმ ნაწილებში, რომლებიც ამჟამად ტფილისის, ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებსა და ჭარ-ბელაქნის ოლქს ქმნიან. ასეთი მიდგომა და მიღებული შედეგები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა.

საჭირო იყო იმავე საფუძველზე და იმავე მაგალითების გათვალისწინებით ახალ გამოსაღებთა დანერგვა შემახისა და დერბენტის გუბერნიებში. რაიმე სხვა სისტემის შესახებ არც საბჭოზე და არც თქვენს ბრწყინვალეებასთან საუბარი არ ყოფილა. ამავე დროს, დაბეგვრის წესს ნუხის მაზრაში არც კავკასიის კომიტეტის მიერ დადგენილ და არც ბ. გაგემეისტერის მიერ შემოთავაზებულ სისტემასთან არაფერი აქვს საერთო და მხოლოდ სულადობრივ რაოდენობას ეყრდნობა, ხოლო ამ საქმეში საფუძვლად სულადობრივ მონაცემთა აღება ამიერკავკასიის მხარეში, მნიშვნელოვან მიზეზთა გამო, დაუშვებელია. საკითხი პეტერბურგშიც დიდი ხნის გადაწყვეტილია. შემახისა და ბაქოს მაზრებში დაბეგვრის სისტემა, რომელიც არ იძლევა მონაცემებს თვითონ ამ სისტემის სამართლიანობის გამოსარკვევად, სრულიად განსხვავდება ნუხის მაზრაში არსებული დაბეგვრისგან. ასე და ამგვარად, ბ. გაგემეისტერი არა მარტო არ ხელმძღვანელობდა მისთვის მითითებული და მხარის უმეტეს ნაწილში წარმატებით დანერგილი სისტემით, არამედ ხსენებულ სამ მაზრაში სამი ერთმანეთისგან განსხვავებული სისტემის შემოღებას ცდილობდა.

გამოსაღები სამართლიან და მკაფიო საფუძვლებს უნდა ეყრდნობოდეს. მაგრამ: თუ ერთი და იგივე საფუძვლები ერთ ადგილას ერთ ციფრობრივ მონაცემებს იძლევა, ხოლო სხვა ადგილას – განსხვავებულს; თუ არსად ჩანს, რა განაპირობებს ამგვარ განსხვავებულობას; თუ დაბეგვრასთან დაკავშირებულ ციფრებში გვხვდება მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შეცდომები და, დასასრულ, თუ არ ჩანს არავითარი მონაცემები, რომლებზე დაყრდნობითაც მართებლობა თავის გადანყვეტილებას განახორციელებს, მაშინ როგორ შეიძლება მოწონებულ იქნეს ბ. გაგემეისტერის მიერ უკვე დასრულებული საქმე და,

ასეთ შემთხვევაში, ხომ არ წარმოიშობა სამუშაოს თავიდან ჩატარების საჭიროება? – აი, ჩემი აზრით, ის ძირითადი საკითხი, რომელიც კომისიამ პირველ რიგში უნდა გადანწყვიტოს.

ამ კომისიაზე მომხსენებლად ზნაჩკო-იავორსკის დანიშვნა მართლაც არ შეიძლება. ის საჭიროა ერევანში. აქამდე მის თანამდებობას ერთ-ერთი ჩინოვნიკი ასრულებს – გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელე მულიკოვსკი, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჯერჯერობით არა აქვს საკმარისი გამოცდილება. განზრახული მაქვს, კომისიის საქმისმწარმოებლად დავნიშნო ჩემთან მოვლინებული პირი – თქვენი ბრწყინვალეების კანცელარიის მაგიდის უფროსი, ტიტულარული მრჩეველი გაბაევი, რომელსაც სპეციალური გამოცდილება აქვს გამოსაღებთან დაკავშირებულ საქმეებში: ყოფილ საქართველო-იმერეთის გუბერნიასა და ბელაქნის ოლქში დაბეგვრასთან დაკავშირებულ საქმეებზე იგი თითქმის ყველგან თან ახლდა ბეზაკს და მონაწილეობდა კიდევაც დაბეგვრის სამაზრო კომისიების მუშაობაში.

30 მაისი 1850.

1851

## 26. მიხეილ ვორონცოვისადმი

თქვენი ბრწყინვალეებისგან ნაბრძანები მაქვს, წარმოგიდგინოთ ჩემი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა გზა უნდა მოიძებნოს, რომ ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველის, როზოვის, მონაწილეობა მთავარსამმართველოს საბჭოს მუშაობაში ოფიციალურად დადასტურდეს.

უმაღლეს ბრძანებაში, რომლითაც ხსენებული ჩინოვნიკი თქვენი ბრწყინვალეების განკარგულებაში გადმოვიდა,<sup>1</sup> კერძოდ, ბრძანების მე-3 პუნქტში ნათქვამია: „მონაწილეობა მიიღოს ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოს

მუშაობაში ყველა იმ საკითხის განხილვისას, რომლებიც სასამართლოს ნაწილს ეხება და საქმეების შესახებ საბჭოს **წარუდგინოს** თავისი შენიშვნები და განმარტებები. საბჭოზე იქნება დამოკიდებული, თუ რა საქმეები გადასცეს ხსენებულ ჩინოვნიკს წინასწარი განხილვისათვის, რათა მისგან საკითხის გადანყვეტისთვის საჭირო დასკვნა მიიღოს“. —

შესაბამისად, პირველ შემთხვევაში ბ-ნი როზოვი მონაწილეობს საბჭოს მიერ სასამართლოს საქმეების გარშემო გამართულ იმ მსჯელობებსა და განხილვებში, რომლებიც წინ უსწრებს დადგენილებებს; უკანასკნელ შემთხვევაში კი მონაწილეობს განხილვებში, რომლებსაც მოსდევს დასკვნის მიღება. ყველა შემთხვევაში საბჭო დადგენილებებს იღებს ან მის მიერ წარმოდგენილი შენიშვნებისა თუ მოსაზრებების, ან კიდევ მისგან მოთხოვნილი დასკვნის გათვალისწინებით, ოღონდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში — მისგან დაუსწრებლად. ზემოთ მითითებული უმაღლესი ბრძანების მიხედვით, ბ-ნი როზოვი, ისევე, როგორც ნებისმიერ პირს, რომელსაც კანონის საფუძველზე საბჭო ინვესტს ხოლმე განსაკუთრებულ შემთხვევებში, არ აქვს მინიჭებული გადანყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება. როგორც ამ, ისე იმ მიზეზითაც, რომ ნებისმიერ საქმეზე საბჭოს მიერ განხილვის საფუძველზე მიღებული გადანყვეტილება იწერება ჟურნალში, განსაკუთრებულ შემთხვევათა გამო მონვეულთაგან ვერავინ ამ გადანყვეტილებას ჟურნალში ხელს ვერ მოაწერს. მათი მონაწილეობის შესახებ აღინიშნება ჟურნალის იმ მუხლში, რომელიც კონკრეტულ საქმეს ეხება და რომლის განხილვაშიც მონვეულმა პირმა მიიღო მონაწილეობა. ხოლო საქმის პირველ გვერდსა და შემორიანზე მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარე და ის წევრები არიან აღნიშნულნი, რომლებსაც ხელი აქვთ ამ საქმეზე მოწერილი.

საკუთრივ ბ-ნი როზოვთან დაკავშირებით საბჭოს საქმისწარმოებაში მე ასეთი წესი შემოვიღე: საქმეთა მწარმოებელი მას ამა თუ იმ საქმესთან დაკავშირებით ატყობინებს მისივე თანდასწრებით განხილული რეზოლუციის პროექტს, ხოლო

მას შემდეგ, რაც ბ-ნი როზოვი თავისი შენიშვნებით ამ პროექტს უკან დააბრუნებს, შეაქვს იგი ჟურნალში. – მაგრამ ეს წესი არ არის სავსებით გამართული, ამიტომაც მე საჭიროდ მიმაჩნია, ნამდვილმა სამოქალაქო მრჩეველმა, ბ-მა როზოვმა, მის მიერ განხილულ თითოეულ პროექტს მიანეროს: „საბჭოზე ამ საქმის განხილვას ვესწრებოდი პირადად“, ხოლო თუ ჩათვლის, რომ მის მიერ საბჭოსთვის წარდგენილი შენიშვნები თუ განმარტებანი პროექტში არასწორადაა ასახული, ეს გარემოება აღნიშნოს თვითონ პროექტშივე და ამის შემდეგ გააკეთოს ხსენებული მინაწერი. ამ ფორმით დაბრუნებული პროექტი საბჭოში საგანგებოდ უნდა იყოს შენახული და ნებისმიერ დროს – ადვილად ხელმისაწვდომი.

მაქვს პატივი, საკითხი განხილვისა და გადაწყვეტილები-სათვის მივანდო თქვენს ბრწყინვალეობას.

14 თებერვალი 1851 წ.

## 27. ვასილ ბებუთოვისადმი

სრული გულწრფელობით მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალეობავ, თუ რაში გამოიხატება ჩემი მონაწილეობა და რატომ ვარ გარეული ავალოვების საქმეში, თუმცა მანამდე აუცილებელია, მოისმინოთ ჩემგან მთელი შინაარსი ამ საქმისა. მე საფუძვლიანად ვიცნობ მის როგორც ოფიციალურ, ისე კერძო მხარეებს და მინდა წინასწარვე დაგარწმუნოთ, რომ არაფერს ვიტყვი ისეთს, რისი გაბათილებაც ადვილად იქნება შესაძლებელი.

სრული და თანამიმდევრული სურათის წარმოსადგენად გავაერთიანებ, დღიდან საქმის დაწყებისა, სხვადასხვა გარემოებას: ოფიციალურ მონაცემებს, კერძო ხასიათის მიზეზებს, ხელმძღვანელობის მოქმედებებსა და წმინდა წყლის იურიდიულ მოსაზრებებს.



ან განსვენებულმა ნამდვილმა სამოქალაქო მრჩეველმა ზავილეისკიმ, საქართველოს ყოფილმა სამოქალაქო გუბერნატორმა, ახალციხის საფაშოს ბრძოლით დაბრუნების შემდეგ ამ მხარეში მამულები იყიდა<sup>1</sup> და თავის ერთ-ერთი სოფელში შუშის ქარხნის მშენებლობა დაიწყო.<sup>2</sup> ამ საქმეში მონაწილეობდა განსვენებული თავადი ლევან აბაშიძე – იმ დროისთვის შეძლებული ადამიანი. შუშის ქარხანას ახლომახლო, რასაკვირველია, აუცილებლად დასჭირდებოდა ტყიანი ფართობები. ზავილეისკიმ ახლო სამეზობლო შეარჩია – **ბორჯომის ხეობა**, მაგრამ თავადმა ავალოვებმა ამ ტყიან ფართობებზე საკუთარი უფლება წარმოადგინეს და განაცხადეს, რომ ხე-ტყის ქრას უსასყიდლოდ არ დაუშვებდნენ. თავადი ლევან აბაშიძე, რომელსაც მამული ავალოვების მეზობლად აქვს, მათთან უშუალო მოლაპარაკებას აწარმოებდა. გაირკვა, რომ ავალოვების მოთხოვნები ქარხნისთვის მომგებიანი არ იყო, თვითონ ქარხანა კი უკვე მუშაობდა. მაშინ აბაშიძემ გუბერნატორს მიანოდა აზრი, რომ ეს ტყეები უკვე ასი წელია, რაც ავალოვებისა აღარ არის და ამიტომ მათ კი არა, არამედ ხაზინას უნდა ეკუთვნოდესო.

იმდროინდელი ვითარებისა და საქმეთა წარმოების მიხედვით, ასეთ ამბებზე მინიშნებაც კი საკმარისი იყო, რომ საქმე აღძრულიყო და ავალოვებისთვის ეკითხათ, თუ რა უფლება ჰქონდათ მათ ბორჯომის ადგილ-მამულზე. ზავილეისკი ასეც მოიქცა. მან გორის ოლქის უფროსისგან გამოითხოვა ცნობა ავალოვების უფლების შესახებ. ოლქის უფროსმა 1819 წელს შედგენილი მოწმობის საფუძველზე ზავილეისკის მოახსენა, რომ ბორჯომის ხეობის გაუკაცრიელებული სოფლები ავალოვებს ეკუთვნით მემკვიდრეობით. ზავილეისკი ამით არ დაკმაყოფილდა, გამოჰკითხა ავალოვები, მოითხოვა მათი ნათქვამის დოკუმენტური დადასტურება და თვითონვე შევიდა საქმის განხილვაში. ზავილეისკის მიერ გუბერნიის პროკურორისთვის წარდგენილ ქალაქში წერია მისივე სიტყვები: როგორც მან გამოარკვია, ასი წლის წინ ავალოვების წინაპ-

რები ბორჯომის ხეობაში მართლაც ფლობდნენ სოფლებს, თუმცა, როგორც ამას 1792 წლის დოკუმენტი უჩვენებს (ამ დოკუმენტს ქვემოთ შევხები), იმ დროისთვის ბორჯომის ხეობა არ შედიოდა ავალოვების სამფლობელოში; ასეთივე ვითარება იყო საქართველოში რუსეთის დამკვიდრებისას, ე. ი. 1801 წლიდან და, საერთოდ, ხეობის უსაფრთხოება რუსული იარაღის მეშვეობით იქნა მიღწეული. ყოველივე ამაზე დაყრდნობით ზავილისკიმ პროკურორს შესთავაზა, სათანადო სარჩელის საფუძველზე საქმის სასამართლოს წესით განხილვა დაწყებულიყო.

ასე დაიწყო ეს საქმე 1832 წელს და საფუძველი საქმის აღძვრისა საგუბერნიო სასამართლოს მოხელის მიერ გორის მაზრის სასამართლოში შეტანილი სარჩელი იყო. ამის შემდეგ უკვე სასამართლომ მოითხოვა ავალოვებისაგან სათანადო დოკუმენტები და მათაც წარადგინეს 1697, 1704, 1708 და 1792 წლების ექვსი აქტი. ამ აქტებიდან ერთ-ერთში დასახელებული იყო ავალოვების კუთვნილი სოფლები: სადგერი, ტაშისკარი, გომარეთი; სხვა აქტებში: კურისი, მიტარბი, ძაგლათხევი, ციხისჯვარი, კორტანეთი, ნეძვი, ყვიბისი, ზვარე, ჭალაუბანი და სხვ.; და, დასასრულ, 1792 წლის დოკუმენტი, რომლისგანაც ზავილისკიმ გამოიყვანა დასკვნა, რომ იმ დროისათვის ავალოვებს უკვე აღარ ეკუთვნოდათ ბორჯომი. ამ დოკუმენტით მეფე ერეკლე, ამტკიცებს რა ავალოვთა გაყრის სიგელს, მათ საგამყრელოდ გადასცემს ხეობის ნაოხარ ადგილ-მამულებს და მათვე ავალებს, დაიწყონ იქ მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარება. შინაარსი ყველა ამ დოკუმენტისა შემონახული იყო გუბერნატორისადმი ზავილისკის მიერ წარდგენილ ქაღალდში, საგუბერნიო სასამართლოს მოხელის სარჩელსა და სასამართლოს ამონაწერებში. ვამბობ, შემონახული იყო-მეთქი, რადგან თვითონ დოკუმენტები აღარ არსებობს – სასამართლომ ვერ შეძლო მათი დაცვა: სამაზრო სასამართლოდან გაიტაცეს ფულის ზანდუკი, რომელშიც, გარდა ფულისა, იმ დროისთვის წარმოებაში არსებულ ყველა საქმესთან დაკავ-

შირეზული დოკუმენტები ინახებოდა. დარწმუნებით არც ვიცი, გაირკვა თუ არა ამ დანაშაულის ჩამდენ პირთა ვინაობა, თუმცა ცნობილია, რომ მათ თითქმის ყველა ეს დოკუმენტი ლიხახვსა თუ მტკვარში გადაყარეს. გადარჩა მხოლოდ ვილაცის ერთი თუ ორი დოკუმენტი, რომელიც წყალმა ნაპირზე გამოიტანა.

დღემდე ვერავინ მისცა თავის თავს უფლება შეენიშნა, რომ გუბერნატორს უფლება არ ჰქონდა, სასამართლო განხილვის დაწყებამდე თვითონ შესულიყო აქტების გარჩევაში, მით უმეტეს, მოეთხოვა ამ აქტების პირადად მისთვის წარდგენა. ზუსტად ასევე, ვერავინ მისცა თავის თავს უფლება განესაჯა, თუ რამდენად **სამართლიანი** და **კანონიერი** იყო თვითონ საფუძველი სარჩელისა; ანუ ის, რომ ასი წლის განმავლობაში ავალოვები არ ფლობდნენ ხეობას და რომ ხეობის უსაფრთხოება რუსული იარაღის მემკვიდრეობით იქნა მიღწეული. ამჟამად, როცა საკითხის გარშემო გაცილებით უფრო სანდო და სწორი წარმოდგენები გვაქვს და იმის გათვალისწინებითაც, რომ, თანახმად თქვენი განკარგულებისა, ამბებს გადმოვცემ სრული გულწრფელობით, შეიძლება ითქვას, რომ საფუძველები სარჩელისა არის **უსამართლო** და **უკანონო**. – მე ჯერ არაფერს ვამბობ ავალოვების რეალური უფლებების შესახებ. სარჩელი კი **უსამართლოა** იმიტომ, რომ გამოთვლა – ასი წელი – არ ეყრდნობა არაფერს. საქმის შემდგომმა წარმოებამ აჩვენა, რომ საკუთრება ავალოვებისა იყო უწყვეტი და ისინი თვით თურქებისგანაც კი იღებდნენ შემოსავალს. თუმცა ის კი სწორია, რომ არც თვითონ ავალოვები, არც მათი გლეხები დიდი ხნის განმავლობაში იქ არ ცხოვრობდნენ; და ეს იმიტომ, რომ ხეობაში დათარეშობდნენ ლეკები და თურქები, რომლებიც ძარცვავდნენ და აოხრებდნენ იქაურობას. იმ დროს იქაურობის პატრონი არც არავინ იყო – თვით ხაზინამაც კი მიაგლო ხეობაში თავისი ადგილ-მამული, რის შესახებაც ქვემოთ კიდევ ვიტყვი. – სარჩელი **უკანონოა** იმიტომ, რომ სასამართლოში საქმის წარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს არა

მხოლოდ უარყოფა მოპასუხის უფლებებისა, არამედ კანონიერი მტკიცებულებები, რომელთა წარდგენის ვალდებულება ეკისრება მოსარჩელეს. ეს წესი ვრცელდება ხაზინაზეც. მისი მხრიდან კი, როგორც ზემოთ ითქვა, მტკიცებულებებად წარმოდგენილია: წყვეტა ავალოვების საკუთრებისა და მტრებისგან ხეობის განმენდა. რუსული იარაღით უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოხდა არა მარტო ამ ხეობაში, არამედ მთელს საქართველოში და ამის გამო ხაზინისთვის სხვისი საკუთრება არსად არ მიუკუთვნებიათ. მთავრობა არასოდეს არ ფიქრობს ამგვარი საშუალებებით ქონების მოპოვებაზე, პირიქით, იგი კერძო საკუთრებას იცავს თვით დაპყრობილ მხარეებშიც კი.

საქმის შემდგომმა წარმოებამ ისიც აჩვენა, რომ 1819 წელს მაშინდელმა აქაურმა მთავარხელმძღვანელობამ გორის ოლქის უფროსს წერილობით უბრძანა, ავალოვებისთვის თავიანთი გლეხების გორის მაზრიდან უკან, ხეობაში, თავიანთ ძველ სოფლებში, გადმოსახლების ნება მიეცა, რასაკვირველია, სათანადო მოწმობების წარდგენის შემდეგ. ამგვარი ნებართვა ავალოვებმა იმავე წელს მიიღეს. ხაზინის სარჩელი კი 1832 წელს, ამ ამბიდან 13 წლის შემდეგ, არის აღძრული.

დავუშვათ, ათწლეულების განმავლობაში საკუთრების უფლებას, სხვა შემთხვევებში დაურღვეველს, აქ შეიძლება ძალა ჰქონდეს დაკარგული; დავუშვათ, ხაზინის მხრიდან წარმოდგენილი გარემოებები სარჩელის აღძვრისათვის საკმარისია და ავალოვებს უკვე აღარ შეუძლიათ თავიანთი უფლებების დაცვა იურიდიულად, ანუ არ შეუძლიათ ხაზინის უფლების გაბათილება. მე შემიძლია დავუშვა საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, მაგრამ რატომ აღიარებს თვითონ ხაზინა იმავე ხეობაში თავადების: აბაშიძეების, თაქთაქოვების, აზნაურ სავანელების, თვითონ ავალოვებისა ტაშისკარში – ზედ ხეობის შესასვლელში, ან კიდევ იქვე ყიფიანების ადგილ-მამულების საკუთრების უფლებას? ყველა ეს ადგილ-მამული ყოველთვის და ყველა დროში იყო იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც – ხაზინის მიერ ამჟამად სადავოდ ქცეული მამული. გან-

სხვაგვება მხოლოდ ისაა, რომ ამ ადგილებში ჯერ ავალოვები დაბრუნდნენ, შემდეგ – აბაშიძეები, ამათ შემდეგ – თაქთაქო-ვეები, ყიფიანები, სავანელები და, დასასრულ – ხაზინა, ანუ სა-ხაზინო გლეხები სოფელ ახალდაბის მამულში, რომელიც ხე-ობაში უდავოდ ხაზინას ეკუთვნის და მანამდე, მსგავსად სხვა მამულებისა, გაუკაცრიელებული იყო. სხვისი არავის არაფე-რი მიუთვისებია, ყველამ პატივი სცა საკუთრების უფლებას; იმ საკუთრებისა, რომელიც ან თვითონ იცოდნენ, ან გადმოცე-მით იყო ცნობილი.

ხაზინამ ხეობის ნაწილზე გამოაცხადა ისეთი უფლება, რომ-ლის მსგავსი მას არასოდეს გამოუცხადებია საქართველოს სხვა გაუკაცრიელებულ ადგილებში და აღძრა სარჩელი, რო-მელიც ეხება არა მთლიანად ბორჯომის ხეობას, უფრო მეტიც, არა ავალოვების მთელ ადგილ-მამულს, არამედ მათს ორად ორ სოფელს: სადგერსა და გოგიას ციხეს. სხვა სოფლებსა თუ იმავე ადგილ-მამულის ცალკეულ ნაწილებზე, როგორებიცაა, მაგალითად: დაბა, კიმოთისმანი, გოგოსუბანი, მიტარბი, ბაკუ-რიანი, თორი, ციხისჯვარი და სხვ., სიტყვაც არ არის ნათქვა-მი. ასეთია სასამართლო საქმის შინაარსი.

სამაზრო სასამართლოში საქმე ავალოვების სასარგებლოდ გადაწყდა. თუ საქმის წარმოება არ გამოავლენს სხვა ფაქ-ტებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უმაღლეს სასამართლო ინსტანციებშიც საქმე სწორედ ასე გადაწყდება. თუმცა ამა-საც ვფიქრობ: მიუხედავად იმისა, რომ ხაზინას არავითარი მტკიცებულება არ წარმოუდგენია, იურიდიული თვალსაზრი-სით დარწმუნებული არა ვარ საქმის ავალოვების სასარგებ-ლოდ გადაწყვეტაში, მით უმეტეს, საქმის მსვლელობისას არც ზნეობითი გარემოებებია გათვალისწინებული.<sup>3</sup>

ავალოვებისა და ხაზინის სადავო ტერიტორია საკმაოდ ვრცელია: იყვნენ კი ავალოვები ოდესმე ისეთი რანგის თავა-დები, რომ ამხელა მამულები სჭეროდათ? ხომ არ იყვნენ ისინი იქ თანამდებობრივი პირები, როგორებიც, მაგალითად, მოუ-რაგები იყვნენ?

ხსენებული საქმის მასალების მიხედვით, შეიძლება მათ საკუთრივ რამდენიმე სოფელი ჰქონოდათ, მაგრამ რამდენად დასაჯერებელია, რომ მთელი ეს ვრცელი ტერიტორია მათი საკუთრება ყოფილიყო?

ხომ არ არის გაყალბებული ჩვენი წარმოდგენა თვითონ ბორჯომის ხეობის ტერიტორიულ განფენილობაზე? ხომ არ მიეწერება მას სხვა ადგილები? ხომ ცნობილია, რომ ბორჯომი ეწოდება ერთ პატარა მდინარეს ახალციხის მაზრაში? ან: ქართველები საკუთრივ ბორჯომს უწოდებენ იმ ადგილს, რომელიც, აღწერილობების მიხედვით, არის ტაშისკარი, ხეობის შესასვლელი მტკვრის ზემო გაყოლებაზე.

აი, კითხვები, რომლებიც აღიძვრება სასამართლო საქმისგან დამოუკიდებლად და ამ კითხვებზე პასუხგაუცემლად ვერ ჩამოყალიბდება საკითხის შესახებ ზნეობითი წარმოდგენები. ამგვარ წარმოდგენებს კი შეუძლია, შეავსოს სასამართლოს მასალებში არსებული ხარვეზები.

ყველა ეს კითხვა ბუნებრივია და, ამდენად, მეტად მნიშვნელოვანიც. ვიცი, რომ დამაჯერებელი პასუხები მათზე აქამდე არავის გაუცია, რადგანაც ამა თუ იმ პასუხის გასამყარებლად ხელთ არაფერი მოეპოვებოდათ.

ნება მიბოძეთ, ეს მე ვცადაო.

ქართულ ენაზე **თავადი** ნიშნავს „**Князь**“-ს, ხოლო **მთავარი** „**Владетельный Князь**“-ს. **მთავარი** არის ოფიციალური ტიტული დადიანისა, გურიელისა, შარვაშიძისა – სამეგრელოში, ყოფილ გურიის სამთავროსა და აფხაზეთში.

ვახუშტი ბატონიშვილი, შვილი ვახტანგ მეფისა, სჯულმდებლისა და ისტორიკოსისა, თვითონაც წერდა ისტორიასა და საქართველოს აღწერას, რომელიც დაახლოებით 1720 წელს დაასრულა მოსკოვში.<sup>4</sup> მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ 1842 წელს აკადემიკოსმა ბროსემ გამოსცა ასეთი სათაურით „Description géographique de la Géorgie“. იქ, 45-ე გვერდზე, ავალიშვილები შემდეგ ბრძოლებშია ნახსენები: „ავალის-შვილი, რა დაშთა ხეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი

ძმა დაშთა აქა, და მეორე სამცხეს“. ე. ი. როცა თურქეთთან ომის შემდეგ ხეობა ქართლს დარჩა, ერთ-ერთი ძმა გადავიდა სამცხეს, ანუ წავიდა საზღვრებს გარეთ. ვახუშტი ავალოვებს ბარათაშვილების, ორბელიანების, ციციანოვების, ამილახვრების, აბაშიძეების, ერისთოვებისა და სხვ. გვერდით ახსენებს. ამ გვარეულობებიდან ზოგიერთს – მაგალითად, ამილახორს, ერისთავს – იგი ახსენებს თანამდებობრივი მნიშვნელობით, სხვებზე კი ამას არ ამბობს – მათ, უბრალოდ, მთავრებს უწოდებს. ეს კი საკმარისია, რომ დავასკვნათ: ავალოვები იყვნენ მაღალი რანგის თავადები და არა – თანამდებობრივი პირები. ისიც უნდა ითქვას, რომ ვახუშტი თანამდებობრივი მნიშვნელობით იხსენიებს დადიანებს, გურიელებს, ამილახვაროვებს, ერისთოვებს, მელიქოვებს, მაგრამ ისინი თავ-თავიანთ სამმართველო ტერიტორიებზე კერძო საკუთრებასაც ინარჩუნებდნენ და ეს, რასაკვირველია, ხდებოდა იმიტომ, რომ საქართველოში თანამდებობრივი მდგომარეობა გადადიოდა მემკვიდრეობით.

ახლა იმისთვის, რომ გამოვარკვიოთ, თუ რისი მფლობელები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ავალოვები მითითებულ ფარგლებში, ისევ ვახუშტის მივმართოთ და ვნახოთ, როგორ აქვს მას წარმოდგენილი ბორჯომის ხეობის საზღვრები?

პირველ რიგში, საჭიროა პასუხი გაეცეს ზემოთ ნახსენებ მეორე საკითხს იმის შესახებ, რომ არც ვახუშტი და არც სხვა ქართველები ზოგადად ამ ხეობას არასოდეს არ უწოდებდნენ ბორჯომისას – უწოდებდნენ უბრალოდ **ხეობას** ან **მტკვრის ხეობას**. საზღვრები ამ ხეობისა ვახუშტის აღნიშნული აქვს 272-276-ე გვერდებზე. სოფლები ან ტერიტორიის სხვა ნაწილები, რომლებიც ამ საზღვრებში შედიოდა, დასახელებულია 479-ე და 480-ე გვერდებზე. რაოდენობა – 40, თუმცა, რამდენადაც ვიცი, ავალოვები მიიჩნევენ, რომ ამ სოფლებიდან რამდენიმე ეკუთვნით აბაშიძეებს, თავთაქოვებსა და ხაზინას. ბუნებრივია, ქართველ მეფეთა დროიდან მოკიდებული, თუკი ამ ტერიტორიულ ფარგლებში – ე. ი. თურქეთთან ყოფილ საზღვარს, ვახუშტისთან სოფელ დვირს რომ მიჰყვება – რომელიმე სხვა

კერძო პირის ადგილ-მამული რომ ყოფილიყო, ვინმე მაინც განაცხადებდა თავისი უფლების შესახებ. ან კიდევ: თუ ასეთი აღარავინ დარჩა, ვინმე მაინც იტყოდა, რომ ვილაც ასეთი უფლების მქონე არსებობდა. ტერიტორიულად დაშორებული მესაკუთრეებიდან აქაურთა უფლების ხელყოფას, ცხადია, ვერავინ შეძლებდა, მაგრამ ეს შეეძლოთ მეზობლებს. თუკი დასახელებულ ტერიტორიულ ფარგლებში ხაზინას აქვს ან ადრე ჰქონდა რამე, გარდა ხეობის ცნობილი და ნათლად გარკვეული სახაზინო ნაწილისა, ამის დამტკიცება ხომ ადვილად შეიძლება: საქართველოში სახაზინო საკუთრება ხდებოდა ის, რასაც ქართველი მეფეების დროს ენოდებოდა **სახასო**. ამ **სახასოსთან** დაკავშირებული საკითხები 1803, 1804 წლებში მკაფიოდ გაირკვა და დადგინდა. მაგრამ ხეობაში, გარდა ახალდაბის მამულისა, სახასოდ არაფერია მიჩნეული და მითითებული. შესაბამისად, სასამართლო საქმეში ავალოვების კუთვნილ ადგილ-მამულად ცნობილ საზღვრებში უფლებრივ პრეტენზიებს ვერც კერძო პირები და ვერც ხაზინა ვერ განაცხადებენ; და ვერც მესაკუთრეების დროებითი არყოფნა გამოადგება ვინმეს საბაზად და ვერც ის, თუ ვინ უზრუნველყო იქ იარაღის ძალით უსაფრთხოება. თუ ამას ყოველივეს გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ სარჩელს საერთოდ არა აქვს კანონიერი საფუძველი. – ამას გარდა, თუ ვალიარებთ ერთის უფლებას, იმავე უფლებას ვერ მივანიჭებთ მეორეს. ავალოვების ადგილ-მამული ტერიტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ბარათოვების, ციციანოვების და სხვ., ანუ იმათ ადგილ-მამულს, რომელთა გვერდითაც ავალოვები მესაკუთრე თავადებად არიან მოხსენიებულნი. ასე რომ, ყოველგვარ ეჭვებს მთლიანად აქარწყლებს მაგალითები და, შესაბამისად, აღარ არსებობს არც ერთი მიზეზი ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ტერიტორია არ იყო ავალოვების საკუთრება. ჩვენში ყველაფერს ჰყავდა თავისი მესაკუთრე, რადგანაც საქართველოში არ არსებობდა რაიმე, რომლის მესაკუთრე არ იქნებოდა ან მეფე, ან – მისი ხელქვეითი.



ზავილეისკი, რომელიც არ ცნობს ავალოვების უფლებას, იურიდიულად თვითონვე ადასტურებს ამ უფლებას მეფე ერეკლეს 1792 წლის სიტყვებით. ერეკლე მეფე ხეობაში ავალოვებს გასამყრელოდ გადასცემდა ადგილ-მამულს, როგორც კი იქ მშვიდობიანობა დაისადგურებდა. მშვიდობიანობამ კი ხეობაში მხოლოდ 1829 წელს დაისადგურა.

დამეთანხმებით, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ ჩემი ეს მოსაზრებები რაიმე გამონაგონს კი არ ეყრდნობა, არამედ – გამომდინარეობს ფაქტებიდან, რომლებიც ადასტურებს ავალოვების სიმართლეს და ამტყუნებს ხაზინას.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, მივმართო ცოცხალ მტკიცებულებებს:

ჰკითხეთ ნებისმიერ ასე თუ ისე ასაკოვან ქართველს, თუ სად მდებარეობს გოგიას ციხე, პეტრეს ციხე, კიმოთისმანი, ციხისჯვარი? ყველა ამას გიპასუხებთ: „საავალიშვილოში“. ბევრი ლეგენდებსაც მოგიყვებათ ავალოვებზე, რომელთა სახელები განუყრელადაა დაკავშირებული ამ ადგილებთან. ეს ადგილები კი ბორჯომის ხეობაშია. –

ჰკითხეთ თუმ მცხვარეებს, აწყურელ თათრებს, თუ სად მდებარეობს ცხრანყარო, წითელი საყდარი? გიპასუხებენ: „საავალიშვილოში“. ამ ადგილთა შორის კი ავალოვების საძოვრებია, ქციის ზემო წელში.

ჰკითხეთ, ბოლოს და ბოლოს, ციციანოვების, ჯავახოვების ან კიდევ თარხანოვების გლეხებს, ჯავახეთის, ახალციხის, ახალქალაქის თათრებს: რა არის ქვაჯვარი? გიპასუხებენ, რომ ეს არის ქვის სვეტი, რომელზეც ერთ მხარეს, აღმოსავლეთისკენ, გამოსახულია ჯვარი, ხოლო მეორე მხარეს, დასავლეთით – ჩალმინი თავი, რომელიც თურქეთისკენ იყურება. ეს სვეტი დგას საქართველოსა და თურქეთის (1829 წლამდე) მიჯნაზე, ციციანოვებისა და ავალოვების მამულების საზღვარზე და იქ დგას იგი დღესაც.

არ არსებობს არაფერი ხალხის ხსოვნაში, არ არსებობს არც ერთი მოწმობა იმისა, რომ ხაზინა აქ რამეს ფლობდა.

ვბედავ ვიფიქრო, რომ ჩემ მიერ საქმის იურიდიულ და ზნეობით მხარეებთან დაკავშირებული აქ მოყვანილი მოსაზრებები საკმარისია საიმისოდ, რომ დადასტურებულად ჩაითვალოს ავალოვების სიმართლე ხაზინასთან მათს დავაში. ყოველ შემთხვევაში, იმდენად საკმარისად, რომ მე, როგორც ამ საქმის მონაწილე, მართალი ვიყო კანონის წინაშე და ჩემივე სინდისის, როგორც მკაცრი მსაჯულის, წინაშეც.

ასეთია ჩემი წარმოდგენები ამ საქმეზე 1837 თუ 1838 წლიდან და თავს ჭეშმარიტად უბედურად ვიგრძნობ, თუ დავრწმუნდები, რომ ვცდები; და ეს იმიტომ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით დღემდე არავის ჰქონია საფუძველი, ალმაცერად შემოეხედა ჩემთვის ან კიდევ გამოემყლავნებინა საქმის ისეთი ცოდნა, რომ ჩემს რაიმე შეცდომაზე მიეთითებინა.

ჩემი ცხოვრების წესსა და სიმართლეზე ჩემი წარმოდგენის შესახებ თქვენს ბრწყინვალეებას მოეხსენება საკმარისად და, ცხადია, დამემონებით, რომ არ მახასიათებს ახირებული სიჯიუტე და ადვილად ვიღებ ნებისმიერ განსხვავებულ, უფრო დასაბუთებულ, მოსაზრებებს.

გარდა ამისა, თუ თქვენი ბრწყინვალეებისთვის ცნობილია ავალოვების ამჟამინდელი მდგომარეობა და მათთან ჩემი ნათესაური კავშირები, ადვილად დამეთანხმებით, რომ უსამართლო იქნება ჩემი გმობა, თუ ამ საქმეში ჩემი მონაწილეობა იქნება იმაზე უფრო ძლიერი, ვიდრე საქმესთან საკუთრივ ჩემი კავშირი მოითხოვს.

გადავდივარ საქმეში ჩემს მონაწილეობასთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებებზე.

ჯერ კიდევ ზავილეისკის დროიდან ბორჯომის ტყეები ხე-ტყის ყველა მრეწველის კუთვნილებად გადაიქცა. ჭრა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს დაუნდობლად, იმდენად დაუნდობლად, რომ ამჟამად მდინარე მტკვრის მიმდებარედ, 10-15 ვერსის მანძილზე, ვერ იპოვით ვერც ერთ ხეს, რომელიც მშენებლობისთვის იქნება გამოსადეგი. მარტო ქართული პოლკის მიერ რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველწლიურად იჭრებოდა 10-დან

20 ათასამდე სამორე ხე, თითქოსდა სახელმწიფო საჭიროებისათვის. მნიშვნელოვანი ნაწილი მორებისა არ გამოჰქონდათ და ამიტომ დღემდე ღებობდა და დღესაც იქ ღებება. მხოლოდ მეფისნაცვლის სამართალმა<sup>5</sup> შეუნარჩუნა ავალოვებს უფლება სალბაშისა,<sup>6</sup> იმ მწირი შემოსავლისა, რომლითაც ისინი თავიანთ გასაცოდავებულ ყოფას ასე თუ ისე უზრუნველყოფენ. ქციის ზემო წელში მდებარე საძოვრებს, რომლებიც წელიწადში 300 თუ 400 სულ წვრილფეხა საქონელს იძლეოდა, ამჟამად არ შემოაქვს არავითარი შემოსავალი. მწყემსები აცხადებენ, რომ ეს საძოვრები ამჟამად ხაზინისაა და ისინი ავალოვებს საბალახეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაუხდიან,<sup>7</sup> თუ ხაზინა გამოაცხადებს, რომ ეს საძოვრები წინანდელ მფლობელებს დაუბრუნა. შემოსავლის ეს წყარო 1833 წლიდან ხაზინასაც და ავალოვებსაც სავსებით შეუწყდათ. იმ უფლების აღსადგენად, რომელსაც ადრე ახალციხის ფაშაც კი აღიარებდა, ავალოვები სხვადასხვა დროს მიმართავდნენ ხელმძღვანელობას, თუმცა არც ერთი მათი თხოვნა არ დაკმაყოფილდა. მათი ტყეების ხარჯზე გორის მაზრის მრავალი მცხოვრები გამდიდრდა, გლატაკებულ ავალოვებს კი თავი ძლივს გააქვთ. ხაზინასთან სასამართლო გარჩევებმა, დავამ მწყემსებთან, თვითონ საგვარეულოში არსებულმა უთანხმოებებმა, ყოველივე აქედან გამომდინარე, მათს ადგილ-მამულში ყველასმა და თითოეულის თავისუფალმა პარპაშმა ავალოვები უკიდურესად დაბეჩავებულ მდგომარეობაში ჩააგდო. მხოლოდ მართლმსაჯულების ძლიერ ხელს შეუძლია მათი გამოხსნა იმ სიღატაკისაგან, რომელშიც ზოგიერთი მათგანი უკვე იმყოფება და იხსნას ტფილისიცი, რომლისთვისაც სამშენებლო ხე-ტყის მნიშვნელოვანი – შეიძლება ითქვას, ერთადერთი – წყარო იქაური ტყეებია.

ავალოვებიდან ზოგიერთის უბედური მდგომარეობა საბოლოოდ დაასრულა კიდევ ერთმა შემთხვევამ, რომლის შესახებაც შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ გიამბოთ.

1828 წელს თავადმა გიორგი ავალოვმა საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა ბამბა, რომელიც ახალშექმნილი სომხეთის ოლქიდან

პირველად იქნა შემოტანილი.<sup>8</sup> ფულის გადახდა – როგორც მახსოვს, 12 000 მან. ვერცხლით – რომელიც მისი სოფ. ბრეთის მამულით იყო უზრუნველყოფილი, რამდენიმე თვით გადაუვადდა, ხოლო მის მიერ ნაყიდი მთელი ეს ბამბა მოთავსდა სარქისოვის ქარვასლაში, პესკაზე რომაა.<sup>9</sup> ამასობაში თურქეთთან ომიც დაიწყო და საჭირო გახდა ახალციხეში არსებული ვითარების შესახებ სანდო ცნობების მოპოვება. გიორგი ავალოვს თავის ბორჯომის მამულთან დაკავშირებით იქ ჩასვლა უწევდა ხოლმე, ფაშამ იცოდა მისი ვინაობა და ამიტომაც გაგზავნეს, თითქოს მას იქაური უფროსობისთვის საზღვრისპირას მცხოვრები თურქებისგან მიწისა და საძოვრების გადასახადის გადახდევინება უნდა ეთხოვა. იმ დროს, როცა იგი საკუთარი სიცოცხლისთვის სახიფათო, თუმცა ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან დავალებას ასრულებდა (შტაბის საიდუმლო საქმეებში ალბათ მოიპოვება ცნობები ამის შესახებ), ტფილისში მტკვარი ადიდდა და სარქისოვის სარდაფები დატბორა. ბამბა მთლიანად დასველდა. უკან მობრუნებულ გიორგი ავალოვს ამ უბედურებამ თავზარი დასცა. ბამბას იგი, რასაკვირველია, გამოცხადებული ფასის მეოცედადაც კი ვერ გაყიდა, ხაზინისთვის გადასახდელი ფულიც არ ჰქონდა, ამიტომ დაგირავებული მამული სამეურვეო გამგებლობაში გადავიდა და ეს მამული ამჟამადაც ამ მდგომარეობაშია. ასეთ დღეში იყო გიორგი ავალოვი, როცა გარდაიცვალა. მემკვიდრეებად დარჩნენ შვილი – დიმიტრი და ძმისშვილი – ზაალი. ბრეთიდან იძულებით აყრილები, ისინი გადასახლდნენ სოფ. ნუაში, ბორჯომის წყლებთან. იქ შეუდგნენ განსვენებული გიორგისგან დარჩენილი მიწის ნაკუნების დამუშავებას და ამით როგორღაც გაჰქონდათ თავი. ამათგან ზაალი დაქორწინებული იყო ჩემ დაზე,<sup>10</sup> მეორე ბიძაშვილი კი გათხოვილია ქაიხოსრო ავალოვზე, ხოლო ალექსანდრე ავალოვი იყო ქმარი ჩემი ღვიძლი ძმისშვილისა.<sup>11</sup>

გამომდინარე ახლო ნათესაობიდან, რამდენიმე ავალოვმა 1846 წელს ასეთი ახალი ამბავი მომიტანა:

გორის მაზრაში შედგა ამხანაგობა ხუთი თუ ექვსი პირის შემადგენლობით. ამ პირთა ვინაობის დასახელება საჭიროდ არ მიმაჩნია. ამხანაგობამ გადაწყვიტა, ეყიდა ერთ-ერთი ავალოვის, ზურაბის, წილი. ამ უკანასკნელს ფული უკიდურესად სჭირდებოდა და ამიტომ ამ თავის წილს 800 მანეთად (ვერცხლით) თმობდა. ავალოვებიდან არც ერთს არ ჰქონდა საშუალება, მისთვის ეს თანხა გადაეხადა და გასაყიდი მიწა თვითონ დაესაკუთრებინა. ისინი მეტად თუ ნაკლებად ზერელედ ეკიდებოდნენ თავიანთ მდგომარეობას და იმედი ჰქონდათ, რომ საქმე ოდესმე მათ, ანუ მართალი მხარის, სასარგებლოდ გადაწყდებოდა, თუმცა მათ საკუთრებაში გარეშე პირების საკუთარი წილით შემოსვლისა და ახალი დავებისა თუ უთანხმოებების ალბათობას, შეუძლებელია, თითოეული მათგანის შეშფოთება არ გამოეწვია. მე მომმართეს, როგორც ნათესავს, რათა მათთვის როგორმე თავიანთ საკუთრებაში უცხო პირთა ჩართვა ამერიდებინა და, თუ მიწის გაყიდვა გარდაუვალი გახდებოდა, ზურაბ ავალოვის წილი მე თვითონ მეყიდა.

ჩავთვალე, რომ თუნდაც ნათესაური კავშირების გამო ჩემგან არაკეთილშობილური საქციელი იქნებოდა, მათთვის დახმარებაზე უარი მეთქვა და თუნდაც ამით არ შევშველებოდი – მოვასწარი ბორჯომის ადგილ-მამულებზე მონადირეების მოგერიება, ზურაბ ავალოვს გადავუხადე თანხა, რომელსაც იგი თავის წილში ითხოვდა, მისგან კი მივიღე ნასყიდობის სიგელი, რომლის მიხედვითაც, ხეობაში ავალოვების ადგილ-მამულში ზურაბ ავალოვის მეხუთედი წილი ჩემს საკუთრებაში გადმოდიოდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე მსხვერპლი მაქვს გაღებული როგორც ჩემი ნათესავის, ისე ერთობლივ ავალოვების სასარგებლოდ – თავიანთი შემოსავლებიდან არც ერთი მათგანისთვის დღევანდელ დღემდე კაპიკიც კი არ მომიტხოვია, მიუხედავად იმისა, რომ 1848 წლიდან ხელთა მაქვს წილის ნასყიდობის დამადასტურებელი აქტი; და არც დღეს და, ვფიქრობ, არც მომავალში ავალოვებს არ მოვთხოვ არაფერს, ყოველ შემთხვევაში,

მანამ, სანამ სასამართლო წესით არ გაირკვევა, თუ რა ეკუთვნით ავალოვებს და რა უფლება მაქვს ჩემ მიერ იმ დროს ნაყიდ წილზე.

აი, მიზეზები და ხარისხი ჩემი მონაწილეობისა ავალოვების საქმეში.

შინაგანი რწმენა მიკარნახებს, რომ ამ შემთხვევაშიც არც ერთი ნაბიჯით არ დავშორებივარ ჩემი ცხოვრების წესს – ყოველთვის და ყოველგან ვიმოქმედო დაუფარავად და კეთილსინდისიერად, ყველა კითხვას გავცე ღია და მკაფიო პასუხი.

დაე, თქვენმა ბრწყინვალეობამ განსაჯოს, აქვს თუ არა საფუძველი ამ საქმეში ჩემს დადანაშაულებას. –

თუ რამეში ვცდები და ვიჩენ სისუსტეებს, დამახასიათებელს ნებისმიერი მოკვდავისათვის, გთხოვთ დამაყენოთ ჭეშმარიტების გზაზე და მე ამ გზას გავყვები გულწრფელი მადლიერებით.

თუ ავალოვების საქმეში ჩემი მონაწილეობის შესახებ აქ მოყოლილ ისტორიაში იპოვით იოტისოდენა არაკეთილსინდისიერებასა და არაკეთილშობილურ ქცევას, მითხარით თუნდაც პირადად ჩემდამი გამოვლენილი ყურადღების ნიშნად და, გაძლევთ სიტყვას, ამ საქმესაც თავს დაგანებებ და ამ საქმეში ჩემს ყველა უფლებაზეც ვიტყვი უარს.

და, თუ არც ერთსა აქვს საფუძველი და არც მეორეს, მაშინ გთხოვთ, ბრალდებები და ცილისწამება ამაცილოთ.<sup>12</sup>

21 თებერვალი 1851.

## 28. გიორგი მაჩაბლისადმი

*მონყალეო ხელმწიფეო,*

*თავადო გიორგი სიმონის ძეგ*

ჩემმა ყმამ ბლუაშვილმა და მისმა ცოლმა გუშინ ჩემს სახლში საზიზღარი საქციელი ჩაიდინეს. თუ სამართლიანად არ დავსაჯე, ცუდ ზნეს წავაქეზებ.

ამიტომ, ვგზავნი რა ამ კაცს თქვენს ბრწყინვალეებასთან, უმორჩილესად გთხოვთ გამოუცხადოთ, რომ მე ფიზიკურად არ დავსჯი, რადგან სუსტი ჯანისაა, რომ მე არ გადავასახლებ სამუშაოდ შორეულ ციხეში, რადგან პატივს ვცემ მის ჩემთან ხანგრძლივ უნინდელ სამსახურს, რომელიც გუშინდელის საქციელით სავსებით გააბათილა და ამ წყალობას ვიჩენ მისდამი, რადგან ერთგულ კაცად ვთვლიდი და მის გარჯას ვაფასებდი.

მის ცოლს, რომელიც კიდევ ზედმეტად არის დამნაშავე, არა ვსჯი სასტიკად, რადგან შვილები გამომიზარდა. მაგრამ ამ ცოლ-ქმარს ჩემს სახლში ვეღარ დავტოვებ.

გთხოვთ დაამწყვდიოთ სამის დღით სიმონ ბლუაშვილი, შემდეგ კი გაისტუმრეთ შორაპნის მაზრაში, სოფ. ზედუბანში, მამასთან, ლაზარე ბლუაშვილთან.

სახარჯოთ ვგზავნი სამ მანეთს. ცოლსაც აქედამ პირდაპირ გავგზავნი.<sup>1</sup>

*ჭეშმარიტი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,  
მაქვს პატივი, ვიყო თქვენი ბრწყინვალეების  
უმორჩილესი მოსამსახურე  
დიმიტრი ყიფიანი*

25 აგვისტო 1851.

სოფ. ქვიშხეთი<sup>2</sup>

## 29. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

მის ბრწყინვალეებას,  
ტფილისის სამხედრო გუბერნატორსა და  
სამოქალაქო ნაწილის  
მმართველს, გენერალ-ლეიტენანტსა და კავალერს,  
თავად ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს

კოლეგიის მრჩევლის  
დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის

კავკასიის მეფისნაცვლის<sup>1</sup> შუამდგომლობით მიღებულია უმაღლესი თანხმობა, რომ თავად ავალოვებს მათ მიერვე წარდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ბორჯომის მამულზე უარის თქმისა და მისი ხაზინის სასარგებლოდ გადაცემის სანაცვლოდ შთამომავლობითი პენსიის სახით დაენიშნოთ ნელინადში **ხუთი ათასი** მანეთი ვერცხლით. გასული თვის 10 რიცხვში ეს ამბავი მე, როგორც აღნიშნული მამულის თანამფლობელს, გამომიცხადა ტფილისის საქალაქო პოლიციამ, რომელიც, თავის მხრივ, თქვენი ბრწყინვალეების იმავე თვის 7 რიცხვის მინერილობას (№15484) ეყრდნობოდა. მოთხოვნის თანახმად, შესაბამის ქალაქს ხელი მოვანერე.

ავალოვების მიერ დათმობილი ზემოაღნიშნული მამულის **მეათედი ნაწილი** ჩემი და ჩემი ძმის, პრაპორშჩიკ ქაიხოსრო ყიფიანის, საკუთრებაა.<sup>2</sup> ეს დადასტურებულია ნასყიდობის ქალაქით, რომელიც დამოწმებულია გორის მაზრის სასამართლოს მიერ 1848 წლის 12 თებერვალს და იმავე თვის 13 რიცხვით გატარებულია ნასყიდობის საქმეთა სარეგისტრაციო წიგნში (№11).

ამასთანავე, თავადი ავალოვების ზემოხსენებული მოხსენებითი ბარათის მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგინებ: 1. ზემოხსენებული ნასყიდობის ქალაქის დედანს; 2. 1848 წლის 18 ნოემბერს გაცემული საკუთრების დამადასტურებელი ქალაქის (№1480) ასლს; 3. იმავე რიცხვით დათარიღებულ ცნობას (№1481) ბორჯომის ხეობის სოფლებისთვის ამ ამბის გამოცხადების შესახებ, და 4. მინდობილობას, რომელიც იმავე გორის მაზრის სასამართლოს მიერ დამოწმებული და წიგნში შეტანილია ამა წლის 5 ნოემბერს (№51). – ჩემი ძმისგან, პრაპორშჩიკ ქაიხოსრო ყიფიანისგან, გადმოცემული მაქვს უფლება, შესაბამისი ანაზღაურება მივიღო მე.

მაქვს პატივი გთხოვოთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, გაცვით განკარგულება, რათა ტფილისის სამაზრო ხაზინამ ზემოხსენ-



ნებული მოხსენებითი ბარათის მე-5 პუნქტის საფუძველზე დამინიშნოს შთამომავლობითი პენსია – ნელონადში 500 მანეთი და შეადგინოს შესაბამისი აქტი ხსენებულ თანხაზე შთამომავლობითი უფლების შესახებ.

21 დეკემბერი 1851.

### 30. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

მის ბრწყინვალეობას, ტფილისის სამხედრო გუბერნატორს,  
ბატონ გენერალ-ლეიტენანტსა და კავალერს, თავად  
**ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს**

კოლეგიის მრჩევლის  
**დიმიტრი ყიფიანის**

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

გორის მაზრის მემამულემ, ბატონმა ზურაბ ავალოვმა, რომელმაც ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ტფილისში ჩამოსვლა, და ეს წერილობით არის დადასტურებული ადგილობრივი უფროსის მიერ, გამომიგზავნა გორის მაზრის სასამართლოს მიერ მიმდინარე დეკემბრის 7 რიცხვში დამონმებული მინდობილობა. იგი მართებლობას სთხოვს, ბორჯომის მამულის გამო დანიშნული პენსიის ანგარიშში მიეცეს კუთვნილი თანხა მამულის იმ მეათედ ნაწილზე, რომელიც თავის საკუთრებად მიაჩნია მას შემდეგ, რაც აღნიშნული მამულის მეორე მეათედი 1848 წელს მე მომყიდა.<sup>1</sup>

მალევე მან გამომიგზავნა გორის მაზრის სასამართლოს მიერ ამავე თვის 15 რიცხვში დამონმებული ასლი 1842 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებისა (№2162), რომლითაც ბორჯომის მამული სხვა ავალოვებთან ერთად მასაც, თავად ზურაბს, აქვს მიკუთვნებული.

წარმოგიდგენთ რა მინდობილობასა და გადაწყვეტილების ასლს, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალეობას, სათანადო წესით დაკმაყოფილებულ იქნეს თავად ზურაბ ავალოვის თხოვნა.<sup>2</sup>

30 დეკემბერი 1851.

1853

### 31. სიმონ ქობულოვის საქმის გამომრკვევი კომისიისადმი

კოლეგიის მრჩეველ ყიფიანის აზრი თავად სიმონ ქობულოვის მემკვიდრეობის საქმეზე

წინამდებარე საქმის განხილვისას ირკვევა, რომ კომისიამ უნდა იმსჯელოს შემდეგ საკითხზე:

ეყრდნობა თუ არა ქართულ კანონებს ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მმართველი სენატის მე-4 დეპარტამენტის დადგენილება, რომლის მიხედვითაც, უშვილოდ გადაგებული თავადის, სიმონ ქობულოვის, მემკვიდრეობა მიეკუთვნა ბიძამისს, თავად დიმიტრი ქობულოვს და არა გარდაცვლილის ღვიძლ დისწულს, თავად ზაქარია ჭავჭავაძეს?<sup>1</sup>

ამ საკითხზე კომისიის მიერ მიღებული წინასწარი გადაწყვეტილება სხვა კითხვასაც წარმოშობს:

ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის 1836 წლის გამოცემის რომელი ნაწილი უნდა მივიჩნიოთ ადგილობრივ, საქართველოში მოქმედ, კანონებად?

აღნიშნული კრებულის თაობაზე სავსებით ვიზიარებ თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის<sup>2</sup> დამაჯერებლად დასაბუთებულ მოსაზრებას, რომელიც მის მოხსენებაშია ჩამოყალიბებული,

თუმცა სასამართლო დაწესებულებები დღემდე არ იძლევიან ამ საკითხის ახსნა-განმარტებას. ამასთანავე, მოხსენებაში ესეცაა ნათქვამი: კრებულის მე-8 განყოფილების 31-ე მუხლიდან, ანუ იმ ნაწილიდან, რომელშიც გადმოცემულია ქართული ადათ-წესები და, სხვათა შორის, არც არის ცნობილი, როდის ჰქონდა ან როდის მიენიჭა ამ ადათ-წესებს კანონის ძალა, ჩანს, რომ ბერძნული და სომხური კანონებიც საკუთრივ ქართულ კანონებად უნდა მივიჩნიოთ.

ამგვარ დასკვნას არ გააჩნია არავითარი საფუძველი, რამდენადაც ეწინააღმდეგება თვითონ სჯულმდებელ მეფე ვახტანგის სიტყვებს (მისი წინათქმა მოსეს კანონისა). მიუხედავად ამისა, სასამართლო დაწესებულებები მთელ ხსენებულ კრებულს ერთობლივ ქართულ კანონებად მიიჩნევდნენ, თუმცა არა ყველა და ამის მაგალითად გამოდგება წინამდებარე საქმისადმი თელავის სამოქალაქო სასამართლოსა და ტფილისის სასამართლო პალატის განსხვავებული მიდგომები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავად სიმონ ქობულაშვილის მიმკვიდრეობასთან დაკავშირებულ საქმეს ორი მხრიდან უნდა შევხედოთ:

**პირველი.** — საკუთრივ ქართულ კანონებად მივიღოთ კრებულის მხოლოდ პირველი განყოფილება და დავადგინოთ: შეიცავს თუ არა იგი დებულებებს, რომელთა საფუძველზე შექმნებოდა მოცემულ საქმეზე არსებითი გადაწყვეტილების მიღება?

**მეორე.** — საკუთრივ ქართულ კანონებად მივიღოთ კრებულის არა მხოლოდ პირველი, არამედ უკლებლივ ყველა, რვავე, განყოფილება და ავწონ-დავწონოთ: არის თუ არა თუნდაც მათში დებულებები, რომლებიც მოცემულ საქმეზე დამაჯერებელ გადაწყვეტილებას მიგვაღებინებს?

თავისთავად ცხადია, რომ, თუ ვერც პირველი და ვერც მეორე გზით საკითხის დასაბუთებულ გადაწყვეტას ვერ შევძლებთ, მაშინ საჭირო გახდება, მივმართოთ იმპერიამი მოქმედ ზოგად კანონმდებლობას. —

მე მიმაჩნია, რომ ვერც ზემოხსენებული პირველი და ვერც მეორე გზით ჩვენ ამ საქმეზე პირდაპირ გადანყვეტილებას ვერ მივიღებთ შემდეგ მიზეზთა გამო:

იმ კანონებიდან, რომლებსაც ჩვენ საკუთრივ ქართულ კანონებს ვუნოდებთ, ანუ, ვახტანგის კრებულის პირველი განყოფილებიდან, ტფილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლომ თავის გადანყვეტილებას საფუძვლად ორი მუხლი დაუდო: 257-ე და 113-ე.

257-ე მუხლით ქალს არა აქვს ადგილ-მამულზე მემკვიდრეობითი უფლება, თუმცა ამ მუხლის შეჯერება 145-ე მუხლთან განსხვავებულ ვითარებას იძლევა: ქალი ამგვარ მემკვიდრეობით უფლებას მოკლებულია არა უპირობოდ, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარდაცვლილ მესაკუთრეს მამრობითი სქესის მემკვიდრე რჩება, ანუ, მემკვიდრეობა ქალიშვილზე არ გადადის ვაჟიშვილის ან მისი მემკვიდრის არსებობის შემთხვევაში, და ეს წესი მოქმედებს ამჟამადაც. მაგრამ ის, რომ უშვილოდ გადაგებული პირის ადგილ-მამული უნდა დარჩეს დას და არა – ბიძას, ასეთი რამ კრებულის პირველ განყოფილებაში არ წერია.

რაც შეეხება 113-ე მუხლს, ამ მუხლის მიხედვით, უშვილძირო კაცი შეიძლება **გაეყაროს** თავის ძმებსა თუ ნათესავებს და თავისი წილი ცალკე გაიტანოს და, თუ იგი ამის შემდეგ თავის წილს გააერთიანებს მამის ხაზით რომელიმე ნათესავთან და **მოკვდება** მასთან, მაშინ მისი ადგილ-მამული რჩება იმას, ვისთანაც გარდაცვლილმა თავისი წილი გააერთიანა და ვისთანაც იგი მოკვდა.

აღსრულება ამ კანონისა განპირობებული უნდა იყოს სამი სახის ფაქტით: **გაყრით, გაყრისას გაერთიანებით და გაერთიანების შემდეგ სიკვდილით.**

ამ სამი ფაქტიდან სასამართლო პალატამ განმსაზღვრელი მნიშვნელობა მხოლოდ ერთს მიანიჭა: სიმონ ქობულოვის სიკვდილს თავის ბიძასთან, დიმიტრი ქობულოვთან, თუმცა თვითონ ამ ფაქტის მნიშვნელობასაც შემდეგი გარემოება აკ-

ნინებს. ეს არის როგორც მოსარჩელის, ისე მონმეთა მიერ ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენებები, რომელთა მიხედვითაც, სიმონ ქობულავს ჰქონდა საკუთარი სახლი და იმ საკუთარ სახლშივე ცხოვრობდა განცალკევებულად.

სხვა ორი ფაქტი, რომელთა გარეშე ეს მესამე კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას, არ არის დასაბუთებული, კერძოდ, დიმიტრისაგან სიმონის **გაყრისა** და შემდეგ მასთან **გაერთიანების** საკითხი პალატამ საერთოდ უყურადღებოდ დატოვა.

გაყრის ნამდვილობა სათანადო აქტით უნდა იყოს დადასტურებული. საქმე ისაა, რომ გენერალ ერმოლოვის 1817 წლის თებერვლის განკარგულებით ადგილ-მამულის ერთი პირის საკუთრებიდან მეორე პირის საკუთრებაში გადასვლა, გაყრა იქნება ესა თუ სხვა რაიმე ფორმით გასხვისება, კანონთან შესაბამისი სათანადო აქტის საფუძველზე უნდა მოხდეს, ხოლო თუ ასეთი აქტი არ არსებობს, საქმე საკუთრების ხანდაზმულობის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.<sup>3</sup> თუმცა მოცემულ საქმეში არც კანონით გათვალისწინებული აქტი ჩანს სადმე და არც – ხანდაზმულობასთან დაკავშირებული რამ.

ზუსტად ამგვარივე საშუალებით უნდა დადასტურებულიყო ფაქტი საკუთრების **გაერთიანებისა**, რის გარეშეც წინარე ორ ფაქტს ვერც ერთ შემთხვევაში ვერავითარი მნიშვნელობა ვერ მიენიჭება, თუმცა ეს საკითხიც დაუსაბუთებლად დარჩა და, ისიც უნდა ითქვას, რომ, შეუძლებელია, საბუთად ჩაითვალოს შავად ნაწერი ქალაქი, რომელშიც ჩანს, რომ ეს ქალაქი გაერთიანების დამადასტურებელი აქტის მხოლოდ პროექტია. არ არსებობს არავითარი მონაცემი, გაფორმდა თუ არა ეს აქტი და გამოცხადდა თუ არა იგი დადგენილი წესით, როგორც საგვარეულო ადგილ-მამულთან დაკავშირებული განკარგულება? საქმე ისაა, რომ გაყოფაცა და გაერთიანებაც ნიშნავს ადგილ-მამულის ერთი საკუთრებიდან მეორეში გადასვლას, ეს კი, მოკიდებული 1817 წლიდან, შესაბამისი აქტის გარეშე კანონიერად ვერ ჩაითვლება. ამასთანავე, მტკიცებულება

ვერ ჩაითვლება ერთადერთი მონმის ჩვენება, როცა ყველა სხვა მონმე სანინაალმდეგოს ამბობს.

ამიტომაც ამ საქმეში დასახელებული ორი მუხლიდან 113-ის საფუძველზე გადანყვეტილების მიღება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთდებოდა, რომ სიმონ ქობულოვმა, მას შემდეგ, რაც **გაეყარა** დიმიტრის, თავისი ადგილ-მამული ისევ მასთან **გააერთიანა** და **მოკვდა** მასთანვე.

და ვინაიდან ეს ყველაფერი არ არის დამტკიცებული, ზემოაღნიშნული მუხლი ვერ იქნება გადანყვეტილების მიღების საფუძველი. პალატის გადანყვეტილებაში სხვა მუხლები ვახტანგ მეფის კრებულის პირველი განყოფილებიდან არ ჩანს და ვერც გამოჩნდებოდა მათი არარსებობის გამო.

ასე და ამგვარად, თუ საქმეს ზემოთ მითითებული პირველი მხრიდან განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ვახტანგ მეფის საკუთრივ ქართული კანონები არ შეიცავს დებულებებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა იმის გამორკვევა, თუ ვის ეკუთვნის სიმონ ქობულოვის მემკვიდრეობა: მის ღვიძლ დას, თუ ბიძას.

თუ მოცემულ საქმეს მეორე მხრიდან განვიხილავთ, ნაწინადადებით სხვა გაუგებრობას:

ვინაიდან ამ საქმეში ვახტანგის კრებულის პირველ განყოფილებას ვერ გამოვიყენებთ, იმავე კრებულის სხვა განყოფილებებს უნდა მივმართოთ ან იმ თანამიმდევრობით, რა თანამიმდევრობითაც ეს კანონები არის იქ მოცემული, ან კიდევ – ნებისმიერობის პრინციპით.

ნებისმიერობის პრინციპი არ ვარგა, თუმცა ამას უშვებენ ხოლმე იმ მიზეზის გამო, რომ დღემდე არავის განუმარტავს, თუ როგორ ვიხელმძღვანელოთ ამ წიგნით.

მოცემულ საქმეში ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატა პირველი განყოფილების 113-ე მუხლის მერე, გამოტოვა რა მე-2 განყოფილება, ანუ ბერძნული კანონ-

ნები, პირდაპირ მე-3, ანუ სომხური კანონების, განყოფილება-ში გადავიდა.

მაგრამ, *ჯერ ერთი*, ბერძნულ კანონებში არის 279-ე, 280-ე, 281-ე და 282-ე მუხლები, რომელთა მიხედვითაც, ქალი მოკლებული კი არ არის მემკვიდრეობით უფლებას, არამედ თავის ძმებთან გათანაბრებული უფლებაც კი მოეპოვება და, შესაბამისად, ძმების არყოლის შემთხვევაში მას სრული უფლება ეძლევა, მემკვიდრეობით მიიღოს საგვარეულო ადგილ-მამული.

*მეორეც*. – თვით სომხური კანონებიდან პალატას თავისი გადაწყვეტილების საფუძვლად გამოყენებული აქვს სამი მუხლი: მე-2, მე-13 და 253-ე. ამ მუხლებს კი მოცემულ საქმეში ვერ გამოვიყენებთ, რადგანაც ისინი სრულიად ეწინააღმდეგება იმავე კანონთა პირველ მუხლს, რომელშიც ნათქვამია: „ვინც ანაზღაურს სიკუდილით მიიცივალს უანდერძოთ, რომ არ დარჩეს შვილი, ქონებასა მისსა ეპატრონოს მამა. *თუ არა ყუანდეს მამა ცოცხალი, ეპატრონოს ძმა და და, ორნივე*“.<sup>4</sup>

ხსენებულ წინააღმდეგობას კიდევ უფრო აძლიერებს იმავე სომხური კანონების მუხლები: 4, 6, 89, 142, 151, 251 და სხვ., რომლებშიც, მსგავსად ბერძნულისა, ქალი არათუ მოკლებულია მემკვიდრეობით უფლებას, არამედ პირიქით – მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ზოგ შემთხვევაში უფლებრივად ძმებთან გათანაბრებულია, სხვა შემთხვევაში კი ძმის ხვედრი მემკვიდრეობის ნახევარი ეძლევა.

ცხადია, ვახტანგის კრებულის სხვა განყოფილებებშიც გვხვდება დებულებები, რომლებიც ერთიმეორეს ეწინააღმდეგება; და არა მხოლოდ ცალკეული განყოფილებები, არამედ – და ეს საგანგებოდ უნდა ითქვას – ერთიმეორის მიმართ წინააღმდეგობრივია თვით საკუთრივ ქართულ კანონებში მოცემული დებულებებიც კი. ეს, რასაკვირველია, თვითონ კანონმდებლობის ხარვეზია და, შესაბამისად, შეუძლებელია მოცემულ საქმეში პალატის მიერ საკუთრივ ქართული კანონების საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება

ჩაითვალოს დასაბუთებულად. ამიტომაც აუცილებელია, 1801 წლის მანიფესტის თანახმად, მივმართოთ იმპერიის ზოგად კანონმდებლობას.<sup>5</sup>

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვიზიარებ რა თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის მოსაზრებას, მართებულად მიმაჩნია: მოხსენდეს მის უგანათლებულესობა მეფისნაცვალს, რომ საქმე უნდა გადაიხედოს, რათა, ჯერ ერთი, განხორციელდეს სამართლიანი მართლმსაჯულება კონკრეტულად ამ საქმესთან დაკავშირებით და, გარდა ამისა – და, განსაკუთრებით – სასამართლო პრაქტიკაში არ გაჩნდეს ისეთი მაგალითები, რომლებიც წინააღმდეგი იქნება იმ წესისა, პრაქტიკულად რომ მოქმედებს საქართველოში.

ამასთანავე, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით მინდა ყურადღება მივაქციო კომისიის წევრის, ბ-ნ ალექსეევ-მესხიევის, მოსაზრებას.<sup>6</sup> მას თავად სიმონ ქობულოვის მიერ თავისი ადგილ-მამულის საკუთარ ბიძასთან გაერთიანების დამადასტურებელ მტკიცებულებად მოჰყავს: 1. ზემოთ ნახსენები შავად ნაწერი აქტი, და 2. ერთ-ერთი მოწმის ჩვენება სიმონ ქობულოვის მიერ თავისი ადგილ-მამულის დიმიტრის ადგილ-მამულთან გაერთიანების შესახებ. პატივი მქონდა, ზემოთ მომეხსენებინა, რომ, ვითვალისწინებ რა სამოქალაქო კანონთა X ტომის 594-ე და 2676-ე მუხლებს, არც შავად ნაწერი აქტი, არც ჩვენება ხსენებული მოწმისა არ მიმაჩნია სიმონისა და დიმიტრის ადგილ-მამულების **გაერთიანების** დამადასტურებელ მტკიცებულებებად. ამასთანავე, ეს ფაქტები ან პალატას რომ მიეჩნია კანონიერად, ან მმართველ სენატს, ისინი ძირითადად სწორედ მათ დაეყრდნობოდნენ, თუმცა ორივე შემთხვევაში, როგორც ეს პალატისა და მმართველი სენატის გადაწყვეტილებებიდან ჩანს, ხსენებული ფაქტები ყურადღების მიღმა იქნა დატოვებული.

10 იანვარი 1853 წლისა.



### 32. ალექსანდრე მაქსიმოვიჩისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ალექსანდრე პეტრეს ძე

თქვენი მაღალშობილების ამა თვის 20-ის მომართვაზე (№6)<sup>1</sup> მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის ქართული ენის განყოფილება ჩემი თავმჯდომარეობით,<sup>2</sup> ვფიქრობ, შეძლებს ერთ თვეში წარმოგიდგინოთ დასკვნა წიგნებზე: გრამატიკა და ლექსიკონი ბ-ნი ჩუბინოვისა,<sup>3</sup> აგრეთვე, გრამატიკა ბ-ნი იოსელიანისა.<sup>4</sup>

უღრმესი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,  
მაქვს პატივი, მონყალეო ხელმწიფეო...

21 მარტი, 1853.

### 33. მიხეილ შჩერბინინისადმი

მის აღმატებულებას,  
მიხეილ პავლეს ძე შჩერბინინს

ნება მიბოძეთ უმორჩილესად გთხოვოთ, თქვენო აღმატებულება, თქვენი კეთილმონყალე ყურადღება მივაპყრო შემდეგ გარემობას:

დღემდე გადაუწყვეტელი რჩება ბორჯომის მამულზე ჩემი უფლების საკითხი.<sup>1</sup>

ვივინყებ ყველაფერს, რაც ჩემს ზურგს უკან ან ჩემ წინააღმდეგ თქმულა ამ საქმის გარშემო და პირდაპირ გადავდივარ თვითონ საქმეზე:

შესაძლებელია თუ არა, ჩემი უფლება დაირღვეს კანონის ძალით და უნდა დაირღვეს თუ არა ჩემი ეს უფლება სინდისის საფუძველზე?

ნასყიდობის აქტი შედგა 1848 წლის თებერვალში, ამ აქტზე დაყრდნობით იმავე წლის ნოემბერში სასამართლო წესით ქონება ჩემს საკუთრებაში გადმოვიდა. –

ამ სახით შექმნილ ქონებაზე მესაკუთრის უფლების დარღვევის ორი კანონიერი საშუალება არსებობს:

ა) სასამართლო დავა აქტის არაკანონიერების შესახებ საკუთრების ახალი მფლობელის ხელში გადასვლიდან ორი წლის განმავლობაში. – მე-10 ტომის 1276-ე, 1277-ე და 2671-ე მუხლები.

ბ) გაყიდული მამულის გამოსყიდვა სამი წლის განმავლობაში. – მე-10 ტომის მუხლი 1125.

მაგრამ არავის მიუმართავს ან ერთი, ან მეორე საშუალებისთვის არც ორი და არც სამი წლის განმავლობაში, ხოლო 1126-ე, 1276, 1277-ე და 2671-ე მუხლების თანახმად, უკვე ვერც ვერავინ მიმართავს რომელიმე საშუალებას.

ხსენებული აქტის უკანონობის შესახებ დავა შეიძლება გამართულიყო მხოლოდ ერთ შემთხვევაში; კერძოდ, თუ იქ არ იქნებოდა დამატებითი შენიშვნა – არის თუ არა ნაყიდი მამული დავის საგანი.

მართლაც, მე-10 ტომის 1150-ე მუხლის მიხედვით, **სავალდებულოა**, ნასყიდობის აქტში როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის ყურადღება მიექცეს ხსენებულ დამატებით შენიშვნას.

ნასყიდობის აქტი 1180-ე მუხლის საფუძველზე უნდა შეიცავდეს **აუცილებელ** და **ნებაყოფლობით** პირობებს.

**აუცილებელი** პირობები, რომლებიც მითითებულია 1181-ე მუხლში, შეტანილია ნასყიდობის აქტში 647-ე მუხლის საფუძველზე და იმ ფორმით, რომელიც 1175-ე მუხლს აქვს დართული.

ხოლო **ნებაყოფლობითი** პირობები, რომელშიც 1150-ე მუხლით სასამართლო დანესებულების ვალდებულებაც შედის, აქტში არ არის შეტანილი; ეს იმიტომ, რომ ხსენებული მუხ-

ლი ყველა შემთხვევაში მეორე პერიოდშიც ინარჩუნებს თავის უდავო ძალმოსილებას და არ არსებობს კანონი, რომელიც აქტში რომელიმე ან არც ერთი **ნებაყოფლობითი** პირობის არარსებობის შემთხვევაში ამ აქტს გააბათილებდა. – ესეც რომ არ იყოს, გაბათილება ისედაც უნდა მოხდეს მაინცადამაინც სასამართლოს მიერ და იმ ვითარების გათვალისწინებით, რომელიც ზემოთ მითითებულია პუნქტში ა.

შესაბამისად, კანონის მიხედვით (მუხლი 2739), უკვე შეუძლებელია აქტის გაბათილება თვით სასამართლოს მიერაც კი.

შემდეგ:

შესაძლებელია თუ არა ჩემი უფლება დარღვეულ იქნეს ზნეობითი მიდგომების საფუძველზე?

თუკი ჩემი უფლება ვერ დაირღვევა კანონის საფუძველზე, მაშინ იმავე კანონის ძალით უნდა აღკვეთილ იქნეს ყველა ის მოქმედება, რომელიც ამ ჩემს უფლებას დაარღვევს.

და თუ საქმეს მაინც სასამართლოს გასარჩევად გამიხდინან, მაშინ თვითონ ეს საქმე ორგვარ შედეგამდე მიგვიყვანს:

ჩემს წილს დაისაკუთრებს ხაზინა, რომელსაც იგი სჭირდება, და ეს მოხდება იმ წესით, რომელიც მე-10 ტ. 488-505 მუხლებშია მითითებული;

ავალოვები გადაეცემიან სასამართლოს მე-10 ტ. 1164-ე მუხლის საფუძველზე.

პირველ შემთხვევაში ანაზღაურება უნდა განისაზღვროს სპეციალური კომისიის შეფასების საფუძველზე. – თუ ბორჯომში 800 დესეტიანა მინა კომისიის მიერ შეფასებულია 18 000 მანეთად (ვერცხლით), მაშინ ერთ დესეტიანაზე გამოდის 22 მან. 50 კაპ. ასეთ შემთხვევაში ჩემი მეათედი წილი, რომელიც უკანასკნელი გაზომვით შეადგენს 17 000 დესეტიანას, უნდა ღირდეს 382 500 მანეთი. – თუ ანგარიშის საფუძველად ავიღებთ ამ თანხის მეოთხედს, მივიღებთ 95 000 მანეთს, რომელიც 4%-ის დარიცხვით წელიწადში მოგვცემს 3 800 მან. შემოსავალს. – და თუ ავიღებთ ამ უკანასკნელი თანხის მეოთხედს, ჩემი კანო-

ნიერი ანაზღაურება minimum უნდა შეადგენდეს 950 მანეთს ნელინადში, მე კი თანახმა ვარ 500-ზე. –

მეორე შემთხვევაში სისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელთა დებულების 2210-ე მუხლით ავალოვებს გაყალბების ბრალდებით გაასამართლებენ.

გამოდის, რომ ჩემი უფლების დარღვევა საზარალო იქნება ხაზინისთვის და დამლუპველი – ავალოვების ძველისძველი ოჯახისთვის; ავალოვებისა, რომლებსაც, შესაძლოა, უნებლიეთ და გაუაზრებლად მოუვიდათ გადაცდომა და ამით მოხდა მათი მხრიდან ქონებრივი უფლების შელახვა.

სრულად მაქვს გააზრებული, თუ რამდენად უმნიშვნელოა ასეთი მამულიდან ნელინადში 500 მან. შემოსავალი, თუმცა არა მარტო თანახმა ვარ ასეთი ანაზღაურებისა, არამედ მივიღებ მას, როგორც კეთილი ნების გამოვლენას – ჯერ ერთი, არაფრით არ მინდა პირდაპირი ან ირიბი უარყოფა გამომივიდეს იმ საშუალებისა, რომელსაც თავადი მიხეილ სიმონის ძე<sup>2</sup> სამართლიანად მიიჩნევს, ხოლო, მეორე მხრივ, არ მინდა ჩემი მიზეზითა და გაყალბების ბრალდებით გაასამართლდნენ ავალოვები, რომლებსაც დიდი ხანია, ისედაც ძლივძლივობით გააქვთ თავი. –

უმაღლესი ხელისუფლების მიერ უგანათლებულეს თავადს<sup>3</sup> მისთვის მინიჭებული უფლებით შეუძლია გადაწყვიტოს ეს საქმე – მისცეს თითოეულს თავ-თავისი წილი გარკვეული თანხიდან. ამით მისი უგანათლებულებობა სიკეთეს გამოიჩენს ახლახან გარდაცვლილი ზურაბ ავალოვის გალარიბებული და დაობლებული ოჯახის მიმართ და მეც გამომიყვანს იმ უკიდურესი მდგომარეობიდან, რომლის შესახებაც პატივი მერგო, ზემოთ მომეხსენებინა.

25 მაისი 1853.

### 34. ქაიხოსრო ყიფიანისადმი

ძვირფასო ძმაო

ქაიხოსრო ივანეს ძევ,

ვინაიდან სამსახურის გამო მონყვეტილი ვარ ჩვენს გაუყოფელ მამულს, თქვენ, უფროს ძმას, რომელიც მესაკუთრის უფლებით როგორც შთამომავლობით, ისე კეთილშენადენ,<sup>1</sup> დასახლებულ თუ დაუსახლებელ საერთო მამულში ჩემს წილსაც განაგებთ, განიჭებთ შემოსავლის ჩვენ შორის განაწილების უფლებას. ამასთანავე, განიჭებთ უფლებას, ნებისმიერი მხრიდან ხელყოფის შემთხვევაში ჩვენი საკუთრების უფლება კანონიერი ფორმებით დაიცვათ როგორც საპოლიციო, ისე სასამართლო უწყებებში, რათა არაფერი დაგვაკლდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მოხდება ან საკუთარი კეთილნებით, ან – სასამართლოს გადანყვეტილებით. რასაც თქვენ ამ ჩემი მინდობილობის საფუძველზე კანონის ფარგლებში გადანყვეტთ, დავეთანხმები უდავოდ და სიტყვის შეუბრუნებლად.

თქვენი ძმა

1 ივნისი 1853.

წინამდებარე მინდობილობა ეკუთვნის ტფილისის გუბერნიის გორის მაზრისა და ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის მემამულეს,<sup>2</sup> პრაპორშჩიკ ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანს.<sup>3</sup>

### 35. უცნობი პირისადმი

ცალკე მოხსენება ჩემი მოსაზრების შესახებ, ოღონდ **არა ყურნალში შესატანად:**

კიკოვეის საქმეზე მსჯელობისას ვცდილობდი, რომ საბჭო-ზე გამოთქმულ ჩემს მოსაზრებებს დამსწრეთა საყვედურები არ გამოენვია. ამიტომაც საბჭოს ა. წ. 15 მაისის დადგენილებას საერთოდ არ შევხებივარ. – სამაგიეროდ, იმედი მაქვს, ისინი ნებას მომცემენ ხსენებული დადგენილების შესახებ აზრი გამოვთქვა **შინაურულად** და, თუ ვინიცობაა, დარწმუნდებიან საკუთარ შეცდომაში, შეუძლიათ, ჩემ გარეშე იმსჯელონ მის გამოსწორებაზე.

საკითხი სასამართლო-საპოლიციო საქმეთა წარმოების წესის შესახებ მე 1852 წელს დავაყენე. საბჭოს მაშინვე შეეძლო კანონების საფუძველზე მისი გადაწყვეტა, თუმცა არჩიეს, ჯერ გუბერნიების ხელმძღვანელთა წინასწარი აზრი გამოეთხოვათ და მსჯელობა მათი პასუხების მიღებამდე გადაედოთ. – ნაწილი ამ აზრებისა დღემდე არ არის მიღებული. ამასობაში კი საბჭომ ერთ კერძო საქმესთან დაკავშირებით უკვე 15 მაისის ჟურნალის მიხედვით გადაწყვიტა საკითხი.

ღირდა თუ არა ეს მანამ, სანამ ყველა წინასწარი პასუხი მიღებული არ არის და არც მათზე მსჯელობა გამართულა, ამის შესახებ არაფერს ვიტყვი – პირდაპირ საქმეზე გადავალ.

აი, რა წერია საბჭოს 15 მაისის დადგენილებაში:

„საგუბერნიო მმართველობას არ შეუძლია რევიზია ან შეცვლა სამაზრო და საქალაქო მმართველობათა ისეთი გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ასეთმა მმართველობებმა მიიღეს, **როგორც სასამართლო დანესებულებებმა**“.

ვინაიდან პოლიცია ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება სასამართლო დანესებულებად, მე ვფიქრობ, ზემოთ ხაზგასმული სიტყვები ასე უნდა იყოს: **„როგორც სასამართლო-საპოლიციო დანესებულებებმა“**. ასეთ შემთხვევაში – ან თუნდაც დღევანდელი ფორმულირებით – პირველი ნაწილი საბჭოს დადგენილებისა არავითარ დავას არ იწვევს, მაგრამ ამას იქვე მოსდევს: „ყველა სხვა დანარჩენი განკარგულება თუ მოქმედება მათი, როგორც **საპოლიციო დანესებულებებისა**, წარმოებისთვის საგუბერნიო მმართველობას გადაეცემა“.

და ეს სავსებით მართებული და ნათელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ნაცვლად ხაზგასმული სიტყვებისა, ჩაინერება ასე: „მათ მიერ წარმოებულ **სააღსრულებლო და საგანმკარგულებლო** საქმეებზე“, რამდენადაც, **ჯერ ერთი**, სამაზრო და საქალაქო მმართველობები წმინდა წყლის საპოლიციო დაწესებულებებია და, **მეორეც**, საპოლიციო დაწესებულებებს სამი ტიპის საუნწყებო მიმართულება აქვთ: **აღმასრულებელი, განმკარგულებელი და სასამართლო-საპოლიციო**.

მომიტყვეთ მეგობრული გულახდილობისათვის, მაგრამ არასაკმარისი მკაფიოობის მიზეზით საპოლიციო დაწესებულებებთან დაკავშირებული ზოგიერთი შეხედულების უმართებულობა ცხადზე ცხადია. ამაზე მეტყველებს ის დასკვნა, რომელიც მეორე ნაწილს მოსდევს:

„ამიტომაც მან – ე. ი. საგუბერნიო მმართველობამ – უნდა განიხილოს სამაზრო მმართველობის წინააღმდეგ შერმაზანოვის საჩივარი და შემდეგ სახელმძღვანელოდ აქ მიღებული გადანყვეტილება იქნეს მიღებული“.

კი მაგრამ, შერმაზანოვის საჩივარი ხომ **სასამართლო-საპოლიციო** გადანყვეტილების მისაღებად იყო შეტანილი? არადა, თქვენი სიტყვები რომ გავიმეოროთ, სამაზრო მმართველობა არის **სასამართლო დაწესებულება**. შესაბამისად, მას კანონი ვერ მისცემს საშუალებას, მიიღოს გადანყვეტილება, რომელიც თავისი ხასიათით **სასამართლო-საპოლიციოა**.

ხომ არ ნიშნავს ეს ყველაფერი იმას, რომ საბჭო დაუპირისპირდა საკუთარ თავსაც და კანონსაც?

ეს ყველაფერი იმასაც ხომ არ ნიშნავს, რომ საბჭომ მიიწონა და უკვე დაამკვიდრა კიდეც მცდარი და მეტად მძიმე პრაქტიკა საგუბერნიო მმართველობისთვისაც და კერძო პირებისთვისაც?

ცოტაოდენ მაინც იფიქრეთ ამაზე და შემდეგ ისე გადანყვეტეთ, როგორც თქვენ გსურდეთ.

[1853-1857]

### 36. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ბარონო ალექსანდრე პავლეს ძე

შევასრულე თქვენი დავალება და დაწვრილებით შევისწავლე ტფილისის გიმნაზიისთვის განკუთვნილი და კლასების მიხედვით განაწილებული ქართული ენის გაკვეთილების ცხრილი, რომელიც ჩემ სახელზე გუშინდელი თარიღითაა გამოგზავნილი. გავითვალისწინე ამ საგნის სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების ნაკლებობა და სასარგებლოდ მივიჩნიე, რომ ცხრილში შემეტანა ზოგიერთი ცვლილება და ეს ცვლილებები ცალკე თანდართულ ფურცელზეა ასახული.<sup>1</sup>

ცხრილის შედგენისას ვიხელმძღვანელე იმ მოსაზრებით, რომ, როგორც მასწავლებლებმა, ისე გამომცდელებმა სახელმძღვანელოთა ნაკლებობის პირობებში შეძლონ უფრო მკაფიოდ და უფრო შესაფერისად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოთხოვნები, ხოლო იმათ, ვისაც გიმნაზიისთვის სახელმძღვანელოების შედგენის სურვილი გაუჩნდებათ, თავის მხრივ, შემსუბუქდებათ შრომა.

წარმოგიდგენთ რა ყოველივე ამას თქვენს აღმატებულებას განსახილველად, მაქვს პატივი...

14 მარტი 1854.

### 37. ევგრაფი ვერდერეესკისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ევგრაფ ალექსის ძე!

თქვენი ა. ნ. 21 რიცხვის წერილზე<sup>1</sup> (№258) წინამდებარე პასუხის დაგვიანების გამართლება იმითღა შემიძლია, რომ, სიმართლე გითხრათ, აქამდე არ ვიცი, რა გიპასუხოთ.



როგორც ამიერკავკასიის მკვიდრმა, არ შემიძლია, წარმატება არ ვუსურვო თქვენს გაზეთს. თუმცა, სამწუხაროდ, თავი უნდა ავარიდო ყოველგვარ თანამშრომლობას არა მარტო თქვენს გაზეთთან, არამედ ყველაფერთან, რაც ამ გაზეთის რედაქციას უკავშირდება. ჩემი საყვედური კონკრეტულ პირს კი არ ეხება, არამედ რედაქციას – წინანდელმა ხელმძღვანელობამ ჩემი სტატია ისეთი შეცდომებით დაბეჭდა,<sup>2</sup> რომ იძულებული გავხდი, რედაქციისაგან არა მარტო უსიამოვნო ფორმით მომეთხოვა ახსნა-განმარტება, არამედ საერთოდ შემენწყვიტა მასთან ურთიერთობა (საქმე ის კი არ არის, თვითონ ჩემი სტატია იმსახურებდა თუ არა რაიმე ყურადღებას, არამედ ის, შეიძლება თუ არა ასეთი დაუდევრობა გამოიჩინო იმ ადამიანის შრომის მიმართ, რომელიც შენთან **თანამშრომლობს**, არ ითხოვს არავითარ გასამრჯელოს და მოითხოვს მხოლოდ აკურატულობას ბეჭდვისას).

თქვენმა 23 მარტის სათანამშრომლოდ მიწვევამ<sup>3</sup> შეცვალა ჩემი ადრინდელი დამოკიდებულება და რა გამოვიდა აქედან? ჩემი ახალი სტატია ახალმა რედაქციამ ისევ მიუტევებელი შეცდომებით დაბეჭდა.<sup>4</sup> სიტყვას არ გავაგრძელებ იმაზე, რომ ჩემი ნაშრომისადმი მეტი ყურადღების გამოჩენა რედაქციის ხარჯს, მართალია, 2-3 მანეთით კი გაზრდიდა, მაგრამ სამაგიეროდ აღარ მოხდებოდა ასეთი, მე ვიტყვოდი, სასაცილო რამ: ნაბეჭდში შეწყვილებულია ერთი და იგივე ქართული ასოები, არადა ეს ასოები ინდურთან უნდა ყოფილიყო შეწყვილებული.<sup>5</sup> – აღარაფერს ვამბობ სხვა წვრილ-წვრილ კორექტურულ ხარვეზებზე, მაგრამ ერთ გარემოებაზე კი გავამახვილებ ყურადღებას:

ბროშურაში, რომელიც 10 ეგზემპლარად გამომიგზავნეთ, გამოტოვებულია **ყველაფერი**, რაც დაბეჭდილი იყო „კავკასიის“ 32-ე ნომერში.<sup>6</sup>

გულზე ხელი დაიდეთ, ევგრაფი ალექსის ძეგ, და ისე მითხა-

რით, როგორ უნდა მიიღოს სათანამშრომლოდ მიწვევა იმ ავტორმა, რომლის სტატია დამახინჯებულად ქვეყნდება?

თუმცა, ვიდრე კეთილინებებდეთ და პასუხს გამოგზავნიდეთ, საჭიროდ მიმაჩნია, დაგიბრუნოთ ბროშურის ერთი ეგზემპლარი **წარწერის** გარეშე, თუმცა იმის აღნიშვნითა და უმოჩილესი თხოვნით, რომ ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს სრულ პატივისცემასა და ერთგულებას.

28 ივნისი 1854 წ.

### 38. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

მის აღმატებულებას,

ბ-ნ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს

ა. ნ. 25 აგვისტოს მიმართვის (№1855) თანახმად, თქვენს აღმატებულებას სურს, მოგახსენოთ ჩემი აზრი ბ-ნი კერესელიძის ლიტერატურული შესაძლებლობების შესახებ მის მიერ ქართული ჟურნალის, „ცისკრის“, გამოცემის განზრახვასთან დაკავშირებით.<sup>1</sup>

სანამ მივიღებდი შესაბამის ცნობებს და მათზე დაყრდნობით აღნიშნული საკითხის შესახებ ჩემს შეხედულებას მოგახსენებდით, პატივი მქონდა, იგივე თხოვნა (№2240) თქვენი თანაშემწისგანაც მიმელო.<sup>2</sup>

ბ-ნი სამოქალაქო მრჩეველი მაქსიმოვიჩი ეყრდნობა ტფილისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორის პატაკს<sup>3</sup> იმის შესახებ, რომ ბ-ნი კერესელიძეს განზრახული აქვს, გააფართოოს ჟურნალის პროფილი და რომ მე მას თანხმობა მივეცი, ვიკისრო ჟურნალში დასაბეჭდი მასალის შერჩევასა და ხარისხზე მეთვალყურეობა. ბ-ნი მაქსიმოვიჩი მთხოვს, ვაცნობო პასუხი

თქვენს აღმატებულებას როგორც თქვენს წინადადებაზე, ისე სასწავლებელთა დირექტორის პატაკზეც.

თქვენი აღმატებულების კითხვაზე პასუხის გაცემა მე უკვე აღარ მიჭირს: ბ-ნ კერესელიძეს, როცა იგი ჟურნალის გამოცემას კისრულობს, იმედი აქვს, ჟურნალის ლიტერატურულ ღირსებებს უზრუნველყოფს იმ სავსებით კეთილსაიმედო პირთა დახმარებით, რომლებმაც თანამშრომლობა აღუთქვეს.

მაგრამ მე სხვა საკითხი მაბრკოლებს – ოფიციალურად გამოცხადება ჩემი თანხმობისა, ვიყო ჟურნალის ხელმძღვანელი.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ საკმაოდ მრავალრიცხოვან ქართულ თავადაზნაურობას არ სჭირდებოდეს ისეთი პერიოდული გამოცემა, რომელიც გაავრცელებს მმართველობისათვის სასურველ ცნობებსა და წარმოდგენებს. არც იმის თქმა შეიძლება, რომ გამოცემა უსარგებლო იქნება არაადგილობრივი მკითხველისთვისაც, რამდენადაც მასში შეიძლება დაიბეჭდოს ცნობები ქართველთა ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების, თქმულებებისა და სხვა ტიპის გადმოცემების შესახებ.

საკითხის მიმართ ჩემი ამგვარი დამოკიდებულებისა და კიდევ იმის გამო, რომ ბ-ნ კერესელიძეს გადაუწყვეტია ჟურნალის პროფილის გაფართოება იმაზე მეტად, ვიდრე აქამდე ჰქონდა „ცისკარს“,<sup>4</sup> აუცილებელი მგონია, მკაფიოდ განისაზღვროს როგორც ჟურნალის პროფილი, ისე ჟურნალის მიზანიც.<sup>5</sup>

მე არ ვიცი, აქამდე რა მითითება არსებობდა, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, აღნიშნული საკითხის გარშემო საკუთარი აზრი მოგახსენოთ:

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიცვალოს ჟურნალის სახელწოდება – იგი უნდა გახდეს იმდენად პირდაპირი და სადა, რამდენადაც თვითონ გამოცემისთვის უცხო უნდა იყოს ყოველგვარი ქარაგმული ლაპარაკი. ამიტომაც ჟურნალს, ვფიქრობ, უნდა ეწოდოს ქართული ან, უფრო მარტივად, ტფილისის ჟურნალი.

2. სამომავლოდ ისტორიის დამუშავების გაადვილების მიზნით ჟურნალს უნდა მიეცეს უფლება, მასალების სახით ბეჭ-

დოს როგორც თვითონ რედაქციის მიერ მოპოვებული, ისე, და განსაკუთრებით, მმართველობის ხელთ არსებული ძველი აქტები, მაგრამ მათმა გამოქვეყნებამ არ უნდა დააზარალოს ვინმეს კერძო ინტერესები, ანუ ამ სახით გამოქვეყნებულ აქტებს არ უნდა მიეცეს არავითარი ოფიციალური მნიშვნელობა. ამასთანავე, მათი გამოქვეყნებისას გამოტოვებული უნდა იქნეს ყველაფერი, რასაც კავშირი არა აქვს ისტორიის კვლევასთან.

ამ თემაზე კერძო საუბარში მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარქოსმა<sup>6</sup> კეთილინება დაედასტურებინა, რომ, მისი აზრით, არავითარი დაბრკოლება არ შეხვდება ჟურნალში საეკლესიო გუჯრების გამოქვეყნებას.<sup>7</sup> ამ გუჯრებში კი, უნდა ვიფიქროთ, მრავალი მნიშვნელოვანი საისტორიო ცნობა იქნება დაცული. მათგან რედაქციამ უნდა ბეჭდოს მხოლოდ ის მასალა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ საისტორიო ღირებულება აქვს.

3. ხელისუფლების ყველა განკარგულება, განცხადება თუ გამოძახება, რომლებიც უნდა გამოქვეყნდეს მათი აღსრულების ან საპოლიციო თუ სასამართლო წესით პიროვნულ და ქონებრივ უფლებათა დაცვის მიზნით, მხარის ქართველი მოსახლეობისათვის უმეტესწილად უცნობი რჩება. ეს კი იმიტომ ხდება, რომ არ არსებობს არც ერთი პერიოდული გამოცემა ქართულ ენაზე. ამიტომაც ფრიად სასარგებლო იქნება, თუ ქართულ ჟურნალს მიენიჭება ოფიციალური მნიშვნელობა და წესად იქცევა, რომ აქ, ისევე, როგორც საგუბერნიო უწყებებში, გამოქვეყნდეს ოფიციალური განკარგულებები, განცხადებები, გამოძახებები.

ამ პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში მზად ვარ, როგორც ოფიციალურმა პირმა, ვიკისრო ქართული ჟურნალის ხელმძღვანელობა.

და ასეთ შემთხვევაში, თავს ნებას მივცემდი მეთხოვა:

ა) ჟურნალი იყოს ამიერკავკასიის ხელისუფლების მფარველობის ქვეშ; და

ბ) ჟურნალის ნომრების დაუბრკოლებლად გამოცემისთვის საჭირო იქნება მომეცეს უფლება, ავტორთა წინაშე პასუხისმგებლობის გარეშე გადავხედო მათ ნაწერებს, ჩავასწორო ისინი და გამოქვეყნება-არგამოქვეყნების საკითხიც მე თვითონ გადავწყვიტო.

აი, ყველაფერი, რაც მინდოდა თქვენი აღმატებულებისთვის მიმენდო გადასაწყვეტად და გთხოვთ, შემდგომაც მაცნობოთ საქმის მსვლელობა.

10 ნოემბერი 1854.

### 39. იაკობ არზანოვისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
იაკობ ნიკიტას ძევ

გიგზავნით თანხას, **ოცდათხუთმეტ** მანეთს ვერცხლით. გთხოვთ, დამიბრუნოთ მაშინ, როცა გარემოებები ამის საშუალებას მოგცემთ.

25 ნოემბერი [1854].

### 40. მიხეილ შჩერბინინისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
მიხეილ პავლეს ძევ!

გიგზავნით კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ყოფილი დირექტორის 1849 წლის 10 იანვრის ჩემდამი მომართვის ასლს (№100).<sup>1</sup> თქვენი აღმატებულება აქ ნახავს იმ სპეციალურ პირობებს, რომლებითაც იქნა მიღებული ჩემი წიგნები

იმ დროისთვის ჯერ კიდევ კანცელარიასთან არსებულ ბიბლიოთეკაში.<sup>2</sup>

პირობათა მე-3 პუნქტის მიხედვით, მე მქონდა ნებისმიერ დროს ჩემი წიგნების ორი მესამედის უკან წაღების უფლება. ზუსტად უნდა დაცულიყო სხვა პირობებიც, თუმცა 1850 წლიდან მე-4 პუნქტი პირობისა საერთოდ არ შესრულებულა.<sup>3</sup> ამას გარდა, წიგნს შინ არ მატანდნენ, რითაც პრინციპულად არის დარღვეული შეთანხმების პირველი პუნქტი. ყოველივე ამის გამო გამიჩნდა სურვილი, ჩემი საკუთრების უფლება დაცული იყოს სრულად და შეუზღუდავად, რითაც ბიბლიოთეკა, თავის მხრივ, კარგავს შესაბამის უფლებას. უმორჩილესად გთხოვთ, გასცეთ განკარგულება, რომ დამიბრუნონ ყველა ის წიგნი, რომლებიც 1848 წლის ივნისში ან განსვენებულ ბიბლიოთეკარ ტოკარევს ჩავაბარე<sup>4</sup> და, შესაბამისი კატალოგის საფუძველზე, ყველა ეს წიგნი გადასცენ ჩემი რწმუნებით აღჭურვილ პირს. განკარგულების შესახებ გთხოვთ, პატივი დამდოთ და საქმის კურსში ჩამაყენოთ.

უგულთადესი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,  
თქვენი აღმატებულების უმორჩილესი მოსამსახურე  
**დიმიტრი ყიფიანი**

20 დეკემბერი 1854 წ.

1855

#### 41. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი

უძვირფასესს კნიაზს კონსტანტინე დავითიჩს უგულთადესს პატივისცემას მოვახსენებ და ღმერთსა ვჰსთხოვ წრფელის გულთა ამყოფოს სიმრთელითა და სიმშვიდითა. —

ამასთან ერთს წიგნს გიგზავნით და გთხოვთ უბძანოთ ვისმე, ჩემს დისწულს ალექსანდრე კვალიევს მისცენ.<sup>1</sup> —

აქაური ანბავი ეს გახლავსთ, რომ ნამესტნიკი ნუხელის მობძანდა<sup>2</sup> და სხვა კი ჯერ არა ვიცითრა. სევასტოპოლის ანბავი გაგონილი გექნებათ,<sup>3</sup> ერთმა ჩინოვნიკმა დიდი გამარჯვება სთქვა ჩვენის ჯარისა ამ აპრილის 1-ს, თუ 2-ს; გაზეთებიდამ კი მხოლოდ ესა ჰსჩანს, რომ 28 მარტიდამ აპრილის 3-მდინ ზარბაზნის სროლა გაუწყვეტელი ყოფილა; მერე რა მოხდა, იქნება ისიც შევიტყოთ.

სულით და გულით თქვენი პატივისმცემელი  
და უმორჩილესი  
**დ. ყიფიანი**

25 აპრილი [1855 წ.]

## **42. თბილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატისადმი**

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი**  
ხაზინასთან დავის საქმეში მონაწილეობასთან  
დაკავშირებით ი თ ხ ო ვ ს:

1.

ჩემმა ღვიძლმა ძმამ, ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანმა, საკუთარი სახელითა და ჩემი მინდობილობით გასული 1854 წლის ივნისის დამდეგს ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატაში შეიტანა სარჩელი ხაზინის წინააღმდეგ – ვითხოვდით ბორჯომის მამულის მეათედ ნაწილზე, რომელიც თავად ავალიშვილებისგან გვაქვს შეძენილი, დარღვეული საბატონო უფლებების აღდგენას.<sup>1</sup>

2.

ვინაიდან ამჟამად ჩემი ზემოხსენებული ძმა თურქების წინააღმდეგ ქურუქ-დარასთან 1854 წლის 24 ივლისს გამართულ ბრძოლაში მიღებული ჭრილობისგან არ არის განკურნებული,<sup>2</sup>

გასული მაისის 13-ში გორის მაზრის სასამართლოში წარადგინა მინდობილობა, რომელიც იმავე თარიღით იქაურ დავთარშიცაა გატარებული (№34) და ჩემთვის იმავე რიცხვითაა გამოგზავნილი. წარმოგიდგენთ რა ზემოაღნიშნული მინდობილობის დედანს სათანადო წესით გერბიან ქალაქზე გადატანილი ასლის თანდართვით, უმორჩილესად გთხოვთ:

3.

წარმოდგენილი მინდობილობის საფუძველზე ჩვენსა და ხაზინას შორის გამართულ სასამართლო დავაში ჩამართოთ მოსარჩელის უფლებით.<sup>3</sup>

ტფილისი, 1 ივნისი, 1855 წელი.

თხოვნა შედგენილია ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატაში წარსადგენად. – ამჟამად ვცხოვრობ ქალაქ ტფილისში, სადაც ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის საბჭოში ვმსახურობ.<sup>4</sup> – თხოვნა დაწერილი და გაგზავნილია მთხოვნელის მიერ.

#### **43. თბილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატისადმი**

ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო  
სასამართლოს პალატას

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველის  
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის**

ა ხ ს ნ ა - გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატამ ამა წლის 23 მარტის №864 განკარგულებასთან ერთად



გორის მაზრის უფროსს ჩემი ძმისთვის, ქაიხოსრო ყიფიანის-თვის, ჩასაბარებლად გაუგზავნა ტფილისის გუბერნიის პროკურორის ამხანაგის<sup>1</sup> 1854 წლის 3 ნოემბრის №196 მიმართვის ასლი. ქაიხოსრო ყიფიანს ბორჯომის მამულის<sup>2</sup> თაობაზე მის სასარჩელო თხოვნასთან დაკავშირებით პროკურორის ამხანაგის მიმართვაზე სათანადო ახსნა-განმარტება მოეთხოვე-ბოდა.

ჩემმა ძმამ, პრაპორშჩიკმა ქაიხოსრო ყიფიანმა, თავისი პასუხი წარუდგინა სურამის საუბნო მოსამართლეს, რომლისთვისაც მაზრის უფროსს პალატის განკარგულება აღსასრულებლად ჰქონდა გადაგზავნილი. ქაიხოსრო ყიფიანის პასუხი იყო, რომ იგი ხსენებულ ასლს ვერ ჩაიბარებდა, რადგან იმავე მაისის 13 რიცხვის მინდობილობით საქმეში მონაწილეობის უფლება ჩემთვის აქვს გადმოცემული (მინდობილობა ამა წლის 1 ივნისს პალატისთვის მაქვს წარდგენილი სასამართლო თხოვნასთან ერთად).<sup>3</sup>

ჩემი ძმის ამგვარი პასუხის შემდეგ პალატის განკარგულებ-ის ასლი ჩემთვის ჩასაბარებლად სამაზრო მმართველობიდან გადაეგზავნა ტფილისის საქალაქო პოლიციას, რომელმაც ამა-თვის **23 რიცხვში** იმავე თარიღითა (№10645) და პოლიციის პირველი ნაწილის ბოქაულის ხელით განკარგულების ასლი ჩამაბარა.

ჩემთვის ჩაბარებული ასლით ირკვევა, რომ ბ-ნი გუბერ-ნიის პროკურორის ამხანაგი, რომელსაც ხელმძღვანელობის მიერ ხსენებულ საქმეზე ხაზინის ინტერესთა დაცვა აქვს და-ვალებული, ჩემი ძმის გასული 1854 წლის 24 ივნისის სასარ-ჩელო თხოვნაზე გაცემულ პასუხში ასეთ მოსაზრებებს აყა-ლიბებს:

1. თავადმა ავალოვებმა 1852 წლის აქტით თავიანთი ბორ-ჯომის ადგილ-მამულის ხაზინისთვის დათმობამდე განაცხა-დეს, რომ თავად ზურაბ ავალოვს, რომელმაც მე და ჩემს ძმას ბორჯომის ადგილ-მამულის მეათედი წილი მოგვყიდა, ამ წი-ლის **გაყიდვის უფლება არ ჰქონდა**.

2. თავადმა ავლოვებმა ხაზინასთან დადებული 1852 წლის აქტით იკისრეს ვალდებულება, რომ თვითონ დააკმაყოფილებენ იმათ, რომლებიც ბორჯომის მამულზე წარადგენენ და დაასაბუთებენ თავიანთ უფლებას; და

3. ამ აქტის მიხედვით, პასუხი ჩვენს სარჩელზე თავდაპირველად უნდა მოვთხოვოთ თავად ავლოვებს, ხოლო მათ ხაზინის საზარალო რაიმიე დათმობა რომ ვერ შეძლონ, ბ-ნი გუბერნიის პროკურორის ამხანაგი ითხოვს როგორც ავლოვების, ისე ჩვენი პასუხების მისთვის გადაცემას ხაზინის მხრიდან სათანადო ახსნა-განმარტებების შესამუშავებლად.

ჩემი ძმის სასარჩელო თხოვნაზე ამგვარი პასუხების გასაბათილებლად, აგრეთვე, ხსენებული თხოვნის დასასაბუთებლად, მაქვს პატივი, გასული ივნისის 1 რიცხვის მინდობილობის საფუძველზე პუნქტობრივად წარმოვადგინო შემდეგი განმარტებები:

1. ჰქონდა თუ არა თავად ზურაბ ავლოვს ბორჯომის ადგილ-მამულის მეთაედის გაყიდვის უფლება? აღსრულებელი ფაქტია, რომ მან იგი გაყიდა: ნასყიდობის ქალაქი გაფორმებულია 1848 წლის 12 თებერვალს; მის საფუძველზე პოლიციის მიერ საკუთრების უფლება დამტკიცებული გვაქვს იმავე წლის 18 ნოემბერს და ეს მაშინვე გამოეცხადა ბორჯომის ხეობაში მდებარე სოფლების მოსახლეობას. იმ დღიდან მოკიდებული არავის გაუხდია სადავოდ ხსენებული ნასყიდობის ქალაქი, არავის გამოუთქვამს ჩვენ მიერ შეძენილი ადგილ-მამულის გამოსყიდვის სურვილი. შესაბამისად, სამოქალაქო კანონთა მე-10 ტომის 1125-ე, 1276-ე, 1277-ე და 2671-ე მუხლების მიხედვით, ავლოვების 1852 წლის განცხადება არც სავადო, არც სხვა რამ წესით ვერც მაშინ, ვერც ოდესმე ვერ იქონიებდა და ვერ იქონიებს რაიმე გავლენას ზემოხსენებული კანონებით განმტკიცებულ ჩვენს საკუთრების უფლებაზე.

2. მეორე პუნქტში ნახსენები ვალდებულება თავად ავლოვებისა ხაზინას პირდაპირი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებდა იმ შემთხვევაში, თუ იგი ბ-ნი გუბერნიის პრო-

კურორის მიერ ნახსენები 1852 წლის აქტის გაფორმებამდე ბორჯომის ადგილ-მამულზე გამოაცხადებდა თავის ისეთ უფლებას, რომელიც ცნობილი არ იქნებოდა ხელისუფლებისათვის. ჩემი და ჩემი ძმის უფლება კი გამოცხადდა საჯაროდ და დადგენილი წესით: ა) 1848 წლის ნოემბერში, როცა პოლიციამ იმ სამაზრო სასამართლოს განკარგულებით, რომელმაც ჩვენი ნასყიდობის ქალაქი გააფორმა, დაგვიმტკიცა შექმნილი ადგილ-მამული და ამის შესახებ საგანგებოდ და საჯაროდ გამოუცხადა ამ ადგილ-მამულში მცხოვრებთ; ბ) 1851 წელს, დეკემბრის თვეში, პოლიციის იმ მოთხოვნის საფუძველზე, რომლის ადრესატიც ვიყავი როგორც ბორჯომის ადგილ-მამულის რეალური თანამფლობელი, გამოვცხადდი ტფილისის სამხედრო გუბერნატორთან.<sup>4</sup> გუბერნატორს, რომელიც უმაღლესი ხელისუფლების დავალებით ხსენებული ადგილ-მამულის ხაზინისთვის შექმნის საკითხზე მუშაობდა, პირადად წარვუდგინე ჩვენი მეთაფი ნაწილის დამადასტურებელი აქტების დედნები; და გ) 1852 წლის ივლისში ჩემმა ძმამ კერძო გზებით შეიტყო, რომ შესაძლებელი იყო, გორის საერობო პოლიციას ბორჯომის მთელი ადგილ-მამული ხაზინისთვის მფლობელობაში გადაეცა. მაშინ ჩემმა ძმამ მაზრის უფროსის ამხანაგს მიმართა იმავე თვის 8 რიცხვის განცხადებით, რომელშიც ნათქვამია, რომ ხსენებული მამულის მეთაფი ნაწილი აქტებით გვეკუთვნის ჩვენ და მიუთითა კიდევაც ამ აქტებზე. შესაბამისად, ავალოვების ვალდებულებას, რომელიც მე-2 პუნქტშია ნახსენები, მოცემულ საქმესთან ვერავითარი კავშირი ვერ ექნება. ასევე, 1848 წლის ნასყიდობის ქალაქით დადასტურებულ ჩვენს საკუთრებაზე, რომელიც არავის მიერ არასოდეს დადგენილი წესით არ ყოფილა სადავოდ გამოცხადებული, ვერავითარი ძალა თუ გავლენა ვერ ექნება იმ აქტს, რომელიც თავადმა ავალოვებმა ხაზინასთან 1852 წელს გააფორმეს; და

3. ვინაიდან 1852 წლის აქტით შეუძლებელია 1848 წლის აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, სარჩელი უნდა აღიძრას

იმის წინააღმდეგ, ვინც ჩვენი აქტი დაარღვია. თავადი ავალო-  
ვები ვერავითარი გზითა თუ საშუალებებით ამას ვერ შეძლებ-  
დნენ. ჩვენი აქტი დაარღვია მთავრობამ, რომელიც ხაზინის  
სახელით მოქმედებდა და რომელმაც ჩვენს განცხადებებს  
არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ადგილ-მამული, რომლის  
დაბრუნებასაც ვცდილობთ, ხაზინაში პირდაპირ ჩვენი საკუთ-  
რებიდან გადაირიცხა და, შესაბამისად, მხოლოდ ხაზინისგან-  
ვე თუ შევძლებთ ჩვენი საკუთრების დაბრუნებას. ასე და ამგ-  
ვარად, ბ-ნი გუბერნიის პროკურორის მოთხოვნის მე-3 პუნქ-  
ტიც მოცემული საქმის არსთან შეუთავსებელია.

წარმოვუდგენ რა პალატას ამ ახსნა-განმარტებას გადაწყ-  
ვეტილების მისაღებად, მაქვს პატივი, აქვე დავუთხო წინამ-  
დებარე განცხადების ასლი გერბიან ქალაქდზე.

ოცდაექვსი ივლისი 1855 წლისა.

ტფილისი

#### 44. ვასილ ბებუთოვისადმი

ს ა ი დ უ მ ლ ო დ

მის ბრწყინვალეობას, თავად **ვასილ იოსების ძე ბებუთოვს**

ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, **ყიფიანის**

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ საგანგებო მოხსენება,<sup>1</sup> რო-  
მელშიც აღწერილია დაკისრებულ დავალებასთან დაკავშირე-  
ბული ყველა ჩემი მოქმედება.

თავს ვალდებულად მივიჩნევ, დამატებით ისიც მოგახსე-  
ნოთ, რომ:

1. გარდა იმ პირებისა, რომლებიც დავალებებში იყვნენ მითითებულნი, საჭიროდ ჩავთვალე მოგზაურობისას საზოგადოებრივი აზრისთვისაც მომესმინა და წინამდებარე მოხსენებაში ამ გზით მოპოვებული ცნობებიც ჩამერთო; და

2. ამ ცნობათაგან ერთ-ერთი საგანგებო მნიშვნელობას შეიძენს, თუ იგი პირადად ბატონი კავკასიის მეფისნაცვლის მიერაც იქნება დადასტურებული;<sup>2</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს ყოველგვარ ღირებულებას და, ამდენად, არც იმ წყაროს მითითება იქნება საჭირო, ვისგანაც ეს ცნობა მივიღე.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**

14 ოქტომბერი 1855.

ტფილისი

#### 45. ვასილ ბებუთოვისადმი

ს რ უ ლ ი ა დ ს ა ი დ უ მ ლ ო დ

მის ბრწყინვალეობას, თავად **ვასილ იოსების ძე ბებუთოვს**

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველის  
**ყიფიანის**

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

ეს-ეს არის ფოსტით მივიღე გიორგი დადიანის 10 ოქტომბრის წერილი, რომელსაც დართული აქვს აფხაზეთის მთავრის, თავად მიხეილ შარვაშიძის, წერილი (1 ოქტომბრისა).<sup>1</sup>

ერთსაც და მეორესაც, თქვენო ბრწყინვალეობავ, ჩემ მიერ შესრულებული ზუსტი თარგმანითურთ სასწრაფოდ გიგზავ-

ნით, რათა ისინი დაემატოს ჩემ მიერვე ამა წლის 12 ოქტომბრის თარიღით შედგენილ და 14 ოქტომბერს წარდგენილ საიდუმლო მოხსენებას.<sup>2</sup>

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **დ. ყიფიანი**

1 ნოემბერი 1855.

ტფილისი

1856

#### 46. ივანე კოლოსოვსკისადმი

ბ-ნ კავკასიის ცალკე კორპუსის გენერალ-ინტენდანტს

გასული 1855 წლის 28 ნოემბერს კავკასიის ცალკე კორპუსის საინტენდანტო თანხებიდან გენერალ-ლეიტენანტის, თავად ბებუთოვის, განკარგულებაში ჩემი ხელმოწერის საფუძველზე გადაირიცხა და ზონარგაყრილ წიგნშიც გატარდა (№248):

საკრედიტო ბილეთების სახით – 1 000 მან. ვერცხლით.

300 ნახევარიმპერიალი<sup>1</sup> – 1 545. –

ვერცხლის მონეტებით – 455.

ამას გარდა, ცალკეა ჩანერილი შემოსავალი – 60 კაპ.

ვერცხლით.

-----  
სულ – 3 000 მან. 60 კაპ. ვერცხლით.

1855 წ. დეკემბრისა და მიმდინარე 1856 წლის იანვრის ანგარიშში, იმავე ზონარგაყრილი წიგნის მიხედვით, გაცემულია:

საკრედიტო ბილეთების სახით – 6 მან.  
53 ნახევარიმპერიალი – 272. – 95 კაპ.  
ვერცხლის მონეტებით – 303.

-----  
სულ – 581 მან. 95 კაპ.

დასახელებული თანხებიდან შეცდომით გაცემულია ზედ-  
მეტი 60 კაპ. ვერცხლით, შეცდომა კი ოქროს ფასის ვერცხლი-  
საში გადაყვანისას გაიპარა. ეს 60 კაპ. დაბრუნებულია და ჩა-  
წერილია შემოსავლების მე-2 პუნქტში, როგორც ეს ზემოთაც  
არის მითითებული.

ასე რომ, დარჩენილია:

საკრედიტო ბილეთების სახით – 994 მან. ვერცხლით.  
247 ნახევარიმპერიალი – 1 272. – 5 კაპ.  
ვერცხლის მონეტებით – 152. – 60 კაპ.

-----  
სულ – 2418 მან. – 65 კაპ.

დანართის სახით აქვე გიგზავნით ჩემ მიერ ნაჩვენები **ორი  
ათას თვრამეტი მანეთისა და სამოცდახუთი კაპიკის** (ვერცხ-  
ლით) შესახებ ამონაწერს ზონარგაყრილი წიგნიდან, აგრეთ-  
ვე, იმავე წიგნში გატარებულ **ექვს** საგასავლო დოკუმენტს  
(№№34, 72, 81, 34, 35 და 118). ვუგზავნი რა გენერალ-ლეიტე-  
ნანტ ბებუთოვის დავალებით თქვენს მაღალშობილებას ყოვე-  
ლივე ამას, ამასთანავე, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხო-  
ვოთ – მიღებისთანავე უბრძანეთ დამადასტურებელი ქვითრის  
გამოგზავნა ჩემს სახელზე.

ხამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**

30 იანვარი 1856.  
ტფილისი

## 47. კავკასიის მეფისნაცვლის ხაზინისადმი

კავკასიის მეფისნაცვლის ხაზინას

გასული 1855 წლის 28 ნოემბერს ჩემი ხელმოწერის საფუძველზე ხაზინიდან გენერალ-ლეიტენანტის, თავად ბებუთოვის, განკარგულებაში ჩაირიცხა **სამი ათასი** მანეთი ვერცხლით (ზონარგაყრილი წიგნი, №27).

1855 წლის დეკემბერსა და მიმდინარე 1856 წლის იანვარში ამ თანხიდან გახარჯულია **ათას ოცდაორი მანეთი და ოთხმოცდაათი კაპიკი**.

ამასთანავე, ზონარგაყრილი წიგნის (№27) მიხედვით, დარჩენილ **ათას ცხრაას სამოცდაჩვიდმეტ მანეთსა და ათ კაპიკს** (ვერცხლით), აგრეთვე, საგასავლო დოკუმენტებს (№№ 4, 5, 35, 12, 100, 117 და 11) გენერალ-ლეიტენანტ ბებუთოვის დავალებით გიგზავნით თქვენ – კავკასიის მეფისნაცვლის ხაზინას და უმორჩილესად გთხოვთ მიღების დამადასტურებელი ქვითრის გამოგზავნას.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**

30 იანვარი 1856.

ტფილისი

## 48. ვასილ ბებუთოვისადმი

მის ბრწყინვალეობას,  
კავკასიისა და ამიერკავკასიის სამოქალაქო ნაწილის  
მმართველს, ბ-ნ გენერალ-ლეიტენანტსა და კავალერს,  
თავად **ვასილ იოსების ძე ბებუთოვს**



მთავარმმართველობის საბჭოს საქმეთა მმართველის,  
ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის  
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის**

პ ა ტ ა კ ი

ჩემს ამჟამინდელ თანამდებობაზე დაბრუნების შესახებ<sup>1</sup> კავკასიის მეფისნაცვლისადმი გამოგზავნილი უმაღლესი განკარგულების მიღების დღესვე მე შევწყვიტე მუშაობა მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის თანამდებობაზე, რომელსაც თქვენი ბრწყინვალეობის ა. ნ. 20 თებერვლის მიწერილობის საფუძველზე ვასრულებდი. იმავდროულად, დაუყოვნებლივ სპეციალური წერილით მივმართე ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს, ბ-ნ კრუზენშტერნს და ვაცნობე, რომ ვტოვებ თანამდებობას იმავე წესითა და იმავე სახით, რა წესითა და რა სახითაც იგი საიდუმლო მრჩევლისგან, ბ-ნი შჩერბინინისგან, გადმომეცა.

ღრმა პატივისცემით ვაცნობებთ რა თქვენს ბრწყინვალეობას ამას, ამასთანავე, მაქვს პატივი, დავსძინო, რომ ვუბრუნდები ჩემს ამჟამინდელ თანამდებობას.

21 მაისი 1856.

#### **49. ვასილ ბებუთოვისადმი**

პ ა ტ ა კ ი

გუშინდელი წერილით (№1) პატივი მქონდა, თქვენი ბრწყინვალეობისთვის მეცნობებინა, რომ ვუბრუნდები ჩემს ახლანდელ თანამდებობას,<sup>1</sup> თუმცა ავადმყოფობის გამო ჯერჯერობით ვერ შევუდგები თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას.

თავს ვალდებულად მივიჩნევ, თქვენს ბრწყინვალეობას ვაცნობო ამის შესახებ.

22 მაისი [1856].

## 50. ელისაბედ ვორონცოვასადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
კნენინა ეკატერინა ვორონცოვა

ქართველი თავადაზნაურობის 27 რიცხვის სახელდახელოდ მონვეულმა საგანგებო შეკრებამ ფრიად სამწუხარო მოვალეობა დამაკისრა – გამოგიცხადოთ ჩვენი საერთო თანაგრძნობა თქვენს თავს დატეხილი უბედურების გამო. გენერალ-ფელდმარშალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვის გარდაცვალებამ ჩაგვაგდო გამოუთქმელ მწუხარებაში.

სიტყვით ვერ გამოითქმის მისი სახელმწიფოებრივი საქმეები საქართველოში,<sup>1</sup> თუმცა ჩვენთვისაც, ჩვენი შვილებისა და შთამომავლობისთვისაც მარად დაუვინყარი იქნება ის ღვანჯირი, რომელიც განსვენებულმა დასდო ქართველ თავადაზნაურობას. ამ მხარეში სამუდამოდ დარჩება ხსოვნა იმ ადამიანისა, რომელიც მუდამ ჩვენი კეთილდღეობისაკენ მიისწრაფოდა. ჩვენ შევინახავთ მის ხსოვნას ისე, როგორც ოჯახი ინახავს ხსოვნას შვილების მოყვარული მამისას.

სიტყვა უძღურია, გამოხატოს ნუგეში თქვენი უღრმესი მწუხარების წინაშე. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მიხეილ სიმონის ძეს, არსთაგამრიგის ნებით თქვენგან განშორებულს, ამა სოფლიდან მიჰყვება საყოველთაო ლოცვა-კურთხევა, როგორც პიროვნებას, რომლის სახელოვანი ცხოვრება მიეძღვნა წესრიგის დამკვიდრებასა და სიყვარულს იმ ადამიანთა მიმართ, მისი მმართველობის საფარქვეშ რომ მოღვაწეობდნენ.

მიიღეთ, თქვენო უგანათლებულესობავ, სიტყვით გამოუთქმელი გრძნობები, რომლებიც აგრერიგად სამწუხარო ამბის გაგებამ აღძრა ჩვენში.

ულრმესი მონინებით თქვენი მწუხარების წინაშე და წრფელი პატივისცემით, მაქვს პატივი, ვიყო თქვენი უგანათლებულესობის...

1857

### 51. ივანე ორბელიანისადმი

მის ბრწყინვალეებას, ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს, ბატონ გენერალ-მაიორსა და კავალერს, თავად **ივანე თომას ძე ჯამბაკურ-ორბელიანს**

ქართველი თავადაზნაურობის მიერ 1856 წლის 11 ნოემბერს გამართული ბალის განმკარგულებლებისგან

გასული წლის ოქტომბრის ბოლოს ქართველი თავადაზნაურობის აქ მყოფი წარმომადგენლები შეიკრიბნენ თქვენთან და გადაწყვიტეს კავკასიაში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მეფისნაცვლის, ბატონი ინფანტერიის გენერლის, გენერალ-ადიუტანტის, თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის ტფილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებითა და მისი ბრწყინვალეებისადმი პატივისცემის ნიშნად ბალი და სადღესასწაული ვახშამი გაემართათ.

თავადაზნაურობის მიერ არჩეულ განმკარგულებლებს დავალოთ:

1. შეედგინათ ხარჯის დაახლოებითი ოდენობა და, აქედან გამომდინარე, დაეგზავნათ შეტყობინებები, ვის რა მონაწილეობის მიღება შეეძლო დანახარჯის დაფარვაში.

2. დაენიშნათ ბალის გამართვის დღე, დაეგზავნათ მოსაწვევები და შესდგომოდნენ ბალის ორგანიზებას.

ჩვენზე დაკისრებული დავალების შესრულებას შევეუდეთ დაუყოვნებლივ.

ვინაიდან ჩვენს თავადაზნაურობას, სამწუხაროდ, დღემდე არ გააჩნია საკუთარი სახლი, პირველ რიგში, უნდა გადაგვეწყვიტა, თუ სად უნდა გამართულიყო ბალი.

შეუძლებელი იყო ტფილისის გიმნაზიის შენობაზე უკეთესის გამონახვა, თუმცა, როგორც კი ეს არჩევანი გაკეთდა, ორი გარემოების გათვალისწინება გახდა საჭირო: ა) ბალისთვის შესაფერისი გარემოს შესაქმნელად აუცილებელი იყო მოსწავლეთა დორტუარებისა და სარეკრეაციო დარბაზების<sup>1</sup> ალაგება და თავიდან მოწყობა, რაც დამატებით ხარჯს მოითხოვდა; და ბ) ბალი უნდა დაგვენიშნა კვირადღეს. სხვა შემთხვევაში სასწავლო უწყების ხელმძღვანელობა მოსწავლეთა საცხოვრებლის ჩვენთვის გადმოცემას მოუხერხებლად მიიჩნევდა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, წინასწარი ანგარიშის საფუძველზე განვსაზღვრეთ სავარაუდო ხარჯი – დაახლოებით 9000 მანეთი ვერცხლით.

ხარჯის დასაფარავად გადავწყვიტეთ, აქ მყოფი თავადაზნაურობის თითოეული წევრი მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით გაგვენაწილებინა 5 კატეგორიად და შეგვეტყობინებინა მათთვის, რომ:

პირებს, რომლებიც შევიდოდნენ პირველ კატეგორიაში, საერთო-სადღესასწაულო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად უნდა შემოეტანათ 200 მანეთი.

მეორე კატეგორიისას – 100 მან.

მესამე კატეგორიისას – 50 მან.

მეოთხე კატეგორიისას – 25 მან.

მეხუთე კატეგორიისას – 10 მან.

ამ წესით შედგენილი სიის მიხედვით ფულის მიღება დავაკისრეთ თავადებს: ანდრია ომანის ძე ხერხეულიძეს, იოსებ

ფარსადანის ძე არლუთინსკი-დოლოგორუკოვს, კონსტანტინე ივანეს ძე მელიქოვსა და კონსტანტინე ივანეს ძე აბაშიძეს.

არ ვიცით, რას უნდა მივანეროთ: თავადაზნაურობის ერთ-სულოვნებასა, თუ ხსენებულ პირთა მონდომებას, მაგრამ მოკლე დროში, ერთი კვირის განმავლობაში, ჩვენს განკარგულებაში 9000 მანეთი იყო შემოსული.

საბოლოო ანგარიშგების საქმე რომ არ გართულებულიყო, შემოსული ფულის ერთ ხელში თავმოყრა იყო საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ჩვენგანი, ივანე მინას ძე მირზოევი, მოსკოვის გუბერნიის თავადაზნაურობას მიეკუთვნება, მან არა მარტო ჩვენი ხაზინადრობა იკისრა, არამედ გაგვიხსნა საკუთარი კრედიტი, რათა საქმის დაწყებისას, როცა ხელთ არავითარი თანხა არ გვექონდა, მნიშვნელოვანი ხარჯები სწორედ ხსენებული კრედიტიდან დაგვეფარა.

ბალი თავად ალექსანდრე ივანეს ძის ჩამოსვლიდან მეორე კვირადღეს, კერძოდ, 11 ნოემბერს დავნიშნეთ.<sup>2</sup> საჭირო იყო ასეთ მოკლე დროში მრავალი დაბრკოლების, მრავალი სირთულის დაძლევა, რათა დღესასწაული მისი დანიშნულების შესაფერისი გამოსულიყო.

რა და როგორ გამოვიდა, ეს ჩვენი შესაფასებელი არ არის, თუმცა უღრმესი მადლიერება გვავალდებულებს აღვნიშნოთ, რომ ბალისთვის განკუთვნილი ოთახების მოწყობა და ყოველგვარი მორთულობა გრაფ ვ. ა. სოლოგუბის შეხედულებებითა და მისივე პირადი განკარგულებებით განხორციელდა. ჩვენი თხოვნით ამ საქმეში მან, წოდებით ჩვენმა თანამოძმემ, მხურვალე მონაწილეობა მიიღო და რამდენიმე დღის განმავლობაში – შეიძლება ითქვას, დღისა და ღამის გასწორებით – მუდამ ადგილზე იყო და უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამუშაოებს. იგივე უნდა ითქვას ა. ა. ებელინგზეც.

ყოველივე ამის გამო საგანგებო მადლიერებას ვუცხადებთ გრაფ სოლოგუბსა და ბ-ნ ებელინგს, რომელთა უზადო გემოვნებით შესრულებულმა მორთულობებმა ყველასგან ქება-დიდება დაიმსახურა. ამასთანავე, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია,

აქვე ვახსენოთ ის პირები, რომლებიც გრაფ სოლოგუბსა და ბ-ნ ებელინგს თავიანთ მძიმე და დაუცხრომელ შრომაში ჩვენი საქმისადმი იმავე ხარისხის თანაგრძნობითა და კეთილგანწყობით ეხმარებოდნენ: ი. ა. ბართოლომეი, ინჟინერ-ტექნოლოგი ლემკული და ბ-ნი მხატვრები: ვასილენკო და ბრაუნ-მიული. ჩვენ შემსწრენი ვართ ადგილზე მათი მუხლჩაუხრელი შრომისა არა მარტო დღის ნებისმიერ მონაკვეთში, არამედ – ნაშუალამევსაც და უფრო გვიანაც.

რაც შეეხება წინკარებისა და კიბის არმატურას,<sup>3</sup> რომლებზედაც წინასწარ ნაანგარიშეზე გაცილებით მეტი ხარჯის განევა მოგვინია, კერძოდ, 650 მანეთისა (ვერცხლით), ეს ყველაფერი ტფილისის საარტილერიო გარნიზონის მოსამსახურეებმა პოდპოლკოვნიკ ზომერის ხელმძღვანელობითა და გენერალ-მაიორ გოდლევესკის მეთვალყურეობით გააკეთეს.

ასე და ამგვარად მომზადდა 11 ნოემბრის ბალი. დარიგდა ბილეთები: მოსანვევები სტუმრებისთვის, ხოლო შეტყობინებები – მასპინძლებისთვის, 700 ცალზე მეტი; მოწვეული იყო ორივე სქესის 960 პირი;<sup>4</sup> ვახშმად ისხდა 675 პირი – ვინაიდან ერთ ჯერზე ყველას მიწვევა შეუძლებელი შეიქნა, მაგიდები ისე იყო დალაგებული, რომ ვახშამი ჩატარდა ორჯერ: მეორე – პირველის დასრულებისთანავე.

სამართლიანობა მოითხოვს, ტფილისელ მოქალაქე ვასილ სტრელკოვსა და მის კეთილსინდისიერებასაც მივაგოთ სათანადო პატივი. საგანგებოდ შეთანხმებული პირობების საფუძველზე მან საკუთარ თავზე აიღო ბალზე მოწვეული სტუმრების გამასპინძლება. ცნობილია, რაც უფრო მეტია სტუმარი, მით უფრო ძნელია ისეთი წესრიგის დამყარება, რომ თითოეულს თანაბრად და ჯეროვნად გაენიოს მასპინძლობა, თუმცა სტრელკოვმა დაამტკიცა – პატიოსნებასა და კეთილსინდისიერებას თავისუფლად შეუძლია მსგავსი სირთულეების დაძლევა: ორ ბუფეტს არაფერი აკლდა, ხოლო ვახშამმა ორივე ჯერზე, სტუმრების საერთო აზრითა და ჩვენი შეხედულებითაც, ჩაიარა ჩინებულად.

გარდა ამისა, ტფილისელი ამქრებისთვის გიმნაზიის ეზოში გაიშალა სუფრა 200 კაცზე,<sup>5</sup> აგრეთვე, გამოიყო თითო ჩარექი არაყი და ფუნტი ხორცი იმ დღეს ტფილისში მყოფი ყველა ბატალიონის<sup>6</sup> დაბალი ჩინის მოსამსახურეებისათვის.

ეს ყველაფერი, როგორც თანდართული ანგარიშიდან და დოკუმენტაციიდან ჩანს, დაჯდა 10 665 მანეთი.

ასე და ამგვარად, დაიხარჯა იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ამას წინასწარ ვანგარიშობდით. გადამეტება, პირველ რიგში, მოხდა ოთახების მორთულობასა და, განსაკუთრებით, არმატურაზე გაწეული ხარჯის გამო.

გადახარჯვის გამო თავადაზნაურობის წევრთა შორის დამატებით 1695 მან. უნდა შეკრებილიყო, თუმცა თქვენი ბრწყინვალეების თანდასწრებით გამართულ 27 ნოემბრის შეხვედრაზე გადანყდა, რომ ეს ხარჯი საკუთარი ნების საფუძველზე, ასე ვთქვათ, შინაურული წილგროვებით დაიფარებოდა.

სულ იმ სიების მიხედვით,<sup>7</sup> რომლებსაც დედნის სახით წარმოგიდგენთ, ჩვენს განკარგულებაში შემოვიდა 10 665 მან. და ეს ფული დაიხარჯა სრულად.<sup>8</sup>

4 აპრილი 1857 წლისა.  
ტფილისი

## 52. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

მისი იმპერატორობითი დიდებულების  
მეფისნაცვალს კავკასიაში,  
ბ-ნ გენერალ-ადიუტანტს, ინფანტერიის  
გენერალსა და კავალერს,  
თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის

ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის  
ყიფიანის

ჩემ მიერ გუშინ მიღებული თქვენი 29 მარტის მონერილობით (№1389)<sup>1</sup> თქვენი ბრწყინვალემა მავალეbs, შევადგინო თავადაზნაურობის არჩევნების წესების პროექტი ალაზნის ოლქისათვის, რომლის დაარსებაც არის განზრახული, აგრეთვე, კახეთის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს დებულება. იმასაც მავალებთ, რომ ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლთან<sup>2</sup> ერთად განვიხილო საკითხი – რა ცვლილებების შეტანა გახდება საჭირო თავადაზნაურობის არჩევნების ამჟამად არსებულ დებულებასა და ტფილისის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულოს საშტატო განრიგში. ყოველივე ეს თქვენს ბრწყინვალებას უნდა წარვუდგინო რაც შეიძლება მოკლე ხანში.

ყოველივე ამის შესახებ, მაქვს პატივი, მოგახსენოთ:

1. თავადაზნაურობის არჩევნების წესები ალაზნის ოლქში უნდა იყოს ისეთივე, როგორი წესებიც არჩევნების შესახებ ტფილისის გუბერნიისთვის არის წესდებით დადგენილი (კანონთა კრებულის მე-3 ტომი. დამატება XII). ხსენებულ წესებში შესატანი იქნება მხოლოდ ის ცვლილებები, რომლებსაც ახალი ოლქის შექმნა მოითხოვს და ამ ცვლილებათა პროექტს ცალკე წარმოგიდგენთ.

2. ზოგადი წესით ნებისმიერ სასამართლო დაწესებულებაში, რომელიც სისხლისა და სამოქალაქო პალატებს შეიცავს, უნდა ირიცხებოდეს ორ-ორი მსაჯული თავადაზნაურთა წრიდან. ვიხელმძღვანელებ რა ამ წესით, პროექტში შევიტანე ცვლილება სიღნაღის საოლქო სასამართლოსთვის ორი მსაჯულის არჩევის წესის შესახებ.

3. მიუხედავად ტფილისის გუბერნიიდან თელავისა და სიღნაღის ცალკე მაზრებად გამოყოფისა,<sup>3</sup> ტფილისის დეპუტატთა საკრებულოს მუდმივი შტატის შემცირება უთუოდ დააზარალებს საკრებულოს წარმატებულ საქმიანობას. არადა, წესით, დაახლოებით ასეთივე შტატის დაშვება კახეთის დეპუტატთა საკრებულოსთვისაც ხდება გარდაუვალი. გამოსავალი მხო-



ლოდ ისაა, რომ უნდა შემცირდეს ტფილისის საკრებულოს შტატით განსაზღვრული ხელფასი და, ნაცვლად სამისა, დაინიშნოს ორი მწერალი. – ასეთ შემთხვევაში, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, შტატის ფინანსურ უზრუნველყოფას დასჭირდება 1590 მან. წელიწადში საერობო მოსაკრებლის შემოსავლიდან.

ყველა ზემომოყვანილი მოსაზრება ვაცნობე ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს.

პროექტისა და შტატის შესახებ გენერალ-მაიორის, თავად ჯამბაკურ-ორბელიანის აზრია,<sup>4</sup> რომ, სანამ ყოფილი დროებითი სათავადაზნაურო კომისიის მიერ დატოვებული საქმეების დასრულება ტფილისის დეპუტატთა საკრებულოს აწევს ვალდებულებად, აუცილებელია ხსენებული საკრებულოს დროებითი შტატის ხელუხლებლად დატოვება. ამის შესახებ მან მიმართა კიდევაც თქვენს ბრწყინვალეობას და საქმე ამჟამად გასული 21 მარტის მიმართვის (№58) საუძველზე განიხილება მთავარსამმართველოს საბჭოს მიერ.

კახეთის გვარეულობებთან დაკავშირებული საქმეები დასამთავრებლად იქაურ საკრებულოს უნდა გადაეცეს და ამისთვის აუცილებელი გახდება ორივე საკრებულოს საშტატო შესაძლებლობათა გაძლიერება. –

მე კი, ჩემი მხრივ, მგონია, რომ უფრო მოსახერხებელი და სარგებლობის მომტანიც იქნება, თუ ამ საქმეებს დასამთავრებლად ისევ აქაურ საკრებულოს დავუტოვებთ და ამისთვის მიმდინარე წელს შევინარჩუნებთ მართებლობის წარმომადგენელი წევრის დროებით თანამდებობას, რაც უკვე ნებადართულიცაა. საჭირო იქნება მხოლოდ, რომ კახეთის საკრებულოს გადაეცეს იქაურ თავადაზნაურობაზე მოწმობების გაცემის ვალდებულება, აგრეთვე, გადაეცეს თვითონ ის მოწმობები, რომლებიც კახელი თავადებისა და აზნაურებისთვის არის დამზადებული.<sup>5</sup> ამისათვის სრულებით არ არის საჭირო საშტატო შესაძლებლობების გაძლიერება.

4 აპრილი 1857.

## პ რ ო ე კ ტ ი

თავადაზნაურობის ტფილისის დეპუტატთა საკრებულოსთვის

მდივანი – 1. ხელფასი – 700; ბინისა – 210; სულ – 910.

მთარგმნელი, რომელიც რეგისტრატორის ფუნქციასაც შე-  
ითავსებს: – 1; ხელფასი – 300; ბინისა – 105; სულ – 455.<sup>6</sup>

მწერლები:

უმაღლესი სარგოთი – 1. ხელფასი – 200; სულ – 200.

საშუალო სარგოთი – 1. ხელფასი – 150; სულ – 150.

შენობისა და დარაჯის დაქირავება,  
გათბობა, განათება და საკანცელარიო  
ხარჯი – 450.

სულ: შტატი – 4. – 2165.

**შენიშვნა:** მიუხედავად მუდმივი შტატების შესახებ 1850  
წლის 6 დეკემბერს უმაღლესად დამტკიცებული წესისა, აქ  
ამოღებულია შტატები *მდივნის თანაშემწისა და მწერლისა და-  
ბალი სარგოთი.*

## პ რ ო ე კ ტ ი

კახეთის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსთვის  
ალაზნის ოლქში

მდივანი – 1. ხელფასი – 500; ბინისა – 150; სულ – 650.

მთარგმნელი, რომელიც რეგისტრატორის ფუნქციასაც შე-  
ითავსებს: – 1; ხელფასი – 300; ბინისა – 90; სულ – 390.

მწერლები:

უმალღესი სარგოთი – 1. ხელფასი – 150; სულ – 150.

დაბალი სარგოთი – 1. ხელფასი – 100; სულ – 100.

შენობისა და დარაჯის დაქირავება,

გათობა, განათება და საკანცელარიო ხარჯი – 300.

სულ: შტატი – 4. – 1590.

## პ რ ო ე ქ ტ ი

ცვლილებებისა საარჩევნო სამსახურების წესდებაში:

**მუხლი 2. შენიშვნა 5.** კახეთის ალაზნის ოლქის თავადაზნაურობა სხვადასხვა საარჩევნო თანამდებობაზე არჩევის დროს ხელმძღვანელობს იმავე წესებით, რომლებსაც ემორჩილებოდა ტფილისის გუბერნიის შემადგენლობაში ყოფნისას, მხოლოდ შემდეგი გამონაკლისებითა და ცალკეულ წესთა გაუქმებით:

### I. სათავადაზნაურო საზოგადოების შიდა მმართველობაში

არჩევა:

1. კახეთის ალაზნის ოლქის თავადაზნაურობის წინამძღოლისა; 2. სიღნაღისა და თელავის სამაზრო წინამძღოლებისა; 3. თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოსი – თითოსი თითოეული მაზრიდან: სიღნაღისა და თელავისა; და, 4. ხსენებული საკრებულოს მდივნისა.

### II. სასამართლო მმართველობაში

სიღნაღის სასამართლოს ალაზნის ოლქის ორი მსაჯულისა. – ეს შენიშვნა ეხება აგრეთვე მე-2 მუხლის მე-3 შენიშვნას; ისევე, როგორც შენიშვნებს, დართულს შემდეგ მუხლებზე: 55-57,

59, 60, 67, 69, 70, 80, 84, 100, 103-105, 110, 167, 181, 217; და მუხლზე: 197 (გაგრძელება XII). –

**მუხლი 217. შენიშვნა. დამატება 2.** კახეთის ალაზნის ოლქის თავადაზნაურობის წინამძღოლი არჩევნების მსვლელობისას სხვადასხვა თანამდებობაზე არჩეული პირების სიას ყოველდღიურად წარუდგენს ოლქის უფროსს, რომელიც, თავის მხრივ, ამ სიას უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს და მისგანვე ელოდება შესაბამის ნებართვას შემდგომი განკარგულებებისათვის.

4 აპრილი 1857 წლისა.

### 53. ალექსი კრუზენშტერნისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ალექსი თედორეს ძე

მსურდა რა ხელი შემეწყო კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიასთან ბიბლიოთეკის ჩამოყალიბებისათვის, გადავწყვიტე, მისთვის შემეერთებინა პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც ჩემგან მიღებულ იქნა კიდევაც სპეციალური პირობებით.<sup>1</sup>

აღნიშნული პირობები, როგორც ეს კანცელარიის ყოფილი დირექტორის, საიდუმლო მრჩევლის, ბ-ნი საფონოვის 1849 წლის 10 იანვრის ჩემდამი მომართვაშია (№100) აღნიშნული,<sup>2</sup> შემდეგია:

ა) თუკი დროთა განმავლობაში ჩემთვის არასასურველი ვითარება შეიქმნება, ვიტოვებ უფლებას, გადაცემული წიგნების ორი მესამედი უკან დავიბრუნო, ხოლო დანარჩენს შევწირავ ბიბლიოთეკას; და

ბ) ბიბლიოთეკარი ვალდებულია, დროდადრო მომანოდოს ცნობები ბიბლიოთეკაში შესული ახალი წიგნების შესახებ

(ვითხოვდი შეტყობინებას, უკიდურეს შემთხვევაში, თვეში ერთხელ მაინც).

1850 წლიდან არათუ არავითარი შეტყობინებები არ მომდიოდა, წასაკითხადაც კი არ შემეძლო წიგნის გატანა – ამჟამად კანცელარიის ბიბლიოთეკა გადაკეთებულია საჯარო ბიბლიოთეკად და, როგორც ნებისმიერ კერძო პირს, წიგნების, საკუთარის ჩათვლით, წაკითხვა ბიბლიოთეკის შენობაში მიწევდა.

ეს კი პირადად ჩემთვის ყოვლად მოუხერხებელი იყო და, ამას გარდა, დათქმული პირობებიც ირღვეოდა. ამიტომ 1854 წ. 20 დეკემბერს თხოვნით მივმართე საიდუმლო მრჩეველ შჩერბინინს – რადგან ბიბლიოთეკამ ჩემ მიერ შეპირებული შენირულობის უფლებაც დაკარგა, ჩემი ყველა წიგნი უკან დაბრუნებინათ.<sup>3</sup>

ნაცვლად მ. პ. შჩერბინინისა, მიპასუხა ბ-ნმა დე სენ ტომამ, რომ მას მეფისნაცვლის სპეციალური განკარგულების გარეშე წიგნების დაბრუნების უფლება არა აქვს.<sup>4</sup>

ჩემთვის, რასაკვირველია, სამწუხარო იქნება, თუ ამ საკითხზე მისი ბრწყინვალეების შენუხება გახდება საჭირო.<sup>5</sup> თუ ჩემი უფლება საკუთრებისა ამის გარეშე ვერ აღდგება, მაშინ, მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვთხოვო – გასცეთ განკარგულება, რომ ან დამიბრუნონ ყველა ჩემი წიგნი ბიბლიოთეკის კატალოგის მიხედვით, ან კიდევ, თუ კატალოგებიდან ამ წიგნების ამოღება ვერ ხერხდება, როგორც ამას სენ ტომა მწერს, მაშინ გააფორმონ ისინი, როგორც ჩემგან შექცეული წიგნები.

ველოდები რა თქვენს კეთილმონყალე პასუხს,  
მაქვს პატივი დაგიდასტუროთ და სხვ.

12 ივნისი 1857.

## 54. ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოსადმი

ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოს

იმავე საბჭოს წევრის, ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის  
**ციფიანის**

დასკვნა

ყოფილი ტფილისის კეთილშობილთა საკრებულოს  
შენობისა და მიწის შესახებ

მთავარსამმართველოს საბჭომ გადმომცა ჟურნალიდან ა. თ. 14 მაისის ამონაწერი №970,<sup>1</sup> რათა წარმოვადგინო წინასწარი დასკვნა ყოფილი ტფილისის კეთილშობილთა საკრებულოს შენობასთან დაკავშირებული ვალებისა და პოლკოვნიკის, თავად იური გაგარინის, შესახებ, აგრეთვე, იმ სავაჭრო საქმეზე, რომელსაც ტფილისის საგუბერნიო მმართველობა აწარმოებდა ხსენებული შენობისა და მიმდებარე მიწის ნაკვეთის გაყიდვასთან დაკავშირებით.

საბჭოს მიერ მოწოდებული ქალაქებისა და კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის 1847 წ. 18 მარტის №8/2 საქმის მიხედვით, ვალებად ირიცხება:

### 1. ყოფილი კეთილშობილთა საკრებულოსი:

ა) ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულებისა<sup>2</sup> – სესხად აღებული 1853 წ. 13 ივნისს -----  
----- 25 000 მან.

პროცენტები და ჯარიმები 1857 წ. თებერვლისათვის ----  
4698 მან. – 24 კაპ.

ბ) საპატრიო მოქალაქე ზალცმანისა, ორი სასესხო ვალდებულება, ალებული შემდეგი ვადებით: 1857 წ. 7 აპრილამდე და 1861 წ. 7 აპრილამდე ----- 10 000 მან.

გ) მეფისნაცვლის კანცელარიისა – საკრებულოს მამასახლისების მიერ ნასესხები 1847 წ. 31 მარტსა და 1853 წ. 16 თებერვალში ----- 3525 მან.

დ) ქალაქისა – შენობის საბეგრო გადასახადი ----- 2284 მან. –  $91\frac{1}{2}$  კაპ.

სულ ----- 45 508. – 15 კაპ.

## 2. საკუთრივ თავად გაგარინისა:<sup>3</sup>

ე) ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დანესებულებიდან სესხად ალებული 1854 წ. 2 მარტს, გირაოს გარეშე, განსვენებული გენერალ-ფელდმარშლის, თავად ვორონცოვის, პირადი პასუხისმგებლობით, მისი ბრწყინვალეების 20 თებერვლის მიწერილობის (№759) საფუძველზე ----- 3000.

პროცენტები და ჯარიმები 1857 წ. თებერვლისათვის ----- 335.

ვ) კარის მრჩეველ ამიროვისა, საგირავნო, ჩარიცხული ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატაში 1853 წ. 7 ოქტომბერს ----- 3815.

### კანონიერი ვალდებულებებით:

ზ) მოსკოველი პირველი გილდიის ვაჭარს, ანდრეი კოლის – 2000.

თ) კოლეგიის ასესორ შმიდტს – 1500.

ი) საპატრიო მოქალაქე ზალცმანს – 5000.

კ) ქალწულ ბარბარე ვერდერევესკაიას – 2000.

ლ) შუშის მკვიდრ მარქარ გულიანცს – 5000.

მ) კოლონისტ ბოტმანს – 100.

ნ) ტფილისელ მოქალაქე უსთა-მეხთი-უსეინ-ოლლის – 1800.

## არაზრუნველყოფილ სესხებთან დაკავშირებული პრეტენზიები:

ო) თურქეთის ქვეშევრდომ ჩექმანოვს – 180.

პ) უნტერ-ოფიცერ ტურკინს, თავად გაგარინის მიერ ჩატარებულ მშენებლობაზე განეული ზედამხედველობისთვის – გაურკვეველი თანხა.

სულ ----- 24 730 მან.

თუკი შენობისა და მიმდებარე მიწის ფასად გამოცხადდებოდა 70 238 მან. 15 კაპ., ყველა ზემოხსენებული ვალი დაიფარებოდა და ამით საქმეც დასრულდებოდა, მაგრამ ა. წ. 29 მარტის ვაჭრობაზე მაქსიმალურ ფასად 50 000 მან. დასახელდა. შესაბამისად, ახლა უკვე იმაზე უნდა ვიმსჯელოთ, ჩამოთვლილი ვალებიდან ამ უკანასკნელი თანხით რომელი უნდა დაიფაროს? ანუ, უნდა განისაზღვროს ჩამოთვლილთაგან თითოეული ვალის მნიშვნელობა და წარმომავლობა.

ამასთანავე, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ წყარო ვალების დაფარვისა ორია და ისინი ერთდროულად უნდა დაექვემდებაროს გაყიდვას: შენობა და მიწა, რომელზედაც ეს შენობა დგას და შენობის მიმდებარე მიწა.

შენობა 1853 წლამდე ეკუთვნოდა საპატიო მოქალაქე ზალცმანს და მის მიერ სესხის სახით დაგირავებული იყო ამიერკავკასიის საზოგადოებრივ სამზრუნველო დაწესებულებაში 15 000 მანეთად. მიმდებარე თავისუფალი მიწა კი ქალაქის საკუთრებად ითვლებოდა.

1853 წელს შენობა 35 000 მანეთად საკრებულომ შეისყიდა, მაგრამ, ვინაიდან საკრებულოს არავითარი კაპიტალი არ გააჩნდა, შესყიდვა მოხდა ამგვარად: აღნიშნული შენობა „პრიკაზში“ დაგირავდა და გამოტანილ იქნა სესხი 25 000 მან. 26-წლიანი ვადით. ამ ფულიდან დაიფარა ზალცმანის ვალი. დარჩენილი თანხის ანგარიშში მასვე გადაეცა სასესხო ვალდებულებე-



ბი – 5000-5000 მან. ვადით: ერთი 1857 წ. 7 აპრილამდე, ხოლო მეორე – 1861 წ. 7 აპრილამდე.

მართალია, „პრიკაზიდან“ 25 000 მანეთის სესხად აღებისას ყველა ფორმალური მხარე იქნა დაცული, მაგრამ ფაქტობრივი ვითარება ასეთი იყო: „პრიკაზს“ შენობის წინანდელ მფლობელზე არ შეეძლო 15 000 მანეთზე მეტი სესხის გაცემა და ვადა უნდა ყოფილიყო 15 წელი. შესაბამისად, სესხის უზრუნველყოფა, მიუხედავად საკითხის ფორმალური გამართულობისა, სწორად ვერ ჩაითვლებოდა. ამის შემდეგ ზალცმანის ვალის უზრუნველყოფის საქმე კიდევ უფრო გაუარესდა. – „პრიკაზთან“ და ზალცმანთან დადებულ გარიგებებში არსებული არახელსაყრელი პირობები რომ გასწორებულიყო, ყოფილმა მეფისნაცვალმა, ან განსვენებულმა თავადმა ვორონცოვმა, ტფილისის საგუბერნიო სამშენებლო კომისიას 1853 წ. 31 მარტს გაუგზავნა წერილობითი განკარგულება №187, რომლის საფუძველზეც საკრებულოს მუდმივ მფლობელობაში გადაეცა შენობის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მიწა 583 კვადრატული საჟენის ოდენობით.

სხენებული მიწის ღირებულება საკრებულოს კრედიტს მნიშვნელოვნად ამყარებდა.

ახალშენაძენის სათანადო აქტით გაფორმებისას საკრებულოს მამასახლისებში, რომელთა შორის პოლკოვნიკი იური გაგარინიც იყო, გარიგების ახალი იდეა დაიბადა – მამასახლისები თავად გაგარინს საკრებულოს სახელით „პრიკაზიდან“ მეფისნაცვლის პასუხისმგებლობით გაცემული სესხის გამოტანას ანდობდნენ. ამის სანაცვლოდ, შენობა გაგარინის განკარგულებაში გადადიოდა 26 წლის ვადით და მასვე კერძო საკუთრებაში გადაეცემოდა მიმდებარე 583 კვადრატული საჟენი მიწა. თავის მხრივ, გაგარინი თავის წილ ვალდებულებას იღებდა: ჩაატარებდა სამშენებლო სამუშაოებს და შენობას ისე გადააკეთებდა, რომ იგი საკრებულოს ფუნქციონირებისათვის მოსახერხებელი ყოფილიყო, გაიღებდა სახსრებს შენობის ავეჯეულობით გასაწყობად, გაისტუმრებდა საკრებულოს ვალს

და 26 წლის შემდეგ გადაკეთებულ შენობას საკრებულოს ჩააბარებდა.

განსვენებულმა მეფისნაცვალმა ვორონცოვმა ეს წინადადება მოიწონა, საკრებულოს მამასახლისების მიერ გაგარინთან დადებული პირობები დაამტკიცა, ამის შემდეგ კი, იმავე 1853 წ. 29 აპრილს, სამშენებლო კომისიას ახალი წერილობითი განკარგულებით (№232) მიმართა. ამ უკანასკნელი განკარგულების მიხედვით, მინა, რომელიც წინა (№187) განკარგულებით საკრებულოს მიეკუთვნა, ამჯერად თავად გაგარინს შემდეგი პირობებით გადაეცემოდა: თავად გაგარინს ამ მიწაზე უნდა აეშენებინა პალე-როიალი.<sup>4</sup> ამასთანავე, მიწის გადაცემასთან დაკავშირებულ პირობებში შევიდა ცვლილებები, კერძოდ, საკრებულოს კი არა, არამედ თავად გაგარინს უნდა გადასცემოდა 468 კვადრატული საჟენი მიწა, რომელსაც შემდეგ კიდევ 164 საჟენი დაემატა.

ყოველივე ამის საფუძველზე ორივე ზემოხსენებული ქონების მესაკუთრედ საკრებულოს ჩაენაცვლა თავადი გაგარინი. შესაბამისად, ბუნებრივი წესით საკრებულოს ყველა ვალიც მასზე გადავიდა, რაც ლიტერების: ა, ბ, გ, დ ერთობლიობით 45 508 მანეთსა და 15 კაპიკს შეადგენს და ხსენებული ქონებით, ანუ შენობითა და მიმდებარე 583 კვადრატული საჟენი მიწით, უნდა ანაზღაურდეს. ხოლო, ვინაიდან თავადმა გაგარინმა სულ 632 საჟენი მიწა მიიღო, დარჩენილი 49 საჟენი ის საკუთრებაა, რომელზედაც საკრებულოს ვალი არ უნდა გავრცელდეს.

ყოველივე ამის სანინაალმდეგოდ არსებობს თავად გაგარინის ჩვენებები, რომლებიც იმსახურებს ყურადღებას.

შენობის მიმდებარე მიწის ყველა ნაკვეთს იგი მიიჩნევს თავის საკუთრებად და, ვინაიდან ეს მიწები მის სახელზეა გაფორმებული, მათზე საკრებულოს უფლებას არ ცნობს. მქონდა პატივი, შესაბამის განკარგულებაზე ზემოთ მემსჯელა და აქვე დავსძენ: თუკი გაგარინის საკუთრების უფლება სულ არ არის დამოკიდებული საკრებულოს უფლებაზე, მაშინ იგი დამოკი-

დებულია თვითონ გაგარინის იმ ვალდებულებებზე, რომლებიც მან მიწასთან დაკავშირებით იკისრა. შესაბამისად, მანამ, სანამ ეს ვალდებულებები არ არის შესრულებული, მის ხელში გადასული ქონება უდავოდ და უპირობოდ ვერ ჩაითვლება.

ვალდებულებათა არსებობას გაგარინი უარყოფს. იგი ამბობს, რომ მასა და საკრებულოს მამასახლისებს შორის არავითარი ფორმალური და კანონიერი ხელშეკრულება არ დადებულია. თუმცა, **ჯერ ერთი**, არ შეიძლება არაკანონიერად ჩაითვალოს პირობები, რომლებიც მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მეფისნაცვლის მიერ არის დამტკიცებული და, **მეორეც**, თავად გაგარინის მოქმედებები და სიტყვები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მოქმედებები გამოიხატება იმაში, რომ მან განსვენებული მეფისნაცვლის, თავად ვორონცოვის, მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების საფუძველზე საკრებულოს შენობის გადაკეთება-გადმოკეთება დაიწყო და ამ საქმეში, როგორც თვითონ წერს, 17 თუ 20 ათასი დახარჯა, ხოლო რაც შეეხება სიტყვებს, წინააღმდეგობას ქმნის შემდეგი გარემოება: 1854 წლის 27 სექტემბერს, როცა გაგარინის მიერ დაწყებული სამუშაოების შეფერხების გამო საკრებულოს მამასახლისებმა გამოთქვეს აზრი შენობის გაქირავების შესახებ, თავადმა გაგარინმა საკრებულოს უპასუხა, რომ ეს გზა **მათთან გაფორმებული კონტრაქტის გაუქმებამდე მივიდოდა**. გამოდის, რომ მაშინ იგი ხელშეკრულების არსებობას აღიარებდა. –

როცა ამის გამო მამასახლისებმა შენობის მოწყობა მეოთხედ გადაავადეს, თავადმა გაგარინმა 5 ნოემბერს განაცხადა, რომ მასა და მამასახლისებს შორის დადებულ პირობებს არა აქვს კანონიერი ფორმა. კავკასიის კომიტეტის მიერ მეფისნაცვლისთვის გამოგზავნილ ა. ნ. 1 იანვრის მიმართვაში (№9) კი თავადი გაგარინი პირდაპირ აცხადებს, რომ მასა და მამასახლისებს შორის არავითარი ხელშეკრულება დადებული არ ყოფილა. –

საერთოდ, როგორც ამ საქმის მიმდინარეობიდან ჩანს, გაგარინის სურვილია, რაც შეიძლება მეტი ხეირი ნახოს შექმნილ

ვითარებაში. საქმე ისაა, რომ წინდაუხედაობისა თუ გაუგებრობათა გამო საკრებულოს მამასახლისებმა თავად ვორონცოვის მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების დედანი გაგარინის დაუტოვეს, თვითონ კი ასლი შეინახეს. ასე რომ, აღარ ღირს სიტყვის გაგრძელება გაგარინის ახსნა-განმარტებებზე, რამდენადაც იგი, ერთადერთი, თვითონვე ედავება საკუთარ, წლების განმავლობაში ხელშეუხებლად მოქმედ აქტს.

დავუბრუნდეთ სათქმელს იმის შესახებ, რომ საკრებულოს ყველა ვალი უნდა დაიფაროს იმ თანხიდან, რომელიც საკრებულოს შენობისა და 583 კვადრატული საჟენი მიწის გაყიდვით შემოვა. ამავე თანხაში უნდა შევიდეს თავად გაგარინის მიერ კარის მრჩეველ ამიროვისთვის გადაცემული შენობა – 3815 მანეთისა, რამდენადაც იგი ჩადებულია ისეთი საგირავნო პირობით, რომელსაც გაგარინის მიერ შესრულებული მიშენებებისგან ვერაფრით ვერ გავმიჯნავთ.

რაც შეეხება თავად გაგარინის სხვა, კერძო, ვალებს, მათი დაკმაყოფილება იმავე წყაროებიდან უნდა მომხდარიყო, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუკი გაგარინის უფლება გაყიდულ მიწებზე საკრებულოს მიმართ მისივე ვალდებულებებისგან თავისუფალი იქნებოდა. მაგრამ ამ ვალდებულებებიდან არც ერთი არ არის შესრულებული: საკრებულოს ვალი გასტუმრებული არ არის; იმავე საკრებულოს თავად გაგარინისგან არაფერი მიუღია; შენობა დაიკარგა და იგი საკრებულოსთვის აღარც არსებობს; დაწყებული მიშენებები და გადაკეთება შეწყდა და ამჟამად შენობა მიგდებულია. და ეს მაშინ, როცა საკრებულოს არც ერთი პირობა არ დაურღვევია. – ამიტომაც ამოღება იმ ვალისა, რომელიც ზემოთ აღნიშნულია ლიტერით **ე**, ისევე, როგორც ამოღება ლიტერებით **ზ-ჰ** აღნიშნული ვალებისა, მევალებებმა წინამდებარე საქმისგან დამოუკიდებლად უნდა მოახერხონ. მათ მოცემულ საქმესთან დაკავშირებული თანხიდან – შენობისა და 632 საჟენი მიწის საერთო ღირებულებიდან – პრეტენზია შეიძლება მხოლოდ 49 საჟენის ღირებულებაზე ჰქონდეთ.

შენობა შეფასებულია 17 850 მანეთად, მიწა – 3200-ად. შესაბამისად, ფასი მიწისა შეადგენს საერთო ოდენობის თითქმის მეშვიდედს.

გაყიდული ქონების ჯამური ფასია 50 000 მანეთი, ამ თანხის მეშვიდედი დაახლოებით 7150 მანეთია. შესაბამისად, ფასი საყენი მიწისა თითქმის 11 მანეთი და 50 კაპიკია და, ამდენად, 49 საყენის საფასური 563 მანეთს შეადგენს.

აი, ერთადერთი თანხა, რომელიც შეიძლება თავად გაგარინის კრედიტორების სასარგებლოდ მიიმართოს, რომ არა შემდეგი გარემოება – აღნიშნული თანხა ოდნავადაც კი არ შეესაბამება წამოყენებულ პრეტენზიას. უფრო სამართლიანი რა გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს მიწასთან დაკავშირებულ საკითხზე, ამის შესახებ აღნიშნული იქნება ქვემოთ.

მე ვფიქრობ, როგორც სწორი და მოცემული საქმის შესაბამისი, ძალაში უნდა დარჩეს ყოფილი მეფისნაცვლის, გენერალ-ადიუტანტ მურავიოვის, განკარგულება და განისაზღვროს:

1. საგუბერნიო მმართველობის მიერ ა. წ. 29 მარტს გამოცხადებულ საჯარო ვაჭრობაზე გასაყიდად გატანილი შენობა და მიწა გადაეცეს საპატიო მოქალაქე ვართან არშაკუნს, რომელმაც ყველაზე მეტი თანხა – 50 000 მან. – დაასახელა. ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის სახელზე<sup>5</sup> არშაკუნის მიერ 1856 წ. 13 დეკემბერს წარდგენილი მოხსენებითი ბარათის მიხედვით, მას განზრახული აქვს, შეძენილ მიწაზე მეფისნაცვლის გეგმის მიხედვითა და მის მიერვე შერჩეული ფასადით ააგოს შენობა. კორპუსის გარშემო მოვაჭრეთათვის განლაგდება სავაჭრო მაღაზიები, ხოლო ზემო და დანარჩენი ნაწილები მისი ბრწყინვალეების ნების შესაბამისად დაეთმობა ბირჟას, თეატრს, სხვადასხვა დაწესებულებას. მიმაჩნია, რომ ამგვარი განზრახვა საყურადღებოა და იმსახურებს მოწონებას.

2. შემოსული 50 000 მანეთი განაწილდეს ასე: 45 508 მან. 15 კაპ. ყოფილი ტფილისის სათავადაზნაურო საკრებულოს ვა-

ლების დაფარვას უნდა მოხმარდეს; 3815 მან. კარის მრჩეველ ამიროვს მიეკუთვნოს; 586 მან. 50 კაპ. გადაიდოს იმ ცალკე პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, რომელსაც ქვემოთ შევეხებით; დარჩენილი 90 მან. 35 კაპ., თუ სხვა, უფრო სამართლიანი, ვხა არ მოიძებნა, ზემოაღნიშნულ 586 მან. და 50 კაპ.-ს დაემატოს და ჩაირიცხოს ქალაქის შემოსავლებში, რამდენადაც ქალაქი 632 კვადრატულ მიწას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე კარგავს. –

3. რაც შეეხება თავად გაგარინის სხვა კრედიტორებს, მათ შორის, ამიერკავკასიის საზოგადოებრივ სამზრუნველო დაწესებულებას, მათ გამოეცხადოს, რომ ვალების ამოღება სხვა საშუალებებით, მოცემული საქმისგან დამოუკიდებლად, უნდა შეძლოს.

ახლა გადავიდეთ ზემოაღნიშნულ ცალკე პრეტენზიაზე – საგუბერნიო მდივან კოლუბანსკის მიერ საბჭოსთვის განსახილველად წარდგენილ მოხსენებით ბარათზე.

ეს საქმე საბჭოსთვის უკვე ცნობილია. 1854 წლის 21 ოქტომბრის ჟურნალის მიხედვით, საბჭომ თავად გაგარინისთვის გამოყოფილი მიწის ნაწილი – 51 საჟენი – მღვდელ ეფრემ კოლუბანსკის მემკვიდრეებს მიაკუთვნა, თუმცა, ვინაიდან მიწის ამ ნაწილის კოლუბანსკებისთვის ნატურით გადაცემა ვერ ხერხდებოდა, საბჭომ მათთვის ფულადი ანაზღაურება დაადგინა. –

ამ მიწის ღირებულება მაშინ საჟენზე იყო 2 მან., სულ – 102 მან. ამჟამად კი ღირებულება შეადგენს საჟენზე 11 მან. 50 კაპ.-ს. სამართლიანობა მოითხოვს, კოლუბანსკებს მიწის საფასური ამ უკანასკნელი მონაცემის მიხედვით მიეცეს, ე. ი. 586 მან. 50 კაპ., ოღონდ არა ქალაქის შემოსავლებიდან, არამედ – მოქალაქე არშაკუნის მიერ შემოთავაზებული თანხიდან. რამდენადაც კოლუბანსკებს რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დაკარგული ჰქონდათ საკუთრება, მათი დანაკარგების ასანაზღაურებლად და საკუთრების ხელყოფის დასასრულებლად იმასაც სამართლიანად მივიჩნევდი, რომ კოლუბანს-

კებისთვის განკუთვნილ ანაზღაურებას დაემატოს 90 მან. 35 კაპ., ანუ ის თანხა, რომელიც ზემოხსენებული 50 000 მანეთის გადანაწილების შემდეგ თავისუფალი რჩება.

წარვუდგენ რა საბჭოს საკუთარ მოსაზრებებს განსახილველად, მაქვს პატივი, უკან დავაბრუნო გადმოცემული ქაღალდები და მეფისნაცვლის კანცელარიის საქმე №8/2.

19 ივნისი 1857 წლისა.

### 55. ირაკლი მუხრანბატონისადმი

მის ბრწყინვალეობას,

თავად ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის

მთავარსამმართველოს საბჭოს წევრი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ყოფიანი, ვუდასტურებ რა სრულ პატივისცემას თქვენს ბრწყინვალეობას, თავად ირაკლი კონსტანტინეს ძეს, მაქვს პატივი გთხოვოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სასწრაფოდ შემატყობინოთ:

1. დეპუტატთა საკრებულოში ყოფილი დროებითი კომისიისაგან სახელდობრ რამდენი ისეთი საქმეა შესული, რომლებიც ან დაუმთავრებელია, ან ანგარიშგასანევ მიზეზთა გამო მომავალში უნდა იქნეს განხილული?

2. დღეის მონაცემებით დეპუტატთა საკრებულოში რამდენი ასეთი საქმის განხილვაა დასრულებული?

3. თავადური და აზნაურული ღირსების დამადასტურებელი რამდენი დამზადებული მონმობაა შესული კომისიისაგან?

4. რამდენი ასეთი მონმობაა დღეისთვის დარიგებული?

28 ივნისი 1857.

## 56. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის  
მეფისნაცვალს კავკასიაში

პ ა ტ ა კ ი

ხელმეორედ განვიხილე, ახლა უკვე დაწვრილებით, ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის<sup>1</sup> მიერ თქვენთვის 21 მარტის თარიღით (№58) წარდგენილი და თქვენი ბრწყინვალეების მიერ ა. თ. 25 ივნისის თარიღით ჩემ სახელზე გადმოგზავნილი მიმართვა №146. პატივი მქონდა, თავადაზნაურობის დეპუტატთა ტფილისის საკრებულოს საშტატო განრიგთან დაკავშირებული ჩემი დასკვნა თქვენთვის ჯერ კიდევ 4 აპრილს წარმომედგინა. ამჟამად კი, მაქვს პატივი, მოგახსენოთ:

1. ტფილისის დეპუტატთა საკრებულოსთვის ამჟამად არსებული მუდმივი საშტატო ერთეულის დატოვების საჭიროებას ვერ ვხედავ. გენერალ-მაიორი, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი<sup>2</sup> საკითხის შესახებ შუამდგომლობით ჯერ კიდევ მაშინ შემოვიდა, როცა არ შეიძლებოდა სცოდნოდა ის, რაც ამის შემდეგ ჩემგან გაიგო, კერძოდ, ალაზნის ოლქისთვის დეპუტატთა ცალკე საკრებულოს დაარსება.<sup>3</sup> თავის შუამდგომლობაში თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი ეყრდნობოდა შემდეგ გარემოებას: საკრებულოს გარკვეულ ვადაში უნდა დაესრულებინა ის საქმეები, რომლებიც აქვე, მე-3 პუნქტში, არის მოხსენიებული. — ერთი საკრებულოს ორად გაყოფა არა მხოლოდ თავისთავად აუქმებს ერთ-ერთი მათგანისთვის მუდმივი შტატის დამტკიცების საჭიროებას, არამედ აუცილებლად გამოიწვევს უსამართლობის განცდას და, ასეთ შემთხვევაში, დაისმება ამ შტატის შემცირების საკითხიც კი; უკიდურეს შემთხვევაში, არ უნდა აღდგეს შტატი მდივნის თანაშემწისა, რომელიც 1854 წლის 13 მაისის უმაღლესი ბრძანებით არის გაუქმებული. —



მართალია, ამ თანამდებობას, როგორც ჩემთვის ცნობილია, თავისი უნარიანობით, მუყაითობითა და გამოცდილებით გამოირჩეული ჩინოვნიკი ხანდამოვი იკავებდა, მაგრამ უკეთესი იქნება, ასეთი ჩინოვნიკი სხვა ისეთ თანამდებობაზე გამწესდეს, სადაც იგი სამსახურს იმაზე მეტ სარგებელს მოუტანს, ვიდრე სავსებით ზედმეტი და, შესაბამისად, უსარგებლო თანამდებობის აღდგენაა. –

2. უნდა ვალიაროთ, რომ ტფილისში ამჟამად არსებული სიძვირის პირობებში დეპუტატთა საკრებულოსთვის შენობის დასაქირავებლად, გასათბობად, გასანათებლად, საყარაულოდ, საკანცელარიო ხარჯისთვის წელიწადში 450 მან. სავსებით საკმარისი უნდა იყოს. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიო ისიც, რომ ალაზნის ოლქის დეპუტატთა საკრებულოს დაარსების გამო ყველა ზემოხსენებული ხარჯი თითქმის უნდა განახევრდეს. ამიტომ დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ შემცირებული შემადგენლობისა და შემცირებული საქმისწარმოების გამო ტფილისის საკრებულო იმ ხარჯებს უნდა დასჯერდეს, წლების განმავლობაში რომ სჯერდებოდა დღევანდელი შემადგენლობით.

3. თუ ტფილისის დეპუტატთა საკრებულოში მთავრობის ამჟამინდელი წარმომადგენელი, ტიტულარული მრჩეველი, თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი<sup>4</sup> სხვა თანამდებობაზე გადაწყავთ, ეს კიდევ უფრო გააადვილებს აღნიშნული თანამდებობის გაუქმებას.

საქმეები, რომელთა განხილვისათვის დეპუტატთა საკრებულოში ხსენებული თანამდებობა იქნა შემოღებული, როგორც თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი მატყობინებს, 124-ია. ამ საქმეებიდან თითქმის შვიდი წლის განმავლობაში, ანუ 1851 წლიდან დღემდე, დასრულებულია 79 საქმის წარმოება – ე. ი. საშუალოდ წელიწადში 11-ზე ცოტა მეტისა. დარჩენილია 45 საქმე, რომელთა დასრულებას, თუ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, კიდევ 4 წელი დასჭირდება. შესაბამისად, მოგვიწევს დეპუტატთა საკრებულოში მთავრობის წარმო-

მადგენლის თანამდებობის კიდევ 4 წლით შენარჩუნება. ამის აუცილებლობის დასაბუთება კი, ვფიქრობ, ერთობ ძნელია: დეპუტატთა საკრებულოში მთავრობის წარმომადგენლის თანამდებობა თავდაპირველად 1844 წელს შეიქმნა.<sup>5</sup> იმ დროს საკრებულოს მოელოდა დიდი და, ამასთანავე, განსაკუთრებული სირთულითა და საფრთხეებით „დატვირთული“ საქმისწარმოებითი მუშაობის ჩატარება. – თუმცა შემდეგ 1844 წლის წესები შეიცვალა, თავადაზნაურობას ვითარების შემამსუბუქებელი პირობები ებოძა, საკრებულოს მოვალეობები კი 1846 წელს ტფილისისა და ქუთაისში შექმნილ სპეციალურ დროებით კომისიებზე გადანაწილდა. საქმისწარმოებაში სათანადო წესრიგის უზრუნველსაყოფად ხსენებულ კომისიებში მთავრობისგან ორ-ორი წევრი დაინიშნა. კომისიების გაუქმების შემდეგ მცირე რაოდენობის საქმეები დაუსრულებელი დარჩა და სწორედ ამ საქმეების დასრულება, წინანდელ წესებზე დაყრდნობით, დაევალა 1850 წელს ტფილისისა და ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოებს, საამისოდ კი თითოეულ მათგანში მთავრობისგან თითო წევრი დაინიშნა. – ქუთაისში ეს თანამდებობა, თუ სწორად მახსოვს, 1855 წელს გაუქმდა, ტფილისის საკრებულოში კი იგი შენარჩუნდა დარჩენილი 45 საქმის დასამთავრებლად. – ამჟამად უკვე ველარ ვიტყვით, რომ საკრებულო არ არის საფუძვლიანად ჩახედული იმ წესებში, რომელთა მიხედვითაც დარჩენილ საქმეთა წარმოება უნდა დასრულდეს – იგი 7 წლის განმავლობაში მისდევდა ამ წესებს და მათზე დაყრდნობით დაასრულა 79 საქმის წარმოება. დარჩენილი 45-ის დასრულებას საქმეთა წარმოების ხელმძღვანელობის კუთხით მთავრობის წარმომადგენლის წევრად ყოფნა აღარ სჭირდება.

ამიტომაც მიმაჩნია: ვინაიდან დასამთავრებელი საქმეები მხოლოდ კერძო პირთა ინტერესებს ეხება, მთავრობა არ უნდა ჩაერიოს დეპუტატთა საკრებულოს საქმეში და არ უნდა განუსაზღვროს მას საქმისწარმოების დასრულების ვადები. მთავრობამ მხოლოდ იმას უნდა ადევნოს თვალი, რომ საქმეთა

წარმოება არ შეჩერდეს უმიზეზოდ. თვალის დევნება კი აუცილებელია იმდენად, რამდენადაც საკრებულო პერიოდულად წარმოადგენს ხოლმე მოხსენებებს, თუ რა ვითარებაა საქმეთა წარმოების მხრივ და ეს მოხსენებები, ცხადია, განიხილება კიდევაც.

გარდა ზემოაღნიშნული 45 საქმისა, ყველა სხვა დანარჩენი საქმე დეკლარატორთა საკრებულომ უნდა აწარმოოს ზოგადი, უკვე დამკვიდრებული, წესებით. ეს წესები კი, თავის მხრივ, არსად არ ითვალისწინებს სპეციალურ წევრს.

ვაახლებ რა თქვენს ბრწყინვალეებას წინამდებარე დასკვნას, მაქვს პატივი, უკან დავაბრუნო განსახილველად გამოგზავნილი ქაღალდები: გენერალ-მაიორის, თავად ორბელიანის, მიმართვა №58 და ამონაწერი მთავარსამმართველოს შურნაღიდან, დათარიღებული ა. წ. 13 მაისით.

[ივლისი 1857 წლისა].

## 57. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

მეფისნაცვალს

პ ა ტ ა კ ი

მიმდინარე ივლისის 26-ში განსახილველად მივიღე თქვენი ბრწყინვალეების მონერილობა №171 და ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის<sup>1</sup> 1856 წლის 24 დეკემბრის მიმართვა №21 003 თქვენი ბრწყინვალეების კანცელარიის დირექტორისადმი,<sup>2</sup> აგრეთვე, თქვენი ბრწყინვალეებისადმი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის<sup>3</sup> 11 ივლისის პატაკი №26 ქუთაისის თავადაზნაურობის დეკლარატორთა საკრებულოსთვის შტატების დამატების შესახებ.

ბ-ნი გენერალ-მაიორი კოლიუბაკინი აყენებს შუამდგომლობას დეპუტატთა საკრებულოსთვის შტატების დამატების შესახებ, რადგანაც საკრებულომ წარმოებაში უნდა მიიღოს საქმეები:

1. იმ პირთა შესახებ, რომლებსაც თავ-თავიანთი ოჯახებით თავადობისა და აზნაურობის წოდება უნდა დაუმტკიცონ.

2. აზნაურთა აზნაურების შესახებ.

3. თავადობისა და აზნაურობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა.

4. საგვარეულო და ფულთან დაკავშირებული წიგნების წარმოება და ოქმების ასლების გაცემა.

5. თავდაზნაურული ღირსების მაძიებელთა თხოვნების განხილვა.

გარდა საქმეებისა აზნაურთა აზნაურების შესახებ, ყველა სხვა დანარჩენი საკითხის განხილვა პირდაპირი მოვალეობაა დეპუტატთა ნებისმიერი საკრებულოსი, რომლებიც, გარდა ტფილისისა, არსად სხვაგან ხაზინისგან არავითარ ფინანსურ დახმარებას არ იღებენ.

რაც შეეხება საქმეებს აზნაურთა აზნაურების შესახებ – უნდა იქნეს თუ არა აღიარებული მათი აზნაურული ღირსება – რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს საკითხი ჯერ არ არის გადანყვეტილი და, მაშასადამე, საკითხის გადანყვეტამდე დეპუტატთა საკრებულოს ამ კუთხით რაიმე სახის მოქმედება არ მოუწევს. და მაშინაც კი, როცა აზნაურთა აზნაურების საქმეთა განხილვა დაიწყება, ეს საქმეები იმდენად მცირე რაოდენობისა იქნება, რომ ამისთვის საკრებულოს საშუალებათა გაძლიერება არ უნდა ღირდეს.

ცალკე უნდა გამოიყოს ქუთაისის საკრებულოს მიერ მოწმობების გაცემის საკითხი, მაგრამ ეს მოწმობები დიდი ხანია დამზადებულია, ხოლო მათი შესაბამის პირებზე გაცემას მხოლოდ ის სჭირდება, რომ საკრებულო არ დაიხუროს.

ბ-ნი გენერალ-მაიორი კოლიუბაკინი შუამდგომლობს, რომ გათანასწორდეს ქუთაისისა და ტფილისის საკრებულოების

საშტატო ნუსხა და ამიტომაც ქუთაისის საკრებულო უნდა და-  
კომპლექტდეს მთავრობის წარმომადგენლის, ორი მაგიდის  
უფროსისა და სამი მწერლის შემადგენლობით, დაემატოს 300  
მან. საკანცელარიო ხარჯებს და, დასასრულ, აღნიშნულ საქ-  
მეთა დასრულების შემდეგ დატოვებულ იქნეს მაგიდის უფრო-  
სის ერთი მუდმივი შტატი.

ბ-ნი გენერალ-ლეიტენანტი, თავადი გაგარინი, თავის მხ-  
რივ, მიიჩნევს, რომ საკრებულოს წევრად უნდა დაინიშნოს  
მხოლოდ მთავრობის წარმომადგენელი 3 წლის ვადით და იმა-  
ვე ვადით გაიზარდოს საკანცელარიო ხარჯი – 300 მან. წელი-  
წადში.

ტფილისის დეპუტატთა საკრებულოს მოუწევს განუზომ-  
ლად მეტი სამუშაოს ჩატარება, კერძოდ, ყოფილი დროებითი  
კომისიის მიერ დაუმთავრებელი საქმეების დასრულება. მიუ-  
ხედავად ამისა, თქვენი ბრწყინვალეებისთვის ჩემ მიერ წარდგე-  
ნილ 18 ივლისის №7 მოხსენებაში, პატივი მქონდა, გამომეთქ-  
ვა ჩემი მოსაზრებები: არც ტფილისის საკრებულოში მთავრო-  
ბის წარმომადგენლის წევრად დანიშვნისა და არც რაიმე ფორ-  
მით საკრებულოს საშუალებათა გაძლიერების არავითარი  
საჭიროება არ არსებობს. მით უმეტეს, ნაკლებია ამისი აუცი-  
ლებლობა ქუთაისის საკრებულოსთვის. იქ დროებითი შტატი  
გაუქმებულია 1856 წლიდან და მანამდეც იმიტომ არსებობდა,  
რომ არეულ ვითარებაში, ეს მხარე რომ მოიცვა, არ არსებობ-  
და – და არც ახლა არსებობს – ის უმთავრესი, ერთადერთი და  
განმსაზღვრელი მნიშვნელობის მიზანი, რის მისაღწევადაც  
შეიქმნა დროებითი საშტატო ნუსხა და დაინიშნენ მთავრობის  
წარმომადგენელი და კანცელარისტები. ეს იყო 1850 წელს,  
როცა გამოიცა წესები, რომელთა საფუძველზეც იმერეთისა  
და გურიის თავადებისა და მათზე დაქვემდებარებული აზ-  
ნაურების ქონებრივი უფლებები უნდა განსაზღვრულიყო. –  
მხარის სამოქალაქო მოწყობის თვალსაზრისით ეს მართლაც  
მნიშვნელოვანი, თუმცა უფლებათა და ინტერესთა შეჯახების  
გამო რთული საქმე დეპუტატთა საკრებულოს დაეკისრა. ცხა-

დია, საამისოდ სპეციალური თანხების გამოყოფაც იყო საჭირო. – მაგრამ საქმეთა განხილვის ის წესები ამოქმედებისთანავე იქნა შეჩერებული, 1854 წლიდან კი ომის გამო<sup>4</sup> საერთოდ შეჩერდა ყოველგვარი განხილვა. – ახლა ეს საქმე ისევ დაძრულია. მთავარმმართველობის საბჭომ თქვენს ბრწყინვალეობას უკვე წარუდგინა თავისი დასკვნა როგორც წესების, ისე მათი განხორციელების საშუალებათა შესახებ. სანამ არ მოხდება მათი უმაღლესად დამტკიცება, ქუთაისის დეპუტატთა საკრებულოს არც არაფერი აქვს გასაკეთებელი და, შესაბამისად, არც მისი საშუალებების გაძლიერებაა საჭირო.

რაც შეეხება კანცელარიისთვის გამოსაყოფ თანხას, თუ დეპუტატთა ტფილისის საკრებულოსთვის, ჩემი აზრით, საკმარისია 450 მან. წელიწადში, მაშინ ქუთაისის საკრებულოსთვის საკმარისი უნდა იყოს 300 მან.

მოვახსენებ რა ჩემს ამ მოსაზრებებს თქვენს ბრწყინვალეობას, მაქვს პატივი, უკან დავაბრუნო ჩემთვის გამოგზავნილი ქალაქდები: №№26 და 21 003.

ნ აგვისტო 1857.

პიატიგორსკი

## 58. ალექსანდრე გაგარინისადმი

თქვენი ბრწყინვალეობისთვის ცნობილი დავალების შესასრულებლად ქუთაისში ჩამოვედი დღეს, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ ჩამოგისწარიო.<sup>1</sup>

არავითარ შემთხვევაში არ მინდოდა ჩემთვის დაკისრებული დავალების შესრულებას თქვენი ნებართვისა და რჩევადარიგებების გარეშე შევსდგომოდი, ამიტომ დაუყოვნებლივ თქვენკენ უნდა წამოვსულიყავი და წარგდგომოდით პირადად, თუმცა არ ვიცი, სამეგრელოში ამჟამად შექმნილი ვითარება<sup>2</sup> იძლევა თუ არა ამის საშუალებას. შესაბამისად, იმის იმედით,

რომ დაკარგულ დროს მომავალში ავანაზღაურებ, გადავწყვიტე, ორი-სამი დღე აქ დავრჩე, ხოლო თქვენს ბრწყინვალეობას უმორჩილესად ვთხოვო – მიბრძანეთ, მეტი დრო რომ არ დაიკარგოს, გავემგზავრო თუ არა სამეგრელოში, რათა დაუყოვნებლივ შევუდგე საქმეს და, ასეთ შემთხვევაში: პირდაპირ ვეახლო მის უგანათლებულებსობა ეკატერინე ალექსანდრეს ასულს,<sup>3</sup> თუ ჯერ სამეგრელოს მმართველი<sup>4</sup> ვნახო, ან კიდევ, თქვენო ბრწყინვალეობავ, იქნებ ჯერ თქვენ უნდა შეგხვდეთ?

ასე იქნება, თუ ისე, თავს ვალდებულად მივიჩნევ, გადმოგცეთ პაკეტი №4010, რომელიც თქვენს სახელზე გამომატანეს. – თქვენს ბრძანებას ჩემთან ერთად მოვლინებულ სამოქალაქო მრჩეველ ჩილიაევთან<sup>5</sup> ერთად ქუთაისში 8 რიცხვამდე დაველოდები, 8 რიცხვში კი, თუ სენაკში არა, უკიდურეს შემთხვევაში, ხონში მაინც გავემგზავრები.<sup>6</sup>

ღრმა და გულწრფელი პატივისცემით, მაქვს პატივი...

5 ოქტომბერი 1857 წ.

ქ. ქუთაისი

### 59. ალექსი კრუზენშტერნისადმი

გუშინნინ ჩამოვედი ქუთაისში, მაგრამ თავადი ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი აქ არ დამხვდა – ნ. პ. კოლიუბაკინის პატაკის საფუძველზე 3 რიცხვში გასულა ჯვარის ოლქში იქ მომხდარი შემთხვევის გამო, რომლის შესახებაც თქვენ, რასაკვირველია, იცით.

არ ვიცი, სამეგრელოში არსებული ამჟამინდელი ვითარება, მით უმეტეს, ჯვარის არეულობის შემდეგ, რამდენად შეუნყოფს ხელს ჩემს საქმეს. ამიტომ ორიოდ დღით ქუთაისში დარჩენა გადავწყვიტე, გუშინ კი შიკრიკს წერილი გავატანე თავად გაგარინთან – ვთხოვ მიბრძანოს, დაუყოვნებლივ უნდა

წავიდე თუ არა სამეგრელოში და, პირველ რიგში, სად? ამასობაში ისიც გავიგე, რომ მთავრის ქვრივ ეკატერინე ალექსანდრეს ასულს გამგზავრების დაჩქარება სურს და ამიტომ მოუთმენლად მელოდება. –

რაიმე გაუგებრობა რომ არ მოხდეს, და დროის მაქსიმალურად დაზოგვის მიზნითაც, ხვალ წავალ ხონში და თავად გაგარინის პასუხს იქ დაველოდები, ზეგ გადავალ სენაკში და, თუ 10 რიცხვამდე პასუხს იქაც ვერ მივიღებ, პირდაპირ გორდში წავალ და საქმეს შევუდგები.

ამ წერილს რომ ვამთავრებდი, თავადმა გორჩაკოვმა თქვენი აღმატებულების 5 რიცხვის წერილი მომიტანა და, ამასთანავე, მივიღე სარწმუნო ცნობა, რომ თავადი ა. ი. გაგარინი, თუ დღეს საღამოსვე არა, ხვალ დილით მაინც ქუთაისში იქნება. ასე რომ, ხვალინდელი დღე მოხსნის იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც წავაწყდი და შემდეგ წერილს, ჩემდა სასიამოვნოდ, უკვე გორდიდან ან ლეჩხუმიდან მოგწერთ. –

[7 ოქტომბერი 1857 წ.  
ქ. ქუთაისი]

## 60. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი

სამეგრელოს მმართველს,  
ბ-ნ გენერალ-მაიორსა და კავალერს  
**კოლიუბაკინ II-ს**

სამეგრელოში ჩემი ჩამოსვლის მიზანი თქვენი აღმატებულებისთვის უკვე ცნობილია: თანმხლებ პირებთან ერთად უნდა გამოვარკვიო ან განსვენებული მთავრის ოჯახის ქონება და ყოველი საკუთრება.<sup>1</sup> ამას გარდა, დაკისრებული მაქვს, ადგილზევე შემუშავდეს შესაბამისი ზომები, რათა მთავრის ოჯახის ავლადიდება დაცული იყოს მოშლისა და განიავებისაგან. –



მთავრის ქვრივმა, მისმა უგანათლებულესობამ, კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა მომამაგრა ნდობით აღჭურვილი პირები და ამის შესახებ მაცნობა გუშინ (№26);<sup>2</sup> ისიც მომწერა, რომ, ზოგ-ზოგებმა, ისარგებლეს რა არეული დროით,<sup>3</sup> დაიწყეს სამთავრო ტყეებისა და სავარგულების ხელყოფა. მთავრის ქვრივი ითხოვს განკარგულებას, რათა მისი ქონება იყოს დაცული. —

ამიტომ, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, სპეციალური განკარგულების გამოცემამდე სამეგრელოს ფარგლებში უმკაცრესად აღიკვეთოს ხელყოფა იმ უძრავი თუ მოძრავი ქონებისა, რომელსაც უკანასკნელი წლების განმავლობაში განკარგავდა მთავრის ოჯახი და რომელიც წარმოადგენს კერძო და დაცულ საკუთრებას.

ამასთანავე, აქვე უნდა დავსძინო, რომ მოძრავი ქონება, რომელიც მისმა უგანათლებულესობამ პეტერბურგში გამგზავრების წინ სამეგრელოში დატოვა, მანვე მოსავლელად ჩააბარა მისთვის სანდო პირებს და, შესაბამისად, საჭიროა, სანამ ყოველივეს აღვრიცხავ, ადგილობრივმა მართებლობამ მათ სათანადო დახმარება აღმოუჩინოს.

11 ოქტომბერი [1857 წ.]  
გორდი

## 61. ეკატერინე დადიანისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულო

ჩემ მიერ გუშინ მიღებულ თქვენს წერილში (№26)<sup>1</sup> მოითხოვთ სამთავრო ოჯახის ტყეებისა და სავარგულების დაცვა-შენახვას. მაქვს პატივი, მოვახსენო თქვენს უგანათლებულესობას, რომ დღესვე მივმართე სამეგრელოს მმართველს, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს,<sup>2</sup> რომ სამეგრელოს ფარგლებ-

ში უმკაცრესად უნდა იყოს აღკვეთილი ხელყოფა იმ უძრავი თუ მოძრავი ქონებისა, რომელსაც უკანასკნელი წლების განმავლობაში განკარგავდა მთავრის ოჯახი და რომელიც წარმოადგენს კერძო და დაცულ საკუთრებას.

ამასთანავე, გენერალ კოლიუბაკინს ისიც ვაცნობე, რომ ს.-პეტერბურგში გამგზავრების წინ<sup>5</sup> მოძრავი ქონება მოსავლელად ჩააბარეთ სანდო პირებს. შესაბამისად, საჭიროა ხსენებულ პირებს, სანამ მე თვითონ ყოველივეს აღვრიცხავ, ადგილობრივმა მართველობამ აღმოუჩინოს სათანადო დახმარება.

რაც შეეხება სავალო ვალდებულებებს: უშუალო და წინასწარი მოთათბირების შემდეგ თქვენ ინებეთ, რომ ამ ვალდებულებებთან დაკავშირებული ქალაქები გადმომეცეს მე და ამის შემდეგ ისინი დასამონწმებლად და შემდგომი მსვლელობის მისაცემად გადავცე სამეგრელოს მმართველ საბჭოს.<sup>4</sup> თქვენი უგანათლებულისობის სავალდებულო რჩევის თანახმად, ხვალ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ზეგ სადადიანო სვანეთსა და ლეჩხუმში მივემგზავრები სამთავრო ოჯახის საკუთრების გამოსარკვევად.<sup>5</sup> – მთელი ამ დროის განმავლობაში, ქვაშიხორში ჩემ დაბრუნებამდე, სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებული ქალაქები, როგორც მოძრავი ქონების ნაწილი, უნდა იქნეს შენახული, ხოლო შენახვა მისი სვანეთსა და ლეჩხუმში მიმოსვლის პირობებში, ვფიქრობ, ჩემთვის გაცილებით მოუხერხებელია, ვიდრე იმ პირებისთვის, რომლებსაც თქვენ სხვა დანარჩენი ქონების მოვლა-შენახვა დაავალეთ.

თუ თქვენი უგანათლებულისობა ინებებს და ამ აზრს მოინონებს, მაშინ მე ამ ქალაქებსა და მათს ნუსხას ჩავაბარებ: ან სამთავრო ოჯახის სახლთუხუცესს, ან თქვენს სახლთუხუცესს, ან კიდევ – ორივეს.<sup>6</sup> ნუსხას დავამზადებ ორ ეგზემპლარად, ხსენებულ პირებს ხელს მოვანერიწებ და ამ ეგზემპლარებიდან ერთი იქნება თქვენთვის, ხოლო მეორე, ალბათ, მე უნდა დავიჭოვო, რათა ლეჩხუმიდან დაბრუნების შემდეგ სწორედ მასზე დაყრდნობით გავცე შემდგომი განკარგულებები.

მივანდობ რა თქვენს უგანათლებულესობას ყოველივე ამას გადასაწყვეტად, მაქვს პატივი, დაგიდასტუროთ ჩემი თქვენ-დამი უღრმესი პატივისცემა და სრული ერთგულება.

11 ოქტომბერი [1857 წლისა. გორდი].

## 62. ალექსი კრუზენშტერნისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ალექსი თედორეს ძევ

8 რიცხვში შევხვდით თავად ალ. ივ. გაგარინს და მისივე რჩევით ჩვენ<sup>1</sup> იმავე დღეს გავემგზავრეთ გორდში. მეორე დღეს მის უგანათლებულესობას, მთავრის ქვრივ ეკატერინე ალექსანდრეს ასულს, წარვუდექით. სავსებით მართალი ბრძანდებოდით, როცა ამბობდით, რომ მისგან მწარე ჩივილის მოსმენა მოგვიწევდა. მართლაც, შეხვედრის პირველმა საათებმა უკიდურესად უსიამოვნო ვითარებაში ჩაიარა, მით უმეტეს, საქმის გარემოებების შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდი და ჩემი ოფიციალური თანამდებობით განპირობებული ღირსებაც უნდა შემენარჩუნებინა,<sup>2</sup> თუმცა მალე ვითარება გულწრფელი და სასიამოვნო საუბრით შეიცვალა. ჩვენ და – ამის აღნიშვნას სამართლიანობა მოითხოვს – განსაკუთრებით მ. ი. ჩილიაევმა საბოლოოდ შევძელით მთავრის მგლოვიარე ქვრივის ნდობა მოგვეპოვებინა და მისი სულიერი მდგომარეობა ისე შეგვეცვალა, რომ მთავრის ქვრივისათვის საკუთრივ მისი და მისი შვილების მომავლისადმი რწმენა შთაგვენერგა.<sup>3</sup> მომავალს იგი უკვე არა პირქუშ, არამედ ნათელ ფერებში ხედავს, დარწმუნებულია ხელმწიფის სიკეთეში, თავისი შვილის<sup>4</sup> უფლებების ხელშეუხებლობასა და მეფისნაცვლის განკარგულებათა აუცილებლობაში.

ჩვენს ამოცანას მკაცრი ფორმალიზმით თუ მიუხედავებით, ეს არც უნდა ყოფილიყო ჩვენი მიზანი, თუმცა არსებობს მოვალეობები, რომელთა დაცვა აუცილებელია, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ამის შესახებ რაიმე მითითება. ჩვენ სწორედ მოვალეობა გვიკარნახებდა, დაგვებრუნებინა სულიერი სიმშვიდე მანდილოსნისთვის, რომლისთვისაც არავის წაურთმევია დრტვინვის უფლება და იმასაც ვცდილობდით, მისთვის რუსეთში გამგზავრების სიმძიმე შეგვემსუბუქებინა. დარწმუნებით უნდა მოგახსენოთ, რომ მთავრის ქვრივს ბევრი არაფრის შემზადება სჭირდება – საკმარისია ხალხს თავისი უკმაყოფილება აგრძნობინოს და აქ მეტ-ნაკლებად საშიში არეულობა გარდაუვალი გახდება. ახლა კი, პირიქით, იგი დარწმუნებულია, რომ სამეგრელოში განხორციელებული ცვლილებები გაცილებით უკეთ უზრუნველყოფს მისი შვილების მომავალს. ჩვენ, ჩვენი მხრიდან, დარწმუნებულნი ვართ (ვინც რა უნდა ილაპარაკოს ან წეროს, მე თქვენ გარწმუნებთ, ის აქ არ არის გავლენას მოკლებული), მთავრის ქვრივი ყველა ღონეს იხმარს და მთელ თავის გავლენას გამოიყენებს, რომ სამეგრელოდან მისმა გასვლამ აქ მშვიდობიანად ჩაიაროს.<sup>5</sup> – იგი აპირებს აქედან 20 რიცხვში გასვლას და გემის მოლოდინში ფოთში ორიოდ დღე გაჩერდება.<sup>6</sup> –

ხვალ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ზეგ მაინც ჩემი უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამალით მთებში გავემგზავრები – სადადიანო სვანეთში, სადაც შელწევა ჯერ კიდევ შესაძლებელია, თუმცა რამდენად შესაძლებელი იქნება იქიდან გამოღწევა, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. ახლა მშვენიერი ამინდია და, თუ სვანეთსა და ლეჩხუმში ორ კვირაში მოვრჩებით საქმეს,<sup>7</sup> მაშინ, ვფიქრობ, ზემოხსენებული დაბრკოლებები არ არის მოსალოდნელი. სამეგრელოს დაბლობში კი ზამთარი სულაც არ არის წელიწადის ყველაზე ცუდი დრო.

11 ოქტომბერი [1857 წ.].

გორდი

### 63. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ნიკოლოზ პეტრეს ძე

თქვენი აღმატებულებისთვის ცნობილია, რომ თქვენდამი რწმუნებულ სამეგრელოში ჩემი მოვლინების მთავარი მიზანი სამეგრელოს სამთავრო ოჯახის უძრავი და მოძრავი საკუთრების მოვლა-შენახვაა.<sup>1</sup> ერთ-ერთი საამისო ღონისძიების შესახებ ა. თ. 11-ში (№3) უკვე მქონდა პატივი მიმემართა თქვენთვის.<sup>2</sup> — ამჟამად, სადადიანო სვანეთში ჩემი გამგზავრების წინ,<sup>3</sup> კიდევ ერთი აუცილებელი ღონისძიების შესახებ მომახსენეს: მთის საძოვრებიდან მთავრის კუთვნილი მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი საქონლის, აგრეთვე, ცხენების გამოსაზამთრებლად ჩამორეკვის დროა დამდგარი. საქონლისა და მწყემსებისთვის გამოსაზამთრებელი ბინების მოწყობა და საკვებით მომარაგება ძველთაგანვე მიღებული წესით ზუგდიდის მაზრის რამდენიმე სოფელს ბეგრად აქვს დაკისრებული: ჭაქვინჯს, ხობულეთს, აბასთუმანს, ზუგდიდს, სადარიას და სხვ.

სანამ ჩემი და თქვენი აღმატებულების შეთანხმებისამებრ ნახირისა და ცხენების შესანახად საჭირო ზომები იქნება მიღებული, სანამ მათს რაოდენობასა და მდგომარეობას გავარკვევ, ვფიქრობ, საჭიროა ადგილობრივი მართებლობის სახელზე გაიცეს განკარგულება, რათა აღნიშნული ნახირისა და ცხენების მოსავლელად შენარჩუნებულ იქნეს ის წესები, რომლებიც დღემდე იყო მიღებული. —

თუკი თქვენი აღმატებულება, თავის მხრივ, დაინახავს ამის საჭიროებას, უმორჩილესად გთხოვთ, გასცეთ შესაბამისი განკარგულება.

ამასთანავე, თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს ღრმა პატივისცემასა და სრულ ერთგულებას.

13 ოქტომბერი 1857 წ.  
გორდი

## 64. ბეჟან ახვლედიანისადმი

ლაილაშის ნაცვალს, აზნაურ ბეჟან ახვლედიანს

დღეს 12 ნაფიცი პირისგან<sup>1</sup> მივიღე ჩვენებები, რომელთა საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა დაუბრუნოთ: ლაილაშელ ვაჭრებს, ალექსი და ივანე ჯანუაშვილებს, მათთვის ჩამორთმეული მიწა – წყვილი ხარით სახნავი ოთხი დღიური;<sup>2</sup> მოჯალაბე ნანიკა მესხაძეს – ვაჭართა დასასახლებლად ჩამორთმეული მიწის სანაცვლოდ ტოლფარდი ნაკვეთი თავისუფალი მიწიდან; აზნაურებს, ლევან და დათიკელა ასათიანებს – ნითელაურის პირას ჩამორთმეული მათი კუთვნილი სამი დღიური სახნავი მიწა. საერთოდ, ლაილაშელი ვაჭრები თავისუფალ სამთავრო მიწებზე არსებული საძოვრებისა და ტყის ხარჯზე გლახთა თანასწორად უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი.<sup>3</sup>

ამას გაცნობებთ აღსასრულებლად.

25 ოქტომბერი 1857.

სოფ. ლაილაში

## 65. ნინო და ეკატერინე დადიშქელიანებისადმი

თავადის ასულებს – დადიშქელიანებს<sup>1</sup>

მაქვს პატივი გაცნობოთ, მონყალეო ქალბატონებო, რომ თქვენს მდგომარეობას,<sup>2</sup> რომელიც ჩემდამი გადმოცემულ თხოვნაშია აღწერილი,<sup>3</sup> დაუყოვნებლივ ვაცნობებ ბატონ კავკასიის მეფისნაცვალს.<sup>4</sup> ამასთანავე, სახლთუხუცესს, თავად ჩიქოანს, ვწერ,<sup>5</sup> რომ მეფისნაცვლის განკარგულებამდე უზრუნველგყოთ სარჩოთი ისე, როგორც ეს სამეგრელოს დედოფალს<sup>6</sup> ჰქონდა დანესებული.

[31 ოქტომბერი 1857. სოფ. მური]

## 66. დავით (დათიკა) სალიკის ძე ჩიქოვანისადმი

სახლთუხუცესს, პრაპორშჩიკ დათიკა ჩიქოანს

დღეს თავად ჯამსუყის ქვრივმა და თავად თენგიზ დადიშქელიანის მეუღლემ გადმომცეს თხოვნა, რომლის მიხედვითაც, თვითონ ისინი და მათი ამაღლა ოთხმოცზე მეტი სულის შემადგენლობით განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას და დარჩენილნი არიან არსებობისთვის აუცილებელი სარჩოს გარეშე.<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, აღუდგინოთ მათ ის კმაყოფა, რომელიც მისი უგანათლებულებობის, სამეგრელოს დედოფლის, მიერ იყო დაწესებული და ამ ცოტა ხნის წინ შეწყდა. – ამიერიდან მათ დაკმაყოფილებასთან ერთად, გთხოვთ, ჩემს სპეციალურ შეტყობინებამდე ანარმოთ დაწვრილებითი ანგარიში სამეგრელოს მთავრის შემოსავლებიდან დადიშქელიანების დასახმარებლად განეული ხარჯის შესახებ და თავის დროზე ეს ანგარიში წარუდგინოთ მთავრის ადგილ-მამულის სამეურვეო მმართველობას, რომელიც უნდა დაარსდეს.

ამასთანავე, დავსძენ, რომ დახმარება იქნება სესხად გაცემული<sup>2</sup> და ყოველივე ამის შესახებ მოვახსენებ მეფისნაცვალს.<sup>3</sup>

[31 ოქტომბერი 1857.

სოფ. მური]

## 67. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

სადადიანო სვანეთიდან უკან მობრუნებულმა ლეჩხუმში, სოფ. მურში,<sup>1</sup> ვნახე მოკლული თავადის, ჯამსუყისა და მისი შვილის, თავად თენგიზ დადიშქელიანის, ოჯახი, რომელიც მოსამსახურეების ჩათვლით 80 სულზე მეტს შეადგენს და სამი

წელია აქ, სამეგრელოს მთავრის სასახლეში, ცხოვრობს.<sup>2</sup> მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი სამეგრელოს სამთავრო ოჯახის კმაყოფაზე იყვნენ. გამონაკლისია ერთი თვე, როდესაც ისინი სარჩოს ხაზინისგან იღებდნენ. ახლა, როცა სამთავრო ოჯახის ყველა წევრი რუსეთშია, დადიშქელიანები არსებობისთვის საჭირო თითქმის ყოველგვარ საშუალებას არიან მოკლებულნი; თითქმის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მათ აღარ გააჩნიათ არავითარი ქონება, რომლის გაყიდვით თუნდაც მცირე ხნით შეძლებდნენ თავის გატანას.

აქ აღარავინ დარჩა ისეთი, ვის უფლება-მოვალეობაშიც ამ პირთა შენახვა შევა. სვანეთში დაბრუნება, მით უმეტეს, ახლანდელ ვითარებაში,<sup>3</sup> მათ არ შეუძლიათ. ხელისუფლებისგან შემწეობა დანიშნული არა აქვთ, კეთილმოსურნე პირთაგან გაღებული წყალობა ამონურულია და ახლა ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ თავად ჯამსუყის ქვრივმა და თავად თენგიზის მეუღლემ მომმართვეს თხოვნით – ვიხსნა ისინი შიმშილისგან.<sup>4</sup>

როგორც ხელისუფლების წარმომადგენელს, მე არ შემეძლო არ შევსულიყავი თავადის ასულების, დადიშქელიანების, მდგომარეობაში. მაგრამ ახლა არც მე და არც აქ მყოფთაგან არავის მათი უზრუნველყოფა არ შეგვიძლია. ამიტომ გადავწყვიტე, დადიანების სახლთუხუცესისთვის, რომელიც თან მახლავს,<sup>5</sup> მიმემართა თხოვნით – აღუდგინოს დადიშქელიანებს ის კმაყოფა, რომელიც მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულის მიერ<sup>6</sup> ამ ოჯახისთვის იყო დანიშნული. ვინაიდან გაღებული ხარჯი უნდა იყოს დაუბრუნებელი,<sup>7</sup> თავადის ასულებისა და მათი ამაღლისთვის დღეიდან გაცემული დახმარება უნდა აღირიცხოს მანამ, სანამ არ გაიცემა თქვენი ბრწყინვალეების შესაბამისი განკარგულება დადიშქელიანებისთვის სარჩოს გამოყოფის შესახებ; და იმის შესახებაც, თუ რა ფორმით დაუბრუნდეს სამეგრელოს სამთავრო ოჯახს ჩემი გადაწყვეტილებით გამონვეული ხარჯი.



პატივისცემის გრძნობით მოვახსენებ რა ყოველივე ამას თქვენს ბრწყინვალეობას, მაქვს პატივი უმორჩილესად გთხოვოთ, საკუთარი შეხედულებისამებრ გასცეთ შესაბამისი განკარგულება დადიშქელიანების ოჯახისთვის დახმარების განევის თაობაზე<sup>8</sup> და ამის შესახებ დაუყოვნებლივ შემატყობინონ, რათა ეს ყველაფერი გადავცე სახლთუხუცესს – თავად ჩიქოანს. ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, დადიანების ოჯახის შემოსავლებიდან განეული ხარჯის ანგარიში თავის დროზე უნდა წარუდგინოს სამეგრელოს მთავრის ავლადიდების სამეურვეო მმართველობას. –

დასასრულ, იმედი მაქვს, რომ ჩემზე დაკისრებულ დავალებას ლეჩხუმში ამ დღეებში დავასრულებ და ბარის სამეგრელოში დავბრუნდები არა უგვიანეს დამდეგი 10 ნოემბრისა.

31 ოქტომბერი 1857.

სოფ. მური

## 68. დავით ოტის ძე ჩიქოვანისადმი

სამეგრელოს მთავრის სახლთუხუცესს, პრაპორშჩიკს,  
თავად **დავით ჩიქოანს**

სოფელ ორბელის ნაცვალმა, სოფლის მოხელეებმა და უხუცესებმა, რომლებიც თქვენი ბრწყინვალეობის თანდასწრებით ფიცის ქვეშ გამოვკითხეთ, უჩვენეს, რომ სამი წლის წინ მოხელეებმა გლახობას მთავრის ბრძანების გარეშე ჩამოართვეს საკავიისა და მოცენაშის მიწები, ხოლო გლახებს, კვინტაძესა და გვიშიანს – ცივწყაროს მიწა. რამდენადაც გლახები ხელოსანთა<sup>1</sup> ამ დაუსაბუთებელი განკარგულების გამო ჩივიან, გთხოვ

ოვთ გასცეთ განკარგულება, რათა ზემოაღნიშნული მიწები დაუბრუნდეთ: საკავია და მოცენაში ორბელის გლეხობას, ხოლო ცივწყარო – გლეხებს: კვინტაძესა და გვიშინს. მით უმეტეს, მიწების ჩამორთმევისას გლეხებისთვის საბეგრო ვალდებულებები არ შეუმცირებიათ.

31 ოქტომბერი 1857.

მური

## 69. სიკო ჩიქოვანისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
კნიაზო სიკო მიქელის ძე!

სადადიანოს სვანეთში და ლეჩხუმში რომ ვმსვლელობდი მე აღსასრულებლად უმაღლესის მთავრობისაგან მონდობილისა ჩემდა საქმისა,<sup>1</sup> თქვენ განუშორებულად იმყოფებოდით ჩემთან, ვითარცა სანდო პირი, მენგრელიის მთავრინასაგან<sup>2</sup> მოჩენილი და შემწე მექმნებოდით ყოველსა მას მოქმედებასა შინა, რაიცა ოდენ კეთილნარსამართ ეყოფოდა მგზავრობასა და დაუყოვნებულად საქმის წარმოებასა. – ან წინამძღვრის განშორება თქვენი და ვალდებულად ვჰპოვებ თავსა ჩემსა, რათა განგიცხადოთ გულითადი მადლობა ყოველისა მის შრომისა და სასჯელისათვის,<sup>3</sup> რომელთაცა არა განერინებოდით და რომლითაცა დამიმტკიცეთ კეთილსინიდისიერი და კეთილშობილური შემწეობა თქვენი. – წერილითა ამით წარმოგვჰსთქვამ თქვენ წინაშე მადლობასა ამას; – ხოლო მრჩობლ<sup>4</sup> გამოსათქმელად გთხოვთ მიიღოთ ჩემგან წარმოგზავნილი ამასთანავე უფლის კავკასიის ნამესტნიკის<sup>5</sup> მიერ გარდმოცემული ჩემდა მისის ეკსტრაორდინერიის კაბინეტი, ოქროს კოლოფი და დარწმუნე-

ბულ ბრძანდებოდეთ, რომელ უცვალეზლად დამიცს თქვენდა  
რწფელი გულითადი პატივისცემა, რომლითაცა ვჰგვიე  
თქვენის ბრწყინვალეზის მორჩილი მოსამსახურე...

4 ნოემბერს 1857 წელსა.  
გორდით

## 70. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ბარონო ალექსანდრე პავლეს ძე,

პატივი მქონდა, ლეჩხუმიდან ბარის სამეგრელოში ჩამოს-  
ვლის მეორე დღეს,<sup>1</sup> კერძოდ, ა. თ. 12-ში, თქვენი 4 რიცხვის  
წერილი მიმელო. –

მთავრის მეულლე ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჯერ კი-  
დევ გორდში პირადად მთხოვდა, თქვენთან და თავად დავით  
ალექსანდრეს ძესთან<sup>2</sup> ერთად მეკისრა მისი შვილების ადგილ-  
მამულის მეურვეობა. ამის შემდეგ იგი იმავე საკითხზე ცხე-  
ნისწყლისპირიდან<sup>3</sup> და ფოთიდანაც მწერდა. – აქვე მომანოდა  
მან წესები, რომლის ერთი ეგზემპლარი თქვენი აღმატებულე-  
ბისთვისაც არის გაგზავნილი.

ეკატერინე ალექსანდრეს ასულს პირადად ვესაუბრე იმ  
სირთულეების შესახებ, რომელთა წინაშეც მისი თხოვნა მა-  
ყენებდა.<sup>4</sup> ეს სირთულეები კი გამომდინარეობს იმ პასუხისმ-  
გებლობიდან, რომელსაც მეურვე საკუთარი სინდისის, კანო-  
ნისა და, დასასრულ, იმათ წინაშე იღებს, რომლებიც დროთა  
განმავლობაში ამ ადგილ-მამულის მართვა-გამგეობას თვი-  
თონ შეუდგებიან. გარდა ამისა, პასუხისმგებლობასთან ერ-  
თად მეტისმეტად დიდია ის ძალაუფლება, რომელიც მეურვეს  
ენიჭება – წელიწადში ერთხელ შესაბამის ინსტანციაში უნდა  
წარადგინოს ანგარიში, ხოლო, სხვა მხრივ, იგი ხდება სრული  
ბატონ-პატრონი ადგილ-მამულისა და მმართველი მისი საწარ-

მოო ძალებისა, შემზღუდავი გარემოებები კი ესლაა: უნდა შეინარჩუნოს ადგილ-მამულის მთლიანობა და საშემოსავლო თანხები საგრძნობლად არ შეამციროს. არაფერს ვამბობ მეურვის მატერიალურ სარგებელზე, რადგანაც არც მე და არც თქვენ არ ავილებთ იმასაც კი, რასაც კანონი ითვალისწინებს. მაშასადამე, ამგვარ სამძიმო ვალდებულებას ადამიანი ან ნათესაური კავშირის, ან კიდევ პირადი ერთგულების გამო თუ იკისრებს. ჩემი ერთგულება იმ ოჯახის მიმართ, რომელსაც ეკატერინე ალექსანდრეს ასული წარმომავლობით ეკუთვნის, ეჭვქვეშ ვერ დადგება, რადგანაც იმ ოჯახში მე ღვიძლ ადამიანად ვიყავი მიღებული.<sup>5</sup> დადიანების ოჯახისადმი ჩემი ერთგულება კი მხოლოდ კეთილი ნაცნობობით შემოიფარგლება და ეს გარემოება ვერ დამაკისრებს ისეთ ვალდებულებას, რომელსაც ჩემი პირადი და ოჯახური ინტერესები უნდა შევნირო. და მაინც, მთავრის მეუღლის დაჟინებული თხოვნა-ვედრების საპასუხოდ მე მას განვუცხადე თანხმობა, თუმცა ერთი პირობით: ჩვენი შეთანხმება უნდა გაფორმდეს ოფიციალურად და მოვალეობის შესრულებას უნდა შევუდგე მას შემდეგ, რაც ამჟამად ჩემზე დაკისრებულ დავალებას დავასრულებ.<sup>6</sup> ხსენებული დავალების დასრულებას კი – თუნდაც იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებსაც უკვე გავეცანი – მე ახლო ხანებში არ ველოდები; სირთულეებიც, რომელთა გამოც მე ჩემს პირობებს ვაყენებდი, კი არ მცირდება, არამედ – იზრდება.

კიდევ ერთს მოგახსენებთ: ისეთი მმართველობის პირობებში, როგორიც დღეს აქ არის დამკვიდრებული და როგორსაც ადგილობრივი ადმინისტრაცია ახორციელებს, მეურვეებმა მამულის მართვა-გამგებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა შეიტანონ. აქედან გამომდინარე, აქ, უკიდურეს შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოსვლა და, სულ ცოტა, ორი-სამი თვით ყოფნა ხდება საჭირო. და ეს იმიტომ, რომ აუცილებელი იქნება საკუთარი თვალთ შემონწმება იმისა, თუ როგორ სრულდება ის წესრიგი, რომელსაც აქაური მმართველობა შემოიღებს და როგორ ასრულებენ თავ-თავიანთ მოვალეობებს ის პირები, რომლებსაც მეურნეობის ესა თუ ის სფე-

რო ექნებათ ჩაბარებული. დასასრულ, აუცილებელია ისიც, რომ ხსენებული პირები შერჩეულ იქნენ მათი ერთგულებისა და კეთილსინდისიერების მიხედვით; უკიდურეს შემთხვევაში, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ნდობის გარკვეულ ხარისხს. – მაგრამ აქ ჩამოსვლისა და ხსენებული დროის განმავლობაში ყოფნის საშუალება მე არა მაქვს. სამსახურმა რომც მომცეს ამის შესაძლებლობა, ამას არ მომცემს ჩემი საკუთარი მამულის მოვლა-პატრონობის აუცილებლობა და, რაც მთავარია – არანაკლებ წმინდა მოვალეობა, ჩემი შვილების წინაშე რომ მაკისრია.

მე მოკლებული ვარ საშუალებას, საქმე ჩავაბარო იმ თვისებებით აღჭურვილ პირებს, ზემოთ რომ მოგახსენეთ; და ეს იმიტომ, რომ მთავრის მეუღლემ უკვე დანიშნა ისეთი ადამიანები, რომლებსაც მე კარგად არ ვიცნობ. ადგილ-მამულის მართვა-გამგეობის საქმეში თანამშრომლობასა და ჩემი ცოდნის გაზიარებას მე არ დაგზარდებით. ტფილისში ჩასვლისთანავე მოგახსენებთ ყველაფერს, რაც ამ საქმის თაობაზე ვიცი და ჩემს შეხედულებებსაც გაგიზიარებთ იმის შესახებ, თუ რა იქნება უფრო სასარგებლო და რა – არა, მაგრამ ვიკისრო ვალდებულებები, რომელთა შესრულება ჩემს ძალებს აღემატება, ჩემი მხრიდან იქნება არაკეთილსინდისიერი საქციელი და ამიტომაც ვერ ვიკისრებ სამეგრელოს სამთავრო ოჯახის მეურვეობას.

მოგახსენებთ რა სრული გულწრფელობით საკუთრივ ჩემთან დაკავშირებულ გარემოებებს, იმასაც გეტყვით, რომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, სასწრაფოდ უნდა მოხდეს სამეურვეო მმართველობის შემოღება – შემოსავლების მიღებისა და საკმაოდ მრავალფეროვანი და აქა-იქ მიმოფანტული ქონების მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელია სწრაფი და გადაუდებელი განკარგულებების გაცემა. – საკუთარ დასკვნებს ამის თაობაზე ხელმძღვანელობას თავის დროზე მოვახსენებ, თუმცა ლოდინი, თუ როდის შევძლებ მე ამას, არც რაიმე სარგებლობის მომტანი იქნება და კონკრეტულად ადგილ-მამულ-

თან დაკავშირებულ სამეურნეო საქმეებსაც დააზარალებს. ძველი წესები შეჩერებულია, ახალი წესები მყისიერად უნდა იქნეს შემოღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაკარგებს ვერ ავიცილებთ. – თავადი ლორთქიფანიძე<sup>7</sup> მთავრის მეუღლის გამგზავრების შემდეგ<sup>8</sup> მე არ მინახავს, მამულის მმართველი კი აქ კარგა ხნის წინ უნდა ყოფილიყო.

მოგახსენებთ რა ყოველივე ამას, თქვენს აღმატებულებას უმორჩილესად ვთხოვ, გაუგზავნოთ მის უგანათლებულესობას, მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულს თანდართული წერილი,<sup>9</sup> რომლითაც მე მას ვატყობინებ, რომ არ შემიძლია, მივიღო მეურვის წოდება.<sup>10</sup> წერილის გაგზავნას თქვენ იმიტომ ვთხოვთ, რომ არ ვიცი, თუ რა მისამართზე გავგზავნო იგი.

[1857 წ. ნოემბერი]

## 71. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი

მის აღმატებულებას, სამეგრელოს მმართველს,  
ბ-ნ გენერალ-მაიორსა და კავალერს,  
**კოლიუბაკინ II-ს<sup>1</sup>**

სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების აღწერისას, რომელიც მე მაქვს დაკისრებული, ნაფიცმა პირებმა<sup>2</sup> ზოგიერთ სადავო საკითხზე მიუთითეს; კერძოდ:

1. სოფელ ლაშხეთში შემავალი ასასაშის მცხოვრებლებმა 21 ოქტომბერს უჩვენეს, რომ თავადი გარდაფხაძეები მთავარს ლუჯის საზღვრებსა და ლუჯის ციხეს ედავებიან. თავის მხრივ, თვითონ თავად გარდაფხაძეების 2 ნოემბრის მომართვის მიხედვითაც, მათ ან განსვენებულ მთავარ დავით დადიანს რამდენჯერმე მიმართეს თხოვნით, დაებრუნებინა მათთვის ლუჯის ციხე და მიმდებარე მიწები, მაგრამ არც ერთი თხოვნა

არ იქნა დაკმაყოფილებული. ამიტომ ისინი კვლავ აყენებენ ამ საკითხს. –

2. სოფლების: გორდის, კინჩხის, ლეედისა და დუბგვაბუნის მცხოვრებთა 9 ნოემბრის ჩვენებებიდან: ა) აზნაური შავდიები დავობენ სოფ. გორდის საზღვრებთან დაკავშირებით; ბ) თავად გიორგი დადიანოვისა და მისი ძმების გლეხებმა მთავარ დავითის გარდაცვალების (1853) შემდეგ შეწყვიტეს მეათედის გადახდა იმ მიწებიდან, კურთხის მთასთან რომ მდებარეობს; და გ) თავადი და აზნაური ჩიქოანები დავობენ ზოგიერთი ადგილიდან მეათედის აკრეფის თაობაზე (ანუ ე. წ. **მოდის** გადახდევენებაზე),<sup>3</sup> აგრეთვე, ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე ბაჟის აღების საკითხზე.

3. სოფელ ხუნწის მცხოვრებთა 11 ნოემბრის ჩვენებებიდან: ა) აზნაური ხაინდრავები დავობენ დეიფნის ხევში მდებარე 34 ქცევა წიფლნარი ადგილის თაობაზე, სადაც ფლობენ საბაჯანელიძისათვის ჩამორთმეულ 12 ქცევას; და ბ) აზნაურ რევიებს მისაკუთრებული აქვთ ტყე ყოფილი სამთავრო ოჯახის გარშემო.

4. სალხინოს მცხოვრებთა 16 ნოემბრის ჩვენებებიდან: ა) თავად გიორგი დადიანოსა და მის ძმებს მისაკუთრებული აქვთ ტერიტორია შაკვეს მამულიდან (ტეხურასთან) ოკარკალეს ხევამდე. იმავე საკითხზე დავობენ დუტუ დადიანოვი და მისი ძმები; ბ) თავად გიორგი დადიანოსა და მის ძმებს მისაკუთრებული აქვთ აგრეთვე ტერიტორია კიბილაურამდე, სადაც მათი აზნაურები და გლეხები ცხოვრობენ; გ) ბეჟაჟნავილიდან კაცხილის ფონამდე ტერიტორიაზე დავობენ კოსტა დადიანოვის ვაჟიშვილები; დ) თავადი ფაღავები დავობენ შურიელ ცანავას საცხოვრებლისა და თარგამეულის მიწების თაობაზე; ე) სკურდლალის მხრიდან საზღვრის თაობაზე დავაა თავად ელიზბარ დადიანოსა და აზნაურ შავდიებს შორის; და ვ) მოსახლეობა წინააღმდეგია, მიწის შემოსავლიდან მეათედი (მოდის) იხადოს.

5. სოფ. ლესიჭინეს მცხოვრებთა 19 ნოემბრის ჩვენებებიდან: სიჭინავები<sup>4</sup> დავობენ თავად პეტრე დადიანოვის უფლე-

ბის წინააღმდეგ, ფლობდეს მონგირის მიდამოს ოჩხომურთან, სადაც თვითონ პეტრე დადიანოვი სახლობს.

6. სოფ. კირცხის მცხოვრებთა 20 ნოემბრის ჩვენებებიდან: თავად ჩიჩუებს მისაკუთრებული აქვთ ტერიტორია გოხორხილიდან ლეტაიშის ტყემდე და მის მიღმა – ადგილი ჯანიშოკარე, საიდანაც მეთაურობდა იღებენ. –

7. უფალისკარელების 21 ნოემბრის ჩვენებების მიხედვით, საზღვრების თაობაზე დავობენ თავადები ფალავები, აფაქიძეები და დადიანოვები: კაციას ძენი, ვაშეკის ძენი და ალექსის ძენი. –

8. ზუგდიდელთა 24 ნოემბრის ჩვენებებით, წარმოშობილია დავა საზღვრების შესახებ მაცხოვრის საფლავის ეკლესიის მამულების გამგებლობის მხრიდან. –

9. ჯვარელების 25 ნოემბრის ჩვენებებში მითითებულია დავა დადიანებსა და დადიშქელიანებს შორის მთის საძოვრებთან დაკავშირებით.

10. აბასთუმნელების ჩვენებებით, საზღვრებთან დაკავშირებული დავაა ხოპის მონასტრის მხრიდან.<sup>5</sup>

იმავე ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ყველა ჩამოთვლილი დავის შესახებ წარმოებდა საქმეები სამეგრელოს წინანდელი მმართველობის მიერ. –

დავების გარჩევაში მე ვერ შევალ, თუმცა ვალდებული ვარ, გავარკვიო და წარმოვადგინო, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად ხსენებულ საქმეთა წარმოების მხრივ. – ამიტომაც, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, გასცეთ განკარგულება, რათა უწინდელი მმართველობის საქმეებიდან მომზადდეს ამონაწერები ათივე ზემოჩამოთვლილი საქმის შესახებ. ან კიდევ: თუ ამგვარი ამონაწერების მომზადება რაიმე სირთულესთანაა დაკავშირებული, გთხოვთ მომანოდოთ თვითონ საქმეები, რათა იქიდან ამოვკრიბო საჭირო ცნობები. – უკანასკნელ შემთხვევაში, თავს უფლებას მივცემ, თქვენს აღმატებულებას მოვახსენო ჩემი სურვილი, საქმეები იყოს, უკიდურეს შემთხვევაში, შესაბამისად გადანომრილი მაინც და ისინი გამომიგზავნონ



ქუთაისში ამ თვის 20 რიცხვამდე. ჩემთვის საჭირო ცნობების ამოკრებისთანავე საქმეებს დაუყოვნებლივ დავაბრუნებ უკან.

ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის  
საბჭოს წევრი,  
ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**

6 დეკემბერი 1857 წლისა.  
სოფ. თეკლათი

## **72. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი**

მის აღმატებულებას, სამეგრელოს მმართველს,  
ბ-ნ გენერალ-მაიორსა და კავალერს,  
**კოლიუბაკინ 2-ს**

თეკლათელმა ნაფიცმა პირებმა<sup>1</sup> ა. თ. 6 რიცხვში უჩვენეს, რომ სოფლის საზღვრებთან დაკავშირებით დავა აქვთ თავადებს: ჩიჩუებს, მხეიძეებსა და ქოჩაქიძეებს.<sup>2</sup> –

ჭალადიდელმა ნაფიცმა პირებმა ა. თ. 7 რიცხვში უჩვენეს, რომ გურიისა და, კერძოდ, მალთაყვის მხრიდან ჭალადიდის საზღვართან დაკავშირებით დავობს დათა გურიელი და ამ საქმეს პირადად არჩევდა ან განსვენებული მთავარი დავითი. –

დღეს სენაკელმა ნაფიცმა პირებმა უჩვენეს, რომ სოფლის საზღვრებთან დაკავშირებით დავა აქვთ:

1. თავადის ასულ მენიკსა<sup>3</sup> და თავად ელიზბარ დადიანების გლეხებს – კინწურნიშვილსა და ჯინორიძეს; 2. თავად ჩიჩუასა და მის გლეხებს; 3. გლეხ ყვანიასა და 4. საეკლესიო უწყებას.

იმავე ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ყველა ეს დავა წინა მმართველობის დროს განხილვის საგანი ყოფილა. –

ამიტომაც, თქვენო აღმატებულებაე, უმორჩილესად გთხოვთ, სხვა საქმეებთან დაკავშირებულ ამავე ხასიათის ცნობებს, რომლებიც, პატივი მიქონდა ა. თ. 6 რიცხვის №16 მიმარ-

თვით მეთხოვა, მოცემულ საკითხთან დაკავშირებული ცნობე-  
ბიც დაურთოთ.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი...

9 დეკემბერი 1857.  
სენაკი

### 73. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი

მონყალეო ხელმწიფევე,  
კნიაზო დავით ოტიას ძევე

ეგოდენს ხელის წარმმართველს შემწეობასა და შრომის შემ-  
სუბუქებასა, რაოდენიცა უხვად მავასხეთ<sup>1</sup> ლეჩხუმსა და ოდიშ-  
ში, სადაც განუშორებელად მეთანამგზავრებოდით და თანა-  
ზიარმეყოფოდით აღსრულებასა შინა მთავრობისაგან მონდო-  
ბილსა ჩემდა საქმისასა,<sup>2</sup> აწარმოებს პატიოსნება ოდენ შეურყე-  
ველი და სინმინდე სვინიდისისა უგინებელი. — მით უმტკიცესად  
დანერგილ იქმნა პატივისცემა თქვენდა გულსა ჩემსა, რომელ,  
არ დაგიმაღავთ, საჩივარი მესმოდა თქვენზედ, ხოლო თვალით  
ნახულთა ჩემ მიერ და სმენით გაგონილთა საქმეთა თქვენთა  
საჩივარი ქებად შეჰსცვალეს და სიმართლე თქვენი უმეტესად  
განანათლეს. — ამიერითგან დავალებად მივითვლი, უკეთუ მე-  
ცა მეგობართა თქვენთა შორის მიგულებთ. მომაგონებელად  
სიტყვათა ამათ ჩემთა და დამმონმებელად სინრფელისა მათი-  
სა, გთხოვთ მიიღოთ წარმოგზავნილი ამასთანავე ოქროს კო-  
ლოფი მინანქრით შემკობილი და გარდმოცემული ჩემდა უფა-  
ლის კავკასიის ნამესტნიკის<sup>3</sup> ეკსტრაორდინერი კაბინეტთაგან.

სხვებრ...

13 დეკემბერი 1857.  
ორპირს

## 74. ვასილ ინსარსკისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ვასილ ანტონის ძეგ

უაღრესად შრომატევადი საქმე დაგეკისრათ,<sup>1</sup> თუმცა თქვენ არ დაილღებით და საქმესაც თავს ისე გაართმევთ, როგორც ეს ოსტატებს სჩვევიათ. სულით და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას პირველ რიგში და მერე – თანამშრომელთა შორის მოპოვებული სიყვარულის შენარჩუნებას. –

ამ ჩემი წერილით, რაც უნდა ვრცელი გამოვიდეს იგი, იმედი მაქვს, დიდად არ დაგტვირთავთ; პირიქით, შეიძლება შვებაც კი იგრძნოთ, რადგანაც მიზანი, რომლისკენაც თქვენი წაყვანა მსურს, შვების მომგვრელი შედეგით უნდა დასრულდეს.

თქვენ, ცხადია, უკვე მოგეხსენებათ, სად და რატომ მივდი-მოვდივარ, მაგრამ ამჯერად საკითხი იმ დავალებას არ ეხება,<sup>2</sup> რომელიც დაკისრებული მაქვს და ბოლომდე იქნებოდა მიყვანილი, საქმეში აქ, სამეგრელოში, „ნაშოვნი“ რევმატიზმი რომ არ ჩარეულიყო.<sup>3</sup> საკითხი ეხება ერთ ყოვლად ჩვეულებრივ რომანს, რომელიც, წესით, ისე უნდა დამთავრებულიყო, როგორც მსგავსი რომანები მთავრდება ხოლმე, მაგრამ სინამდვილეში ამ ამბავმა ისეთი მასშტაბები შეიძინა, შესაძლოა, კვანძი სისხლის ღვრით გაიხსნას. –

გასული 1857 წლის დასაწყისში მეგრელმა თავადმა ალექსი დგებუაძემ იმერელ აზნაურს, დათა ელიავას, ქალიშვილი მოსტაცა და მასზე ჯვარი დაიწერა. და განა ღვთისგან გაჩენილ დედამიწაზე ცოტა საქმე მთავრდება ამგვარად? თუმცა კარგა ხანია, კანონმა ასეთ შემთხვევებში წაყრუებასა და თვალის არიდებას თავი დაანება.

რომანის გმირის წინააღმდეგ კანონის მთელი სიმკაცრით შეიარაღდნენ: ერთი მხრივ, პატარძლის მშობლები; მეორე მხ-

რივ, მათი მხარდამჭერი სასულიერო მმართველობა; მესამე მხრივ, ორივე ზემოჩამოთვლილი მხარის ქომაგად დამდგარი საპოლიციო ხელმძღვანელობა. – ცოლ-ქმარი რვათვიანი თაფლობის შემდეგ დააფეთეს. ახალგაზრდა კაცი სამურზაყანოში გაიჭრა და იქაურ ტყეებს მისცა თავი. ახალგაზრდა დამამშობლებს დაუბრუნეს. აქაოდა ძალდატანებით მოხდა და, ამდენად, უკანონოაო, სამეგრელოს ეპისკოპოსმა ჯვრისწერა როგორც *de jure*, ისე *de facto* ადგილზევე გააუქმა. ალექსი დგებუაძის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. საქმე გუბერნიის პროკურორსა და საგუბერნიო ჟანდარმერიის შტაბოფიცერს მიჰყავთ. 17 პირი, რომლებიც მოტაცებასთან ასე თუ ისე არიან დაკავშირებულნი, დაჰყავთ დაკითხვებზე, გამოკითხვებზე, პირში უყენებენ ერთმანეთს, გზავნიან საპატიმროებში, ნადირობენ განმორებული ქმრისადმი ქალის მიერ გაგზავნილ ფარულ წერილებზე, ადამიანის კვალს, როგორც გარეული ტახისას, დასდევენ მაძებრები, აწვნილია მრავალრიცხოვან გვარეულობათა ოჯახები. –

სერვანტესმა ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ფრიდრიხ დიდმა და, ამას გარდა, ცივმა გონებამ დიდი ხანია ადამიანთა მოდგმას დაუმტკიცეს, რომ ქორწინება და ზოგადად საქორწილო საქმეთა აღსრულება მხარეთა თანხმობის გარეშე არ უნდა მოხდეს. საქმეში არსებული უთვალავი როგორც *pro*, ისე *contra* მტკიცებულებებიდან უმრავლესობა მიუთითებს, რომ ჯვრისწერა მოხდა პატარძლის ნებით და არა – მასზე ძალდატანებით. მაგრამ ძიება ისეა წაყვანილი, რომ ახალგაზრდა დგებუაძეს ან მოკლავენ, რადგან ცოცხლად ხელში ვერ ჩაიგდეს, ან კიდევ, ვიცი რა საქმის გარემოებები, მას ციმბირში ხეტიალი მოუწევს, რადგანაც, თუ დაიჭირეს, უეჭველად იქ გაგზავნიან.

საქმის სავარაუდო დასასრული მხოლოდ ეს რომ იყოს, შეიძლება არც მქონოდა საბაბი, შემენუხებიანთ, მაგრამ ცხადად ვხედავ სხვა გარდაუვალ შეტაკებებს, რომლებსაც ბოლო არ ექნება. შევეცდები, რაც შეიძლება მოკლედ მოგიხაზოთ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარება.

ჯერ წარმოიდგინეთ, რომ დგებუაძე დაიჭირეს. მას წინ ასეთი გზა უძევს: ციხე, გამოძიება, სასამართლო და ციმბირი. – ამის მერე ადათი თავად დგებუაძეთა მრავალრიცხოვან გვარეულობას წამოშლის და თანამოგვარის დალუპვაში მონაწილეთა წინააღმდეგ სისხლიანი შურისძიებისთვის აამხედრებს. მივიღებთ ერთობ მენამულ სურათს.<sup>4</sup> –

ამის შემდეგ კიდევ ერთი რამე წარმოიდგინეთ: რადგანაც ქორწინება ალექსი დგებუაძესა და M-Ile ელიავას შორის უკანონოდაა ცნობილი და გაუქმებულია, მამა ქალს სხვა ვაჟბატონს მიათხოვებს. ახალი საქმროს მოძებნა მას არ გაუჭირდება, რადგანაც სხვა მემკვიდრე დათა ელიავას არა ჰყავს. – გავარდნილი და კლდე-ღრეს მოდებული დგებუაძე, რომელსაც ამ დროს ბედნიერების ყოველი იმედი უკვე წართმეული აქვს და მძიმე დანაშაულისთვისაც იდევნება, იმ ცნობილი ანდაზის თანახმად, 7 უბედურებაზე რომ მოგვითხრობს,<sup>5</sup> ახალ-ახალ დანაშაულს ჩაიდენს: ხანჯალს ჯერ თავისი მეტოქის, შემდეგ ყოფილი სიმამრის, ყოფილი ცოლისა და თვით სამეგრელოს ეპისკოპოსის სისხლით მორწყავს და მხოლოდ ამის შემდეგ დაწებდება სიკვდილს. ეპისკოპოსი საფრთხით გამონვეულ შიშს არც მალავს და, აი, კიდევ უფრო სასტიკი და გაცილებით უფრო მენამული სურათიც იკვეთება: სისხლიანი შურისძიებანი აზნაურ ელიავებს, ბედკრული ქალის მეორე ქმრის ნათესავებსა და აზნაურ გაბუნებებს შორის – ეპისკოპოსი თეოფანე გაბუნებების საგვარეულოდანაა გამოსული.

როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, სავსებით ცხადია: სისხლის მდინარეების შეჩერება უკიდურესად გაძნელებდა. –

უდანაშაულო სისხლი საკმაოდ დაიღვარა ქუთაისში<sup>6</sup> და იღვარა იმის გამო, რომ, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა ადამიანური ძალა და ნება, რომელიც აბოპოქრებულ ვნებებს დააცხრობდა. – თქვენ, მონყალეო ვასილ ანტონის ძე, რასაკვირველია, დამეთანხმებით: რუსული ხელისუფლების, მისი დიდ-სულოვნებისა და მრავლისმომთმენლობის მსახურმა ვნებათა

აფეთქებას კი არ უნდა შეუწყოს ხელი, ბოროტმოქმედნი და მჩაგვრელნი კი არ გაამრავლოს, არამედ დაამშვიდოს ზნეობრივი გარემო, ბოროტმოქმედნი ადამიანებად აქციოს.

ორი ახალგაზრდისთვის უცაბედი გახელების შედეგად დამხობილი ბედნიერების აღდგენა, ორი მრავალრიცხოვანი გვარეულობისთვის მშვიდობიანი თანაარსებობის უზრუნველყოფა, მღვდელმთავრის ხელშეუხებლობის სათანადო პატივითა და ღირსებით დაცვა, იმავე მღვდელმთავრის გულისწყრომის ლმობიერებად და გულმონყალებად გარდაქმნა, ყოველივე ამის ალექსანდრე ივანეს ძის<sup>7</sup> სახელით მიღწევა – აი, მიზანი, საითკენაც, ვასილ ანტონის ძე, მე თქვენ მიმყავხართ. და აი, თხოვნა, რომლითაც ყოვლად კონფიდენციალურად მოგმართავთ:

უშუალოდ თქვენ და, თქვენი მეშვეობით, თავად ალექსანდრე ივანეს ძეს იმიტომ მოგმართავთ, რომ საკითხის გადაჭრა არც გენერალ-გუბერნატორისა და არც გუბერნატორის უფლებამოსილებებში არ შედის:<sup>8</sup> სისხლისსამართლებრივი ნესით დაწყებული გამოძიების შეწყვეტა ვერც კერძო მორიგებით მოხდება და ვერც – საგუბერნიო ძალაუფლებით. აუცილებელია მეფისნაცვლის ნებართვა.

ასე და ამგვარად: ნაცვანა ქალწულისა და მასზე ჯვრისწერა პატარძლის მშობლების ნების სანინაალმდეგოდ, ჩვენს შორის საიდუმლოდ რომ დარჩეს, არ არის იმ სიმძიმის დანაშაული, აუცილებლად სისხლიან ანგარიშსწორებებში რომ უნდა გადაიზარდოს. მიიღეთ ჩემი დახმარება, რათა ბოროტება ძირშივე აღმოფხვრათ, დაამყარეთ ზავი და მშვიდობა იმ პირთა შორის, რომლებსაც დაკარგული აქვთ განსჯის უნარი და ერთმანეთის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან ამხედრებულნი.

ჩემი დახმარება კი იმაში მდგომარეობს, რომ შემძლია ელიავასა და დგებუაძის შერიგება: ელიავამ თანხმობა უკვე გამომიცხადა, დგებუაძის პოზიცია კი ჩემში ისედაც არავითარ ეჭვს არ იწვევს.

საამისოდ აუცილებელია: ან, როგორც საბჭოს აქ მყოფ ნევრს,<sup>9</sup> ოფიციალურად გადმომეცეს უფლებამოსილება: –

თუკი ამას საჭიროდ ჩავთვლი, შევაჩერო სისხლისსამართლებრივი წესით დაწყებული გამოძიება და აქ მე დამჭირდება კარტ-ბლანში,<sup>10</sup> ან კიდევ გენერალ-გუბერნატორს მიმართოთ წინადადებით, სპეციალურ განკარგულებამდე ჩემი მიმართვის საფუძველზე შეაჩეროს გამოძიება. თუკი ელიავასა და დგებუაძეს შევარიგებ და ამით მათ შორის ჩამოვარდნილი შუღლი და მტრობა საბოლოოდ აღმოიფხვრება, უნდა შემეძლოს შუამდგომლობის აღძვრა გამოძიების მთლიანად შეწყვეტის შესახებ.

მიკიბ-მოკიბვის გარეშე მოგახსენებთ შემდეგ გარემოებებს:

1. თუკი გადახვეწილი დგებუაძე ჩემს ხმას შეისმენს და გამოცხადდება, რისი იმედიც მაქვს, მე უფლებამოსილება უნდა მიქონდეს, ამ ხნის განმავლობაში დავიცვა მისი ხელშეუხებლობა და თვითონაც დაცული ვიყო ადამიანის გაცემით გამოწვეული საყვედურებისა და უკმაყოფილებისგან.

2. ელიავამ, ცხადია, იმდენად იმისთვის კი არ აღძრა საქმე, თავისი ერთადერთი ქალიშვილის ბედნიერება გაანადგუროს, არამედ უფრო იმიტომ, რომ მკაცრად აგებინოს პასუხი მოტაცების თანამონაწილეს, თავის ნათესავს – გიგო ელიავას. იმავდროულად, მისთვის ეს იქნება გიგო ელიავაზე შურისძიებაც საგვარეულო საქმეებთან დაკავშირებული ადრინდელი შუღლისა და შეურაცხყოფისათვის. რაც შეეხება ქალიშვილს, ელიავა ფიქრობდა, რომ მისთვის სულერთი იყო, ვის გაჰყვებოდა ცოლად, თუმცა ახლა უკვე ცხადად ხედავს, რომ შეცდომა აქვს დაშვებული. – გიგო ელიავა დგებუაძეს მართლაც ეხმარებოდა ქალწულის მოტაცებაში. ამის გამო შეიძლება მისი ადმინისტრაციული წესით დაპატიმრება და ერთი ან ორი თვით ქუთაისის ჰაუპტვახტში გაგზავნა.

3. ელიავას თავს დატეხილმა უბედურებამ მის მიმართ თანაგრძნობით განაწყო სამღვდელოება და თავადაზნაურობის ზოგიერთი ნევრი. ამიტომ მათ დგებუაძის წინააღმდეგ მკაცრი ზომები მოითხოვეს და ეს მართლაც ასე მოხდა. – იგივე

წევრები თავადაზნაურობისა ამჟამად ორივე ოჯახისთვის მშვიდობას ითხოვენ. ასე და ამგვარად, დგებუაძის დაუსჯელობით უკმაყოფილო რჩება სამღვდელეობა, რომლის დასაშოშმინებლად შეიძლება ახალგაზრდა დგებუაძე, მსგავსად მისი ხელის შემწყობისა, 2 ან 3 თვით ჩაჯდეს ჰაუპტვახტში, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც სიმამრთან საბოლოოდ დაამყარებს მშვიდობას. –

და, დასასრულ:

4. უკვე ვთქვი, რომ ელიავა თანხმობას აცხადებს შერიგებაზე, მაგრამ მისგან გადათქმა და სიტყვის უკან წაღებაც არის მოსალოდნელი. ამიტომ აუცილებელია, რომ იგი გარკვეული დროით ტფილისში ან რომელიმე სხვა ქალაქში იქნეს გაგზავნილი.

იფიქრეთ ყოველივე ამაზე, ვასილ ანტონის ძე, და, თუ შინაგანი ხმა გიკარნახებთ, რომ მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ნამდვილად კეთილი და სასარგებლო საქმისკენ გიხმობთ, გამომყევით მიზნისკენ რაც შეიძლება სწრაფად და გადაუდებლად და იმასაც გთხოვთ, გვერდზე გადადოთ საქმის ფორმალური მხარეები.

ნებისმიერ შემთხვევაში თქვენი მორჩილი მოსამსახურე, გთხოვთ სასწრაფო პასუხს და, ველოდები რა ამ პასუხს...<sup>11</sup>

14 იანვარი 1858.

## 75. ვასილ ინსარსკისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ვასილ ანტონის ძე!

კეთილი საქმეებისათვის ვრცელი წერილებით რომ აგიკვლით,<sup>1</sup> ამას იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ მისიონერად ან რაიმე იდეის მქადაგებლად წარმოვაჩინო თავი და ამით თქვენს



თვალში სახელი მოვიხვეჭო. ამჯერად მე ერთადერთი რამ მაქვს მხედველობაში: როდესაც საზოგადოებაში რომელიმე პიროვნების ან რაიმე საგნის მიმართ შეიქმნება ისეთი წარმოდგენები, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს, მაშინვე დგება ასეთი ცრუ წარმოდგენების გაფანტვისა და აღმოფხვრის საჭიროება.

გატყობინებთ ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ, რომელიც ჩემი ყურადღების არეში მოხვდა და გატყობინებთ სავსებით დარწმუნებული, რომ არც ამ შემთხვევაში მომაკლდება თქვენი თანაგრძნობა:

ქუთაისში ცხოვრობს 75 წლის კნენა აბაშიძე – ღვიძლი და გურიის უკანასკნელი მთავრისა<sup>2</sup> და ქვრივი პოლკოვნიკ ივანე აბაშიძისა, რომელიც დამნაშავედ იქნა ცნობილი 1820 წლის არეულობაში<sup>3</sup> და ამის გამო ამ მხარეში ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი საგვარეულო მამულები ჩამოერთვა. – ეს ივანე აბაშიძე იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის, შვილიშვილი იყო.

1820 წლიდან მოხუცებული კნენა განიცდის გაჭირვებას, რომელსაც ის სრულიად მოუმზადებელი შეხვდა და ამ გაჭირვებაში ძლივძლივობით გამოზარდა ორი ვაჟიშვილი.<sup>4</sup> ისინი, რასაკვირველია, არ იყვნენ მამის პოლიტიკური დანაშაულის თანამონაწილენი და კნენა სწორედ მათგან მოელოდა სიბერეში მოვლა-პატრონობას. თუმცა ამ ვაჟიშვილებიდან ერთს, კავალერიის მაიორს, თვითონ ძლივს გააქვს თავი თავისი მწირი შემოსავლით – 600 მან. პენსიით, რომელიც იმერეთის დედოფლისგან<sup>5</sup> აქვს დანიშნული. მეორეს თავისი ბატონიშვილი ბებიისგან<sup>6</sup> 400 მანეთის მემკვიდრეობითი შემოსავალი ერგო, მაგრამ სნეულია, გამუდმებით ავადმყოფობს და მთელი ეს ფული აფთიაქებში ეხარჯება.

თვითონ მოხუცებულ კნენასაც სულს იქით არაფერი აბადია, გარდა წელიწადში 400 მანეთისა, რაც საკმარისია მხოლოდ საკვებისთვის და იმ ხუთიოდე მოსამსახურის შესანახად, რომელთა გარეშე ღვიძლი და მთავრისა, ამასთანავე, მეფის

რძალი თავს ვერ გაიტანს. იგი ცხოვრობს ხის სახლში, რომელიც ოდესღაც კერძო ქველმოქმედების სახითაა შექმნილი და იმდენად ძველია, კარგა ხნის წინ ჩამოიშლებოდა და შიგ მცხოვრებთაც მოიყოლებდა, ასევე ქველმოქმედის მიერ ბიჯგებით რომ არ იყოს გამაგრებული.

დიდი ხნის წინაა აღიარებული, რომ შვილებს მამის დანაშაულში ბრალი არ მიუძღვით და – თუ არ ვცდები, 1852 წელს – უმაღლესი განკარგულებით მათ ფულადი გასამრჯელოც დაუნიშნეს იმ მამულის სანაცვლოდ, რომლის გამოხსნა ხაზინისაგან უკვე შეუძლებელია.<sup>7</sup>

ფული ერგებათ დიდძალი, მით უმეტეს, მათ ახლანდელ მდგომარეობასთან შედარებით – 6 ან 7 ათასი მანეთი წელიწადში. მაგრამ სანამ ამ ფულს მიიღებენ, სანამ საქმის გარშემო მიმონერა დამთავრდება, სნეულებისგან დაუძღურებული მოხუცებული კნენინა დახმარებისათვის ხელს იწვდის და სად? – მხარეში, სადაც მოწყალებას არავინ ითხოვს და სადაც ამგვარი თხოვნის საჭიროება საერთოდ არ არსებობს.

საჭიროა გაფანტვა აზრისა, რომ გულგრილად ეკიდებიან გაჭირვებულებს და თანაგრძნობას არიან მოკლებულნი ისინი, რომლებიც თანაგრძნობას იმსახურებენ.

ნუ დაიზარებთ კეთილ საქმეს – დაეხმარეთ კნენინა ლისა აბაშიძეს; დაეხმარეთ თუნდაც თვეში 50 მანეთით<sup>8</sup> და თუნდაც იმ ფულის ანგარიშში, უმაღლესი განკარგულების თანახმად რომ უნდა მიიღოს. ეს ხაზინას არ დააქცევს, ხოლო ალ. ივ. ძის<sup>9</sup> სახელს ამ მხარეში ბევრს რასმე სიკეთეს შემატებს.

ვინაიდან ფული არ მქონდა, მე მას ჩემს განკარგულებაში გადმოცემული საათებიდან ერთ-ერთი ვაჩუქე.<sup>10</sup> თქვენ რომ მისი მადლიერების გამომხატველი ცრემლები გენახათ, ადვილად გაიგებდით უბედური კნენინას აუტანელ მდგომარეობას.

15 იანვარი. 1858.

ქუთაისი

## 76. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის  
მეფისნაცვალს კავკასიაში

ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის  
საბჭოს წევრის,  
ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის  
**ეიფიანის**

პ ა ტ ა კ ი

გასული წლის 30 სექტემბრის მონერილობით (№4012) ჩემ-  
დამი თქვენ მიერ დაკისრებული საქმის<sup>1</sup> შესახებ გაცნობებთ:  
ჩემ დასახმარებლად მომაგრებული სამოქალაქო მრჩევლის –  
ჩილიაევისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ მოვ-  
ლინებულ პირთა თანხლებით პირადად ვიმყოფებოდი სამეგ-  
რელოს მთავრის კუთვნილ ყველა სოფელში.<sup>2</sup> დავათვალიერე  
შენობა-ნაგებობები და ქონება, სოფლის თანამდებობრივი პი-  
რებისა და უხუცესებისგან ფიცის ქვეშ მივიღე საჭირო ცნო-  
ბები, შევადგინე შესაბამისი აქტები. ასე და ამგვარად, მივიღე  
საინვენტარო დავთრისა და საკუთარი მოსაზრებების ჩამოსა-  
ყალიბებლად საჭირო ყველა მონაცემი და საქმესთან დაკავში-  
რებული საკითხების საბოლოოდ შესამუშავებლად და ქუთა-  
ისის გენერალ-გუბერნატორისთვის<sup>3</sup> წინასწარი დასკვნების  
წარსადგენად მიმდინარე დეკემბრის 15-ში დავბრუნდი ქუთა-  
ისში.

შეკრებულ მასალებში შედის სამეგრელოს სამთავრო ოჯა-  
ხის კუთვნილ გლეხთა სახელობითი სიები, რომლებშიც დაწვ-  
რილებითაა მითითებული ყველა ის საგადასახადო ვალდებუ-  
ლება, თითოეულ კომლს რომ აქვს დაკისრებული.

ამ სიების შედგენისას, ზოგადად ჩემი აქ ყოფნისა და მიმოს-  
ვლისას, დიდი შრომა გასწია სამოქალაქო მრჩეველმა ჩილია-

ევმა, რომელთანაც, თავის მხრივ, მჭიდროდ თანამშრომლობდა ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის<sup>4</sup> მიერ ჩემთან მოვლინებული მაიორი, თავადი აბაშიძე; და ამ უაღრესად შრომატევადი საქმის ეს ნაწილი – სიების შედგენა – მათ შეასრულეს ჩემ გარეშე.

ამჟამად დარჩენილია მიღებული მასალის საბოლოოდ დამუშავება, რაც ჩემი ავადმყოფობის გამო ერთი თვით იყო შეფერხებული.<sup>5</sup> შრომის განაწილება უკვე აღარ არის საჭირო და ამიტომ ბ-ნ სამოქალაქო მრჩეველ ჩილიაევს ვაბრუნებ თავისი ამჟამინდელი თანამდებობრივი მოვალეობის შესასრულებლად.<sup>6</sup> ამასთანავე, თავს მოვალედ მივიჩნევ, თქვენი ბრწყინვალეების წინაშე ვალიარო – ჩილიაევის ენერგიული და დაუღალავი მუშაობისა და ჩემთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე ჩემდამი დაკისრებული საქმის ამჟამად არსებულ მდგომარეობამდე მიყვანას დასჭირდებოდა არანაკლებ ექვსი თვისა. ყოველივე ამის გათვალისწინებით გავბედავ თქვენი ბრწყინვალეების წინაშე შუამდგომლობას, რათა ბ-ნი ჩილიაევის ჩინებული გარჯა თქვენი კეთილმონყალე ყურადღებით იქნეს დაფასებული.

რაც შეეხება მაიორ აბაშიძეს, მის შესახებ ანალოგიური თხოვნით მივმართავ მის უშუალო ხელმძღვანელობას.

15 იანვარი 1858.

ქუთაისი

## 77. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი

სამეგრელოს მმართველს

მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვაცნობო, რომ: 1. გლახების: ნულეისკირების, გუნიების, პაჭკორიებისა და ჩიქობავების თხოვნა ჩემამდე არ მოსულა; 2. თუ ისინი თავად ელიზბარ დადიანის მიწაზე ცხოვრობენ, რასაკვირველია,

ვალდებულნი არიან, იხადონ ბეგარა, როგორც თავად დადიანის მიწით სარგებლობისთვის აქამდე იხდიდნენ. მეურვეობის მიერ უახლოეს ხანებში აღნიშნული გლეხების მდგომარეობის განხილვის გარეშე მათი სხვაგან გადასახლება, ვფიქრობ, შეუძლებელია; და 3. სამთავრო ოჯახის მმართველი,<sup>1</sup> როგორც თქვენს აღმატებულებას მოეხსენება, უკვე გაემგზავრა ტფილისს, სადაც, უნდა ვიფიქროთ, მეურვეებისგან მიიღებს სათანადო უფლებამოსილებას.<sup>2</sup> მანამდე კი, მმართველის ჩამოსვლამდე ან მეურვეობის მიერ სამთავრო ოჯახის საქმეების საკუთარ ხელში აღებამდე, ყველა შემთხვევაში სახლთუხუცესებს<sup>3</sup> უნდა შეუნარჩუნდეთ თავ-თავიანთი ვალდებულებები; შესაბამისად, მათ ისევ ისე უნდა მიხედონ სამთავრო გლეხებთან დაკავშირებულ საქმეებს.

თავად ელიზბარ დადიანის თხოვნა მასზე დართული ქალღმერთითურთ,<sup>4</sup> მაქვს პატივი, უკან დაგიბრუნოთ.

19 იანვარი 1858.

## 78. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი

სამეგრელოს მმართველს, ბატონ გენერალ-მაიორსა  
და კავალერს, კოლიუბაკინ II-ს

მთავარმმართველობის საბჭოს წევრის,  
ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის  
**ყიფიანის**

[მ ი მ ა რ თ ვ ა]

თქვენს აღმატებულებასთან პირადი შეთანხმებისა და იმის საფუძველზეც, რომ მივიღე თანდართული მოსაზრებები სამეგრელოში სამთავრო ოჯახის სასარგებლოდ საგადასახა-

დო ვალდებულებათა შესახებ, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ პასუხი იმ ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც პირადადაც გაგაცანით და მდგომარეობს შემდეგში:

ა) გაფლანგვისა და განიავებისაგან სამთავრო ოჯახის ქონების დაცვის შესახებ:

1. მოძრავ ქონებაზე პასუხისმგებლობა ზოგადად, როგორც სოფლებში, ისე სამთავრო ოჯახის ნევრთა ადგილსამყოფლის მიხედვით, დაკისრებული აქვთ სახლთუხუცესებს: დავით ჩიქოანსა და დათა ჩიქოანს. შედგენილია ნივთების, ცხენების რემისა და ნახირის აღწერილობა და იგი თავის დროზე გადაეცემა მეურვეობას,<sup>1</sup> რომელსაც ზემოთ დასახელებული პირები წარუდგენენ ანგარიშსაც. სურსათ-სანოვაგის შესახებ – საჭმელი იქნება ეს, თუ სასმელი, უკვე აკრეფილიცა და მომავალში ასაკრეფიც – 1856 და 1857 წლების ანგარიშს ჩემ მიერ დაწესებული საშემოსავლო ნორმების მიხედვით მეურვეობას იგივე პირები წარუდგენენ. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ 1857 წლის შემოსავალი, სამეგრელოში არსებული წესების მიხედვით, უნდა აიკრიფოს: ნაწილი შემოდგომაზე და სრულად – მიმდინარე წლის ზამთარში. რაც შეეხება შენობა-ნაგებობებსა და სანარმოებს, მეურვეობის განკარგულებაში გადასვლამდე საჭიროა მათი დაცვა და მოვლა-პატრონობა.

სახლთუხუცესებს, სანამ სამთავრო ოჯახის საქმეთა წარმოებას უკვე მეურვეობის ხელმძღვანელობით შეუდგებოდნენ, თანამდებობებიცა და მოვალეობებიც უნდა შეუნარჩუნდეთ. შესაბამისად, სახლთუხუცესების ხელთ არსებული ქონება გაფლანგვისა და განიავებისგან დაცული რომ იყოს, საჭირო იქნება მათი მიმართვის შემთხვევაში ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება.

ბ) ყველა ან ზოგიერთი ნატურალური გადასახადის ფულადი სარგოთი შეცვლის შესახებ:<sup>2</sup>

სამთავრო ოჯახის კუთვნილ ადგილ-მამულეებში არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც, გადასახადი, ნაცვლად პროდუქ-

ტებისა, როცა თვითონ გლეხებს აქვთ საამისო სურვილი, ფულით იქნეს გადახდევინებული. ასეთ შემთხვევაში ფულით გადახდევინება ხდება ერთჯერადად ნორმალური ფასის მიხედვით, რომელიც ბაზრის ფასზე ნაკლებია და, როგორც ეს ზემოხსენებულ აქტშია მითითებული, შეფარდება წარმოადგენს თითქმის 3 კაპიკს 1-თან. — რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს ნორმალური ფასი, საჭიროა ამჟამად არსებული წესის შენარჩუნება, უკიდურეს შემთხვევაში, იმ დრომდე მაინც, სანამ წარმოება და ვაჭრობა იმდენად განვითარდება, რომ ხალხში ფართოდ გავრცელდება ფულის მიმოქცევა. და თუ ნატურალური გადასახადის ფულადი გადასახადით შეცვლის მოთხოვნას სავალდებულოდ ვაქცევთ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირადი სამსახურის ფულით ჩანაცვლება ხდება), გლეხებსაც მძიმე მდგომარეობაში ჩავაყენებთ და სამთავრო ოჯახიც იზარალებს. — შეძლებისდაგვარად გათანაბრებული საგადასახადო წესის შემოღების უფლება უნდა გადაეცეს სამეურვეო მმართველობას.

გადავდივარ საკითხზე, რომელიც, მართალია, არ შედის ჩემზე დაკისრებული დავალების ფარგლებში, მაგრამ თქვენი აღმატებულების მიერ არის შემოთავაზებული: სამეგრელოში რომელი საშემოსავლო წყაროებით უნდა მოხდეს მმართველობის შენახვა?

ვფიქრობ, მმართველობის შესანახად უნდა მიიმართოს ყველა ის შემოსავალი, რომელიც არ შედის მემამულურ უფლებებში. ჩემ მიერ თქვენთვის ასლის სახით გამოგზავნილი იმავე აქტის საფუძველზე ამგვარ — სარგოსთან დაკავშირებულ და გლეხებისგან ანაკრეფ — შემოსავლად, მე მიმაჩნია: საური, საუდიერო, საციხო და სამოურავო და, გარდა ამისა, ყველა შემოსავალი, რომლის ოდენობა წინასწარ არ არის განსაზღვრული; მაგალითად: ალაგობრივად ვაჭრობის უფლებისთვის, საშოვარზე გასვლის წერილობითი ნებართვისთვის.<sup>3</sup> ამ უკანასკნელი შემოსავლების თანხობრივი ოდენობა მე არ ვიცი. — სავაჭრო მოსაკრებელი სენაკსა და ორპირში აღწევს 4500 მა-

ნეთამდე წელიწადში. – სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულთან დაკავშირებული საეროთა გადასახადების შესახებ საბოლოო დასკვნა ჯერ არ გამოიკეთებია, თუმცა, ნებისმიერი გათვლით, აქედან მიღებული შემოსავალი იქნება არანაკლებ ნახევარი მთელი იმ შემოსავლისა, რომელსაც მთავარი იღებს როგორც საკუთარი, ისე კერძო საბატონო გლეხებისგან – კერძო სამსახურის ფულადი ანაზღაურების გამოკლებით.

20 იანვარი 1858.

ქუთაისი

**სწორია:** ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**

**79. გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე  
ერისთავისადმი**

მის ბრწყინვალეობას,

ბ-ნ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს

ვეყრდნობი რა კავკასიის მეფისნაცვლის მიმდინარე იანვრის 24-ის №265 თქვენთვის ცნობილ მონერილობას,<sup>1</sup> მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ: უბრძანეთ ვისაც ჯერ არს, საგანგებო განკარგულებამდე შეჩერდეს თავად დგებუადის მიერ პოდპორუჩიკ ელიავას ქალიშვილის მოტაცების საქმის გამოძიება.<sup>2</sup>

მთავარმმართველობის საბჭოს წევრი,

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი

**ყიფიანი**

ნ თებერვალი 1858.

ქუთაისი

**სწორია:** ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**



## 80. გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავისადმი

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს,  
ბატონ გენერალ-მაიორსა და კავალერს,  
თავად **ერისთავს**

მთავარსამმართველოს საბჭოს წევრის,  
ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის  
**ყიფიანის**

[მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი]

რამდენიმე დღის წინ პატივი მქონდა თქვენი ბრწყინვალე-  
ბისთვის პირადად მომეხსენებინა იმ სამუშაო პროცესის შე-  
სახებ, რომელსაც კავკასიის მეფისნაცვლის მონერილობის  
საფუძველზე ვასრულებ და რომელიც სამეგრელოს მთავრის  
ოჯახის ქონებისა და საკუთრების გამორკვევას ეხება.<sup>1</sup>

იმედია გახსოვთ, რომ საინვენტარო დავთარი და შემოსავ-  
ლის ტაბელი, რომლებიც სხვა ქალაქებთან ერთად თქვენს  
ბრწყინვალეობას წარუდგინე, შედგენილია ფიცის ქვეშ მიცემუ-  
ლი ჩვენებების, სპეციალური აქტებისა და სამეგრელოს ყოფი-  
ლი მმართველობის მიერ განხილული საქმეების საფუძველზე.

ამჟამად თქვენს ბრწყინვალეობას ვაახლებ ასლებს იმ აქტე-  
ბისას,<sup>2</sup> რომლებშიც ჩემ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგე-  
ბია ასახული; კერძოდ:

1. შემოსავლის ტაბელს.<sup>3</sup>
2. საინვენტარო დავთარს.<sup>4</sup>
3. 1857 წლის 12 დეკემბრის აქტს,<sup>5</sup> რომლითაც ვხელმძღვა-  
ნელობდი შემოსავლების შეფასებისას.
4. ბ-ნი სამეგრელოს მმართველისადმი ჩემი გასული იანვ-  
რის 20 რიცხვის მიმართვას (№6);<sup>6</sup> და
5. მისი იმავე თვის 29 რიცხვის პასუხს (№73).

თავს ვალდებულად მივიჩნევ, თქვენი ყურადღება კიდევ ერთხელ მივაქციო შემდეგ გარემოებებს:

1. **მთავრის ოჯახის ქონებისა და საკუთრების დაცვა-შენახვის შესახებ.**<sup>7</sup> გენერალ-მაიორ კოლიუბაკინის დასკვნებს სავსებით ვეთანხმები, რადგანაც ისინი არ განსხვავდება იმ მოსაზრებებისგან, მე თვითონ რომ მივანოდე. საჭიროდ მიმაჩნია მხოლოდ ერთი შესწორების შეტანა: მანამ, სანამ მეურვეობა სამეგრელოს მთავრის ოჯახის საქმეების წარმოებას შეუდგება, სახლთუხუცესებს წოდება და მოვალეობები უნდა შეუნარჩუნდეთ.

2. **ზოგიერთი ნატურალური ბეგრის ფულად სარგოში გადაყვანის შესახებ.** აქაც სავსებით ვეთანხმები გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს. – თუმცა პირადი სამსახური, რომელიც გლახებს მთავრის ოჯახის წინაშე აკისრიათ, თუკი მეურვეობამ ასეთი სამსახურის საჭიროება ვერ დაინახა, უნდა შეიცვალოს ფულადი სარგოთი, ოღონდ თითოეული გლახისადმი დაკისრებულ მოვალეობასთან თანაშემოშილობითა და იმ ზომიერი ფასის დადებით, რომელიც 12 დეკემბრის აქტით არის განსაზღვრული.

3. **ბეგრის გადახდევინების წესის, ამ გზით მიღებული შემოსავლის საეროზო გადასახადის ან მმართველობის ჯამაგირით უზრუნველყოფისკენ წარმართვის განზრახვის შესახებ.** ისეთ გადასახადებს, როგორებიცაა: საური, საუდიერო, საციხო, სამოურავო, იმათგან, ვისაც ამგვარი გადასახადები აკისრია, კრებს მეურვეობა იმ წესით, რა წესითაც ეს მთავრის ოჯახის სამეგრელოში ყოფნისას ხდებოდა; ხოლო ტაბელით განსაზღვრული ფულადი გამოხატულება – თანხა – გადაეცემა მმართველობის საბჭოს. ამასთანავე, იმავე სახის მოსაკრებლებს საბატონო გლახებისგან, მიუხედავად იმისა, მთავარს უხდიდნენ ისინი, თუ საკუთარ მებატონეებს, ადგილობრივი მმართველობა მოითხოვს უშუალოდ მებატონეებისგან. ასეთ შემთხვევაში, კერძო მამულებთან დაკავშირებით შეუძლებელია მხარეებს – პოლიციასა და მებატონეს – შორის წინააღმდეგობის გაჩენა:

დადგენილი მოვალეობების შესრულებისას პოლიცია მხოლოდ დამხმარე ძალაა იმ შემთხვევებში, როცა ასეთი დახმარების საჭიროება წარმოიშობა. ისეთი გადასახადები, რომელთა ოდენობა წინასწარ არ არის განსაზღვრული, ხოლო ხაზინის მიერ – წინასწარვე გათვალისწინებული და მმართველობითი ხარჯებისთვისაა განკუთვნილი, უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ კერძო მფლობელებისგან პირდაპირ და უშუალოდ აიკრიფება. ასე, მაგალითად: საქალაქო მოსაკრებლები, სხვადასხვა ტიპის ბაჟი, გადასახადი ნაფებისა, რომლებსაც ტვირთი გადააქვთ რიონზე – ვთქვათ, სამეგრელოს ფარგლებს გარეთ გასატანი ნაწარმი და სხვ.

#### **4. იმ სპეციალური საკითხების შესახებ, რომლებიც უმაღლესმა ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს:**

ა) მთავრის ოჯახის სასარგებლოდ დაკისრებული ბეგარა, როგორც ირკვევა, გლეხობისთვის დიდად სამძიმო არ არის, თუმცა არის გარკვეული გამოწვევები. ასე, მაგალითად: ლაილაში წარმოგვიდგინეს საჩივარი ბეგრის არათანაბრობის შესახებ; გორდში ჩივიან მეათედის გადახდევინების შესახებ ხე-ტყის მასალაზე, რომელიც არის საარსებო საშუალება გორდის, კინჩხისა და დუბგვაბუნის გლეხობისთვის; ჩივიან აგრეთვე მეათედის აღებაზე ზოგიერთი სახნავ-სათესი ფართობიდან. – ამაზევე ჩივიან სალხინოში, სადაც მიწის უკიდურეს ნაკლებობასაც განიცდიან. ორიდან ერთი გზაა: ან უნდა დავუშვათ სპეციალური გადასახადი ხე-ტყის მასალასა და მოსავალზე და იმავე თანაზომადობით შევამციროთ ბეგარა, ან კიდევ – დავტოვოთ იმავე ოდენობის ბეგარა, ოღონდ უარი ვთქვათ ხე-ტყისა და სახნავ-სათესი ფართობების გადასახადზე. მე მიმაჩნია, რომ მოსახლეობის იმ გასაჭირის მოგვარება, რომელიც პირობების გათანაბრებას ეხება, უნდა მიენდოს მეურვეობას; ტყისა და მიწის მეათედის გადახდევინება შეწყდეს. ამას გარდა, მცირემიწიან გლეხობას, განსაკუთრებით სალხინოში, უფლება მიეცეს: გადასახლდნენ თავისუფალ სამთავრო

მინებზე, ხოლო დარჩენილი თავისუფალი ფართობი გამოიყენონ ვენახებისა და ხვნა-თესვისათვის.

ბ) სამეგრელოს მთავარმა თავად ანჩაბაძეებს უბოძა სოფელი დარჩენი, <sup>8</sup> ოღონდ ყველა აქაური წყალობის სიგელისთვის დამახასიათებელი ფორმულირებით – სანამ ისინი სამთავრო ოჯახის ერთგულებას შეინარჩუნებდნენ. ამასწინანდელ ომში<sup>9</sup> ანჩაბაძეებმა ეს პირობა დაარღვიეს. ამის გამო სამეგრელოს მმართველმა დედოფალმა<sup>10</sup> მათ აღნიშნული მამული ჩამოართვა და იგი უკან, მთავრის საგამგებლო უწყებაში, დააბრუნა. ეს განკარგულება, როგორც კანონიერი ხელისუფლების მოქმედება, ექცევა ადგილობრივი კანონებისა და ადათ-წესების ფარგლებში და ამიტომ ვერ გაუქმდება, თუმცა იგი ანჩაბაძეების მიერ განეული წინააღმდეგობის გამო ბოლომდე აღსრულებული არ არის. – ამ მამულში 213 კომლი გლეხი ცხოვრობს, თუმცა აქედან 70 კომლი თავად მურზაყან ანჩაბაძის ობლებს ეკუთვნის. თავადი მურზაყან ანჩაბაძე კი, როცა მისმა თანამესაკუთრებმა მთავრის ოჯახის რისხვა გამოიწვიეს, უკვე ცოცხალი აღარ იყო. იოტისოდენა ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ მმართველი დედოფალი, საქმის ნამდვილი ვითარება რომ სცოდნოდა, თავის რისხვას ობლებს არ დაატყენდა. საქმე მოგვიანებით გაირკვა და, ვფიქრობ, სამართლიანიც იქნება და არსებული წესწყობილების ღირსების გამომხატველიც, თუ თავად მურზაყან ანჩაბაძის ობლებს საკუთრება ხელუხლებლად დარჩებათ, სხვები დათხოვნილი იქნებიან დარჩენიდან, მათი სამფლობელო წილი კი სამეგრელოს მთავრის საკუთრებაში გადმოირიცხება.

გ) სამეგრელოში მთავრის ყველა სოფლისა და იქ მცხოვრებთა ყოფის გაცნობას რომ დავერწმუნებინე ჩემი იმ მოსაზრების სისწორეში, რომლითაც სამეგრელოში მივემგზავრებოდი, კერძოდ, რომ გლეხობა მეტისმეტად დატვირთულია გადასახადებით, შეიძლებოდა მეშუამდგომლა კიდევაც ისეთი გადასახადების გაუქმების შესახებ, რომლებიც, ჩანს, ან არ

არის სწორი, ან კიდევ არასამართლიან საფუძვლებზეა დამყარებული. ასეთებად დავასახელებდი: **სამახეობოს, სამაჭრეობოს, სახუროს, სამოურავოსა და ძღვენს.**<sup>11</sup> თუმცა ამჟამად ისეთი ვითარებაა, რომ თავს ვერ მივცემ ამგვარი შუამდგომლობის უფლებას. მართალია, ყველა საბეგრო ვალდებულების ერთობლიობა თითქოს გვიბიძგებს, ისინი მეტად თუ ნაკლებად სამძიმოდ ჩავთვალოთ, მაგრამ: განსაზღვრულია თითოეული ბეგრის არსი, გადამხდელი კლასისთვის ცხადად არის გარკვეული მათი ღირებულების თანხობრივი ოდენობები, თვითონ ეს კლასი სამეგრელოს უმეტეს ნაწილში განკარგავს მისთვის საკმარის სავარგულებსა და თავისუფალია ადმინისტრაციული შევიწროებისაგან – რა მიზეზითაც ცვლილებები შევიდა სამეგრელოს მართვა-გამგეობაში; რიცხობრივმა მონაცემებმა ცხადყო, რომ მთავრის ოჯახის მფლობელობაში მყოფი საგლეხო კომლის ყველა გადასახადის თანხობრივი ღირებულება – პირადი სამსახურის ღირებულების გამოკლებით – წელიწადში საშუალოდ ძლივს აღწევს 5 მანეთს. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია არ დამეთანხმოთ, რომ სამეგრელოში სამთავრო გლეხობას ვერ ექნება დრტვინვის მიზეზი, თუკი მას, ჯერ ერთი, ამისკენ არ უბიძგებენ ბოროტგანმზრახველები და, მეორე, არ გაიზრდება დღევანდელი გადასახადების თანხობრივი ოდენობა და ამით არ დაზარალდება გლეხის სარჩო-საბადებელი.

აი, ის მოსაზრებები, რომლებიც საჭიროდ ჩავთვალე, კვლავ გამეზიარებინა თქვენი ბრწყინვალეობისათვის, ოღონდ ამჯერად – წერილობით.

ამის შემდეგ, მაქვს პატივი, დაველოდო თქვენს პასუხს ჩემ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგების შესახებ, რათა შემდგომ იგი ბატონ კავკასიის მეფისნაცვალს წარვუდგინო.<sup>12</sup>

12 თებერვალი 1858 წლისა.  
ქ. ქუთაისი

## 81. გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავისადმი

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს,  
ბატონ გენერალ-მაიორსა და კავალერს, თავად ერისთავს

ამავე რიცხვით დათარიღებული წერილით (№14),<sup>1</sup> პატივი მქონდა, თქვენი ბრწყინვალეებისთვის მეცნობებინა იმ სამუშაოს შედეგები, კავკასიის მეფისნაცვლის მიერ რომ მქონდა დავალებული; კერძოდ, სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების გამორკვევა და აღწერა.<sup>2</sup> –

ჩემ მიერ შეკრებილი მასალა შეიცავს სამეგრელოს მთავრის მფლობელობაში მყოფი გლეხების სახელობით სიასა და თითოეულ კომლზე დაკისრებული ბეგრის დანვრილებით აღწერას. –

როგორც სამეგრელოში მთელი ჩემი მოგზაურობისას, ისე აქაც სიის შედგენაში მონაწილეობდნენ მეფისნაცვლის მიერ ჩემთან გამწესებული სამოქალაქო მრჩეველი ჩილიაევი და თქვენი წინამორბედის მიერ დანიშნული მაიორი, თავადი აბაშიძე.<sup>3</sup> მთელი ამ უალრესად დატვირთული შრომისა და მასთან დაკავშირებული საქმეების ნაწილი მათ ჩემგან დამოუკიდებლად შეასრულეს.

გამოგიტყდებით, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ თავად აბაშიძის მონაწილეობისა და მისი დაუღალავი შრომის გარეშე დაკისრებული დავალების დასრულება ექვს თვეზე ადრე ვერ მოხერხდებოდა. ამიტომაც ჩემს ვალად მიმანჩია, თქვენი მოწყალე ყურადღება მივაპყრო თავად აბაშიძის ჩინებულ სამსახურს. უმორჩილესად გთხოვთ, გასწიოთ შუამდგომლობა, რათა მას განსვენებული თავადის, გაგარინის, მიერ დაკისრებული შრომის ბეჯითად შესრულებისთვის ებოძოს ჯილდო თქვენი შეხედულებისამებრ.

12 თებერვალი 1858.

ქუთაისი

## 82. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის  
მეფისნაცვალს კავკასიაში

ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოს  
წევრის, ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის  
**ყიფიანის**

პ ა ტ ა კ ი

შევასრულე რა თქვენი ბრწყინვალეობის 1857 წ. 30 სექტემბრის წერილობითი დავალება №4012 სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების მთელი თავისი სიზუსტით გარკვევის შესახებ,<sup>1</sup> მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ:

- ა) სამეგრელოში ჩემი საქმიანობის ამსახველი ჟურნალი.
- ბ) სამთავრო ოჯახის შემოსავლის ტაბელი.
- გ) სამთავრო ოჯახის ქონების საინვენტარო დავთარი.
- დ) აღნიშნული დავთრის დანართი:

1. ფიცის ტექსტი და ნაფიც პირთა ჩვენებები; 2. ქონების დამადასტურებელი აქტები; 3. სადავო საკითხებზე სამეგრელოს ყოფილი მმართველობის ჩანაწერები; 4. სიები იმ გლეხებისა, რომლებიც სამთავრო ოჯახს ეკუთვნიან ან აღნიშნული ოჯახის სასარგებლოდ იხდიან ბეგარას.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალში ჩემი ყველა მოქმედება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, დეტალურადაა აღწერილი, თავს მაინც ვალდებულად ვთვლი, აქვე მოგახსენოთ:

1. ჩემი საერთო შეხედულება დაკისრებული საქმის წარმოებასა და აღსრულების წესის შესახებ, და 2. ცალკეული შემთხვევები, რომელთა შესახებ თქვენი ნებართვაა საჭირო.

იმდენად, რამდენადაც მე უნდა გამერკვია სამეგრელოს მთავრის ქონება და სამთავრო ოჯახის საკუთრება, ანუ – არა მათზე სამეგრელოს მთავრის იურიდიული უფლებები, არა-

მედ ადმინისტრაციული წესით გადანყვეტა საკითხისა, თუ რა საზღვრებშია მოქცეული მთავრის სამფლობელო და რა შემოსავალი მოაქვს მას, საქმეს ასეთი წესით შევუდექი:

სამეგრელოს მთავრის თითოეულ სოფელში ფიცის ქვეშ გამოვკითხე სოფლის ყველა თანამდებობრივი პირი და უხუცესები: რა საზღვრებშია მოქცეული მთავრის კუთვნილი მამულები; არსებობს თუ არა საზღვრებთან დაკავშირებული ან შიდატერიტორიული დავები; რა ტიპის მოსახლეობაა მამულებში; რა ქონება ეკუთვნის საკუთრივ მთავარს; რა ფართობები უკავია მიწებსა და ტყეებს და გლეხთაგან ვის რა გამოსაღები, ბეგარა თუ ვალდებულებები აქვს დაკისრებული?

ნაფიც პირთა ჩვენებები იქვე იწერებოდა ქართულ ენაზე, იკითხებოდა ყველა იქ მყოფი პირის თანდასწრებითა და დასტურდებოდა მათივე ხელმოწერით.

ჩემ მიერ ჩვენებების მიღებას ესწრებოდნენ: სამოქალაქო მრჩეველი ჩილიაევი და მაიორი, თავადი აბაშიძე; ამათ გარდა, სვანეთში: სამეგრელოს მმართველი დედოფლის მხრიდან – პორუჩიკი, თავადი სიკო ჩიქოანი და, ადგილობრივი მმართველობის მხრიდან – სამეგრელოს საბჭოს წევრი, თავადი ფარნაოზ გელოვანი; ლეჩხუმსა და დანარჩენ სამეგრელოში: ნაცვლად სიკო ჩიქოანისა – მთავრის სახლთუხუცესი, თავადი დავით ჩიქოანი, ხოლო მმართველი დედოფლის მამულებთან დაკავშირებით – მისი სახლთუხუცესი, პრაპორშჩიკი, თავადი დათა ჩიქოანი; და, დასასრულ, სამეგრელოს დაბლობში: ნაცვლად ფარნაოზ გელოვანისა – საბჭოს სხვა წევრი, პოდპორუჩიკი, თავადი პეტრე დადიანი.

ასე და ამგვარად, სამთავრო ოჯახის ინტერესთა დამცველები იყვნენ მისივე სახლთუხუცესები, ხოლო კერძო მესაკუთრეთა ინტერესებისა: სვანეთსა და ლეჩხუმში – თავადი ფარნაოზ გელოვანი, ხოლო სამეგრელოს დაბლობში – თავადი პეტრე დადიანი. მანამდე ფარნაოზ გელოვანი იყო ლეჩხუმის ოლქის უფროსი, აგრეთვე, ერთი უთვალსაჩინოესი ადგილობრივი მემამულეც, და ამიტომ, როგორც კერძო, ისე თანამდე-



ბობრივმა პირმა, იცოდა იქაურ მამულებთან დაკავშირებული გარემოებები. რაც შეეხება თავად პეტრე დადიანს, იგი იყო სამეგრელოს სასამართლოს პრეზიდენტი და ამიტომ, შეუძლებელია, არ სცოდნოდა ყველა აქაური სადავო საკითხი. საქმეში ხსენებულ პირთა მონაწილეობა თავისთავად ყველა ნაფიცი პირის ჩვენების შემონმებას ნიშნავდა და სწორედ ამ ფორმით იქნა შეკრებილი ცნობები საინვენტარო დავთრისთვის.

სამთავრო ოჯახის სხვა ქონება ცალ-ცალკე დავათვალთვალე პირადად და შედგენილ იქნა შესაბამისი აქტები.

გლახებისა და მათზე დაკისრებული ბეგრის სია შედგა იმ სიებისგან, რომლებიც სოფლის მამასახლისებმა წარმოგვიდგინეს. ჩვენ ისლა დაგვრჩენოდა, წაგვეკითხა ეს სიები ნაფიცი პირებისთვის და გვეკითხა მათთვის: სწორად იყო თუ არა აღნიშნული მათზე დაკისრებული ბეგარა და ამის მერე, ვასწორებდით რა ფრიად უმნიშვნელო უზუსტობებს, ეს ყველაფერი გადაგვეკონდა რუსულ ენაზე ისეთი ფორმით, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფდა მონაცემთა სიცხადეს. – თავისთავად ცხადია, 1847-1856 წლებში შედგენილ სიებში გვხვდება გარკვეული რიცხობრივი განსხვავებები, თუმცა ამ განსხვავებათა დაზუსტებასა და აღმოფხვრას მეტისმეტად დიდი დრო მოუწევდა. ხსენებული განსხვავებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ გადავწყვიტე, არ შევდგომოდი ყველაფრის თავიდან გადამონმებას, მით უმეტეს, აღნიშნული სხვაობები შემოსავლების მხრივ სამეგრელოს მთავარს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დააზარალებს. –

ფასის დადება საბეგრო პროდუქტზე, აგრეთვე, გლახების მხრიდან პირადი სამსახურის განსაზღვრა მოხდა იმ აქტის საფუძველზე, რომელიც ჩემთან მყოფი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ 1857 წლის 12 დეკემბერს იქნა შედგენილი (იხ. საინვენტარო დავთრის დანართი 3).<sup>2</sup>

ცალკეული გარემოებები, რომლებიც ზემოთ ვახსენე, არის შემდეგი:

1. სამთავრო ოჯახის ქონების დაცვის საკითხი.

2. ნატურალური ბეგრის ფულადი სარგოთი ჩანაცვლების საკითხი.

ზემოთ, წინამდებარე პატაკის დასაწყისში, ნახსენები წერილობითი დავალებით (№4012) თქვენი ბრწყინვალემა მავალეებდა ადგილზევე მომეძებნა ისეთი საშუალებები, რომლებიც მთავრის ქონებას დაიცავდა განიავებისა და მოშლარღვევისაგან და, აგრეთვე, ყველა ან ზოგიერთ ბეგარას ჩანაცვლებდა ფულადი სარგოთი. ამასთანავე, ამ საკითხებზე უნდა მიმელნია შეთანხმებისთვის სამეგრელოს მმართველთან და გამომეთხოვა მისგანვე შესაბამისი დასკვნა. ამის შემდეგ თქვენს ზემოაღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებული შედეგები პირადად უნდა შემეტყობინებინა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის<sup>3</sup> და, დასასრულ, ეს ყველაფერი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის პასუხის ჩათვლით, საბოლოო მოხსენების სახით თქვენი ბრწყინვალეებისთვის წარმედეგინა.

პირველ საკითხთან დაკავშირებით გენერალ-მაიორ კოლიუბაკინთან შეთანხმებით გენერალ-გუბერნატორს ვაცნობე:

რომ მთელ მოძრავ ქონებაზე, როგორც სოფლებში, ისე იქ, სადაც ამა თუ იმ დროს მთავრის ოჯახი იქნებოდა, პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ სახლთუხუცესებს: თავადებს დავით ჩიქოანსა და დათა ჩიქოანს;

რომ აღრიცხულია ნივთები, ცხენების რემა, ნახირი და მათი სია თავის დროზე გადაეცემა მეურვეობას;

რომ 1856 და 1857 წლების ანგარიშს სურსათ-სანოვაცის შესახებ – საჭმელი იქნებოდა ეს, თუ სასმელი, უკვე მიღებულიცა და მისაღებიც – იგივე სახლთუხუცესები ჩემ მიერ განსაზღვრული ფორმით წარუდგენდნენ იმავე მეურვეობას;

რომ გასათვალისწინებელია: 1857 წლის შემოსავლების აკრეფა, სამეგრელოში არსებული წესით, უნდა მოხდეს ნაწილობრივ გაზაფხულზე, ძირითადად კი – 1858 წლის ზამთარში; ხოლო რაც შეეხება შენობა-ნაგებობებსა და სანარმოებს, მეურვეობის განკარგულებაში გადაცემამდე ისინი უნდა იქნეს დაცული და სათანადოდ უზრუნველყოფილი;

რომ, სანამ სამთავრო ოჯახის ქონების მართვა მეურვეობას გადაეცემა, სახლთუხუცესები თავ-თავიანთი ვალდებულებებით უნდა დარჩნენ იმავე თანამდებობებზე; თავიდან რომ იქნეს აცილებული მათ ხელთ არსებული ქონების განიავება ან მოშლა-რღვევა, სახლთუხუცესების მხრიდან მიმართვის შემთხვევაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ მათ დახმარება უნდა გაუწიოს.

რაც შეეხება მეორე საკითხს, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს ვაცნობე: რომ სამთავრო ოჯახის მამულებში არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც, ზოგიერთი ბეგრის გადახდა, ნაცვლად პროდუქტებისა, ხდება ფულით, ოღონდ – **თვითონ გლეხების სურვილის შემთხვევაში**. ასეთ დროს ფულის გადახდევინება ხდება თითოეულ შემთხვევაში განსაზღვრული ნორმალური ფასით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ფასების შეფარდების მხრივ ასე გამოიხატება: სამი ერთთან, რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს თვითონ ეს ნორმალური ფასი. ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს არსებული წესი უნდა შენარჩუნდეს, უკიდურეს შემთხვევაში, მანამდე მაინც, სანამ წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების კვალდაკვალ ხალხს ფულის ნიშნები არ გაუჩნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულის უპირობოდ მოთხოვნა – გარდა იმ გამონაკლისებისა, როცა პირადი სამსახურის ჩანაცვლება ხდება ფულით – გლეხებს მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს და სამეურნეო თვალსაზრისით სამთავრო ოჯახსაც დააზარალებს. რაც შეეხება შესაძლებელი სიზუსტით საბეგრო თანაშემოძილობის შემოღებას, ეს საქმე სამეურვეო მმართველობას უნდა ჩაჰბარდეს. –

3. გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინთან იმაზედაც ვიყავი შეთანხმებული, თუ რომელი წყაროებით უნდა მოხდეს სამეგრელოშივე მმართველობის შენახვა.

მართალია, ეს უკანასკნელი საკითხი ვერ თავსდება თქვენი ბრწყინვალეების მიერ ჩემთვის დაკისრებული დავალების ფარგლებში, მაგრამ, რადგან იგი სამეგრელოს მმართველის მხრი-

დან საკუთრივ ჩემთვის იყო შემოთავაზებული, როგორც მთავარსამმართველოს საბჭოს წევრმა, თავი ვალდებულად ჩავთვალე, მისთვის ჩემი მოსაზრება შემეფიქრობინა: ვფიქრობ, მმართველობის შესანახად უნდა მიიმართოს გლეხობისგან შემოსული ის შემოსავლები, რომლებიც განსაზღვრულია არამემამულური, არამედ საერთო-სახელისუფლებო, სამთავრო, სახელმწიფო საერობო წეს-კანონებით. ასეთ შემოსავლებად, წინასწარ განსაზღვრულ თუ წინასწარ განუსაზღვრელ საგლებო მოსაკრებლებად, ზემოთ ნახსენები 1857 წლის 12 დეკემბრის აქტის საფუძველზე მე მიმაჩნია: **საური, საუდიერო, საციხო და სამოურავო** და, ამათ გარდა, წინასწარ განუსაზღვრელი ისეთი მოსაკრებლები, როგორებიცაა, მაგალითად, ალაგობრივი ვაჭრობის უფლება, აგრეთვე, წერილობითი თანხმობით გარე საშოვარზე გასვლა.<sup>4</sup> – როცა ამ საკითხს გენერალ კოლიუბაკინთან ვათანხმებდი, ამ ტიპის შემოსავლების რიცხოვნობის გამოხატულება ჩემთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, მაგრამ ამჟამად, როგორც შემოსავლის თანდართული ტაბელის ნახვის შემდეგ დარწმუნდებით, პროდუქტების ნორმალური ფასიდან შემოსულმა თანხამ უნდა შეადგინოს 14 688 მან., 79<sup>2</sup>/<sub>3</sub> კაპ.; მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ, **პირველი**: ამ თანხაში შედის 1400 მან., გადასახადი იმ ნავებისა, რომლებიც რიონზე დაცურავენ და ტვირთს, ერთი მხრივ, ფოთს ან რედუტ-კალესა და, მეორე მხრივ, ცხენისწყლისპირს შორის ეზიდებიან,<sup>5</sup> თუმცა ოდენობა ამ შემოსავლისა ერთობ არასანდოა; და, **მეორე**: შემოსავლების გამომანგარიშებისას მე შემქონდა წინასწარ განსაზღვრული მოსაკრებელი საკუთრივ სამთავრო ოჯახის მფლობელობაში მყოფი 2699 კომლი გლეხისა და, აგრეთვე, იმ 5498 კომლისა, რომლებიც კერძო მემამულეებს ეკუთვნიან, მაგრამ ზემოაღნიშნულ ბეგარას მთავარს უხდიან. სამეგრელოში გლეხობა შეადგენს სულ 19 244 კომლს, რომელთაგან 11 047 კომლი, როგორც ვხედავთ, მთავრის სასარგებლოდ არავითარ ბეგარას არ იხდის. ამ უკანასკნელთაგან **საურის, საუდიეროს, საციხოს და სამოურავოს** შემოსავლები

მათს კერძო მფლობელებს შესდის. თუ ბეგრის დასახლებულ სახეებს ისევე, როგორც ზემოთ ნახსენები 8197 კომლის ბეგარას, კერძო მფლობელებიდან მთავრის ოჯახის შემოსავლისკენ მივმართავთ, მაშინ მთავრის შემოსავალი – 14 688 მან.,  $79^{2/3}$  კაპ. – გაორმაგდება. ასეთ შემთხვევაში მმართველობის შესანახი თანხის მოძიება სხვა არაპირდაპირი წყაროებიდან მოგვიწევს, მაგალითად, შემოტანილი ან გატანილი საქონლის ბაჟიდან.

გენერალ-მაიორ კოლიუბაკინის 29 იანვრის №73 ჩემდამი მომართვას, რომელიც პასუხია ჩემს ყველა ჩამოთვლილ მოსაზრებაზე, დედნის სახით აქვე გაახლებთ განსახილველად. ჩემი მხრიდან, მაქვს პატივი, თქვენს ბრწყინვალეებას აქვე მოვახსენო, რომ გენერალ-მაიორ კოლიუბაკინის დასკვნები ჩემი მოსაზრებებისგან არსებითად არ განსხვავდება და ამიტომ ამ დასკვნებს მე სავსებით ვიზიარებ.

4. ლაილაშის დასახლებაში წარმომიდგინეს საჩივარი არათანაზომიერი ბეგრის შესახებ; გორდსა და სალხინოში – სამეგრელოს განსვენებული მთავრის, დავით დადიანის, მიერ ხე-ტყის ნაკეთობებისაგან მეთედის გადახდევინების შესახებ, აგრეთვე, მეთედის გადახდევინების შესახებ ზოგიერთი მიწის ნაკვეთიდან, რომლის უალრეს სიმცირესაც განიცდიან – განსაკუთრებით, სალხინოელები. ჩემი აზრით, ორიდან ერთ-ერთ გზას უნდა დავადგეთ: ან უნდა დავუშვათ არსებობა სპეციალური გადასახადისა ხე-ტყის ნაკეთობასა და მოსავალზე და იმავე თანაფარდობით შევამციროთ დაკისრებული საბეგრო ვალდებულებებისგან მიღებული სარგო, ან კიდევ – დავტოვოთ იმავე ოდენობის მოსაკრებელი თანხა და უარი ვთქვათ სპეციალურ გადასახადებზე ისეთ აუცილებელ საჭიროებებზე, როგორებიცაა ტყითა და სახნავ-სათესი მიწებით სარგებლობა. გამომდინარე აქედან, მიმაჩნია: გლახებისთვის სამძიმო საქმეების მოგვარება უნდა დაეკისროს მეურვეობას; შეწყდეს ხე-ტყის ნაკეთობებისა და სახნავ-სათესი ფართობიდან მეთედის აღება გორდის (მასთან ერთად: კინჩხის,

დუბგვაბუნისა და ღვედის), აგრეთვე, სალხინოს სამთავრო გლეხებისგან, სხვებს კი იმავე ტყისა და სახნავ-სათესის სარგებლობისთვის იგივე ბეგარა დარჩეთ. ამას გარდა, გამოეყოთ სალხინოელ გლეხებს ნაკვეთები მთავრის თავისუფალ მიწებზე, ხოლო მსურველებს მთავრის თავისუფალ მიწებზე გადასახლების უფლებაც მიეცეთ. ეს ყველაფერი მეურვეობის უშუალო და ქმედითი ზედამხედველობით უნდა განხორციელდეს. – სალხინოელებს ამ საკითხზე თქვენს ბრწყინვალეებასთან შუამდგომლობას დავპირდი და ისინიც მოთმინებით ელოდებიან გადანყვეტილებას. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, სალხინოელი გლეხები განიცდიან მიწის მწვავე ნაკლებობას, არადა მელვინეობა მათი მთავარი სამეურნეო საქმეა და უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ამ საქმეში მათი დანახარჯი ვერც კი ანაზღაურებს შემოსავალს.<sup>6</sup>

5. სამეგრელოს მთავრისგან სამურზაყანოელ თავადებს, ანჩაბაძეებს, ებოძათ სამეგრელოს სოფელი დარჩენი<sup>7</sup> აქაური წყალობის აქტებისთვის დამახასიათებელი ფორმულირებით, რომ მათ საკუთრება შეუნარჩუნდებათ მანამ, სანამ ერთგულნი იქნებიან მთავრისა. – თავადმა ანჩაბაძეებმა ამასწინანდელი ომის<sup>8</sup> დროს ეს პირობა დაარღვიეს. ამის გამო სამეგრელოს მმართველმა დედოფალმა მათ ჩამოართვა ეს მამული და იგი მთავრის საკუთრებაში დააბრუნა. დედოფლის ეს განკარგულება, როგორც კანონიერი ხელისუფლის მოქმედება, თავსდება როგორც ადგილობრივი კანონის, ისე ადათ-ნესების ფარგლებში და, შესაბამისად, ვფიქრობ, ვერ გაუქმდება. მმართველი დედოფლის ეს განკარგულება ჯერაც არ არის აღსრულებული და მიზეზი ამისა ანჩაბაძეების წინააღმდეგობაა. – მამულში ცხოვრობს 213 კომლი გლეხი, რომელთაგან 70 კომლი თავად მურზაყან ანჩაბაძის ობლებსაა. იმ დროს, როცა თანამესაკუთრე მოგვარებმა სამთავრო ოჯახის გულისწყრომა გამოიწვიეს, მურზაყან ანჩაბაძე უკვე აღარ იყო ცოცხალი. იოტისოდენა ეჭვიც კი არ არის, საქმის ნამდვილი ვითარება რომ სცოდნოდა, სამეგრელოს მმართველი დედოფალი თავის

რისხვას ობლებს არ დაატეხდა. ნამდვილი ვითარება კი მოგვიანებით გაირკვა და, მე ვფიქრობ, სამართლიანიც იქნება და ადგილობრივი წესნყობილების ღირსების გამომხატველიც, თუ თავად მურზაყან ანჩაბაძის ობლებს საკუთრება ხელუხლებლად შეუნარჩუნდებათ, სხვები დათხოვნილი იქნებიან დარჩენიდან, მათი ნილი კი სამეგრელოს მთავარს დაუბრუნდება.

ვფიქრობ რა, რომ ჩემი ეს მოსაზრება თქვენი ბრწყინვალეების მონონებას დაიმსახურებს, სოფ. დარჩენის ნუსხაში შევიყვანე 133 კომლი გლეხი, თუმცა – სხვა რიცხობრივი მონაცემების გარეშე, რამდენადაც ეს მონაცემები ხელთ არა მაქვს; და

ნ. სამეგრელოში მთავრის ყველა სოფლისა და იქ მცხოვრებთა ყოფის გაცნობას რომ დავერწმუნებინე ჩემი იმ მოსაზრების სისწორეში, რომლითაც სამეგრელოში მივემგზავრებოდი, კერძოდ, რომ გლეხოვა მეტისმეტად დატვირთულია გადასახადებით, შეიძლებოდა მეშუამდგომლა კიდეცა ისეთი გადასახადების გაუქმების შესახებ, რომლებიც თავისდათავად და თავისი მნიშვნელობითაც, როგორც ჩანს: ან არ არის სწორი, ან კიდეც არასამართლიან საფუძვლებზეა დამყარებული. ასეთებად კი დავასახელებდი: **სამახელოს, სამაჭრელოს, სახუროს, სამოურაოს და ძღვენს,**<sup>9</sup> თუმცა ამჟამად თავს ვერ მივცემ ამგვარი შუამდგომლობის უფლებას: ყველა საბეგრო ვალდებულების ერთობლიობა თითქოს გვიბიძგებს, ისინი მეტად თუ ნაკლებად სამძიმოდ ჩავთვალოთ, თუმცა, როცა განსაზღვრულია თითოეული მათგანის არსი, გადამხდელი კლასისთვის ცხადად არის გარკვეული მათი თანხობრივი ღირებულება; როცა თვითონ ეს კლასი სამეგრელოს უმეტეს ნაწილში განკარგავს მისთვის საკმარის სავარგულებსა და ზოგადად შრომისთვის გამოსადეგ ნიადაგს; როცა იგი თავისუფალია ადმინისტრაციული შევიწროებისაგან, რა მიზეზითაც შევიდა ცვლილებები სამეგრელოს მართვა-გამგეობაში; როცა რიცხობრივმა მონაცემებმა ცხადყო, რომ მთავრის ოჯახის

მფლობელობაში მყოფი საგლეხო კომლის ყველა გადასახადის თანხობრივი ღირებულება – პირადი სამსახურის ღირებულების გამოკლებით – წელიწადში საშუალოდ ძლივს აღწევს 5 მანეთს, ვფიქრობ, შეუძლებელია არ დამეთანხმოთ, რომ სამეგრელოში სამთავრო გლეხობას ვერ ექნება დრტვინვის მიზეზი, თუკი მას, ჯერ ერთი, ამისკენ არ უბიძგებენ ბოროტგანმზრახველები და, მეორე, არ გაიზრდება დღევანდელი ბეგრის თანხობრივი ოდენობა და ამით არ დაზარალდება გლეხის სარჩოსაბადებელი. –

ყველა ეს ჩემი მოსაზრება თქვენი ბრწყინვალეების მიერ დაკისრებული დავალების შედეგებითურთ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, ბ-ნ გენერალ-ლეიტენანტს, თავად ერისთოვს ვაცნობე,<sup>10</sup> თუმცა პასუხი ჯერ არ მიმიღია. როცა პასუხს მივიღებ, დედანს გაახლებთ დაუყოვნებლივ.

ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი  
**ყიფიანი**

28 თებერვალი 1858 წლისა.  
ტფილისი

### **83. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი**

მეფისნაცვალს

პ ა ტ ა კ ი

მონერილობა №265-ის მიღებისთანავე<sup>1</sup> დაუყოვნებლივ შევუდექი პოდპორუჩიკ დავით ელიავას შერიგების საქმეს თავის სიძესთან, თავად ალექსი დგებუაძესთან,<sup>2</sup> რათა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის,<sup>3</sup> სამეგრელოს მმართველისა და ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორის<sup>4</sup> დახმარებითა და თან-



დართული 13-15 თებერვლის აქტის საფუძველზე მიმეღწია შეთანხმებისთვის.

ავადმყოფობის გამო დგებუაძეს არ შეეძლო გამოცხადებულიყო, თუმცა მისი დასწრება არც იყო აუცილებელი, რადგანაც მისი მხრიდან სიმამრთან მშვიდობიანი მორიგებისა და ჯვარდანერილ და კანონიერ ცოლთან თანაცხოვრების სურვილი ისედაც არ იყო საეჭვო. –

მაქვს პატივი, როგორც ზემოხსენებული აქტის დამატება, აქვე წარმოგიდგინოთ ქუთაისის გუბერნიის პროკურორის<sup>5</sup> 14 თებერვლის პატაკი №87 და ამონარიდები გამოძიების საქმიდან. ამ ამონარიდებით ეჭვმიუტანლად დასტურდება კნენა დგებუაძის სურვილი, დაუბრუნდეს თავის მეუღლეს.

28 თებერვალი 1858.

#### **84. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი**

სამეგრელოს მმართველს,  
ბატონ გენერალ-მაიორსა და კავალერს,  
**კოლიუბაკინს**

თქვენი აღმატებულების მიერ გასული წლის 18 დეკემბრის მონერილობასთან (№717) ერთად<sup>1</sup> მიღებული სამეგრელოს ყოფილი მმართველობის საქმეები, მაქვს პატივი, დაგიბრუნოთ უკან იმ სიითურთ, რომელიც ამ საქმეებს თან ახლდა.

მთავარმმართველობის საბჭოს წევრი,  
ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი  
**ციფიანი**

თებერვალი 1858.  
ქუთაისი

## 85. ვასილ ინსარსკისადმი

შუამდგომლობით არ მიგვიმართავს – როგორც უმაღლესი ჩინოვნიკობის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა, ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკისთან საუბარში დავადასტურეთ, რომ ჩვენში უღვაშების მოპარსვა საერთოდ ურიგო საქციელად ითვლება. იქვე გამოვთქვით აზრი, რომ ჩინოვნიკებისთვის უღვაშის ტარების უფლების მინიჭებას, როგორც ხალხის წეს-ჩვეულებებისადმი პატივისცემის გამოხატულებას, ყველა კმაყოფილებითა და მადლიერებით შეხვდებოდა.

ალექსანდრე ივანეს ძესთან ამ თემაზე სიტყვა იმიტომ ჩამოვაგდეთ, რომ ვიცით მისი კეთილშობილური დამოკიდებულების შესახებ საგნებისადმი ზოგადად და, განსაკუთრებით, აქაური საქმეების მიმართ. უფლებრივი თვალსაზრისით, მისი, როგორც მეფისნაცვლის, წინაშე ამ საკითხს ჩვენ ვერ დავაყენებდით. თუკი კერძო ხასიათის ნებისმიერ საუბარს ოფიციალური მნიშვნელობა მიეცემა, მაშინ, ცხადია, ეს შეზღუდავს ჩვენი აზრებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოთქმას, რაც თვითონ თავად ა. ი. ბარიატინსკის არაერთხელ მოუთხოვია ჩვენგან.

[4 მარტი 1858 წ.]

## 86. გრიგოლ ორბელიანისადმი

მონყალეო ხელმწიფევე,  
კნიაზო გრიგორი დიმიტრიევიჩი

აქაურს ანბავს<sup>1</sup> დაწვლილებითა ჰსცნობთ ჩვენის ღუბერნსკის მარშლისაგან.<sup>2</sup> ჩემი ვალიც კი იყო, რომ მომეხსენებინა და აქამდისინ ვერა მოგახსენეთ-რა ამ მიზეზითა, რომ დაბო-

ლოვებას ველოდი და ვიმედოვნებდი, როგორც სამჯობინარად მიგვაჩნდა, ისე გათავდებოდა, მაგრამ რა ერთი კეთროვანი ხალხში გაერევა, ყველას გააკეთრიანებს. ინტრიგას მივანერო, შურის-ძიებასა რასმე, თუ ღღევანდელის სარგებლობის სურვილსა და მომავლისათვის წინდაუხედავობას, – ისეთმა კაცმა იმეცადინა და მოახერხა კიდეცა ხელის-შეშლა ჩვენი მმართველობის სურვილის აღსრულებაში და ჩვენის საზოგადო საქმის კეთილად-დანყობაში, რომლისაც უმთავრესი ვალი ხელის-გამართვა იყო, ერთ-ერთი ხსენებული მიზეზი რომ არა ჰქონოდა. საკუთრად მე, კნიაზის<sup>3</sup> დარიგებით, აღარ გავრეულვარ, მაგრამ ყოველივე შეტყობილი მაქვს, ვინ როგორ მოქმედებდენ ხალხის შესაშფოთებლად და რას ჰაზრებსა ჰსთესდენ. ალექსანდრეზედაც<sup>4</sup> და ჩემზედაც ისე თურმე იმუქრებოდენ, ყმა და მამულის წართმევას გვიპირებენო, რომ აქაურმა პოლიციამ, ჩვენდა უცნობლად, გაფრთხილებას მიჰყო ხელი, არა ავნონ-რაო და მართლაც, ალექსანდრეს რომ ისე გონიერებით არ შეეცვალა სალაპარაკო საგანი და მოსაწონარის სიტყვებით არ დაემშვიდებინა საზოგადოება, უსაცილოდ საქმე დიდით რითიმე უსიამოვნოებით დაბოლოვდებოდა. – ახლა წინააღმდეგნი სირცხვილელულად ჰრჩებიან; მართალია, არც საქმე წამხდარა, მაგრამ ამჟამად კი შეიშალა.

როგორც მოგეხსენებათ, მე აქ ერისთვის-შვილების გასაყოფად გახლავარ და საქმისათვის კი ჯერ ხელი არ მიგვიყვია: კონა არის მესამე მედიატორე<sup>5</sup> და უიმისოდ ვერ შევდგომივართ. თავს როდის დავაღწევ საქმეს, არ ვიცი, თუ თქვენგან დაბარება არა მომივიდარა.

ვჰრჩები ასე უსაქმოდ და გულის დასალმობელად. მხოლოდ ესა მაქვს, რომ ჩვენმა ალექსანდრემ ერთის სახალხო ლაპარაკით აქაური საზოგადოება, ჩვენს გასაბეაბრუებელად განმზადებული, დიდათაც მოიმადლიერა: ჩინებული ღუბერსკი მარშალი გვყოლია და არ ვიცოდითო, ეხლა სულ ამას ანბობენ.

ღმერთსა ვჰსთხოვ თქვენს სიმრთელეს და უვნებელობას და ვჰმთები წრფელით და გულითადით პატივისცემითა და ერთგულებითა.

თქვენის ბრწყინვალეების უმორჩილესი მოსამსახურე  
**დიმიტრი ყიფიანი**

28 აპრილი 1858.  
გორით

### 87. ელიზბარ ერისთავისადმი

ბ-ნ გორის მაზრის უფროსს

ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის  
**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის**

თ ხ ო ვ ნ ა

თქვენდამი რწმუნებული მაზრის ქ. გორში მცხოვრებმა კოლეგიის რეგისტრატორმა სტეფანე ივ. კანდინოვმა 1850 წ. მარტში ორი სასესხო ბარათით, რომლებიც ქ. ტფილისის I ნაწილში იმავე მარტის 15 და 20 რიცხვებით არის დამონმებული, **სამი** წლის ვადით ჩემგან ისესხა **ათას ოცდაათი** მან. ვერცხლით, მაგრამ იგი, კანდინოვი, მიუხედავად არა ერთი და ორი მოთხოვნისა, ჩემგან ნასესხებ ზემოაღნიშნულ თანხას დღემდე არ აბრუნებს.

ამის გამო ზემოაღნიშნული სასესხო ბარათებისა და მათი ასლების თანდართვით, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვთხოვო თქვენს ბრწყინვალეობას, გასცეთ სათანადო განკარგულება კოლეგიის რეგისტრატორ სტეფანე კანდინოვისგან ჩემგან ნასესხები ზემოაღნიშნული 1030 მან. (ვერცხლით) პროცენტებით გადახდევინების შესახებ. თუკი იგი, კანდინოვი, მოი-

მიზეზებს, რომ გაკოტრებულია, ასეთ შემთხვევაში უმორჩილესად გთხოვთ, იგი დააპატიმროთ.<sup>1</sup> ამასთან, ციხეში მისი რჩენა-შენახვისთვის ამ ჯერზე გიგზავნით **სამოც** მან. ვერცხლით.

25 ივლისი 1858 წ.

## **88. ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოსადმი**

### **შებათ და ბუღუია ემუხვარების წარმომავლობის შესახებ**

მთავარსამმართველოს საბჭომ წინასწარი განხილვისა და დასკვნისთვის გადმომცა თავისი ჟურნალის ა. წ. 10 ივლისის №952 ამონაწერი, რომელიც ეხება საკითხს – რომელ კლასს მიეკუთვნებიან სამხედრო სამსახურში გამწესებული შებათ და ბუღუია ემუხვარები და რა უფლებებით შეუძლიათ მათ ისარგებლონ სამხედრო სამსახურში ყოფნისას.

საქმიდან ჩანს, რომ ხსენებული ახალგაზრდები სამურზაყანოს თავადურ წრეს მიეკუთვნებიან. ამას ამტკიცებს:

ა) 12 იქაური თავადისა და აზნაურის მონუმობა, გაცემული 1852 წლის 24 მაისს.

ბ) იმავე რაოდენობის თავადისა და აზნაურის მიერ 1853 წლის 11 ივლისს ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება, და

გ) იქაური ხელმძღვანელობის მიერ ხსენებულ ჩვენებათა წერილობითი დამონებება.

სამურზაყანოს ოლქი უშუალოდ ჩვენს მმართველობაში, თუ არ მეშლება, 1842 წლიდან შედის,<sup>1</sup> თუმცა იქაური თავადაზნაურობის კერძო უფლებების განსაზღვრა ჯერ არ დანყებულა. მიუხედავად ამისა, ეს თავადაზნაურობა ყველა საქმესა თუ ყველა შემთხვევაში სარგებლობს პრივილეგირებული

უფლებებით, ზუსტად ისევე, როგორც ამგვარივე უფლებებით სარგებლობენ ამიერკავკასიის მხარის მუსლიმურ პროვინციებში: ხანები, სულთნები, ბეგები, ალაღარები, მელიქები.

საკუთრივ ემუხვარები სამურზაყანოში – და ეს პირადად ჩემთვისაც ცნობილია – თავადებად არიან აღიარებულნი. შესაბამისად, შებათ და ბუდუია ემუხვარები, რომლებიც უდავოდ და უცილობლად ამ გვარეულობას მიეკუთვნებიან, უმაღლეს პრივილეგიებულ წრეს ეკუთვნიან და მათი თავადური ღირსება მხოლოდ იმიტომ არ არის დამტკიცებული, რომ მთავრობას ჯერ არ გაურკვევია, თუ რა წესით უნდა მოხდეს სამურზაყანოს თავადაზნაურობის უფლებების დადგენა. ამაში ემუხვარებს ვერ დავადაზნაშაულებთ. შესაბამისად, მოქმედ სამხედრო სამსახურში მათ თავადების უფლებებით უნდა ისარგებლონ.

წარმოგიდგენთ რა ჩემს ამ მოსაზრებას, მაქვს პატივი, განსახილველად გადმოცემული საქმეც დაგიბრუნოთ.

საბჭოს ნევრი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი  
**ყიფიანი**

1 სექტემბერი 1858 წლისა.

### **89. რუსეთის მმართველი სენატისადმი<sup>1</sup>**

მმართველი სენატის მე-4 დეპარტამენტს

ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის მემამულეს,  
ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველ **დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს**  
შემოაქვს ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო  
სასამართლოს პალატის გადანყვეტილებასთან დაკავშირებული  
პუნქტობრივად ჩამოყალიბებული

კ ე რ ძ ო ს ა ჩ ი ვ ა რ ი

1.

ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატაში წარმოებს დავა, ერთი მხრივ, ჩემსა და ჩემს ძმას, ტიტულარულ მრჩეველ ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანსა და, მეორე მხრივ, სახაზინო უწყებას შორის. ჩვენი სურვილია დავიბრუნოთ ბორჯომის მამულის მეთაფი ნაწილი, რომელიც ხაზინას თავად ავალოვებისგან აქვს შექენილი.<sup>2</sup>

2.

საქმის არსი ასეთი გახლავთ: მე და ჩემმა ძმამ ნასყიდობის აქტით, რომელიც გორის მაზრის სასამართლოში 1848 წლის 12 თებერვალსაა გაფორმებული, ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის მემამულე ზურაბ ავალოვისგან შევიძინეთ სხვა ავალოვებისგან გაუმიჯნავი მისი კუთვნილი ბორჯომის ადგილ-მამულის მეხუთედი ნაწილი.<sup>3</sup> შექენილი მამული დადგენილი წესით საკუთრებაში გადმოგვეცა იმავე 1848 წლის 18 ნოემბერს. ამ დღიდან მოკიდებული არათუ ორი წლის განმავლობაში (მე-10 ტომის 1276-ე მუხლი), არამედ 1852 წლის იანვრამდეც კი არც სასამართლო, არც პოლიციური წესით არც ნასყიდობის აქტის, არც შექენილი ქონების საკუთრებაში გადმოცემის წინააღმდეგ არავის არავითარი დავა არ აღუძრავს. 1852 წელს თავადმა ავალოვებმა თავიანთი ადგილ-მამული დაუთმეს ხაზინას და იმავე წლის მაისში ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატაში გაფორმდა შესაბამისი აქტი. ხსენებული აქტის საფუძველზე 1852 წლის ნოემბერში ადგილობრივმა პოლიციამ ავალოვების ადგილ-მამული ხაზინას გადასცა საკუთრებაში და ამით დანარჩენ ცხრა მეთაფთან ერთად ჩვენი კუთვნილი მეთაფი ნაწილიც იმავე ხაზინას მიაკუთვნა. პალატამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ, ჯერ ერთი, არც მე და არც ჩემს ძმას **ხაზინასთან არავითარი გარიგება არა გვექონია** და, გარდა ამისა, 1851 წლის დეკემბერში, ე. ი. თავად ავალოვებსა და ხაზინას შორის დადებულ აქტამდე ხუთი თვით ადრე, შესაბა-

მისი ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი მქონდა როგორც საკუთარი უფლებები, ისე ამ უფლებათა დამადასტურებელი აქტები: ნასყიდობისა და საკუთრებაში გადმოცემისა.

### 3.

როგორც ჩემი უფლება საკუთრებისა, ისე ამის დამადასტურებელი აქტები ხაზინასა და თავად ავალოვებს შორის გარიგების დადებამდე ცნობილი იყო როგორც ამ უკანასკნელი გარიგების გამფორმებელი ხელმძღვანელობისთვის, ისე იმ პირებისთვისაც, რომლებიც მაშინ ამ საქმეში ხაზინის სახელით მოქმედებდნენ. შესაბამისად, უფლება ჩემი საკუთრებისა დარღვეულია არა თავად ავალოვების, რომლებიც ამას ისედაც ვერ შეძლებდნენ, არამედ – ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ, რომელმაც სავსებით უგულებელყო არა მარტო ჩემი უფლება საკუთრებისა, არამედ ის ფაქტიც, რომ მთელი სამი წლის განმავლობაში მე ამ მამულს მშვიდად და ყოველგვარი გართულების გარეშე ვფლობდი. ხელმძღვანელობის ამგვარი მოქმედების გამო ჩემი საკუთრება ხაზინის უშუალო მფლობელობაში გადავიდა არათუ სასამართლოს, არამედ საერთოდ ყოველგვარი განსჯა-განხილვის გარეშე. მე და ჩემი ძმა იძულებული გაგვხადეს, 1854 წლის ივნისში დაგვეწყო სასამართლო დავა ხაზინასთან, რომლისგანაც ნასყიდობის უფლებას ვიცავთ.

### 4.

სახაზინო ნაწილში ტფილისის გუბერნიის პროკურორის ამხანაგმა<sup>4</sup> ჩვენი სარჩელის საწინააღმდეგოდ 1854 წლის 3 ნოემბერს საქმის გარშემო თავად ავალოვებისგან ახსნა-განმარტების ჩამორთმევა მოითხოვა. საფუძველი ამ მოთხოვნისა ის იყო, რომ მათ საკუთარი ადგილ-მამულის ხაზინის მფლობელობაში გადასვლის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებისას განაცხადეს: თავად ზურაბ ავალოვს, რომლისგანაც მე ავალოვების ადგილ-მამულის მეთაფი შევიძინე, თითქოს უფლე-



ბა არ ჰქონდა თავისი წილის გაყიდვისა და, ამას გარდა, ისინი, ავალოვები, ვალდებულებას იღებდნენ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ გადაცემულ მამულთან დაკავშირებით ვინმე წარმოადგენდა და დაასაბუთებდა თავის უფლებას, ისინი ამ საქმეს ხაზინის ჩაურევლად მოაგვარებდნენ.

## 5.

ჩვენება, რომელსაც ტფილისის გუბერნიის პროკურორის ამხანაგი იმონშებს, თავად ავალოვებს მიცემული აქვთ 1852 წლის იანვარში, ხოლო აქტი, რომელსაც ისინი უთითებენ, იმავე 1852 წლის მაისშია გაფორმებული; და ეს მაშინ, როცა შექცნილი მამული მე და ჩემს ძმას მფლობელობაში 1848 წლის ნოემბერში გვაქვს გადმოცემული. შესაბამისად, არც ზემოხსენებულ ჩვენებას, არც აქტში მითითებულ ავალოვების ვალდებულებებს ჩემს უფლებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ამიტომაც გუბერნიის პროკურორის ამხანაგის პასუხების სანინალმდევოდ წარდგენილ 1855 წლის 26 ივლისის ახსნა-განმარტებაში პალატას ვთხოვდი,<sup>5</sup> ეს ჩემი საქმე განეხილა უშუალოდ ხაზინასთან მიმართებით, და განეხილა ისე, რომ ჩემს სარჩელთან დაკავშირებით ავალოვებს არავითარი პასუხისმგებლობა არ უნდა დაჰკისრებოდათ. ამის პასუხად გუბერნიის პროკურორის ამხანაგმა 1855 წლის 27 სექტემბერს კვლავ აღძრა შუამდგომლობა თავად ავალოვებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. იგი, გარდა ზემოთ მითითებული მიზეზებისა, აქ უკვე მე-10 ტომის 1150-ე მუხლსაც ეყრდნობა, თუმცა იმ გარემოებას, რომ ასეთ შემთხვევაში, კანონის მიხედვით, პასუხისმგებლობა მყიდველს ეკისრება, გუბერნიის პროკურორის ამხანაგს უყურადღებოდ აქვს დატოვებული.

## 6.

ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატა, თავის მხრივ, ეყრდნობა რა 10-ე ტომის 1164-ე და 1171-ე

მუხლებს, ამტკიცებს, რომ საქმეში თავადი ავალოვებისა და ხაზინის მონაწილეობა თანაბარი ხარისხისაა და ამიტომ, მან, პალატამ, 1856 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით ავალოვებს ჩვენს სასარჩელო თხოვნასთან დაკავშირებით პასუხები მოსთხოვა, ამასთანავე, მხარეებს შეგვატყობინა, რომ ამ ბრძანებულებით უკმაყოფილოებს შეგვეძლო საჩივრით სამთვიან ვადაში მმართველი სენატისთვის მიგვემართა. პალატის აღნიშნული ბრძანებულება 1856 წლის 31 იანვარს გადაეცა ტფილისის საქალაქო პოლიციას, რომელმაც იგი **მიმდინარე 1858 წლის 1 სექტემბერს** გამომიცხადა.

7.

პალატის ამგვარი განკარგულებით კმაყოფილი ვერ ვიქნები შემდეგ გარემოებათა გამო: მიზეზები, რომლებითაც ხაზინასთან ჩემს სასამართლო დავაში პირდაპირი პასუხისმგებლობა თავად ავალოვებსაც ეკისრებათ, ეყრდნობა: 1. თავად ავალოვების მიერ 1852 წლის 21 იანვარს მიცემულ **ჩვენებას**; 2. მათსავე ვალდებულებებს, ჩართულს იმავე წლის მაისის **აქტში**; და 3. კანონებს, კერძოდ, 1842 წელს გამოცემული სამოქალაქო კანონთა კრებულის მე-10 ტომის 1150-ე, 1164-ე და 1171-ე მუხლებს.

8.

1852 წლის 21 იანვრის ჩვენებაში, რომელიც მიცემულია თავად ზურაბ ავალოვისგან შეძენილი მამულის ჩემს მფლობელობაში გადმოცემიდან 3 წლის შემდეგ, კერძოდ, 1848 წლის 18 ნოემბერს, თავადი ავალოვები პირველ რიგში აცხადებენ, რომ „**ბორჯომის ადგილ-მამულებიდან ზურაბ ავალოვს არაფერი ეკუთვნის მანამ, სანამ მისი მამულები სოფლებში, ქემფერსა და ბრეთში, არ მოხვდება ჩვენ შორის მამულების გამიჯვნა-გადანაწილებაში, ხოლო მის მიერ მეთაფი ნილის გაყიდვასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება მყიდველთან მათ შორისვე უნდა მოხდეს**“. – აი, ზუსტი შინაარსი ავალოვე-

ბის ჩვენებისა, რომელიც მათ ხაზინის სახელით მოქმედ ჩინოვნიკებს მისცეს და რომლის თაობაზეც არ ყოფილა არავითარი საქმის გარჩევა, არავისთვის არაფერი უკითხავთ, არა მარტომე და ჩემი ძმა, არამედ თვით ზურაბ ავალოვიც კი არსად არავის დაუბარებია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესაძლებელი იქნებოდა ზურაბ ავალოვისთვის ბორჯომის ადგილ-მამულის მისი წილის მისივე ნათესავეების ზემოხსენებული ჩვენების ან მათ შორის საკუთარი, ასე ვთქვათ, შინაურული გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამორთმევა, რის საფუძველზე უნდა შეეხოს მათი, ჩემთვის სავსებით გარეშე პირთა, ჩვენება თუ შინაურული გადაწყვეტილება ჩემს მამულს, რომელიც საკუთრებაში გადმომეცა სამ წელზე მეტი ხნის წინათ და რომელიც ამ ხნის განმავლობაში არსად არავის სადავოდ არ გაუხდია? რასაკვირველია, ამ საქმეში ხაზინა ვერც ერთ კანონს ვერ მიუთითებს და, შესაბამისად, ჩემ წინაშე პასუხისმგებლობასაც ვერ გაექცევა – მას შეუძლია ავალოვებთან საქმე იქონიოს ჩემგან დამოუკიდებლად.

## 9.

1852 წლის *აქტში*, რომელიც ავალოვების მხრიდან ხაზინისთვის თავიანთი ადგილ-მამულის დათმობას ეხება, ნათქვამია: „თუკი *ამის შემდეგ ვინმეს ექნება პრეტენზია ამ ადგილ-მამულზე და დაასაბუთებს თავის უფლებას, მაშინ ჩვენ, ავალოვები, ვალდებულნი ვიქნებით, დავაკმაყოფილოთ მისი უფლება საქმეში ხაზინის მონაწილეობის გარეშე*“. – თუმცა ამ უკანასკნელ გარემოებასაც, მისი ზუსტი შინაარსიდან გამომდინარე, ვერავითარი კავშირი ჩემს უფლებასთან ვერ ექნება. საქმე ისაა, რომ ეს ჩემი უფლება და მისი დამადასტურებელი უცილობელი მტკიცებულება – უდავო, საბოლოოდ ძალაში შესული და, ამდენად, ხელშეუხებელი ნასყიდობის აქტი – მე ცხადი გავხადე არა *მას მერე*, რაც ავალოვებთან აქტი გაფორმდა, არამედ *მანამდე*, ხსენებული აქტის გაფორმებამდე ხუთი თვით ადრე; კერძოდ, ავალოვებთან აქტი გაფორმდა

1852 წლის მაისში, მე კი ჩემი უფლების შესახებ გამოვაცხადე და აქტივ ნარვადგინე 1851 წლის დეკემბერში. ასე და ამგვარად, ჩემი უდავო უფლება 1852 წლის მაისში, როცა ხაზინასა და თავად ავალოვებს შორის აქტი გაფორმდა, როგორც იმ ორგანოსთვის, ვინც ეს აქტი გააფორმა, ისე ხაზინის სახელით მოქმედ პირთათვის ცნობილი იყო. შესაბამისად, ხაზინა ვერ იტყვის, რომ იმ დროისთვის ჩემი უფლება მისთვის ცნობილი არ იყო და განმარტება, თითქოს ჩემი უფლების შესახებ მან გაიგო **შემდგომ** და ამის გამო პასუხისმგებლობის გადაბარება თავად ავალოვებზე არის უსაფუძვლო.

10.

რაც შეეხება ზემოთ, მე-5 და მე-6 პუნქტებში, გუბერნიის პროკურორის ამხანაგის მიერ მითითებულ 1150-ე მუხლს, მას საქმესთან შეხება არა აქვს, რადგანაც ჩემს მამულთან დაკავშირებით, გარდა ხაზინისა, დავა არავის მიერ არავისთან არ ყოფილა აღძრული. ყველა შემთხვევაში **ხსენებული კანონი თავად ავალოვებს პასუხისმგებლობას აკისრებს არა ჩემ, არამედ პირდაპირ ხაზინის წინაშე** და ხაზინამაც უშუალოდ მათთან, თავად ავალოვებთან, უნდა იქონიოს საქმე. პალატის მიერ მხედველობაში მიღებული 1164-ე და 1171-ე მუხლებიდან პირველი თავად ავალოვებს ჩემ წინაშე პასუხისმგებლობას დააკისრებდა იმ შემთხვევაში, მათ რომ მიეჩქმალათ არსებობა ჩემი უფლებისა, ხოლო მეორე მუხლი კი ხაზინას პასუხისმგებლობას აკისრებს უშუალოდ ჩემ წინაშე და ეს იმიტომ, რომ არც ავალოვებს დაუშალავთ თავიანთ 1852 წლის 21 იანვრის ჩვენებაში ჩემი უფლება და, მანამდე, 1851 წლის 22 დეკემბერს, მე თვითონ ნარვადგინე უცილობელი მტკიცებულება ჩემი უფლების შესახებ. შესაბამისად, სადავო არ უნდა იყოს, რომ ხაზინამ **შევგებულად** შეიძინა **სხვისი** მამული. – გუბერნიის პროკურორის ამხანაგი, როგორც ზემოთ, წინამდებარე საჩივრის მე-5 პუნქტში, გვაქვს მითითებული, ამბობს, რომ არ არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც ასეთ შემთხვევაში

პასუხისმგებლობას მყიდველს დააკისრებს. ამით იგი მხედველობის მიღმა ტოვებს ზემოაღნიშნული მე-10 ტომის 1171-ე და 1166-ე მუხლებს.

11.

ასე და ამგვარად, ადგილობრივი ხელისუფლების პირდაპირი მოქმედების შედეგად სასამართლო დავისა და საკითხის ყოველგვარი განხილვის გარეშე 1852 წელს ჩამომერთვა მფარველობა კანონისა, რომელიც საკუთრების უფლებას იცავს; ჩამომერთვა მფარველობა კანონისა, რომელიც დადგენილი წესით გაფორმებული ნასყიდობის აქტით შექმნილი საკუთრების ხელშეუხებლობას იცავს და იძულებულს მხდინან, საქმე ვიქონიო პირებთან, რომელთაც სამი წლის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავთ ჩემი უფლების თაობაზე, ხოლო 1850 წლის 18 ნოემბრიდან საერთოდ შესაძლებლობაც არ ჰქონდათ, ჩემს ამ უფლებას შეხებოდნენ; იძულებულს კი მხდინან იმის გამო, რომ **ხაზინამ თავს უფლება მისცა, მათგან ჩემი მამული ეყიდა.** – ჩემს სარჩელთან დაკავშირებით თავად ავალოგებისთვის პირდაპირი პასუხისმგებლობის დაკისრება გამოიწვევს ორი სხვადასხვა საქმის ერთმანეთში აღრევასა და საკუთრივ ჩემი საქმის გაჭიანურებას: დადგება რა ჩემთვის მამულის დაბრუნებისა თუ სპეციალურად დადგენილი ფასით ანაზღაურების აუცილებლობის წინაშე, ხაზინა გააჭიანურებს საქმეს და არც იმის ძიებას შეუდგება, ვისგან აინაზღაუროს ზარალი, თუ ასეთ ზარალს ნახავს. და მართლაც, ამასობაში ჭიანურდება ჩემს საქმესთან დაკავშირებული მოქმედება მართლმსაჯულებისა და, შესაბამისად, ჩემი სამეურნეო საქმეებიც იზღუდება. ყოველივე ეს უკვე იქიდანაც ჩანს, რომ ჩემი სარჩელის წინააღმდეგ თავად ავალოგებისგან ახსნა-განმარტება მოითხოვეს 1856 წლის იანვარში, ხოლო მათ იგი წარადგინეს მიმდინარე 1858 წლის ივნისში, თანაც ეს ახსნა-განმარტებები ვერაფერს ვერ ცვლის ჩემს სარჩელში მოცემულ გარემოებებში. შედეგი კი ის არის, რომ საქმის წარმოება თითქმის ორწლინახევრით

შეფერხდა. და რადგანაც საქმეში თავად ავალოვეების ჩართვის გამო საქმის განხილვის პირველ ფაზას ამდენი დრო დასჭირდა, ოთხი ფაზის გავლას 10 წლამდე დრო დასჭირდება. არადა, შეუძლებელია, გამოჩნდეს რაიმე ისეთი ახალი გარემოება, რომელიც ჩემს სასამართლო დავასთან დაკავშირებულ საქმეში უკვე არ არის ჩართული და ეს ყველაფერი სავსებით საკმარისია ამ დავის გადასაწყვეტად. ამიტომაც უმორჩილესად ვითხოვ:

## 12.

იმ შემთხვევაში, თუ ტფილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას განიხილავთ და ჩემ მიერ ზემოთ დამოწმებულ კანონთა მუხლებზე დაფუძნებულ წინამდებარე კერძო საჩივარს დააკმაყოფილებთ, გთხოვთ, ხსენებული პალატის სახელზე გასცეთ ბრძანებულება, რათა ხაზინასთან სასამართლო დავისას თავადი ავალოვეები ჩემ წინაშე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდნენ.<sup>6</sup>

ტფილისი. 8 სექტემბერი 1858 წლისა.

უნდა წარედგინოს მმართველი სენატის **მე-4 დეპარტამენტს**. ვცხოვრობ ქ. ტფილისში. – ჩემი ძმის მინდობილობა, რომლის ძალითაც საქმის მსვლელობაში მონაწილეობა მისი სახელითაც შემიძლია, 1855 წლის 1 ივნისის თხოვნასთან ერთად ჩემ მიერ წარდგენილია ზემოხსენებულ პალატაში და დართული აქვს საქმეს.

## 90. ნიკოლოზ გულკევიჩისადმი

ჩვენმა შარშანდელმა შეხვედრამ ჟელეზნოვოდსკში და აღრინდელი სამსახურებრივი მეგობრობის გახსენებამ<sup>1</sup> ჩემს

გულში ისეთი ნათელი კვალი დატოვა, რომ არ მერიდება პირდაპირ თქვენ მოგმართოთ ისეთ საქმეზე, რომელიც ჩემთვის ერთობ მნიშვნელოვანია.

ბ-ნი სამოქალაქო მრჩეველი კრუზენშტერნი მეუბნებოდა, რომ შარშან მის აღმატებულებას, ვლადიმერ პეტრეს ძეს,<sup>2</sup> წარუდგინა თხოვნა ჩემთვისა და ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველ ავთანდილოვისთვის სახელფასო დანამატის შესახებ და ელოდება ამ საკითხის გადაწყვეტას.

არ ვიცი, მიზეზებად რა იყო დასახელებული, მაგრამ თავად მე თქვენს კეთილმონყალე ყურადღებას მივაპყრობ ორ გარემოებას:

1. კანონი ადგილობრივი წარმოშობის მოხელეთათვის სახელფასო დანამატის დანიშნისა და პერიოდულად მისი გაზრდის შესახებ მოქმედებდა 1846 წელს და ადგილობრივებიდან ამ სიკეთით ვსარგებლობდით: მე, ავთანდილოვი, თავადი ბებუთოვი, თავადი თუმანოვი და ბ-ნი ბეზირგანოვი.<sup>3</sup> 1847 წელს ადგილობრივი წარმოშობის იმ მოხელეებისთვის, რომლებიც კავკასიიდან არ ყოფილან სასწავლებლად წარგზავნილნი, ეს კანონი გაუქმდა. მაგრამ ვინაიდან ეს კანონი, მისი მოქმედების პერიოდში ჩვენ ხუთზეც ვრცელდებოდა, იმედი გვქონდა, რომ დანამატის პერიოდული გაზრდა არ შეგვიჩერდებოდა. ჩვენ ეს იმედი დღემდე არ დაგვიკარგავს და ამ იმედის ახდენა, რასაკვირველია, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომის ყურადღება იქნება მიპყრობილი ჩვენი სამსახურისადმი. —

2. დასახელებული ხუთი პირიდან, საკითხის ჩვენ სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში, ხელფასის დანამატის გაზრდა მხოლოდ ოთხისთვის იქნება საჭირო: ჩემთვის, ავთანდილოვისთვის, თავად თუმანოვისა და ბეზირგანოვისთვის. საქმე ის არის, რომ თავადი ბებუთოვი დანამატის სახით უკვე სრულ სარგოს იღებს.

წარმოგიდგინო, თქვენო აღმატებულებავ, მაქსიმალური ხარჯის ამსახველ ციფრებს. თუ კანონით გათვალისწინებულ დანამატს მივიღებთ: მე მერგება 1500 მან., ავთანდილოვს —

1700, თავად თუმანოვს – დაახლოებით 500 და ბეზირგანოვს – დაახლოებით 300.

ცხადია, მეფისნაცვალზე იქნება დამოკიდებული, დაკმაყოფილდება თუ არა ჩვენ ოთხიდან რომელიმე, თუმცა იმედებით ვცოცხლობთ და მათ შორისაა ბ-ნი სამოქალაქო მრჩევლის, კრუზენშტერნის, მიერ დაყენებული საკითხის ჩვენდა სასიკეთოდ გადაწყვეტა. გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ყოფილი თანამოსამსახურეების სასიკეთოდ და მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღების ნიშნად გავლენა იქონიოთ ამ საქმეზე.

უშუალოდ თქვენ, ნიკოლოზ ვასილის ძე, ამ – ჩემი ოჯახისთვის არსებითი მნიშვნელობის – საკითხზე იმიტომ მოგმართავთ, რომ გიცნობთ და გულზე ხელის დადებით გეუბნებით, რომ ჩვენზე განეული ხარჯი ფუჭად არ ჩაივლის.

გულწრფელი...

24 ოქტომბერი 1858.

P. S. ნუ მოაკლებთ, თქვენო აღმატებულებავ, მონყალე ყურადღებას კავკასიიდან პეტერბურგში სასწავლებლად წარგზავნილ ჩემს ძმისშვილს – დავით ყიფიანს.

## 91. ვასილ ინსარსკისადმი

ს ა ი დ უ მ ლ ო დ

მონყალეო ხელმწიფეო,  
ვასილ ანტონის ძე,ე

ჩემი ხელმძღვანელობის დროს მთავარმმართველობის კანცელარიაში შემოვიდა სხვადასხვა სახის საიდუმლო ქაღალდები, რომლებიც მანამდე პირადად ამიერკავკასიის მთავარმართველების კანცელარიის დირექტორებთან ინახებოდა.



ვინაიდან ეს ქაღალდები ჩემთან უკვე ველარ დარჩება, მაქვს პატივი, ისინი თქვენს აღმატებულებას ვაახლო ორი აღწერილობის სახით და, ამასთანავე, უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა და სრული ერთგულება.

13 ნოემბერი 1858 წლისა.  
ტფილისი

აღწერილობა საიდუმლო საქმეებისა და სხვა ქაღალდებისა – გადაცემული ამიერკავკასიის მხარის მთავარმართებლის, ინფანტერიის გენერალ გოლოვინისადმი მისი წინამორბედის, გენერალ-ადიუტანტის, ბარონ როზენისაგან, და ამის შემდეგ მიღებული მისი მაღალაღმატებულების, ევგენი ალექსანდრეს ძის,<sup>1</sup> მიერ.

შედგენილი 1841 წლის 27 ივნისს.

1. 1835 წლის 3 აპრილის საქმე სახელმწიფო დამნაშავე **ბეს-ტუჟევის**<sup>2</sup> ნივთებისა და ქაღალდების წინასწარი გაფრთხილების გარეშე ჩხრეკის შესახებ და სხვ. ---- 40 ფურც.

2. 1835 წლის 2 ივნისის საქმე უნტერ-ოფიცერ **ბოვეუკის** შესახებ, რომელმაც შემოიტანა დასმენა და ამ დასმენიდან ჩანს მისი ფსიქიკური აშლილობა ---- 18 ფურც.

3. მოსკოვის სამხედრო გენერალ-გუბერნატორის 1835 წლის 2 ივნისის მიმართვა №464 ბარონ როზენისადმი კამერ-იუნკერის, თავად ციციანოვის, შესახებ ---- 1 ფურც.

4. გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვის 1835 წლის ივნისის პატაკი №37 იმ ქაღალდებისა და წიგნების ოთხი აღწერილობით, რომლებიც ნაპოვნი იქნა ბატონების: პამშჩინის, ვანევისა და მაიერის ჩხრეკისას<sup>3</sup> ---- 14 ფურც.

5. 1836 წლის 11 ივნისის საქმე სხვადასხვა დავალებით პოდპოლკოვნიკ კაზასის კავკასიის მინერალურ წყლებზე მივლინების შესახებ ---- 14 ფურც.

6. ბარონ როზენის 1836 წლის 10 სექტემბრის მიმართვა №5 კნენია თამარ კაციას ასულისადმი<sup>4</sup> წმ. ეკატერინეს ორდენით მისი დაჯილდოების შესახებ რესკრიპტისა და მცირე ჯვრის თანდართვით ---- 1 ფურც.

7. ბარონ როზენის 1836 წლის 5 ოქტომბრის მიმართვა №6 ბ-ნი სამხედრო მინისტრისადმი სამეგრელოს მთავრის ქალიშვილის, ნინოს, დასაქორწინებლად უმაღლესი ნებართვის გამოთხოვის შესახებ<sup>5</sup> ---- 1 ფურც.

8. სამხედრო მინისტრის 1836 წლის 19 ოქტომბრის მიმართვა №309 კავკასიის ცალკე კორპუსის მეთაურისადმი მოხსენებითი ბარათითურთ ლონდონიდან **ხრუანოვსკის** გამგზავრების შესახებ<sup>6</sup> ---- 2 ფურც.

9. გენერალ-მაიორ ზავოდოვსკის ორი პატაკი №№3 და 4 ჩერქეზთა შორის შავი ჭირის გაჩენის შესახებ ---- 4 ფურც.

10. ბარონ როზენის 1837 წლის 18 ნოემბრის მიმართვა №18 გრაფ ჩერნიშოვისადმი ინგლისელი მისიონერის, **სამუელის**, შესახებ ---- 1 ფურც.

11. 1837 წლის 28 დეკემბრის საქმე – მმართველი სენატის ბრძანებულება ამიერკავკასიის მხარის მთავარმართველად გენერალ-ლეიტენანტ გოლოვინის დანიშვნის შესახებ ---- 9 ფურც.

12. პოდპოლკოვნიკ გრინფელდის 1838 წლის 13 აპრილის პატაკი №160, რომელსაც დართული აქვს: ქალაქები ამიერკავკასიის მხარეში საიდუმლო სამხედრო პოლიციის დაარსების შესახებ, აგრეთვე, ზოგიერთი სხვა ქალაქი ---- 214 ფურც.

13. კავკასიის მხარეში სამხედრო პოლიცმაისტერის შტატები და ინსტრუქცია ---- 34 ფურც.

14. ოლქების მიხედვით სამხედრო პოლიცმაისტერის თანაშემწეების დანიშვნის შესახებ ---- 14 ფურც.

15. გენერალ-გევალდიგერის თანამდებობაზე დანიშვნის წესები ---- 4 ფურც.

16. ბარონ როზენის 1838 წლის 21 მარტის მიმართვა №11 ევგენი ალექსანდრეს ძისადმი, მოხსენებითი ბარათითურთ სა-მოქალაქო მრჩეველ ზავილეისკის შესახებ ---- 3 ფურც.

17. მიმონერა გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვის ფი-ნანსურ ანგარიშში დაშვებული უწესრიგობის შესახებ ---- 5 ფურც.

18. ბარონ როზენის 1838 წლის 24 აპრილის წერილი №20 ევგენი ალექსანდრეს ძისადმი, დართული საქმეებით ნამდვი-ლი სამოქალაქო მრჩეველის, ზავილეისკის, მოქმედებებისა და მის მიერ ახალციხის საფაშოში ამოგებული მიწების შესახებ<sup>7</sup> ---- 72 ფურც.

19. ასლი პოდპოლკოვნიკ კაზასის 10 თებერვლის<sup>8</sup> №1 პა-ტაკისა პოდპოლკოვნიკ სტეპანოვის შესახებ ---- 1 ფურც.

### **ხელს აწერს: კოლეგიის მრჩეველი ტიმოფეევი**

ს ა ი დ უ მ ლ ო დ

აღწერილობა განსაკუთრებული მნიშვნელობის ქაღალდე-ბისა, რომლებიც მთავარმართველობის კანცელარიის ყოფილ დირექტორს ჰქონდა წარმოებაში მიღებული.

1. სპარსეთთან ომის პერიოდის დაშიფრული მიმონერა და აბას-მირზას წერილი, სულ 27 ფურცელი, ფურცლის ნახევები და 6 გახსნილი პაკეტი დაშიფრული წერილებით ---- 108 ფურც.

2. გენერალ კანკრინის 1828 წლის 5 და 7 აპრილის მიმარ-თვები №№327 და 7228 ფელდმარშლისადმი<sup>9</sup> მირზა აბდულ ვენაბას შესახებ მოხსენებითი ბარათის თანდართვით ---- 4 ფურც.

3. ჟანდარმთა კორპუსის VI ოლქის უფროსის მოხსენებითი ბარათები №№56, 66, 69, 75 და 78 ---- 13 ფურც.

4. გენერალ-ადიუტანტ ნეიდგარტის 1844 წლის 7 ივლისის მიწერილობა №16 ---- 1 ფურც.

5. სახელმწიფო მდივნის, პოზენის, 1844 წლის 4 ნოემბრის მიმართვა №647 ---- 1 ფურც.

6. მოხსენება ყაზიყუმუხის სახანოს შესახებ ---- 9 ფურც.

7. მოხსენება ყარაბაღში მიწების არასწორად ფლობის შესახებ ---- 4 ფურც.

8. მოხსენებითი ბარათი აფხაზეთის შესახებ ---- 2 ფურც.

**ხელს აწერს:** ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი **ყიფიანი**

1859

## 92. ეკატერინე დადიანისადმი

თქვენი ნამესტნიკთან მონერილი წიგნი<sup>1</sup> ნამესტნიკმა თვითან წამიკითხა და ეს კომპლიმენტიც დაჰართო: ახლა გული დამშვიდებული მაქვს, რომ მთავრის ოჯახის საქმე კეთილად წარიმართებაო; მეორეს დღეს მეც მომივიდა თქვენი წიგნი; გუშინისწინ დავითს გამოეგზავნა მეორე წიგნი<sup>2</sup> 28-ის მარტისა, რომლითაც მიბძანებთ, რომ დავითიც დაგთხოვნიათ და მართო მელა ვჰრჩები აპეკუნად. თუმცა მთავრობისაგან ჯერ განკარგულება არა მომხდარა რა, – მაგალითად, – ჯერ არც ადგილობრივის მმართველობისათვის უცოდინებიათ აპეკუნების გამოცვლა, და არცარა ჩემთვის მოუწერიათ; მაგრამ რადგან თქვენი ბრძანება ბარონსაც მოუვიდა<sup>3</sup> და მეცა, დღეს მივიბარე ბარონისაგან სააპეკო საქმეებიცა და ფულიც, რაც კნიღებით უნდა ყოფილიყო.<sup>4</sup> სადაც ანგარიში ათას ათასი თუმნობით უნდა იყოს, იქ ორმოც და ხუთ თუმანზედ მეტი არა იყორა: თვით ბარონსაც უკვირს ეს და მე ხომ რა საკვირველია. –

საქმეებიც არის რამდენიმე ისეთი, რომ აუცილებლად საჭიროა ჩემი წასვლა და ზოგის თვალით დახედვა, ზოგზედ პირად მოლაპარაკება ღენერალ ლუბერნატორთან და მეგრელიის მმართველთან.<sup>5</sup> – ბევრი ისეთი საქმე შემდგარა, რომ არ უნდა

შემდგარიყო; ბევრი ისეთი მომხდარა, რომ არ უნდა მომხდარიყო; შემოსავალ-გასავალის საქმეები როგორ არის დანყობილი, რა რას მდგომარეობაშია, გასაკეთებელი რა გაკეთებულა, დასაყენებელი რა დაყენებულა, აპეკუნებს ცნობა არა აქვთრა. შემოსავალი, რაც შარშან უნდა შემოსულიყო, რათ არ შემოსულა, არ იციან. ერთის სიტყვით, მიწერმოწერა კი დიდი გამართულა და საქმის გარიგება სასარგებლო არა ჰსჩანს რა. —

მე რადგან ეს დიდი ვალი თავს ვიდევ, დარწმუნებული უნდა ბძანდებოდეთ, რომ ყოველს ღონისძიებას მივიღებ და გულს-მოდგინებას არას ოდეს არ დავამცირებ, რომ თქვენის ოჯახის საკუთრებას არა თუ ჩემის ბრალით არა მოაკლდესრა, რაოდენიც ადამიანისაგან შემატება შეიძლება, შეემატოს და ყოველივე კეთილად დაენყოს. — ჩემის ხელის გამმართველი და განმამხნევებელი მხოლოდ თქვენა ბძანდებით და ჩემს აზრს რა საკვირველია დაუფარავად მოგახსენებთ. —

პირველი ჩემი განზრახვა ეს არის, რომ თუ საჭიროდ დავინახე და გული დავაჯერე, რომ უჩემობით იქ საქმე როგორცა მსურს ისე არ წარიმართება, გამოვალ სამსახურიდამ<sup>6</sup> და იქ დავბინავდები განუშორებლად. — თუ შევატყე, რომ წელიწადში ერთხელ ორიოდეს თთვით მისვლა იკმარებს, ამ წესს დავადგები; და ადგილობრივ კი ისეთი თანაშემწე უნდა მყავდეს, რომ თქვენის ოჯახის საქმეებიც ესმოდეს, სიმართლისა და საკუთრების დაცვაც შეეძლოს, მანამდისინ მე აქედამ ჩემს მეცადინებას მივაშველებდე; იქაურს მთავრობასთანაც ისეთი დამოკიდებულება იქონიოს, რომ ერთმანერთხედ დამდურებას ან ერთმანერთის წინააღმდეგობას ადგილი არა ჰქონდეს; და არც სულ უკანა რჩებოდეს ამ დროს, როდესაც მრავალი ახალი აზრი, ახალი აღებმიცემობა და ახალი ინტერესები აწინაურებენ საოჯახო საქმეებსა და საკუთრების სასარგებლოდ მოხმარებასა. —

რაც დღეს საქმეები მივიბარე, იქიდან ჰსჩანს, რომ ჩვენი გამგებელი და ადგილობრივი მთავრობა ისე არიან დატაკებულინი, რომ იმათი დაზავება ყოვლად შეუძლებელილა; ქა-

ლალდის ომი აქვთ გამართული და ამ გვარს წინააღმდეგობას უნდებოდა.

ირაკლის პატიოსნება და თქვენი ერთგულება უსაზღვრო არის და შეუგინებელი.<sup>7</sup> – არას ხორციელს არ შეუძლია დამაჯერებინოს, რომ ირაკლის თქვენის ოჯახის სარგებლობას თავისი საკუთარი სარგებლობა ერჩიოს, მაგრამ რასაც შესაბამისი არა აქვს, იმას აღარც ღირსება აქვს. – ცარიელი, გამხმარი პატიოსნება და ერთგულება რის მაქნისია ღვთის გულისათვის, სადაც ადამიანებთან საქმობა არის აუცილებელი და ადამიანებში კი არა ვინა ჰრჩება ისეთი არც ზევით და არც ქვევით, რომ არ ემდუროდენ და არ ეწინააღმდეგებოდნენ. მგლებთან მგლობა უნდა, და ცხვრებთან ცხვრობა. იმისი კი, რაც მესმის, მხოლოდ ეს მესმის და საქმეებიდამაცა ჰსჩანს, რომ ყველანი იმისნი წინააღმდეგნი არიან და ყველას წინააღმდეგი ის არის. ამითი საქმე არასოდეს არა გარიგდება და არც რიგდება. – მივალ, ჩემის თვალთ დავჰხედავ ყოველსავე რაც შეიძლება, და თუ მართლა ასე არის, ლორთქიფანიძე უთუოთ უნდა განშორდეს თქვენს საქმეებსა. – ამისი ნება უნდა მქონდეს თქვენგან და თქვენის ბძანებითვე შავსაც გიგზავნით, როგორ უნდა მომწეროთ. –

სხვა იმის მაგიერი ვინ უნდა იყოს, ჯერ არ ვიცი და არც დიდს საჭიროებასა ვჰპოვებ. – სალთუხუცესი ყოველად უეჭველი ერთგულია თქვენი<sup>8</sup> და თუ ირაკლი დავითხოვე,<sup>9</sup> სალთუხუცესს გარდა სხვას ჯერ არა ვისა ვსაჭიროებ და იქიდან უფრო ბეჯითად მოგახსენებთ. –

მე ნამესტინიკისაგან საქმე მაქვს მონდობილი,<sup>10</sup> რომელსაც ივნისამდინ ვერ გავათავებ; თუ ამ პირობით დამითხოვა, რომ თან წავიღო და იქ ვისაქმო, ახლავე გიახლები ზუგდიდს და გთხოვთ თქვენი ბძანება, რომელსაცა გთხოვთ, იქ გამომიგზავნოთ. თუ არ დამითხოვა, მომავალის ფოჩტით მოგახსენებთ.<sup>11</sup> თუ ერთს კვირაზედ ჩემგან ეს მეორე წიგნი არ მოგივით, იცოდეთ, რომ წაველ და პასუხს ნულარ დამიგვიანებთ. – რასაც ახლა გწერთ, საკუთარი ჩემი აზრი არის, რომელზედაც

გულით დარწმუნებული ვარ და, მაშასადამე, ნუ რას დროს ნუ იფიქრებთ, რომ სხვისა ვისსამე ლაპარაკს ავჰყოლიყო. –

13 აპრილი 1859.

### 93. ალექსი კრუზენშტერნისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ალექსი თედორეს ძეგ

თქვენი აღმატებულებისათვის ცნობილია, რომ ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკას გადავეცი ჩემი კერძო ბიბლიოთეკა – დაახლოებით სამი ათასი ტომი, პირობებით, რომლებიც აღარ სრულდება<sup>1</sup> და ეს მე მანიჭებს უფლებას, წიგნების უკან დაბრუნება მოვითხოვო.

სხენებულ პირობებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ – ისინი ოფიციალურადაა გაფორმებული და კარგად არის ცნობილი ბიბლიოთეკისთვის.

მიუხედავად არაერთი და განუწყვეტელი თხოვნისა, რომლითაც მეფისნაცვლის კანცელარიის ყოფილ დირექტორს მივმართავდი,<sup>2</sup> ჩემი წიგნების უკან დაბრუნებას ვერ ვახერხებ. –

ეს, ჩემთვის ერთობ არასასიამოვნო, პროცესი რომ დასრულდეს, მზად ვარ დავთანხმდე ნებაყოფლობით გარიგებას და დიდად დაგიმადლებთ, თქვენო აღმატებულებავ, თუ ჩემი წიგნების საფასურად მივიღებ სულ ცოტა **ორი ათას** მანეთს, თუმცა მე ისინი თითქმის ორჯერ მეტი მიღირს. იმაზეც თანახმა ვარ, ეს ფული მომეცეს ნაწილ-ნაწილ და ამის შემდეგ ჩემი პრეტენზიებიც შეწყდება.

მიიღეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემი წინამდებარე თხოვნა კეთილგანწყობით და გაეცით შესაბამისი განკარგულება.

ულრმესი პატივისცემით...

9 მაისი 1859.

## 94. ეკატერინე დადიანისადმი

მონყალეო ხელმწიფევ,  
კნენა ეკატერინა ალექსანდრეს ასულო, –

გარდა იმ ორი თხოვნისა, რომლებითაც ჩემდამი მონდობილი მეურვეობის საქმეებზე მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს მივმართე და რომელთა შესახებაც, მაქვს პატივი, გაცნობოთ, ა. თ. 7 მაისს სახელმწიფო მდივან კრუზენშტერნს წარვუდგინე კიდევ ერთი, რიგით მესამე, წერილი<sup>1</sup> და მის ასლსაც გიგზავნით. – ამ ოფიციალურ შუამდგომლობას წინ უძლოდა ჩემი პირადი განმარტებები, განსაკუთრებით რიყის საქმის შესახებ.<sup>2</sup> ვითხოვე ნებართვა, ესა და სხვა მსგავსი – ამჟამად მიმდინარე თუ სამომავლოდ სავარაუდო – საქმეები მე თვითონ მოვაგვარო. –

ამასობაში მეფისნაცვალმა გადმომცა თქვენი უგანათლებულესობის მიერ მისთვის 29 აპრილს გამოგზავნილი წერილი, გამოსატა წუხილი თქვენი შეშფოთების გამო, ხოლო ჩემგან ახსნა-განმარტებები მოითხოვა. –

მე უკვე გწერდით, რომ ადგილობრივი მმართველობა ალგზნებულ კანცელარიულ ინტერესს იჩენს თქვენი მამულების მიმართ, რის გამოც ყველა სამეურნეო თუ ეკონომიკური საკითხი განზეა დარჩენილი. ყოველივე ამან კი ასეთ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. – მის ბრწყინვალეობას<sup>3</sup> შესაბამისი ახსნა-განმარტებები მოვახსენე და მანაც ნება დამართო, გავემგზავრო სამეგრელოში და მეურვეობის საქმეები შეძლებისდაგვარად იქ მოვაგვარო.

ახლა უკვე იმედი მაქვს, გავემგზავრო სამეგრელოში არა უგვიანეს ერთი კვირისა და, როგორც ჩანს, იქ სექტემბრამდე მომიწევს დარჩენა. – ჰო! თქვენი ბრწყინვალეობის მიერ თავად ლორთქიფანიძისთვის გამოგზავნილი წერილიც მივიღე. – ვფიქრობ, საჭირო გახდება ვისარგებლო თქვენგან მონიჭებული უფლებამოსილებით. თავად ლორთქიფანიძის შესახებ



ახლაც გავიმეორებ იმას, რაც ადრე მოგწერეთ.<sup>4</sup> მე იგი სამაგალითოდ პატიოსან და თქვენდამი გულწრფელი ერთგულებით გამსჭვალულ ადამიანად მიმაჩნია. თუმცა, როგორც მეურვე, ვისურვებდი ამ თვისებათა მეტნაკლებობის სანაცვლოდ მას უფრო მეტი უნარი ჰქონოდა ადამიანებთან ურთიერთობის მონესრიგებისა და იმისიც, რომ თავისი ბიუროკრატიული მიდრეკილებები როგორმე თუნდაც იმ შემოსავლების მოკრებისათვის შეეწირა, რომლებიც უდავოდ და უეჭველად უნდა შემოდიოდას. ასეთ შემთხვევაში, ნაცვლად 270 მანეთისა, შემოვიდოდა, სულ ცოტა, 27 000 მანეთი მაინც. – ჩემი გამოანგარიშებით, ეს რიცხვი არ უნდა იყოს ნაკლები 60 000-ისა და, შესაძლებელია, 120 000-საც გადააჭარბოს.

არ ვიცი, რამდენად შევძლებ წარსული დანაკარგების ანაზღაურებას – ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. ის კი ვიცი, რომ, რაც მეტია ნდობა, მით მეტია ვალდებულება. თქვენ მე უსაზღვრო ნდობას მიცხადებთ. ამის საპასუხოდ, ჩემდათავად, გპირდებით უსაზღვრო გულმოდგინებას, რათა დაცული იყოს თქვენი ოჯახის ინტერესები. ამჯერად მთელი ზაფხული დავრჩები თქვენს საკმაოდ თაკარა და ციებცხელებიან სამეგრელოში და, რასაც იქ დავინახავ და რასაც მოვიმოქმედებ, შეგატყობინებთ დაუყოვნებლივ. მანამდე კი გთხოვთ მოთმინებას. –

გადაეცით, თქვენო უგანათლებულესობავ, ჩემს ახალგაზრდა მთავარს, რომ მის მეურვეს სჭირდება მხოლოდ ჯანმრთელობა,<sup>5</sup> რათა იყოს მისი ინტერესების ერთგული დამცველი. ამიტომ, მისსავე სასარგებლოდ, მახსენოს ხოლმე თავის ანგელოზებრივ ლოცვებში. –

დავუბრუნდები მეფისნაცვლისადმი თქვენს 29 აპრილის წერილს. –

ასლი ანგარიშისა, წარმოდგენილი თავად ლორთქიფანიძის მიერ, დარჩა მეურვეობის ქალაქებში, და მე ის ნავიკითხე. რაც არ უნდა მჭევრმეტყველურად იყოს დაწერილი ეს ანგარიში, ჩემთვის იქ ბევრი რამ არის გაუგებარი. განსაკუთრებით

არ მესმის და, როგორც ჩანს, ჩემი გონება ვერც ვერასოდეს მისწვდება იმას, თუ როგორ შეეძლო ლორთქიფანიძეს ეთქვა, რომ მთავრის ოჯახის ადგილ-მამულის ვითარება არ არის გარკვეული და არ არსებობს არავითარი აღწერილობა. და ეს მაშინ, როცა არსებობს უაღრესად გამონვლილვითი, უაღრესად გულმოდგინედ შედგენილი აღწერილობა;<sup>6</sup> ბეგარა გამოთვლილია მისხალ-მისხალ, უკანასკნელ მარცვლამდე. აღწერა ფარულად და საიდუმლოდ ხომ არ ჩატარებულა? თითოეულ სოფელში ფიცის ქვეშ არის მიღებული ჩვენებები მოურავებისგან, ნაცვლებისგან, ხელოსნებისა<sup>7</sup> და უხუცესებისგან. ამას ესწრებოდნენ მეფისნაცვლისგან, თქვენგან, გენერალ-გუბერნატორისგან, სამეგრელოს მმართველისგან დანიშნული პირები და, ბოლოს და ბოლოს, ქუთაისში აღწერილობის უზარმაზარი დავთრებით ხელში თვითონ ლორთქიფანიძეს ვყავარ ნანახი საკუთარი თვალითა და ჩემგანვე საკუთარი ყურით მოუსმენია, თუ როგორ შედგა და რას წარმოადგენს ეს აღწერილობა.

ჭეშმარიტებას გაცხადებდა იგი, თუ იტყოდა, რომ აღწერილობა ჯერჯერობით არც მეურვეობისა და არც ადგილობრივი ხელმძღვანელობის ხელთ არ არის, რადგანაც მისი განხილვა მართლაც დიდხანს მიმდინარეობდა და მხოლოდ ახლახან, გასული აპრილის დამდეგს, საქმის შესახებ მეცნობა მე, ხოლო თვითონ აღწერილობა სამეგრელოს საბჭოს გადაეგზავნა.<sup>8</sup>

ამ დროს ილაპარაკო და იმოქმედო ისე, თითქოს ამგვარი აღწერილობის შედგენაზე ჯერ არც უფიქრიათ, ეს ჩემთვის ყოვლად გაუგებარია. –

ასეა თუ ისე, თქვენს უგანათლებულებობას შეუძლია სავსებით მშვიდად იყოს: აღწერილობა შედგენილია, ხელისუფლების ყველა შესაბამისი დანაყოფის მიერ განხილულია, მონონებულია და, ბოლოს, მეურვეობისა და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის გადაცემულია, როგორც სახელმძღვანელო და საფუძველი მათი მოქმედებებისათვის. – დიდი სურ-

ვილი მაქვს, გამოგიგზავნოთ ასლი აღწერილობაში შეტანილი ყველა აქტისა, მაგრამ ეს მთელი ტომებია და ჯერჯერობით მათი გადანერის საშუალება მე არა მაქვს.

მეფისნაცვლისგან, ცხადია, მიიღებთ თქვენი წერილის პასუხს, მაგრამ, ალბათ – არა ყველა პუნქტის შესახებ. იმაზე, რაზედაც მეფისნაცვალს არც საჩივარი მიუღია და არც სხვა რამ ცნობები, იგი, რასაკვირველია, პასუხს ვერ გაგცემთ. ეს თქვენი მეურვეობის საქმეა, ხოლო მეურვეობისაგან, ანუ ჩემგან, თქვენ უკვე გაქვთ ახსნა-განმარტებები პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-10 პუნქტების შესახებ; – მე-11 პუნქტთან დაკავშირებით დადგენილია წესი, რომელზედაც მეურვეობას არა აქვს არც საბაბი და არც საფუძველი ჩივილისა; მე-12 პუნქტი – მთავრის საკუთრების უფლება საქალაქო მიწებზე დატოვებულია ხელშეუხებლად; მე-13 პუნქტი – მეურვეობას არ გააჩნია მმართველის არც ერთი მოხსენება, რომელმაც ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედებებზე, გარდა რიყის საქმისა, შეიძლება გამოიწვიოს რაიმე სახის სამართლიანი საჩივარი. რაც შეეხება სხვა პუნქტებს, ვერავითარ განმარტებას ვერ მოგანვდით მანამ, სანამ იქ არ ჩავალ და ადგილზევე არ გავარკვევ ყველაფერს.

არა და არა! ამ წუთისთვის არსებული წესი თქვენი მამულეების მართვა-გამგეობისა არაფრად არ ვარგა და მე მას შევცვლი, მით უმეტეს, თქვენ მე საამისო უფლებამოსილებას მანიჭებთ. ხოლო, თუ როგორ შევცვლი, მე ეს ჯერ კიდევ არ ვიცი.<sup>9</sup>

ერთი სიტყვით, თქვენი შვილების საქმეს შევუდგები მთელი გზნებითა და გულწრფელობით და მიზეზსაც იმავე გულწრფელობით მოგახსენებთ – ხელმწიფის სამსახურს ჩემთვის ჩინები და ჯვრები მრავლად მოჰქონდა, თუმცა მოულოდნელი და დაუმსახურებელი სილაც მომხვედრია. – თქვენი აღზევებული ოჯახი მე გულწრფელად იმიტომაც მიყვარდა, რომ მისგანაც სიყვარულს ვგრძნობდი.<sup>10</sup> თქვენი დაქვეითებული ოჯახიც იმავე გულწრფელობით მიყვარს. ახლა იმას გავუწევ სამსახურს. იგი მე ვერც ჩინს მომცემს და ვერც – ჯვარს, თუმ-

ცა იქნებ, ნაცვლად სილის შემოკვერისა, მადლობა მითხრათ.<sup>11</sup> გულწრფელი მადლობისთვის კი ღირს სამსახური და, თუ – უკვე გწერდით – ამის გამო სამსახურიდან გადადგომა მომინია,<sup>12</sup> გადავდგები და თქვენს დაბრუნებამდე ვიცხოვრებ სამეგრელოში. –

მე და ჩემი ცოლი თავს მდაბლად გიკრავთ; ჩემი კოლია თავს მდაბლად უკრავს მთავარს – ნიკოლოზს; ჩემი კოსტია თავს უკრავს მთავრის ძმას – ანდრიას; ხოლო ჩემი პატარა ელენე თავს უკრავს სალომესა და თამარს.<sup>13</sup>

გარდა ამისა, გეამბორებით ხელზე და, ვადასტურებ რა თქვენი ოჯახის მიმართ სრულ ერთგულებას, ვმთები თქვენი უგანათლებულესობის

უმორჩილესი მოსამსახურე  
**დიმიტრი ყიფიანი**

10 მაისი 1859.

ტფილისი

## **95. გორის მაზრის სასამართლოსადმი**

გორის მაზრის სასამართლოს

ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის  
**დ. ი. ყიფიანის**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისის საქალაქო პოლიციამ გამომიცხადა მისდამი მაზრის სასამართლოს ა. წ. 4 მარტის მიმართვა №343, რომლითაც მთხოვენ სასამართლო კოლეგიის რეგისტრატორ ივანე კანდინოვის მიერ ჩემგან ნასესხები<sup>1</sup> ათას ოცდაათი მანეთის საქმეზე ახსნა-განმარტებასა და მტკიცებულებებს. პოლიციას გუშინდელი რიცხვით ხელი მოვუწერე.

კანდინოვი თავის ჩვენებაში ამბობს, რომ ვალი უკვე გადა-  
მიხადა და წარდგენილი აქვს გადახდის ხელწერილი.<sup>2</sup> ის, რომ  
ჩვენება უსაფუძვლოა, ხოლო ხელმოწერა – გაყალბებული,  
თავისთავად გამოირკვევა, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ გა-  
რემოებებს:

კანდინოვი არ უარყოფს, რომ ჩემგან ფული 1850 წლის მარ-  
ტში ისესხა. – აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, თუ როგორ  
გამოხატა მან მადლიერება იმის საპასუხოდ, გაჭირვებაში მყოფს  
დახმარების ხელი რომ გავუწოდე. აღვნიშნავ მხოლოდ:  
ნაწილი ვალისა მან ჩემგან აიღო 15 მარტს, მეორე ნაწილი – 20  
მარტს და იმ დროს არავითარი იმედი არ ჰქონდა, რომ ამ ვალს  
სამ წელიწადზე ადრე დააბრუნებდა. მე მას ფული ვასესხე  
სწორედ სამი წლითა და ყოველგვარი პროცენტების გარეშე.  
არც იმის შესაძლებლობას ვხედავდი, რომ ხუთი დღის შემდეგ  
– ვალის მეორე ნაწილის აღებამდე – მისი მდგომარეობა იმდენად  
გაუმჯობესდებოდა, რომ მთელი ვალის გადახდას მაშინვე  
შეძლებდა. თავს იმის უფლებასაც მივცემ, რომ სასამართლოს  
წინაშე გამოვთქვა შეხედულება, რომელსაც, რასაკვირველია,  
გაიზიარებს ყველა, ვინც კანდინოვს ასე თუ ისე იცნობს: იგი  
არ მიეკუთვნება ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელსაც ხელ-  
ში უჭირავს უპროცენტო ვალის სახით აღებული ათასი მანეთი  
და ამ ვალს ვადამდე – ანუ ამ შემთხვევაში, სამი წლის გასვ-  
ლამდე – გადაიხდის. კანდინოვი კი აცხადებს, რომ მან 1850  
წლის 15 და 20 მარტს ჩემგან უპროცენტო ვალად აიღო 1030  
მანეთი და დამიბრუნა იგი იმავე მარტის 26-ში. ე. ი. იმისათვის,  
რომ ჩემგან აღებული ფული ათიოდე დღით ხელში სჭეროდა,  
მან თითქმის ორასი მანეთი – სამი წლის განმავლობაში ამ თან-  
ხის კანონიერი ნამატი – მაჩუქა. როგორც ჩანს, როცა გადახ-  
დის ხელწერილს წერდა, მან მისთვის საზარალო ასეთი აშკარა  
შეუსაბამობა ვერ გაითვალისწინა. ვამბობ, *მისთვის*-მეთქი,  
რადგან ჩემთვის ძნელი არ არის, მადლიერების ამ ფორმით  
გამოხატვა გამოვააშკარავო: იგი არ დაუფიქრდა ყოვლად  
მარტივ და ბუნებრივ კითხვას – მორალური თვალსაზრისით,

არსებობს თუ არა ბუნებაში ალბათობა, რომ პრეტენზიის დაკმაყოფილების შემდეგ საკუთრივ მე კიდევ ერთხელ მოვითხოვო იმავე პრეტენზიის დაკმაყოფილება? – სამაზრო სასამართლოს წევრები მიეკუთვნებიან იმავე საზოგადოებას, რომელსაც მეც მივეკუთვნები. ჩემი ცხოვრება ხელის გულზე დევს. ამიტომ მივმართავ სასამართლოს წევრებს: მომხდარა თუ არა ცხოვრებაში ისეთი რამ, რომელიც ჩემი მხრიდან ასეთ საქციელს გაფიქრებინებდათ? ჩემი უმთავრესი სიმდიდრე, რომელსაც ვერც ერთი კანდინოვი ვერ მიაყენებს ზიანს, შეუბღალავი კერძო ცხოვრებაა. რა ვითარებაა ამ მხრივ ივანე სტეფანეს ძე კანდინოვთან, ამაზე არაფერს ვიტყვი, თუმცა ეს ყველაფერი საქმის მხოლოდ მორალურ მხარეს ეხება. –

გადავიდეთ საქმის ფაქტობრივ ვითარებაზე...

ბ-მა კანდინოვმა წარმოადგინა თითქოსდა ჩემ მიერ ხელმოწერილი გადახდის ხელწერილი. მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, რომ ყურადღება მიაქციოთ ხელწერილთან დაკავშირებულ შემდეგ გარემოებებს:

1. მას შემდეგ, რაც სასწავლო მერხს მოვშორდი, 1829 წლიდან, საკუთარი თავისთვის არ მიკადრებია, ასე უნიგნურად შედგენილი ხელწერილისთვის მომენერა ხელი. თუ ვინმე იპოვის შემთხვევას, 1829 წლიდან ხელი მომენეროს ისეთი ქალაქისთვის, სადაც ასე აბუჩად იქნება აგდებული რუსული მართლწერა, მზად ვარ, ვაღიარო ამ ხელწერილის ნამდვილობა. – არაფერს ვამბობ იმაზე, რას უნდა შეეშალა ხელი, მე თვითონ დამენერა ხელწერილი, თუკი ამის საჭიროებას დავინახავდი?

2. ვაღიარებ, რომ ერთი შეხედვით ხელმოწერაში ასოების მოყვანილობა მართლაც ძალიან ჰგავს ჩემს ხელწერას, თუმცა ბ-მა კანდინოვნა – ან იმან, ვინც ჩემ ხელთან მიმსგავსებას ცდილობდა – ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ მე ასო H-ს არასოდეს არ ვწერ ისე, როგორც ეს ჩემი გვარის ბოლოსწინა ასო დაუნერიათ; არასოდეს არც ერთი ხელმოწერის შემდეგ, თუკი ქალაქადზე დარჩენილია თავისუფალი ადგილი, არ ვსვამ წერტილს სპეციალური აღნიშვნის გარეშე.<sup>3</sup> აღნიშვნას

არ ვიყენებ ორ შემთხვევაში: თუ ქალაქადზე არ რჩება თავისუფალი ადგილი, ან კიდევე, როცა ხელს ვაწერ ისეთ ნაწერზე, რომელიც პირწმინდად კერძო ხასიათისაა. ვერსად ვერავინ იპოვის ჩემს ხელმოწერას ხსენებული აღნიშვნის გარეშე გარდა მითითებული ორი შემთხვევისა. სპეციალური აღნიშვნის გარეშე ჩემს გვარს ვწერ პაკეტებზე, რომლებსაც ვინმეს ვუგზავნი – მარცხენა ქვემო კუთხეში ვუთითებ, რომ პაკეტი ჩემგანაა და ვწერ ასე: **От Д. И. Кипиани**, მაგრამ ეს არ არის ხელმოწერა. ამას გარდა, როგორც ცნობილია, ხელმოწერაში მამის სახელის აღნიშვნისას მიღებული არ არის მთავრული ასოს გამოყენება.<sup>4</sup> ყოველგვარ საქმიან და ოფიციალურ ქალაქადებს ხელს ვაწერ ზუსტად ისე, როგორც წინამდებარე განცხადებას. სხვა შემთხვევებში ვიყენებ სხვაგვარ ნიშანს – ელიფსური ფორმის მოხაზულობას მთლიანად გვარის გარეშემო. როგორც ზემოხსენებულ სპეციალური აღნიშვნის, ისე გვარის გარეშემო მოხაზულობის ზედმინვენიტი მიმსგავსება წლების განმავლობაში გამომუშავებულ ჩვევას მოითხოვს და, როგორც ჩანს, ამიტომაც არ არის ისინი გადახდის ხელწერილზე. არადა, ასე რომ მოქცეულიყვნენ, მაშინ, ცხადია, ეს ყველაფერი უფრო დამაჯერებელი იქნებოდა. ასოთა მოხაზულობის მიმსგავსება თავისუფლად შეუძლია ნებისმიერს, ვინც ასეთ საქმეში დაოსტატებულია, მით უმეტეს, მე საერთოდ ვწერ საკმაოდ მკაფიოდ და ასოთა ჩემეულ მოხაზულობაში განსაკუთრებული არაფერია. – მხოლოდ ერთი ასოა, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, დანერილი ისე, როგორადაც მე არასოდეს ვწერ.

წარმოვადგენ რა ამ განმარტებას, მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ იმ პირებიდან, რომლებმაც გადახდის ქვითარზე ხელმოწერა სხვა ქალაქადებზე ჩემს ნამდვილ ხელმოწერას უნდა შეუდარონ, არც ერთს არ ვაძლევ აცილებას. – მართალია, მაქვს კანონიერი საფუძველი, ერთ-ერთ მათგანს, ბ-ნ მუსხელივს, მივცე აცილება და მიზეზები მან თვითონ იცის, მაგ-

რამ, მიუხედავად ჩვენ შორის არსებული ზოგიერთი გაუგებრობისა, ზოგადად იგი მიმაჩნია კეთილსინდისიერ ადამიანად და მისი ჩემდამი აშკარა მტრობაც რომ მქონდეს შემჩნეული, მაშინაც კი სასამართლო საქმეებსა და ბოროტმოქმედებათა გამოაშკარავებისას მის სინდისს ვენდობოდი. –

რაც შეეხება აქტებს, რომლებზედაც ჩემი ნამდვილი ხელმონწერებია, ასეთი რამ, ბუნებრივია, ჩემთან ვერ იქნება, ხოლო პოვნა მათი ამიერკავკასიის მმართველობის ოფიციალურ დადგენილებებში სავსებით ადვილია. და ეს იმიტომ, რომ, მაქვს პატივი, ჯერ კიდევ 1838 წლიდან ვმსახურობდე მთავარმმართველობაში.<sup>5</sup>

ამასთანავე, მაქვს პატივი, წინამდებარე განცხადების ასლიც გაახლოთ.

23 მაისი 1859 წ.

## 96. გიორგი მუხრანბატონისადმი

ა ს ლ ი

მონყალეო ხელმწიფეო,

თავადო გიორგი კონსტანტინეს ძეგ

ტფილისიდან ჩემი გამომგზავრების წინ პატივი მქონდა, პირადად მესაუბრა თქვენს ბრწყინვალეხასთან იმ საქმის შესახებ, რომელიც ადრე მთავარსამმართველოს ყოფილ საბჭოში განიხილებოდა, ამჟამად კი სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტს აქვს წარმოებაში მიღებული. საქმე ეხება ნიჟარაძეთა გვარეულობის ზოგიერთი წარმომადგენლის თავადური ღირსების საკითხს.

იმდენად, რამდენადაც მე ამ საქმეს ვიცნობ წინანდელი წარმოებიდან, აგრეთვე, იმ გამოხმაურებებიდან, არაერთხელ და



არაერთი პირისგან რომ მომისმენია იმერეთში, ამჯერად უკვე ქუთაისში ვცადე შეძლებისდაგვარად დავრწმუნებულებიყავი – ხომ არ მოიკიდა ფეხი რაიმე ისეთმა გაუგებრობამ, რომელიც გამოიწვევდა საერთო და ძირითადი ნესების დარღვევასა და იმ გზიდან გადახვევას, რომელსაც მისდევდნენ ყოფილი სათავადაზნაურო კომისიებიცა<sup>1</sup> და მთავრობაც? კერძოდ, არ მინიჭებოდა თავადური ან აზნაურული ღირსება იმათ, ვისაც ამის უფლება არ ჰქონდა, ან კიდევ, არ წართმეოდა იგივე ღირსება იმათ, ვისაც იგი ნამდვილად ეკუთვნოდა.

ამ მიზნით პირადად მივმართე კითხვებით თავად წერეთელს, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის ამჟამინდელ წინამძღოლს, რადგანაც იგი თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობითა და წოდებითაც არის ერთადერთი, რომელსაც მსგავს საქმეებში საერთოდ და, კერძოდ, ნიჟარაძეებთან დაკავშირებულ საქმეშიც, ყველაზე სანდო და საფუძვლიანი ცნობების მოწოდება შეეძლო.

ამჟამად მისგან აქ მივიღე ოფიციალური წერილობითი შეტყობინება იმ ცნობებითურთ, რომლებიც ქუთაისში პირადი საუბრისას მითხრა.

გიგზავნით რა, თქვენო ბრწყინვალეზავ, ჩემდამი თავად წერეთლის ა. თ. 4 რიცხვის №78 წერილს,<sup>2</sup> უმორჩილესად გთხოვთ, ჩამაყენოთ საქმის შემდგომი მსვლელობის კურსში. ამასთანავე, თავს მოვალედ ვთვლი, ჩემი მხრიდანაც დავსძინო: 1. მონათხრობი ყველა იმ პირისა, რომლებთანაც გასული მაისის ბოლოს ამ საქმეზე საუბარი მქონია ქუთაისში, ზედმინევნით ემთხვევა გუბერნიის წინამძღოლის მიერ მოწოდებულ ცნობებს; 2. თავს უფლებას მივცემ ვიფიქრო, რომ იუსტიციის სამინისტროში სათანადო ყურადღება არ მიაქციეს 1847 წლის 14 თებერვლის ინსტრუქციის 22-ე პარაგრაფის II პუნქტს. ეს კი, ადვილი შესაძლებელია, სწორედ იმის გამო მომხდარიყო, რომ აქტი, რომელსაც ხსენებული პუნქტის მეორე ნაწილი ანიჭებს **პირდაპირი** მტკიცებულების მნიშვნელობას, ინსტრუქციაში ნახსენებია, როგორც დამხმარე მტკიცებულება. სინამ-

დვილში კი არსებულ პირობებში იგი პირველი კატეგორიის მტკიცებულებად არის მიჩნეული.

ის, რომ ქუთაისის კომისიაში შემთხვევითი გაუგებრობა მოხდა, მტკიცდება შემდეგი გარემოებით: იმავე კომისიის მიერ, ისევე, როგორც ყოფილი საბჭოსა და ს.-პეტერბურგის კომისიის მიერაც ამ თავადების აზნაურები დატოვებულნი არიან აზნაურის ხარისხში. და ეს იმ დროს, როცა აზნაურთა აზნაურებიდან ამ ხარისხში ჯერაც არავინ დაუმტკიცებიათ.

გთხოვთ მიიღოთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა და სრული ერთგულება

**დიმიტრი ყიფიანი**

10 ივნისი 1859 წ.

დ. ზუგდიდი

## **97. ეკატერინე დადიანისადმი**

მონყალეო დედოფალო,

კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულო

თქვენი უგანათლებულესობის 10 მაისის წერილი ჩემდა სასიამოვნოდ თავად კონსტანტინეს<sup>1</sup> მიერ ტფილისიდან გამოგზავნილ წერილთან ერთად მივიღე ზუგდიდში.

მიუხედავად იმისა, რომ 2 ივნისიდან ვიმყოფები სამეგრელოში და 14 რიცხვამდე ზუგდიდში დავყავი, აქაური საქმეების შესახებ ჯერ არაფრის მოწერა არ მინდა. ყველაფერს დანვრილებით მაშინ მოგწეროთ, როცა დაიძვრება ყველა ის საქმე, რომლებიც დანყებულია. დანყებით კი ბევრი რამაა დანყებული და, მართალია, ჯერ კიდევ წინააღმდეგობებს ვაწყდები, მაგრამ იმედი მაქვს, აქედან ჩემს უკან გამგზავრებამდე დამყარდება სასურველი წესრიგი, ხოლო აქ ყოფნას ოქტომბრამდეც კი ვაპირებ.

მაგრამ ჩემი მოქმედებები თქვენი უგანათლებულესობისათვის სულ მთლად გაურკვეველი რომ არ იყოს, მოგახსენებთ ორიოდ სიტყვით: მსურს აღვადგინო თქვენი ოჯახის ის უფლებები, რომლებიც შელახულია. ასე, მაგალითად, საქმე რიყის შესახებ, საქმე განარჯიის მუხურის შესახებ და კიდევ სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი, საქმეები; ვფიქრობ, აღვადგინო ის უფლებები, რომელთა განხორციელებაც მეტ-ნაკლებად შეჩერებულია: ხე-ტყის გამოზიდვასთან, საძოვრებთან, თევზჭერასთან, გადასასვლელებთან დაკავშირებული გადასახადების აკრეფა; მსურს სინათლის შეტანა ზოგადად შემოსავლებში და გასავლების მაქსიმალურად შემცირება; დასასრულ, მსურს ჩვენი მამულების შიდა ადმინისტრაციის ისე აწყობა, რომ კანონიერების ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს, ერთი მხრივ, სამეურვეო მმართველობის დამოუკიდებლობა და, მეორე მხრივ, საპოლიციო მმართველობის **კანონიერ** მოთხოვნათა შეუჩერებელი აღსრულება. —

ეს რამდენიმე სიტყვა საკმაოდ ბევრ საქმეს მოიცავს და, თქვენო უგანათლებულესობავ, ცოტა ხანს კიდევ იქონიეთ მოთმინება; ნუ მომთხოვთ ვითარების დანვრილებით აღწერას მანამ, სანამ არ დავრწმუნდები ჩვენი სურვილების განხორციელების შესაძლებლობაში; საამისოდ კი **ყოველ მიზეზს გარეშე** სამეგრელოში ჩემი ამჟამინდელი ყოფნა უნდა გამოვიყენო.

თავადი ირაკლი გავუშვი.<sup>2</sup> სახლთუხუცესს თავისი უფლებები აღვუდგინე.<sup>3</sup> სხვა გამგებელი არცაა საჭირო. ეკონომია ჯერჯერობით იქნება 2400 მან.; ამას დაემატება ჩვენი საკანცელარიო შტატების შემცირება. ამ ეკონომიის ხარჯზე, შესაძლოა, საჭირო გახდეს ჩვენი სამი წარმომადგენლის ყოფნა საოლქო მმართველობაში, თუმცა ამაზე მომავალში ვისაუბროთ. —

25 ივნისი 1859.

გორდი

## 98. კორნილი ბოროზდინისადმი

მონყალეო ხელმწიფევე,  
კორნილი ალექსანდრეს ძევე,

ისე არ უნდა გიცნობდეთ, როგორც მე თქვენ გიცნობთ და ისე არ უნდა გცემდეთ პატივისა, როგორც მე თქვენ პატივისა გცემთ, რომ, გარდა სამსახურისა გამო მოუცლელობისა, სხვას რასმე მივანეროთ ისა, რომ ჩვენ ჯერ ერთმანეთს არ შევხვედრივართ, და ან არ აგისრულოთ ის მცირე თხოვნა, რომლითაც თქვენ მომმართეთ. მართლა ერთი ბენოც არ უნდა მქონდეს სხვისის პატივისცემის გრძნობა, რომ ამ შემთხვევაში გაგაცუდოთ. მაგრამ რადგან ცოტა რამე გამეგება და მგონია, რომ სხვისი პატივისცემა ვიცი, დიდის სიამოვნებით დაგითმობდით გორდში სასახლეს, მაგრამ მე თვითონა ვდგევარ შიგა და, რომ შეგაძლიოთ, თქვენ თვითონ არ იზამთ და არ დადგებთ; იმას გარდა ხუთი თუ ექვსი სახლია, რომელიც გნებავთ აირჩიეთ, თუ გნებავთ, ყველაში დადექით, მხოლოდ შემდეგის პირობით: 1) რაც ძველი უსიამოვნება გქონდათ ჩემთან, როგორც მთავრის ქონების მმართველთან, დაივინყოთ და თანხმობით იცხოვროთ ჩემთან; 2) ჩემთან თანხმობით იცხოვროთ და ძველი უსიამოვნება დაივინყოთ; 3) პირველი მუხლი პირობისა აასრულოთ; 4) მეორე მუხლი არ დაარღვიოთ და, ბოლოს, 5) შეაკეთებინეთ სახლი, რომელსაც დასადგომად ამოირჩევთ. ამ მეხუთე მუხლის ასრულება, ჩემის აზრით, მხოლოდ ახლა მოგიწდებათ, ამიტომ, რომ სამზრუნველოს არავითარი სამუალება [არა] აქვს ის შეაკეთოს: თქვენ, ბატონო ადგილობრივო პოლიცია, საკმაოდ გააოხრეთ იგი. მაგრამ მოგახსენეთ, რაც იყო, დავივინყოთ-მეთქი.

ასე, ჩემო ბატონო, კორნილი ალექსანდრეს-ძე, მოუთმენლად გელით ამ პირობით.

ჩემს თავს ნებას ვაძლევ თქვენს მეუღლეს,<sup>1</sup> რომელსაც სულ დიდი ხანია, 1855 წელს, ბედნიერება მქონდა გავცნობოდი, თქვენის თანდასწრებით ხელზე ვეამბორო.

თქვენი ერთგული და უმორჩილესი მოსამსახურე  
**დ. ყიფიანი**

26 ივნისს, 1859 წ.  
გორდი

### 99. გიორგი [დადიანისადმი]

ჩემო სასიქადულო მეგობარო,  
კნიაზო გიორგი!

აღთქმის აღსრულება დაგიგვიანე. მიზეზი ეს გახლდა, რომ მოულოდნელი მგზავრობა მომიხდა, ბორჯომი მოვიარე და ეს სამი დღეა, რაც გიახელ აქვე.

ახლა რაც რიყის საქმეზედ<sup>1</sup> ქალაღები მაქვს, საბუთები გამოვჰკრიბე და ამასთან მომირთმევიან.

ჩვენი აღთქმა მოვიხსენოთ: რაც მე საბუთები მომეძიება, შენ უნდა გაჩვენო; რაც ამისი დამარღვეველი გექმნება, მე უნდა მაჩვენო; ჩვენვე განვსაჯოთ, აუჩქარებელად, აღუშფოთებელად ვიფიქროთ და როგორც ეშესაბამებოდეს შეუბღალველს სამართალს, ისე დავაბოლოვოთ ერთმანერთში მორიგებით და დაზავებით. ჩემს საბუთებს გიგზავნი.

ზოგნი პატიოსანნი პირნი აქა იქ ბრძანებენ, ყიფიანი ასე და ასე ჰმოქმედებს, ამას და ამას განიზრახავს და ჩვენ ვერ დავჰტომობთო. —

როგორ ვმოქმედებ და რას განვიზრახავ, შენ კარგათ იცი. რომ შემეძლოს, მაინც ვერა ვის რას წავართმევ უსამართლოებით ამად, რომე პასუხისმგებელი ვიქმნები წინაშე ღვთისა და ქვეყანაზედ ისეთი მტერი არსად მეგულება, რომ ამგვარი

პასუხის გება მისთვის ვისურვო. რაოდენიც კაცისაგან შესაძლებელია, უნდა ვიმეცადინო, რომ მცირეწლოვანს მთავარს, პატარას თქვენს ნიკოს,<sup>2</sup> არა ვინ რა წაართვას უსამართლოებით, ამაღ, რომე პასუხისმგებელი ვიქმნები წინაშე კანონისა და ისეთი მტერი არა ვარ ჩემის საკუთარის ოჯახისა და ჩემის შვილებისა, რომ ჩემი დაუდევნელობა მათ დაუტევეო პასუხის საგებელად. — ეს არის გზა ჩემის მოქმედებისა და თუ ცხადად ანუ იღუმალად ჰდრტვინავს ვინმე ამგვარს მოქმედებაზედ, უეჭველია, რომ სვინიდისი ჰქენჯნის მას და წრფელის გულით ურჩევდი მას, რომ სვინიდისი განიწმინდოს. იმედი მაქვს შენის განწმენდილის გულისაგან და შენის სიმართლის მოყვარებისაგან, რომ შენც ასე ურჩევ, ვისგანაც ისეთს უგუნურს დრტვინვას გაიგონებ. —

ამასთან წარმოგზავნილის საბუთების პასუხს ნუ დამიგვიანებ, შენი ჭირი მომეცეს.

ამ საბუთების განმარტებას ასე მოგახსენებ, რომ თუ საქმეში შევიდა, სადაც უნდა განიხილებოდეს საქმე, ყოველი მმართველობა თუ სასამართლო ამას იტყვის: როგორც მთავარს გადუნყვეტია, ისე უნდა იქნესო, ქალაღი მოეკითხოს და რაც იქ უწერია, ის მიეცესო; თუ არა და ეს ადგილი ისე სამთავროდ უ[...].ჩესო.<sup>3</sup> უსაცილოდ ეს შეუდგება, ვიცი, თუ საქმეში შე[...] და ნუ შევიტანთ; ჩვენვე დავზავდეთ შინაურად, მეგობრ[ულად], რომ ღმერთმაც მოგვიწონოს და თქვენმა მთავარმაც დროზედ პირმცინარად შემოგხედოსთ.

ამ თთვის 20-დან 25-მდის იქნება ვიზიტი გარდაგიხადო ჭკადუაშს.<sup>4</sup> მერმე იქნება უფრო გადავაბიჯოთ კიდევ სადმე.

ამ დღეებში ლეჩხუმს ვიახლები და სამარიამობოთ ვჰგონებ ისევ აქ დავბრუნდე, რომ სალხინოს გზას დავადგე.

სრულის გულით შენი ერთგული და სარწმუნო მეგობარი  
**დიმიტრი ყიფიანი**

3 აუგვისტო 1859.  
გორდით

## 100. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი

წარმოდგენილი ჩემდამო რაპორტისა თანა თქვენის ბრწყინვალეების 14 ამა თთვესა №180 ფული აღებული განსყიდვისაგან სხვა და სხვა ნივთთა კუთვნილთა მენგრელიის მთავრინასადმი სულ რვა ასი მანეთი და ოთხმოცი კაპეიკი ვერცხლისა ჩემმიერ მიღებულ არს ამა რიცხვსა და შთანერილ არს ზორნიანს წიგნსა შინა შემოსავალში 38 მუხლს ქვეშ.

ამაზედ ვაუწყებ თქვენს ბრწყინვალეებას.

14 სექტემბერსა 1859.

## 101. ალექსი კრუზენშტერნისადმი

და ნ ა რ თ ი 3<sup>1</sup>

მის აღმატებულებას, კავკასიის მეფისნაცვლის  
მთავარსამმართველოს უფროსს,  
ბ-ნ სახელმწიფო მდივანსა და კავალერს  
**კრუზენშტერნს**

მთავარსამმართველოსადმი ბ-ნი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის<sup>2</sup> მიერ გამოგზავნილი შეტყობინებიდან თქვენმა აღმატებულებამ უკვე იცის, რომ სამეგრელოს ხელმძღვანელობასა და ჩემ შორის მეურვეობაზე დაკისრებული მოვალეობების თაობაზე წარმოიშვა უთანხმოება. ცოტა ხანში გენერალ-გუბერნატორისგან მიიღებთ ახალ წარდგინებას იმის შესახებ, რომ ამ უთანხმოების აღმოფხვრის გარეშე სამეურვეო მმართველობა ვერ განხორციელდება.

სამეგრელოში ჩემი ამჟამინდელი ოთხთვიანი ყოფნისას მთავრის მამულების მართვის საქმეში მე ვერ შეეძელი მეურნეობასთან დაკავშირებული ვერც ერთი გადაწყვეტილების

მიღება, ვერც ერთი მოქმედება, რომ არ გადავწყდომოდი ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელობის წინააღმდეგობას. ამიტომ იძულებული შევიქენი, ტფილისში დავბრუნებულიყავი, თანაც ისე, რომ ვერც ვერაფერი გავაკეთე და ვერც ვერაფერი გამოვარკვიე. ყოველივე ამის გამო მეურვეობისთვის დაკისრებული ინტერესები მცირეწლოვანი მთავრისა დიდად ზიანდება. ჩემზე დაკისრებულ ყოველგვარ პასუხისმგებლობას თავი რომ დავაღწიო, თავს ვალდებულად ვთვლი, მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება ამ საქმესა და იმ მოვალეობებზე, რომლებიც საკუთარ თავზე მეფისნაცვლის<sup>3</sup> ნება-სურვილით ავიღე. თუკი რამეში ვცდები, გთხოვთ რჩევა-დარიგებას და, თუ არ ვცდები, მაშინ – დახმარებას.

მონდობილი საქმის შესახებ ჩემი შეხედულება, პირველ რიგში, ეყრდნობა მეურვეობის თაობაზე უმაღლესად განსაზღვრულ წესებს და, ამის შემდეგ – უმაღლესი ხელისუფლების ჩემთვის ცნობილ განკარგულებებს, სრულად შეთანხმებულს ხსენებულ წესებთან, რომელთა საფუძველზეც დაარსდა მეურვეობა.

აღნიშნულ საწყისებზე დაყრდნობით ჩემი წარმოდგენები ჩამოყალიბდა ასე: სამეგრელოს მთავარი მცირეწლოვანია; მცირეწლოვანების გამო იგი არ იმყოფება თავის სამფლობელოში; მის სრულწლოვანებამდე სამეგრელოში შემოღებულია საგანგებო მმართველობა, ხოლო საკუთრივ მისი ქონების მართვა-გამგეობისთვის დაარსებულია მეურვეობა.

აღნიშნული მეურვეობა უმაღლესად განსაზღვრული წესების მიხედვით – ვიმეორებ სიტყვასიტყვით – დაარსებულია სამეგრელოს მთავრის **ადგილ-მამულის მართვა-გამგეობისა და მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.**

ყოველგვარი გაუგებრობა აქ გამორიცხულია: ამგვარი სამეურვეო წესები იმპერიის დიდი ხანია არსებობს და ისინი ყველგან დაუბრკოლებლივ სრულდება, მაგრამ სამეგრელოს ხელმძღვანელობა იმ აზრს ადგას, რომ **მართვა-გამგეობა** პოლიციის ხელში უნდა იყოს.



კაცმა რომ თქვას, სწორედ ამაში მდგომარეობს სამეგრელოს მმართველის<sup>4</sup> მთელი ეს უთანხმოება როგორც ჩემთან, ისე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან. ეს უთანხმოება თანატოლფასი უკუქმედებით აისახება მეურვეობასთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე.

ამგვარი უთანხმოება ყველაზე ნაკლებად შეესაბამება ხელისუფლების მიზანს – დაიცვას მთავრის საკუთრება და ინტერესები. ამიტომაც აუცილებელია – ამას დაბეჯითებით ვამბობ – ორიდან ერთ-ერთ გზას დავადგეთ: ან მეურვის წოდება და მოვალეობები დაეკისროს სამეგრელოს მმართველს, ან კიდევ, თუ ეს მოუხერხებელი ან შეუძლებელია – მეტ-ნაკლები სიზუსტით შემუშავდეს დებულება მეურვისა და ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან მისი დამოკიდებულების შესახებ, რათა როგორმე უთანხმოების გაღრმავება ავიცილოთ თავიდან.

საკუთრივ ამ მეორე მიზნის მისაღწევად აუცილებლად მიმაჩნია, წარმოგიდგინოთ უფრო საფუძვლიანი განხილვა ზემოთ მოყვანილი საერთო წესების ერთ-ერთი ნაწილისა, რომელიც **მთავრის ადგილ-მამულის მართვასა და მისი უფლებებისა და ინტერესების დაცვას** ეხება.

1. მეურვეობა **მართავს** მთავრის ადგილ-მამულს. რისგან შედგება ეს ადგილ-მამული?

იგი შედგება დასახლებული და დაუსახლებელი მიწებისგან, ტყეებისგან, საძოვრებისგან, წყლებისგან. სამეგრელოში მოქმედი ვახტანგ მეფის კანონებითა და თვითონ ხალხის მიერ შემუშავებული ადათ-წესებით, ნაწილი ამ ქონებისა საკუთრების უფლების საფუძველზე მთავარს ეკუთვნის სრულად და განუყოფლად. ნაწილი კი შერეული საკუთრების წესითა და თანაფლობისა და თანასარგებლობის უფლებით – ხელქვეით მყოფ თავადებსა და აზნაურებთან ერთად. საკუთრებისა და სარგებლობის ის უფლებები, რომლებითაც სამეგრელოს კერძო მემამულეები სარგებლობენ, ზუსტად მეორდება იმერეთისა და

გურიის თავადობაში აზნაურობასთან თავადობის ქონებრივი და უფლებრივი ურთიერთმიმართების ჩათვლით.

სამეგრელოს მთავრის ადგილ-მამულები ორივე უფლებითა და მათი განხორციელების საშუალებების ჩათვლით ხელი-სუფლების მიერ განისაზღვრა 1857 წელს. შემოსავლები ამ ადგილ-მამულებიდან გამოანგარიშებულია მეტ-ნაკლები სი-ზუსტით და დადგენილია როგორც გლეხობისთვის დაკისრე-ბული ბეგრის ყველა სახე, ისე მთავრის სარგებელი საკუთარი მეურნეობიდან.

ამ მამულების მმართველობამ, როგორც მეურვეობის შე-სახებ კანონის ზოგადი სულისკვეთებით, ისე კონკრეტულად ჩვენს მეურვეობასთან დაკავშირებულ დადგენილებათა ზუს-ტი შინაარსით, ზედმინევნით უნდა მისდიოს კერძო საკუთრე-ბის უფლების ისე და იმგვარად დაცვას, როგორც ეს მთავრის მმართველობისას ხდებოდა, ანუ მეურვეობა არ აწესებს ახალ ბეგარას, არ ცვლის გლეხებისა და მემამულეების ურთიერთ-დამოკიდებულებას, არ არღვევს – გარდა ნებაყოფლობითი შეთანხმებისა – ბეგრის გადახდასთან დაკავშირებულ წესებს. ამასთანავე, იმავე მეურვეობამ გლეხობასთან მიმართებით მემამულის მოვალეობებიც უნდა შეასრულოს; კერძოდ: ხელი შეუწყოს სოფლის მოსახლეობაში მაღალზნეობრიობას; იზრუ-ნოს მათი კერძო და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის; დაიცვას ისინი არასამართლიანი მოთხოვნებისა და ჩაგვრისა-გან; უპატრონოს ღარიბებსა და უქონელთ და დაეხმაროს მათ შესაწევრებითა და სურსათ-სანოვაგით.

გენერალ-მაიორი კოლიუბაკინი მემამულის მხრიდან ამგ-ვარ მოვალეობებს უარყოფს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ისი-ნი კანონმდებლობაში, და პრაქტიკულადაც, არსებობს – უარ-ყოფა ყველაფრისა შეიძლება, გარდა ფაქტებისა, ფაქტები კი მრავლადაა. სინდისის კარნახითაც, მეურვის მოვალეობითაც, სამსახურებრივი წოდების ვალდებულებითაც, ღიად და დაბე-ჯითებით ვაცხადებ, რომ მოცემულ პირობებში გენერალ კო-

ლიუბაკინის ამ შეხედულებას, გლახათა თვის საზიანოს, რაღაც გაუგებრობა უდევს საფუძვლად.

ასე და ამგვარად:

როგორც ეს სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის თავადურ წრეებშია დაწესებული, მთავრის დასახლებული მამულები: ისიც, რომლებსაც იგი სრული საკუთრების უფლებით ფლობს და ისიც, რომლებიც მას საერთო, გაუმიჯნავი საკუთრების უფლებით თავის ხელქვეით თავადებთან და აზნაურებთან ერთად ეკუთვნის, უნდა გადავიდეს მეურვეობის მმართველობაში. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთავრისთვის ბეგრის გადამხდელი გლახებით დასახლებული სოფლების მართვა-გამგეობა უნდა იყოს მეურვეობის ხელში ზუსტად იმ წესით, რა წესითაც ეს მესაკუთრის ხელში მოხდებოდა. ამასთანავე, მანამ, სანამ არ მოხდება საკუთრების უფლების გამიჯვნა, რასაკვირველია, საზიარო, გაუცალკევებელ მამულებში დაცული და ხელშეუხებელი უნდა იყოს თავადთა და აზნაურთა უფლებები.

ყოველივე ამის აღსასრულებლად სასარგებლოდ მიმანჩნია, რომ სოფლის თანამდებობრივი პირების არჩევის უფლება მიეცეს თვითონ საზოგადოებებს, როგორც ეს სამეგრელოს მართვა-გამგეობის დებულებით არის განსაზღვრული. მაგრამ, ვინაიდან ამ დებულების გამოცემის დროს არც მეურვეობა არსებობდა და – არც მისთვის განსაზღვრული წესები, ამჟამად უკვე არჩეულ პირთა დამტკიცება უშუალოდ მეურვეობაზე უნდა იყოს დამოკიდებული. პოლიციის ხელმძღვანელობამ კი მთავრის სოფლებში თავისი მოქმედებები უდავოდ და უცილობლად უნდა განახორციელოს მეურვეობის, მემამულური მართვა-გამგეობის ოფიციალური და კანონიერი წარმომადგენლის, მეშვეობით. პოლიცია ზუსტად უნდა მოქმედებდეს მისთვის დაწესებულ უფლებრივ ფარგლებში და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ერეოდეს მესაკუთრეთა შიდა საქმეებში.

მეურვეობამ უკვე გამოხატა – ზედმეტი არ იქნება, თუ გავიმეორებ – თავისი შეხედულება იმ წესწყობილობის შესახებ,

რომელიც მას შემოაქვს მთავრის კუთვნილ სოფლებში და რომლის მეშვეობითაც შეუჩერებლად უნდა განხორციელდეს როგორც ადგილობრივი პოლიციის, ისე თვითონ მეურვეობის კანონიერი მოთხოვნები.

სოფლის საზოგადოება ირჩევს: **სოფლის მამასახლისს** აღმასრულებელი და განმკარგულებელი ფუნქციებით; **გამოსაღების ამკრეფს**, რომლის გვერდის ავლითაც მოსახლეობას ვერავინ ვერ უნდა მოსთხოვოს რაიმე გადასახადი; **სოფლის მოსამართლეებს** მეურვეობის განსაგებელი სოფლის მოსახლეობის შიდა დავებისა თუ უთანხმოებების გასარჩევად.<sup>5</sup>

მეურვეობა, აწესებს რა **სოფლის სასამართლოს**, არა მარტო იოტისოდენადაც კი არ ხელყოფს, როგორც ამას გენერალ-მაიორი კოლიუბაკინი ფიქრობს, საოლქო მმართველობის სასამართლო და პოლიციურ უფლებებს, უფრო მეტიც – ათავისუფლებს ისეთი საქმეებისგან, რომელთა აღსრულება მათ ფიზიკურად არც შეუძლიათ, ხოლო გლეხებს აძლევს საშუალებას, იპოვონ სამართალი, რომელსაც ამჟამად მოკლებულნი არიან.

აწესებს რა ამგვარი სასოფლო მართვა-გამგეობისა და სამართლისა და განჩინების ფორმას, გამომდინარეც თვითონ სასოფლო საზოგადოების დებულებიდან, მეურვეობა საკუთრივ ადგილობრივი სამთავრო მეურნეობების მართვისა და სოფლის ხელმძღვანელობის ხელშესაწყობად საჭიროდ მიიჩნევს, იყოლიოს სპეციალური რწმუნებულები, დამოუკიდებლად იმ პირებისა, რომლებიც მეურვეობის მიერვე დაინიშნებიან აფხაზეთში, ქუთაისსა და ტფილისში არსებული სამთავრო საკუთრების საგამგებლოდ. საჭიროა მეთვალყურე, რათა გლეხობას მიეცეს სამართალი წერილობითი ფორმით და საშუალება, კანონიერი გზებით დაიცვან თავიანთი საქმეები. რწმუნებულები კი სწორედ იმიტომ არიან საჭირონი, რომ, შეუძლებელია, მეურვეობამ ამ საქმეში მეთვალყურეობა შეძლოს ყველგან და უშუალოდ.

მხედველობაშია მისაღები, რომ მეურვეობა ჩვენს შემთხვევაში დაარსებულია განსაკუთრებული ვითარების გამო. ეს არის ნება იმპერატორისა, რომლის მფარველობაშიც მცირენლოვანი მთავარი იმყოფება და, გამომდინარე აქედან, მეურვეობა ხელმძღვანელობას სთხოვს: **პირველი** – ხსენებული რწმუნებულები სამეგრელოში და მის ფარგლებს გარეთ ოფიციალურად იქნენ აღიარებულნი მეურვეობის წარმომადგენლებად; და **მეორე** – მეურვეობას უფლება მიეცეს, ის რწმუნებულები, რომლებიც, მისი აზრით, დაიმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას, წარუდგინოს ხელმძღვანელობას მათთვის სათანადო ფორმით მადლობის გამოსაცხადებლად (განზრახულია რწმუნებულებად საპატიო პირების დანიშვნა უმაღლესი გვარეულობებიდან).

აი, ყველა ის გარემოება, რომელთა საფუძველზეც ვაპირებ სამეგრელოს მთავრის ადგილ-მამულის მართვას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია მეურვეობას აიღოს პასუხისმგებლობა როგორც აღნიშნული მამულის დაცვაზე, ისე მეურნეობისა და გლეხთა ყოფის თანდათანობით გაუმჯობესებაზე.

საკითხის ასე დაყენება: მეურვეობა მხოლოდ გლეხობისგან ბეგრის აღებით შემოიფარგლოს, მართვა-გამგეობა კი უშუალოდ პოლიციის ხელში იყოს, მომდინარეობს, ერთი მხრივ, გენერალ კოლიუბაკინის ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან, ხოლო, მეორე მხრივ, შიშით გამონვეული სიფრთხილისგან, რომ მართვა-გამგეობის მეურვეობის ხელში დარჩენის შემთხვევაში მთავრის სოფლებში მეურვეობის გავლენა გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე – გავლენა პოლიციისა.

პირველი გარემოების – გენერალ კოლიუბაკინის მოსაზრების – შესახებ ჩემი აზრი უკვე გამოვთქვი. რაც შეეხება პოლიციის გავლენას, მე, როგორც კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, ისევე, როგორც ხელისუფლების ნებისმიერი კეთილგანმზრახველი მოსამსახურე, ვალდებული ვარ, ვიზრუნო პოლიციაზე. ამიტომაც მიმაჩნია, რომ პოლიციის გავლენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ძლიერი და მისი მოქმედებები

– კანონიერი, როცა იგი არ გადასცდება მისთვის დაწესებულ ფარგლებს. მაგრამ პოლიცია: თუ იგი ჩათვლის, რომ უშუალოდ უნდა დაიქვემდებაროს ყველა და ყველაფერი, მის ხელქვეით მყოფი მოსახლეობის როგორც საერთო, ისე კერძო ინტერესები; უნდა მიიღოს პირდაპირი და უშუალო მონაწილეობა ყველა იმ საქმეში, რომლებიც ნოდებრივ ფენათა ურთიერთობებს ეხება; განუწყვეტლივ უნდა იჭრებოდეს ნებისმიერი პიროვნების საქმეებში, – ასეთ პოლიციას არ ითვალისწინებს არც ერთი კანონმდებლობა თუნდაც იმ ბუნებრივი მიზეზის გამო, რომ ეს ისედაც შეუძლებელია. ასეთი პოლიცია არათუ არ იცავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არამედ, პირიქით – ანგრევს მას. სასტიკ მეთოდებს წარმოშობს ან წინდაუხედაობა, ან კიდევ – უკიდურესი აუცილებლობა. გაუმჯობესება და სრულყოფა მხოლოდ თანდათანობითაა შესაძლებელი.

პოლიციის გავლენა ხალხზე მხოლოდ მაშინ არის საჭირო და სასარგებლო, როცა იგი დევნის წესრიგის ამრევს, უფლებების ბოროტად გამოყენებელს, კანონის დამრღვევს და, როგორც ძალაუფლების ნაწილი, აღადგენს კანონიერების დარღვეულ საზღვრებს. მაგრამ იმ წუთიდან, რომელი წუთიდანაც პოლიცია თავის თავზე აიღებს, შეენაცვლოს ყველა მეურნესა თუ მესაკუთრეს, თვითონვე იქცევა უკანონობის განსახიერებად.

მე, როგორც მეურვეს, კანონიერი უფლებამოსილების გადამეტებაში პოლიციისთვის ბრალი არ დამიდვია, იოტისოდენადაც კი არ შევხებივარ პოლიციის ჩინოსანთა მოქმედებებს, არ აღმიძრავს არც ერთი საჩივარი მათ წინააღმდეგ. მე მხოლოდ სურვილი გამოვთქვი სასოფლო მმართველობაში კანონით გათვალისწინებული წესრიგის დამკვიდრებისა და მხოლოდ იმ მიზნით, რომ დასახლებული მმართველობა ზუსტად და დაუყოვნებლივ ასრულებდეს პოლიციის ყველა მოთხოვნას; ოღონდ მოთხოვნას – გაფორმებულს **წერილობით**, რათა ასე თუ ისე შევუმსუბუქოთ ხალხს სამძიმო მდგომარეობა, რომელსაც ქმნიან ოლქის ხელმძღვანელების, მათი თანაშემწეების,

აღსრულების მიზნით მივლინებული პირებისა თუ პოლიციის სხვა აგენტების **ზეპირი** და, ამდენად, კონტროლს დაუქვემდებარებელი ბრძანებები. არა მარტო მოსამსახურეს, არამედ ნებისმიერ კეთილგონიერ ადამიანს ვალად ადევს ისეთი წესრიგის დამკვიდრების სურვილი, რომლის დროსაც რაც შეიძლება ნაკლებად იქნება შესაძლებელი სასჯელის ბოროტად გამოყენება და ძალაუფლების გადამეტება. როცა მე წერილობით ბრძანებებს ვითხოვ, ამით სწორედ სასჯელის ბოროტად გამოყენებასა და ძალაუფლების გადამეტებას ვუდებ ზღვარს.

## II. მთავრის **უფლებებისა** და **ინტერესების** შესახებ.

როცა წინა პუნქტში ვაყალიბებდი საკუთარ წარმოდგენებს მცირეწლოვანი მთავრის ადგილ-მამულების მართვა-გამგეობის შესახებ, არ შევხებივარ მისი მდგომარეობის ორგვარობას, თუმცა სულერთია, თუ როგორ ვილაპარაკებთ მასზე: როგორც სამეგრელოს მთავარზე, თუ როგორც კერძო მემამულეზე.<sup>6</sup> სამეგრელოს მთავარი აქაური კანონებისა და ადათ-წესების მიხედვით, სამეგრელოში მესაკუთრეა ყოველივე იმისა, რაც არ ეკუთვნით ეკლესიასა და კერძო პირებს. სამეგრელოში, როგორც ეს ჩვენი კანონების შემოღებამდე იყო ქართლ-კახეთში,<sup>7</sup> იმერეთსა და გურიაში, მამულები ეკუთვნით ან კერძო პირებს, ან ეკლესიას, ან კიდეც – მთავარს.

იდეები სახელმწიფო საკუთრების შესახებ სამეგრელოში არც არსებულა და არც არსებობს, რამდენადაც ამგვარი იდეები გვირგვინის უფლებასთან არის დაკავშირებული. ამგვარი წარმოდგენა კი სამეგრელოში ვერ შეიქმნებოდა. აქ არსებობს მხოლოდ წარმოდგენა ქვეყნის ბატონზე, რომელსაც უშუალოდ ეკუთვნის ყოველივე ის, რაც მისი ხელქვეითებიდან არავის არ ეკუთვნის. ამიტომაც შეუძლებელია ზღვარის პოვნა იმასა და იმას შორის, რასაც ჩვენ, ერთი მხრივ, სახელმწიფო ქონებას ან გვირგვინოსნის საკუთრებას, ხოლო, მეორე მხრივ, დადიანის, როგორც სამეგრელოს მთავრის, კუთვნილებას ვუწოდებთ: მთავარს ან არა აქვს არავითარი კერძო საკუთრება,

ან კიდევ – ის, რაც მას ეკუთვნის, არის კერძო საკუთრება. ამიტომ ყველაფერს, რაც მისი კუთვნილებაა, ხალხის ენაზე ეწოდება **სახასო**, სახაზინო. უძრავ ქონებას, ანუ მამულს, რომელზედაც არ ვრცელდება ეკლესიის ან კერძო მფლობელთა საკუთრების უფლება, **სახასო**, ანუ **სამთავრო**, ან კიდევ – **სადადიანო** ეწოდება და ამ სიტყვებს აბსოლუტურად ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. – ადამიანები, რომლებიც მთავარს დადგენილ ბეგარას უხდიან, ამ ბეგარას იხდიან როგორც სახასოს, სახაზინოს. ადამიანები, რომლებიც კერძო მამულების მებატონეებისგან თავისუფლებას ეძიებენ, ამ თავისუფლებას სახაზინოდ, **სახასოდ** გადაყვანისთვის ეძიებენ და ამის შემდეგ საკუთარ თავს **სახასოს**, **სამთავროს** ან **სადადიანოს** უწოდებენ. ამის საპირისპიროდ ყველა, ვინც ეკუთვნის ეკლესიას, თავად დადიანებს – მთავრის ნათესავეებსა და მოგვარეებს, თუმცა არა სამთავრო ოჯახის წევრებს, სხვა კერძო მესაკუთრე თავადებსა თუ აზნაურებს, იწოდებიან: **საეკლესიოდ**, **საბატონიშვილოდ** და **საბატონოდ**.

აი, რატომ ვერ ვხედავ სხვაობას სამეგრელოს მთავრის ამჟამად არსებული საკუთრების მართვის დროს: კერძოა ეს საკუთრება თუ – სახელმწიფო? ვხელმძღვანელობ რა უმაღლესად დაწესებული და ჩემთვის დაკისრებული მოვალეობით, ვმართო სამეგრელოს მთავრის ქონება და, სანამ უმაღლესი ხელისუფლების მიერ აღიარებული და დამტკიცებულია მთავრის სამოქალაქო უფლებები, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, განვაგო ეს ყველაფერი მეურვის ვალდებულებით.

რაც შეეხება საკითხს **უფლებებისა** და **ინტერესების დაცვის** შესახებ, შესაძლებლად მიმაჩნია, რომ აქ დაიდოს ზღვარი, ერთი მხრივ, ნიკოლოზ დადიანის, როგორც **თავადისა** და **კერძო პირის**, ხოლო, მეორე მხრივ, სამეგრელოს **მთავრის**, უფლებებს შორის.

ამისთვის საჭიროა ითქვას ისიც, თუ რაში მდგომარეობს მთავრის მცირეწლოვანების პერიოდში მისი უფლებები და ინტერესები, რომლებიც მეურვეობამ უნდა დაიცვას.



ადმინისტრირების უფლების შესახებ სიტყვის გაგრძელება, რასაკვირველია, არ ღირს: ეს უფლება მთავრის მცირენლოვანების განმავლობაში სპეციალურად დაწესებულ მმართველობას აქვს გადაცემული.

რჩება სამოქალაქო უფლება, ანუ უფლება უძრავ საკუთრებაზე, ადგილ-მამულებზე, რომლებიც შეიძლება მის კერძო საკუთრებაში გადავიდეს: ან თავისივე მოქმედებების შედეგად, ან კიდევ – კანონის ძალით.

კერძო მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი მოქმედება, რომლის მიზანია საკუთრების მთავრისათვის გადაცემა, რასაკვირველია, ვერ იქცევა მეურვეობის გავლენისა და მეთვალყურეობის საგნად. მაგრამ ამგვარ მეთვალყურეობას, მიმართა, აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს ისეთი მოქმედებები, რომელთა შედეგადაც რომელიმე მესაკუთრეს მამული ერთმევა და ეს მამული მთავრის საკუთრებაში გადადის.

ასე, მაგალითად:

ა) მესაკუთრეს სამეგრელოს გარეთ მცხოვრები პირისა თუ უწყების ვალი აქვს და ამ ვალის გადახდა მისი მამულის ხარჯზე უნდა მოხდეს. ასეთ შემთხვევებში სამეგრელოს მთავარი ყოველთვის თვითონ მონაწილეობდა კრედიტორებთან შეთანხმების მიღწევაში. თუ მოვალეს ვალის გასტუმრება მამულის დათმობის გარეშე არ შეეძლო, მაშინ მთავარი მოვალის ნათესავებს სთავაზობდა, გაენმინდათ ეს ვალი, ხოლო მამული თვითონ დაესაკუთრებინათ. თუ ნათესავები ამას არ დათანხმდებოდნენ, მაშინ მთავარი თვითონ ისტუმრებდა კრედიტორებს, მამულს კი საკუთარ ხაზინაში რიცხავდა.

ამ საკითხის შესახებ ამჟამად მიმდინარეობს მიწერ-მონერა, რომელზედაც მეფისნაცვლის საბჭოს საკუთარი მოსაზრება უნდა წარვეუდგინო. მაგრამ აქ საკუთრივ ამ საკითხს იმიტომ ვეხები, რომ, თუ მეურვეობას არ ექნება ასეთ საქმეებზე ზეგავლენისა და მეთვალყურეობის უფლება, მაშინ შეიძლება გაუქმდეს მთავრის ხსენებული უფლება და მისი მცირენლოვანების პერიოდში მისსავე ადგილ-მამულში გაჩნდნენ მისგან

დამოუკიდებელი კერძო მესაკუთრეები. ამით კი, თავის მხრივ, შეილახება მთავრის სხვა კანონიერი უფლება – **საუშვილო**, რომელსაც ქვემოთ შევხვები.

ბ) მესაკუთრემ მამული, საიდანაც მთავარს ბეგარა შესდის, შეიძლება გაყიდოს ან სხვა ფორმით სხვა პირს ისე გადასცეს, რომ საბეგრო ვალდებულება არც ახსენოს.

გ) მესაკუთრეს ასევე შეუძლია გაასხვისოს მამული, რომელიც პირადად მას მთავარმა დროებითი ან სამუდამო **სარგებლობის** უფლებით გადასცა.

რამდენადაც ასეთი შემთხვევები შეიძლება ზოგადად მესაკუთრულ უფლებას შეეხოს, გამომდინარე უმაღლესად განსაზღვრული მოვალეობისა, რომ დაცული იყოს მთავრის **უფლებები**, აუცილებელია შემდეგი სახის დადგენილება: აქტები, რომელთა მიზანი უძრავი ქონების გასხვისებაა, არ შესრულდეს მეურვეობის თანხმობის გარეშე.

დ) იმავე საფუძვლებზე დაყრდნობით, პირები, რომლებიც კერძო მესაკუთრეებისა თუ საეკლესიო უწყებისგან თავისუფლებას ეძიებენ – მათ კი დაცვის სხვა საშუალებები არ გააჩნიათ – უნდა მოექცნენ მეურვეობის მფარველობისა და დაცვის ქვეშ და ასეთ პირებთან დაკავშირებული საქმეები არ უნდა წყდებოდეს იმავე მეურვეობის თანხმობის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული უფლება თავისუფლებისა, ანუ **სახასოოდ**, შეიძლება ასეც ითქვას, სამთავრო-სახაზინოდ, გადარიცხვა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წაანყდება და ამით თავისუფლების მაძიებლებს ხელი შეეშლებათ თავიანთი უფლების განხორციელებაში.

კანონის მიხედვით, მამული მთავრის ხელში იმ შემთხვევაშიც გადადის, თუ ამ მამულის მესაკუთრეს ძმებთან გაყრის შემდეგ მამრობითი სქესის პირდაპირი მემკვიდრე არ რჩება. ასეთ სამთავრო უფლებას, რომელსაც **საუშვილო**, ანუ საპარტახო ეწოდება, სამეგრელოში ექვემდებარებიან ის კერძო მესაკუთრეები, რომელთაც მთავრისგან არა აქვთ სახაზინოდ გადარიცხვისგან გათავისუფლების ქალაღდი, ანუ ისინი, რომლებიც სწორედ **საუშვილოსაგან** არ არიან გათავისუფლებულნი.

მთავრის ნებაზეა დამოკიდებული, დატოვოს თუ არა ასეთი მამული ქვრივის სარგებლობაში სამუდამოდ (როგორც ეს თითქმის ყოველთვის ხდება), ან გარდაცვლილი მესაკუთრის ქალიშვილების გათხოვებამდე, ან კიდევ – გადასცეს გვერდითი ან აღმავალი ხაზის ნათესავებს განსაკუთრებული ძღვენის საპასუხოდ. მთავრის ეს უფლება ახლაც მოქმედებს უმაღლესად განსაზღვრული წესების მე-5 პუნქტის ძალით.

აი, მთავრის **უფლებები**, რომელთა დაცვა მეურვეობის ვალდებულებაა.

რაც შეეხება სამეგრელოს მთავრის **ინტერესებს**, მეურვეობას ეკისრება მთავრის შემოსავლებისა და ქონების დაცვა-შენახვა, შესაძლებლობის ფარგლებში გლეხობის ყოფის გაუმჯობესება და დახმარების განევა იმ პირთათვის, რომლებიც კანონიერი გზებით ეძიებენ თავისუფლებას, რათა მთავრის ხელქვეით გადაირიცხონ.

ერთმანეთისგან გამიჯვნა თავად ნიკოლოზ დადიანის ორგვარი მდგომარეობისა – როგორც, ერთი მხრივ, სამეგრელოს მთავრისა და, მეორე მხრივ, კერძო მემამულისა – მოცემულ შემთხვევაში, ე. ი. მისი ინტერესების დაცვისას, არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, რამდენადაც საკითხი დღესავით ნათელია. მთავრის ქონების აღწერის წარდგენისას მე უკვე ნათქვამი მაქვს: ერთი ნაწილი შემოსავლებისა მას ეკუთვნის, როგორც კერძო მესაკუთრეს, მეორე ნაწილი კი, პირველთან შედარებით გაცილებით ნაკლები ოდენობისა – როგორც მთავარს. მთელი ბეგარა, რომელსაც სამეგრელოს გლეხობა საურის, საუდიეროს, საციხოსა და სამოურავოს სახით იხდის, ეკუთვნის მმართველობას. სამთავრო შემოსავლების ეს ნაწილი აღრიცხული და გამოანგარიშებულია და იმ წუთიდან, რა წუთიდანაც ამ საკითხზე მთავრობის განკარგულება გამოიცემა, შეიძლება მთელი ეს შემოსავალი დანიშნულებისამებრ მეურვეობიდან მმართველობას გადაეცეს. არავითარი დაბრკოლება არ შეხვდება და არც უნდა შეხვდეს აღნიშნული ბეგრის მმართველობისათვის გადაცემას იმ კერძო მესაკუთრეებისგა-

ნაც, რომელთა სასარგებლოდაც გლახობა ამ ბეგარას იხდის, რამდენადაც ბეგრის ეს სახეები მაინცადამაინც საერობოა და არა – მემამულური. რაც შეეხება ბეგრის გამოღების საშუალებებს, მე ზოგადად ყველაზე მოსახერხებელ და ყველაზე სწორ ფორმად მიმაჩნია, რომ დანესდეს: აღნიშნული შემოსავალი მმართველობის ხაზინაში შევიდეს უშუალოდ მეურვეობისა და მესაკუთრეებისგან, რათა ბეგრის გადახდის დროს გლახობა არ მოექცეს ორმაგი – ერთი მხრივ, მემამულეებისა და, მეორე მხრივ, პოლიციის აგენტების – დამოკიდებულების ქვეშ. პოლიციამ ასეთ შემთხვევაში უნდა გასწიოს მეთვალყურეობა, რომ გლახობა ზედმეტი მოთხოვნებით არ დაიტვირთოს.

გადმოგეცით რა ჩემი მოსაზრება იმ მოვალეობათა შესახებ, მეურვის წოდება რომ მაკისრებს, მაქვს პატივი თქვენს აღმატებულებას უმორჩილესად ვთხოვო, გადასცეთ ეს ყოველივე განსახილველად მეფისნაცვალს და, ამასთანავე, ინებოთ პასუხის დაბრუნება, თუ ჩემდამი რა სახელმძღვანელო რჩევას ინებებს მისი ბრწყინვალეობა მეურვეობასა და ადგილობრივ ხელმძღვანელობას შორის გაჩენილი გაუგებრობის აღმოსაფხვრელად.

თუ ჩემ მიერ მოყვანილი რომელიმე გარემოება მოითხოვს უფრო გაშლილ და საგანგებო მსჯელობას, რასაც, თავის მხრივ, ასე თუ ისე ხანგრძლივი დრო დასჭირდება, ხომ არ ინებებთ, ჯერჯერობით მოითხოვოთ ვრცელი ახსნა-განმარტება თუნდაც საკუთრივ მთავრის ადგილ-მამულის *მართვის* თაობაზე ჩემსა და გენერალ კოლიუბაკინს შორის არსებული უთანხმოების შესახებ<sup>8</sup> და ეს იმიტომ, რომ ამ უთანხმოების წარმოშობის შემდეგ შეწყვეტილია ყველა საქმის წარმოება და, შესაბამისად – მთავრის ინტერესების დაცვა. მეურვეობას კი სწორედ ეს ვალდებულება აქვს დაკისრებული. მე კი, ჩემდათავად, საკითხის გადაწყვეტამდე არ შემიძლია არ მოვიხსნა ყოველგვარი პასუხისმგებლობა.

6 ოქტომბერი 1859 წლისა.

ტფილისი

## 102. ალექსი კრუზენშტერნისადმი

მონყალეო ხელმწიფეო,  
ალექსი თედორეს ძეგ

თქვენი ა. თ. 9 რიცხვის პატივისაცემი წერილის პასუხად, მაქვს პატივი, მოგახსენოთ: ხელთ არა მაქვს კატალოგი იმ წიგნებისა, რომლებიც ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკას გადავეცი, ამიტომ ვჯერდები ჩემს სახელზე უკვე გაცემულ **ათას** მანეთს და ამ წერილით ვწყვეტ პრეტენზიას.

გულწრფელი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,  
მაქვს პატივი, თქვენო აღმატებულებაგ...  
29 ოქტომბერი 1859.

## 103. ეკატერინე დადიანისადმი

მონყალეო ჩემო ბატონო  
მთავრინა ეკატერინა ალექსანდროვნა!

მენგრელიის მმართველმა არც არაფერი ჩემი გაიგონა, არც სამგზის ლენერალ-ლუბერნატორისაგან მიწერილს დარიგებას შეუდგა და ამ უთანხმოებამ იქამდის მიაღწია, რომ ქალაქს ჩამოველ და ყოველივე ნამესტნიკს მოვახსენე.<sup>1</sup> თუმცა ძალიან ავათ იყო, მაგრამ მაშინვე მიმიღო და მალაპარაკა. ამ ლაპარაკის ძალით ნ-ს ამ თთვისას ქალაღდი შევიტანე, რომლისაც პირს ამასთან გიგზავნით. მანამდისინ შევიტანდი, ჯერ გიორგი მუხრანსკის გავაშინჯე, რადგან იმისს დეპარტამენტში უნდა შევიდეს;<sup>2</sup> მერე კრუზენშტერნს გავაშინჯე და ორთავე აღმითქვეს კეთილად დაბოლოვება საქმისა. თუ მმართველობას სხვა განზრახვა აქვს რამე ისეთი, რომ კოლუბაკინმა იცოდეს და მე კი არა, – ახლა უნდა წარმოსთქვას, რომ ჩვენც ვიცო-

დეთ, – ჩემი ქალაქი იმ აზრით არის შედგენილი. თორემ ხელმწიფე ბრძანებდეს მცირეწლოვანის მთავრის ყმა და მამულს მოუარეთო, იმისი უფლება და სარგებლობა დაიცეთო და ადგილობრივი მთავრობა მეუბნებოდეს, სხვა საქმე არა გაქვს რა, თუ არ მხოლოდ მიღება, რაც მოიბოჭებაო და მობოჭვითაც იქნება მოიბოჭოს თექვსმეტიოდ ათასი მანათი მეტი არაო, ეს არ შეიძლება და თქვენი საქმეც რომ არ იყოს, ამისთანას მასხარაობას არას დროს არ დავსთმობ. –

თუ ჩემის ქალაქის პასუხი როგორც აღმითქვეს, ისეთი მომცეს, ისეე მაშინვე წავალ მენგრელიაში და სოფლების მართვას ისე დავანყო, როგორც ვინყე და რაკი ამას შევასრულებ, მერე ყოველივე საქმე ისეთს მომდინარეობას მიეცემა, როგორც რიგია და სამართალი. – ხალხს უბრალო შეწუხებას ველარა ვინ გაუბედავს, ჩვენს მზრუნველობას საქმით დაინახვენ და მაშინ რა საკვირველია აღარაფერს დაგვაკლებენ, რაც რამ დებული და მართებული არის.

იქიდან რომ წამოველ საოპეკო საქმეების უმთავრესი მართვა და განმგებლობა ჩემს დაბრუნებამდე არჩილ დადიანოვს მივანდე.<sup>3</sup> მთავრობასა და თქვენის ოჯახის ორგულებს რომ სახუცესის სამდურავი აქვსთ ხელზედ დახვეული,<sup>4</sup> არჩილზედ ხომ ველარაფერს იტყვიან, რადგან ყოველი კაცი ამას ანბობს, არჩილის უპატიოსნესი და სიმართლეზედ უმტკიცესი ჩვენში სხვა არ იპოვებაო.

აქ რასაც პასუხს მომცემენ, იმასაც მოგახსენებთ. სხვა ბევრი მაქვს მოსაწერი და გულითად მსურს დაწვლილებით მოგახსენოთ, თუ რაზედ მაქვს იმედი დაფუძნებული საქმეების კარგათ წარმართვისა და წამხდარის საქმეების გამობრუნებისა, მაგრამ ამას ბევრი წერა მოუწდება და მე დრო არა მაქვს და სწორე უნდა მოგახსენოთ, არც ვეშურები ამეების აღწერას, რადგან ვიცი, რომ მენდობით და თქვენს დანდობას ღმერთი არ გამაცრუებინებს. –

სეკტემბრის 5-ს მონერილი თქვენი წიგნი გუშინწინ მომივიდა და როგორც უწინდელის წიგნებისა, ისე ამისი პასუხი სულ

ამ ჩემის ქალაქის გადანაცვლებაზე არის დამოკიდებული: როგორც რომ უმთავრესის საქმის დანყოფილება, ესე იგი სოფლების და ხალხის მართვისა, რიგიანად დაეწყო, მაშინ ველარაფერში დამაბრკოლებენ და ყოველივე თქვენი ბრძანებაც აღსრულდება.

ჩემს პატარა ბატონს ნიკოს, ძმით და დებითურთ<sup>5</sup> პირს კოცნას მოვახსენებ, რადგან გაებედებათ ამიტომ, რომ ჯერ პატარაები არიან.

თქვენი უერთგულესი  
**დიმიტრი ყიფიანი**

ოქტომბერი 1859.

ნამესტნიკისათვის რომ წიგნი მოგიწერიათ და დიდი გამარჯვება მოგილოცავთ,<sup>6</sup> ისე სასიამოვნოთ მიუღია, რომ მეტი აღარ შეიძლება. პირველს ნახვაზედ მაშინვე ეს მითხრა. მაგისტანა წიგნებს რომ ხან და ხან მოსწერდეთ ხოლმე, ძალიან კარგი იქნება: ამისი გულის მოგება თქვენთვის დიდად სასარგებლოა.

#### 104. [ალექსი კრუზენშტერნისადმი]

და ნ ა რ თ ი 4

ა ს ლ ი

როდესაც დავთანხმდი სამეგრელოს მთავრის ქონების მურვეობასა და ჩემი წინამორბედებისგან<sup>1</sup> საქმეები გადმოვიბარე, მივხვდი, რომ საჭირო იყო სამეგრელოში ჩემი სასწრაფოდ ჩასვლა, რათა გამერკვია მიზეზები და, შეძლებისდაგვარად, გამომესწორებინა კიდევაც ის ვითარება, რომელმაც სამეურნეო საქმეების მოშლა და შემოსავლების უკიდურესი შემცირება გამოიწვია.

ამ საქმეში მთელ ჩემს იმედებს გენერალ-მაიორ კოლიუბაკინზე ვამყარებდი, რადგანაც, ჯერ ერთი, პიროვნულად მასთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა და, გარდა ამისა, შეუძლებლად მიმაჩნდა, მას რაიმე მიზეზი ჰქონოდა, მცირეწლოვანი მემკვიდრის ინტერესებისთვის ზიანი მიეყენებინა. 13 მაისს იგი თვითონ მწერდა ზუგდიდიდან: „ჩემთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, პირადად შენთან გავარკვიო სამთავრო ადგილ-მამულთან დაკავშირებული საქმეები. ამისთვის კი აუცილებელია შენი დაუყოვნებელი ჩამოსვლა... დაბეჯითებით გთხოვ, არ გადადო ჩამოსვლა. გეტყვი იმასაც, რასაც ადრე ბარონს ვწერდი:<sup>2</sup> სამთავრო ადგილ-მამულის საქმეები ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მათ მოგვარებას ან დაუყოვნებლივ უნდა მოვკიდოთ ხელი, ან სულ დავანებოთ თავი“.

მეფისნაცვლის ნებართვით<sup>3</sup> სამეგრელოში გავემგზავრე მაისის ბოლო რიცხვებში და ჩავედი ზუგდიდში 4 ივნისს.<sup>4</sup>

სწრაფად რომ გადავიდე ამის შემდეგ გამართულ მიწერ-მონწერაზე, თვითონ გასარკვევ საქმეებზე აქ არაფერს ვიტყვი; არც იმაზე, თუ რა მოსაზრებები ჩამომიყალიბდა მთავრის ადგილ-მამულისა და მისი გლეხების მდგომარეობის შესახებ, ზუგდიდისკენ რომ მივემგზავრებოდი. ვიტყვი მხოლოდ ერთს, რომ მთავრის მამულების ადგილობრივ მმართველს, თავად ლორთქიფანიძესა და სამეგრელოს მმართველ პირთა შორის გამართული იყო ცხარე მიმოწერა. მე ჩასვლისთანავე, ისე, რომ საქმის განხილვაშიც კი არ შევსულვარ, ლორთქიფანიძე დავითხოვე.<sup>5</sup> მთავრის ბალი ლობითაა გამიჯნული იმ სახლისგან, რომელშიც გენერალი კოლიუბაკინი ცხოვრობს. ჩასვლისთანავე ბრძანება გავეცი ამ ლობის მოხსნის შესახებ. სურვილი მქონდა, მემოქმედა გენერალთან სრული თანხმობით, მისი მოსაზრებების სრულად გათვალისწინებით, და ჩემი ეს სურვილი პირველივე ნაბიჯით დავადასტურე. შევხვდით ერთმანეთს, როგორც ძველი მეგობრები და ერთი კვირის განმავლობაში მოვითათბირეთ ყველა იმ საკითხზე, რომელთა ურთიერთშე-



თანხმებასაც ორივენი პირველი რიგის აუცილებელ პირობად მივიჩნევდით.

წინამდებარე მიმონერა სწორედ ხსენებულ შეთანხმებას ასახავს.

### **ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ყიფიანი გენერალ კოლიუბაკინს:**

1. მთავრის მამულების მართვა-გამგეობის შესახებ 1859 წლის 7 ივნისს გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს ვწერდი (№32):

„ხელი მოვკიდე თუ არა სამეგრელოს სამთავრო ოჯახის მეურვის წოდებით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას, მეურვეობის მიერ ჩემთვის გადმოცემული საქმეებისა და ჩემ მიერვე აქ შეგროვებული ცნობების საფუძველზე დავინახე, რომ მცირეწლოვანი მთავრისა და მისი მშობელი დედის მამულების მართვა-გამგეობის საქმე სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს.

მაგრამ თქვენს აღმატებულებასთან წინასწარი შეთანხმებისა და თქვენი მონონების გარეშე მე ამ ცვლილებებს არ განვახორციელებ. ამიტომაც, თავს ვალდებულად ვთვლი, გაგიზიაროთ საკუთარი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე დაყრდნობით ვაპირებ ჩემ მიერ განზრახული ახალი წესრიგის დამყარებას.

საამისოდ აუცილებელია, პირველ რიგში, მოეხაზო ზოგადი სურათი, თუ როგორ წარმოიშობება ჩემზე დაკისრებული საქმის არსი.

თუ გავითვალისწინებთ უმაღლესი ხელისუფლების მიერ დღემდე გამოცემული განკარგულებების სულისკვეთებას, სამეგრელოს მართვა-გამგეობის ამჟამინდელ პირობებში შეიძლება იყოს ორი გამოსავალი: ან მთავრის დაბრუნება სრულწლოვანების მიღწევამდე,<sup>6</sup> ან კიდევ – სახელმწიფო ქონებისთვის მისი სამფლობელოს მიერთება. პირველ შემთხვევაში მთავარს არ უნდა

ჰქონდეს არავითარი საფუძველი მფარველი ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებისა, რომ მცირეწლოვანების პერიოდში მისი საკუთრება განიავდა; მეორე შემთხვევაში სახელმწიფო ხაზინას არ უნდა მიეცეს საბაზი, ეძებოს მიზეზები და დამნაშავეები, თუ რატომ განიავდა ან არამართებულად გასხვისდა მთავრის საკუთრება, რომელიც მას ს.-პეტერბურგში ყოფნის გამო სამეგრელოში ჰქონდა დატოვებული.

შესაბამისად, მეურვეობაცა და სამეგრელოს მმართველობაც ერთი საერთო მიზნისკენ უნდა ისწრაფოდეს – სრულად და ხელუხლებლად იქნეს დაცული მთავრის ქონება და შემოსავლები.

თუ თქვენი აღმატებულება ინებებს და ჩემს ამ მოსაზრებას გაიზიარებს, მაშინ, ცხადია, მოგვინევს ვალიაროთ გარდაუვალობა იმ ზომებისა, რომლებიც უნდა განხორციელდეს ახლავე და იმ დრომდე, სანამ დღეს არსებული წესწყობილება ამა თუ იმ მიმართულებით არ შეიცვლება.

ჩემდათავად აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია შემდეგი ზომები:

1. იმ შემთხვევაში, თუ მთავრის მეურვეობასა და კერძო პირებს შორის წარმოიშობა დავები საკუთრების შესახებ, მთავრის ინტერესებიც ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც – ხაზინის ინტერესები.

აქვე გავიმეორებ იმას, რაც ერთხელ უკვე მოვახსენე მთავარსამმართველოს: მრავალრიცხოვანი დავები მოსალოდნელი არ არის, რადგანაც სამთავრო ქონება უკვე გარკვეულია და მისი საინვენტარო აღწერილობა როგორც მეურვეობის, ისე სამეგრელოს მმართველობის ხელთაა. გადასაწყვეტად მხოლოდ ის საკითხები რჩება, რომლებიც უკვე დგას დღის წესრიგში. შუამდგომლობას მათ შესახებ მეურვეობა განაახლებს როგორც კი ამ წერილში დასმულ საკითხებზე შევთანხმდებით.

2. ისე, რომ არ შეიცვალოს კუთვნილი ბეგრის გამოღების ამჟამად არსებული წესები, მთავრის ადგილ-მამულის მართვა-გამგეობისას ადგილობრივი პოლიცია, შესაბამისად ჩვენი კანონმ-

დებლობისა, უნდა გათავისუფლდეს მამულების თაობაზე შიდა გარჩევებში ჩარევის მოვალეობისაგან.

ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია, მთავრის კუთვნილ სოფლებში სასოფლო-სათემო დებულების საფუძველზე ჩატარდეს არჩევნები თანამდებობრივი პირებისა, რომლებსაც დაამტკიცებს მეურვეობა. ამასთანავე, მეურვეობისთვის აუცილებელია: **პირველი** – მინიჭებული ჰქონდეს უფლება ან სოფლის საარჩევნო შეკრებას წინასწარ დაუსახელოს ის პირები, რომლებსაც, არჩევის შემთხვევაში, მეურვეობა არ დაამტკიცებს, ხოლო რაოდენობა ასეთი პირებისა, სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად, უნდა შემოიფარგლოს სოფლის ხუთ მკვიდრამდე; ან კიდევ – ასეთი პირის არჩევის შემთხვევაში მეურვეობა მას არ დაამტკიცებს და დანიშნავს ახალ არჩევნებს. იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება არჩეული პირის გამოუსადეგრობა ან, თუ არჩეული პირი როგორც თავისი მოვალეობის შესრულებისას, ისე შიდა ადმინისტრაციასა თუ მთავრობასთან ურთიერთობისას გამოიჩინოს არაკეთილსინდისიერებასა და დაუდევრობას, მეურვეობას საკუთარი შეხედულებისამებრ უნდა შეეძლოს, ასეთი არჩეული პირი ჩამოაშოროს თანამდებობას; და **მეორე** – მეურვეობა მოვალეა, მის მიერვე დამტკიცებული პირების შესახებ აცნობოს ადგილობრივ საოლქო ხელმძღვანელობას. ამასთანავე, იმავე ხელმძღვანელობას გამოსასწორებელი სასჯელის გამოსატანად გაუგზავნოს ის პირები, რომლებიც სამეურვეო მმართველობას უცხადებენ დაუმორჩილებლობას ან უწევენ წინააღმდეგობას, ან კიდევ გამოუსწორებლად სჩადიან ბიწიერებას.

ერთადერთი შემთხვევა, როცა საერობო თუ საქალაქო პოლიციას შეუძლია მეურვეობას დაქვემდებარებულ ადამიანთა საქმეების გარჩევაში შევიდეს, ეს არის საჩივრის აღძვრა მეურვის წინააღმდეგ: რომ იგი ითხოვს ზედმეტ ბეგარას ან, როცა მეურვე არ აკმაყოფილებს სამეურვეო მმართველობას დაქვემდებარებულ თანამდებობრივ პირთა წინააღმდეგ აღძრულ მსგავს საჩივრებს. გარეშე პირებთან დავის დროს მთავრის კუთვნილი

გლეხების ინტერესებს იცავს მეურვეობა და ასეთ შემთხვევებში, ცხადია, მისი მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს საქმეთა გარჩევის საერთო წესებს.

3. ვინაიდან ნატურალური ბეგრის გამოღება მთელი ამიერკავკასიის მხარისთვის დღემდე საგანგებო მნიშვნელობის საკითხია, ერთი მხრივ, უფლების ბოროტად გამოყენების ასარიდებლად და, მეორე მხრივ, მაქსიმალური თანაზომადობის დასამკვიდრებლად საჭიროდ მიმაჩნია, თითოეულ საოლქო სამმართველოში მეურვეობას მიმაგრებული ჰყავდეს სათანადო რწმუნებით აღჭურვილი თითო პირი, რომლებსაც შესაბამისი საოლქო მმართველობა წერილობით შეატყობინებს მოთხოვნებს ოლქში მცხოვრები სამთავრო გლეხობის ყოველ საბეგრო გამოსაღებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. თავის მხრივ, ეს პირები სათანადო განკარგულებებს გასცემენ სოფლის მამასახლისთა მისამართით და ამით პოლიციას მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებენ შრომას. მეურვეობას კი თავისი ადმინისტრაციითურთ ისე, რომ შენარჩუნებული ექნება კანონიერი და აუცილებელი დამოუკიდებლობა, ხელთ ექნება სანდო ცნობები გლეხთა სამძიმო მდგომარეობის შესახებ, რათა არ დაუშვას სხვა ასეთი შემთხვევები.

რწმუნებულს მეურვეობის მხრიდან მიენოდება საჭირო რჩევა-დარიგებები აღრიცხვიანობის წარმოებისათვის და ეს რწმუნებული იქნება ადგილობრივი ხელმძღვანელობის განკარგულებაში.

აი, თქვენო აღმატებულებაჲ, მოსაზრებები, რომლებიც, ვფიქრობ, საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენს შეთანხმებულ მოქმედებებსა და, მაქვს პატივი, უმორჩილესად ვითხოვო თქვენი თანხმობა. და რაც უფრო მალე ინებებთ თანხმობის გამოცხადებას, მით უფრო მალე შევუდგები ჩემს სამეურვეო მმართველობაში წესრიგის დამყარებას“.

ამასობაში სამეგრელოს მმართველობის ცალკეულ წარმომადგენლებთან პირადმა საუბრებმა დამანახა, რომ მათს წრე-

ებში უკვე დამკვიდრებული იყო აზრი – სამეგრელოს მთავრის ნოდება ფაქტობრივად უკვე გაუქმებულია და, ამას გარდა, უმჯობესი იქნება, მთავრის ავლადიდება გადავიდეს იმ კერძო პირთა ხელში, ვინც მასზე პრეტენზიებს აცხადებს, ვიდრე იგი გარკვეული დროის შემდეგ გადაეცეს ხაზინას. ამგვარი გაუგებარი ვითარება ფრიად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სადავო საქმეების წარმოებაზე და ამიტომ 30 ივნისს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს<sup>7</sup> მივმართე (№95).

### **წარდგინება გენერალ-გუბერნატორისადმი:**

„სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულისა და შემოსავლების მდგომარეობა ამჟამად ფრიად არადამაკმაყოფილებელია:

მისი ქონებრივი უფლების დაცვის საქმეში ადგილობრივი ხელმძღვანელობის მხრიდან საერთოდ არ ჩანს ის მფარველობითი დამოკიდებულება, რომელიც აქ არმყოფი მცირეწლოვანი მთავრისადმი უმაღლესი ხელისუფლების მიერ გამოჩენილი ყურადღების შესაბამისი იქნებოდა.

არა ერთი და ორი გლეხისგან, რომლებსაც ბეგარა აქვთ დაკისრებული, მთავარს, მას შემდეგ, რაც იგი ს.-პეტერბურგში იმყოფება, არავითარი საბეგრო გამოსაღები არ შემოსვლია; სხვა გლეხების მიერაც არა მარტო გასული 1858 წლის, არამედ იმის წინა, 1856 და 1857, წლების საბეგრო ვალდებულებების უმეტესი ნაწილი შეუსრულებელია. აგრეთვე, არ არის შემოსული სხვადასხვა ისეთი – ოდენობის თვალსაზრისით წინასწარ განუსაზღვრელი – მოსაკრებლები, როგორებიცაა, მაგალითად: ტყით სარგებლობისა, საძოვრებისა, გადასასვლელებისა, თევზჭერისა და ა. შ.

თვითონ სამთავრო ადგილ-მამულის ადმინისტრაცია ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ საკუთრივ შინაურ სამეურნეო საქმეებში მისი კანონიერი და ბუნებრივი უფლებამოსილება, პო-

ლიციური ძალების უშუალო ჩარევის გამო, თითქმის პარალიზებულია.

ძირითადი წყარო ყოველივე ამისა, როგორც ახლა, აქ ჩამოსვლის შემდეგ, დავრწმუნდი, არის გაუგებრობა – რა ფორმით უნდა იქნეს დაცული მცირეწლოვანი თავადის, ნიკოლოზ დადიანის, ქონებრივი უფლებები, ინტერესები და შემოსავლები: როგორც მხოლოდ კერძო მესაკუთრისა, თუ როგორც კერძო მესაკუთრისა და მთავრისა ერთმანეთისაგან განუყოფლად?

თუ თქვენი ბრწყინვალეობა მხედველობაში მიიღებს საკუთრივ სამეგრელოს სამთავრო ოჯახთან დაკავშირებულ სამთავრობო განკარგულებებს, მაშინ ხომ არ ინებებდით და აღიარებდით, რომ მთავრის ორმაგი უფლების ერთმანეთისგან გამიჯვნა არ შეესაბამება აღნიშნული განკარგულებების სულისკვეთებასა და მიზნებს და, შესაბამისად, სამთავრო ოჯახის ქონებრივი ინტერესები თავად ნიკოლოზ დადიანის სრულწლოვანებამდე დაცული უნდა იყოს განუყოფლად, როგორც კერძო პირის, ისე სამეგრელოს მთავრის უფლებებით. ასეთი აღიარების შემთხვევაში, ხომ არ ინებებდით და ხომ არ ჩათვლიდით საჭიროდ, აღნიშნული გაუგებრობის შესახებ მათთვის, ვისაც ეს ეხება, მიგეცათ შესაბამისი რჩევები, რათა თვითონვე დაიცვან, ერთი მხრივ, ადგილობრივი ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობისაგან, ხოლო, მეორე მხრივ – მთავრის ავლადიდება გაფლანგვისა და აუნაზღაურებელი დანაკლისისაგან.

დასასრულ, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ პასუხი“.

## **გენერალ-გუბერნატორის პასუხი:**

ბ-ნმა გენერალ-გუბერნატორმა 2 ივლისს მიპასუხა (№2546):

„თქვენი აღმატებულების გასული ივნისის 30 რიცხვის წარდგინების (№95) პასუხად ბ-ნ სამეგრელოს მმართველს მივმართე წინადადებით, გასცეს შესაბამისი განკარგულება, რათა აღმოგი-

ჩინონ კანონიერი დახმარება როგორც არასრულწლოვანი მთავრის სასარგებლოდ გლახებისთვის დაკისრებული გამოსაღებისა და ბევრის მოკრებაში, ისე ტყის, საძოვრების, გადასასვლელებისა და თევზჭერის მოსაკრებლების შეგროვებაში. ამასთანავე, ჩემი მოსაზრებაც ვაცნობე იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი პოლიციის ნებისმიერი ჩარევა მეურვეობის სამეურნეო თუ ეკონომიკურ საქმეებში უადგილოა.

რის შესახებაც, მაქვს პატივი, ვაცნობო თქვენს აღმატებულებას“.

### **გენერალ კოლიუბაკინის პასუხი:**

ამის შემდეგ, 3 ივლისს, მივიღე ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილ მიმართვაზე გენერალ-მაიორ კოლიუბაკინის 1 ივლისით დათარიღებული პასუხი (№2838):

„თქვენმა აღმატებულებამ პატივი დამდო და გამომიგზავნა 7 ივნისით დათარიღებული წერილი (№32), რომელშიც გამოთქვამთ საკუთარ მოსაზრებებს მცირეწლოვანი მთავრის მამულების მართვა-გამგეობაში შესატანი ცვლილებების შესახებ; ამასთანავე, გსურთ იცოდეთ ჩემი აზრი აღნიშნულ საკითხზე. თავს მოვალედ ვთვლი, გიპასუხოთ რაც შეიძლება გულახდილად, რადგანაც მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოეფინება ნათელი თვითონ ამ საქმის არსსა და რაობას.

თქვენი აღმატებულების ვარაუდით, სამეგრელოს ამჟამად არსებული მართვა-გამგეობის პირობებში მხოლოდ ორი გამოსავალი არსებობს: ან მთავრის დაბრუნება სრულწლოვანების მიღწევამდე, ან კიდეც – მისი სამფლობელოს მიერთება სახელმწიფო ქონებისთვის. ჩემი აზრით, შეიძლება კიდეც რამდენიმე გამოსავალი ვივარაუდოთ. ასე, მაგალითად...“ [...] **[გიორგი რ. ერისთავისადმი]**“ „...როგორც ოლქის უფროსს, ეს ლამის გაუკუღმართება კანონის აზრისა და მიზნისა. რაც შეეხება ხელოსნებს, ისინი, როგორც ათისთავები, თანაშემწეობას უწევენ მამასახლისებს; მამა-

სახლისობა კი წმინდა წყლის აღმასრულებელი თანამდებობაა და მათ გარეშე არც მეურვეობა და არც პოლიცია გლახებისგან არ ითხოვს არაფერს.

*„მეურვეობისადმი მამასახლისებისა და უმაღლესი სამოქალაქო სასამართლოს დაქვემდებარება არ შეესაბამება მეურვეობის საერთო წესებს“.<sup>9</sup>*

საერთო განაწესის მიხედვით, სოფლის მამასახლისობა, როგორც ნაწილი სამეურვეო მმართველობისა, არა მარტო ექვემდებარება მეურვეობას, უშუალოდ მასზეა დამოკიდებული. მე კი მამასახლისებს ვაყენებ ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ – მხოლოდ მეურვეობის მიერ დამტკიცებულებმა – უნდა შეასრულონ როგორც პოლიციის, ისე მეურვეობის კანონიერი მოთხოვნები და დაიცვან გლახები როგორც ერთის, ისე მეორის უკანონო მოთხოვნებისგან. **რაც შეეხება უმაღლეს სამოქალაქო სასამართლოს**, გენერალ კოლიუბაკინის ნათქვამი – იგი მეურვეობას ექვემდებარებაო, მეტისმეტად გადაჭარბებულია, რადგანაც უმაღლეს სამოქალაქო სასამართლოში იგი იმავე სასოფლო სასამართლოს გულისხმობს.

განვმარტე რა ორი მოსაზრება, რომლებითაც გენერალი კოლიუბაკინი უარყოფს ჩემ მიერ განზრახული სასოფლო მმართველობის სარგებლიანობასა და კანონიერებას, გადავდივარ მის სხვა შეხედულებაზე, თითქოს სამეგრელოს მთავრის შემოსავალი შეუძლებელია აღემატებოდეს 16 345 მანეთს წელიწადში. ეს გარემოება ერთობ მნიშვნელოვანია. „საინვენტარო აღწერილობის საფუძვლიანმა განხილვამ, – წერს გენერალი კოლიუბაკინი, – აჩვენა რეალური შემოსავლებისა და აღწერილობაში მოცემული დასკვნების შეუსაბამობა“. ამ შეხედულებასთან დაკავშირებით აუცილებელია, მეხსიერებაზე დაყრდნობით განვმარტო, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზოგადად მეურვეობაში შესულ აღწერილობას მამულებისას და როგორ ხდება ამგვარი აღწერილობის შედგენა.



მეურვეობა, მის შესახებ არსებული ზოგადი კანონების მიხედვით, იცავს ადგილ-მამულს იმ სახით და იმ ფარგლებში, როგორც ეს აღწერილობაშია მოცემული: აღწერილობა არის მეურვეობის ანგარიშგებისა და პასუხისმგებლობის საფუძველი; მის შედგენას აწარმოებს მეურვე სამაზრო მეურვეობის წევრთან ერთად; აღწერილობის შედგენაში მეურვის მონაწილეობა გულისხმობს მესაკუთრის ინტერესების დაცვას; მონაწილეობა სამეურვეო საბჭოს წევრის, როგორც მთავრობის წარმომადგენლისა, გულისხმობს გარეშე ინტერესების დაცვას.

როგორ შედგა სამეგრელოს მთავრის ადგილ-მამულის აღწერილობა? ამ საქმის ვალდებულება თავის თავზე აიღო ხელისუფლებამ, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ მცირეწლოვანი მთავარი იმყოფება უმაღლესი მფარველობის ქვეშ<sup>10</sup> და, გარდა ამისა, იმის გამოც, რომ ეს იყო განსაკუთრებული შემთხვევა, როცა ქონების აღწერა-გამორკვევა სასწრაფო წესით გახდა საჭირო მანამ, სანამ მეურვეობა დაარსდებოდა.

აღწერილობის შედგენა დამეკისრა მე, როგორც მთავარ-სამმართველოს საბჭოს წევრს. აღწერილობაში ყველა დასკვნა დამყარებულია ადგილ-მამულის ნატურალურ მდგომარეობასა და ნაფიცი პირების – სოფლების თანამდებობრივ პირთა და უხუცესთა – ჩვენებებზე. ჩვენებების მიღებას ესწრებოდა მთელი კომისია, რომელიც შედგებოდა კავკასიის მეფისნაცვლის, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, სამეგრელოს მმართველისა და დაქვრივებული მმართველი დედოფლის წარმომადგენლებისგან.<sup>11</sup>

ამ სახით შედგენილი აღწერილობა გამოწვლილვით განიხილეს: ჯერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა, შემდეგ – ყოფილმა მთავარსამმართველოს საბჭომ და, დასასრულ, თვითონ კავკასიის მეფისნაცვალმა, რომელმაც, ამასთანავე, აღწერილობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი გადაწყვიტა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცა იგი მეურვეობასა და სამეგრელოს საბჭოს.<sup>12</sup>

აქვს თუ არა ამის შემდეგ სამეგრელოს მმართველს, უფლებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მიზეზი, რომ შევიდეს ამგვარი

აღწერილობის განხილვაში და იპოვოს შეუსაბამობა **რეალურ შემოსავალსა** და აღწერილობის **დასკვნებს** შორის? მე ამის წარმოდგენაც კი არ შემიძლია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იგი **შეუსაბამობას** პოულობს იქ, სადაც შეუსაბამობის პოვნა შეუძლებელია და ამასაც ახლავე ვნახავთ:

რაში მდგომარეობს, მისი აზრით, ეს შეუსაბამობა?

იმაში და მხოლოდ და მხოლოდ იმაში, რომ შემოსავლების საერთო თანხიდან, მისი აზრით, უნდა გამოირიცხოს ზოგიერთი პუნქტი.

მაინც რომელი პუნქტები უნდა გამოირიცხოს და რატომ?

ა) საქალაქო შემოსავლები, ნავების მოსაკრებელი და გარე სამუშაოზე გასვლის ბაჟი.

ამის საწინააღმდეგო არათუ არაფერი მაქვს, დარწმუნებული ვარ, არც მთავარს ექნება რაიმე საწინააღმდეგო, რადგანაც საქალაქო შემოსავლები საქალაქო პოლიციასა და ქალაქების კეთილმონყობას ხმარდება, ხოლო გარე სამუშაოზე გასვლის ბაჟი რჩება იქ, სადაც გარე სამუშაოზე გასვლის ნებართვას იძლევიან. ეს ყველაფერი მართლაც უნდა გამოირიცხოს უდავოდ და ულაპარაკოდ, და ეს იმიტომ, რომ ასე გადანყვიტა მეფისნაცვალმა. რაც შეეხება ნავების მოსაკრებელს, იგი, როგორც კერძო წარმოების შემზღუდველი გადასახდელი, მეფისნაცვლის მიერ საერთოდ გაუქმებულია, თუმცა მეურვეობას შეუძლია, შეცვალოს იგი სხვა, უფრო მართებული, ბევრით და, შესაბამისად, საჭიროა შემოსავლებში აისახოს პუნქტი, რომელიც ნავების მოსაკრებელს ჩაანაცვლებს.

ბ) საბატონო გლეხების გამოსაღები და გლეხთა პირადი სამსახურის საფასური.

17 000-დან 5498 კომლი გლეხი მთავარს უხდის გარკვეული სახის ბეგარას ზუსტად იმ საფუძველზე, რა საფუძველზეც იხდიან ბეგარას სათავადო და სააზნაურო გლეხები თავად დადიანებისა და სხვათა მამულებში და უხდიან თითქმის ყველა თავადს იმერეთსა და გურიაში. მანამ, სანამ იქაური თავადებისა და აზნაურების ქონებრივი უფლებები არ არის გამიჯნული, არ

შეიძლება თავადებს ჩამოერთვას ის შემოსავლები, რომლებიც ამჟამად არსებული კანონით მათ ეკუთვნით. შესაბამისად, სამართლიანობის ამკარა დარღვევის გარეშე ვერც სამეგრელოს მთავარს ჩამოერთმევა ამგვარი შემოსავლები. გენერალი კოლიუბაკინი უსაფუძვლოდ აცხადებს, თითქოს მე ყველა საბატონო გლეხისგან მოვითხოვდე ბეგარას. სინამდვილეში მე მოვითხოვ, როგორც ეს აღწერილობაშიცაა ნაჩვენები, ბეგარას 5498 კომლისგან, ხოლო დანარჩენი 11 047 კომლი საბატონო გლეხისგან არ მოვითხოვ არაფერს, რადგანაც საამისო უფლება მე არ გამაჩნია.

შემოსავალი 5498 კომლიდან, რომლებსაც გადახდაზე არასოდეს უთქვამთ უარი, ეკუთვნის მთავარს და უნდა შემოსდიოდეს კიდევაც და ამის შესახებ გენერალ კოლიუბაკინს ხელთა აქვს გენერალ-გუბერნატორის საფუძვლიანი განმარტებები, თუმცა იგი მაინც ამბობს – უნდა გამოირიცხოსო, თითქოს აღნიშნული განმარტებები არც არსებობდეს.

დასასრულ,

გ) იგი იმასაც ფიქრობს, რომ უნდა გამოირიცხოს მთავრის კუთვნილი გლეხებისა და მოჯალაბეებისგან შემოსული პირადი სამსახურის ღირებულება და ეს იმიტომ, რომ ისინი ამ სახის ბეგრის წესში ცვლილებას არასოდეს არ დათანხმდებიანო. და რაში გამოიხატება ეს წესი?

მაგალითად, ხელზე მოსამსახურის მიცემაში...

ვინაიდან მთავრის აქ არყოფნის პირობებში ხელზე მოსამსახურის საჭიროება მეურვეობისათვის საერთოდ არ არსებობს, თანახმად აღწერილობისა, მეურვეობა ამის სანაცვლოდ ელოდება სულზე არანაკლებ 10 მანეთის შემოსავალს წელიწადში.

იმერეთში, გურიასა და თვითონ სამეგრელოში მემამულეები პირადი სამსახურისგან გათავისუფლების სანაცვლოდ იღებენ სულზე 20-დან 35 მანეთამდე წელიწადში. ღალის ღირებულების თანხობრივი განსაზღვრა უნდა მოხდეს მეურვეობისა და გლეხების ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა

ამგვარი შეთანხმება აქამდე არ მომხდარა – გლეხებისგან ღალაჯერ არ მომითხოვია. აქამდე არც არავის უთქვამს უარი, ნატურალური ბეგარა ფულით ან, ესეც შესაძლებელია, პროდუქტით ჩანაცვლდეს. რაზეა დაფუძნებული მოსაზრება – **არასოდეს** არ დათანხმდებიანო? ხომ არ მისცემს ეს მათ საფუძველს, მართლაც არ დათანხმდნენ არავითარ გარიგებას და განა ასე უნდა უწყობდეს ხელს ადგილობრივი ხელმძღვანელობა მთავრის კანონიერ უფლებათა დაცვას? ამაზე პასუხს მე ვერ ვიკისრებ.

ჩამოაჭრის რა ამ სახით მთავრის 80 000 მან. შემოსავლიდან 64 000-ს, გენერალი კოლიუბაკინი წერს, რომ მთავრის მეუღლე დადიანს დარჩენილ 16 000 მანეთზე მეტის მიღების იმედი არ უნდა ჰქონდესო.

დავუშვათ, აღნიშნულ რიცხვებთან დაკავშირებით ის მართალია, მაგრამ ნუთუ მთავრის მეუღლე დადიანს ან მცირეწლოვან მთავარს არ უნდა ჰქონდეთ იმედი იმ შემოსავლებისა, რომელთა თანხობრივი ოდენობა 1857 წლის აღწერილობაში წინასწარ არ არის განსაზღვრული, თუმცა აღწერილობაშიც და თანდართულ ტაბელშიც არის მითითებული: ტყით სარგებლობისა, საძოვრებისა, გადასასვლელებისა და ა. შ.?

აღარც ვიცი, საერთოდ ღირს კი დავა-კამათი გენერალ კოლიუბაკინის მიერ წარმოდგენილი დასკვნების შესახებ?

კიდევ უფრო ნაკლებ საჭიროებას ვხედავ, შვეიდე იმის განხილვაში, თუ რას წერს იგი საკუთრივ ჩემ შესახებ.

მხოლოდ ორ საკითხზე არ შემიძლია გაჩუმება:

1. მაქვს რა პატივი, ვიყო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი, არათუ საჯარო საქმეებში, არამედ შინაურ ცხოვრებაშიც არ უნდა მავინყდებოდეს, რომ ყოველი ჩემი მოქმედება და საქციელი ჩემივე ოფიციალური ნოდების ღირსებასა და მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. რაც შეეხება ჩემი, როგორც სახელმწიფო პირის, თვისებებს, რომლებიც თითქოს სამეგრელოში გამოვავლინე, ჩემი ყოველი მოქმედება დანვრილებითაა ცნობილი ხელმძღვანელობისათვის და მსჯავრის დადებაც მხოლოდ იმავე ხელმძღვანელობის საქმეა; და

2. რასაც გენერალი კოლიუბაკინი გლეს ჩიხლაძეზე თვითონვე წერს, ჩემი მხრიდან დამატებითი მტკიცებულების წარმოდგენა არც არის საჭირო იმის ნათელსაყოფად, რომ ოლქის ხელმძღვანელობა სამეგრელოში აჭარბებს თავის უფლებამოსილებას. თუკი სოფლის მამასახლისი არჩეულია საზოგადოების მიერ, ოლქის უფროსს<sup>13</sup> საკუთარი შეხედულებისამებრ მისი სხვა პირით ჩანაცვლების უფლება არა აქვს.

თუ ჩიხლაძეს, როგორც მამასახლისს, მექრთამეობაში ედება ბრალი, ამას მარტოოდენ სხვა პირით ჩანაცვლება კი არა, მისი გადაყენება და სამართალში მიცემა უნდა მოჰყოლოდა. მე ბოროზდინს ჩიხლაძის მექრთამეობაზე კი არა, სხვა გარემოებაზე მივუთითე; კერძოდ, იმაზე, რომ ჩიხლაძემ თავისი საქციელით მხოლოდ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების უცოდინარობა გამოავლინა – იგი ფიქრობდა, რომ, თუ ვინმესგან ვინმეს კერძო ვალს ამოიღებდა, გარკვეული პროცენტის თავის სასარგებლოდ აღების უფლება ჰქონდა. ეს არის მხოლოდ გაუგებრობა და არავითარი მექრთამეობა აქ არ არის. საზოგადოებამ იგი თავის მამასახლისად კიდევ ერთხელ აირჩია და მე არ შემეძლო საზოგადოების ნების წინააღმდეგ წავსულიყავი.

7 ნოემბერი 1859 წლისა.

## 105. ალექსი კრუზენშტერნისადმი

და ნ ა რ თ ი 5

ა ს ლ ი

გენერალ-მაიორი კოლიუბაკინი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისთვის<sup>1</sup> გაგზავნილ თავის ნ სექტემბრის წარდგი-

ნებაში (№2432) სამთავრო სოფლების მართვა-გამგეობაში შემოსალები წესწყობილების წინააღმდეგ აღდგა.

პირველ რიგში ვიტყვი, თუ რაში მდგომარეობს არსი ამ წესწყობილებისა.

საერთო კანონის მიხედვით, საბატონო სოფლებში, იქაც კი, რომლებიც ვალდებული გლესებით არის დასახლებული,<sup>2</sup> თანამდებობრივ პირთა დანიშვნა უშუალოდ მემამულეზეა დამოკიდებული.

სამეგრელოში, მმართველობის დებულებიდან გამომდინარე, სოფლის მამასახლისები და გამოსალების ამკრებები უნდა აირჩიოს საზოგადოებამ და დაამტკიცოს ოლქის ხელმძღვანელობამ.

ამ დებულების გამოცემის დროს მთავრის ადგილ-მამულის მეურვეობა ჯერ კიდევ არ იყო დაარსებული. უმაღლესი განკარგულება მისი დაარსების შესახებ მხოლოდ 1859 წელს გამოიცა. ახალდაარსებულმა მეურვეობამ 1859 წელს სამთავრო გლესებით დასახლებულ ვერც ერთ სოფელში ვერ იპოვა ვერც ერთი მამასახლისი, რომელიც საზოგადოების მიერ იყო არჩეული. ისინი ინიშნებოდნენ და იცვლებოდნენ ოლქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. გამოსალების ამკრებნი საერთოდ არ არსებობდნენ. უფრო მეტიც, გარდა მამასახლისებისა, მათგან დამოუკიდებლად დანიშნულნი იყვნენ მოურავებიც.

მეურვეობის შესახებ 1859 წელს შემოღებული წესები 1857 წლის დებულების მოთხოვნებისთვის რომ შემეხამებინა, განვიზრახე, საზოგადოებისთვის შემენარჩუნებინა თანამდებობრივი პირების არჩევის უფლება, ოღონდ მეურვეობის უწყებაში შემავალ სოფლებში არჩეული პირი უკვე მეურვეობასვე უნდა დაემტკიცებინა. არჩეულ პირთა მოვალეობების განსაზღვრისას იოტისოდენაც კი არ მომხდარა საერთო კანონებიდან გადახვევა და, ამასთანავე, სრულად ნარჩუნდებოდა სოფლებში მშვიდობიანობისა და კეთილდღეობისთვის საჭირო ღონისძიებები. სწორედ ამას ემსახურებოდა განზრახვა სოფლის მოსამართლეების არჩევისა, რათა მათ განეხილათ მათსავე ამომრ-

ჩვეელი საზოგადოების წევრებს შორის წარმოშობილი დავები და უთანხმოებანი.

განზრახული მქონდა, მთავრის მეურნეობის მართვა-გამგეობა სოფლებში დანიშნული თანამდებობის პირებისგან სავსებით დამოუკიდებლად ამეწყო.

მოურავთა არსებობა მე საერთოდ დაუშვებლად მიმაჩნია.

შემომქონდა ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, აღვადგენდი რა სამთავრო სოფლებში მართვა-გამგეობის 1857 წლის კანონით განსაზღვრულ წესებს, შეჯერებულსა და შეთანხმებულს 1859 წლის კანონთან, მეურვეობა ამით აღნიშნულ სოფლებში პოლიციის ხელმძღვანელობის მოთხოვნათა შეუჩერებელ აღსრულებასა და იმავე სოფლებში მყუდრო და უშფოთველი გარემოს დამკვიდრებას კისრულობდა.

მაგრამ გენერალი კოლიუბაკინი აღდგა ამ გეგმის წინააღმდეგ.

წარმოგიდგინებ თანამიმდევრულ ახსნა-განმარტებებს იმ დასკვნების წინააღმდეგ, რომლებითაც გენერალი კოლიუბაკინი ცდილობს წარმოაჩინოს, რომ ჩემი გეგმა არც კანონიერი და არც – სარგებლობის მომტანი.

„სამეგრელოში საიმპერატორო მმართველობის შემოღებისას, და მანამდეც, პოლიციას, აგრეთვე, მთავრისა და სხვა მემამულეთა სამეურნეო მმართველობებს სოფლებში თავ-თავიანთი ავენტები ჰყავდათ“.

ამ მცირე მონაკვეთში მოცემულია ჩვენ შორის ჩამოვარდნილი გაუგებრობისა და უთანხმოების სათავე. მას მიაჩნია, რომ სამეგრელოში საიმპერატორო მმართველობა შემოღებულ იქნა 1857 წელს და ამით გაუქმდა მანამდე არსებული წესწყობილება. მე კი ვფიქრობ, რომ ეს მოხდა 1804 წელს და მას შემდეგ სამეგრელოს წესწყობილებაში არავითარი ძირეული ხასიათის ცვლილება არ მომხდარა. შესაძლოა, მე ვცდები, მაგრამ აი, რის საფუძველზე ვამბობ იმას, რასაც ვამბობ:

1804 წელს სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ამით მან თავის თავზე აიღო ვალდებულება, საკუთარი ხალხი საიმპერატორო მმართველობის სულისკვეთებით ემართა. მან შეინარჩუნა სამეგრელოზე, როგორც საკუთარ სამფლობელოზე, უმაღლესი სამოქალაქო უფლება, თუმცა დათმო დამოუკიდებელი მთავრისთვის დამახასიათებელი უფლებები: უფლება საგარეო ურთიერთობებისა, უფლება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და, აქედან მოკიდებული, მისი მემკვიდრეები მთავრის უფლებამოსილების განხორციელებას უმაღლესად დამტკიცების საფუძველზე იწყებდნენ.

რა მოხდა 1857 წელს?

პირი, რომელსაც მთავრის ტიტული ჰქონდა დამტკიცებული, 1857 წელს 10 წლისა იყო. ამის გამო სამეგრელოს მართავდა მისი დედა,<sup>3</sup> ასევე უმაღლესად დაწესებულ საბჭოსთან ერთად.<sup>4</sup> 1857 წელს იქ მოხდა არეულობა,<sup>5</sup> რომლის საბაზი თუ მიზეზები, მგონი, ჯერ კიდევ არ არის განხილული და გამორკვეული. ამ შემთხვევის გამო მმართველი დედოფალი შვილებითურთ ს.-პეტერბურგში გაიწვიეს, საბჭო კი გარდაქმნეს: შეცვალეს შემადგენლობა, მართვა-გამგეობის წესი, თუმცა მთავრის სრულწლოვანებამდე, ანუ, სანამ მას 20 წელი არ შესრულდებოდა, ამ ახალ საბჭოს ადგილობრივი კანონებითა და ადათ-წესებით უნდა ეხელმძღვანელა.

შესაბამისად, 1857 წელს არ მომხდარა შეზღუდვა 1804 წლიდან არსებული რომელიმე სამთავრო უფლებისა და არც ნოდებათა ურთიერთობის რაიმე წესი შეცვლილა.

აი, მიზეზები, რომელთა გამოც არ მესმის, რა მიზნით ან ვისი დადანაშაულების გზით უნდა ვამტკიცოთ, რომ სამეგრელოში რუსული საიმპერატორო მმართველობა მხოლოდ ახლახან, 1857 წელს, იქნა შემოღებული. თუკი ჩვენ არ გვესმის ფაქტების ჭეშმარიტი რაობა და ამიტომ ისინი საკუთარ სურვილებს უნდა მოვარგოთ, მაშინ უმჯობესი იქნება, ეს ფაქტები დამატებითი ახსნა-განმარტებების გარეშე ისეთივე პირდაპირ-



რობით მივიღოთ, როგორი პირდაპირობაც მუდმივი სახელმძღვანელო პრინციპია ჩვენი მთავრობისა. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, გენერალ კოლიუბაკინსა და ჩემ შორის არსებულ უთანხმოებას სწორედ ეს უდევს საფუძვლად: მას არ შეუძლია დაეთანხმოს აზრს, რომ სამეგრელოს ამჟამინდელი მართვა-გამგეობა დაარსებულია მთავრის მცირეწლოვანების გამო, ეს მართვა-გამგეობა დროებითია და, ამდენად, მთავარი კერძო პირი არ არის, მას არ დაუკარგავს არც ერთი უფლება, გარდა იმ უფლებებისა, რომელთა განხორციელება სწორედ მცირეწლოვანების გამო არ შეუძლია; კერძოდ: არ შეუძლია მართოს საკუთარი სამფლობელო და არ შეუძლია განკარგოს საკუთარი ქონება. ამის სანაცვლოდ მის საგამგებლოს ჩვენი ხაზინა ინახავს, მისი შემოსავლები სრულადაა შენარჩუნებული და, ამას გარდა, ხელმწიფის სიუხვეთაგან გამოყოფილია სპეციალური ხარჯი მისი ოჯახის შესანახად. სხვა რა უნდა დავინახოთ ამ ფაქტში, გარდა ჭეშმარიტი დიდსულოვნებისა და გამახვილებული ყურადღებისა დადიანის ოჯახის დამსახურების მიმართ?

რაც შეეხება იმას, რომ ადრე, ერთი მხრივ, პოლიციასა და, მეორე მხრივ, მთავარს თავ-თავიანთი აგენტები ჰყავდათ, მთავარი მაშინ თვითონ განაგებდა სამეგრელოს და, შეუძლებელია, მისდამი დაქვემდებარებული თავადაზნაურობის სოფლებში მას თავისი აგენტები არ ჰყოლოდა – გარდა საზოგადოებრივი წესრიგისა, მას ამ სოფლებში თავისი ფინანსური ინტერესებიც უნდა დაეცვა. მის უშუალო მფლობელობაში არსებულ სოფლებში სხვას ვის შეიძლებოდა ჰყოლოდა აგენტები, თუ არა მთავარს, რომელიც თვითონ ფლობდა ძალაუფლებას და მოზიარეც არავინ ჰყავდა? სულ სხვა საკითხია: უნდა ექვემდებარებოდეს თუ არა ამჟამად მეურვეობა პოლიციურ მეთვალყურეობას? დიახ! და დაექვემდებარება კიდევაც, თუმცა სამთავრო სოფლების მართვა-გამგეობასა და შინაურ წესწყობილებაში პოლიციას არაფერი ესაქმება. შინაურ საქმეებში პოლიციის ჩარევა საზიანოა თვითონ პოლიციისთვის,

სოფლის მოსახლეობისთვის, მეურნეობისთვის, საერთო წეს-რიგისთვის იმ შემთხვევაშიც კი, თითოეული ჩინოსანი პოლიციისა განსაკუთრებული უმნიშვნელობითაც რომ იყოს გამოჩეული. იქ, სადაც მეურვეობა არსდება, იმიტომ არსდება, რომ პოლიციის უშუალო ჩარევისგან იყვნენ დაცულნი.

„ყიფიანის განზრახვლებით, სამეურნეო საქმეები სოფლის მამასახლისებმა უნდა მართონ“.

ეს სიტყვები მაფიქრებინებს, რომ ჩემ მიერ განზრახული სასოფლო მართვა-გამგეობის წესი, მოწონებული გენერალ-გუბერნატორის მიერ, გენერალ კოლიუბაკინის აღქმით, საკმარისი სიცხადით არა მაქვს გადმოცემული. ამიტომ აქვე ვიტყვი, რომ არასოდეს მიფიქრია, მეურნეობის მართვა-გამგეობა სოფლის მამასახლისებისთვის დამევალებინა და, რასაკვირველია, არც არასოდეს ვიზამ ამას. მემამულის მეურნეობა მის მიერვე არჩეულმა პირმა უნდა მართოს.

„მემამულეს არ ეკისრება არავითარი პასუხისმგებლობა, თუ იგი გასცემს ისეთ განკარგულებას, რომელიც შეიძლება პოლიციის განკარგულებებს ეწინააღმდეგებოდეს“.

თუ პოლიცია თავისი კანონიერი უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს, არავის შეუძლია, მას წინააღმდეგობა გაუწიოს.

„სამეგრელოში მემამულეებს თავიანთ მამულეებში არასოდეს ჰქონიათ მემკვიდრეობითი პოლიციური უფლებები და მათ არ ეკისრებოდათ არავითარი ვალდებულება გლეხების წინაშე. ისინი მხოლოდ დაწესებულ ბეგარას კრებდნენ“.

ამ აზრის გამართლება არც კანონის მიხედვით შეიძლება და არც – ადათ-წესებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი წარსულის

რომელიმე შემთხვევა შექმნის ამგვარი შეხედულების საფუძველს, იქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მხოლოდ უნესრიგობასა და უსამართლობას წარმოეშვა. შეუძლებელი, არაბუნებრივი იქნებოდა, რომელიმე ფენას სხვა ფენის სასარგებლოდ დაკისრებული ჰქონოდა რაიმე ვალდებულება საპასუხო ვალდებულების გარეშე. სამეგრელოში გლეხი ბეგარას იხდის პროდუქტით; თუ პროდუქტი არა აქვს – ფულით; თუ ფული არა აქვს: ვერ შეძლო მისი გამომუშაება, შეემთხვა უბედურება, ავადმყოფობა, სიკვდილი, ხანძარი, მოუსავლიანობა – ნუთუ მას არსაიდან არა აქვს შეწყალება? პირიქით, სწორედ სამეგრელოში, სწორედ სამთავრო სოფლებში მემამულესა და გლეხებს შორის არის ისეთი ფილანთროპიული ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც მოწონების ღირსი იქნებოდა უფრო ცივილიზებულ საზოგადოებებშიც კი. ჯერ ფაქტების ცოდნაა საჭირო და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ვმსჯელობდეთ საქმეზე.

„ყიფიანს შემოაქვს სასამართლო, რომელიც არც არანაირ კონტროლს არ დაექვემდებარება და მემამულეებს არც არასოდეს ჰქონიათ უფლება ასეთი სასამართლოსი“.

**პირველი:** მე შემომაქვს სასამართლო, რომელიც მომრიგებლურ სანყისებზეა დაფუძნებული და, ამდენად, სავსებით კანონიერია. ხელმძღვანელობა ასეთი სასამართლოს არსებობას კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, არამედ ხელს უნდა უწყობდეს. სასამართლოს დანიშნულებაა, ისწრაფოდეს საერთო მშვიდობიანობის დამყარებისაკენ და სწორედ ასეთი – საკუთარი და შინაურული – სასამართლოა საფუძველი მშვიდობიანობის დამკვიდრებისა.

**მეორე:** როცა ჩემი ორი გლეხი დაობს ქათამზე, თხაზე, ძროხაზე ან, დავუშვათ, მიწის ნაკვეთზე, ან კიდევ – როცა ერთმა დაჩაგრა მეორე, სხვა ვინ უნდა იყოს უშუალო და ყოვლად

მიუტკერძოებელი მომრიგებელი და მოსამართლე, თუ არა მე? როცა მე მათ ვაძლევ სასამართლოს, მათ მიერვე ამორჩეულსა და შედგენილს, განა შეიძლება, ამის გამო გმობის ღირსი ვიყო? მით უმეტეს, რომ ამასაც ვამბობ: უკმაყოფილო პირს შეუძლია თვითონ ჩემ წინააღმდეგ აღძრას საჩივარი **ზემდგომი** ხელმძღვანელობის წინაშე. თუკი მთელს ოლქში მთელი მოსახლეობის ნებისმიერი საქმის მოსამართლე მაინცადამაინც და მხოლოდ და მხოლოდ ოლქის უფროსი უნდა იყოს, მაშინ უმეტეს შემთხვევაში სამართალი ვერ იქნება მიღწეული, რადგან ეს **შეუძლებელია**.

„მთავრის მეუღლე დადიანისა და მეურვის სამეგრელოში არყოფნის პირობებში ადგილ-მამულის მმართველებად **შეიქნებიან** არა ყველაზე პატივსაცემი და ღირსეული პირები, არამედ ისინი, რომელთა მიზეზითაც ამბოხება მოხდა“.

ძნელია თქმა, მომავალში რა იქნება, თუმცა გენერალმა კოლიუბაკინმა შეუძლებელია იცოდეს, თუ ვინ იქნებიან ჩემ მიერ შერჩეული რწმუნებულები, რომლებმაც საკუთრივ მთავრის მეურნეობა უნდა **განავონ** – ამის შესახებ ჩვენ შორის ერთი სიტყვაც კი არ თქმულა. თუმცა ვაპირებ, ჩემ მიერ შერჩეული რწმუნებულები სწორედაც რომ დიდად პატივსაცემი პირები იყვნენ. ხოლო იმისათვის, რომ მათ შორის არ მოხვდნენ ისინი, რომელთა მიზეზითაც ამბოხება მოხდა, ვალიარებ: გარდა ორი-სამი პირისა, რომლებიც არეულობებში მონაწილეობას არც მაღავენ, სხვას ასეთს არავის ვიცნობ. იმ ორ-სამ პირს კი, ამის თავდებობა წინასწარვე მომიცია, ჩემი ნდობა ვერ ექნება, ხოლო იმათი ვინაობა, ვისაც არ ვიცნობ, მხოლოდ უნდა დამისახელონ.

„მეურვეობა მინდობილობას **გადასცემს** დაქირავებულ პირებს და ამით იგი გლეხების ხარჯზე დამლუპველი გამორჩენის წყაროდ გადაიქცევა“.

ვისაც მეურვეობა მინდობილობას გადასცემს, მათზე პასუხისმგებლობასაც თვითონ აიღებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ისინი დაქირავებული პირები არ იქნებიან. რაც შეეხება აგენტების მხრიდან გლეხების ხარჯზე გამორჩენას, მე სწორედ ამის წინააღმდეგ ვარ აღმდგარი – სხვა ზომებს შორის ოფიციალურად ვთხოვე გენერალ კოლიუბაკინს, მომაშოროს მოურავები, რომლებიც ტვირთად აწვებიან გლეხებს, ყოველ შემთხვევაში, სამთავრო სოფლებში მაინც, თუმცა პასუხი ჯერ არ მიმიღია. ისეთ პირებთან დაკავშირებით, როგორცაა, მაგალითად, თავადი არჩილ დადიანი, არც გასამრჯელოს მიცემის საჭიროება, არც გლეხების ხარჯზე გამორჩენის საფრთხე არ არსებობს. სამეგრელოს უმაღლეს ნოდებაში მრავლად არიან ისეთები, რომლებიც ნდობასაც იმსახურებენ და – ყურადღებასაც. ისინი ვალდებულნიც არიან, ემსახურონ საკუთარ მთავარს. მე სწორედ ისეთი პირები მყავს მხედველობაში, რომლებიც თავ-თავიანთი მამულების მეზობლად სიამოვნებით იკისრებენ მთავრის ადგილ-მამულის მართვა-გამგეობას და ამის სანაცვლოდ არც გასამრჯელოს მოითხოვენ და არც – სამთავრო გლეხებზე რაიმე უფლებას.

„გლეხების მდგომარეობას ვერაფრით ვერ გააუმჯობესებს ის, რომ დაცვის ღონისძიებების ძებნა მათ მოუწევთ ტფილისში ყოფიანთან ან პეტერბურგში მის უგანათლებულესობა მთავრის მეუღლესთან“.

გლეხების მდგომარეობა მაშინ გაუმჯობესდება, როცა მათ სასამართლო შინ, საკუთარ სახლში, ექნებათ. ამჟამად მათ ეს **არა აქვთ**. დაცვის ღონისძიებების ძებნას ტფილისში ან პეტერბურგში, რასაკვირველია, დაიწყებენ ისინი, რომლებსაც ამის საშუალება უფრო ახლოს არ ექნებათ. ამჟამად გლეხები დაუცველნი არიან და, კანონზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გრძნობა კაცთმოყვარეობისა მოითხოვს, ისინი როგორმე პოლიციის აგენტების თვითნებობისა და ძალმომრე-

ობისგან დავიხსნათ. თვითნებობა და ძალმომრეობა სამთავრო სოფლებში მე ვიხილე 1857 წელს და კვლავ ვიხილე ახლა, 1859 წელს. ამიტომაც პირდაპირ ვაცხადებ – ამჟამად გლეხები **დაუცველნი** არიან და საამისო ფაქტები, სამწუხაროდ, მრავლად მაქვს.

„ყიფიანის პროექტი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის სამეგრელოს მართვა-გამგეობის შესახებ დებულების მე-18 მუხლთან, მთლიანად გააუქმებს საოლქო ხელმძღვანელობის უწყებათა მიერ აღძრულ ყველა სარჩელს სამოქალაქო საქმეებზე და, ამას გარდა, **ხელოსნები**<sup>6</sup> დგებიან სამეურნეო მმართველობისა და არა პოლიციის სამსახურში. ეს კი უკვე 22-ე მუხლთან მოდის წინააღმდეგობაში“.

თუკი მეურვეობისადმი დაქვემდებარებულ გლეხობაში საკუთრივ მათ შორის წარმოშობილი დავებისა და უთანხმოებების გასარჩევად სასამართლოს შემოვიღებთ, ამით საოლქო ხელმძღვანელობის უწყებებს ჩამოერთმევა სამოქალაქო საქმეებზე აღძრული ყველა სარჩელი და ეს, რასაკვირველია, წინააღმდეგობაში მოდის მითითებულ მუხლთან. არავის რომ არ შეეძლოს მეზობელთან დავისა თუ უთანხმოების სხვაგვარად გარჩევა...“ [...]

[**მიხილ კოლიუბაკინი**]: „...რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ მთავარი ნებაყოფლობით დათმობს მთავრის წოდებას და ამით მხოლოდ და მხოლოდ კერძო მეზატონედ გადაიქცევა?“

მაგრამ, ასეა თუ ისე, ყველა ეს მოსალოდნელი შედეგი არასოდეს არ განსაზღვრავდა სამეგრელოს რუსული მმართველობის არც მოქმედებებსა და არც – საშუალებებს. ამგვარი მმართველობა შემოღებულ იქნა ერთადერთი, მტკიცე და განუხრელი, მიზნით – საზოგადოებრივი კეთილმოწყობის უზრუნველყოფისა და კერძო ინტერესების საიმედო დაცვისათვის.

განზრახულება, რომ, ვინაიდან შესაძლებელია, მთავრის საკუთრება დროთა განმავლობაში გადაეცეს სახელმწიფოს, როგორც ამას თქვენი აღმატებულება ფიქრობს, და ამიტომ ახლავე უნდა დავინწყოთ მისი დაცვა იმ წესით, რა წესითაც სახაზინო ქონებაა დაცული, მე ნაადრევად მიმაჩნია. მცირეწლოვანი მთავრის ქონება დაცულია ყოველი ისეთი კანონიერი საშუალებით, როგორი საშუალებებითაც ნებისმიერი სახის კერძო ქონების დაცვა ხდება. ამაზე მეტად მთავრის ქონების დაცვის საქმეში სამეგრელოს მმართველობის ჩარევა ვერ მოხერხდება მთავრის უფლებების შეზღუდვის გარეშე; იმ მთავრისა, რომლის სრულუფლებიანი წარმომადგენელიც მეურვეობაა. საკუთრივ მეურვეობის მოქმედებებზე ისევე, როგორც ნებისმიერი კერძო მესაკუთრის შემთხვევაში, არის დამოკიდებული ქონების დაცვა-შენახვა. ამიტომაც სწორედ მეურვეობას, რომელსაც მთავრის ქონების მართვაში სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული, უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა ამ ქონების გაფლანგვა-განიაგების შემთხვევაში. თავის მხრივ, სამეგრელოს მმართველობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ აიღებს პასუხისმგებლობასა და არ მიიღებს საყვედურებს მეურვეობის სამეურნეო საქმიანოს გამო.

ვერ დავეთანხმები აგრეთვე თქვენი აღმატებულების მოსაზრებებს მთავრის სასოფლო მამულების მართვის საქმეში განზრახული რეფორმების თაობაზე. მეურვეობისათვის არჩევნებზე გავლენის უფლების მინიჭება, სამთავრო სოფლებში დამტკიცება ან დათხოვნა სასოფლო-საპოლიციო მოხელეებისა და ამის შემდეგ მთავრის მამულების შინაური საქმეების გარჩევის პასუხისმგებლობისგან ადგილობრივი პოლიციის გათავისუფლება, ამგვარი პასუხისმგებლობის მეურვეობის მიერ არჩეული თანამდებობრივი პირებისთვის გადაბარება – ეს ყველაფერი, ჯერ ერთი, სრულიად საწინააღმდეგო იქნება სამეგრელოს მართვა-გამგეობის შესახებ უმაღლესად დამტკიცებულ დებულებისა და, მეორე მხრივ – არაბუნებრივი სამეგრელოს გლეხობის რეალური ყოფითი მდგომარეობისათვის. სამეგრელოში მემამულეები არასოდეს არ

აერთიანებდნენ მემამულურ და საპოლიციო უფლებებს და მათ არასოდეს არ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, დაეკავშირებინათ ეს უფლებები გლეხობის ზნეობრივ მდგომარეობასა და კეთილდღეობასთან. გლეხის მოვალეობა ის იყო, გადაეხადა მისთვის იმ დროისთვის დაკისრებული გამოსაღები და ბეგარა და ამის შემდეგ ის ცხოვრობდა თავისი ბატონისაგან სრულიად განკერძოებულად. თანახმად ყოველივე ამისა, სამთავრო სოფლებში მეურნეობასთან დაკავშირებული თანამდებობრივი პირების მოქმედებები მხოლოდ გამოსაღების აკრეფითა და სამუშაოებზე განწესებით შემოიფარგლებოდა.

ამ პირთა თვითნებობა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გახდა უპირველესი მიზეზი სამეგრელოში ამასწინანდელი არეულობის დაწყებისა. ამიტომაც ამ მხარეში საზოგადოებრივი მშვიდობის აღდგენისათვის აუცილებელი გახდა, მათ მოქმედებებზე მეთვალყურეობა ადგილობრივ პოლიციურ ხელმძღვანელობას მინდობოდა. ხალხმაც სული მოითქვა, როცა დაინახა, რომ მასა და თანამდებობრივ პირთა შორის შუამავლად ადგილობრივი პოლიცია დგას. მე ვერ ვხედავ ვერავითარ საბაბს, საქმეთა გარჩევის უფლება ჩამოვართვა პოლიციას და გადავცე იგი მთავრის მამულების მმართველობის მიერ არჩეულ პირებს, ამით კი ხალხს ნავართვა კანონით მინიჭებული უფლება დაცვისა. სამეგრელოში საპოლიციო ძალაუფლებისა და მემამულური უფლებების გაერთიანება ნიშნავს იმას, რომ დიამეტრულად უნდა შეიცვალოს წოდებრივ ფენათა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობები, ხოლო გლეხთა ფენა კიდევ უფრო დამოკიდებული გახდეს.

რაც შეეხება ნატურალური ბეგრის გადახდას, საკითხი თანაბრად ეხება როგორც სამთავრო, ისე სამეგრელოს სხვა გლეხებსაც და, მართალია, ამ მხრივ დღესდღეობით მართლაც არ არის სახარბიელო მდგომარეობა, მაგრამ სამეგრელოს მმართველობას გადანყვეტილი აქვს, კამერალური აღწერის შემდეგ შეძლებისდაგვარად დაამკვიდროს ამ სახის ბეგრის გამათანაბრებელი ფორმა; სხვათა შორის, უკვე მოძებნილია ზომები საქმის უალრ-



სად წარმატებული მოგვარებისათვის. ამ ზომების შესახებ უმოკლეს ხანში სახელმძღვანელოდ ვაცნობებთ მცირეწლოვანი მთავრის ადგილ-მამულის მეურვეობას.

აი, ყველაფერი, რაც შეიძლება ვაცნობო თქვენს აღმატებულებას მთავრის ადგილ-მამულის მართვა-გამგეობაში თქვენ მიერ განზრახული რეფორმების შესახებ. აქვე დავსძენ – მეურვეობას შეუძლია ყოველთვის იქონიოს იმედი, რომ სამეგრელოს მმართველობა თანაბრად შეუწყობს ხელს როგორც მთავრის, ისე ყველა კერძო პირის ინტერესების დაცვას“.

## **ყიფიანის კერძო წერილი კოლიუბაკინისადმი**

4 ივლისს გენერალ კოლიუბაკინს გორდიდან კერძო წერილით მივმართე:

„გუშინ, ძვირფასო მიხეილ პეტრეს ძე, ჩემი წერილის პასუხად შენი ქალაქები მივიღე. ცხადია, გრძნობა მეგობრობისა ყოველთვის თავს დაბლა უნდა ხრიდეს სამსახურებრივ მოვალეობათა წინაშე. ჩემი გრძნობაც თავდახრილია, მაგრამ მანამ, სანამ სამსახურებრივ მიმართულებას დავადგებოდეთ, ნება მომეცი, მიხეილ პეტრეს ძე, დაგელაპარაკო მეგობრულად, ახლობლურად, შინაურულად.

შენი ა. თ. 1 და 2 რიცხვების პასუხებში გამოთქმულია იმისგან დიამეტრულად განსხვავებული აზრი, რასაც ივნისის დამდეგს ჩემთან პირადი ურთიერთობისას გამოხატავდი. მეჩვენება, რომ ის აზრი მეტი პირდაპირობითაც იყო ნათქვამი და საქმესთანაც უფრო ახლოს იდგა. ახლა კი გსურს, მეურვეობა მხოლოდ გამოსაღების ამკრეფად გადააქციო. მშვენიერია, მაგრამ გამოსაღები ვისი ხელით, ვისი მეშვეობით უნდა აიკრიფოს? საერთოდ, საჭიროა თუ არა ამისათვის მეურვეობა? გამოსაღების ამკრეფნი თქვენ ხომ ისედაც მოგეპოვებათ?

გეტყვი იმგვარივე პირდაპირობით, როგორ პირდაპირობასაც შენდამი გულწრფელი კეთილგანწყობა მიკარნახებს – შენი პასუ-

ხები იმაზე უფრო კატეგორიულია, ვიდრე მე ამას ვიფიქრებდი. აქაურ თანამდებობრივ პირთა წრეში მე ვხედავდი გაუგებრობას, რომლისგანაც სამთავრო მეურნეობის სავალალო მდგომარეობა მომდინარეობს. ვიფიქრე, რომ სამსახურებრივი ხაზით ამ გაუგებრობის გაფანტვა თქვენცა და ჩვენც მძიმე მდგომარეობიდან გამოგვიყვანდა და, ვინაიდან ეს ყველაფერი თქვენი მხარის უფლებამოსილებას აღემატება, თავად გიორგი რომანის ძეს მივმართე.<sup>8</sup> მის წერილობით პასუხს (№2546), რომელიც გიორგი რომანის ძემ შენთვის გადმოსაცემად გამომიგზავნა, ამასთან გაახლებ. თუ იგი აზრს არ შეგაცვლევინებს, შემატყობინე ამის შესახებ თუნდაც კერძო წერილის სახით, რათა გამათავისუფლო დროის ფლანგვისაგან – ისედაც თვეზე მეტია დაკარგული. მირჩიე მეგობრულად: როგორ მოვიქცე? უნდა დამეთანხმო – არ არსებობს არავითარი საჭიროება და წესიც არ არის, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი აქ დადიანის გამოსაღების ამკრეფად იმყოფებოდეს. გემუდარები პასუხს და დაველოდები მას მთელი კვირის განმავლობაში.

მიუხედავად ჩვენ შორის ჩამოვარდნილი ოფიციალური უთანხმოებისა, ვშთები შენს გულწრფელ პატივისმცემლად და ჩვენი აღრინდელი კერძო ურთიერთობის დაურღვევლობის მოსურნედ“.

## **კოლიუბაკინის კერძო პასუხი**

ამაზე გენერალმა კოლიუბაკინმა ზუგდიდიდან 11 ივლისის კერძო წერილითვე მიპასუხა:

„შენი 4 რიცხვით გამოგზავნილი ულტიმატუმი, ძვირფასო დიმიტრი ივანეს ძე, მხოლოდ 8-ში მივიღე.

ჩემი პასუხია უმორჩილესი და უაღრესად მეგობრული თხოვნა, ყველა სადავო საკითხის გადანყვეტა ოფიციალური გზებით სცადოთ.

აზრთა სხვადასხვაობა ჩვენ შორის იმდენად დიდია, რომ აუცილებელი ხდება ხელმძღვანელობის შუამავლობა. ყოველ შემთხვე-

ვაში, ოფიციალური გადაწყვეტილებების გარეშე არაფერი გამოგვივა.

მიუხედავად სამსახურებრივ საქმეებთან დაკავშირებული უთანხმოებისა, მე ვერ ვხედავ საბაბს, რომელიც შეუძლებელს გახდიდა ჩვენ შორის ურთიერთთანაგრძნობასა და კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. ამიტომაც ეჭვი არ მეპარება – ყველა ეს უთანხმოება ვერ დაარღვევს ჩვენს ძველსა და კეთილ მეგობრობას“.

### **მიმართვა გენერალ-გუბერნატორისადმი**

წარმოშობილი გაუგებრობის აღმოსაფხვრელად და მეურვეობის შესახებ უმაღლესად დამტკიცებული წესების საფუძველზე ჩვენი შეხედულებების მაქსიმალურად დასაახლოებლად სამეგრელოდან გავემგზავრე ბორჯომში, სადაც მაშინ გენერალ-გუბერნატორი იმყოფებოდა და მას გენერალ კოლიუბაკინთან ჩემი მიმონერა პირადად წარვუდგინე.

### **გენერალ-გუბერნატორის მეორე მომართვა**

თავადმა გიორგი რომანის ძემ გამომგზავნა გენერალ კოლიუბაკინისადმი მისი 27 ივლისის მიმართვის (№2706) ასლი, რომელშიც საკუთრივ მთავრის მამულების მართვა-გამგეობის შესახებ ნათქვამია:

„ამ საკითხებიდან პირველთან დაკავშირებით, რომელზედაც საუბარია თქვენი აღმატებულებისადმი ბ-ნი მეურვის გასული 7 ივნისის გამოხმაურებასა (№32) და თქვენს ა. თ. 1 რიცხვის პასუხში (№2838), მე მიმანია:

ვინაიდან მეურვეობის შესახებ უმაღლესად დამტკიცებული წესების მიხედვით, მეურვეობას მთავრის მცირეწლოვანების პერიოდში მისი ქონების მართვა-გამგეობაც აქვს დაკისრებული,

სოფლის თანამდებობრივი პირების, ე. ი. ხელოსნებისა და გამო-საღებების ამკრეფთა, არჩევა სამთავრო სოფლებში ხდება საზოგადოებების მიერ, ხოლო არჩეულ პირებს მეურვეობის თანხმობით ამტკიცებს იმ ოლქის უფროსი, რომელშიც ეს არჩევნები ტარდება. ამ არჩეულ პირებს, როგორც ეს ბ-ნი მეურვისაგან ვიცი, მის მიერვე განსაზღვრული წესით მეურვეობის შიდა საქმეებთან დაკავშირებულ განკარგულებებთან ერთად სამეგრელოს საერთო მმართველობის ხელმძღვანელთა განკარგულებების შესრულებაზე აქვთ დაკისრებული; კერძოდ – საზოგადოებრივი სამუშაოებისა თუ სხვა საერთო ნატურალური ბეგრის განაწესთან დაკავშირებული ისეთი საქმეები, რომელთა შესახებაც მეურვეობას უნდა წარუდგინონ ანგარიში: მეურვეობის კანონიერი ძალაუფლების უგულებელყოფის, მისდამი დაუმორჩილებლობის, წინააღმდეგობის განწევის ან იმ შემთხვევებში, როცა ზნეობრივი მანკიერების აღმოსაფხვრელად პოლიციური ჩარევა ხდება საქირო, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მეურვეობას მისივე მოთხოვნის საფუძველზე უნდა გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება. გარდა ამისა, მეურვეობისადმი დაქვემდებარებული გლეხობის მიმართ იმავე მეურვეობის გვერდის ავლით არ უნდა იქნეს მიღებული არავითარი ზომები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როცა რომელიმე მათგანს დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი. პოლიციას, თავისუფლდება რა მეურვეობას დაქვემდებარებულ პირთა დავების გარჩევისაგან, შეუძლია მიიღოს აღნიშნულ პირთა სარჩელები, აღძრული თვითონ მეურვეობის წინააღმდეგ და მისცეს მათ შემდგომი მსვლელობა. მეურვეობასა და მისდამი დაქვემდებარებულ პირთა შორის პოლიციის მხოლოდ ასეთი საშუამავლო ფუნქცია მიმაჩნია მე მართებულად და უეჭველი სარგებლობის მომტანად სამეგრელოს მმართველობისათვის, რომელსაც დაკისრებული აქვს ზრუნვა საერთო კეთილმდგომარეობაზე.

ჩემს ამ მოსაზრებებს თქვენს აღმატებულებას ვუგზავნი ჯეროვანი აღსრულებისათვის და, ვაცნობებ რა იმავე მოსაზრებებს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსს, იმავე

დროულად, საჭიროდ მიმაჩნია, დავსძინო: საქმის კურსში ვაყენებ ბ-ნ მეურვესაც, რათა იგი წინააღმდეგობის გარეშე ახლავდეს მისთვის დაკისრებული მართვა-გამგეობისათვის საჭირო წესწყობილების შემოღებას. გამოვთქვამ იმედს, რომ თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, და სამეგრელოს მმართველობის ჩინოსნები ყოველმხრივ ხელს შეუწყობთ მეურვეს, რათა სრულად იქნეს დაცული მთავრის ქონების ხელშეუხებლობა“.

### **ყოფიანის კერძო წერილი გენერალ კოლიუბაკინისადმი**

ეს ქალაქი რომ მივიღე, კერძო წერილითვე ვაცნობე გენერალ კოლიუბაკინს: ვინაიდან ჩვენ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების საკითხი მისივე სურვილისამებრ სამსახურებრივი გზით იყო ახსნილი და განმარტებული, სამთავრო სოფლების მართვა-გამგეობაში ვინყებდი სამემკვიდრო-მემამულური წესწყობილების შემოღებას და, რადგანაც ან უკვე, რასაკვირველია, არავითარი დაბრკოლება არ უნდა შეხვედროდა შეჩერებულ საქმეთა წარმოებას, ვთხოვე, შეედგინა და გამოეგზავნა მეურვეობისაგან მის მიერ ზუგდიდში ქირით აღებული მთავრის სახლით სარგებლობის პირობები; ამასაც ვპირდებოდი, რომ ხელს მოვანერდი ყველაფერს, რასაც იგი საჭიროდ და მისთვის სასარგებლოდ ჩათვლიდა.

### **კერძო წერილზე ოფიციალური პასუხი**

მაგრამ ამ ჩემს კერძო და მეგობრულ წერილს გენერალმა კოლიუბაკინმა 1 აგვისტოთი დათარიღებული შემდეგი ოფიციალური ქალაქით (№3608) უპასუხა:

„თქვენი აღმატებულების 29 ივლისის წერილზე, მაქვს პატივი, მოგახსენოთ, რომ მე უკვე ხელთა მაქვს ბ-ნი გენერალ-გუბერნატორის წინადადება, რომელსაც თქვენ თქვენს წერილში ახსენებთ და რომლის პირიც გაქვთ მიღებული. რამდენადაც ბ-ნი გენერალ-

გუბერნატორის ფიქრებს ჩავწვდი, იმ წინადადების მიხედვით, რომლებსაც იგი შესასრულებლად მიგზავნის, მისი ბრწყინვალეობა საჭიროდ მიიჩნევს: სამთავრო სოფლებში სასოფლო-საპოლიციო მმართველობა უნდა გამოვიდეს პოლიციის პირდაპირი გამგებლობიდან და დაექვემდებაროს სამეურვეო მმართველობას. ამგვარი განზრახვა მმართველობის გარდაქმნისა მე შევიტყვე თქვენი წერილიდანაც, რომელშიც ამბობთ – ქუთაისიდან იმისთვის დაებრუნდი, რომ აქ მმართველობის სამემკვიდრო მემამულური წესის შემოღებას უნდა შევუდგეო.

თუ თქვენს აღმატებულებას მმართველობის ამ მიმართულებით გარდაქმნა მართლაც აქვს განზრახული, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, თქვენი ყურადღება მივაპყრო შემდეგ გარემოებას: არ შეიძლება ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებას, როგორცაა პოლიციისა და სასამართლოს ერთი ხელიდან მეორე ხელში გადაცემა, მით უმეტეს, ისეთ მნიშვნელოვან ფენაში, როგორცაა სამთავრო გლეხობა წარმოადგენს, შევუდგეთ მანამ, სანამ არ გაირკვევა ახალი სასოფლო-საპოლიციო წესწყობილების რაობა, არ დაარსდება მმართველობის ახალი ორგანოები, არ დადგინდება მათი მოვალეობები, უფლებები, პასუხისმგებლობის საკითხი და, დასასრულ, სანამ დადგენილი წესით არ იქნება გამოთხოვილი უფლება – გაუქმდეს კანონები, რომლებითაც განსაზღვრულია ამჟამად არსებული სასოფლო-საპოლიციო წესწყობილება როგორც სამთავრო, ისე კერძო მფლობელთა კუთვნილ სოფლებში.

თქვენი აღმატებულებისგან ველოდები სრულ და საფუძვლიან ახსნა-განმარტებებს იმ წესწყობილების შესახებ, რომლის შემოღებასაც სამთავრო სოფლებში აპირებთ, რათა ჩემი უფლებამოსილების ფარგლებში გავცე შესაბამისი განკარგულებები“.

## **კვლავ მიმართვა გენერალ-გუბერნატორისადმი**

იმდენად, რამდენადაც გენერალ-გუბერნატორის ხელმეორე ახსნა-განმარტებამ ვერ აღმოფხვრა ჩემსა და სამეგრელოს

მმართველს შორის არსებული უთანხმოება, ამასთანავე, გენერალ კოლიუბაკინის უკანასკნელ მოთხოვნებს შეეძლო საქმის ხანგრძლივი დროით შეჩერება, რაც, თავის მხრივ, ჩემდამი მონდობილ საქმეს უკიდურესად დააზიანებდა, თავად ერისთავს შესამედ მივმართე 13 აგვისტოს შემდეგი წარდგინებით (№131):

„მთავრის ქონების მართვა-გამგეობის მიზნით მეურვეობისათვის უმაღლესად დაკისრებული ვალდებულების თაობაზე ჩემსა და სამეგრელოს მმართველს შორის გამართული მიმოწერის თაობაზე თქვენმა ბრწყინვალეობამ ინება, გასული ივლისის 27-ში (№2706) ჩემთვის გამოგზავნა ასლი იმ წინადადებისა, რომლითაც გენერალ კოლიუბაკინს მიმართეთ.

ხსენებული წინადადების საფუძველზე წერილობით შევადგინე სამთავრო სოფლების მართვა-გამგეობის წესები. მიმაჩნია, რომ აუცილებელია, რაც შეიძლება მალე შევეუდგე – თვით სოფლის თანამდებობრივ პირთა უკლებლივ ყველა უფლების დადგენამდეც კი – ამ წესების პრაქტიკულ შემოღებას.

გენერალ-მაიორმა კოლიუბაკინმა კი თავისი ა. თ. 1 რიცხვის წერილით (№3608), რომლის ასლსაც აქვე გაახსლებთ, მაცნობა, რომ სამეურვეო მმართველობის ჩემ მიერ განზრახული წყობილება წინასწარ უნდა იქნეს განხილული და – სათანადო სამართლებრივი წესით დამტკიცებული.

წარმოგიდგენთ რა, თქვენო ბრწყინვალეობავ, აღნიშნულ წესებს, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ: თუ თქვენ დარწმუნდებით, რომ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას იმავდროულად მსურს გავუადვილო პოლიციას თავისი საქმიანობა და, ამასთანავე, ჩემ მიერ შედგენილი წესები არც კანონდებულებას ეწინააღმდეგება და არც უმაღლესი ხელისუფლებისგან მოითხოვს დამტკიცებას, გთხოვთ ნება მომცეთ, განზრახული წესების შემოღება დავიწყო ახლავე და სამთავრო სოფლებში ჩავატარო თანამდებობრივ პირთა არჩევნები.

სასოფლო მართვა-გამგეობის ქვემოთ ჩამოთვლილი საფუძვლების წარდგინებას ხელი მოვანწერე ვითარცა მეურვემ და მეფისნაცვლის საბჭოს წევრმა, რადგანაც მიმაჩნია, რომ როგორც ერთი, ისე მეორე წოდება მანიჭებს განზრახულების აღსრულების უფლებამოსილებას.

უმაღლესად დამტკიცებულ მეურვეობას განზრახული აქვს, სამეგრელოს მთავრის ქონების მართვა-გამგეობა მთავრის მცირენაწილეების პერიოდში განახორციელოს შემდეგ საფუძვლებზე:

1. სამთავრო გლეხებით დასახლებულ თითოეულ სოფელში უნდა იყოს: 1. სოფლის მამასახლისი თავისი ხელოსნებით; 2. გამოსაღების ამკრეფი; და 3. სოფლის მოსამართლეები (მათი მოვალეობები და დანიშვნის წესები წარმოდგენილია ქვემოთ).

2. ერთი ან რამდენიმე სოფლის ფარგლებში საკუთრივ მთავრის ნივთიულობისა თუ მეურნეობის უშუალო მართვა-გამგეობისათვის მეურვეობის მიერ ინიშნება სპეციალური რწმუნებული, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება მიმართავს მთავრის უფლებებსა და ინტერესებთან დაკავშირებულ საქმეებზე.

მამასახლისისა და ამკრეფის საქმეებში რწმუნებული ჩაერევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეორე მას თხოვნით მიმართავს.

სამეგრელოს ფარგლებს გარეთ მთავრის ქონების მართვისა და მისი ინტერესების დაცვის, აგრეთვე, იქ მცხოვრებ სამთავრო გლეხთა ზრუნვა-პატრონობისათვის ინიშნებიან სპეციალური რწმუნებულები.

3. მამასახლისი, როგორც სოფელში წესრიგსა და კეთილზნობაზე ზედამხედველი პირი, აღასრულებს მეურვეობისა და ადგილობრივი პოლიციის კანონიერ მოთხოვნებს; წერილობითი ბრძანების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს აღმნიშვნელისა თუ ურმების სამუშაოებზე განწესებას.

მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუჩერებელი აღსრულებისათვის მამასახლისის განკარგულებაში არიან ხელოსნები,



რომლებიც ინიშნებიან თითოობით ყოველი ოცი კომლიდან და ისინი მამასახლისის სამსახურში იმყოფებიან მორიგეობით ერთი თვის განმავლობაში.

4. ამკრეფის დანიშნულებაა, უზრუნველყოს დანესებული გამოსაღებისა და ბეგრის აკრეფა ნატურით ან დადგენილი ფასის მიხედვით და ქვითრის თანდართვით ადგილობრივად ჩააბაროს მეურვეობისაგან დანიშნულ რწმუნებულს.

გამოსაღები და ბეგარა არსებული წესით მან უნდა აკრიფოს წელიწადში ორჯერ: მესამედი გაზაფხულზე, ნააღდგომევეს; დანარჩენი – შემოდგომაზე, მოსავლის აღების შემდეგ. ამკრეფის გვერდის ავლით გლეხებს არ მოეთხოვებათ არც ის გამოსაღები და არც ის ბეგარა, რომელთა გადახდა ხდება ფულისა თუ პროდუქტის სახით.

5. სოფლის სასამართლოები სამი ადამიანის შემადგენლობით არსდება მთავრის კუთვნილ გლეხთა შორის წარმომოხილი დავებისა და უთანხმოებების გასარჩევად. მოსამართლეები საქმეებს წყვეტენ თვითონვე და ასეთ შემთხვევაში უკმაყოფილო მხარეს საშუალებას აძლევენ, საჩივრით მიმართონ რწმუნებულს, ხოლო რწმუნებულზე – მეურვეობას; ან კიდევ, საქმის განხილვას მიანდობენ მხარეთა მიერ არჩეულ შუამავლებს, ასეთ შემთხვევაში კი შუამავალთა გადანყვეტილება გასაჩივრების უფლების გარეშე შედის ძალაში. თუ მთავრის კუთვნილ გლეხებზე საჩივარი შემოვა ისეთი პირებისგან, რომლებიც მეურვეობას არ ექვემდებარებიან, მაშინ საქმის გარჩევა მოხდება შუამავალთა მეშვეობით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმართავენ საპოლიციო ხელმძღვანელობას.

სამთავრო გლეხებს, რომლებიც უშუალოდ მეურვეობის გამგებლობისა და ზრუნვა-პატრონობის ქვეშ იმყოფებიან, ყველა თავიანთი საქმისა თუ საჭიროების შესახებ დაცვისა და დახმარებისათვის შეუძლიათ მიმართონ მეურვეობის რწმუნებულებს ან – პირდაპირ მეურვეს. მეურვის მოქმედებებით უკმაყოფილოებს კი შეუძლიათ მასზე საჩივარი ზემდგომ ხელმძღვანელობასთან ან კი-

დევ მზრუნველის, უგანათლებულეს მთავრის მეუღლე ეკატერინე ალექსანდრეს ასულის, წინაშე აღძრან.

7. სოფლად მცხოვრებლებთან, შუამავლებთან, ისევე, როგორც რწმუნებულებთან, საქმეების განხილვა ხდება ზეპირი გზით; რწმუნებულები ვალდებულნი არიან, თავიანთი გადაწყვეტილებები გააფორმონ წერილობით, რათა უკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მისი წარდგენა მეურვისათვის, ხოლო დაკმაყოფილების შემთხვევაში გამართლებულ მხარეს მტკიცებულების სახით გამოადგეს სამომავლოდ.

8. რწმუნებულები და მათი თანაშემწეები ინიშნებიან მეურვეობის მიერ. ამ წოდების პირებს არ ეძლევათ სპეციალური გასამრჯელო და არ ენიჭებათ არავითარი უფლება გლეხთაგან რაიმე სახის ძღვენის მიღებისა თუ რაიმე სახით მომსახურებისა. მათი საქმიანობის შესახებ მეურვეობა საქმის კურსში აყენებს ან უმაღლეს ხელისუფლებას, ან – მის უგანათლებულესობას.<sup>9</sup>

9. სოფლის მამასახლისს, გამოსალების ამკრეფსა და მოსამართლეს, კანდიდატიბიდან თითოს თითო ადგილზე, ირჩევს საზოგადოება და მეურვეობის თანხმობით ამტკიცებს ადგილობრივი ხელმძღვანელობა“.

## **გენერალ-გუბერნატორის ნებართვა**

ამ მიმართვის შემდეგ გენერალ-გუბერნატორისაგან 20 აგვისტოთი დათარიღებული შემდეგი პასუხი (№2832) მივიღე:

„გავეცანი რა თქვენი აღმატებულების მიმდინარე აგვისტოს 13 რიცხვის წარდგინებას (№131) სამთავრო სოფლებში მართვა-გამგეობისთვის საჭირო წესნყობილების შემოღების შესახებ, მიმაჩნია, რომ იგი სრულად შეესაბამება უმაღლესად დამტკიცებულ დებულებას როგორც სამეგრელოს, ისე მცირეწლოვანი მთავრის ქონების გამგებლობის შესახებ. მაქვს პატივი, ეს ყოველივე გაცნობოთ, მოწყალეო ხელმწიფეო, რათა განახორციელოთ თქვენზე

დამოკიდებული ღონისძიებები აღნიშნული წესების ცხოვრებაში გასატარებლად. დავსძენ, რომ იმავდროულად ყოველივე ზემოთქმული ეცნობა ბ-ნ სამეგრელოს მმართველს“.

ამ განკარგულებისგან დამოუკიდებლად გენერალ-გუბერნატორმა გამომიცხადა, რომ პირადად უბრძანა სენაკის ოლქის უფროსს, ბოროზდინს, სასოფლო მმართველობაში ხსენებული წესწყობილების შემოღებისას გამიწიოს ყოველგვარი დახმარება, თუკი საამისო საჭიროება შეიქმნება.

თუმცა არავითარი დახმარება მე არ მითხოვია, რადგანაც გლეხობისგან არ მოველოდი არავითარ წინააღმდეგობას. შეუძლებელი იყო, მათ ვერ დაენახათ, რომ მათსავე მშვიდობიან ცხოვრებაზე ვზრუნავდი.

დავბრუნდი სოფელ გორდში. 23 აგვისტოს შევკრიბე საზოგადოება – გორდისა და მეზობელი სოფლის, ხუნწის, სამთავრო გლეხობა; პირადად განვუმარტე მათ ის მმართველობითი წესწყობილება, რომლის შემოღებასაც ვითხოვდი და შევთავაზე, ორივე სოფელს თავ-თავიანი რიგებიდან აერჩია მამასახლისები, გამოსაღების ამკრეფნი და სოფლის მოსამართლეები.

გლეხებმა ჩემი წინადადებები დიდი სიამოვნებით მიიღეს და აირჩიეს თანამდებობრივი პირები. ვინაიდან მათ მიერ არჩეული პირების სანინაალმდეგო არაფერი მქონდა, ყოველივე ამის შესახებ ოფიციალურად ვაცნობე გორდშივე მყოფ ბ-ნ ბოროზდინს.

ბოროზდინმა იმავე 23 აგვისტოს ასეთი ქედმაღლური პასუხი (№1149) მომწერა:

„თქვენი აღმატებულების 23 აგვისტოს მოწერილობის (№138) პასუხად, მაქვს პატივი, გაცნობოთ: ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ა. თ. 20 რიცხვის მოწერილობის (№2832) საფუძველზე გორდისა და ხუნწის სამთავრო გლეხებისგან შემდგარი საზოგადოების მიერ სასოფლო ხელმძღვანელობის არჩევის თაობაზე ჩემი უშუალო უფროსობისგან ჯერჯერობით შესაბამისი მითითება

არა მიმიღია. ამგვარი მითითების მიღებამდე კი თავს უფლებას ვერ მივცემ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამე მოვიმოქმედო.

ამასთანავე, თქვენი აღმატებულების განკარგულება საზოგადოებისგან არჩეულ პირთა ჩემ მიერ მათი დამტკიცების გარეშე შესაბამის თანამდებობებზე განწესების შესახებ მაფიქრებინებს, რომ ჩემი მხრიდან მათი დამტკიცება თქვენს აღმატებულებას სავსებით ზედმეტად მიაჩნია.

ყოველივე ამას წინამდებარე წერილის თანდართვით ვაცნობებ ბ-ნ სამეგრელოს მმართველს და ამ საქმესთან დაკავშირებულ ჩემს შემდგომ მოქმედებებში მისი აღმატებულების მითითებებს დავიცავ განუხრელად“.

ეს ქალაქი მაშინ მივიღე, როცა ცხენზე ვჯდებოდი ლეჩხუმში გასამგზავრებლად, რათა იქაურ სამთავრო სოფლებშიც ანალოგიური წესწყობილება შემომეღო. ვიფიქრე, რომ გენერალი კოლიუბაკინი ვერ გადავიდოდა გენერალ-გუბერნატორის მითითებას და ამიტომ ლეჩხუმში ისე გავემგზავრე, ბოროზდინისთვის პასუხი არ გამიცია.<sup>10</sup>

ლეჩხუმში იგივე წესები შევიტანე ხუთ სოფელში. დარჩა სამი სოფელი, თუმცა ამასობაში, 31 აგვისტოს, გენერალ კოლიუბაკინისგან 29 რიცხვით დათარიღებული მოთხოვნა (№4032) მივიღე.

## **გენერალ კოლიუბაკინის განკარგულება**

„სენაკის ოლქის უფროსმა 24 აგვისტოთი დათარიღებული მმართვეთი (№1150) მაცნობა, რომ თქვენს აღმატებულებას მისთვის მიუმართავს, დაემტკიცებინა სამთავრო სოფლებში თქვენი განკარგულების მიხედვით არჩეულ პირთა სია: სოფლის მამასახლისებისა, გამოსაღებთა ამკრეფებისა და მოსამართლეებისა. იმავდროულად, თქვენ მიერ შემოღებული სასოფლო მმართვე-

ლობის ახალი წესების საფუძველზე ისინი განგინესებიან კიდევაც შესაბამის თანამდებობებზე.

ოლქის უფროსის მომართვასთან ერთად მივიღე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ა. თ. 20 რიცხვით დათარიღებული წინადადება, რომელსაც მმართველობის თქვენი აღმატებულების მიერ შემუშავებული ახალი წესწყობილების პროექტის ასლიც ჰქონდა დართული. ბ-ნი გენერალ-გუბერნატორი მავალებს, გავცე შესაბამისი განკარგულებები, რათა პოლიციამ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში გააკეთოს ყველაფერი სამთავრო სოფლების მართვა-გამგეობაში შეტანილი ცვლილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

გავიზრე რა ის ცვლილებები, რომლებიც მისი ბრწყინვალეების, ბ-ნი გენერალ-გუბერნატორის წინადადებასა და მოსაზრებებშია ასახული და, თქვენი პროექტის მიხედვით, სამთავრო სოფლების მართვა-გამგეობაში უნდა იქნეს შეტანილი, არ შეიძლებოდა არ დამენახა – თქვენ მიერ განზრახული ახალი წესები მმართველობისა, ერთი მხრივ, სრულებით არ შეესაბამება მისი ბრწყინვალეების წინასწარდასახულობასა და, მეორე მხრივ, ამგვარი ცვლილებები ვერ იქნება შემოღებული უმაღლესი ხელისუფლების ნებართვისა და დადგენილი წესით დაკანონების გარეშე.

ყოველივე ამის გამო, სანამ სასოფლო მმართველობის ახალი წესების პრაქტიკულ ამოქმედებას დავუშვებდეთ, აუცილებლად მიჭირდება, გენერალ-გუბერნატორისგან გამოვითხოვო ახალი ნებართვები. ვაცნობებ რა თქვენს აღმატებულებას ამის შესახებ, უმორჩილესად გთხოვთ, ხსენებული ნებართვების მიღებამდე სასოფლო მმართველობის ახალი წესები შეაჩეროთ, რათა ახალი წესების საბოლოო და საფუძვლიან გამორკვევამდე არ მოეშალოთ ამჟამად არსებული წესრიგი.

ამასთანავე, მაქვს პატივი, დავსძინო – ამავდროულად სენაკის ოლქის უფროსს ვწერ, რომ თქვენი განკარგულებით არჩეული თანამდებობრივი პირები არ დაამტკიცოს, თანამდებობებზე დატოვოს ამ დრომდე მოქმედი სოფლის მამასახლისები, შეუნარჩუნოს

მათ საპოლიციო მოვალეობები და, საერთოდ, სასოფლო-საპოლიციო მმართველობა შეინარჩუნოს ხელუხლებლად.

ამავე შინაარსის მითითება ჩემგან ლეჩხუმის ოლქის უფროს-საც გაეგზავნა“.<sup>11</sup>

### **მიმართვა გენერალ-გუბერნატორისადმი**

ვინაიდან გენერალი კოლიუბაკინი ამით მთლიანად აუქმებდა ჩემს, როგორც მეურვისა და მეფისნაცვლის საბჭოს წევრის, მოქმედებებს და დავის საგნად ხდიდა ძალაუფლებას გენერალ-გუბერნატორისას, რომლის ნებართვითაც მე ვმოქმედებდი, კოლიუბაკინის აღნიშნული მოთხოვნის ასლი წარვუდგინე გენერალ-გუბერნატორს, კოლიუბაკინს კი მოვახსენე: მე ვასრულებ იმ დაკისრებულ მოვალეობას, რომელიც უმაღლესად დამტკიცებული წესებითაა განსაზღვრული; ამასთანავე, ჩემი საქმიანობა ზედმიწევნით ეყრდნობა გენერალ-გუბერნატორის ნებართვის შინაარსს. ამიტომაც სასოფლო მმართველობაში შემოღებული ახალი წესების შეჩერებას ვერ შევძლებ მანამ, სანამ ან იმავე გენერალ-გუბერნატორისგან, ან კიდევ – ჩემი უფროსობისგან არ მივიღებ საამისო მოთხოვნას.

ამის შემდეგ ლეჩხუმში 8 სექტემბრამდე დავრჩი. მაშინ მივიღე სვანეთიდან გენერალ-ლეიტენანტ ერისთოვის კერძო წერილი. იგი გამობდა ბოროზდინის საქციელს, ხოლო კოლიუბაკინის მოქმედებას არ იწონებდა; ამასთანავე, მიჩვენდა ჩასვლას ქუთაისში. თვითონაც იქ მიემგზავრებოდა, რათა სხენებული უთანხმოებების შესახებ პირადად მოეხსენებინა მეფისნაცვლისათვის – ერისთოვის ვარაუდით, მისი ბრწყინვალეობა დაახლოებით 15 სექტემბრისთვის ქუთაისში უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მეფისნაცვალს ავადმყოფობის გამო ქუთაისში აღარ გაემგზავრა და მე ისლა დამრჩენოდა, დავბუნებულიყავი ტფილისში და მითითებები აქ მიმელო, რისთვისაც ნ ოქტომბრის წარდგინებით მთავარსამმართველოს უფროსს მივმართე (№164).

## II. ბეგრის გადახდევინების შესახებ

### მიმართვა კოლიუბაკინისადმი

18 ივნისს გენერალ კოლიუბაკინს შემდეგი მიმართვა გაუგზავნე (№42):

„კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტმა 27 აპრილის №984 მიმართვასთან ერთად მეურვეობას გამოუგზავნა ასლი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისადმი მეფისნაცვლის 31 მარტის №94 მიწერილობისა, რომლითაც სხვა საკითხთა შორის სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების 1857 წლის აღწერილობასთან დაკავშირებული საკითხებიცაა გადანყვეტილი.

საკითხი იმ ბეგრისა, რომელიც მთავარმმართველობის საბჭოს წევრის უფლებით უნდა გამოემერიცხა მთავრის შემოსავლებიდან და მმართველობის შენახვისკენ მიმემართა და რაშიც მეთანხმებოდნენ თქვენი აღმატებულების წინამორბედი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი და მთავარმმართველობის საბჭო, საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ შენარჩუნებულ იქნა ბეგრის ამ სახეების გადახდის ამჟამინდელი წესი, ანუ ისინი არ უნდა მიმართულიყო მთავრობის სასარგებლოდ.

ასე და ამგვარად, ყველა ის ბეგარა, რომელიც აღწერილობის საფუძველზე მეურვეობისა და სამეგრელოს მმართველობის მიერ განსაზღვრული იყო, როგორც მთავრის ოჯახის შემოსავალი, კვლავინდებურად მთავრის ოჯახის შემოსავლადაც უნდა დარჩეს.

ასე რომ, გარდა საკუთარი გლეხებისგან შემოსული ყველა სახის ბეგრისა, მთავარს ზოგიერთი ბეგარა კერძო მებატონეთა კუთვნილი 5498 კომლი გლეხობისგანაც ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი 11 047 კომლისგან ყველა სახის ბეგარა მხოლოდ მათს მებატონეებს შესდით.

მაგრამ ხსენებული 5498 კომლისგან მთავრის კუთვნილი ბეგრის ადგილობრივად გამოღება შეჩერებული იყო ზემოხსენებუ-

ლი განზრახულების გამო და, ვინაიდან ეს განზრახულება აღარ აღსრულდა, ახლა უკვე აუცილებელი ხდება ადგილობრივი ხელმძღვანელობის შესაბამისი განკარგულება, რათა ეს ბეგარა გადაეცეს მეურვეობას.

განკარგულება უნდა შეეხოს იმ სოფლების მოსახლეობას, რომლებიც ნაჩვენებია საინვენტარო აღწერილობის მე-4 დანართში, კერძოდ, ამ დანართის მე-4 ნუსხაში.

ვზრუნავ რა სამთავრო ოჯახის კუთვნილი ბეგრის გადაუდებელ აკრეფაზე, მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას ვთხოვო შესაბამისი განკარგულება და, ამასთანავე, თავს მოვალედ ვთვლი ისიც დავსძინო, რომ მეურვეობა ბეგარას მიიღებს როგორც ნატურით, ისე ფულადი გამოხატულებით; ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი – იმ შემცირებული, ნორმალური ფასებით, რომლებიც 1857 წლის აღწერილობის ბეგრის ნაწილშია განსაზღვრული.

უმორჩილესად გთხოვთ, შემატყობინოთ საქმის მსვლელობის შესახებ“.

## **კოლიუბაკინის პასუხი**

ამაზე გენერალ კოლიუბაკინისგან 1 ივლისით (№283) დათარიღებული პასუხი მივიღე:

„მივიღე თქვენი 8 ივნისით (№42) დათარიღებული მომართვა 5498 კომლ საბატონო გლეხზე დაკისრებული ბეგრის მთავრის მეურვის სასარგებლოდ აკრეფის შესახებ. მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ, ჩემი აზრით, მეურვეობის ეს მოთხოვნა მთლიანად ეწინააღმდეგება იმ მითითებას, რომელიც 31 მარტის №94 მონწერილობით თავადმა მეფისნაცვალმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს გამოუგზავნა.

ხსენებულ გლეხებზე დაკისრებული ბეგარა სამთავრო ადგილმამულის აღწერილობაში თქვენ მიერვე შეტანილია მთავრის ისეთ შემოსავალში, რომელიც სამეგრელოს მმართველობის რჩენა-შე-



ნახვისკენ უნდა იყოს მიმართული და, შესაბამისად, ამოღებულ იქნა მთავრის კერძო შემოსავლებიდან. თქვენი აღმატებულება თვითონვე აღნიშნავს, რომ ამ ბეგრის აკრეფა მაშინვე იქნა შეჩერებული. ჩემი მხრიდან კი დავამატებდი, რომ ხსენებული ბეგრის აკრეფა არც მომხდარა დღიდან სამეგრელოში რუსული მმართველობის დამყარებისა.

მეფისნაცვალზე იყო დამოკიდებული გადაწყვეტა საკითხისა, იქნებოდა თუ არა სამეგრელოს მმართველობის რჩენა-შენახვისკენ მიმართული მთავრის შემოსავლების ის ნაწილი, რომელიც ზემოხსენებული პუნქტებით იყო განსაზღვრული. აი, რა სიტყვებით გამოხატა მეფისნაცვალმა თავისი ნება:

„ვიღებ რა მხედველობაში სამეგრელოში ბოლო ხანს მომხდარი მოვლენების შემდეგ შექმნილ საგანგებო ვითარებას, უხერხულად მიმაჩნია, ერთი მხრივ, მოსახლეობას ჩვენი მმართველობის სასარგებლოდ ვახდევინოთ ისეთი სახის ბეგარა, რომელსაც ისინი უკვე აღარ იხდიან, ხოლო, მეორე მხრივ, ვერც მებატონეთა კერძო შემოსავლების რაიმე ფორმით შეზღუდვას დავუშვებთ. ამიტომ აუცილებელი მგონია, ზემოხსენებული ბეგრის გადახდის წესი კვლავინდებურად უნდა დარჩეს მანამ, სანამ შესაძლებელი არ გახდება ბეგრის აკრეფის საერთო და საყოველთაო, მოსახლეობის შეძლების შესაბამისი წესის შემოღება“.

ამდენად, აღდგენა იმ ბეგრისა, რომელიც ერთხელ უკვე გამოირიცხა მთავრის შემოსავლებიდან და რომლის აკრეფა ორი წლის განმავლობაში არ ხდებოდა, ნიშნავს – მოსახლეობას დაეკისროს ბეგარა, რომელსაც ისინი უკვე აღარ იხდიან. ამიტომაც მე თავს უფლებას ვერ მივცემ, დავაკმაყოფილო მეურვეობის მოთხოვნა 5498 საბატონო კომლისგან ბეგრის აკრეფის შესახებ“.

### **მიმართვა გენერალ-გუბერნატორისადმი**

გენერალ-გუბერნატორისადმი ამ ქალაქების პირადად წარდგენის შემდეგ მისგანვე მივიღე 27 ივლისით დათარიღებული პასუხი №2706, აგრეთვე, ასლი იმ წინადადებისა

(№2705), რომლითაც იგი სამეგრელოს მმართველს მიმართავდა და რომელშიც ამ საკითხის შესახებ ნათქვამია:

„სამთავრო ოჯახის შემოსავლებიდან, რომლებიც გამოთვლილია 1857 წლის აღწერილობის მიხედვით და ნაჩვენებია მასზე დართულ ტაბელში, ამჟამად ამორიცხულია მხოლოდ სავაჭრო და გარე სამუშაოებზე გაცემული ბილეთების გადასახადი, რიონზე მოცურავე ნაგების გადასახადი კი გაუქმებულია. ვითვალისწინებ რა ყოველივე ამას, მიმაჩნია, რომ სსენებულ ტაბელში ნაჩვენებები ყველა სხვა პუნქტი შემოსავლებისა სამთავრო ოჯახს შენარჩუნებული აქვს. ზუსტად ამგვარია შინაარსი ჩემდამი ბ-ნი მეფისნაცვლის ა. წ. 31 მარტის მონერილობისა (№94), რომლითაც სამთავრო ოჯახს შემოსავლები სრულად აქვს შენარჩუნებული. ამიტომაც სამეგრელოს მმართველობას მართებს იზრუნოს იმაზე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მთავრობის გადანყვეტილება მთავრის კუთვნილი ქონების სრულად დაცვა-შენახვის შესახებ და არ უნდა თქვას უარი, დაეხმაროს მეურვეობას კუთვნილი შემოსავლების მიღებაში“.

მიუხედავად ამისა – თითქოს ზემოხსენებული ახსნა-განმარტება არც არსებობდეს – გენერალი კოლიუბაკინი დღემდე ამტკიცებს, რომ მთავარს 5498 კომლისგან შემოსავალი ჩამორთმეული აქვს და აღარ ეკუთვნისო.

ამგვარი მოსაზრების უსაფუძვლობაზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებ – ყველაფერი მეტისმეტად ცხადი და აშკარაა.

### **III. დარჩენის<sup>12</sup> მამულის შესახებ**

#### **მიმართვა კოლიუბაკინისადმი**

20 ივნისს (№44) გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს ვწერდი:

„კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტმა 27 აპრილის მიმართვასთან (№984) ერთად მეურვეობას გამოუგზავნა ასლი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისადმი მეფისნაცვლის 31 მარტის მიწერილობისა (№94), რომლითაც სხვა საკითხთა შორის სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების 1857 წლის აღწერილობასთან დაკავშირებული საკითხებიცაა გადანყვეტილი.

აღნიშნულ საკითხთა შორის ერთ-ერთი ეხებოდა სამეგრელოს ყოფილი მმართველი დედოფლის მიერ გაცემულ, თუმცა დღემდე აღუსრულებელ განკარგულებას თავად ანჩაბაძეების დარჩენის მამულის კონფისკაციისა და მთავრის ადგილ-მამულისთვის მისი მიერთების შესახებ.<sup>13</sup> მეფისნაცვლის მიწერილობაში ისიც იყო აღნიშნული, რომ კონფისკაცია არ უნდა შეხებოდა თავად მურზაყან ანჩაბაძის ობლების მამულს.

ამჟამად ვითარება ასეთია: კონფისკაციისგან ზემოაღნიშნული ობლების გათავისუფლების საკითხი მთავრის მეუღლე დადიანის ნებაზეა მინდობილი; შესაბამისად, დანარჩენი მამული, რომლის კონფისკაცია მოხდა მთავრის მეუღლის მიერ და შეტანილია 1857 წლის აღწერილობაში, უდავოდ და ულაპარაკოდ უნდა ჩაირიცხოს სამთავრო ოჯახის საკუთრებაში.

ამისთვის კი აუცილებელია გამოძახება დარჩენის სასოფლო თანამდებობრივი პირებისა და სოფლის არანაკლებ 24 კეთილსინდისიერი უხუცესისა. მათგან ფიცის ქვეშ მიღებული ჩვენებების საფუძველზე უნდა გაირკვეს თავად ანჩაბაძეების სასარგებლოდ დაკისრებული ბეგრის საკითხი და ამის შემდეგ მეურვეობა გადანყვეტს მთავრის სასარგებლოდ მათი შემცირებული ზომით დაბეგრის საკითხს. ამას უნდა მოჰყვეს ახსნა-განმარტება, რომ ისინი ამიერიდან სამთავრო გლეხებს წარმოადგენენ და ყოფილი მებატონეების წინაშე ყოველგვარი საბეგრო ვალდებულებისგან გათავისუფლებულნი არიან. რაც შეეხება თავად მურზაყანის ობლების წილს, ეჭვი არ არის, მისი უგანათლებულებსობა – მთავარი მეურვე – მათ არ შეახებს კონფისკაციას და ამიტომ, ვფიქრობ,

ობლებს ისე უნდა შევეუნარჩუნოთ თავიანთი წილი მამულისა, რომ არ დაველოდოთ მისი უგანათლებულესობის თანხმობას, რომელსაც, იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში მივიღებთ.

ვაცნობებ რა ყოველივე ამას თქვენს აღმატებულებას, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ შესაბამისი განკარგულება ზემოაღნიშნული თანამდებობრივი პირებისა და უხუცესების ჩემთან გამოძახების ან, თუ ამას უფრო მოსახერხებლად ჩათვლით, ადგილობრივი ხელმძღვანელობის მეშვეობით მათგან საჭირო ჩვენებების მიღებისა და შემდეგ ამ ჩვენებების მეურვეობისთვის შეტყობინების შესახებ. ამასთანავე, უმორჩილესად გთხოვთ, მაცნობოთ საქმის შემდგომი მსვლელობის თაობაზე“.

## **კოლიუბაკინის პასუხი**

ამაზე 3 ივლისით დათარიღებული შემდეგი პასუხი (№2875) მივიღე:

„მიმდინარე ივნისის 20 რიცხვის მომართვით (№44) თქვენი აღმატებულება მთხოვს განკარგულებას სოფელ დარჩენის თანამდებობრივი პირებისა და 24 უხუცესის გამოძახების, თავად ანჩაბაძეების სასარგებლოდ დაკისრებული ბეგრის შესახებ მათგან ჩვენებების მიღების, აგრეთვე, დარჩენის გლეხობის მთავრის საკუთრებაში გადარიცხვისა და მათი დაბეგვრის შესახებ.

ამ დროს კი მამული, რომლის თაობაზე მე განკარგულება უნდა გავცე, ჯერ კიდევ ანჩაბაძეების საკუთრებაა და მათ ეს მამული არავითარი სახელისუფლებო მოქმედებით არა აქვთ ჩამორთმეული. ყოფილი მმართველი დედოფლის განკარგულება მამულის კონფისკაციის შესახებ წერილობით განმარტებული და გაცემულია სახლთუხუცესის სახელზე, თუ არ ვცდები, 1856 წელს, მთავრის მეუღლის მოსკოვში გამგზავრებამდე.<sup>14</sup> სამთავრო მმართველობის განმავლობაში ეს მიწერილობა არ ყოფილა სისრულეში მოყვანილი და დღემდე მხოლოდ და მხოლოდ განუხორციელებელ წერილობით აქტად რჩება. ამიტომაც ახლა, პირველ რიგში, აუცი-

ლებელია წინა ხელისუფლების გადაწყვეტილების აღსრულება, ანუ ანჩაბაძეებისთვის მამულის, როგორც საკუთრების, ჩამორთმევა და მისი გადაცემა მეურვეობის მმართველობაში.

ეს ყველაფერი უნდა მოხდეს იმგვარივე სიზუსტითა და გარკვეულობით, როგორც ეს ამ ტიპის გადაწყვეტილების აღსრულებისას ხდება ხოლმე. საამისოდ კი აუცილებელია სათანადოდ დამტკიცებული აქტი, რომელშიც განმარტებული იქნება გადაწყვეტილება კონფისკაციის შესახებ.

სამთავრო მმართველობის მიერ გადმოცემულ საქმეებში გულმოდგინე, თუმცა უშედეგო ძებნის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთადერთი აქტი საქმის შესახებ სახლთუხუცესისადმი ყოფილი მმართველი დედოფლის მიწერილობაა, რომელიც მთავრის ქონების საინვენტარო აღწერილობას 1857 წლის 13 დეკემბრის თარიღით აქვს დართული. მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას უმორჩილესად ვთხოვო ამ მიწერილობის გამოგზავნა“.

ასე და ამგვარად, გენერალმა კოლიუბაკინმა საკუთარი განსჯის საგნად აქცია აქტი, რომელსაც თვით უმაღლესი ხელმძღვანელობაც კი არ შეხებია და რომელიც კასაციას არ ექვემდებარება.

### **III. გადასასვლელების შესახებ**

#### **მიმართვა კოლიუბაკინისადმი**

12 ივნისს გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს ვწერდი (№40):

„მდინარეებზე გადასასვლელები სამეგრელოს ფარგლებში წინა მმართველობის მიერ გაიცემოდა იჯარით. ნაწილი ამ გადასასვლელებისა დღესაც იჯარითაა გაცემული, ხოლო მეორე ნაწილი ახალი ნესწყობილების დამყარების შემდეგ კერძო პირების ხელშია ანგარიშუგებლივ.

უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სამთავრო ოჯახს ყველა პირდაპირი შემოსავალი, გარდა საქალაქო და გარე

სამუშაოზე გასვლის წერილობითი ნებართვის მოსაკრებლებისა, შენარჩუნებული აქვს.

როგორც სამთავრო ოჯახის მეურვემ, მე უნდა უზრუნველყო მისი შემოსავლები; ამასთანავე, როგორც სახელმწიფო პირი, ვალდებული ვარ, ჩემი მოქმედებები მთავრობის განზრახვლებებსა და ინტერესებს შეეუხამო.

ამიტომაც გთავაზობთ, გადასასვლელების მოვლა-პატრონობის საქმეში დავამყაროთ ისეთი წესრიგი, რომელიც დაიცავს სამთავრო ოჯახის ინტერესებს და, ამასთანავე, უზრუნველყოფს ადმინისტრაციული საქმეების შეუფერხებელ წარმოებას; კერძოდ, განზრახული მაქვს, თავად დადიანის კუთვნილი გადასასვლელები გარკვეული პირობებით გავცე იჯარით. ვინაიდან ხსენებული პირობები შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომელთა განხორციელება სამსახურებრივ მოვალეობებთან არის დაკავშირებული, მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას უმორჩილესად ვთხოვო, გაცნოს თანდართულ პროექტს იმ კონტრაქტისას, რომელიც მეურვეობის სახელით ენგურის, ტეხურის, ცხენისწყლისა და სხვ. გადასასვლელების მოიჯარებთან უნდა დაიდოს. გარდა ამისა, ვთხოვთ შემატყობინოთ იმ ცვლილებებისა თუ დამატებების შესახებ, რომლებსაც სასარგებლოდ ჩათვლით პროექტით გათვალისწინებული პირობების გასაუმჯობესებლად.

ამასთანავე, ზედმეტი არა მგონია, თქვენი აღმატებულების საყურადღებოდ ისიც დავსძინო, რომ მეურვეობის მხრიდან ხარჯების შესაძლებლობის ფარგლებში დასაზოგავად სურვილი მაქვს, შევამცირო მეურვეობის უწყებაში შემავალი სხვადასხვა თანამდებობრივ პირთა რაოდენობა. საამისოდ, გამომდინარე თანდართული პროექტის სულისკვეთებიდან, განზრახული მაქვს იჯარით გავცე მთავრის კუთვნილი შემოსავლების სხვა ნაწილებიც; კერძოდ: თევზჭერა, საბალახოსა და გასაზიდი ხე-ტყის მოსაკრებლები და სხვ.; მაქვს პატივი, თქვენს აღმატებულებას წინასწარ შევატყობინო ზოგადად პროექტისა და, კერძოდ, ხსენებულ ნაწილებთან დაკავშირებული პირობები“.

ჩემ მიერ წარდგენილი პროექტი ასეთი იყო:

„სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულის მეურვეობა განსაზღვრული დროითა და დათქმული წლიური საფასურით ამა თუ იმ მდინარის ამა თუ იმ გადასასვლელს იჯარით გასცემს შემდეგი პირობებით:

1. მოიჯარე დღიდან კონტრაქტის გაფორმებისა თავის განკარგულებაში იღებს ნაგებს, ბორნებს, სხვა მოწყობილობებს და უზრუნველყოფს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში მათს მოვლა-პატრონობასა და გამართულ მუშაობას, ვადის გასვლის შემდეგ კი ვალდებულია ეს ყველაფერი პირვანდელ მდგომარეობაში, გამართულად და დაუზიანებლად, გადასცეს მომდევნო მოიჯარეს.

2. მოიჯარე ვალდებულია: დაუყოვნებლივ და ყოველგვარი საფასურის გარეშე გადაზიდოს როგორც სახაზინო, ისე მეურვეობის კუთვნილი ტვირთები. ასევე დაუყოვნებლივ და საფასურის გარეშე გადაიყვანოს სამსახურის საქმეებზე მიმავალი მოხელეები და მეურვეობასთან სამსახურებრივად დაკავშირებული პირები.

3. მოიჯარეს უფლება აქვს, იმ პირებს, რომლებიც კერძო საქმეებზე მიდი-მოდიან, გადაახდევინოს იმის მიხედვით, თუ რა ვითარებაა მხარის სხვა მიდამოებში (აქ ჩაინერება ტაქსა, ოღონდ ტაქსა – ყოვლად ზომიერი).

4. იმ პირებთან დაკავშირებით, რომლებიც კერძო საქმეებზე მიდი-მოდიან, მოიჯარე მოვალეა, ისინი არანაირი ფულადი თუ სხვა რაიმე საზღაურის ფასად არ გადაიყვანოს წერილობითი დადასტურების გარეშე; ის პირები კი, რომელთა შესახებაც მოიჯარე წინასწარ არის ხელმძღვანელობისგან გაფრთხილებული, რომ ისინი პოლიციის მიერ იდენტიფიციან ან იძებნებიან, ან ცნობილია, რომ იმალებიან, ან კიდევ ჩანს, რომ რაიმე დაკარგული ან ნაქურდალი გადააქვთ, ან გადაჰყავთ, ვთქვათ: კონტრაბანდისტები,

ცხენის ქურდები და მისთანანი, მოიჯარე მოვალეა, ასეთი პირები ან თვითონ დააკავოს, ან ახლომახლო მცხოვრებთა დახმარებით დააპატიმროს და თავისი ბარგიტურთ დაუყოვნებლივ გაუგზავნოს უახლოეს საპოლიციო ხელმძღვანელობას.

5. მეურვე, თავის მხრივ, ვალდებულია იღებს, მფარველობა გაუწიოს და დაიცვას მოიჯარე ზემოჩამოთვლილ პუნქტებთან დაკავშირებული ყველა ნაკისრი მოვალეობის აღსრულებისას.

6. გადასასვლელის მოვლა-შენახვისა და გამართული მუშაობის საგარანტიოდ მოიჯარემ უნდა შემოიტანოს გირაო, აგრეთვე, წარმოადგინოს საზოგადოების ურთიერთთავდებობა ან სანდო პირის თავდებობა.

7. ყოველი თვის შესატანის ვადის გადაცილებისთვის მოიჯარე ჯარიმის სახით იხდის ვადაგადაცილებული თანხის 1%-ს და ეს საჯარიმო თანხა არ უნდა გადასცდეს 6%-ს. თვითონ საიჯარო თანხას იგი მეურვეობას უხდის ნახევარწლობითა და ნახევარწლიანი წინსწრებით.

8. წინამდებარე პირობების პირველი პუნქტის დარღვევისთვის მოიჯარე პასუხს აგებს მე-1 პუნქტში ნახსენები გირაოთი; მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების დარღვევისთვის იგი პასუხს აგებს თითოეულ შემთხვევაზე, როცა დამტკიცდება, რომ დარღვევა მოხდა მისი დაუდევრობით ან უყურადღებობით, ან კიდევ – შეგნებულად. ასეთი დარღვევებისთვის მოიჯარე დაჯარიმდება თითოეულ შემთხვევაზე 25 მანეთით.

9. პირობას აქვს კანონიერი ძალა და დათქმული ვადის გასვლამდე უქმდება მხოლოდ ხელშემკვრელ მხარეთა ორმხრივი თანხმობით ან უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებით. ასეთ შემთხვევაში მოიჯარე მეურვეობას ანგარიშს უსწორებს იმ დღის მონაცემებით, რა დღესაც წინამდებარე კონტრაქტი გაუქმდება.

10. კონტრაქტის დედანი, სამეგრელოს მმართველობის საბჭოს მიერ სათანადო წესით დამოწმებული, რჩება მეურვეობას, ხოლო იმავე წესით დამოწმებული ასლი – მოიჯარეს“.



## კოლიუბაკინის პასუხი

ამის პასუხად გენერალ-მაიორმა კოლიუბაკინმა 7 ივლისის პასუხი გამომიგზავნა (№2951):

„თქვენი აღმატებულების 12 ივნისის №40 წერილის პასუხად, მაქვს პატივი, გაცნობოთ: მცირეწლოვანი მთავრისა და მისი დედის ადგილ-მამულში არსებული გადასასვლელების იჯარით გაცემას არავითარი ადმინისტრაციული დაბრკოლება არ შეხვდება. რაც შეეხება თქვენი აღმატებულების მიერ გამოგზავნილ პირობის პროექტს, რომლის მიხედვითაც გადასასვლელების იჯარით გაცემა გაქვთ განზრახული, საჭიროდ მიმაჩნია, მოგაწოდოთ შემდეგი შენიშვნები: მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ტაქსა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს იმას, რაც ხელისუფლების მიერ უკვე დადგენილია სამეგრელოს ერთ-ერთ, კერძოდ, რედუტ-კალეს, გადასასვლელზე; მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ცნობა გადამსვლელისგან მოთხოვნილი უნდა იყოს სამეგრელოს საზღვარზე და არა – შიდა ტერიტორიაზე; მე-8 პუნქტში დასახელებული შემთხვევებისთვის განსაზღვრული ჯარიმის დაკისრება 25 მან. ოდენობით – საერთოდ, ასეთი საქციელისთვის პირადი შემოსავლიდან თანხის ამოღება – არღვევს სამთავრობო განკარგულებებს, რომელთა მიხედვითაც, ასეთ დროს სასჯელი უნდა განისაზღვროს სისხლისა და გამასწორებელი სამართლის დებულებით. ამ დებულების მიხედვით კი დამნაშავე სასჯელისგან ვერ გათავისუფლდება თქვენ მიერ განზრახული ფულადი ჯარიმის გადახდის ხარჯზე“.

ასე და ამგვარად, ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა გენერალი კოლიუბაკინი დამეთანხმა, მაგრამ მან ეს თანხმობა შეაპირობა ისეთი გარემოებებით, რომლებიც მთლიანად სპობს ჩემი განზრახულების განხორციელების საშუალებას. აღვნიშნავ მხოლოდ ორიოდ შედეგს, რომელიც ამ შენიშვნების

გათვალისწინებას მოჰყვება: ცხენის ქურდებს, რომელთა გამო მთელი მხარის მოსახლეობა უშედეგოდ მოთქვამს და გოდებს, არსად არავითარი დაბრკოლება არ შეხვდებათ; კონტრაბანდას, რომელიც სამეგრელოში ამჟამად გაცილებით უფრო გავრცელებულია, ვიდრე ადრე, ვერაფერი შეაჩერებს.

გარდა აქ ნახსენები საკითხებისა, ჩემსა და სამეგრელოს ხელმძღვანელობას შორის გამართული იყო მიმონერა ისეთ საკითხზე, რომელშიც სამეგრელოს ხელმძღვანელობა განსაკუთრებული მონდომებით იყო აღმდგარი მთავრის ყოვლად ცხადი და უდავო უფლების წინააღმდეგ. საქმე ეხება განარჯიის მუხურის ტყეს. მაგრამ ამ მიმონერაზე აქ ყურადღებას არ შევამჩნევ, რადგანაც ვაპირებ, ახლო მომავალში ამ საკითხზე საფუძვლიანი საჩივრით შევიდე სამეგრელოს მმართველობის საბჭოში.

მოგახსენებთ რა ყოველივე ამას, არ შემიძლია არ დავუბრუნდე გენერალ კოლიუბაკინის ერთ აზრს, წინამდებარე მოხსენების დასაწყისში მოყვანილ მის მიერ ჩემდამი მოწერილი 13 მაისის კერძო წერილში გამოთქმულს: „სამთავრო ადგილ-მამულის საქმეები ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მათ მოგვარებას ან დაუყოვნებლივ უნდა მოვკიდოთ ხელი, ან სულ დავანებოთ თავი“.

მე ამ საქმეებს ჩემი სინდისისა და ჩემი რწმენის კარნახით ხელი მოვკიდე გულწრფელი სურვილით, მომეტანა სიკეთე გლეხებისათვის და კანონიერი სარგებელი – მთავრისათვის, მაგრამ ადგილობრივი ჩინოვნიკებისა და, განსაკუთრებით, სამეგრელოს მმართველისგან მხოლოდ წინააღმდეგობას ვაწყდებოდი. ვითვალისწინებ რა გენერალ კოლიუბაკინის რჩევას, სხვა აღარაფერი დამრჩენია, დაკისრებულ საქმეს თავი დავანებო. მაგრამ იგივე სინდისი თავის დანებებას მიკრძალავს მანამ, სანამ ჩვენ შორის არსებული უთანხმოების საკითხს არ გადაწყვეტს უმაღლესი ხელისუფლება. ველოდები გადაწყვეტილებას.

7 ნოემბერი 1859 წლისა.



**შენიშვნები და კომენტარები**



## ტიქსტისათვის

წინამდებარე ტომში შესულია დიმიტრი ყიფიანის ოფიციალური და საქმიანი წერილები (1829-1859; *წერილებს ჩვენ ვუწოდებთ ადრესატისადმი – პირი იქნება იგი, ორგანიზაცია თუ კონკრეტული დაწესებულება – წერილობითი მიმართვის ყველა ფორმას: განცხადებას, თხოვნას, მიმართვას, პატაკს, ახსნა-განმარტებას, მოხსენებით ბარათს, მინდობილობას...*).

ტომში წარმოდგენილი 105 წერილიდან პირველად ქვეყნდება 97 ტექსტი.

ტექსტები დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით. მომდევნო ტომებში გაგრძელდება ამავე ტიპის (ოფიციალური და საქმიანი) წერილების ბეჭდვა. ბოლო ტომი კი დაეთმობა კერძო ხასიათის წერილებსა და წერილებს ოჯახის წევრებისადმი.

პასპორტში ვუთითებთ მონაცემებს:

ა) **ხელნაწერის დაცულობის შესახებ** [კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ხეც), გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი (ქლსმ), საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), ზუგდიდის დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ლიტერატურული არქივი (ზსიამ. ლ. ა.)].

ბ) **პუბლიკაციას (ნაბეჭდი)**, მიუხედავად იმისა, გამოქვეყნდა თუ არა იგი ავტორის სიცოცხლეში (წინამდებარე ტომში შესული არც ერთი ტექსტი ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა). იმ შემთხვევაში, როცა ხელთ გვაქვს ორივე (ბეჭდური და ხელნაწერი) ვერსია, ტექსტს ვბეჭდავთ ხელნაწერზე დაყრდნობით. თუ პასპორტში მითითებული არ არის „ნაბეჭდი“, ეს იმას ნიშნავს,

რომ **ტექსტი ხელნაწერის საფუძველზე წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება პირველად.**

გ) **თარიღს.** თუ ტექსტი დაუთარიღებელია ან ნაკლებია (მითითებულია მხოლოდ თვე და რიცხვი, ან მხოლოდ თვე, ან მხოლოდ დაწერის წელი), ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მიერ დადგენილ მონაცემს ვსვამთ კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო აუცილებელ განმარტებას ვიძლევიტ შენიშვნებსა და კომენტარებში. **თუ ავტორს თარიღთან ერთად ტექსტის დაწერის ადგილიც აქვს მითითებული, პასპორტში ვუთითებთ ორივე მონაცემს.**

დ) **ხელმოწერას.** თუ ტექსტი არაავტოგრაფული და ხელმოუწერელია, შენიშვნებსა და კომენტარებში ვუთითებთ, თუ რატომ მივაკუთვნებთ მას დიმ. ყიფიანს.

ტომში შესული ტექსტების უმრავლესობა რუსულ ენაზეა (ისინი თარგმნილია ჩვენ მიერ, გარდა ორიოდ გამონაკლისისა და გამონაკლის შემთხვევებში მთარგმნელს ვუთითებთ პასპორტშივე ან შენიშვნებში). რაც შეეხება ქართულ ენაზე დაწერილ ტექსტებს, რომლებიც წინამდებარე ტომში მცირერიცხოვანია, მათ, ცხადია, ახასიათებთ ავტორისეული გრამატიკულ-ორთოგრაფიული თუ სხვა ენობრივი თავისებურებები.

დიმ. ყიფიანი 1860-იანი წწ. ბოლომდე იყენებდა ძველ, ე. წ. ფუნქციადაკარგულ, ასოებს (ჴ, ა, ჳ, ჴ; აგრეთვე – ჶ). იგი მიიჩნევდა, რომ ეს ასოები ქართულ ენას მოქნილობასა და მუსიკალობას სძენდა, თუმცა საბოლოოდ დაემორჩილა ილია ჭავჭავაძის (ზოგადად – „თერგდალეულთა“) მიერ განხორციელებულ ცნობილ რეფორმას და 1860-1870 წწ. მიჯნიდან ამ ასოებს უკვე იშვიათად ხმარობდა. წინა (I-VI) ტომებში, გარდა დასაბუთებული გამონაკლისებისა, ძველი ასოები შეცვლილი გვაქვს და სიტყვები ახალი სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვითაა მოცემული. იგივე ვითარებაა წინამდებარე ტომშიც.

დიმ. ყიფიანის ნაწერებში ხშირად გვხვდება პარალელური ფორმები. მაგალითად: *ბრძანება/ბძანება; მობრძანდა/მობძანდა; ერთმანეთი/ერთმანერთი; გადასახადი/გარდასახადი; მანეთი/*

მანათი და სხვ.; ასეთ შემთხვევებში (და ზოგადადაც) უარს ვამბობთ ე. წ. ენობრივი უნიფიკაციის პრინციპზე და დიმ. ყიფიანის მართლწერასა და პუნქტუაციას ვტოვებთ უცვლელად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აშკარაა ლაფსუს კალამი ან კორექტურული ხარვეზი. უნიფიკაციაზე უარის თქმა იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ დიმ. ყიფიანი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირების საქმეში და სასურველია, ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესში მისი მონაწილეობის კვალი არ წაიშალოს.

ტომს ვურთავთ შემოკლებათა განმარტებებს, პირთა ანოტირებულ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლებს. კომენტარებში არ ვიძლევიტ მონაცემებს ტექსტში ნახსენებ პირთა შესახებ (გარდა ცალკეული აუცილებლობისა, როცა ესა თუ ის პირი ნახსენებია: ან მხოლოდ სახელით, ან მხოლოდ გვარით, ან ინიციალით/ინიციალებით, ან კიდევ, როცა კონტექსტი მოითხოვს აუცილებელ განმარტებას). მონაცემები პირთა შესახებ გაგვაქვს პირთა ანბანურ-ანოტირებულ საძიებელში. ამით თავი ავარიდეთ ხშირ გამეორებას, მნიშვნელოვნად განიტვირთა სამეცნიერო აპარატი და, ვფიქრობთ, მკითხველისთვისაც გაცილებით უფრო მოსახერხებელი უნდა იყოს, პირთა შესახებ მონაცემები აქა-იქ კი არ ეძებოს, არამედ ნახოს ანბანურ რიგზე დალაგებულ პირთა ანოტირებულ საძიებელში.

გეოგრაფიული სახელები საძიებელში არ შეგვაქვს ორ შემთხვევაში: ა) წიგნებისა თუ პერიოდიკის გამოცემის ადგილი (თბილისი, ტფილისი, Тифлис, Москва, Санкт-Петербург და სხვ.); ბ) როცა ესა თუ ის გეოგრაფიული სახელი პერიოდული გამოცემის სახელწოდებადაა გამოყენებული („ივერია“, „Кавказ“ და სხვ.).

ჩვენ, ცხადია, არა გვაქვს პრეტენზია, რომ წინამდებარე გამოცემაში სრულადაა წარმოდგენილი დიმ. ყიფიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა (შეუძლებელია, მაგალითად, 1852 წელს მას დანერილი არ ჰქონოდა არც ერთი ამ ტიპის ტექსტი). ვაქვეყნებთ



იმას, რაზედაც ხელი მიგვიწვდა, ხოლო დანარჩენის მოძიება სიძველეთსაცავებში (განსაკუთრებით, საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში) მომავლის საქმეა და ამ საქმეს, იმედია, როდისმე თავისი პატრონი გამოუჩნდება.

**1. თავადაზნაურობის დეპუტატთა  
საკრებულოსადმი  
(გვ. 15-16)**

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 213. აღწ. I. საქ. №414 ფ. 1-2; დიმ. ყიფიანის ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. **თარიღი:** 1829 წ. 8 იანვარი. **ხელმოწერა:** აზნაური ქაიხოსრო ყიფიანი, პრაპორშჩიკი. აზნაური დიმიტრი ყიფიანი.

საბუთი დევს საქმეში: Дело Тифлисского дворянского депутатского собрания о дворянском достоинстве Кайхосро и Димитрия Кипиани. Началось 28 сентября 1839 г. Кончилось 11/VI 1856 г. На 65 лист [ტფილისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს საქმე ქაიხოსრო და დიმიტრი ყიფიანების აზნაურული ღირსების შესახებ, დაწყებული 1839 წ. 28 სექტემბერს, დამთავრებული 11/VI 1856 წ. 65 ფურცლზე].

იქვე სრულადაა თხოვნაში ნახსენები „სამი ღრამატის“ ტექსტები (ფ. 3-5), აგრეთვე, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“), დავით თარხან-მოურავის, მიერ გაცემული „მონმობა“, რომელსაც ხელს აწერენ ქართლელი თავადები: შანშე და შალვა ერისთავები, ნიკოლოზ და ზაზა ციციშვილები, ლუარსაბ მეღვინეთუხუცესი, აზნაური გარსევან შატბერაშვილი და სხვ.]. ისინი ადასტურებენ „ღრამატების“ ნამდვილობასა და ყიფიანთა აზნაურულ „ღირსებასა და პატივს“ [ფ. 7; მონმობაში, გარდა ქაიხოსრო და დიმიტრი ყიფიანებისა, აზნაურებად მითითებულნი არიან აგრეთვე მათი ძმები: გიორ-

გი და იოსებ ყიფიანები (ტექსტი „მონუმობისა“ იხ. ყიფიანი 2020: 417)]. იქვეა ქაიხოსრო და დიმიტრი ყიფიანების „თხოვნის“ რუსული თარგმანი (Перевод с Грузинского 9-го января 1829 – ფ. 12-13). ქართულ დედანს ახლავს დიმ. ყიფიანის მინაწერი: „ნამდვილი სიგელი მეფის ირაკლისა ყაბ-ი ამასთან წარმოდგენილი საჭიროებისა გამო უკანვე მივიღე მე, დიმიტრი ყიფიანმა, ვებერვლის იგ[13]-სა დღესა ჩყლ[1830] წელსა.

<sup>1</sup> (გვ. 15) **„საქართველოს...“** – იმდროინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მონყობის მიხედვით, აქ საქართველო ნიშნავს ქართლ-კახეთს (აღმოსავლეთ საქართველოს, უფრო გვიანდელ თბილისის გუბერნიას).

<sup>2</sup> (გვ. 15) **„ღრამატანი იმერეთისა და საქართველოს მეფეთაგან ბოძებულნი“** – ღრამატა (რუს. Грамота): ოფიციალური მიწერილობა, საბუთი (სიგელი).

<sup>3</sup> (გვ. 15) **„გიორგობის თვის ა[1]-სა ყაბ წელსა“** – ასეა დედანში. რუსულ თარგმანშია: „1-го ноября 1774 года“.

<sup>4</sup> (გვ. 16) **„ჩუენ ვსწარმოებთ იმ აზნაურთ ყიფიანთ გვარისაგან, რომელიც აღმოჩენილ არს საქართველოს მეფის ირაკლისაგან წარდგენილსა, და განსუენებულის ხელმწიფა იმპერატრიცა ეკატერინესაგან დამტკიცებულსა ტრახტატსა შინა ჩღპგ-ს წელსა“** – ტრახტატსა შინა: იგულისხმება 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის ერთ-ერთ დანართში (ნუსხა ქართლ-კახეთის თავადებისა და აზნაურებისა) „თავადის აბაშიძის აზნაურთა“ ჩამონათვალში მითითებულია „აზნაური ყ ი ფ ი ა ნ ი“ (სამართლის ძეგლები 1965: 489). საქმე ისაა, რომ იმერელი აბაშიძეების სამფლობელოს ნაწილი ქართლშიც გადმოდიოდა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ქაიხოსრო და ვახტანგ ბატონიშვილების წყალობის სიგელი ვახუშტი ლევანის ძე აბაშიძისადმი, დათარიღებული 1711 წლის 10 მაისით, რომლის მიხედვითაც, ქვიშხეთი, ტაშისკარი, ტეზერი და ქართლის ზოგიერთი სხვა სოფელი საა-

ბაშიო მამულადაა დამტკიცებული (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1913, ფ. 2).

მიუხედავად აბაშიძეებისადმი აზნაურ ყიფიანთა დაქვემდებარებისა, მათ შორის ხშირი იყო შეტაკებები (ერთმანეთის ხოცვა, ციხეების წართმევა, ახალციხეში მონად გაყიდვა და სხვ.). საკითხის გარშემო მეტად საინტერესო საბუთი აქვს გამოქვეყნებული ი. დოლიძეს [სამართლის ძეგლები 1977: 309-311; აგრეთვე: 1792 წელს ერეკლე II წერილს სწერს სახლთუხუცეს გიორგი აბაშიძეს და სთხოვს, რომ მან დავით ყიფიანს ჩამორთმეული თანამდებობა („სახელო“) დაუბრუნოს (თაყაიშვილი 1910: 171-172) და სხვ.]. გამონაკლისი არ ყოფილა მამა დიმიტრისა – ივანე (იოანე, ქოჩო) ყიფიანი, რომელიც აბაშიძეებთან კონფლიქტის გამო გაეცალა „სააბაშიოს, სადაც აბაშიძეებისაგან შევიწროებული იყო და ჩაესიძა მშვიდობიანს ფურცელაძის ოჯახში, მშვიდობიანსა და წყნარს მერეთში“ (ყიფიანი 1894: 70). მოღწეულია იოანე ევგენის ძე აბაშიძის ბარათი თავისი აზნაურის – ივანე (ქოჩო) ყიფიანისადმი, რომელშიც ბარათის ავტორი ადრესატს „მამის ჩემის მამთბრელს და მისი შვილების ძვლების მჭამელს“ უწოდებს და „მუხლისჩოქით“ ევედრება, დამეხსენ, რომ არ მოგკლავ [ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1898, ფ. 1; 1810 წელს ივ. ყიფიანი იმერეთში ოკრიბის მოურავადაა დანიშნული (აქტები 1870: 258); გარდაიცვალა იგი 1814 წელს (ხეც. დიმ ყიფიანის არქ., №511, ფ. 2). მეუღლესთან, ბარბარე ფურცელაძესთან, ერთად დაკრძალულია სოფ. მერეთის „[ნმ. გიორგის] ეკლესიის კარებთან“ (გომართელი 1966: 117)]. 1807 წელს ყიფიანთა ივანეს (ქოჩოს) შტომ საბოლოოდ დაიხსნა თავი აბაშიძეების ბატონობისაგან – ამ წლიდან ისინი „სახელმწიფო გასამყრელოთ“ არიან აყვანილნი და გორის მაზრის სახაზინო აზნაურებად ირიცხებიან [სეა. ფონდი №213 (I აღწ.), საქ. №414, ფ. 7; ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №511, ფ. 1; დანელია 1993-1994: 464, 467].

**2. თავადაზნაურობის დეპუტატთა  
საკრებულოსადმი  
(გვ. 16-17)**

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 213. აღნ. I. საქ. №414. ფ. 49. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 49. **თარიღი:** 1830 წ. 29 მარტი. **ხელმოწერა:** Дворянин Димитрий Кипианов.

<sup>1</sup> (გვ. 16) „...ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც გიმნაზიად უნდა გადაკეთდეს“ – თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა 1830 წელს [გიმნაზია გაიხსნა 1830 წ. მარტში, ხოლო მასთან არსებული პანსიონი – იმავე წლის დეკემბრის ბოლოს (ხუნდაძე 1951: 22)].

<sup>2</sup> (გვ. 16) „მოვეწყო ახალდაარსებული სასწავლებლის კეთილშობილთა პანსიონში“ – მოგვიანებით დიმ. ყიფიანმა გიმნაზიაში სწავლა (შესაბამისად, გიმნაზიის პანსიონში მონყობა) გადაიფიქრა (იხ. მომდევნო წერილი).

**3. თავადაზნაურობის დეპუტატთა  
საკრებულოსადმი  
(გვ. 17-18)**

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 213. აღნ. I. საქ. №414. ფ. 50. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1830 წ. 8 მაისი. **ხელმოწერა:** Дворянин Димитрий Кипианов.

<sup>1</sup> (გვ. 17) „არ შემეძლო საგიმნაზიო სწავლის გაგრძელება“ – დიმ. ყიფიანმა გიმნაზიაში სწავლა ხელმოკლეობის გამო ვერ შეძლო (ხუნდაძე 1951: 9).

<sup>2</sup> (გვ. 17) „სამსახურში მიღების თხოვნით ტფილისის სამაზრო სასამართლოს მივმართე“ – არც სამაზრო სასამართლოში და არც ამის შემდეგ თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში თარჯიმნად მიღებული დიმიტრი ციფიანი სამსახურში არ დაამტკიცეს, რადგანაც, როგორც იგი თავის „მემუარებში“ წერს, აზნაურობის დამადასტურებელი მოწმობა ვერ წარადგინა (ციფიანი 2020: 146). აზნაურობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემაზე კი ქაიხოსრო და დიმიტრი ციფიანებს 1831 წ. 8 ივნისს უარი იმიტომ ეთქვათ, რომ, „როცა ციფიანები [იმერელი] თავადების, აბაშიძეების, მფლობელობაში იყვნენ, ისინი სააზნაურო ბეგარას იხდიდნენ იმ წესით, რა წესიც საქართველოში (ანუ ქართლ-კახეთში – თ. ჯ.) იყო დამკვიდრებული“ (სეა. ფონდი 213. აღწ. I. საქ. №414. ფ. 53).

1836 წლის 4 დეკემბერს თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ ქაიხოსრო და დიმიტრი ციფიანებისთვის აზნაურობის წოდების დამტკიცების თაობაზე სათანადო დოკუმენტების თანდართვით ოფიციალური თხოვნით საქართველოს უმაღლეს მთავრობას მიმართა (დანელია 1993-1994: 447). 1839 წელს მთავრობის კომისიამ ჯერ უარყო დოკუმენტების ნამდვილობა, საბოლოოდ კი, იმავე კომისიამ, იმავე 1839 წელს დიმიტრი ციფიანსა და მის ძმებს აზნაურობა მაინც დაუმტკიცა (დოკუმენტური მასალა იხ. დანელია 1993-1994: 463-469).

საკითხის შესახებ სიმონ ხუნდაძე დიმიტრი ციფიანის „მემუარების“ კომენტარებში წერს: „1830 წ. მთავრობამ აღმოაჩინა ფალსიფიკატორთა ჯგუფი, რომელიც ამზადებდა ყალბ დოკუმენტებს აზნაურობისა და თავადობის სახელწოდების მისაღებად. ამ გარემოებამ გამოიწვია უმაღლესი კომისიის დანიშვნა, რომელსაც უნდა გამოერკვია მიმდინარე საქმეებში შესული ქართული დოკუმენტებისა და ღრამატების ღირსება; მაგრამ ამ მუშაობის დასრულებამდე შეჩერებული იქნა ის საქმეებიც, რომელიც აზნაურობისა და თავადობის ღირსების მოპოვებას ეხებოდა და აგრეთვე ის დავის საქმეებიც, რომელიც მეფეების

გრამოტებს ეყრდნობოდა. ამ გარემოებამ დიდი არევე-დარევა გამოიწვია საქ[ართველოს] წოდებათა ურთიერთობაში და დაბადა უკმაყოფილება თვით თავადაზნაურობაში. მხოლოდ 1844 წ. გამოიცა სენატის განკარგულებით ახალი დებულება აზნაურობისა და თავადობის ღირსების დამტკიცების შესახებ“ [ყიფიანი 2020: 416-417; უფრო ვრცლად მსჯელობს ამ საკითხის შესახებ თვითონ დიმ. ყიფიანი (ყიფიანი 2020: 169-180)].

1836

#### 4. ნიკოლოზ ნოჟევისადმი (გვ. 18-19)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №123. ავტოგრაფი. გადათეთრებული. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1836 წ. 19 ივლისი. **ხელმოწერა:** Вологодского губернского правления секретарь 10-го класса Дмитрий Кипианов.

პატაკის ადრესატია ვოლოგდის ვიცე-გუბერნატორი (1832-1838 წწ.), ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник) **ნიკოლოზ ვასილის ძე ნოჟევი** (1778-1849). ერთხანს იყო ვოლოგდის სახაზინო პალატის თავმჯდომარე. გარდაიცვალა ვოლოგდაში, იქვეა დაკრძალული.

ტექსტს დართული აქვს დიმ. ყიფიანის მინაწერი (რუსულ ენაზე): „ეს ჩემი მიმართვა წარედგინა საგარეო საქმეთა მინისტროს [МИД] ა. წ. 21 ივლისს (№40). იქვე (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №124) დაცულია რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ დიმიტრი ბლუდოვის 1836 წ. 12 აგვისტოს წერილი ვოლოგდის გუბერნატორისადმი – იმპერატორის ბრძანებით დიმ. ყიფიანს პეტერბურგში სამსახურში არ მიიღებნო.

ვიდრე დიმ. ყიფიანის წინამდებარე პატაკი დაიწერებოდა, მან შვებულების პეტერბურგში გატარების უფლება ითხოვა. დიმ. ყიფიანის ამ სურვილს პეტერბურგის უმაღლესი ხელისუფლების საგანგებო რეაქცია მოჰყვა – 1836 წ. 28 ივნისს დიმ. ბლუდოვი ვოლოგდის ხელისუფლებას მიმართავს წერილით, რომელსაც აქ სრულად ვიმონებთ:

„ს ა ი დ უ მ ლ ო დ

ბ-ნ ქალაქ ვოლოგდის სამხედრო გუბერნატორის  
მოვალეობის შემსრულებელსა და ვოლოგდის  
სამოქალაქო გუბერნატორს –

თქვენი აღმატებულების ამა თვის 26 ივნისის [დიმ. ყიფიანს გადაწერილ პირში შეცდომა გაუსწორებია: ამა თვის 9 ივნისის – თ. ჯ.) მომართვის შესახებ, რომლის მიხედვითაც ტფილისის გიმნაზიის ყოფილ მასწავლებელს, დიმიტრი ყიფიანოვს, 28-დღიანი შვებულების გატარება ს.-პეტერბურგში სურს, მე მივმართე სამხედრო სამინისტროს მმართველს, რომელიც ახლა მატყობინებს – ჩემი უქვეშევრდომილესი მოხსენების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა გავარკვიოთ: რა კონკრეტული საჭიროებისთვის სურს ყიფიანოვს ს.-პეტერბურგში ჩამოსვლა?

აღნიშნული უმაღლესი ნების აღსასრულებლად უმორჩილესად ვთხოვ თქვენს აღმატებულებას, დაუყოვნებლივ ჩამოართვათ ხსენებულ ყიფიანოვს ახსნა-განმარტება და მისი პასუხი მაცნობოთ.

შინაგან საქმეთა მინისტრი, სტატუს-სეკრეტარი  
**დ. ბლუდოვი**

28 ივნისი 1836“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №122. ფ. 1; გადაწერილია დიმ. ყიფიანის ხელით).



მიუხედავად იმისა, რომ 1836 წლის აპრილში უმაღლესი ბრძანებით დიმ. ყიფიანს პოლიციის ზედამხედველობა მოუხსნეს (დანელია 1993-1994: 448), მას, როგორც ჩანს, პეტერბურგში მაინც არ ენდობოდნენ და დიმ. ბლუდოვის ზემოთ დამონმებული წერილი სწორედ ამაზე უნდა მეტყველებდეს. რაც შეეხება შვებულების საკითხს, საბოლოოდ დიმ. ყიფიანისთვის მაინც მიუციათ უფლება, შვებულება პეტერბურგში გაეტარებინა. ამის შესახებ აღნიშნულია მის ნამსახურობის სიაში (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29. გრაფა XIII: Был ли в отпусках... [ნამყოფია თუ არა შვებულებაში...]): „Был в отпуску с Высочайшего разрешения в С. Петербург на 28 дней с 29 сентября 1836 года и на срок явился“ [„უმაღლესი ნებართვით 1836 წლის 29 სექტემბრიდან 28 დღით შვებულებაში იმყოფებოდა ს.-პეტერბურგში და უკან დროზე დაბრუნდა“]; იგივე წერია დიმ. ყიფიანის კიდევ ერთ ნამსახურობის სიაში (სეა. ფონდი 2. აღწ. I. საქ. №6166, ფ. 6).

<sup>1</sup> (გვ. 18) **„ვიყავი ბ-ნი სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი“** – ა) *სამოქალაქო გუბერნატორი*: იგულისხმება **სტეფანე კუზმინი** [ვოლოგდაში 1834 წ. ჩასულ დიმ. ყიფიანს იქაურ გუბერნატორად *ნიკოლოზ ბრუსილოვი* დახვდა, რომელიც *ჯერ სტეფანე კუზმინმა*, შემდეგ *კი დიმიტრი ბოლოგოვსკიმ (ბოლოგოვსკიმ) შეცვალეს*]; ბ) *კანცელარიის მმართველის მოვალეობის შესრულებისა და ზოგადად ვოლოგდაში ცხოვრებისა და სამსახურის შესახებ* იხ. დიმ. ყიფიანის „მემუარები“ (ყიფიანი 2020: 147-150).

## 5. ნიკოლოზ პირველისადმი (გვ. 19-20)

**ნაბეჭდი:** ფ. დანელია. „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იზადებიან“. დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 65-66. 1993-1994. გვ. 449-450. **თარიღი:** 1838 წლის 3 აპრილი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** Секретарь управляющего Имеретией 10-го класса Димитрий Иванов сын Кипиани.

ესა და ორი მომდევნო წერილი (№№6-7) დიმ. ყიფიანის ადრეული პერიოდის სამსახურს ეხება – ვოლოგდის გადასახლებიდან 1837 წლის თებერვალში დაბრუნებული დიმ. ყიფიანი საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციაში მიიღეს, ცოტა ხნით სტატისტიკურ კომიტეტში გადაიყვანეს, შემდეგ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელედ განაწესეს, ხოლო 1837 წლის ივნისში იგი მთავარმართებელ გრ. როზენის მიერ იმერეთის მმართველის, გენერალ იეკიმ ესპეხოს, მდივნად იქნა ქუთაისში დანიშნული (იხ. დიმ. ყიფიანის სამსახურობის სია – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29). იმერეთში სამსახურის, იქ შექმნილი სირთულეებისა და თბილისში გადმოსვლის აუცილებლობის, აგრეთვე, ამ საქმესთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ დიმ. ყიფიანი ვრცლად წერს თავის „მემუარებში“ (ყიფიანი 2020: 151-156). საბოლოოდ მთელი ეს პროცესი იმით დასრულდა, რომ დიმ. ყიფიანი 1839 წლის 16 იანვარს თბილისში დააბრუნეს და მთავარმართებელ ევგენი გოლოვინის კანცელარიის მოხელედ დაამტკიცეს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29; ოფიციალური მიმონწერა საკითხის შესახებ იხ. დანელია 1993-1994: 449-463).

აქვე უნდა ითქვას, რომ რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე მმართველობით სისტემაში ახალგამოცხადებულ ვაკანსიაზე დამტკიცებისთვის იმპერატორის ფორმალური ნებართვა იყო საჭირო.

<sup>1</sup> (გვ. 19) „ზაკავკაზსკი ვესტნიკის“ რედაქტორის ვაკანსიასთან დაკავშირებით...“ – გაზეთი „Закавказский вестник“ („ამიერკავკასიის მაცნე“) დაარსდა თბილისში 1838 წელს და მის პირველ რედაქტორად დაინიშნა დიმ. ყიფიანი, თუმცა ამ დროს იგი ჯერ კიდევ ქუთაისში იმერეთის მმართველ ი. ესპეხოს მდივნად მსახურობდა, გაზეთის მუშაობაში პრაქტიკულ მონაწილეობას ვერ იღებდა, გაზეთს ხელს არ აწერდა და, შესაბამისად, მისი რედაქტორობა მხოლოდ ფორმალური ხასიათისა იყო [საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2018: 408-409; უფრო ვრცლად – ჯოლოგუა 2002: 99-101; გაზეთ „ზაკავკაზსკი ვესტნიკსა“ და მის ქართულ დამატებაზე („კავკასიისა მხარეთა უწყებანი“), აგრეთვე, ლიტერატურა საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2013: 98-104].

## 6. იეკიმ ესპეხოსადმი

(გვ. 20-21)

**ნაბეჭდი:** ფ. დანელია. „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან“. დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 65-66. 1993-1994. გვ. 459-460.  
**თარიღი:** 1838 წლის 25 ოქტომბერი. **ხელმოწერა:** Секретарь 10-го класса Кипиани.

მიმართვის ადრესატია გენერალ-მაიორი **იაკიმ (იეკიმ, აკიმ) ესპეხო** [Аким (Яким) Михайлович Эспехо] (1792-1847),

იმერეთის (მასში შედიოდა გურიაც) მმართველი (1837-1841). ვოლოგდის გადასახლებიდან დაბრუნებული დიმ. ყიფიანი ერთხანს გენერალ ესპეხოს მდივნად მსახურობდა ქუთაისში. ი. ესპეხო იყო ესპანელი (გრანადიდან), რომელმაც 1810-იან წწ. რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო (რუსეთის არმიაში ჩაირიცხა 1818 წ.). იგი იყო რუსეთ-ირანის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთისა (1828-1829) და „კავკასიის“ ომების მონაწილე. იმერეთის მმართველის თანამდებობის დატოვების შემდეგ გენერალურ შტაბში მსახურობდა, 1847 წ. კი დაინიშნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად, თუმცა ამ თანამდებობაზე ყოფნა დიდხანს არ დასცალდა – იმავე წლის 30 ნოემბერს ი. ესპეხო ქუთაისშივე გარდაიცვალა [ბიოგრაფიული ცნობები ი. ესპეხოს შესახებ იხ. აქტები 1881: XVIII; მისი და დიმ. ყიფიანის ურთიერთობის შესახებ იხ.: ყიფიანი 2018: 404-405; ყიფიანი 2020: 151-156; ი. ესპეხოს წერილები ბორის ჭილაშვილისადმი (ჩილიაევისადმი) იხ. რუსკი არხივ 1904: 132-134)].

მმართვეაში ნახსენები გარემოებების შესახებ იხ. აქვე, გვ. 313.

<sup>1</sup> (გვ. 20-21) „...**მისი აღმატებულების მონწერილობა ... უარი მეთქვა ხელფასის მომატებაზე**“ – ა) *მისი აღმატებულება*: იგულისხმება მთავარმართველი *ევგენი გოლოვინი*; ბ) *მონწერილობის ტექსტი* იხ. დანელია 1993-1994: 459.

<sup>2</sup> (გვ. 21) „**უნდა შევინახო ჩემი ხელფასით ოჯახი, რომელიც არანაკლებ 17 წევრისაგან შედგება**“ – დიმ. ყიფიანი ამ დროს ჯერ კიდევ უცოლშვილო იყო. *ოჯახში* იგი, უნდა ვიფიქროთ, გულისხმობს დედობილ-მამობილს [მარიამ ყიფიანი, ნიკიფორე ფიოდოროვი (მათ შესახებ იხ. ყიფიანი 2021: 366-367)], აგრეთვე, დაძმებსა და მათს ოჯახებსაც (იხ. ყიფიანი 2020: 412) [მამა, ივანე (ქოჩო) ყიფიანი, დიმ. ყიფიანს 1814

წელს გარდაეცვალა (იხ. აქვე, გვ. 307), ხოლო რაც შეეხება დედას, ბარბარე ფურცელაძეს, იგი 1834 წლის 5 თებერვალს ვოლოგდაში შვილს წერილს სწერს (ყიფიანი 2020: 412\*), თუმცა დახვდა თუ არა გადასახლებიდან დაბრუნებულ დიმი. ყიფიანს დედა ცოცხალი, ეს ჩვენთვის ხელმისაწვდომ წყაროებში არ ჩანს].

<sup>3</sup> (გვ. 21) „...ამას ახლავს სათანადო პასუხისმგებლობა“ – დიმი. ყიფიანი აქ დელიკატურობას იჩენს და არ განმარტავს, თუ რას გულისხმობს სათანადო პასუხისმგებლობაში – წარმოშობით ესპანელმა ი. ესპეხომ რუსული ენა, რბილად რომ ვთქვათ, სუსტად იცოდა, საქმეებს თავს ვერ ართმევდა და ამიტომ დიმი. ყიფიანს, ფაქტობრივად, იმერეთის მმართველის მოვალეობის შესრულება უწევდა. ამის შესახებ მოგვიანებით იგი თავის „მემუარებში“ დაწერს: „არ შეიძლებოდა... არ შემშინებოდა იმ უფლებისა, 22-23-ის წლის ყმაწვილ-კაცს რომ ხელში ჩამივარდა. – არც ადმინისტრაციულს, არც სასამართლოს საქმეებში არავინ არ იყო ხელმძღვანელი, რასაც დავსწერდი, წაუშლელი იყო“ (ყიფიანი 2020: 154).

1839

## 7. ევგენი გოლოვინისადმი

(გვ. 21-22)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 2. აღწ. 1. საქ. №6164. ფ. 1. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. **ნაბეჭდი:** ფ. დანელია. „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან“. დიმიტრი ყიფიანი

---

\* დედის მიერ დიმი. ყიფიანისთვის ვოლოგდაში გაგზავნილი წერილის თარიღად ერთგან მითითებული გვაქვს 1835 წლის 15 სექტემბერი (ყიფიანი 2021: 366), რაც შეცდომაა – სინამდვილეში წერილი 1834 წლის 5 თებერვლითაა დათარიღებული (დედანი იხ. ქლსმ №14936-ხ).

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო სა- ისტორიო არქივის მასალების მიხედვით. „საისტორიო მოამ- ბე“. [ტ.] 65-66. 1993-1994. გვ. 462-463. **თარიღი:** 1839 წლის 5 იანვარი. ტფილისი. **ხელმოწერა:** Чиновник 10-го класса Димитрий Иванов сын Кипиани.

ტექსტს თავზე უცნობი ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მიღებულია 1839 წ. 7 იანვარს“. წერილში ნახსენები გარემოე- ბების შესახებ იხ. აქვე, გვ. 313.

მოხსენებითი ბარათის ადრესატია ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კორპუსის მეთაური (1837-1842) **ევგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი** (1782-1858). კავკასიიდან წასვლის შემდეგ ე. გოლოვინი ბალტიისპირეთის ქვეყნების გენერალ-გუბერნატორი იყო (1845-1848). 1848 წლიდან – რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი. იგი ავტო- რია 1847 წ. რიგაში გამოცემული წიგნისა „Очерк положения военных дел на Кавказе, с начала 1838 по конец 1842 года“ [„ნარკვევი სამხედრო საქმის მდგომარეობის შესახებ კავკა- სიაში 1838 წლის დასაწყისიდან 1842 წლის დასასრულამდე“]. 1840-იან წწ. თბილისის მთავარ ქუჩას ევგენი გოლოვინის სახე- ლი ერქვა (1918 წლიდან რუსთაველის პროსპექტი).

<sup>1</sup> (გვ. 22) **„თქვენმა აღმატებულებამ თავის პასუხში ეს შეუ- ძღებლად მიიჩნია“** – იგულისხმება ე. გოლოვინის მიწერილო- ბა ი. ესპეხოსადმი (ტექსტი მიწერილობისა იხ. დანელია 1993- 1994: 459).

<sup>2</sup> (გვ. 22) **„უმორჩილესად გთხოვთ, მიმილოთ თქვენს კანცელარიაში“** – მთავრმართებელ ე. გოლოვინის კანცელარი- ის მოხელედ დიმ. ყიფიანი 1839 წ. 16 იანვარს დაამტკიცეს (დანელია 1993-1994: 463; აგრეთვე, დიმ. ყიფიანის ნამსახ- ურობის სია – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29).

## 8. ანდრეი ივანოვისადმი (გვ. 23-24)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №732. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1844 წ. 12 თებერვალი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატია პეტერბურგელი წიგნით მოვაჭრე და გამომცემელი ანდრეი ივანეს ძე ივანოვი.

<sup>1</sup> (გვ. 23) „ტფილისის ბიბლიოთეკას“ – იგულისხმება დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ (1842-1848) – საზოგადოებრივ ინიციატივაზე დაფუძნებული პირველი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება XIX ს. საქართველოში, რომლის დამფუძნებელი წევრები იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები და სხვ. (ბიბლიოთეკის, მათ შორის, მისი წიგნადი ფონდის, შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2020: 264-270, 464-467; ვრცლად – ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 7-73).

<sup>2</sup> (გვ. 23) „სიაშია მითითებული“ – დიმ. ყიფიანის წერილს დართული აქვს უცნობი ხელით შედგენილი სია წიგნებისა, აგრეთვე, 1844 წ. 11 თებერვლის თარიღით გამონერილი ქვითარი პეტერბურგში ანდრეი ივანოვის სახელზე 150 მანეთის გაგზავნის შესახებ.

<sup>3</sup> (გვ. 23) „ერთი კვირის შემდეგ – მეორე პარტია...“ – იმ დროს თბილისში რუსეთიდან ფოსტა კვირაში ერთხელ (პარასკეობით) ჩამოდიოდა.

<sup>4</sup> (გვ. 24) „თქვენ გარდა საქმეს არავისთან არ დავიჭერ“ – მანამდე (1843 წ.) დიმ. ყიფიანს ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით წერილობითი ურთიერთობები ჰქონდა სხვა პეტერბურ-

გელ წიგნით მოვაჭრეებთან (ვ. პოლიაკოვი, ი. იუნგმეისტერი – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №208).

1845

### 9. ანდრეი ივანოვისადმი

(გვ. 24-25)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №733. ავტოგრაფი. შავი. ფ. 2. **თარიღი:** 1845 წ. 16 მარტი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატია პეტერბურგელი წიგნით მოვაჭრე და გამომცემელი ანდრეი ივანეს ძე ივანოვი. ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „К ИВАНОВУ“ [„ივანოვს“].

<sup>1</sup> (გვ. 24) „ტფილისის ბიბლიოთეკასთან“ – იხ. წერილი №8, კომენტ. 1.

<sup>2</sup> (გვ. 24) „თქვენი 31 მარტის წერილი №5362 მივიღე“ – ა. ივანოვის ეს წერილი (31.III, 1844) იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №215.

<sup>3</sup> (გვ. 25) „შტიბელტის სკოლა“ – როგორც ჩანს, იგულისხმება გერმანელი კომპოზიტორისა და პიანისტის, დანიელ შტიბელტის, მიერ გამოცემული „ფორტეპიანოზე დაკვრის სკოლა“ (1805).

<sup>4</sup> (გვ. 25) „Vert de gris“ (ფრანგ.) – [შერეული] მწვანე და ნაცრისფერი, მომწვანო-მონაცისფრო.

### 10. ანდრეი ივანოვისადმი

(გვ. 25-26)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №733. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1845 წ. 2 აპრილი. ხელმოუწერელი.



წერილის ადრესატია პეტერბურგელი წიგნით მოვაჭრე და გამომცემელი ანდრეი ივანეს ძე ივანოვი. ტექსტს თავზე დიმიტრი ივანის ხელით აწერია: „К Иванову-же“ [„ივანოვსვე“].

<sup>1</sup> (გვ. 26) „თავისი პროცენტებით, როგორც ამას გწერდით“ – იხ. წერილი №9.

<sup>2</sup> (გვ. 26) „Библиотека для чтения“ – უნივერსალური ხასიათის (ინფორმაცია, სამრეწველო საქმე, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება...) ყოველთვიური ჟურნალი (გამოდიოდა პეტერბურგში 1834-1865 წწ.).

<sup>3</sup> (გვ. 26) „Revue Étrangère“ [„საზღვარგარეთის მიმოხილვა“] – ფრანგულენოვანი სალიტერატურო, სახელოვნებო და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი („Revue étrangère de la littérature, des sciences et des arts“). გამოდიოდა პეტერბურგში 1832-1863 წწ.

<sup>4</sup> (გვ. 26) „Северная пчела“ – პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი (გამოდიოდა პეტერბურგში 1825-1864 წწ.).

<sup>5</sup> (გვ. 26) „შტიბელტის სკოლა“ – იხ. წერილი №9, კომენტ. 3.

## 11. მიხეილ ვორონცოვისადმი

(გვ. 26-27)

**ნაბეჭდი:** პ. გუგუშვილი. ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის (ახალი მასალები). ჟურნ. „მნათობი“, 1937, №4, გვ. 137-138 (რუსულ ენაზე); შ. ჩხეტია. ნიკოლოზ ბარათაშვილი (მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ). I. თბილისი: 1945, გვ. 347-348 (რუსულ ენაზე). **თარიღი:** 1845 წ. 30 ოქტომბერი. **ხელმოწერა:** Генерал-лейтенант Ладинский. Исполняющий должность директора Кипиани.

პაატა გუგუშვილის ვარაუდით, მიუხედავად ორი პირის ხელმოწერისა, მიმართვის ტექსტის ერთპიროვნული ავტორი

დიმ. ყიფიანი უნდა ყოფილიყო [„დიმიტრი ყიფიანის მიერ უნდა იყოს შედგენილი“ – გუგუშვილი 1937: 137; ამასვე ვარაუდობს მის. ხელთუბნელიც (ხელთუბნელი 1940: 374)]. თავის მხრივ, მის. ვორონცოვმა დააკმაყოფილა წინამდებარე მიმართვა და კავკასიის სახაზინო პალატას 1845 წლის 11 დეკემბრის განკარგულებით დაავალა, მელიტონ ბარათაშვილისთვის შეენარჩუნებინათ გარდაცვლილი შვილის წლიური ჯამაგირი – 750 მანეთი ვერცხლით (გუგუშვილი 1937: 139; ჩხეტია 1945: 351). უნდა ითქვას, რომ ნ. ბარათაშვილსა და დიმ. ყიფიანს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ [იხ. დიმ. ყიფიანის 1865 წ. 5 აპრილის წერილი შვილის – ნიკოლოზ ყიფიანისადმი: ქლსმ №14920-ბ; ლეონიძე 1940: 407-411; აგრეთვე, დიმ. ყიფიანის მეუღლის, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის, მოგონება ნ. ბარათაშვილის შესახებ: „ნიკო დიდი მეგობარი იყო დიმიტრისა და დილიდან სალამომდე ჩვენთან რჩებოდა: აქ სადილობდა, აქ ვახშმობდა, ეგაა მხოლოდ, ღამეს არ ათევდა ჩვენსას“ (ბარათაშვილი 1922: 298-299)]. ნ. ბარათაშვილი იყო დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი (ჯოლოგუა 2022<sup>o</sup>: 16, 28).

წერილის ადრესატია გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი („ნამესტნიკი“) და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1844-1854; კავკასიის მართვას პრაქტიკულად 1845 წლის გაზაფხულიდან შეუდგა) **მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი** (1782-1856), რომლის მმართველობითმა კურსმა უაღრესად მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციები გამოიწვია XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში. ბრიტანულ პოლიტიკასა და დიპლომატიაზე აღზრდილი მის. ვორონცოვი მიიჩნევდა, რომ ეთნოფსიქოლოგიური, ენობრივი, რელიგიური და კულტურული ნაირგვარობა იმპერიას კი არ ასუსტებდა, არამედ – აძლიერებდა. იგი კავკასიაში სამსახურს

დათანხმდა მას შემდეგ, რაც ნიკოლოზ პირველისგან მიიღო ადმინისტრაციული ავტონომიის გარანტიები და ეს უფლება მან, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკური ასიმილაციის, ხოლო, მეორე მხრივ, მკაფიოდ გამოხატული ევროპეიზაციის გზით ქართული კულტურის სისტემური სახით აღორძინებისთვის საჭირო ნიადაგის მოსამზადებლად გამოიყენა. თავისი კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმის განხორციელებაში იგი ძირითადად ეყრდნობოდა ადგილობრივ ინტელექტუალურ ძალებს და, განსაკუთრებით, დიმ. ყიფიანს, რომელმაც მიხ. ვორონცოვის რეფორმისტული გეგმები ქართველთა ეროვნულ-კულტურულ ინტერესებისა და საჭიროებების სამსახურში ჩააყენა (მიხ. ვორონცოვის „კავკასიური პოლიტიკის“ რაობისა და შედეგების, აგრეთვე, მისი მმართველობითი კურსისა და დიმ. ყიფიანის „ეროვნული ხსნის პროგრამის“ ურთიერთმიმართების შესახებ წყაროებითა და ლიტერატურითურთ იხ.: ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 79-113; ჯოლოგუა 2023<sup>ა</sup>: 215-218).

<sup>1</sup> (გვ. 26) **„ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორს“** – თავიდან მიხ. ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლობასა და ცალკე კორპუსის მთავარსარდლობას მხოლოდ მცირე ხნით თანხმდებოდა. ამიტომაც ნიკოლოზ პირველმა ამ თანამდებობაზე იგი 1844 წ. დეკემბერში (პრაქტიკულად თანამდებობის აღსრულებას 1845 წ. მარტში შეუდგა) დანიშნა სამი წლითა და, იმავდროულად, ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორობაც შეუნარჩუნა (შჩერბინინი 1858: 212-216).

<sup>2</sup> (გვ. 26) **„საგუბერნიო მდივანი, თავადი ნიკოლოზ ბარათოვი“** – გარდაცვალებისას ნ. ბარათაშვილს *საგუბერნიო მდივნის* (Губернский секретарь) ხარისხი ჰქონდა (მიენიჭა 1843 წ. 26 იანვარს – ჩხეტია 1945: 289).

<sup>3</sup> (გვ. 26) **„დასაყრდენი ოჯახისა, რომელიც შედგება დამბლადაცემული მამის, დედისა და სამი მოწიფული დისაგან“** –

იგულისხმებიან: ნიკოლოზ ბარათაშვილის *მამა – მელიტონ ბარათაშვილი* (1794-1860), კავალერიის მაიორი, თბილისის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“; 1832-1838), ეწეოდა ხელგაშლილ ცხოვრებას, რამაც ვალეზამდე და სიღარიბემდე მიიყვანა [„ხშირმა სტუმარმა და წვეულებამ თან წარიღეს მისი ავლა-დიდებაც. მელიტონი ჩავარდა დიდ, გადაუხდეელ ვალში, რომლის გამო პოეტიც ნაკლულევანებაში იყო მთელი სიცოცხლე“ (მეუნარგია 1954: 191-192)]; გარდაიცვალა ქართლის სოფ. ოსიაურში, სიძის, დიმიტრი ვეზირიშვილის, ოჯახში, იქვეა დაკრძალული (ბარბაქაძე 1998; მ. ბარათაშვილის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა, იხ. ცერცვაძე 2019: 19-21; დოკუმენტური მასალა მელიტონ ბარათაშვილისა და მისი ოჯახის უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ იხ. გუგუშვილი 1937: 139-143; ჩხეტია 1945: 352-361); *დედა – ეფემია ორბელიან-ბარათაშვილი* (1806-1849), ერეკლე II-ს შთამომავალი (ელენე ბატონიშვილის შვილიშვილი), და გრიგოლ ორბელიანისა. დაკრძალულია თბილისში, ქაშვეთის ეკლესიის გალავანში (ცინცაძე 1994: 113, 261; ცერცვაძე 2019: 21-22); *დები: ეკატერინე ბარათაშვილ-ერისთავი* (1821-1853), მეუღლე რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავისა, მეუღლესთან ერთად დაკრძალულია ოძისში (ცერცვაძე 2019: 22); *ბარბარე ბარათაშვილ-ვეზირიშვილი* (1825-1919), მეუღლე გენერალ დიმიტრი ვეზირიშვილისა, ძმაზე მოგონების ავტორი (ბარათაშვილი 1922: 295-296); დაკრძალულია თბილისში, ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში (ცერცვაძე 2019: 22-23); *ნინო ბარათაშვილი* (1828-1906), დავით ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად შამილთან ტყვედ ნამყოფი, მეუღლე ლევან (ლეონიდე) გერმანოზის ძე ბარათაშვილისა (ისტორიკოს სულხან ბარათაშვილის ძმა – ბერძნიშვილი 1980: 180; იხ. აგრეთვე: ცერცვაძე 2019: 23); *სოფიო ბარათაშვილ-სუმბათაშვილი* (1841-1916), მეუღლე გენერალ ვასილ სუმბათაშვილისა, ცხოვრობდა ქვიშხეთში, დიმ. ყიფიანის მეზობლად (სოფიო ბარათაშვილ-სუმბათაშვილზე იხ. ცერცვაძე 2019: 23-25).

<sup>4</sup> (გვ. 27) **„გენერალ-ფელდმარშალ ვარშავსკის...“** – იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი (1827-1831) ივანე პასკევიჩი, რომელსაც აჯანყებული პოლონეთის დამორჩილებისა და ვარშავის ალებისთვის **ვარშავსკის** ტიტული (Светлейший князь Варшавский; 1831 წ.) ჰქონდა მინიჭებული [უფრო ადრე ივ. პასკევიჩის ერეენის ალებისთვის ერივანსკის (Граф Эриванский; 1828 წ.) ტიტული ებოძა].

<sup>5</sup> (გვ. 27) **„უბოძეთ ოჯახს პირველი საჭიროებებისათვის 50 ჩერვონეცი“** – „იმ დროს ოფიციალური კურსის მიხედვით ჰოლანდიური ჩერვონეცი უდრიდა ვერცხლის 3 მანეთს“ (პ. გუგუშვილის განმარტება – გუგუშვილი 1937: 140).

<sup>6</sup> (გვ. 27) **„ღირექტორი ყიფიანი“** – დიმ. ყიფიანი მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი იყო 1845 წ. აგვისტოდან 1846 წ. იანვრამდე. ამის შემდეგ კანცელარია გაუქმდა და დიმ. ყიფიანი მთავარმმართველობის საბჭოს საქმეთა მმართველად დაინიშნა (ყიფიანი 2020: 393).

## 12. მიხეილ ვორონცოვისადმი

(გვ. 27-32)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №133. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4. **თარიღი:** 1845 წლის 27 დეკემბერი. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „Воронцову“ („ვორონცოვს“) და ახლავს საკანცელარიო ნომერი (122).

კავკასიის მეფისნაცვლად 1844 წლის დეკემბერში დანიშნულმა და თბილისში 1845 წლის მარტში ჩამოსულმა მიხეილ ვორონცოვმა კავკასიის მმართველობითი სისტემის რეფორმა განახორციელა. ტექსტში ასახული ვითარება სწორედ ამ რეფორმას უკავშირდება.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322.

**13. სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიან-  
ჭავჭავაძისადმი**  
(გვ. 32-33)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №859. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** ნ. მსუქნიშვილი-გურგენიძე. დიმიტრი ყიფიანის უცნობი წერილი. „ლიტერატურული საქართველო“. 12.III, 1965, №11; ნ. გურგენიძე. ძველი წიგნსაცავები საქართველოში. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1969, გვ. 90-91. **თარიღი:** 1846 წ. 16 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატია ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე **სალომე ივანეს (იოანეს) ას. ორბელიან-ჭავჭავაძე** (1795-1847). დიმ. ყიფიანს ახალგაზრდობიდანვე ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ალ. ჭავჭავაძესთან და მასვე ეკუთვნის ნეკროლოგის ტიპის წერილი, რომელიც განთქმული პოეტისა და გენერლის გარდაცვალების დღეებში გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზში“ (ყიფიანი 1846; ყიფიანი 2017: 131-135, 336-341). დიმ. ყიფიანი საფუძვლიანად იცნობდა ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას და, ბუნებრივი ჩანს, ს. ორბელიან-ჭავჭავაძეს სწორედ მისთვის მიენდო განსვენებული მეუღლის არქივის დამუშავება.

ტექსტი იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით (ნ. გურგენიძის პუბლიკაციაში დართული აქვს ხელმოწერა – **დ. ყიფიანი**, ხელნაწერში კი ხელმოწერა არ არის). ხელნაწერში გამოყენებულია ძველი (ე. წ. ფუნქციონარული) ასოები, რომლებიც, ისევე, როგორც პირველ პუბლიკატორს, ჩვენც შეცვლილი გვაქვს თანამედროვე ფორმებით. რაც შეეხება წერილის დედანს, იგი, სავარაუდოდ, 1854 წ. შამილის რაზმების მიერ ალ. ჭავჭავაძის წინანდლის სასახლის დარბევას შეეწირა: „ლეკებმა ალაზანი

გადალახეს, შეესივნენ წინანდალს, გაძარცვეს და დაწვეს ალ. ჭავჭავაძის სახლი, ტყვედ წაიყანეს დავითის მეუღლე ბავშვებითა და ნათესავებით. – აი, ამ დღეს ხანძარმა იმსხვერპლა ჭავჭავაძიანთ უმდიდრესი ბიბლიოთეკა-არქივი“ (გურგენიძე 1969: 92).

<sup>1</sup> (გვ. 33) **„განსვენებულის...“** – იგულისხმება ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც დიმ. ყიფიანის ამ წერილის დაწერამდე რამდენიმე დღით ადრე (6 ნოემბერს) გარდაიცვალა თბილისში.

#### 14. თბილისის გარეუბნების მომწყობი კომისიისადმი (გვ. 34)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №588. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1846 წლის 30 დეკემბერი. ხელმოუწერელი.

დიმ. ყიფიანმა ვერც „*მომავალი წლის გაზაფხულამდე*“ და ვერც მომდევნო წლებში მისთვის გამოყოფილი ნაკვეთი ვერ შემოღობა [1869 30 აპრილს „*კუკიაში ქუჩის მომწყობი კომისია*“ მიმართავს დიმ. ყიფიანს – ნაკვეთი შემოსაღობიანო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №590)] და, მიუხედავად იმისა, რომ 1849 წლის იანვარში შეახსენებენ – სახლის აშენება არ უნდა დააგვიანოთო, ხელმოკლეობის გამო მან ვერც სახლი ააშენა (დოკუმენტური მასალა საკითხის შესახებ იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№586, 587, 589, 591, 592).

<sup>1</sup> (გვ. 34) **„გადმომეცეს გარეუბან ახალ კუკიაში“** – ახალ კუკიაში (მტკვრის მარცხენა სანაპირო) ინტენსიური დასახ-

ლება, მათ შორის, სახლებისა და ქუჩების დაგეგმარება 1840-იან წწ. მიხ. ვორონცოვის მითითებით დაიწყო (ბერიძე 1977: 206; ვრცლად კუკიის ისტორიის შესახებ იხ. ბერიძე 1977: 193-220)

<sup>2</sup> (გვ. 34) „**მინისმზომელმა ფედოროვმა მიმითითა**“ – იგულისხმება კოლეგიის ასესორი (Коллежский асессор) **ვასილ აბრამის ძე ფიოდოროვი**, რომელიც კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში მსახურობდა მინისმზომლის თანამდებობაზე (კავკაზსკი კალენდარ 1847: 5).

1847

## 15. პეტრე ლადინსკისადმი

(გვ. 34-39)

**ხელნაწერი:** ხეც. დიძ. ყიფიანის არქ., საქ. №135. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1847 წ. 20 მაისი. **ხელმწიფი:** Коллежский советник Кипиани.

ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების პერიოდის დან დადგა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის რუსეთის უმაღლეს წოდებრივ ფენასთან უფლებრივი გათანაბრების საკითხი. ამიტომაც ტრაქტატს დართული აქვს ქართლისა და კახეთის თავადებისა და აზნაურების სია [სამართლის ძეგლები 1965: 483-492; სხვათა შორის, ამ სიაში (გვ. 489) ნახსენებია „თავადის აბაშიძის აზნაური“ ყიფიანი, რომელიც უშუალო წინაპარი იყო დიძ. ყიფიანისა (იხ. აქვე, გვ. 306)]. ამის შემდეგ პერიოდულად დგებოდა გაუქმებულ ქართულ სამეფო-სამთავროთა თავადაზნაურობის წოდებრივი ღირსების დამტკიცების საკითხი, რაც მრავალ გაუგებრობასა თუ სირთულესთან იყო დაკავშირებული. გამწვავებული პრობლემის მოსაგვარებლად



მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ინიციატივითა და „იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით სენატს დაევალა აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის თავადაზნაურობის დამდგენი დროებითი კომისიების შექმნა თბილისსა და ქუთაისში. ამ ბრძანების შესაბამისად, სათანადო კომისიები შეიქმნა 1846 წლის 30 მარტს. იმავე წლის 17 დეკემბერს, ნიკოლოზ I-ის მითითებით, ასეთივე კომისია დაარსდა გურიისთვისაც. 1847 წლის 14 თებერვალს ვორონცოვმა დაამტკიცა და კომისიებს დაუგზავნა სამუშაო ინსტრუქცია“ (ჭუმბურიძე 1999: 3). კომისიების მუშაობა დასრულდა 1849 წლის მაის-ივნისში, ხოლო 1850 წლის 6 დეკემბერს ნიკოლოზ I-მა კომისიების მიერ წარდგენილი სიები დაამტკიცა (ჭუმბურიძე 1999: 3-4).

საკითხის შესახებ თვითონ დიმ. ყიფიანი თავის თხზულებაში „ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის ამიერკავკასიაში“ (1853 წ.) წერს: „მონარქიულ წყალობათაგან ერთი ისიც იყო, რომ საქართველოს თავადაზნაურობა უფლებრივად მაშინვე გაუთანაბრდა რუსეთის დიდგვაროვნებს. მარტო ამ უკანასკნელი გარემოების გამო უძველეს ქართულ იერარქიას საფუძვლიანი ცვლილებები უნდა განეცადა და ეს რთული საქმე – ახალი უმაღლესი ხელისუფლების მიერ ქართველ თავადთა და აზნაურთა წოდებრივი უფლებების გაცნობა-დამტკიცება – 1818 წელს დაიწყო, ხოლო დასრულდა იგი 1850 წელს და დასრულდა ისე, როგორც ადგილობრივი თავადაზნაურობის ინტერესთა პატივისცემასა და ხელისუფლების ღირსებას ეკადრებოდა. ასე დაგვირგვინდა ეს საქმე საქართველოში: ქართლსა და კახეთში, იმერეთსა და გურიაში“ (ყიფიანი 2016: 135).

საბოლოოდ ოტია და ლევან ყიფიანების საქმე იმით დასრულდა, რომ მათ აღუდგინეს თავადური ღირსება – ნიკოლოზ I-ის მიერ დამტკიცებულ „იმერეთის თავადთა და აზნაურთა წოდებას მიკუთვნებულ პირთა სახელდებით საოჯახო სიაში“ ისინი თავადთა ნუსხაში არიან შეყვანილნი: „**ყიფიანები: ოტია ქაიხოსროს ძე...** ოტიას ბიძაშვილი, კოლეგიის რეგისტრატორი

ლევან ნიკოლოზის ძე...“ [იმერეთის თავადთა... 1999: 297-298; იქვეა (გვ. 163-167) ყიფიანების, რაჭველი **აზნაურების**, სიაც].\*

წერილის ადრესატია ამიერკავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსი 1845-1847 წწ., გენერალ-ლეიტენანტი **პეტრე ანტონის ძე ლადინსკი** (1784-1865), რომლის კარიერა (1801-1847 წწ.) მთლიანად კავკასიასთან იყო დაკავშირებული (წარმოშობით პ. ლადინსკი პოლტავის გუბერნიის რომნის მაზრიდან იყო. 1847 წ. მიხეილ ვორონცოვთან კონფლიქტის, აგრეთვე, ავადმყოფობის გამო გავიდა სამსახურიდან და საცხოვრებლად გადავიდა საკუთარ მამულში, ყირიმში, ქერჩის მახლობლად, ფეოდოსიის მაზრის სოფ. პეტროვკაში). პ. ლადინსკისა და დიმ. ყიფიანს ხანგრძლივი სამსახურებრივი ურთიერთობა და კერძო ცხოვრებაში გულითადი მეგობრობა, ხოლო, კავკასიიდან ლადინსკის წასვლის შემდეგ მიმონერა ჰქონდათ [ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №№763, 1422-1442; ამ წერილებში ჩანს ლადინსკის გულწრფელი პატივისცემა და სიყვარული საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. პ. ლადინსკი დიმ. ყიფიანის ერთ-ერთი შვილის ნათლია იყო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №1422), იცოდა ქართული ენა და სასიკეთო წვლილი აქვს შეტანილი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის ცხოვრებაში (იხ. ალ. ორბელიანის მოგონება „ჩემი შეცდომილება ანუ ჩემი ცოდვანი“ – ხეც. S-1659<sup>3</sup>; აგრეთვე, პაპავა 1999: 149); მის ანდერძში დიმ. ყიფიანი ოთხიდან ერთ-ერთ ამსრულებლად და დასახელებული: „საბრალო ლადინსკის ანდერძის ამბავი შევიტყე და მართლა ოთხში ერთი მეც დაუნიშნავარ თავის ჭირისუფლად, ესე იგი დუშეპრიკაშჩიკათ“, – სწერს დიმ. ყიფიანი 1866 წ. ივნისში ეკატერინე დადიანს (ზსი-ამ. ლ. ა. 1860). პ. ლადინსკის ანდერძის აღსრულების შესახებ, აგრეთვე, ტექსტი ანდერძისა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ.,

\* წყაროზე მიგვითითა ლევან ნიკოლოზის ძე ყიფიანის შთამომავალმა, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა მარინე ყიფიანმა, რომელსაც მადლობას მოვასხენებთ.

№№928-932, 1393, 1929]. დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებში“ პეტრე ლადინსკის შესახებ წერს: „გენერალი ლადინსკი საქმეს გულგრილად არასოდეს არ ეპყრობოდა... ჯერ ისევ იუნკრის წოდებით მისი სამსახური საქართველოში 1801 წლიდან დაიწყო და გრძელდებოდა გენერლობის მიღებამდე. მისი სიცოცხლის ყველა საუკეთესო მოგონებანი ეკუთვნოდა ამ ქვეყანას; იმან, როგორც გრაფმა ვორონცოვმაც, იქნება უფრო დაწვრილებითაც, იცოდა ამ ქვეყნის წარსული, სიმპატიით ექცეოდა მას...“ (ყიფიანი 2020: 177).

პ. ლადინსკი გარდაიცვალა 1865 წ. 26 ნოემბერს ფეოდორის მაზრის სოფ. პეტროვკაში, დაკრძალეს იქვე, მის მიერვე აშენებულ ეკლესიაში (ბიოგრაფიული ცნობები პ. ლადინსკის შესახებ იხ.: აქტები 1885: XXIV; ბერძნიშვილი 1983: 72-73).

<sup>1</sup> (გვ. 36) **„ქუთაისში არსებული გაყალბებული ბეჭდების განმხილველი კომისიის მიერ...“** – აქ უნდა იგულისხმებოდეს თბილისსა და ქუთაისში დაარსებული კომისია, რომლებსაც წოდებრივი ღირსების დამადასტურებელი ფალსიფიცირებული დოკუმენტების გამოვლენა და გაუქმება ევალებოდა. საკითხის შესახებ დიმ. ყიფიანის „მემუარების“ კომენტარებში სიმ. ხუნდაძე წერს: „1830 წ. მთავრობამ აღმოაჩინა ფალსიფიკატორთა ჯგუფი, რომელიც ამზადებდა ყალბ დოკუმენტებს აზნაურობისა და თავადობის სახელწოდების მისაღებად. ამ გარემოებამ გამოიწვია უმაღლესი კომისიის დანიშვნა, რომელსაც უნდა გამოერკვია მიმდინარე საქმეებში შესული ქართული დოკუმენტებისა და ღრამატების ღირსება; მაგრამ ამ მუშაობის დასრულებამდე შეჩერებული იქნა ის საქმეებიც, რომელიც აზნაურობისა და თავადობის ღირსების მოპოებას ეხებოდა და აგრეთვე ის დავის საქმეებიც, რომელიც მეფეების გრამოტებს ეყრდნობოდა. ამ გარემოებამ დიდი არევ-დარევა გამოიწვია საქ[ართველოს] წოდებათა ურთიერთობაში და დაბადა უკმაყოფილება თვით თავადაზნაურობაში. მხოლოდ 1844 წ. გამოიცა სენატის განკარგულებით ახალი დებულება

აზნაურობისა და თავადობის ღირსების დამტკიცების შესახებ“ (ყოფიანი 1930: 152; ყოფიანი 2020: 416-417).

<sup>2</sup> (გვ. 36) **„იმერეთსა და საქართველოში...“** – *იმერეთი*: იგულისხმება დასავლეთი საქართველო, ანუ ქუთაისის გუბერნია (რაჭის მაზრა მასში შედიოდა); *საქართველო*: აქ ნიშნავს აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ თბილისის გუბერნიას.

<sup>3</sup> (გვ. 37) **„თავადმა მიხეილ სიმონის ძემ“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ *მიხეილ ვორონცოვი*.

<sup>4</sup> (გვ. 37) **„სტეფანე ვასილის ძეს...“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1840-იანი წწ.) *სტეფანე საფონოვი*.

<sup>5</sup> (გვ. 38) **„მისი ბრწყინვალეების...“** – იგულისხმება *მიხეილ ვორონცოვი*.

## 16. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი

(გვ. 39)

**ხელნაწერი**: ხეც. Hd-4550. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი**: [1847 წ.] 15 ოქტომბერი. **ხელმოწერა**: დიმიტრი ყოფიანი.

წერილში ადრესატის მხოლოდ სახელი და მამის სახელი წერია (*კონსტანტინე დავითის ძე*). ე. კელენჯერიძის მიხედვით, ხეც-ში დაცული მომდევნო (№17) წერილის ადრესატი *კონსტანტინე დავითის ძე თარხნიშვილია* (იხ. აქვე, წერილი №17-ის შენიშვნა) და, შესაბამისად, წინამდებარე ტექსტის ადრესატიც *კონსტანტინე თარხნიშვილი* იქნება.

ტექსტში მითითებულია დაწერის მხოლოდ თვე და რიცხვი (15 ოქტომბერი), რაც შეეხება წელს, წერილი **1847 წლით** თარიღდება იმავე კ. თარხნიშვილისადმი 1847 წ. 18 ოქტომბერს გაგზავნილი მეორე წერილის საფუძველზე („ოთხშაბათს

ამ თთვის 15-ს ... წიგნი მოგწერეთ...“ – იხ. აქვე, წერილი №17 კ. თარხნიშვილისადმი).

წერილის ადრესატია გენერალ-ლეიტენანტი (1865 წლიდან; 1847 წ., როცა დიმ. ყიფიანი წერილს სწერს, იგი მაიორია) **კონსტანტინე დავითის ძე თარხნიშვილი (თარხან-მოურავი)** (1811-1869). იგი იყო შვილი გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის („მარშლის“), 1832 წლის შეთქმულების მონაწილის, პოლკოვნიკ დავით ზაზას ძე თარხნიშვილისა (დ. თარხნიშვილზე იხ. ბერძნიშვილი 1983: 31-32); რუსეთ-ირანის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829), „ყირიმის“ (1853-1856) ომების მონაწილე, შემახისა და ბაქოს სამხედრო გუბერნატორი (1850-1860-იანი წწ.). კ. თარხნიშვილი გრ. ორბელიანის წერილების ადრესატიცაა (ორბელიანი 1936: 111-115; ორბელიანი 1937: 70-71, 117-118, 139-141). ა. განწერლიას მიხედვით, კ. თარხნიშვილი 1851 წ. შუშის მაზრის უფროსია და „ამან ჩაიყვანა ჰაჯი-მურადი ზაქათალაში 1851 წლის თებერვალში“ (ორბელიანი 1937: 291). გარდაიცვალა ერთწმინდაში, დაკრძალულია ქართლის სოფ. ახალქალაქში, საგვარეული სამარხში.

<sup>1</sup> (გვ. 39) „**პეტრე ანტონიჩს...**“ – იგულისხმება ამიერკავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი **პეტრე ანტონის ძე ლადინსკი**.

<sup>2</sup> (გვ. 39) „**ნამესტნიკს...**“ – მეფისნაცვალის *მიხეილ ვორონცოვი* იგულისხმება.

<sup>3</sup> (გვ. 39) „**შაჯი უსუფას...**“ – ?

## 17. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი

(გვ. 39-40)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №730. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1847 წლის 18 ოქტომბერი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

ისევე, როგორც წინა (№16) წერილში, აქაც ადრესატის მხოლოდ სახელი და მამის სახელია მითითებული (*კონსტანტინე დავითის ძე*). ე. კელენჯერიძის მიხედვით, ეს არის *კონსტანტინე დავითის ძე თარხნიშვილი* [იხ. დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივის აღწერილობა, შედგენილი ე. კელენჯერიძის მიერ (გვ. 88). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზი].

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 332.

<sup>1</sup> (გვ. 39) **„ლეტუჩი ფორტი...“** – „ლეტუჩი“ [Летучий (რუს.) – აქ: სახელდახელო] ფოსტა: დროებითი და სპეციალური კავშირგაბმულობის საშუალება, რომლითაც სასწრაფო ინფორმაცია (განკარგულებები და სხვ.) გადაიცემოდა ხოლმე. ძირითადად გამოიყენებოდა სამხედრო სფეროში.

<sup>2</sup> (გვ. 39) **„პეტრე ანტონიჩის...“** – გენერალ-ლეიტენანტი *პეტრე ანტონიჩის ძე ლადინსკი*.

<sup>3</sup> (გვ. 40) **„ოტპუსკი...“** – *ОТПУСК* (რუს.): შვებულება.

<sup>4</sup> (გვ. 40) **„ქნიაზი ნამესტნიკი...“** – იგულისხმება *მიხეილ ვორონცოვი*.

1848

## 18. სტეფანე საფონოვისადმი

(გვ. 40-46)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №789. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4. **თარიღი:** 1848 წ. 8 თებერვალი. ხელმოუწერელი.

ეს არის პასუხი მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის, *სტეფანე ვასილის ძე საფონოვის*, 1848 წ. 31 იანვრის წერილზე (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1618. დედანი. რუსულ ენაზე).

ს. საფონოვი დიმი. ყიფიანს უგზავნის მასალებს ბორჯომის მინერალური წყლებით სარგებლობის შესახებ და სთხოვს აზრის გამოთქმას.

წერილის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1840-იანი წწ.), საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სენატორი (1851 წლიდან) **სტეფანე ვასილის ძე საფონოვი** (1808-1862).

<sup>1</sup>(გვ. 46) „შტაბეიმი“ – **Штаб-лекарь**: სამხედრო-სამედიცინო წოდება XVIII-XIX სს. რუსეთში.

## 19. სტეფანე საფონოვისადმი

(გვ. 47-51)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №790. უცხო ხელით ნაწერი. ნასწორები, შევსებული და დათარიღებული დიმი. ყიფიანის მიერ. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1848 წ. 21 თებერვალი. ხელმოწერელი.

ეს არის პასუხი მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის, **სტეფანე ვასილის ძე საფონოვის**, 1848 წ. 17 თებერვლის მიმართვაზე (ხეც. დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №1619. რუსულ ენაზე. ფ. 1). ს. საფონოვი დიმი. ყიფიანს აცნობებს, რომ ბარონ ა. ჰაქსტჰაუზენს სჭირდება მასალა თავისი წიგნისათვის კავკასიის შესახებ.

გერმანელმა მეცნიერმა, **აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენმა** 1843 წელს იმოგზაურა რუსეთის იმპერიაში, მათ შორის, საქართველოში [3 აგვისტო-20 სექტემბერი; მეგზურობას უწევდა ახალ-

გაზრდა მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ფალანდიშვილი (ჰაქსტჰაუზენი 2011: 18)]. გერმანელმა მეცნიერმა და მოგზაურმა თავისი დაკვირვებები 1856 წელს ლაიფციგში გერმანულ ენაზე ორ ნაწილად გამოსცა სათაურით: „ამიერკავკასია. შენიშვნები ოჯახური და საზოგადოებრივი (თემური) ცხოვრების, ასევე სოციალურ ურთიერთობათა შესახებ შავ და კასპიის ზღვებს შორის მცხოვრებ ზოგ ხალხში“. მალე წიგნი რუსულ ენაზეც დაიბეჭდა სანქტ-პეტერბურგში (ჰაქსტჰაუზენი 1857). ს. საფონოვისა და დიმ. ყიფიანის მიმონერა ეხება დოკუმენტურ მასალას, რომელიც ა. ჰაქსტჰაუზენს თავისი წიგნისთვის სჭირდებოდა (ა. ჰაქსტჰაუზენის საქართველოში მოგზაურობისა და მისი წიგნის შესახებ იხ. ჰაქსტჰაუზენი 2011).

<sup>1</sup> (გვ. 47) **„ბარონ განს ამიერკავკასიის მმართველობის გარდაქმნა ჰქონდა განზრახული“** – იგულისხმება პეტერბურგიდან მოვლინებული ბარონ პავლე განის მიერ 1830-1840-იანი წწ. შემუშავებული ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ-მმართველობითი, სამართალწარმოების, ფინანსური და სხვ. რეფორმის პროექტი, რომლის პრაქტიკული განხორციელება კრახით დასრულდა და „რეფორმატორის“ კარიერაც შეინირა (პ. განის რეფორმის თაობაზე, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა საკითხის შესახებ იხ.: ყიფიანი 2018: 401; ყიფიანი 2019: 424-426; ყიფიანი 2020: 422-423, 445-446).

<sup>2</sup> (გვ. 48) **„...რაიმე ანკედოტს“** – *ანეკდოტი* – აქ: მოკლედ მოთხრობილი მნიშვნელოვანი ამბავი [„მოკლე აღწერა ანუ მოთხრობა ღირსსახსოვრისა საქმისა, გადმოითარგმნების ნამცურევი“ (ჩუბინაშვილი 1971: 32)]

<sup>3</sup> (გვ. 51) **„...ბარონ ჰაქსტჰაუზენის წერილიდან“** – ჰაქსტჰაუზენის წერილის დაცულობის საკითხი ჩვენ ვერ გამოვარკვეით.



## 20. ანტონოვისადმი (გვ. 51-53)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №136. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. უთარილო. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „Записка об упразднении уездных судов и образовании губернских“ („ბარათი სამაზრო სასამართლოების გაუქმებისა და საგუბერნიო სასამართლოების შექმნის შესახებ“). იქვეა მითითებული ადრესატი: „АНТОНОВУ“ („ანტონოვს“).

**1848 წლით ვათარილებთ** ტექსტშივე მოცემული მონაცემის მიხედვით („1803 წლიდან... 45 წლის განმავლობაში“). ადრესატის (**ანტონოვი**) ვინაობა ვერ გამოვარკვეით.

ტექსტი, როგორც ზემოთ გვაქვს მითითებული, შავია. აქ არ არის პირადი წერილისთვის აუცილებელი ატრიბუტები (სახელობითი მიმართვა, გამომშვიდობება). გამორიცხული არც ისაა, რომ ეს იყოს რომელიმე ოფიციალური მოხსენებისა თუ მიმართვის ფრაგმენტი, მაგრამ, რადგანაც მას ჰყავს ადრესატი, შესაძლებლად მივიჩნიეთ, იგი დიმ. ყიფიანის ეპისტოლურ ნაწერებში ცალკე ერთეულად შეგვეტანა; მით უმეტეს, ტექსტი შინაარსობრივად საყურადღებოა – აქ წარმოდგენილია ავტორის შეხედულებები მიხ. ვორონცოვის მიერ 1840-იანი წწ. განხორციელებული ფართო მასშტაბის რეფორმების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის, სასამართლო სისტემის რეფორმის, შესახებ.

## 21. გორის მაზრის სასამართლოსადმი

(გვ. 53-54)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №519. უცნობი ხელით ნაწერი და დიმ. ყიფიანის მიერ ნასწორები. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. ხელმოუწერელი.

ტექსტს დართული აქვს მინაწერი (რუსულ ენაზე): „წარდგენილია გორის მაზრის სასამართლოში. 3 სექტემბერი 1849“.

1848 წელს დიმ. ყიფიანმა თავისი და ძმის, ქაიხოსრო ყიფიანის, სახელზე თავად ზურაბ ავალიშვილისგან შეიძინა ბორჯომის ხეობაში ავალიშვილების გაუყოფელი ადგილ-მამულის მეთათედი ნაწილი. 1852 წელს ავალიშვილების მამული ხაზინის ხელში გადავიდა, ხოლო ხაზინა, თავის მხრივ, დიმ. ყიფიანის მიერ შეძენილ ნაწილსაც დაეუფლა. ამას მოჰყვა დიმ. ყიფიანის ხანგრძლივი სასამართლო დავა ხაზინასთან. 1871 წელს ეს ადგილ-მამული (დიმ. ყიფიანის წილის ჩათვლით) კავკასიის მეფისნაცვალს, მიხეილ ნიკოლოზის ძეს, გადაეცა. დავა უკვე მეფისნაცვლის ბორჯომის ადგილ-მამულის გამგებლობასთან გაგრძელდა და იმით დასრულდა, რომ დიმ. ყიფიანმა დათმო თავისი ბორჯომის წილი და სანაცვლოდ მიწები მიიღო ჩუმათელეთში, ფონასა და წიფაში (ყიფიანი 2021: 218), აგრეთვე, იტრიაში (ყიფიანი 2021: 190, 397; ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №579 და სხვ.). დიმ. ყიფიანის ბორჯომის ადგილ-მამულისა და ავალიშვილებთან დაკავშირებული საქმის შესახებ იხ. აქვე, წერილები №№22, 27, 29, 30, 33, 43, 89; დოკუმენტური მასალა საკითხის შესახებ იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№516-579, 676-694, 722-728, 768-770, 777-778, 934-948, 1357-1358, 1522-1523. ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა საქ. №579 – „Копия с акта о

передачи казённых: Чумателетского, Итрийского, Понского и Ципского лесов ДСС Димитрию Ивановичу Кипиани“ („ასლი აქტისა ჩუმათელეთის, იტრიის, ფონისა და წიფის სახაზინო ტყეების ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველ დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანისთვის გადაცემის შესახებ“). საბუთი დათარიღებულია 1872 წ. 2 ივლისით და აქ ნათქვამია, რომ დიმ. ყიფიანი მისი კუთვნილი ბორჯომის 3450 დესეტიანა მიწის სანაცვლოდ იღებს ტყეებს ზემოთ მითითებულ სოფლებში (დასახელებულია აგრეთვე სოფელი გრიგალათი, რომელიც აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში ექცეოდა). დიმ. ყიფიანს გადაეცემა აგრეთვე ამ სოფლებში მცხოვრები სახაზინო გლეხები, რომლებიც მფლობელმა სახნავი, სათიბი, საბოსტნე, საბაღე და სამოსახლო ნაკვეთებით უნდა უზრუნველყოს. მთელი ეს გადაცემული ტერიტორია დაყოფილია ნანილებად, მითითებულია მათი საზღვრები და სხვ.; აქტს, გარდა გამმიჯნავისა (მეტყევე როტინოვი), შორაპნისა და გორის მაზრების მეტყევეებისა და დიმ. ყიფიანის ნდობით აღჭურვილი კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანისა, ხელს აწერენ დასახელებული სოფლების გლეხები (გრიგოლაშვილები, ნოზაძეები, მურვანოვი, ულუმბელაშვილი და სხვ.).

<sup>1</sup> (გვ. 53) **„ხუთი წლის ვადით თავად მაკარ ჯამბაკურიან-ორბელიანოვს გადასცემენ“** – მამუკა (მაკარ) ორბელიანის მიერ ავალიშვილების ადგილ-მამულის იჯარით აღების შესახებ, ეყრდნობა რა ავალიშვილებისა და მ. ორბელიანის 1849 წ. 19 აგვისტოს პირობის ხელწერილს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №518. ფ. 2), ი. უთურაშვილი წერს: „ეს მამული – სახნავი, სათესი, საძოვარი, სათიბი, ტყე, აგრეთვე, მდინარე მტკვარი სათევზაოდ – იჯარით ჰქონია აღებული ჯამბაკურ-ორბელიანს. ამავე საბუთში დასახელებულია მამულის საზღვრები: აღმოსავლეთით – ახალდაბა, დასავლეთით საკირის მიდგმა, ჩრდილოეთით – ილომის მთა, სამხრეთით – ქვაჯვარი, წითელი საყდარი და ტბა. საბუთში აღნიშნულია, რომ საძოვარზე

ცხვარი თუშებსა და ქიზიყელებს დაუდიოდათ“ (უთურაშვილი 1989: 81).

<sup>2</sup> (გვ. 54) „**გაცეთ განკარგულება, რათა აღნიშნული გარიგება... გააუქმოთ**“ – მოგვიანებით, იმავე 1849 წ. 11 ოქტომბერს, გორის მაზრის სასამართლოსთვის წარდგენილი ახალი თხოვნით დიმიტრი და ქაიხოსრო ყიფიანებმა წინამდებარე თხოვნა უკან გაიტანეს (იხ. აქვე, გვ. 57-58).

## 22. მიხეილ კოლიუბაკინისადმი (გვ. 54-55)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №520. უცნობი ხელით ნაწერი. შავი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1849 წ. 21 სექტემბერი. ფ. 2. ხელმოუწერელი.

დიმ. ყიფიანის ბორჯომის ადგილ-მამულისა და ავალიშვილებთან დაკავშირებული საქმის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337-338.

თხოვნის ადრესატია სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი (1860-იანი წწ.), **მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინი** (1806-1872), ძმა სამეგრელოს მმართველის, ნიკოლოზ კოლიუბაკინისა (1810-1868; მიხეილი სამეგრელოს მართავდა 1858-1861 წწ., ხოლო ნიკოლოზი 1857-1858 წ. დასაწყისი-1861-1862 წწ.). სხვადასხვა წლებში მიხ. კოლიუბაკინი იყო ჭარ-ბელაქნის ოლქისა და ყარაბაღის მაზრის უფროსი, თბილისისა და ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი, სიცოცხლის ბოლო წლებში – ბაქოს სამხედრო გუბერნატორი და სამოქალაქო საქმეთა მმართველი (კავკასკი კალენდარ 1871: 39).

მიხ. და ნიკ. კოლიუბაკინებთან დიმ. ყიფიანი მეგობრობდა, თუმცა 1850-1860-იან წწ. სამეგრელოს სამთავროსთან დაკავშირებულ საკითხებზე ძმებთან, როგორც სამეგრელოს მმართველებთან, მისი ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. 1860

წლის მაისში დიმ. ყიფიანი რუსეთიდან (კერძოდ, ცარსკოე-სელოდან, სადაც ეკატერინე დადიანთან ერთად იმყოფებოდა) თბილისში სწერს თავის მეუღლეს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს: „გამეცინა, როცა შენს წერილში წავიკითხე, რომ მის. კოლიუბაკინს შენთან პირისპირ შეხვედრისგან თავი აურიდებია. ამგვარ უზრდელობას ერთადერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს – სინდისი არაა სუფთა. გრძნობს, შეგნებულებს აქვს, რომ უნამუსოდ მომექცა და ამიტომაც ძალა არ ჰყოფნის, ჩემს ცოლს თვალებში ჩახედოს. თუმცა ეს არც ისე ცუდია – ჩანს, სინდისისგან მთლად გარეცხილიც არაა. მე კი, ჩემდათავად, არასოდეს ჩავიდნენ ისეთ საქციელს, რისთვისაც შეიძლება ჩემი ცოლ-შვილი განითლდეს“ (ქლსმ. №14784-ბ. რუსულ ენაზე). მის. კოლიუბაკინი გარდაიცვალა ბაქოში, იქვეა დაკრძალული (მის შესახებ იხ. ბოროზდინი 1934: გვ. 83, 91, 177, 294-295, 298-299, 305, 321).

<sup>1</sup> (გვ. 55) **„წარადგინეს სპეციალური კერძო გარიგება ... გაეუქმებინა ავალოვებისა და ორბელიანის გარიგება“** – საკითხის შესახებ იხ. ნინა (№21) წერილი და მასზე დართული შენიშვნა და კომენტარები.

<sup>2</sup> (გვ. 55) **„ნაცვლად ჩვეულებრივი სალბაშისა...“** – სალბაში: შეშის მოჭრის გადასახადი.

<sup>3</sup> (გვ. 55) **„...დაუყოვნებლივ დააკმაყოფილონ ჩემი თხოვნა“** – დიმ. ყიფიანმა გორის მაზრის სასამართლოში შეტანილი თხოვნა, რომლის აღსრულებასაც აქ ითხოვს, მალე უკან გაიტანა (იხ. აქვე, წერილი №24 გორის მაზრის სასამართლოსადმი).

### 23. სერგეი [ჭილაშვილისადმი]

(გვ. 56-57)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №791. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1849 წ.] 10 ოქტომბერი. ხელმოუწერელი.

წერილში **ადრესატის** მხოლოდ სახელი და მამის სახელია მითითებული (Сергей Гаврилович). ასეთი სახელითა და მამის სახელით კი ჩვენ იმდროინდელ მმართველობაში მხოლოდ ერთ პირს, **სერგეი ჭილაშვილს (ჩილაევს)**, ვიცნობთ. 1849-1851 წწ. იგი კავკასიის მეფისნაცვლისა და ცალკე კორპუსის მეთაურის, მიხეილ ვორონცოვის, განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე, ხოლო 1851-1857 წწ. შემახის გენერალ-გუბერნატორი და სამოქალაქო ნაწილის მმართველია.

რაც შეეხება **თარიღს**, ტექსტში მხოლოდ თვე და რიცხვია მითითებული (10 окт.). დიმიტრი ყიფიანმა 1849 წელს (სავარაუდოდ, მეფისნაცვალ ვორონცოვის დავალებით) შეიმუშავა „ამიერკავკასიის მხარის დაყოფისა და სამოქალაქო მმართველობის პროექტი“ (ტექსტი იხ. ყიფიანი 2019: 44-64). რეფორმის პროექტი ეხება იმ საკითხებსაც, რომელთა შესახებ წინამდებარე წერილშია ნათქვამი (პოლიციის უფლებრივი მიმართება საგუბერნიო მმართველობის სხვა შტოებთან, სარჩელის ფულადი გამოხატულება...). სერგეი ჭილაშვილი, როგორც ზემოთ ითქვა, ამ დროს მის ვორონცოვის საგანგებო დავალებათა მოხელეა და, ადვილი შესაძლებელია, რეფორმის თაობაზე მას მიმოწერა ჰქონოდა დიმიტრი ყიფიანთან. ამიტომაც ჩვენ წინამდებარე წერილს **გარკვეული ალბათობით 1849 წლის 10 ოქტომბრით ვათარილებთ.**

წერილის ადრესატი, როგორც ზემოთ ითქვა, უნდა იყოს გენერალ-მაიორი (1850 წლიდან) **სერგეი (შიომ) გაბრიელის (გლახას) ძე ჭილაშვილი (ჩილაევი, ჩილიაევი)** (1803-1864), დიმიტრი ყიფიანის მეუღლის, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის, ბიძა; რუსეთ-ირანის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთისა (1828-1829) და „კავკასიის“ ომების მონაწილე, ორენბურგის ცალკე კორპუსის მეთაური (1837-1842; იგი თანამდებობრივი უფროსი იყო 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობისთვის ორენბურგში გადასახლებული ალექსანდრე ორბელიანისა. მათ ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ და ამიტომაც ალ. ორბელიანი თავის

წერილებსა თუ მოგონებებში ხშირად და კეთილგანწყობით ახსენებს ს. ჭილაშვილს). ს. ჭილაშვილი 1840-იან წწ. მონაწილეობდა შუა აზიის (მანგიშლაკი, ხივა და სხვ.) ექსპედიციებში; ძმებთან [იაგორ (გიორგი), ბორის (ბაბანა), კონსტანტინე ჭილაშვილები (ჩილიაევეები)] ერთად იყო აღ. ლაბზინის პეტერბურგის მასონური ლოჟის, „მომაკვდავი სფინქსის“ წევრი; ურთიერთობა ჰქონდა დეკაბრისტებთან. შთამომავლობა არ დარჩენია. დაკრძალულია მამაპაპისეულ სოფ. მილახვრიანთ-კარში (ს. ჭილაშვილის შესახებ იხ.: აქტები 1885: XXXIII; ბერძნიშვილი 1983: 259; შადური 1958: 555-556; იგი არაერთხელაა ნახსენები გრ. ორბელიანის წერილებში: ორბელიანი 1936: 99, 274; ორბელიანი 1937: 7, 142, 281, 341...).

## 24. გორის მაზრის სასამართლოსადმი

(გვ. 57-58)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №521. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1849 წ. 11 ოქტომბერი. ტფილისი. **ხელმოწერა:** პრაპორშჩიკი ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანი. Коллежский советник Димитрий Иванов сын Кипиани.

დიმ. ყიფიანის ბორჯომის ადგილ-მამულისა და ავალიშვილებთან დაკავშირებული საქმის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337-338.

<sup>1</sup> (გვ. 57) „შევიტანეთ თხოვნა თავად ორბელიანსა...“ – იგულისხმება მამუკა (მაკარ) ორბელიანი (იხ. აქვე, გვ. 53-54, 54-55).

<sup>2</sup> (გვ. 57) „ამჟამად წინააღმდეგობის გამომწვევი მიზეზები აღმოფხვრილია“ – წინააღმდეგობის... აღმოფხვრის მიზეზი იყო ქაიხოსრო ყიფიანისა და მამუკა (მაკარ) ორბელიანის 1849 წ. 11 ოქტომბრის პირობის ხელწერილი, რომლითაც ქაიხოს-

რო საკუთარი და თავისი ძმის, დიმიტრი ყიფიანის, სახელით ბორჯომის მამულის ყიფიანთა კუთვნილ მეათედ ნაწილს მამუკა (მაკარ) ორბელიანს 5 წლის ვადით იჯარით გადასცემდა: „რას დროსაც ეს პირობის წერილი დამონმდება მაკლერთან და მოგვეცემა, იმავე რიცხვით მე, ქაიხოსრო ყიფიანმა, და ჩემმა ძმამ დიმიტრიმ უნდა შავიტანოთ გორის უეზდის სუდში კანონიერი არზა, რომ ადრევე ჩვენგან შეტანილი ამ იჯარის დაყენებაზედ თხოვნა გაუქმდეს და ამ გვარად ჩვენი თანხმობა გამოვაცხადოთ“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №522).

<sup>3</sup> (გვ. 57) **„ამ არზაზედ“** – ეს სიტყვები ტექსტში ქართულადაა ჩანერილი ქაიხოსრო ყიფიანის ხელით.

1850

## 25. მიხეილ ვორონცოვისადმი

(გვ. 58-61)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №140. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1850 წ. 30 მაისი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322.

<sup>1</sup> (გვ. 58) **„გაგემეისტერის პატაკი და მის მიერვე შედგენილი ანგარიშგება შემახის გუბერნიასა და ყუბის მაზრაში ახალ გამოსაღებთა დაწესების შესახებ“** – ავტორს მხედველობაში აქვს პეტერბურგიდან სპეციალურად მოვლინებული ეკონომისტისა და ფინანსისტის, *იული გაგემეისტერის*, მიერ შემუშავებული პროექტი შემახისა და დერბენტის გუბერნიებში ახალი საგადასახადო სისტემის შემოღების შესახებ. ხეც-ში (დიმ. ყიფიანის არქ. საქ., №139, ფ. 8) დაცულია დიმ. ყიფიანის მიერ ნახსენები *პატაკი და ანგარიშგება* (ვორონცო-



ვის სახელზე) ი. გაგემეისტერისა, გამოგზავნილი 1850 წ. 21 მაისს ყუბიდან თბილისში (Отчет об исполнении поручения по введению правильной податной системы в Шемахинской и Дербентской губерниях).

<sup>2</sup> (გვ. 59) **„აქვე ვურთავ ხსენებულ დასკვნას“** – „ხსენებულო დასკვნა“ საქმეში არ არის.

<sup>3</sup> (გვ. 59) **„კავკასიის კომიტეტი“** – ნიკოლოზ I-ის მიერ 1840 წელს პეტერბურგში დაარსებული საგანგებო უწყებათაშორისი ორგანო, რომელიც კავკასიასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდა (გაუქმდა 1882 წელს; უფრო ვრცლად კავკასიის კომიტეტის შესახებ იხ. ყიფიანი 2017: 335-336).

<sup>4</sup> (გვ. 59) **„ბარონ განის უზარმაზარ ნაშრომს განიხილავდა“** – ბარონ განის უზარმაზარი ნაშრომის შესახებ იხ. აქვე, გვ. 335.

## 1851

### 26. მიხეილ ვორონცოვისადმი

(გვ. 61-63)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №141. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1851 წ. 14 თებერვალი. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელითვე აწერია (რუსულ ენაზე): „მოხსენება მეფისნაცვალს“.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322.

<sup>1</sup> (გვ. 61) **„ხსენებული ჩინოვნიკი თქვენი ბრწყინვალეების განკარგულებაში გადმოვიდა“** – იურისკონსულტ როზოვის პეტერბურგიდან თბილისში მოვლინების საჭიროების შესახებ

ებ დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებში“ წერს: „[მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრი და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი] სემიონოვიც, თავის მონინალმდეგეზე (დიმ. ყიფიანზე – თ. ჯ.) დიდად განრისხებული, გამუდმებით ჩასჩინებდა საფონოვს, აუცილებელია საბჭოში ისეთი კაცის ყოლა, რომ ფხიზლად ადევნებდეს თვალს საქმეთა მმართველის მოქმედებასაო (საქმეთა მმართველი ამ დროს დიმ. ყიფიანია – თ. ჯ.). – საფონოვმა ამის აუცილებლობაში თავის მხრით გრაფი ვორონცოვი დააჯერა და აი, 1848 წელს, თუ არ ვცდები,\* როდესაც თ-დი ვ. ო. ბებუთოვი სამოქალაქო მართველობის უფროსი და საბჭოს თავმჯდომარე იყო, დაინიშნა ამ საბჭოში დასასწრებლად იუსტიციის სამინისტროს იურისკონსულტი დ[ეისტივიტელნი] ს[ტატსკი] ს[ოვეტნიკი] რ ო ზ ო ვ ი“ (ყიფიანი 1930: 37; ყიფიანი 2020: 180). იმავე „მემუარების“ მიხედვით, დიმ. ყიფიანს როზოვთან მწვავე დაპირისპირება მოუხდა (ყიფიანი 1930: 37-39; ყიფიანი 2020: 181-183). „რამდენიმე ხნის შემდეგ ის (როზოვი – თ. ჯ.) გადაიყვანეს მოსკოვში, სენატის ობერ პროკურორად. – კიდევ ერთი ხაზი ამ პიროვნების დასურათებისათვის. – ის მთელი ერთი კვირა უტალახებდა კარებს საფონოვს, რომ მოეხერხებინა მისთვის, როგორც ღარიბისათვის, გზის ხარჯი, თორემ მოსკოვში რითი წავიდე, არ ვიციო. – მისცეს 500-მდე მანეთი. – ორი წლის შემდეგ მოკვდა ის მოსკოვში და დასტოვა, როგორც მაშინ ამბობდნენ, 200 000 მანეთის თანხა რომელიღაც ბანკში, რადგან არა ჰყოლოდა არავინ ნათესავი და მამასადამე არც მემკვიდრე. მოდით და ამის შემდეგაც დაადექით ამ ნათქვამს: De mortuis aut bene, aut nihil [მკვდარზე ან კარგი უნდა ითქვას, ან – არაფერი]“ – დასძენს დიმ. ყიფიანი როზოვთან კონფლიქტის აღწერის შემდეგ (ყიფიანი 1930: 40; ყიფიანი 2020: 183-184).

\* როგორც მ. ვორონცოვისადმი დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილით ირკვევა, როზოვი თბილისში 1851 წელს მოუვლინებიათ და არა – 1848 წელს.

## 27. ვასილ ბებუთოვისადმი (გვ. 63-77)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №523. უცნობი ხელით ნაწერი, ნასწორები დიმ. ყიფიანის მიერ. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 14. **თარიღი:** 1851 წ. 21 თებერვალი. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მის ბრწყინვალეობას, თავად ვასილ იოსების ძე (ОСИПОВИЧ) ბებუთოვს“ და „მოხსენება ავალოვების საქმეზე“.

დიმ. ყიფიანის ბორჯომის ადგილ-მამულისა და ავალიშვილებთან დაკავშირებული საქმის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337-338.

წერილის ადრესატია თვალსაჩინო სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, რუსეთის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი **ვასილ იოსების ძე (ОСИПОВИЧ) ბებუთოვი (ბებუთაშვილი)** (1791-1858). სხვადასხვა წლებში ვ. ბებუთოვი იყო იმერეთის მმართველი (1825), მონაწილეობდა ახალციხის აღებაში (1828), 1828-1829 წწ. იყო ახალციხის საფაშოს დროებითი მმართველი და გარნიზონის უფროსი (ლომსაძე 1975: 202, 250-251), 1830 წლიდან – ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი და მთავარსამმართველოს საბჭოს თავმჯდომარე. მონაწილეობდა ე. წ. „კავკასიისა“ (1843 წ. დალესტინის ჯარებს სარდლობდა) და „ყირიმის“ ომებში, ბაშკადიკლარისა (1853) და ქურუქ-დარას (1854) ბრძოლების გმირი.

ვ. ბებუთოვი ახალგაზრდობიდანვე ავტორიტეტული პირი იყო ქართულ არისტოკრატიულ და პოლიტიკურ ელიტაში [1832 წ. შეთქმულების ხელმძღვანელობას გამარჯვების შემთხვევაში იგი საგარეო საქმეთა მინისტრად უნდა დაენიშნა

(გოზალიშვილი 1935: 92)]. ვ. ბებუთოვთან ახლო მეგობრული და სამსახურებრივი ურთიერთობა ჰქონდა დიმ. ყიფიანსაც [ვ. ბებუთოვს კანცელარიის დირექტორად და ხაზინადრად ახლდა „ყირიმის“ ომში (ყიფიანი 2020: 189-191); ვ. ბებუთოვის წერილები დიმ. ყიფიანისადმი იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №№1021-1044, ფ. 39). ისიც უნდა ითქვას, რომ დიმ. ყიფიანის 1850 წწ. კარიერულ წარმატებებს, გარდა თვითონ დიმ. ყიფიანის „მუყაითობისა და თანდაყოლილი უნარიანობისა“, კავკასიის ხელისუფლება მისდამი ვ. ბებუთოვის კეთილგანწყობასა და მფარველობასაც მიაწერდა (საშვილიშვილო მოკავშირე... 1997: 14). დიმ. ყიფიანის შვილს, ნიკოლოზს, ვასილ ბებუთოვის შესახებ უწერია: „ვას. იოსების ძე ბებუთოვი მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულს და მშვენივრად წერდა ქართულად. იქნება ბევრმა არ იცოდეს, რომ, სხვათა შორის, პოეტი იყო. მე მქონდა ხელში პრინცესა სალომე მიურატისაგან ჩემდა მოცემული ვას. ბებუთოვის შენახული ქართულად მშვენიერი ლექსები: მისალმება სამეგრელოს მთავრის დავითისადმი, ვას. ბებუთოვის საკუთარი ხელით დაწერილი...“ (ყიფიანი 1894: 107; ვ. ბებუთოვის შესახებ იხ.: ავალიანი 1967: 71-75; კავკაზ 1854<sup>3</sup>).

ვ. ბებუთოვი გარდაიცვალა 1858 წ. 10 მარტს, თბილისში, გაასვენეს ვანქის ტაძრიდან, დაკრძალეს ხოჯაგანქის სასაფლაოზე, ბებუთოვების საგვარეულო აკლდამაში (კავკაზ 1858).

<sup>1</sup> (გვ. 64) **„ზავილეისკიმ, საქართველოს ყოფილმა სამოქალაქო გუბერნატორმა, ახალციხის საფაშოს ბრძოლით დაბრუნების შემდეგ ამ მხარეში მამულები იყიდა“** – ა) ახალციხის საფაშოს ბრძოლით დაბრუნების შემდეგ: იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომში გამარჯვების შემდეგ ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს რუსეთისთვის ანდრიანოპოლის ზავით გადმოცემული ტერიტორია (მათ შორის, ბორჯომის ხეობა); თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი (1829. VII-1832.I) *პეტრე ზავილეისკი* მიწებს იძენდა თურქთაგან გათავისუფლებულ ტერიტორიაზე და ამით იგი ერთ-ერთი მსხ-

ვილი მიწათმფლობელი გახდა სამცხე-ჯავახეთში (ასპინძის ციხის ქვემო მხარე, კოთელია, ბავრა, ხულგუმო, კარტიკამი, აწყური... – იხ. ლომსაძე 1975: 268, 327, 354, 364, 488). 1829 წ. 3 დეკემბრიდან ზავილესკი ივ. პასკევიჩის მიერ „ქრისტიან გადმოსახლებულთა საგანგებო კომიტეტის“ თავმჯდომარედ იყო დანიშნული (ლომსაძე 1975: 348).

<sup>2</sup> (გვ. 64) **„თავის ერთ-ერთი სოფელში შუშის ქარხნის მშენებლობა დაიწყო“** – პ. ზავილესკის შუშის ქარხანა სოფ. აწყურში ჰქონდა გამართული და, მიუხედავად იმისა, რომ იგი 1835 წლიდან ახალ სამსახურში (ციმბირში) იყო განწესებული, ამ ქარხანამ 1840 წლის ბოლომდე იარსება (ლომსაძე 1975: 488; პ. ზავილესკის შუშის ქარხნის შესახებ იხ. გოგოლაძე 1959: 152-155).

<sup>3</sup> (გვ. 68) **„საქმის მსვლელობისას არც ზნეობითი გარემოებებია გათვალისწინებული“** – *ზნეობითი*: დედანში: ПРАВОСЛАВНЫИ – ზნეობრივი, *მორალურად გამართლებული*.

<sup>4</sup> (გვ. 69) **„...საქართველოს აღწერას, რომელიც დაახლოებით 1720 წელს დაასრულა მოსკოვში“** – ავტორი აქ ცდებო. ვახუშტი ბატონიშვილი 1720 წ. ჯერ კიდევ საქართველოშია, რუსეთში კი იგი ვახტანგ VI-ს 1724 წელს გაჰყვა და კარგა ხნის მერე დაასრულა იქ თავისი „აღწერა“.

<sup>5</sup> (გვ. 74) **„მეფისნაცვლის სამართალმა...“** – მიხეილ ვორონცოვი იგულისხმება.

<sup>6</sup> (გვ. 74) **„შეუნარჩუნა ავალოვებს უფლება სალბაშისა“** – სალბაში: შუშის მოჭრის გადასახადი.

<sup>7</sup> (გვ. 74) **„საბალახეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაუხდიან...“** – საბალახე: საძოვრებით სარგებლობის გადასახადი.

<sup>8</sup> (გვ. 75) **„ახალშექმნილი სომხეთის ოლქიდან პირველად იქნა შემოტანილი“** – *სომხეთის ოლქი* რუსეთის ხელისუფლებამ 1828 წელს შექმნა ყოფილი ერევნისა და ნახიჩევანის სახანოების ტერიტორიაზე (ადმინისტრაციული ცენტრი ქ. ერევანი) და ამ ოლქმა 1840 წლამდე იარსება [ნიკოლოზ I-ის განკარგულებით ამ წელს ოლქი გაუქმდა და მისი ერთი ნაწილი

საქართველო-იმერეთის გუბერნიაში, ხოლო მეორე ნაწილი (მთიანი ყარაბაღი) კასპიის ოლქში შევიდა].

<sup>9</sup> (გვ. 75) **„მოთავსდა სარქისოვის ქარვასლაში, პესკაზე რომაა“** – სარქისოვის ქარვასლა თბილისში, რიყეზე (იმავე „პესკაზე“; მეტეხის ხიდის მიდამოებში) 1820 წელს აშენდა და მტკვრის ადიდების გამო მისი სარდაფები რამდენჯერმე დაიტბორა.

<sup>10</sup> (გვ. 75) **„ზაალი დაქორწინებული იყო ჩემ დაზე“** – დიმ. ყიფიანს ოთხი და ჰყავდა და ამათგან არც ერთი არ იყო გათხოვილი ავალიშვილზე (იხ. ყიფიანი 2020: 412; ყიფიანი 2021: 407). ავტორი **ჩემ დაში** გულისხმობს ახლო ნათესავის (ბიძაშვილის), ნიკოლოზ გიორგის ძე ყიფიანის ასულს – *ნანა ყიფიანს*, რომელიც ზაალ ავალიშვილზე იყო გათხოვილი [იხ. კოტე ყიფიანის მიერ შედგენილი „ყიფიანების ცოლები და ყიფიანების ქალების ქმარი“. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი – ხელოვნების სასახლე. კოტე ყიფიანის არქ., №1501 (1)].

<sup>11</sup> (გვ. 75) **„ალექსანდრე ავალოვი იყო ქმარი ჩემი ღვიძლი ძმისშვილისა“** – *ღვიძლი ძმისშვილი*: უნდა იგულისხმებოდეს *ელისაბედ ქაიხოსროს ას. ყიფიანი*, რომლის პირველი ქმარი ავალიშვილი იყო [იხ. კოტე ყიფიანის მიერ შედგენილი „აზნაურთ ყიფიანების ჩამომავლობის შტო“. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი – ხელოვნების სასახლე. კოტე ყიფიანის არქ., №1469 (1). საბუთში ხსენებული ავალიშვილის – ელისაბედ ყიფიანის პირველი ქმრის – სახელი არ არის მითითებული].

<sup>12</sup> (გვ. 77) **„გთხოვთ, ბრალდებები და ცილისწამება ამაცილოთ“** – ხელნაწერში ამ ფრაზას მოსდევს მონაკვეთი, რომელიც ავტორს გადახაზული აქვს:

„ქვის გული უნდა მქონდეს, რომ მათზე (ავალიშვილებზე – თ. ჯ.) უღრმესი გულისტკივილითა და მწარე ნალევლით არ ვილაპარაკო. გასულ წელს ზაალ ავალოვმა ტფილისში ორი თუ სამი ტივი

დააცურა გასაყიდად, თვითონაც ერთ-ერთ მათგანზე იმყოფებოდა, გაცივდა და ტფილისში გარდაიცვალა. დარჩა ცოლი, დედა, და, 4 წლის ქალიშვილი და ძუძუთა ბავშვი. ორიოდ-სამიოდ დესეტინა სახნავ-სათესი მიწა, რომელსაც ამუშავებდა, იყო მათი ერთადერთი საარსებო საშუალება. ამჟამად ეს მიწა დაბალი ჩინის მოხელეებს საბოსტნედ აქვთ დარიგებული, ბედკრული ოჯახი კი ქველმოქმედ პირთა სამადლო დახმარების იმედადაა დარჩენილი. დიმიტრი ცოცხალია, თუმცა მისი სახნავ-სათესი მიწის ნაგლეჯებსაც იგივე ბედი ეწია და ამჟამად საკუთარ თავსა და ცოლს არჩენს თევზჭერით, რომელსაც თვითონ ეწევა“.

## 28. გიორგი სიმონის ძე მაჩაბლისადმი

(გვ. 77-78)

**ხელნაწერი:** ქლსმ. №14918-ბ. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **ნაბეჭდი:** ჯორჯაძე 1989: 439-440 (გადმოგვაქვს ა. ჯორჯაძის თარგმანი); უთურაშვილი 1989: 86. **თარიღი:** 1851 წ. 25 აგვისტო. სოფ. ქვიშხეთი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

წერილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსულ ენაზეა. გადმოგვაქვს არჩილ ჯორჯაძის თარგმანი.

წერილში ადრესატის მხოლოდ სახელი და მამის სახელია მითითებული (*გიორგი სიმონის ძე*). ა. ჯორჯაძის პუბლიკაციაში ადრესატად სახელისა და გვარის დაუსახელებლად მიჩნეულია „*გორის მაზრის უფროსი*“, რაც არ არის სწორი – გორის მაზრის უფროსი ამ დროს არის **რევაზ რომანის ძე მაყაშვილი** (Реваз Романович Макаев). ადრესატს სწორად უთითებს ი. უთურაშვილი – *გიორგი სვიმონის ძე მაჩაბელი* (Георгий Семенович Мачабелов), რომელიც 1850-იან წწ. გორის მაზრის სურამის საპოლიციო უბნის უფროსია (კავკაზსკი კალენდარ 1851: განყ. V, გვ. 561; კავკაზსკი კალენდარ 1852: განყ. V, გვ. 512 და შმდ.).

ა. ჯორჯაძე ამ წერილზე დაყრდნობით საინტერესო დაკვირვებას იძლევა დიმ. ყიფიანის პიროვნულ თვისებებზე:

„დააკვირდით ამ წერილს. აქ მოსჩანს კეთილი და სათნოიანი ადამიანი, ერთის მხრით, ხოლო თავის უფლების შემცნე მებატონე, მეორეს მხრით. ამ უფლებას მხოლოდ იმაში იყენებს, რომ თავიდან იშორებს დანაშაულ ყმას, გზის ხარჯსაც სამ მანეთს აძლევს, მაგრამ ამასთან სიტყვით მაინც, მებატონის უფლებებსაც აღიარებს: შემეძლო მეცემა, შემეძლო შორეულ ციხეში გადამესახლებინა და სხვა ამისთანა. ეს ჩემი უფლებაა, საუკუნობით დანესებული და ამ უფლებას არ უარყოფ, მაგრამ სათნოიანი გული თითქმის აქარწყლებს მის ხელში ამ უფლებას. დამნაშავე ცოლ-ქმარმა შვილები გამოუზარდეს, დიდხანს სინდისიერად ემსახურეს, აბა როგორ უნდა დაისაჯოს სასტიკად ამისთანა მოამაგე ცოლ-ქმარი. და დიმიტრიც არა სჯის და აქ, ამ წერილში, მთელი დიმიტრია. სანამ წესი კანონიერად არსებობს, ეს წესი პატივისადავია. თუ იგი არ ეგუება ჰუმანურ გრძნობას, ადამიანის ხელშია ამ ჰუმანურ გრძნობების გამოჩენა თვით უვარგის ნობილების ფარგალში. და დიმიტრის გული ყოველთვის იყო უფრო ფართო, ვიდრე მისი პოლიტიკური აზროვნება. ეს გარემოება კონფლიქტის წყარო იყო მის ცხოვრებაში“ (ჯორჯაძე 1989: 440).

*სიმონ ლაზარეს ძე ბლუაშვილი* ნახსენებია შორაპნის მაზრის აზნაურის – ლევან ვახტანგის ძე ჩხეისადმი დიმ. ყიფიანის 1867 წ. მაისის (რიცხვი არ არის მითითებული) წერილში. დიმ. ყიფიანი ჩამოთვლის შორაპნის მაზრის ხარაგაულის (ავტორთან – ხორაგოული) უბანში (ზვარე, ზედუბანი) მცხოვრებ თავის კუთვნილ მამრობითი სქესის გლეხებს და აქ ვკითხულობთ: „ზედუბანი: სიმონ ლაზარეს ძე ბლუაშვილი, მისი შვილები: ანდრია და ნიკო; ძმა მისი – დათო, შვილი ამ დათოსი – ედიშერი; მათი (სიმონისა და დათოს – თ. ჯ.) ძმისშვილები: მიხეილი და პავლე (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ. საქ. №853).



რაც შეეხება წერილის ადრესატს, **გიორგი მაჩაბელს**, იგი შვილი იყო პოეტისა და 1832 წ. შეთქმულების მონაწილის – **სვიმონ (სიმონ) მაჩაბლისა** (სვ. მაჩაბელზე იხ.: ბერძნიშვილი 1983: 97-99) და მამა **ივანე (ვანო) მაჩაბლისა**. გიორგი მაჩაბელი მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომში, თავიც გამოიჩინა და წმ. გიორგის ჯვარი დაიმსახურა, თუმცა მისმა მეტისმეტად ხელგაშლილმა ცხოვრებამ ოჯახი უკიდურეს სიღარიბემდე მიიყვანა, თვითონ კი, ვალებში ჩაფლულმა, გორის ტრაქტირში დაასრულა სიცოცხლე (გ. მაჩაბელზე იხ. ჭელიძე 1957: 11-17, 53, 79-80).

<sup>1</sup> (გვ. 78) **„აქედამ პირდაპირ გავგზავნი“** – დედანში: „...тудаже“ – იქვე (ე. ი. იმავე სოფელში, ზედუბანში).

<sup>2</sup> (გვ. 78) **„ჭეშმარიტო პატივისცემითა ... სოფ. ქვიშხეთი“** – აქ და ზემოთ: კურსივით აღნიშნული მონაკვეთები ა. ჯორჯაძის პუბლიკაციაში გამოტოვებულია, თუმცა არის დედანში.

## 29. ივანე ანდრონიკაშვილისადმი

(გვ. 78-80)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №524. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1851 წ. 21 დეკემბერი. ხელმოუწერელი.

იქვეა (საქ. №525. რუსულ ენაზე. ფ. 1) თბილისის სამხედრო გუბერნატორის მდივნის 1851 წ. 22 დეკემბრის ხელწერილი დიმ. ყიფიანისგან მოხსენებითი ბარათისა და დოკუმენტების მიღების შესახებ.

მოხსენებითი ბარათის ადრესატი, კავალერიის გენერალ-ლეიტენანტი **ივანე (იოანე) ანდრონიკაშვილი** საინტერესო ფიგურაა XIX ს. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ

ცხოვრებაში. იგი იყო *ელენე ერეკლე II-ს* ას. ბატონიშვილის შვილიშვილის, *მარიამ (მაია) არჩილ იმერეთის ბატონიშვილის* ასულისა და *მალხაზ მეღვინის* ძე *ანდრონიკაშვილის* ვაჟი. მალხაზ ანდრონიკაშვილი ანტირუსული სულისკვეთებით იყო ცნობილი და ამის გამო ოსმალეთში (ახალციხეში) გადაიხვეწა ჯერ სოლომონ ლიონიძესთან, შემდეგ კი სოლომონ მეორესთან ერთად (ბერძნიშვილი 1980: 145-146). თვითონ ივანემ პეტერ-ბურგში სამხედრო განათლება მიიღო, თუმცა 1824 წ. სამსახურიდან გასვლას აპირებდა. მას ეს განზრახვა გადააფიქრებინა თეიმურაზ ბატონიშვილმა, რამაც ივანეს დედა, მარიამი, ისე განარისხა, რომ მან ხატის წინაშე დაწყევლა შვილი, დატოვა ოჯახი და თავი ანჩისხატის ეკლესიას შეაფარა (პაპავა 1990: 316).

ივანე ანდრონიკაშვილი 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა წრეში ტრიალებდა (ალ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი...), თუმცა „დანაშაული“ ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს, 1849-1856 წლებში კი მას უკვე თბილისის სამხედრო გუბერნატორისა და სამოქალაქო ნაწილის მმართველის პოსტზე ვხვდავთ. ბრძოლის ველზე ივ. ანდრონიკაშვილი უჩვეულო სიმამაცით გამოიჩინოდა. მის მიერ 1853 წ. 14 ნოემბერს ახალციხესთან ჩატარებულმა ბრწყინვალე სამხედრო ოპერაციამ განადგურებისგან „იხსნა ახალციხის მხარე და ქუთაისის გუბერნია“ (ბერძნიშვილი 1980: 142). ივანე ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა 1868 წელს მშობლიურ სოფ. ქოდალოში (სიღნაღის მაზრა), იქვეა დაკრძალული (ივ. ანდრონიკაშვილის შესახებ იხ.: ავალიანი 1967: 77-84; მეგრელიძე 1979: 102-111; ბერძნიშვილი 1980: 141-142; აქტები 1885: XIII). ხეც-ში, დიმ. ყიფიანის არქივში, დაცულია ივანე ანდრონიკაშვილის საქმიანი თუ კერძო ხასიათის წერილები დიმ. ყიფიანისადმი (№№899-906).

<sup>1</sup> (გვ. 79) „**კავკასიის მეფისნაცვლის...**“ – იგულისხმება *მიხეილ ვორონცოვი*.

<sup>2</sup> (გვ. 79) **„ავალოვების... მამულის მეთაედი ნაწილი ჩემი და ჩემი ძმის, პრაპორშნიკ ქაიხოსრო ყიფიანის, საკუთრებაა“** – დიმ. ყიფიანის ბორჯომის ადგილ-მამულისა და ავალიშვილებთან დაკავშირებული საქმის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337-338.

### 30. ივანე ანდრონიკაშვილისადმი (გვ. 80-81)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №526. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1851 წ. 30 დეკემბერი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 352-353.

<sup>1</sup> (გვ. 80) **„თავის საკუთრებად მიაჩნია მას შემდეგ, რაც აღნიშნული მამულის მეორე მეთაედი 1848 წელს მე მომყიდა“** – დიმ. ყიფიანის ბორჯომის ადგილ-მამულისა და ავალიშვილებთან დაკავშირებული საქმის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337-338.

<sup>2</sup> (გვ. 81) **„ზურაბ ავალოვის თხოვნა“** – ამას მოსდევს ტექსტის მეორე ნაწილი, რომელიც ავტორს გადახაზული აქვს:

„ჩემს ვალდებულებად მიმაჩნია, აქვე დავურთო განმარტება იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე აქვს ზურაბ ავალოვს საკუთრების უფლება ავალოვების ბორჯომის მამულის ხსენებულ მეთაედი ნაწილზე:

1. თავადი ზურაბ ავალოვი, როგორც ეს გადანყვეტილებს წარმოდგენილი ასლიდან ჩანს, ერთ-ერთი მოპასუხეა ხაზინის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელში.

2. მიმდინარე თვის 12-ის რიცხვით თქვენი ბრწყინვალეობისთვის ჩემ მიერ წარდგენილ მოხსენებით ბარათს დართული აქვს აქტი, რომელშიც წერია, რომ ზურაბ ავალოვმა მომყიდა ავალოვების ადგილ-მამულის მეთაედი ნაწილი, ანუ **ნახევარი იმ მესხეთ-**

**დი** ნანილისა, რომელიც ზურაბ ავალოვს *ეკუთვნოდა* ავალოვთა ბორჯომის ადგილ-მამულიდან. — ზურაბ ავალოვი ამჟამად თავს თვლის ადგილ-მამულის საერთო ოდენობის კუთვნილი მეხუთედი ნანილისგან დარჩენილი ნახევრის, ანუ მეათედის, მესაკუთრედ. — მისი ეს უფლება თანამესაკუთრეებიდან დადგენილ ვადაში არავის გაუსაჩივრებია; ჩემ მიერ წარმოდგენილი ხსენებული აქტი კი შედგენილია 1848 წელს და, მაშასადამე, მასაც უკვე ვერავინ ვერ გაასაჩივრებს“.

1853

**31. სიმონ ქობულოვის საქმის გამომრკვევი  
კომისიისადმი  
(გვ. 81-87)**

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №142. უცნობი ხელით ნაწერი, ნასწორები დიმ. ყიფიანის მიერ. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 7. **თარიღი:** 1853 წ. 10 იანვარი. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ვთხოვ ერმოლაევს, გადაათეოროს ხელმოსაწერად“.

საქმეში დაცულია მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის 1852 წლის 21 მაისის მიმართვა დიმ. ყიფიანისადმი [თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „მივიღე 1852 წ. 22 მაისს“]. ვიმონმებთ სრულად:

ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს  
საქმეთა მმართველს, ბატონ კოლეგიის მრჩეველს  
**ყიფიანს**

თელავის მაზრის მემამულემ, თავადმა გულბაათ ჭავჭავაძემ,  
მომმართა თხოვნით, რათა განხილულ იქნეს მისი შვილის, ზაქა-

რიას, მემკვიდრეობითი უფლება დედის, მთხოვნელის მეუღლის, კნინა ელენე ქობულოვას, ხაზით.

ერთი მხრივ, მხედველობაში ვიღებ რა, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ტფილისის სასამართლოს პალატის გადაწყვეტილება მმართველი სენატის მიერ აღიარებულია, როგორც სწორი გადაწყვეტილება, მეორე მხრივ, დასაკმაყოფილებელია მთხოვნელის სურვილი სამართლის ძიებისა. ამიტომაც აუცილებლობად მიმაჩნია, საქმის გამორკვევა დავავალო კომისიას იმ პირობა შემადგენლობით, რომლებიც იცნობენ ისეთი საქმეების სასამართლო პრაქტიკას, რომლებშიც სადავო საკითხების გარკვევისას ვახტანგ მეფის სჯულდება გამოიყენება. ამ გარემოების გათვალისწინებით, კომისიის თავმჯდომარედ დავნიშნე ჩემი კანცელარიის მმართველი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი შჩერბინინი, ხოლო თქვენ ამ კომისიაში წევრად ხართ შეყვანილი. უმორჩილესად გთხოვთ, მონყალეო ხელმწიფეო, მიწვევისთანავე გამოცხადდეთ კომისიის თავმჯდომარესთან და სხვა წევრებთან ერთად აღნიშნული საქმე განიხილოთ იმ მითითებების მიხედვით, ბ-ნი შჩერბინინისთვის რომ მაქვს გადაცემული.

კავკასიის მეფისნაცვალი, ნოვოროსიისა და  
ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი  
**მ. ვორონცოვი\***

21 მაისი, 1852 წელი.  
ტფილისი (№208)

**<sup>1</sup> (გვ. 81) „...და არა გარდაცვლილის ღვიძლ დისწულს, თავად ზაქარია ჭავჭავაძეს“** – როგორც დიმ. ყიფიანისადმი მიხ.

\* როგორც ზემოთ ითქვა (წერილი 11. კომენტ. 1) ნიკოლოზ I-მა მიხეილ ვორონცოვს კავკასიის მეფისნაცვლობასთან ერთად ნოვოროსიისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორობაც შეუწარმოა.

ვორონცოვის ზემოთ დამონმებული მიმართვით ირკვევა, სადავო მემკვიდრეობის საქმის განხილვის თხოვნით მიხ. ვორონცოვს მიმართა თელავის მაზრის (სოფ. წინანდლის – თ. ჯ.) მემამულემ **გულბაათ ჭავჭავაძემ**, გარდაცვლილი სიმონ ქობულაშვილის სიძემ (დის ქმარმა). აქ ნახსენები **ზაქარია ჭავჭავაძე** (შემდგომში სახელგანთქმული გენერალი) შვილი იყო გულბაათ ჭავჭავაძისა. ხოლო რაც შეეხება სიმონ ქობულაშვილის დას (ზაქარიას დედას), იგი გულბაათ ჭავჭავაძის პირველი ცოლია – **ანა იოსების ას. ქობულაშვილი** (გარდ. 1840 წელს). მთელს ამ ისტორიაში ერთი შეუსაბამობაა: წყაროების მიხედვით, გულბაათ ჭავჭავაძის მეუღლის სახელია **ანა** (ჩიქოვანი 2002: 96), მიხ. ვორონცოვი კი ზემოთ დამონმებულ მიმართვაში მას **ელენედ** იხსენიებს.

<sup>2</sup> (გვ. 81) **„თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის...“ – გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი)**, რომელიც ამ დროს კავკასიის სამოქალაქო მმართველობის სასამართლოს საქმეთა ხელმძღვანელია („კავკაზსკი კალენდარ“, 1853. განყ. V, გვ. 520; მანამდე იყო ერევნის საგუბერნიო სასამართლოს თავმჯდომარე, 1854 წლიდან იგი ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის საბჭოს წევრია, ხოლო 1859 წლიდან – კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი).

<sup>3</sup> (გვ. 84) **„საქმე საკუთრების ხანდაზმულობის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს“ – „ხანდაზმულობა (სამართ.):** ვადა, რომლის შემდეგაც კარგავენ ან იძენენ რისამე უფლებას“ (ქეგლ 1964: 1131).

<sup>4</sup> (გვ. 86) **„ვინც ანაზდეულ სიკუდილით მიიცვალოს უანდერძოთ, რომ არ დარჩეს შვილი, ქონებასა მისსა ეპატრონოს მამა. თუ არა ყუანდეს მამა ცოცხალი, ეპატრონოს ძმა და და, ორნივ“** – დამონმებული ციტატა დიმ. ყიფიანის ტექსტში რუსულ ენაზეა. ჩვენ იგი ამოღებული გვაქვს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულიდან (სამართლის ძეგლები 1963: 227).

<sup>5</sup> (გვ. 87) **„1801 წლის მანიფესტის თანახმად, მიემართოთ იმპერიის ზოგად კანონმდებლობას“** – 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს დართული აქვს დებულება ქართლ-კახეთის გაუქმებული სამეფოს ადმინისტრაციულ-მმართველობითი მონყობის თაობაზე (დებულების შესახებ იხ.: ჩხეტია 1940: 28-31; ბერძენიშვილი 1965: 258-260; დედნის პუბლიკაცია: აქტები 1866: 437-438; ბუტკოვი 1869: 488-494). ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხზე ხსენებულ დებულებაში ვკითხულობთ: „სამოქალაქო საქმეთა წარმოება უნდა მოხდეს ქართული ჩვეულებითი სამართლისა და ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით, ხოლო რაიმე ნაკლულევანებისა თუ ხარვეზის შემთხვევაში – რუსული საერთო-საიმპერიო კანონმდებლობით“ (აქტები 1866: 438).

<sup>6</sup> (გვ. 87) **„კომისიის წევრის, ბ-ნ ალექსეევ-მესხიევის, მოსაზრებას“** – *ალექსეევ-მესხიევი: იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი*, რომელიც ამ დროს სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატის მოხელეა (კავკაზსკი კალენდარ 1853, განყ. V, გვ. 509).

### 32. ალექსანდრე მაქსიმოვიჩისადმი

(გვ. 88)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №247. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1853 წ. 21 მარტი. ხელმოწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელითვე აწერია (რუსულ ენაზე): „მის მაღალშობილებას, ა. პ. მაქსიმოვიჩს“.

წერილის ადრესატია კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე (1850-1860-იანი წწ.), ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник) **ალექსანდრე**

**პეტრეს ძე მაქსიმოვიჩი**, ძმა თავის დროზე ცნობილი რუსი პედაგოგისა და სახელმძღვანელოების ავტორის – *პავლე მაქსიმოვიჩისა*.

<sup>1</sup> (გვ. 88) **„ამა თვის 20-ის მომართვაზე (№6)“** – დიმ. ყიფიანისადმი ალ. მაქსიმოვიჩის ეს მიმართვა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №246.

<sup>2</sup> (გვ. 88) **„სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის ქართული ენის განყოფილება ჩემი თავმჯდომარეობით“** – აქ ნახსენები *კომიტეტი* 1848 წელს დაარსებული კავკასიის სასწავლო ოლქის ფარგლებში 1851 წლის დეკემბერში შეიქმნა და მასში სხვა სასწავლო დისციპლინებთან ერთად (რუსული, სომხური, თათრული ენები, ისტორია, მათემატიკა და სხვ.) შედიოდა ქართული ენის განყოფილება, რომელსაც ევალეზო-და ქართული ენისა და სიტყვიერების სახელმძღვანელოების, ქრესტომათიების, სკოლებში გამოსაყენებელი ლიტერატურისა და სხვ. რეცენზირება, სასკოლო ბიბლიოთეკებისთვის საჭირო ქართული წიგნების სიების შედგენა და სხვ. დიმ. ყიფიანი ხსენებული კომიტეტის წევრი და ქართული ენის განყოფილების თავმჯდომარე იყო, ხოლო წევრები ქართული ენის განყოფილებისა იყვნენ: პლატონ იოსელიანი, ზაქარია ყორღანოვი, ივანე თურქისტანიშვილი (თურქისტანოვი), ზაქარია მჭედლიშვილი (მყედლოვი) (იხ. ყიფიანი 2019: 462-463; უფრო ვრცლად საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 2002: 190-197).

<sup>3</sup> (გვ. 88) **„გრამატიკა და ლექსიკონი ბ-ნი ჩუბინოვისა“** – იგულისხმება ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის ადიუნქტ-პროფესორის, დავით ჩუბინაშვილის (ჩუბინოვის), „მოკლე ქართული გრამატიკა“ (Краткая грузинская грамматика. С.-Пб: 1855) და მისივე „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ (გამოიცა ს.-პეტერბურგში 1858 წ.). წიგნი კავკასიის სასწავლო ოლქის სასკოლო დაწესებულებებისთვის იყო განკუთვნილი და ამ წიგნთან დაკავშირებით დიმ. ყიფიანს ჰქონდა უაღრესად სერიოზული და პრინციპული შენიშვნები (დიმ. ყიფიანის რეცენზიები დ. ჩუბი-



ნაშვილის „გრამატიკასა“ და ლექსიკონზე იხ. ყიფიანი 2019: 200-238).

<sup>4</sup> (გვ. 88) **„გრამატიკა ბ-ნი იოსელიანისა“** – აქ უნდა იგულისხმებოდეს პ. იოსელიანის მიერ შედგენილი წიგნი „პირუელდანწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა“ (თფ.: 1851), რომლის გადამუშავებული ვერსია ავტორს სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის ქართული ენის განყოფილებისთვის წარუდგენია (გამოიცა მოგვიანებით – 1863 წ.). უნდა ითქვას, რომ თვითონ პ. იოსელიანიც არ ყოფილა კმაყოფილი თავისი ნაშრომით. ამის შესახებ დიმ. ყიფიანი წერს: „[პ. იოსელიანმა] საკუთარ „გრამატიკაზე“ ასე განაცხადა – მოუხერხებელია, ქართული ენა ამით ისწავლებოდესო“ (ყიფიანი 2019: 233).

### 33. მიხეილ შჩერბინინისადმი

(გვ. 88-91)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №850. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1853 წ. 25 მაისი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატია **მიხეილ პავლეს ძე შჩერბინინი (1807-1881)**, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი (Действительный тайный советник), სენატორი, მემუარისტი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი [1851-1856 წწ.; ამ თანამდებობაზე მცირე ხნით შეცვალა დიმ. ყიფიანმა (ყიფიანი 2020: 194-198)]; მიხეილ ვორონცოვის ნდობით აღჭურვილი პირი და მისი ბიოგრაფი (ავტორი წიგნისა: Биография генерал-фельдмаршала Князя Михаила Семеновича Воронцова. СПб.: 1858); 1856 წ. მიხეილ შჩერბინინმა დატოვა კავკასია; 1860-1865 წწ. იყო მოსკოვის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე, 1865.VIII-1866 წწ. – პრესის საქმეთა მთავსამმართველი.

ლოს უფროსი. გარდაიცვალა 1881 წ. 3 სექტემბერს გერმანიაში (ბიოგრაფიული ცნობები მ. შჩერბინინზე იხ.: აქტები 1885: XXXIV).

მ. შჩერბინინს მონაწილეობა აქვს მიღებული გ. ერისთავის პიესის „დავა“ 3 (15) მაისის წარმოდგენაში (ასრულებდა ხარითონ ფილიპინის როლს – გერსამია 1950: 70). მისი ქალიშვილი მარიამ შჩერბინინა იყო მეუღლე დიმ. ყიფიანის ცოლისძმის, მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილისა (შვილები არ დარჩენიათ).

<sup>1</sup> (გვ. 88) „**ბორჯომის მამულზე ჩემი უფლების საკითხი**“ – დიმ. ყიფიანის მიერ ზურაბ ავალიშვილისგან ნაყიდი ბორჯომის მამულისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. აქვე, გვ. 337-338.

<sup>2</sup> (გვ. 91) „**თავადი მიხეილ სიმონის ძე**“ – იგულისხმება მიხეილ ვორონცოვი.

<sup>3</sup> (გვ. 91) „**უგანათლებულეს თავადს...**“ – აქაც მიხ. ვორონცოვი იგულისხმება.

### 34. ქაიხოსრო ყიფიანისადმი

(გვ. 92)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №530. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1853 წ. 1 ივნისი. **ხელმწერი:** Бааь нрат.

წერილ-მინდობილობის ადრესატია დიმ. ყიფიანის უფროსი ძმა **ქაიხოსრო ივანეს (ქოჩოს) ძე ყიფიანი**, რომელიც, ფაქტობრივად, იყო აღმზრდელი და გზის გამკვალავი მამით დაობლებული დიმიტრისა (მან ჩაიყვანა თბილისში და მიაბარა სემინარიაში. საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 1894: 71-73; ყიფიანი 2007: 6-8). ქაიხოსრო, ჯერ კიდევ ყმანვილი, მონაწილეობდა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე იმერელთა

დაფიცებაში, რისთვისაც 1810 წელს ჯილდოზეა წარდგენილი (აქტები 1870: 254). ამის შემდეგ იგი შედის მილიციაში (სახალხო ლაშქარში) და მონაწილეობს ბრძოლებში: იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყების ჩახშობაში, რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ. და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომებში (იღებს პრაპორშჩიკის წოდებულებას). 1839-1840 წწ. იგი ხეფინისხევის ბოქაულია, 1841-1851 წწ. საუბნო მსაჯულის („Участковый заседатель“) თანაშემწეა, 1851 წლიდან კი სურამის საბაჟო პოსტზე მსახურობს ზედამხედველის თანაშემწედ; 1854 წ. მონაწილეობს რუსეთ-ოსმალეთის („ყირიმის“) ომში [ქურუქ-დარასთან გამართულ ბრძოლაში დაიჭრა კიდევაც (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1036. ფ. 2)].

ქაიხოსრო ყიფიანსა და მის მეუღლეს, ეფემია კორინთელს, ეყოლათ 10 შვილი, რომელთაგან ზოგიერთმა (დავითმა, მიხეილ-მიშომ, ეფროსინე კლდიაშვილისამ...) თვალსაჩინო კვალი დატოვა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში [ამ ათი შვილიდან 1888 წ. შვიდია ცოცხალი – იხ. კოტე ყიფიანის მიერ შედგენილი „აზნაურთ ყიფიანების ჩამომავლობის შტო“. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი – ხელოვნების სასახლე. კ. ყიფიანის არქ., №1469 (1)]. ქაიხოსრო ყიფიანი გარდაიცვალა 1866 წელს. ამის შესახებ იმავე წლის 19 ოქტომბერს დიმ. ყიფიანი თბილისიდან პეტერბურგში სწერს ეკატერინე დადიანს: „საყვარელი ძმა დავმარხე, რომელსაც მამობრივი ღვანლი ჰქონდა ჩემზედაც და ჩემს ოჯახზედაც“ (ზსიამ. ლ. ა. 1865). რაც შეეხება ეფემიას, 1867 წლის 13 ოქტომბერს იგი ცოცხალია [ამ დღეს თავის შვილთან, ალექსანდრესთან, ერთად ხელს აწერს ხელწერილს იმის შესახებ, რომ დედა-შვილმა დიმ. ყიფიანისგან ისესხა 30 თუმანი – (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №661)], ხოლო 1871 წლის 31 მაისს იგი გარდაცვლილია (იხ. დიმ. ყიფიანის წერილი გენერალ მიხ. ასტაფიევისადმი. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №681). ასე რომ, ეფემია კორინთელ-ყიფიანი 1867-1871 წლებს შორის ჩანს გარდაცვლილი.

<sup>1</sup> (გვ. 92) **„კეთილშენადენ...“** – *კეთილშენადენი*: პირადად, საკუთარი შრომით შექმნილი, არამემკვიდრეობითი (ქეგლ 1955: 1133). ქაიხოსრო და დიმ. ყიფიანების საერთო *კეთილშენადენ* მამულებზე გიორგი ტატიშვილი (დიმ. ყიფიანის ოჯახის ახლობელი, კოტე ყიფიანის ცოლისძმა) წერს: „დიმიტრის სამსახურში ყოფნის დროს ოჯახს ქვიშხეთში განაგებდა მისი უფროსი ძმა – ქაიხოსრო. რადგან მამაპაპური მამული ცოტა ჰქონდათ, ქაიხოსრო გასასყიდს მამულებს ბევრს შოულობდა. ჩავიდოდა თბილისს დიმიტრისთან და მამულის შესაძენად ართმევდა ფულს“ (ტატიშვილი 2007: 183-184). მოგვიანებით ეს მამულები ქაიხოსროს შვილებსა და დიმიტრის შორის დავის საგნად იქცა [ტატიშვილი 2007: 184-185; უთურაშვილი 1989: 83-84; იხ. აგრეთვე: დიმ. ყიფიანის დაუმთავრებელი თხზულება „უახლესი ესკიზი. მომრიგებელი მოსამართლე კომპასით ხელში“ (ყიფიანი 2021: 279-286)].

<sup>2</sup> (გვ. 92) **„თბილისის გუბერნიის გორის მაზრისა და ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის მემამულეს“** – გორისა და შორაპნის მაზრებში საერთო მამულების შესახებ დიმ. ყიფიანი 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში წერს: „მამული მაქვს ჩემ ძმებთან საერთო და განუყოფელი გორის მაზრის სოფლებში: ქვიშხეთში, მოლითში, ზედუბანში, ნებოძირში და ცარიელი ადგილი, სადაც წინათ სოფელი ვარდისუბანი იყო“ (ყიფიანი 2021: 97). 1846 წელს შეიქმნა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრა და ზემოხსენებული მამულები, გარდა ქვიშხეთისა, ახალშექმნილი მაზრის საზღვრებში მოექცა. ამის შემდეგ დიმიტრისა და ქაიხოსროს ქვიშხეთის ახლომახლო ადგილებშიც შეუძენიათ მიწები: სარმანიშვილისკარში (ჭაჭარაქი), ტაშისკარში, მონასტერში... 1871 წ. დიმ. ყიფიანმა ავალიშვილებისგან 1848 წ. ნაყიდი ბორჯომის ადგილ-მამულის სანაცვლოდ მიიღო მამულები ჩუმათელეთში, ფონასა და ნიფაში [იხ. გარიგება კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამართველოსთან არსებული სახელმწიფო ქონების სამმართ-

ველოს უფროსთან, გენერალ მიხეილ ასტაფიევთან (ყიფიანი 2021: 218-220)]. ამას გარდა, დიმ. ყიფიანს მამულები ჰქონდა იტრიაში (ყიფიანი 2021: 190), აგრეთვე, მილახვრიანთკარში ცოლის, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანის, წილი (ყიფიანი 2021: 414). მოგვიანებით, 1887 წ. 18 ოქტომბერს, დიმ. ყიფიანი სტავროპოლიდან ქვიშხეთში შვილს, კოტეს, სწერს: „ტაშისკარში, სანამ გავიყოფოდით, მე ნამდვილად საერთო ადგილ-მამულის მონილე ვიყავი. ხოლო ქვიშხეთს რაც შეეხება, აქ ჩემი მამულის თითოეული მტკაველი სახელდებითა მაქვს შეძენილი ცალ-ცალკე და მასზე საერთო მფლობელობის წესი არასოდეს გავრცელებულა“ (ჩხეტია 1947: 494; საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე: ყიფიანი 2021: 207-215). მიუხედავად მამულების ასეთი სიმრავლისა, დიმ. ყიფიანს შემოსავალი საკმარისად არ შემოსდიოდა და ამიტომ მუდამ ხელმოკლეობას განიცდიდა, მით უმეტეს, 1860-იანი წლებიდან მოკიდებული სიცოცხლის ბოლომდე ხან კარდანახელი თავადების, დიმ. და ალ. აბხაზების, მიერ გიორგი ფორაქაშვილისგან აღებულ ვალს ისტუმრებდა (ყიფიანი 2018: 457-458; ყიფიანი 2020: 395-396), ხანაც – სასამართლოს მიერ ნიკო დადიან-მინგრელსკის სასარგებლოდ დაკისრებულ თანხას (ყიფიანი 2021: 313-314).

<sup>3</sup> (გვ. 92) **„წინამდებარე მინდობილობა ეკუთვნის ... პრაპორშჩიკ ქაიხოსრო ივანეს ძე ყიფიანს“** – ეს მინაწერი დიმ. ყიფიანისაა.

### 35. უცნობი პირისადმი (გვ. 92-94)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №143. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. უთარილო. ხელმოუწერელი.

დიმ. ყიფიანი ტექსტშივე მიუთითებს – საკითხი 1852 წელს დავაყენეო. ე. ი. დათარიღებისას ქვემო ზღვრად 1853 წ. უნდა

ავილოთ. ასე ათარილებს ტექსტს ე. კელენჯერიძეც [„1852 წ. შემდეგ“ – იხ. მის მიერ შედგენილი დიმი. ყიფიანის პირადი არქივის აღწერილობა (გვ. 19). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზი]. 1857 წელს კი დიმი. ყიფიანი თვითონ ხდება [მეფისნაცვლის] საბჭოს წევრი და, შესაბამისად, ვერ იმსჯელებს როგორც საბჭოს გარეთ მდგომი პირი. ასე რომ, **სავარაუდო** თარიღად შეიძლება **1853-1857 წწ.** მივიჩნიოთ. აქ ნახსენები **კიკოვეისა** და **შერმაზანოვის** ვინაობა ჩვენ ვერ გამოვარკვეით.

1854

### 36. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

(გვ. 95)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №252. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1854 წ. 14 მარტი. ხელმოუწერელი.

ეს არის დიმი. ყიფიანის პასუხი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, ალ. ნიკოლაის, 1854 წ. 13 მარტის მიმართვაზე თბილისის გიმნაზიაში ქართული ენის გაკვეთილების კვირეული განაწილების შესახებ (ხეც. დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №251. ფ. 1).

1850-იან წლებში დიმი. ყიფიანი, როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 359), კავკასიის სასწავლო ოლქთან არსებული „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის“ წევრი და ქართული ენის განყოფილების თავმჯდომარე იყო. წინამდებარე წერილი ალ. ნიკოლაისადმი დიმი. ყიფიანის მიერ ხსენებული კომიტეტის ფარგლებში განეუღო შრომას ეხება.

წერილის ადრესატია თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. II ნახევრის კავკასიისა და ზოგადად რუსეთის იმპერიის სახელმ-

ნიფო-ადმინისტრაციულ სისტემაში, შვედური წარმოშობის (დაიბადა კოპენჰაგენში) **ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი** (1821-1899), ბარონი, სენატორი და სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь), მემუარისტი, სხვადასხვა დროს: კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და სასწავლო ოლქის მზრუნველი, „კავკასიის ომის“ მონაწილე (თავი გამოიჩინა დარღვლას ცნობილ ექსპედიციაში და, კერძოდ, აულ სალტის აღებისას), კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი, სახალხო განათლების მინისტრი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი და სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარე, რუსეთის არაერთი ორდენის, მათ შორის, უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი (ბიოგრაფიული ცნობები ალ. ნიკოლაის შესახებ იხ.: აქტები 1885: XXVII; კავკაზ 1899; თუმანოვი 1907: 94-99; ბერძნიშვილი 1983: 121; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 271-272 და სხვ.; ხეც-ში დაცულია მისი პირადი არქივი). ალ. ნიკოლაის ცოლად ჰყავდა ალ. ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი **სოფიო** (ვიბორგში მისი აკლდამის შესახებ იხ. გრიშაშვილი 1952: 459-462). სოფიო ჭავჭავაძისა და ალ. ნიკოლაის ერთადერთი შვილი **მარიამ ნიკოლაი** მეუღლე იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორისა (1888-1897) და რუსეთის სამეფო კარის კამერჰერის – **გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძისა**.

სიცოცხლის ბოლო წლები ალ. ნიკოლაიმ თბილისში, აგრეთვე, ბეთანიის საკუთარ მამულში გაატარა. გარდაიცვალა 1899 წ. 3 ივლისს ბეთანიაში (რუსულ წყაროებში ალ. ნიკოლაის გარდაცვალების ადგილად მითითებულია ლაჩინო, იგივე ლოჭინი თბილისთან ახლოს, სადაც ბარონს მამული და კარგად მოწყობილი მეურნეობა ჰქონდა. სინამდვილეში კი ალ. ნიკოლაი ბეთანიაში გარდაიცვალა – იხ.: ივერია 1899<sup>ა</sup>; კავკაზ 1899; ცნობის ფურცელი 1899): „10 ივლისს, საღამოთი, გამოასვენეს [თბილისის] ლიუტერანთა კირკიდგან [ეკლესიიდან] და კავკავის გზით ფინლანდიაში წაასვენეს“ (ივერია 1899<sup>ა</sup>;

ნეკროლოგები იხ.: ივერია 1899<sup>ბ</sup>; ცნობის ფურცელი 1899; დაკრძალეს ვიბორგში, რომელიც იმ დროს ფინეთს ეკუთვნოდა; რუსულ წყაროებში დაკრძალვის ადგილად მითითებულია პეტერბურგის ვოლკოვოს ლუთერანული სასაფლაო და აღნიშნულია, რომ საფლავი დაკარგულია).

აღ. ნიკოლაის მთელი თავისი კავკასიური კარიერის განმავლობაში მუდმივი სამსახურებრივი ურთიერთობა ჰქონდა დიმი. ყიფიანთან და მათი ეს ურთიერთობა, ფიგურალურად თუ ვიტყვი, არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. ამის შესახებ დიმი. ყიფიანი წერს კიდევაც თავის „მემუარებში“ (ყიფიანი 2020: 235-240, 256, 261), ხოლო რაც შეეხება აღ. ნიკოლაის, დიმი. ყიფიანის სახელს მის ნაწერებშიც ვხვდებით და მათგან გამოვყოფთ ორს: ა) 1856 წ. 17 თებერვლის წერილს ძმის – ლეონტი ნიკოლაისადმი, რომელშიც წერილის ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს დიმი. ყიფიანის კარიერული წინსვლის გამო: „[დიმი. ყიფიანი] ქართველთა შეთქმულებაში მონაწილეობდა და ამის გამო რუსეთში იყო გადასახლებული. უნდა ვალიაროთ, რომ ეს ფაქტი თავისთავად შეუძლებელს ხდის, იგი სამოქალაქო საზოგადოების არბიტრი იყოს. მისი ნათესაური კავშირები, აზროვნების წესი, ხასიათი ამ თანამდებობისთვის (მეფისნაცვლის საბჭოს წევრობისთვის – თ. ჯ.) შეუფერებელია... მისი დანიშვნა ახალი, წმინდა წყლის აბორიგენტთა, ეპოქის დასაწყისია ამ ქვეყნის სამოქალაქო მმართველობაში... ეს ფაქტი სამწუხაროდ მიმაჩნია და გამოგიტყდები, რომ ასეთი არჩევანი სევდიან ფიქრებს მგვრის“ (ყიფიანი 2016: 19); ბ) 1864 წ. 28 თებერვლის მოხსენებით ბარათს რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისადმი, რომელშიც, ჯერ ერთი, საინტერესო დაკვირვებებია დიმი. ყიფიანის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, პრინციპებსა და შეხედულებებზე (კერძოდ, იყო თუ არა იგი მომხრე საქართველოს ავტონომიისა), ხოლო, მეორე მხრივ, მოცემულია ქართველი თავადაზნაურობის პოლიტიკური ფიზიონომიის უაღრესად საინტერესო ანალიზი. ამას გარდა, ავტორი საინტერესოდ მსჯელობს იმავე თავადაზნაურობის



თვითშეგნებაში მიმდინარე სიღრმისეულ ტრანსფორმაციაზე, რამაც შესაძლებელი გახადა, უმაღლეს სოციალურ ფენას – წარჩინებულ თავადობას – თავის წინამძღოლად („მარშლად“) **აზნაური** დიმ. ყიფიანი აერჩია [ალ. ნიკოლაის მოხსენების ტექსტი სრულად დედნის (რუსულ) ენაზე იხ.: ჩხეტია 1950: 01-012; ქართული თარგმანი შენიშვნებითა და კომენტარებით იხ. საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 215-229; შემოკლებული ვერსია – ყიფიანი 2020: 455-461].

კავკასიაშივე მსახურობდა ძირითადად ალ. ნიკოლაის ძმაც – გენერალ-ლეიტენანტი **ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაი** (1820-1891), მნიშვნელოვანი ფიგურა „კავკასიის ომში“, რომელმაც 1860-იან წლებში შეწყვიტა ბრწყინვალე სამხედრო კარიერა, უარყო შთამომავლობითი ლუთერანობა, გახდა კათოლიკე და ბერად შედგა გრენობლის (საფრანგეთი) მახლობლად (გრანდ-შარტრეზი) კარტუზიელთა ასკეტური ორდენის მონასტერში, სადაც დუმილის აღთქმა ჰქონდა დადებული (გარდაიცვალა იქვე; ლეონტი ნიკოლაის შესახებ იხ.: აქტები 1885: XXVII; ორბელიანი 1937: 377-378; ბერძნოშვილი 1983: 121).

<sup>1</sup> (გვ. 95) **„ქართული ენის გაკვეთილების ცხრილი ... ცვლილებები ცალკე თანდართულ ფურცელზეა ასახული“** – თბილისის გიმნაზიისთვის განკუთვნილი *ქართული ენის გაკვეთილების ცხრილი*, რომელსაც დიმ. ყიფიანი ალ. ნიკოლაის უგზავნის, იხ. ყიფიანი 2021: 126-127.

### 37. ევგრაფი ვერდერეესკისადმი

(გვ. 95-97)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №721. უცნობი ხელით ნაწერი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1854 წ. 28 ივნისი. ხელმოუწერელი.

ტექსტის ბოლოს მინაწერია (რუსულ ენაზე): „მის მაღალკე-თილშობილებას, ე. ა. ვერდერევესკის“.

წერილის ადრესატია პოეტი, ჟურნალისტი და მკვლევარი **ევგრაფი (ევგენი) ალექსანდრეს ძე ვერდერევესკი** (1825-1867 წ. შემდეგ), რომელიც თბილისში ჩამოვიდა 1853 წელს, მომ-დევნო წლიდან სათავეში ჩაუდგა გაზეთ „კავკაზს“ [მისი რე-დაქტორი იყო 1854 (17.II)-1856 (26.I) წწ.] და ამით თბილი-სის ლიტერატურული და ჟურნალისტური ცხოვრების ცენ-ტრში მოექცა (1855 წ. გამოსცა რუსული ლიტერატურუ-ლი ალმანახი „ზურნა“). ე. ვერდერევესკი ავტორია წიგნისა: „Кавказские пленницы или плен у Шамиля. Невымышленная повесть о восьмимесячном и шестидневном (в 1854-1855 гг.) пребывании в плену у Шамиля семейств: Генерал-майора Князя Орбелиани и Полковника Князя Чавчавадзе, на основании собственных показаний лиц, участвовавших в событии“ [„კავკასიელი ტყვე ქალები, ანუ შამილის ტყვეობა-ში. ნამდვილი ამბავი გენერალ-მაიორის, თავად ორბელიანისა და პოლკოვნიკის, თავად ჭავჭავაძის ოჯახების რვა თვისა და ექვსი დღის (1854-1855 წწ.) ტყვეობისა შამილთან, მოთხრო-ბილი იმ პირთა ჩვენებების საფუძველზე, რომლებიც მონაწ-ილეები იყვნენ ამ ამბისა“] (С.-Петербург: 1856; მეორე გამო-ცემა – Москва: 1857; იმავე 1857 წელს ლონდონშიც გამოიცა ინგლისურ ენაზე – ვერდერევესკი 1857; ე. ვერდერევესკის ეს წიგნი გამოყენებული აქვს ალ. დიუმას თავის „კავკასიაში“ (დიუმა 1970: 12-13) და, ამასთანავე, იგი ერთ-ერთი წყაროა ლ. ტოლსტოის „ჰაჯი-მურატისა“). ე. ვერდერევესკის ეკუთ-ვნის აგრეთვე თბილისში გამოცემული წიგნი: „О народных праздниках и праздничных обыкновениях христианского населения за Кавказом и преимущественно в Тифлисе“ [„სახ-ალხო დღესასწაულებისა და სადღესასწაულო ზნე-ჩვეულე-ბების შესახებ იმიერკავკასიის ქრისტიანულ მოსახლეობასა და უპირატესად ტფილისში“] (Тифлис: 1854).

1856 წელს ე. ვერდერევესკიმ დატოვა თბილისი და საცხოვრებლად რუსეთში (მოსკოვი, პოდოლსკი) დაბრუნდა. 1860-იან წწ. მას გამოაჩნდა სულით ავადმყოფობის ნიშნები, 1867 წელს მკურნალობდა ნიჟნი-ნოვგოროდში და ამის შემდეგ მისი კვალი არ ჩანს.

მიუხედავად დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილის სიმწვავისა, კერძო ცხოვრებაში მას და ე. ვერდერევესკის მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ – ნიკ. ყიფიანის ცნობით, ე. ვერდერევესკი მეგობრული ვიზიტებით „დაიარებოდა“ ხოლმე დიმ. ყიფიანის ოჯახში [ყიფიანი 1894: 87; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 18; ე. ვერდერევესკიზე იხ.: ბეზნოსოვი 1989: 421-422 (აქვეა წყაროები და ლიტერატურა მასზე); ბოგომოლოვი 1984: 77-92].

<sup>1</sup> (გვ. 95) **„თქვენი ა. წ. 21 რიცხვის წერილზე...“** იგულისხმება ე. ვერდერევესკის 1854 წ. 21 ივნისის წერილი დიმ. ყიფიანისადმი, რომელსაც სრულად ვიმოწმებთ:

„მონყალეო ხელმწიფეო, დიმიტრი ივანეს ძე! მაქვს პატივი, აქვე გაახლოთ 10 ეგზემპლარი ბროშურისა – თქვენ მიერ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ბოლო თხზულება. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, განვმარტო, თუ რატომ დაგვიანდა აღსრულება თქვენი ნებისა, სტატია ბროშურის სახით დაბეჭდილიყო. მიზეზი ის არის, რომ თვითონ სურვილი ბროშურის დაბეჭდვისა თქვენ მიერ გამოცხადდა გვიან. როცა თქვენ თქვენი სტატია რედაქციას გამოუგზავნეთ (თანაც გრაფ სოლოგუბს და არა მე), არ გითქვამთ, რომ ანაბეჭდების ამოღება და მისი ბროშურის სახით გამოცემა გასურდათ, ხოლო, როცა თქვენი სურვილი შევიტყვეთ, ორი მონაკვეთი სტატიისა სტამბაში უკვე დაშლილი იყო. ამის გამო მე დამჭირდა, საგანგებო მოხსენებითი ბარათით მიმემართა მისი აღმატებულების, კანცელარიის დირექტორისათვის, რათა მისი ბრძანებით სტამბას ბროშურის სახით თავიდან აენყო – სხვათა

შორის, ანაზღაურების გარეშე – თქვენი სტატია, რაც გამონაკლისის სახით გაკეთდა კიდევაც.

ასე და ამგვარად, ახლა, როცა ვფიქრობ, რომ თავი გავიმართლე თქვენ წინაშე ბროშურის დაგვიანებით დაბეჭდვის გამო, მონყალო ხელმწიფეო, გავბედავ მოგმართოთ ორი თხოვნით:

**პირველი:** დამიბრუნეთ ბროშურის ერთი ეგზემპლარი თქვენი ხელით დაწერილი ჩემდამი მოძღვნილი წარწერით და **მეორე:** მიიღეთ მონაწილეობა პირველ ლიტერატურულ კრებულში, რომლის გამოცემაც 1855 წლისთვის მაქვს განზრახული. ეს მონაწილეობა კი შეიძლება გამოიხატოს თუნდაც მცირე ზომის საწესჩვეულებო ან იუმორისტული, ან კიდევ რომანტიკული ხასიათის ბელეტრისტული თხზულების შემოწირვით. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ნაშრომი, რომელიც ჩემს „ზურნაში“ შევა (ვფიქრობ, ასეთი სახელწოდება მივცე პირველ ტფილისურ აღმანახს\*), გამორჩეულ ბგერებს შესძენს ჩემ მიერ წამოწყებულ ლიტერატურულ ორკესტრს.

აღმანახის ბეჭდვა აგვისტოს პირველ რიცხვებში უნდა დაიწყოს და ამიტომ ვბედავ, კიდევ ერთი თხოვნით მოგმართოთ – დამდოთ პატივი და ამ ჩემს წერილზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დროზე დამიბრუნოთ პასუხი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1356. რუსულ ენაზე. ფ. 1).

---

\* აღმანახი „ზურნა“ (Закавказский альманах „Зурна“. Тифлис: 1855) თბილისის ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა და მის გამოცემას სერიოზული რეზონანსი მოჰყვა – გამოქვეყნდა რეცენზიები, მათ შორის, ნ. ჩერნიშევსკისა ჟურნალ „სოვრემენიკში“ (ხუციშვილი 1969: 283-306; ბენოსოვი 1989: 422; კანდელაკი 1972: 140-141; ელექტრონული ვერსია აღმანახისა იხ. ინტერნ. 2; „ზურნის“ გამოცემის შესახებ ე. ვერდერევსკის 1854 წ. 31 აგვისტოსა და იმავე წლის 22 ოქტომბრის მიმართვები კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორ მის. შჩერბინინისადმი, აგრეთვე, საკითხთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტური მასალა იხ.: აქტები 1888: 752-753).

<sup>2</sup> (გვ. 96) **„წინანდელმა ხელმძღვანელობამ ჩემი სტატია ისეთი შეცდომებით დაბეჭდა...“** – ა) სტატია: იულისხმება დიმიტრი ყიფიანის თხზულება „О том, о сём и между прочим о сословиях Закавказских“ [„ამ მთისა, იმ მთისა და სხვათა შორის წოდებრიობისათვის ამიერკავკასიაში“], რომელიც 1853 წ. ოქტომბერ-ნოემბერში გაგრძელებებით (№№79-81, 83, 84) დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“ და იმავე წელს ბროშურადაც გამოქვეყნდა (ყიფიანი 1853; ქართული თარგმანი იხ. ყიფიანი 2016: 87-138); ბ) *ხელმძღვანელობა*: „კავკაზის“ ხელმძღვანელი (რედაქტორი) იმ დროს იყო **ივანე სლივიცკი**.

<sup>3</sup> (გვ. 96) **„თქვენმა 23 მარტის სათანამშრომლოდ მიწვევამ...“** – აქ ლაფსუს კალამია. გაზეთ „კავკაზის“ ახალდანიშნულმა რედაქტორმა ე. ვერდერევსკიმ დიმიტრი ყიფიანი სათანამშრომლოდ 1854 წ. **28 მარტის** წერილით მიიწვია. ვიმონებთ წერილს სრულად:

„მონყალო ხელმწიფეო, დიმიტრი ივანეს ძე! სანამ საქმისგან თავისუფალი დრო ან შემთხვევა ერთმანეთს შეგვახვედრებს და თქვენი გაცნობის პატივი მომენიჭება, ნება მიბოძეთ, რამდენადმე ოფიციალური ფორმით გამოგიცხადოთ ჩემი მტკიცე და გულწრფელი სურვილი სათანამშრომლოდ მოწვევისა. გთხოვთ, პატივი დასდოთ „კავკაზის“ ახალ რედაქციას და ითანამშრომლოთ მასთან ისე, როგორც ძველ რედაქციასთან თანამშრომლობდით.

„კავკაზის“ საპატიო რედაქტორმა, გრაფმა ვ. ა. სოლოგუბმა, შემატყობინა, რომ თქვენს პორტფელში ინახება რამდენიმე საინტერესო, უკვე დასრულებული თხზულება თქვენთვის აგრერიგად ნაცნობი აქაური მხარის ზნე-ჩვეულებებისა და ისტორიის შესახებ. დარწმუნებული ვარ, თქვენი ეს ახალი თხზულებები ისეთივე საინტერესო იქნება შინაარსობრივადაც და ფორმითაც, როგორც ის თხზულებები, რომლებსაც „კავკაზში“ წინა წლებში ცხოველი სიამოვნებით ვკითხულობდი. ამიტომაც ვბედავ, მოგმართოთ უმორჩილესი თხოვნით, თქვენო აღმატებულებავე, შეგვატყობინოთ ან

მე, ან რედაქციას, დაამშვენებთ თუ არა თქვენი ნაწერებით ჩემ მიერ გამოცემული გაზეთის გვერდებს. – მიიღეთ, მონყალეო ხელმწიფეო, ჩემი თქვენდამი გულწრფელი პატივისცემა და სრული ერთგულება. თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე ე. ვერდერევესკი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. 1355. რუსულ ენაზე. ფ. 1).

<sup>4</sup> (გვ. 96) **„ჩემი ახალი სტატია თქვენმა ახალმა რედაქციამ ისევ მიუტევებელი შეცდომებით დაბეჭდა“** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის თხზულება „Несколько мыслей о материалах для истории Грузии“ [„რამდენიმე მოსაზრება საქართველოს ისტორიის მასალებზე“], რომელიც 1854 წ. აპრილ-მაისში გაგრძელებით გამოქვეყნდა „კავკაზში“ (№№30-33, 35, 37, 39) და ცალკე ბროშურადაც დაიბეჭდა (ყიფიანი 1854; გარეკანზე 1855 წ. ანერია. ქართული თარგმანი იხ. ყიფიანი 2016: 180-216). ე. ვერდერევესკისადმი დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილი სწორედ ამ ბროშურას ეხება.

<sup>5</sup> (გვ. 96) **„ნაბეჭდში შეწყვილებულია ერთი და იგივე ქართული ასოები, არადა ეს ასოები ინდურთან უნდა ყოფილიყო შეწყვილებული“** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის თხზულების ის მონაკვეთი, რომელშიც ავტორი მსჯელობს ქართული ასოების გრაფიკულ მსგავსებაზე არაქართულ (მარათულ, პენჯაბურ და სხვ.) ასოებთან („კავკაზ“, 8.V, 1854, №35; შდრ.: ყიფიანი 1854: 24).

<sup>6</sup> (გვ. 96) **„ბროშურაში ... გამოტოვებულია ყველაფერი, რაც დაბეჭდილი იყო „კავკაზის“ 32-ე ნომერში“** – ბროშურის ჩვენ ხელთ არსებულ (საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ) ეგზემპლარებზე „კავკაზის“ 32-ე ნომერში დაბეჭდილი მონაკვეთები სრულადაა შეტანილი (ყიფიანი 1854: 12-14). უნდა ვიფიქროთ, დიმ. ყიფიანის შენიშვნის შემდეგ კიდევ დაიბეჭდა ბროშურის დამატებითი ეგზემპლარები, რომლებშიც რედაქციამ ავტორის მიერ მითითებული შეცდომა გაასწორა (შესაძლოა, სწორედ ამიტომ ანერია ბროშურას გარეკანზე არა 1854, არამედ 1855 წელი – იხ. აქვე, კომენტ. 4).

### 38. ალექსანდრე ნიკოლაისადმი (გვ. 97-100)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №264. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1854 წ. 10 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 365-368.

გიორგი ერისთავის „ცისკრის“ (1852-1853) დახურვის შემდეგ რედაქტორ-გამომცემელმა ჟურნალის გამოცემის უფლება ივ. კერესელიძეს გადასცა. 1854-1857 წწ. ივ. კერესელიძეს ჰქონდა ჟურნალის აღდგენის არაერთი მცდელობა და ამ საქმეში მას თანამოაზრეების – და, განსაკუთრებით – დიმ. ყიფიანის იმედი ჰქონდა [„ნახევარ წლიდამ ვაპირებ ჟურნალის გამოცემას. დიმიტრი ივანიჩს (ყიფიანს – თ. ჯ.) უცდი. ვნახო რა რჩევას მომცემს“ – სწერს 1856 წ. 14 იანვარს ივ. კერესელიძე რაფიელ ერისთავს (ხეც. რაფ. ერისთავის არქ., საქ. №827)]. ალ. ნიკოლაისადმი დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილი ქართველ მოღვაწეთა მიერ ჟურნალის აღდგენისთვის (ფაქტობრივად, ახალი ჟურნალის დაარსებისთვის) ბრძოლის ერთ-ერთ პერიოდს ასახავს (ვრცლად საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2002: 107-120; ჯოლოგუა 2013: 142-147).

<sup>1</sup> (გვ. 97) **„ა. წ. 25 აგვისტოს მიმართვის (№1855) ... „ცისკრის“ გამოცემის განზრახვასთან დაკავშირებით“ – 25 აგვისტოს:** აქ ლაფსუს კალამია. ალ. ნიკოლაის კონფიდენციალური წერილი 1854 წ. **26 აგვისტოთა** დათარიღებული და მასში ვკითხულობთ:

„კერესელიძეს, რომელიც აქაურ გიმნაზიაში ზედამხედველად მსახურობს, სურს ქართულ ენაზე ჟურნალის გამოცემა „ცის-

კრის“ სახელწოდებით. მას ეს ჟურნალი გადასცა წინანდელმა გამომცემელმა, თავადმა ერისთოვმა. ყოველივე ეს ტფილისის საგუბერნიო სასწავლებელთა დირექტორმა სათანადო განკარგულებისთვის მე წარმომიგინა. – აღნიშნულ საქმეში გარკვევის მიზნით, კავკასიისა და იმიერკავკასიის სამოქალაქო ნაწილის მმართველს, აგრეთვე, „კავკასიის კომიტეტის“ საქმეთა მმართველის მოთხოვნით მისი აღმატებულების კანცელარიის დირექტორს უნდა წარუდგინო ზოგიერთი კონფიდენციალური ცნობა ზემოხსენებული ქართული ლიტერატურული ჟურნალის გამომცემელ კერესელიძის კეთილსაიმედოობის თაობაზე. ჩემი მოთხოვნით ტფილისის საგუბერნიო გიმნაზიის დირექტორმა მაცნობა თავისი მოსაზრება საკითხზე – შეუძლია თუ არა კერესელიძეს ხსენებული ნამონყების მატერიალური უზრუნველყოფა. მანვე შესაძლებლად ჩათვალა, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში კერესელიძის შესაძლებლობების შესახებ ცნობები მივიღო თქვენგან, რადგანაც ასეთი ამბები თქვენთვის უკეთაა ცნობილი. მანვე მაცნობა, რომ, კერესელიძის განცხადებით, თქვენ მზად ხართ, სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღოთ ჟურნალის გამომცემაში. – გაცნობებთ რა ყოველივე ამას, თქვენო მაღალშობილებავ, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, მოწყალეო ხელმწიფეო, მომანოდოთ თქვენი შეხედულება კერესელიძის ლიტერატურული შესაძლებლობების, აგრეთვე, მის მიერ გამოსაცემად განზრახულ ჟურნალ „ცისკრის“ შესახებ“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №262).

<sup>2</sup> (გვ. 97) „...იგივე თხოვნა (№2240) თქვენი თანაშემწის-განაც მიმეღო“ – იგულისხმება ალ. მაქსიმოვიჩის 1854 წ. 16 ოქტომბრის წერილი დიმ. ყიფიანისადმი:

„26 აგვისტოს №1855 მიმართვით განათლების მზრუნველმა სთხოვა თქვენს მაღალშობილებას, მიგეწოდებინათ დასკვნა ქართული ლიტერატურული ჟურნალის, „ცისკრის“, გამომცემლის, ბ-ნი კერესელიძის, კეთილსაიმედოობის შესახებ. ბ-ნი კერესელ-



იძე აცხადებს, რომ თქვენ გამოგიტყვამთ სურვილი, სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღოთ ამ ჟურნალის გამოცემაში. – ამჟამად ტფილისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორი მაცნობებს, რომ ბ-ნ კერესელიძეს ჟურნალის პროფილის გაფართოება აქვს გადანიშნული და, ერთი მხრივ, ასეთ საქმეში გამოუცდელობისა და, მეორე მხრივ, ნაკისრი მოვალეობის უკეთ განხორციელების მიზნით თქვენი მაღალშობილებისათვის უთხოვია, იკისროთ ჟურნალში დასაბეჭდი მასალის შერჩევასა და მათს ღირსებებზე მეთვალყურეობა. კერესელიძის თქმით, თქვენ ამაზე მისთვის თანხმობა გამოგიცხადებიათ. – ვაცნობებ რა ყოველივე ამას თქვენს მაღალშობილებას, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, №1855 მიმართვისა და ტფილისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორის ზემოაღნიშნული მიმართვების პასუხად დაუდასტუროთ განათლების მზრუნველს, რომ კისრულობთ კერესელიძის ქართულ ლიტერატურულ ჟურნალზე მთავარი მეთვალყურის როლს“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №263, ფ. 1).

<sup>3</sup> (გვ. 97) **„ტფილისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორის პატაკს...“** – თბილისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორი (აგრეთვე დირექტორი თბილისის გიმნაზიისა) ამ დროს იყო *კარლ ლეონტის ძე ჩერმაკი* (მასთან დიმ. ყიფიანის, როგორც გიმნაზიის საპატიო მზრუნველის, ურთიერთობის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 235-240).

<sup>4</sup> (გვ. 98) **„ვიდრე აქამდე ჰქონდა „ცისკარს“** – იგულისხმება გიორგი ერისთავის „ცისკარი“ (1852-1853).

<sup>5</sup> (გვ. 98) **„მკაფიოდ განისაზღვროს როგორც ჟურნალის პროფილი, ისე ჟურნალის მიზანიც“** – ივ. კერესელიძის „ცისკრის“ პროფილისა და მიზნის შესახებ დიმ. ყიფიანის პროგრამული ხასიათის მოსაზრებები იხ. ყიფიანი 2017: 136-137).

<sup>6</sup> (გვ. 99) **„მისმა ყოვლადუსამღველოესობამ, საქართველოს ეგზარქოსმა...“** – საქართველოს ეგზარქოსი ამ დროს (1844-1858 წწ.) იყო *ისიდორე (ნიკოლსკი)*.

<sup>7</sup> (გვ. 99) „**ჟურნალში საეკლესიო გუჯრების გამოქვეყნებას...**“ – *გუჯრები*: ასეა დედანში: „...печатать церковные гуджары“.

### 39. იაკობ არზანოვისადმი (გვ. 100)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №933. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი**: [1854 წ.] 25 ნოემბერი. ხელმოუნერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „ОТВЕТ“ [„პასუხი“].

ტექსტში მითითებული არ არის დაწერის წელი. თარიღდება (1854 წ.) დიმ. ყიფიანისადმი იაკობ არზანოვის 1854 წლის 24 ნოემბრის წერილით, რომლითაც წერილის ავტორი ადრესატს სთხოვს, რამდენიმე თვით ასესხოს 35 მანეთი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №933. ფ. 1. დიმ. ყიფიანის წინამდებარე პასუხის შავი არზანოვის თხოვნაზეა მიწერილი).

წერილის ადრესატია **იაკობ ნიკიტას ძე არზანოვი**, ძმა დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრის – *დავით არზანოვისა*. ძმებს დამთავრებული ჰქონდათ მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი (1821 წ.; ზოგიერთი ცნობით, ამის შემდეგ მათ მოსკოვის უნივერსიტეტიც დაუმთავრებიათ); ყიზლარსა (1829 წ. – ვათეიშვილი 1973: 371) და თბილისში (1840-იანი წწ. – ბერძნიშვილი 1980: 152) დაარსებული ჰქონდათ კეთილშობილთა პანსიონები; 1837 წელს დააარსეს თბილისში პირველი კერძო სტამბა (გოცაძე 1954: 287-288); 1838 წელს თბილისშივე ქარ-

თულ და სომხურ ენებზე საინფორმაციო და ლიტერატურული ჟურნალის, „აღმოსავლეთის ფუტკრის“, გამოცემა სურდათ, თუმცა ვერ მიაღწიეს ხელისუფლების ნებართვას (გოცაძე 1954: 224-226). ძმებმა არზანოვებმა 1827 წელს მოსკოვში გამოსცეს წიგნი სომხეთის ისტორიის შესახებ (არზანოვები 1827), აგრეთვე, შეადგინეს და თბილისში გამოსცეს სომხური ენის გრამატიკა (ბერძნიშვილი 1980: 152). იაკობ არზანოვი 1840-იან წწ. მეფისნაცვლის კანცელარიის სტამბის ზედამხედველია, ხოლო დავით არზანოვი თბილისის გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელია და საცენზურო კომიტეტშიც მსახურობს ცენზორად. 1850-იან წწ. დავით არზანოვი ერევანშია და იქაური სამაზრო სასწავლებლის ზედამხედველად მსახურობს, იმავდროულად, იგი არის „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ წევრი (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“; 1860-იანი წწ. დასაწყისიდან არზანოვების სახელები „კავკაზსკი კალენდრიდან“ ქრება, რაც ან მათ გარდაცვალებას უნდა უკავშირდებოდეს, ან – კავკასიიდან წასვლას). სხვა ბიოგრაფიული ცნობები იაკობ არზანოვის (აგრეთვე, დავით არზანოვის) შესახებ (მათ შორის, მათი დაბადება-გარდაცვალების წლები და ადგილი) ჩვენ ვერ მოვიპოვეთ.

#### 40. მიხეილ შჩერბინინისადმი

(გვ. 100-101)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №851. ასლი. უცნობი ხელით ნაწერი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1854 წ. 20 დეკემბერი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ტექსტს თავზე უცნობი ხელითვე აწერია: „Копия“ [ასლი, კოპიო], ბოლოში – „Его превосходительству М. П. Щербинину“ [„მის აღმატებულებას, მ. პ. შჩერბინინს“].

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 360-361.

მას შემდეგ, რაც დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შექმნილმა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკამ“ (1842-1848) ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა, ხელმძღვანელმა ბიბლიოთეკაში შემორჩენილი საკუთარი წიგნები (510 ტომი) გარკვეული პირობებით მეფისნაცვალ მიხ. ვორონცოვის კანცელარიასთან 1846 წელს დაარსებულ საჯარო ბიბლიოთეკას გადასცა. ხსენებული პირობების მიხედვით, დიმ. ყიფიანს უფასოდ უნდა ესარგებლა ბიბლიოთეკაში მის მიერვე ჩაბარებული წიგნებით, პირობების დარღვევის შემთხვევაში შეეძლო ჩაბარებული წიგნების 2/3 უკან გაეტანა, 1/3 კი ბიბლიოთეკას დარჩებოდა და სხვ. (ყიფიანი 2020: 270-271). დროთა განმავლობაში ბიბლიოთეკამ პირობები დაარღვია და დიმ. ყიფიანმა თავისი წიგნების უკან დაბრუნება გადანყვიტა, თუმცა ამაზე კავკასიის ადმინისტრაციამ უარი უთხრა – გადაუხადეს 1000 მანეთი და ბრძანებაც მოაყოლეს, ამ თანხას დასჯერებოდა. ყოველივე ამის შესახებ დიმ. ყიფიანს უწერია თავის მემუარებში (ყიფიანი 2020: 271-272, 471-474). მ. შჩერბინინისადმი დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილი ხსენებული პერიპეტიების ნაწილია (საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე, აქვე, გვ. 123-124, 396-397).

<sup>1</sup> (გვ. 100) **„მეფისნაცვლის კანცელარიის ყოფილი დირექტორის... მომართვის ასლს...“** – დირექტორი: იგულისხმება სტეფანე ვასილის ძე საფონოვი, მეფისნაცვლის (მიხ. ვორონცოვის) კანცელარიის დირექტორი 1840-იან წწ.; ბ) მომართვის ასლი ვ. საფონოვისა, რომელშიც იგი დიმ. ყიფიანს მადლობას უხდის ბიბლიოთეკისთვის წიგნების შეწირვის გამო და იქვე ადრესატს პუნქტობრივად ჩამოუთვლის პირობებს, იხ. ყიფიანი 2020: 270-271.

<sup>2</sup> (გვ. 101) **„იმ დროისთვის ჯერ კიდევ კანცელარიასთან არსებულ ბიბლიოთეკაში“** – იგულისხმება მეფისნაცვლის კან-

ცელარიასთან 1846 წ. დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკა, რომელსაც პირობითად თუ შეიძლება ეწოდოს **საჯარო**, რადგან შესაფერისი შენობის არარსებობის გამო მკითხველთა წრეებისთვის მიუწვდომელი იყო. 1852 წ. ბიბლიოთეკისთვის აიგო სპეციალური შენობა და ამის შემდეგ იგი რეალურად იქცა საჯარო ბიბლიოთეკად (Тифлисская публичная библиотека; ამჟამად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა). საკითხის შესახებ, აგრეთვე წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2020: 471-472.

<sup>3</sup> (გვ. 101) **„1850 წლიდან კი მე-4 პუნქტი პირობისა საერთოდ არ შესრულებულა“** – პირობის მე-4 პუნქტით ბიბლიოთეკარს დიმ. ყიფიანისთვის დროდადრო უნდა მიეწოდებინა ცნობები ბიბლიოთეკაში შესული ახალი წიგნების შესახებ (ყიფიანი 2020: 271).

<sup>4</sup> (გვ. 101) **„ან განსვენებულ ბიბლიოთეკარ ტოკარევეს ჩავაბარე“** – თბილისში 1846 წ. მიხეილ ვორონცოვის მოწვევით ჩამოსული მწერალი, ბიბლიოგრაფი და ეთნოგრაფი **გაბრიელ ალექსის ძე ტოკარევი** (გარდ. 1854 წ. აგვისტოს პირველ რიცხვებში; ნეკროლოგი იხ. კავკაზ 1854<sup>ა</sup>) იყო თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის პირველი **დირექტორი** [(1846-1851); გ. ტოკარევის შესახებ იხ.: ბერძნიშვილი 1983: 183; მიქაძე 1998: 106-107; ახვერდიანი 2002; ლორია... 1974: 191-192].

## 1855

### 41. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი

(გვ. 101-102)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №731. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1855 წ.] 25 აპრილი. **ხელმოწერა:** დ. ყიფიანი.

წერილში ადრესატის მხოლოდ სახელი და მამის სახელი წერია (*კონსტანტინე დავითის ძე*). ე. კელენჯერიძე მიუთითებს, რომ ეს არის **კ. დ. თარხნიშვილი** [იხ. დიმიტრი ყიფიანის პირადი არქივის აღწერილობა, შედგენილი ე. კელენჯერიძის მიერ (გვ. 88). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზი].

ტექსტში არც დაწერის **წელია** მითითებული. ვათარილებთ (1855 წ.) თვითონ წერილის მონაცემზე დაყრდნობით. კერძოდ, დიმ. ყიფიანის მიერ ნახსენები „სევასტოპოლის ანბავი“ (ანუ ბრძოლა სევასტოპოლისათვის) 1854 წ. ოქტომბრიდან 1855 წ. აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა (იხ. აქვე, კომენტ. 3).

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 322.

<sup>1</sup> (გვ. 101) **„ჩემს დისწულს ალექსანდრე კვალიევს მისცენ“** – *ალექსანდრე კვალიევი* (კვალიაშვილი), დიმ. ყიფიანის *დისწული*, იყო შვილი ანასტასია ივანეს (ქოჩოს) ას. ყიფიან-კვალიაშვილისა.

<sup>2</sup> (გვ. 102) **„ნამესტნიკი წუხელის მობძანდა“** – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალი (1854-1856) *ნიკოლოზ მურავიოვი*.

<sup>3</sup> (გვ. 102) **„სევასტოპოლის ანბავი გაგონილი გექნებათ“** – იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომში ბრძოლა ალყაშემორტყმული სევასტოპოლისთვის, რომელიც 1854 წ. სექტემბერის შუა რიცხვებში დაიწყო და 1855 წ. 27 აგვისტოს მოკავშირეების (საფრანგეთი, ინგლისი, ოსმალეთი, სარდინია) მიერ ქალაქის აღებით დასრულდა.

## 42. თბილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატისადმი (გვ. 102-103)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №533. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1855 წ. 1 ივნისი. ხელმოუწერელი.

<sup>1</sup> (გვ. 102) **„ვითხოვდით ბორჯომის მამულის მეათედ ნაწილზე, რომელიც თავად ავალიშვილებისგან გვაქვს შეძენილი, დარღვეული საბატონო უფლების აღდგენას“** – ავალიშვილებისგან შეძენილი ბორჯომის მამულისა და მასთან დაკავშირებული სასამართლო დავის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337-338, აგრეთვე, დიმ. ყიფიანის მიმართვა ვ. ბებუთოვისადმი (წერილი №27).

<sup>2</sup> (გვ. 102) **„ქურუქ-დარასთან 1854 წლის 24 ივლისს გამართულ ბრძოლაში მიღებული ჭრილობისგან არ არის განკურნებული“** – 1854 წ. 24 ივლისს გენერალი ვასილ ბებუთოვი ბრძოლის ველიდან თბილისში სწერს დიმ. ყიფიანს – შენი ძმა ქაიხოსრო 24 ივლისს ქურუქ-დარაში იბრძოდა, მსუბუქად დაიჭრა, მაგრამ სხვა მხრივ კარგად არისო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1036. ფ. 2).

<sup>3</sup> (გვ. 103) **„ჩამართოთ მოსარჩელის უფლებით“** – პალატამ დიმ. ყიფიანის ეს თხოვნა დააკმაყოფილა (იხ. მომდევნო წერილი №43).

<sup>4</sup> (გვ. 103) **„ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის საბჭოში ვმსახურობ“** – ამ დროს (1846-1857 წწ.) დიმ. ყიფიანი არის მთავარმმართველობის საბჭოს საქმეთა მმართველი (ყიფიანი 2020: 293).

### 43. თბილისის სისხლისა და სამოქალაქო სასამართლოს პალატისადმი (გვ. 103-107)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №534. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1855 წ. 26 ივლისი. ტფილისი. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე იმავე (უცნობი) ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ასლი“ და „პირველი პასუხის პასუხი“. იქვეა დიმ.

ყიფიანის ავტოგრაფული მინაწერი (რუსულ ენაზე): „წარედგინა პალატას 1855 წ. 26 ივლისს“.

<sup>1</sup> (გვ. 104) **„ტფილისის გუბერნიის პროკურორის ამხანაგის...“** – იგულისხმება ვალერიან ათანასეს ძე ჩეხოვსკი, თბილისის გუბერნიის პროკურორის, სტეფანე პავლეს ძე ლამბაროვის, ამხანაგი (მოადგილე) სახაზინო ნაწილში (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“).

<sup>2</sup> (გვ. 104) **„ქაიხოსრო ყიფიანს ბორჯომის მამულის თაობაზე...“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337-338, აგრეთვე, დიმ. ყიფიანის მიმართვა ვ. ბებუთოვისადმი (წერილი №27).

<sup>3</sup> (გვ. 104) **„მინდობილობა ამა წლის 1 ივნისს პალატისთვის მაქვს წარდგენილი სასამართლო თხოვნასთან ერთად“** – ქაიხოსრო ყიფიანის მიერ დიმ. ყიფიანისთვის გადაცემული მინდობილობის შესახებ, აგრეთვე, დიმ. ყიფიანის მიერ პალატისთვის წარდგენილი თხოვნა, იხ. აქვე, წერილი №42.

<sup>4</sup> (გვ. 106) **„გამოცხადდი ტფილისის სამხედრო გუბერნატორთან“** – თბილისის სამხედრო გუბერნატორი, აგრეთვე, სამოქალაქო ნაწილის მმართველი ამ დროს არის გენერალ-ლეიტენანტი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (ივ. ანდრონიკაშვილის შესახებ იხ. აქვე, გვ. 352-353).

#### 44. ვასილ ბებუთოვისადმი

(გვ. 107-108)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 3. აღწ. 2. საქ. №725. ფ. 84. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1855 წ. 14 ოქტომბერი. ტფილისი. ხელმოწერა: Действительный статский советник Кипиани.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 346-347.



რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომში, კერძოდ, ომერ-ფაშას მიერ აფხაზეთის დაკავების შემდეგ, როგორც კავკასიის, ისე რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას ეჭვი გაუჩნდა, რომ აფხაზეთის მთავარი მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე რუსეთს ლალატობდა. ვითარების გამოსარკვევად 1855 წ. სექტემბერში ვ. ბებუთოვის ინიციატივითა და მეფისნაცვალ ნიკ. მურავიოვის თანხმობით დიმ. ყიფიანი საიდუმლო მისიით დასავლეთ საქართველოში მიავლინეს. დიმ. ყიფიანმა მოიარა იმერეთი, სამეგრელო, გურია, შეხვდა როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ შორის, მიხეილ შარვაშიძის მეუღლეს, ალექსანდრა გიორგის ას. დადიან-შარვაშიძეს (ომიანობის გამო იგი სამეგრელოში იყო გამოხიზნული), სანდო პირთა მეშვეობით აფხაზეთში მყოფ მთავარსაც დაუკავშირდა და საბოლოოდ მეფისნაცვალ ნიკ. მურავიოვს ვ. ბებუთოვის მეშვეობით მიხეილ შარვაშიძის გამამართლებელი მოხსენება წარუდგინა. ვ. ბებუთოვისადმი დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილი სწორედ ამ მოხსენებას ეხება (თვითონ მოხსენება და საკითხთან დაკავშირებული სხვა მასალა, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2019: 65-109, 432-449).

<sup>1</sup> (გვ. 107) **„საგანგებო მოხსენება“** – ტექსტი დიმ. ყიფიანის მოხსენებისა (ავტოგრაფი), დაცულია სეა-ში (ფონდი 3. აღწ. 2. საქ. №725. ფ. 85-120). დედნის (რუსულ) ენაზე იგი გამოქვეყნებულია შ. ჩხეტიას მიერ (ჩხეტია 1963: 202-225). მოხსენების ქართული თარგმანი იხ. ყიფიანი 2019: 65-109).

<sup>2</sup> (გვ. 108) **„...თუ იგი პირადად ბატონი კავკასიის მეფისნაცვლის მიერაც იქნება დადასტურებული“** – აფხაზეთში ოსმალთა ჯარის შესვლის შემდეგ მიხეილ შარვაშიძემ ცოლი სამეგრელოს შეაფარა, შემდეგ კარგა ხანს ამაღალსათან ერთად თვითონაც იქ, სიმამრის (გიორგი დადიანის) ოჯახში, ცხოვრობდა, ერთხელ ზუგდიდში მყოფ მეფისნაცვალ ნიკ.

მურავიოვსაც შეხვდა და ამის შემდეგ მოულოდნელად აფხაზეთში (სამურზაყანოში) დაბრუნდა. ამის შესახებ დიმ. ყიფიანი თავის მოხსენებაში წერს:

„მთავარსარდლის [ნიკ. მურავიოვის] აქ [ზუგდიდში] ყოფნის დროს მასთან წარსადგომად შარვაშიძე ჩამოვიდა... რა საუბარი შედგა მათ შორის – უცნობია. ოთახიდან გამოსვლისთანავე მისმა მაღალალმატებულებამ თ-დი მუხრანსკი [გენერალი ივანე მუხრანბატონი] გვერდზე გაიხმო და უთხრა: შარვაშიძე ითხოვს სამურზაყანოში წასვლის ნებართვას, რათა იქიდან იმოქმედოს მტრის წინააღმდეგო ... [ამის შემდეგ] მისი მაღალალმატებულება [ნიკ. მურავიოვი] მცირე ხნით ეკიპაჟში ჩაჯდა და მთავარი სასაუბროდ იქ მიიწვია. როცა ეკიპაჟიდან გადმოვიდნენ და გამომშვიდობების ნიშნად ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, ერთ-ერთმა თანმხლებმა პირმა გაიგონა, თუ როგორ უთხრა მისმა მაღალალმატებულებამ მთავარს: „მაშ, გაემგზავრეთ, ძვირფასო მთავარო! თქვენი იმედი მექნება!“ (ყიფიანი 2019: 90-91).

იმის გასარკვევად, ლალატობდა თუ არა აფხაზეთის მთავარი რუსეთს, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა საკითხს, თუ რა მიზანი ამოძრავებდა მიხეილ შარვაშიძეს, როცა იგი აფხაზეთში ბრუნდებოდა და ჰქონდა თუ არა მას აფხაზეთში დაბრუნება ნიკ. მურავიოვთან შეთანხმებული.

როგორც ჩანს, წინამდებარე წერილში დიმ. ყიფიანი *მეფის-ნაცვლის მიერ* ამ ფაქტის **დადასტურებას** გულისხმობს.

#### 45. ვასილ ბებუთოვისადმი

(გვ. 108-109)

**ხელნაწერი:** სეა. ფონდი 3. აღწ. 2. საქ. №725. ფ. 127. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. **თარიღი:** 1855 წ. 1 ნოემბერი. ტფილისი. ხელმოწერა: Действительный статский советник Кипиани.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 346-347.

საკითხის შესახებ იხ. წინა (№44) წერილი და მასზე დართული კომენტარები.

<sup>1</sup> (გვ. 108) **„მივიღე გიორგი დადიანის 10 ოქტომბრის წერილი, რომელსაც დართული აქვს აფხაზეთის მთავრის, თავად მიხეილ შარვაშიძის, წერილი (1 ოქტომბრისა)“** – გიორგი დადიანი იყო სიმამრი მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოში მყოფი დიმი. ყიფიანი სწორედ გ. დადიანის მეშვეობით დაუკავშირდა აფხაზეთის მთავარს (ყიფიანი 2019: 107). გიორგი დადიანისა და მიხეილ შარვაშიძის აქ ნახსენები წერილები დიმი. ყიფიანისადმი იხ. ყიფიანი 2019: 447-449.

<sup>2</sup> (გვ. 109) **„...ამა წლის 12 ოქტომბრის თარიღით შედგენილ და 14 ოქტომბერს წარდგენილ საიდუმლო მოხსენებას“** – აქ ნახსენები საიდუმლო მოხსენება იხ. ყიფიანი 2019: 65-109.

1856

#### 46. ივანე კოლოსოვსკისადმი

(გვ. 109-110)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №158. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1856 წ. 30 იანვარი. ტფილისი. ხელმოწერა: Действительный статский советник Кипиани.

წერილის ადრესატია 1850-იან წწ. კავკასიის ცალკე კორპუსის გენერალ-ინტენდანტი, პოლკოვნიკი (1856 წ. შემოდგომიდან – გენერალ-მაიორი; კარიერის ბოლო წლებში მიაღწია გენერალ-ლეიტენანტის ჩინს) **ივანე გრიგოლის ძე კოლოსოვსკი** (გარდ. 1879).

<sup>1</sup> (გვ. 109) „ნახევარიმპერიალი“ – ოქროს მონეტა 5 მანეთისა და 15 კაპიკის ღირებულებისა.

#### 47. კავკასიის მეფისნაცვლის ხაზინისადმი (გვ. 111)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №158. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1856 წ. 30 იანვარი. ტფილისი. **ხელმოწერა:** Действительный статский советник Кипиани.

საკითხის შესახებ იხ. წინა წერილი №46.

#### 48. ვასილ ბებუთოვისადმი (გვ. 111-112)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №160. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1856 წ. 21 მაისი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 346-347.

<sup>1</sup> (გვ. 112) „ჩემს ამჟამინდელ თანამდებობაზე დაბრუნების შესახებ...“ – 1856 წლის 20 თებერვალს კავკასიის მეფისნაცვალმა ნიკ. მურავიოვმა დიმ. ყიფიანი თავისი კანცელარიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა, თუმცა პეტერბურგიდან დირექტორად მის დანიშვნაზე უარი მოვიდა და იმავე წლის მაისში დიმ. ყიფიანი თავის წინანდელ თანამდებობაზე, მთავარმმართველობის საბჭოს საქმეთა მმართველად, დააბრუნეს (იხ. დიმ. ყიფიანის ნამსახურობის სია. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 103-104). ამ ისტორიის შეს-

ახებ დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებშიც“ წერს (ყიფიანი 2020: 194-198, 427-428).

#### 49. ვასილ ბებუთოვისადმი

(გვ. 112-113)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №160. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1856 წ.] 22 მაისი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 346-347.

წერილში დანერის წელი არ არის მითითებული. **თარიღდება** (1856 წ.) წინა (№48) წერილისა და მასზე დართული კომენტარის საფუძველზე.

<sup>1</sup>(გვ. 112) „**ვუბრუნდები ჩემს ახლანდელ თანამდებობას**“ – საკითხის შესახებ იხ. წინა (№48) წერილის კომენტ. 1.

#### 50. ელისაბედ ვორონცოვასადმი

(გვ. 113-114)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №729. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1856 წ.] 29 ნოემბერი. ხელმოუწერელი.

ტექსტს დართული აქვს დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული მიწერილი (რუსულ ენაზე): „მის უგანათლებულებობას, კნენი ე. ვორონცოვას“.

ტექსტში დაწერის დროდ მითითებულია მხოლოდ თვე და რიცხვა (29 ნოემბერი), **1856 წლით თარიღდება** მიხეილ ვორონცოვის გარდაცვალების თარიღის მიხედვით (1856 წ. 18 ნოემბერი).

წერილის ადრესატია **ელისაბედ ქსავერის ას. ბრანიცკ-აია-ვორონცოვა** (1792-1880), პოლონელი გეტმანისა და რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერლის, **ქსავერი ბრანიცკის**, ასული და მეუღლე კავკასიის მეფისნაცვალ **მიხეილ ვორონცოვისა**, ალ. პუშკინის ტრფობის საგანი [სწორედ ამ გარემოებით, აგრეთვე, მიხ. ვორონცოვის ანგლომანიით იყო გამონვეული ალ. პუშკინის გამანადგურებელი ეპიგრამები მიხ. ვორონცოვზე (პუშკინი 1985: 308, 309, 339, 592)]. ელისაბედ ვორონცოვა საქართველოში ყოფნისას მეურვეობდა ქალთა განათლების საქმეს. იგი თავმჯდომარე იყო „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებისა“, რომლის მიზანი იყო საქართველოში (ზოგადად კავკასიაში) ქალთა განათლებისათვის ხელის შეწყობა, ამ საქმის კოორდინაცია და სპეციალური სასწავლებლების დაარსება [საზოგადოების წევრები იყვნენ: ნინო ჭავჭავაძე, მანანა ორბელიანი, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანი და სხვ. (იხ. ყიფიანი 2018: 411)]. მასვე თბილისში ჰქონდა სალონი, რომელშიც ორშაბათობით თბილისის რჩეული საზოგადოება იკრიბებოდა (ბალახაშვილი 1940: 191-198). ოდესაში ელისაბედ ვორონცოვასთან სტუმრობას „ჩემ თავგადასავალში“ თბილად იხსენებს აკაკი წერეთელი (წერეთელი 1958: 78-80).

ელისაბედ ვორონცოვა ნათლია იყო დიმ. ყიფიანის ვაჟიშვილის, კოტე ყიფიანისა (ყიფიანი 1964: 12; ე. ვორონცოვას შესახებ იხ. აგრეთვე, ჯოლოგუა 2022<sup>ბ</sup>: 87-88).

<sup>1</sup> (გვ. 113) **„მისი სახელმწიფოებრივი საქმეები საქართველოში“** – მიხეილ ვორონცოვის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 321-322.

## 51. ივანე ორბელიანისადმი (გვ. 114-118)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1925. უცნობი ხელით ნაწერი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 69 (წინამდებარე ტექსტი – ფ. 63-66). **თარიღი:** 1857 წ. 4 აპრილი. ხელმოწერელი.

პირველ ფურცელზე (r) დიმ. ყიფიანის ხელით აწერია „Вал. 1856“ („ბალი. 1856“).

ეს არის დიმ. ყიფიანის ავტოგრაფული (ბოლონაკლული) ტექსტის (ფ. 61-62) დასრულებული და უცნობი ხელით გადათეთრებული ვარიანტი, რომელიც დიმ. ყიფიანის მიერ დამატებით არის ნასწორები.

წერილის ადრესატია გენერალ-მაიორი **ივანე თამაზის (თომას) ძე ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი)** (1809-1866), თბილისის გუბერნიის (ქართლ-კახეთის) თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1854-1857 წწ. (ივ. ორბელიანის შესახებ იხ. ბერძნიშვილი 1983: 149-150). ივ. ორბელიანი თავის მეუღლესთან, ნინო თორნიკეს ას. ერისთავთან, ერთად დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში.

წინა ტომებში (ყიფიანი 2020: 449, 451; ყიფიანი 2021: 304-305, 528) ჩვენ ივ. ორბელიანის წინამძღოლობის („მარშლობის“) წლებად სათანადო ლიტერატურაზე დაყრდნობით მითითებული გვაქვს 1854-1856 წწ., ხოლო მომდევნო „მარშლის“ ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანის წინამძღოლობის წლებად – 1856-1864 წწ., რაც არ აღმოჩნდა სწორი. წინამდებარე წერილის მიხედვით, ივ. ორბელიანი 1857 წ. გაზაფხულზე ჯერ კიდევ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლია, შესაბამისად, ალ. ორბელიანის „მარშლობის“ წლებად გა-

მოდის 1857-1864 წწ. (იგივე დასტურდება შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდრის“ მიხედვითაც; 1864 წ. 16-17 თებერვლის არჩევნებზე ალ. დ. ორბელიანი დიმი. ყიფიანმა შეცვალა. იხ. ყიფიანი 2021: 18-19, 302-304)

გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულია ქართველი თავადაზნაურობის მიერ გამართული პომპეზური ბალისა და გრანდიოზული ვახშმის შედარებით მოკლე (კავკაზ 1856<sup>ა</sup>) და ვრცელი (კავკაზ 1856<sup>ბ</sup>) აღწერილობა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 11 ნოემბერსვე, დილით, სანამ ქართველი თავადაზნაურობის მიერ მოწყობილი ბალი გაიმართებოდა, ალ. ბარიატინსკის საზეიმო შეხვედრა თბილისში მცხოვრებმა გერმანელმა კოლონისტებმაც მოუწყვეს (კავკაზ 1856<sup>ა</sup>).

<sup>1</sup> (გვ. 115) **„მოსწავლეთა დორტუარებისა და სარეკრეაციო დარბაზების“** – ა) დორტუარი: მოსწავლეთა (პანსიონერთა) საერთო საძინებელი ოთახი; ბ) სარეკრეაციო: დასასვენებელი.

<sup>2</sup> (გვ. 116) **„ალექსანდრე ივანეს ძის ჩამოსვლიდან მეორე კვირადღეს, კერძოდ, 11 ნოემბერს დავნიშნეთ“** – კავკასიის მეფისნაცვლისა და ცალკე კორპუსის მთავარსარდლის თანამდებობაზე დანიშნული ალ. ბარიატინსკი მრავალრიცხოვანი ამალით თბილისში 1856 წ. 3 ნოემბერს, შაბათ დღეს, შემოვიდა (ალ. ბარიატინსკის თბილისში შემოსვლისა და ამ ფაქტთან დაკავშირებული ცერემონიების შესახებ იხ. კავკაზ 1856<sup>ბ</sup>; მეორე დღეს, 4 ნოემბერს, გამართული სამხედრო პარადის შესახებ იხ. კავკაზ 1856<sup>გ</sup>; იქვეა ცნობა იმის შესახებ, რომ იმავე 4 რიცხვში ალ. ბარიატინსკი გაემგზავრა მცხეთაში, რათა მოელოცა სვეტიცხოველი და იქ დაკრძალულ ქართველ მეფეთა ხსოვნისთვის მიეგო პატივი).

<sup>3</sup> (გვ. 117) **„კიბის არმატურას...“** – არმატურა (ლათ. armatura: შეიარაღება, აღჭურვილობა) აქ სამხედრო იარაღისა თუ საჭურვლის (ძირითადად ნადავლის, ტროფეის) გამოყენებით შექმნილ სკულპტურულ ფორმებს ნიშნავს. ბალის ზემოთ ნახ-



სენებ ერთ-ერთ აღწერაში ვკითხულობთ: „ტფილისის გიმნაზიის ჭიშკარი... მორთული იყო სამხედრო არმატურით, რომელიც ხიშტებისა და თოფ-იარაღის ლულებსგან იყო გაკეთებული... სადარბაზო შესასვლელის კედლები თავიდან ბოლომდე, მთელ სიგრძე-სიგანეზე, ფოლადითა და რკინით იყო „შემოსილი“. კრიალებდა სხვადასხვა სახის იარაღი და სამხედრო ატრიბუტები... შესასვლელიდანვე, იატაკისა და კიბის გაყოლებაზე, თვალისმომჭრელად ჩანდა სამხედრო მორთულობა, რომელიც მნახველს რუსული იარაღის ამასწინანდელ დიდებას შეასვენებდა. გერბების ქვემოთ თავს იწონებდა ბოლო ომში თურქებისთვის წართმეული შტუცერებით გაკეთებული სამხედრო არმატურები...“ და სხვ. (კავკაზ 1856<sup>ა</sup>).

<sup>4</sup> (გვ. 117) **„მოსანვევები სტუმრებისთვის... 700 ცალზე მეტი; მონვეული იყო ორივე სქესის 960 პირი“** – შეუსაბამობა დარიგებულ მოსანვევთა და მინვეულ პირთა რაოდენობებს შორის იმით იყო გამოწვეული, რომ ნაწილი სტუმრებისა მიწვეული იყო მიუღლითურთ.

<sup>5</sup> (გვ. 118) **„ტფილისელი ამქრებისთვის გიმნაზიის ეზოში გაიშალა სუფრა 200 კაცზე“** – საქმეში დაცულია (ფ. 26) ამქართა სუფრის მენიუსა და მონყობილობის ჩამონათვალი (შავად ნაწერი), შედგენილი უცნობი ხელით: „1. დოში, ხიზილალა, ყველი. დოში – 2 ფუთი; 2. ხაშლამა – 8 ფუთი; 3. ფურნის მწვადი ცხვრის ხორცი – 8 ფუთი; 4. ღვინო, ას ოცი თუნგი – მანათიანი; 5. ოთხასი პური – ორმანათიანი; 6. მარილი და მწვანელი; 7. სკამეიკები, სტოლები; 8. სუფრა – ამერიკა; 9. ორასი თეფში; 10. ოცი სამარილე; 11. ასი სტაქანი; 12. ორმოც და ათი გრაფინკები ნახევარ თუნგისანი“ [ივ. ორბელიანისთვის წარდგენილ საბოლოო ანგარიშში (ფ. 69) ამქრებისთვის გამართული სუფრის ხარჯად მითითებულია 454 მან.].

<sup>6</sup> (გვ. 118) **„თითო ჩარეკი არაყი და ფუნტი ხორცი იმ დღეს ტფილისში მყოფი ყველა ბატალიონის...“** – ა) ჩარეკი, როგორც საწყაო ან საზომი, მეოთხედს (ნაოთხალს) ნიშნავს (უნდა ვი-

ფიქროთ, აქ ლიტრის მეოთხედი იგულისხმება); ბ) ფუნტი: წონის საზომი ერთეული XIX ს. რუსეთში. უდრიდა 400 (უფრო ზუსტად 409,5) გრამს; გ) განმკარგულებლების მიერ წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, თბილისში ამ დროს ექვსი ბატალიონი იმყოფება (ფ. 69).

<sup>7</sup> (გვ. 118) „სულ იმ სიების მიხედვით...“ – სიები ბალზე მიწვეული პირებისა, რომელთა შორის არიან კავკასიის ადმინისტრაციული და სამხედრო მმართველობის წარმომადგენლები, არისტოკრატების წევრები და სხვ. იხ. იქვე, ფ. 2-55).

<sup>8</sup> (გვ. 118) „ეს ფული დაიხარჯა სრულად“ – საქმეში დევს (ფ. 68-69) ივ. ორბელიანისთვის წარდგენილი ანგარიში.

## 52. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

(გვ. 118-123)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №173. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 5. **თარიღი:** 1857 წ. 4 აპრილი. ხელმოწერული.

წერილის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვალ და მთავარსარდალი 1856-1862 წწ. **ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი** (1815-1879), გენერალ-ფელდმარშალი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი (მიიღო შამილის დატყვევებისთვის). ალ. ბარიატინსკი იყო იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბავშვობის მეგობარი და უახლოესი გარემოცვის წევრი, რითაც მან ისარგებლა და ჯერ კიდევ მიხ. ვორონცოვის მიერ მოპოვებული კავკასიის ადმინისტრაციულ-მმართველობითი ავტონომია კიდევ უფრო გააფართოვა [საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2019: 460-461; ალ. ბარიატინსკის 1857-1858 წწ. „უქვეშევრდომილესი ანგარიში“, შედგენილი დიმ. ყიფიანის მიერ, იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №198, ფ. 185].

სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ინტერესთა დაცვისთვის ალ. ბარიატინსკის გადაწყვეტილებითა და ალექსანდრე II-ის ბრძანებით, 1862 წ. ივნისში დიმ. ყიფიანი გადააყენეს მეფისნაცვლის საბჭოს წევრობიდან და საერთოდ დაითხოვეს სახელმწიფო სამსახურიდან [საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ყიფიანი 2018: 424-425; ყიფიანი 2021: 317; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 52-68, 76-77, 182-183, 189, 345; ალ. ბარიატინსკისთან ურთიერთობას გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი დიმ. ყიფიანის „მემუარებში“ (ყიფიანი 2020: 187-188, 198-209)].

1862 წ. დეკემბერში ალ. ბარიატინსკი გადადგა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან, საერთოდ გავიდა სახელმწიფო სამსახურიდან, სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ჟენევაში, სადაც გარდაიცვალა 1879 წ. 25 თებერვალს. დაკრძალულია საგვარეულო აკლდამაში, კურსკის გუბერნიის სოფელ ივანოვსკოეში. იქვეა დაკრძალული მისი მეუღლეც – ელისაბედ (ლიზიკო) დიმიტრის ას. ორბელიან-ბარიატინსკაია (დარჩათ შვილი – კირილე, რომელმაც რუსეთის ბოლშევიზაციის შემდეგ გამოიცვალა გვარი (ობრაზცოვი), დაოჯახდა და კურსკის გუბერნიას შეაფარა თავი, თუმცა ბედისწერას ვერც იქ გაექცა. 1937 წ. იგი დააპატიმრეს, შპიონაჟის ბრალდებით გაასამართლეს და გაგზავნეს სოლოვკის ბანაკში. ამის შემდეგ მისი კვალი ქრება).

ალ. ბარიატინსკის შესახებ იხ.: აქტები 1885: XIV-XV; ზისერმანი 1888-1891; ორჯონიკიძე 1992: 230-257; ელისაბედ ორბელიანის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: ყიფიანი 2020: 414-415; ერისთავი 2022: 127-129).

<sup>1</sup>(გვ. 119) „**თქვენი 29 მარტის მონერილობით...**“ – ალ. ბარიატინსკის აქ. ნახსენები *მონერილობა* იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №172.

<sup>2</sup>(გვ. 119) „**ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლთან...**“ – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის

წინამძღოლი („მარშალი“) ამ დროს (1857-1864 წწ.) არის *ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი* (მანანა ორბელიანის ვაჟი).

<sup>3</sup> (გვ. 119) **„ტფილისის გუბერნიიდან თელავისა და სიღნაღის ცალკე მაზრებად გამოყოფისა...“** – თელავი და სიღნაღი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად – მაზრებად (თბილისის გუბერნიის ფარგლებში) – 1846 წელს ჩამოყალიბდა. მანამდე თელავისა და სიღნაღის მაზრები ჯერ საქართველოს, შემდეგ კი საქართველო-იმერეთის გუბერნიებში შედიოდა.

<sup>4</sup> (გვ. 120) **„გენერალ-მაიორის, თავად ჯამბაკურ-ორბელიანის აზრია...“** – იგულისხმება *ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი* (იხ. აქვე, კომენტ. 2).

<sup>5</sup> (გვ. 120) **„მონუმბები, რომლებიც კახელი თავადებისა და აზნაურებისთვის არის დამზადებული“** – *მონუმბები*: იგულისხმება კახელ თავად-აზნაურთა წოდებრივი ღირსების ოფიციალური (წერილობითი) დადასტურება.

<sup>6</sup> (გვ. 121) **„ხელფასი – 300; ბინისა – 105; სულ – 455“** – ასეა დედანში (ხელფასისა და ბინის ქირის ჯამი შეუსაბამო გამოდის).

### 53. ალექსი კრუზენშტერნისადმი

(გვ. 123-124)

**ხელნაწერი:** ხეც. დიძ. ყიფიანის არქ., საქ. №739. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1857 წ. 12 ივნისი. ხელმოუწერელი.

წერილის ბოლოში დიძ. ყიფიანის ხელით მინერილია ადრესატის ვინაობა (რუსულ ენაზე): „მის აღმატებულებას, ა. თ. კრუზენშტერნს“.

წერილის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1856 წლიდან), ნამდვილი სამოქალაქო

მრჩეველი [Действительный статский советник; შემდგომ – სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь) და საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник)] **ალექსი თედორეს ძე (Федорович) კრუზენშტერნი** (1813-1887). ა. კრუზენშტერნი მონაწილე იყო 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობისა, აგრეთვე, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომისა. 1858 წლიდან იგი ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსია. 1863 წ. კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამართველოს უფროსის თანამდებობიდან ნებაცულობით გადადგა [ბიოგრაფიული ცნობები ა. კრუზენშტერნის შესახებ იხ. აქტები 1885: XIII; დიმ. ყიფიანის „მემუარებში“ გარკვეული ადგილი ეთმობა ავტორის სამსახურებრივ ურთიერთობას ა. კრუზენშტერნთან (ყიფიანი 2020: 194-198)].

<sup>1</sup> (გვ. 123) **„შემეერთებინა პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც ჩემი ხელიდან მიღებულ იქნა კიდევაც სპეციალური პირობებით“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 379, აგრეთვე, წერილები ალექსი კრუზენშტერნისადმი №№93, 102 და მათზე დართული კომენტარები.

<sup>2</sup> (გვ. 123) **„ბ-ნი საფონოვის 1849 წლის 10 იანვრის (№100) ჩემდამი მომართვაშია აღნიშნული“** – სტ. საფონოვის აქ ნახსენები „მომართვა“ იხ. ყიფიანი 2020: 270-271.

<sup>3</sup> (გვ. 124) **„მივმართე საიდუმლო მრჩეველ შჩერბინინს ... ჩემი ყველა წიგნი უკან დაებრუნებინათ“** – დიმ. ყიფიანის მიმართვა მიხ. შჩერბინინისადმი იხ აქვე, გვ. 100-101.

<sup>4</sup> (გვ. 124) **„მიპასუხა ბ-ნმა დე სენ ტომამ ... წიგნების დაბრუნების უფლება არა აქვს“** – დაცულია დიმ. ყიფიანისადმი ვლ. დე სენ ტომას 1854 წ. 1 თებერვლის წერილი (რუსულ ენაზე), რომელშიც წერილის ავტორი ადრესატს ბოდიშს უხდის, რომ მოთხოვნილ წიგნებს ვერ უგზავნის. ამისთვისო, – სწერს ვლ. დე სენ ტომა დიმ. ყიფიანს, – მეფისნაცვლის წერილობითი ნებართვაა საჭირო და ამიტომ ესლა შემძღვია, პირა-

დად ჩემი ბიბლიოთეკიდან ბარათავეის წიგნი „საქართველოს სამეფოს ნუმისმატიკური ფაქტები“ გამოგიგზავნოთ და ვეცდები, სხვა წიგნები კერძო ბიბლიოთეკებში მოვიძიო და მოგართვათო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1300. ფ. 1).

<sup>5</sup> (გვ. 124) „**მისი ბრწყინვალეების...**“ – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

#### **54. ამიერკავკასიის მხარის მთავარსამმართველოს საბჭოსადმი** (გვ. 125-134)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №175. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 8. **თარიღი:** 1857 წ. 19 ივნისი. ხელმოუწერელი.

<sup>1</sup> (გვ. 125) – „**მთავარსამმართველოს საბჭომ გადმომცა ჟურნალიდან ა. თ. 14 მაისის ამონაწერი №970**“ – აქ ნახსენები *ამონაწერი* იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №174. ფ. 1.

<sup>2</sup> (გვ. 125) „**ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულებისა...**“ – მეფისნაცვალ მის. ვორონცოვის ინიციატივითა და იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მიერ 1848 წ. მაისში დამტკიცებული საკრედიტო დაწესებულება „Закавказский приказ общественного призрения“ (პრაქტიკულად მუშაობას 1849 წ. 1 თებერვლიდან შეუდგა), შემოკლებულად – „პრიკაზი“ („პრიკაზის“ შესახებ იხ. გუგუშვილი 1956: 265-307).

<sup>3</sup> (გვ. 126) „**თავად გაგარინისა**“ – ეს არის *იური პავლეს ძე გაგარინი*, რომელიც 1850-იან წწ. I ნახევარში „ამიერკავკასიის საზოგადოებრივი სამზრუნველო დაწესებულების“ („პრიკაზის“; იხ. წინა კომენტარი) დირექტორი იყო მთავრობის მხრიდან [იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“;

„პრიკაზს“, გარდა საერთო ხელმძღვანელისა (მმართველისა), ჰყავდა სამი დირექტორი, რომლებიც წარმოადგენდნენ: მთავრობას, თავადაზნაურობასა და საქალაქო ფენას (От городского сословия)].

<sup>4</sup> (გვ. 129) „პალე-როიალი“ – სასტუმრო იგულისხმება.

<sup>5</sup> (გვ. 132) „მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის სახელზე“ – იგულისხმება ალექსი კრუზენშტერნი.

## 55. ირაკლი მუხრანბატონისადმი

(გვ. 134)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №177. ავტოგრაფი. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1857 წ. 28 ივნისი. ხელმოუწერელი.

უკანა გვერდზე მიწერილია ადრესატის 1857 წ. 10 ივლისის პასუხი დიმ. ყიფიანის წერილში დასმულ კითხვებზე: I – მიღებულია 124 ასეთი საქმე; II – დასრულებულია 79 ასეთი საქმის განხილვა; III – მიღებულია 1200 მოწმობა; IV – დარიგებულია 420 მოწმობა.

დიმ. ყიფიანის წერილში დასმული შეკითხვები ეხება ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა წოდებრივი ღირსების დამტკიცების საქმეს (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 327-329, აგრეთვე, მომდევნო (№56) წერილი ალ. ბარიატინსკისადმი).

წერილის ადრესატია **ირაკლი (ერეკლე) კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი)** (1813-1892), თავადაზნაურობის თბილისის საკრებულოს წევრი (1850-იანი წწ.), ერეკლე II-ის შთამომავალი (ქეთევან ბატონიშვილის ძე), „ქმნკგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი.

## 56. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი (გვ. 135-138)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №178. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 3. დაუთარილებელი. ხელმოუწერელი.

ტექსტის დასათარილებლად (1857 წ. ივლისი) ვიყენებთ თვითონ წერილის მონაცემს – დიმ. ყიფიანს ალ. ბარიატინსკის მიმართვა მიუღია 1857 წ. 25 ივნისს. უნდა ვიფიქროთ, რომ პასუხი დაინერებოდა მომდევნო დღეებში (არა უგვიანეს ივლისისა). უნდა ითქვას, რომ სპეციალური განმარტების გარეშე ასე აქვს წერილი დათარიღებული ე. კელენჯერიძეს, რომელსაც დიმ. ყიფიანის არქივის აღწერილობა ეკუთვნის (აღწერილობა ინახება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზში).

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 393-394.

<sup>1</sup> (გვ. 135) **„ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის...“** – იგულისხმება თბილისის გუბერნიის (ქართლ-კახეთის) თავადაზნაურობის წინამძღოლი 1857-1864 წწ. **ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი**.

<sup>2</sup> (გვ. 135) **„თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი“** – იგულისხმება ალ. ორბელიანი (იხ. წინა კომენტარი).

<sup>3</sup> (გვ. 135) **„ალაზნის ოლქისთვის დეპუტატთა ცალკე საკრებულოს დაარსება“** – ალაზნის ოლქის შესახებ იხ. აქვე, გვ. 119-120.

<sup>4</sup> (გვ. 136) **„თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი“** – იგულისხმება ირაკლი (ერეკლე) კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) (იხ. წინა, 55-ე, წერილი).

<sup>5</sup> (გვ. 137) **„...თავდაპირველად 1844 წელს შეიქმნა“** – დიმ. ყიფიანს მხედველობაში აქვს სენატის 1844 წ. დებულება ქართველი თავადაზნაურთა წოდებრივი ღირსების დამტკიცების შესახებ (იხ. აქვე, გვ. 309-310).



## 57. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი (გვ. 138-141)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №180. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1857 წ. 6 აგვისტო. პი-ატიგორსკი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 393-394.

<sup>1</sup> (გვ. 138) „ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის...“ – იგულისხმება გენერალი ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლიუბაკინი.

<sup>2</sup> (გვ. 138) „კანცელარიის დირექტორისადმი...“ – მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი ამ დროს არის ალექსი თედორეს ძე კრუზენშტერნი.

<sup>3</sup> (გვ. 138) „ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის...“ – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ამ დროს არის გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი.

<sup>4</sup> (გვ. 141) „1854 წლიდან კი ომის გამო...“ – იგულისხმება რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომი, რომლის ერთ-ერთი ფრონტი საქართველოზეც გადაიოდა.

## 58. ალექსანდრე გაგარინისადმი (გვ. 141-142)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №699. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1857 წ. 5 ოქტომბერი. ქუთაისი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (1857-1858 წ. დასაწყისი; მანამდე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი იყო, თბილისში 1840-იან წლებში მიხ. ვორონცოვს ჩამოჰყვა და ერთხანს მის ადიუტანტად მსახურობდა), გენერ-

ალ-ლეიტენანტი *ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინი* (1801-1857), მანანა ორბელიანის სიძე [ანასტასია (ტასო) ორბელიანის (1825-1907) მეუღლე]. დიმ. ყიფიანის ამ წერილის დაწერიდან ცოტა ხანში, 20 ოქტომბერს, ალ. გაგარინი, რომელიც რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების დავალებით მიზანმიმართულად ცდილობდა სვანეთის სამთავროს გაუქმებას, ქუთაისში სასიკვდილოდ დაჭრა სვანეთის მთავარმა კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანმა. დაჭრილი რამდენიმე დღის შემდეგ, 27 ოქტომბერს, ქუთაისშივე გარდაიცვალა (ალ. გაგარინის მკვლელობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2020: 363-368; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 434-439. ბიოგრაფიული ცნობები ალ. გაგარინის შესახებ იხ. აქტები 1885: XVIII).

<sup>1</sup> (გვ. 141) **„დავალების შესასრულებლად ქუთაისში ჩამოვედი დღეს, თუმცა, სამწუხაროდ, ვერ ჩამოგისწარიტ“** – სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისკენ მიმართულმა პოლიტიკამ, რომელსაც ჯერ მეფისნაცვალმა ნიკ. მურავიოვი, შემდეგ კი ალ. ბარიატინსკი ახორციელებდნენ, განსაკუთრებული აქტუალურობა სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყების დროს შეიძინა. აჯანყების ჩახშობის საბაბით სამეგრელოში შევიდა რუსული ჯარი, შემდეგ იქ დამყარდა რუსეთის *de facto* მმართველობა, სამეგრელოს მმართველად გენერალი ნიკოლოზ კოლიუბაკინი დაინიშნა და ისიც გადაწყდა, რომ შვილების (მათ შორის, სამთავრო ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრის, ნიკოლოზ დადიანის) უკეთ აღზრდის საბაბით სამთავროს დროებითი მმართველი ეკატერინე დადიანი პეტერბურგში „მიენვიათ“ [ფოთიდან პეტერბურგში გაემგზავრა 1857 წ. 25 ოქტომბერს (ბოროზდინი 1934: 164)]. საჭირო გახდა მთავრის ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების სასწრაფო ინვენტარიზაცია, რაც ალ. ბარიატინსკიმ მეფისნაცვლის საბჭოს წევრს, დიმ. ყიფიანს, დაავალა. წინამდებარე წერილში დიმ. ყიფიანს სწორედ ეს **დავალება** აქვს მხედველობაში (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. დიმ.

ციფიანის 1857-1858 წწ. დღიური: ციფიანი 2020: 79-118, 355-385; ჯოლოგუა 2022<sup>2</sup>: 390-467). დავალების შესასრულებლად ქუთაისში ჩასვლასა და ალ. გაგარინის იქ არყოფნის შესახებ დი. ციფიანს ხსენებულ დღიურში უწერია:

„5 ოქტომბერს უკვე ქუთაისში ვიყავი. დავალებული მქონდა, ქალაქდები ჩამებარებინა როგორც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის, რომელსაც, თავის მხრივ, ჩემს მივლინებასთან დაკავშირებული შესაბამისი განკარგულებები უნდა გაეცა, ისე – სამეგრელოს დედოფლისთვისაც. გენერალ-გუბერნატორს ქუთაისში ვერ ჩავუსწარი: ჯვარში იქაურებსა და კაზაკებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა და იქ იყო წასული, რათა ეს საქმე პირადად მოეგვარებინა. – ვერ გავარკვიე, იქ რამდენ ხანს დაყოვნდებოდა; არც ის ვიცოდი, იძლეოდა თუ არა სამეგრელოში შექმნილი ვითარება ჩემი იქ ჩასვლის საშუალებას ან, ჩასვლის შემთხვევაში, სად უნდა მენახა იგი. 5 რიცხვში შიკრიკს წერილი გავატანე გენერალ-ლეიტენანტ გაგარინთან, ვთხოვედი ნებართვას, პასუხს არა უგვიანეს 8 რიცხვამდე დავლოდებოდი. – ამასობაში თავადი გაგარინი ქუთაისში დაბრუნდა – 7 რიცხვში, ღამით. მეორე დღეს წარვუდექით და მივიღეთ რჩევა, რაც შეიძლება სწრაფად გავმგზავრებულიყავით გორდში, მთავრის ქვრივ ეკატერინე ალექსანდრეს ასულთან, რომელიც გასამგზავრებლად ემზადებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ვენვეოდით“.

<sup>2</sup> (გვ. 141) „სამეგრელოში ამჟამად შექმნილი ვითარება...“ – იგულისხმება სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყება.

<sup>3</sup> (გვ. 142) „ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ას. დადიანი.“

<sup>4</sup> (გვ. 142) „სამეგრელოს მმართველი“ – ამ დროს სამეგრელოს მმართველი იყო გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კოლიუბა-

**კინი** [კოლიუბაკინი II; 1858-1861 წწ. სამეგრელოს მისი ძმა მიხეილ კოლიუბაკინი (კოლიუბაკინი I) მართავდა. 1861 წ. ამ თანამდებობაზე ისევ ნიკ. კოლიუბაკინი დააბრუნეს].

<sup>5</sup> (გვ. 142) „სამოქალაქო მრჩეველ ჩილიაევთან...“ – იგულისხმება **მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილი (ჩილაევი, ჩილიაევი)**, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, დიმ. ყიფიანის ცოლისძმა, რომელიც 1862-1865 წწ. სამეგრელოს მმართველი იყო.

<sup>6</sup> (გვ. 142) „**ხონში მაინც გავემგზავრები**“ – 8 ოქტომბერს, როგორც ზემოთ ითქვა (კომენტ. 1), დიმ. ყიფიანი ქუთაისში ალ. გაგარინს შეხვდა, ამის შემდეგ კი იგი ხონში (უფრო ზუსტად, ხონთან ახლოს მდებარე გორდში, დადიანების საზაფხულო რეზიდენციაში) გაემგზავრა და იქ ეკატერინე დადიანს შეხვდა (ყიფიანი 2020: 82-85; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 394-397).

## 59. ალექსი კრუზენშტერნისადმი

(გვ. 142-143)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №740. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1857 წ. 7 ოქტომბერი. ქუთაისი]. ხელმოუწერელი.

ტექსტი თარიღდება (1857 წ. 7 ოქტომბერი) მასშივე მოცემული მონაცემის მიხედვით – დიმ. ყიფიანი ა. კრუზენშტერნს სწერს: „გუშინწინ ჩამოვედი ქუთაისში...“. ქუთაისში კი დიმ. ყიფიანი ჩავიდა 5 ოქტომბერს [იხ. წინა (№58) წერილის კომენტ. 1].

წერილის რაობისა და მისი შინაარსობრივი მხარის შესახებ იხ. დიმ. ყიფიანის წინა (№58) წერილი ალ. გაგარინისადმი და მასზე დართული კომენტარები.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 395-396.

## 60. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი (გვ. 143-144)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №390. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1857 წ.] 11 ოქტომბერი. გორდი. ხელმოუწერელი.

მიმართვაში დანერის მხოლოდ დღე და თვეა მითითებული. სრულად **თარიღდება** (1857 წ.) დიმ. ყიფიანის 1857-1858 წწ. დღიურის ერთ-ერთი მონაკვეთის მიხედვით: „[1857 წ. ოქტომბრის] **11 რიცხვში** ოფიციალური თხოვნით (№3) მივმართე სამეგრელოს მმართველს, გაეცა განკარგულება, რათა სამეგრელოში აკრძალულიყო ხელის ხლება ყოველგვარი უძრავი თუ მოძრავი ქონებისთვის, რომელიც უკანასკნელი წლების მონაცემებითა და კერძო თუ საუფლისწულო უფლებებით უშუალოდ სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სარგებლობაში შედიოდა“ (ყიფიანი 2020: 86; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 398).

წერილის ადრესატია გენერალ-ლეიტენანტი (1861) და სენატორი (1863) **ნიკოლოზ პეტრეს ძე კოლიუბაკინი** (1810-1868), რომელიც ახალგაზრდობისას მონაწილეობდა პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობაში, ბრძოლებში თავიც გამოიჩინა, თუმცა ამის შემდეგ (1834 წ.) თავის უშუალო უფროსთან კონფლიქტისა და მისი შეურაცხყოფის გამო ჩამოაქვეითეს და „კავკასიის ომში“ გაგზავნეს რიგით ჯარისკაცად [საერთოდ, ნიკ. კოლიუბაკინი ფიცხი, ფეთქებადი ხასიათის პიროვნება იყო და ამიტომ როგორც უფროსობასთან, ისე ხელქვეითებთან განუწყვეტილ მოსდიოდა შეტაკებები. მისი ერთი ასეთი დაპირისპირება ქუთაისში ჩინოვნიკ ვახტანგ გურამიშვილთან ა. წერეთელს აქვს აღწერილი (წერეთელი 1961: 161-162)].

სხვადასხვა დროს ნიკ. კოლიუბაკინი იყო ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი და სამეგრელოს მმართველი [1857-1858 წ. და-

საწყისი; ამ თანამდებობაზე ალექსანდრე II-ის 1857 წ. 26 სექტემბრის რესკრიპტის საფუძველზე დაინიშნა (ორჯონიკიძე 1970: 221)], ერევნისა (1858-1861) და ქუთაისის (1861-1862) სამხედრო გუბერნატორი. 1862 წ. გაზაფხულზე ნიკ. კოლიუბაკინმა აღ. გაგარინის მკვლევლობისთვის ქუთაისში დახვრეტილი კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანის ქვრივს, რუსუდან შარვაშიძეს, ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და წინასწარი გამოცხადების გარეშე, უფლება მისცა, მეუღლე დახვრეტის ადგილიდან ქუთაისშივე, არქიელის გორაზე, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში გადაესვენებინა, რასაც ნიკ. კოლიუბაკინის კარიერა შეენირა. იგი გადააყენეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობიდან და საერთოდ გაიწვიეს კავკასიიდან. გამოქვეყნებულია ნიკ. კოლიუბაკინის წერილი ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს უფროს ალექსი კრუზენშტერნისადმი, რომელშიც წერილის ავტორი ადრესატს უხსნის თავისი გადაწყვეტილების მოტივს. ამ წერილში მკაფიოდ ჩანს ნიკ. კოლიუბაკინის რელიგიური მრწამსი და მორალური პრინციპები (ცნობის ფურცელი 1902; აქტები 1904: 384-385; თვითონ წერილი, აგრეთვე, მასალა საკითხის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 373-374; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 445-446).

სიცოცხლის ბოლო წლებში ნიკ. კოლიუბაკინი ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც ეწეოდა ლიტერატურულ შრომას (იყო ვლ. ოდოევსკის ლიტერატურული წრის წევრი, წერდა და აქვეყნებდა საისტორიო მასალებს, მათ შორის, აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის, იმერეთისა და სხვ. შესახებ).

დიმ. ყიფიანსა და ნიკ. კოლიუბაკინს თავიდან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა „სამეგრელოს საკითხის“ გამო (კოლიუბაკინი ხელისუფლების დავალებით მიზანმიმართულად ცდილობდა სამეგრელოს სამთავროს უფლებრივ დაკნინებასა და სამთავროს გაუქმებისთვის ნიადაგის მომზადებას) მათ შორის მწვავე დაპირისპირება მოხდა. 1861 წლის ოქტომბერში დიმ. ყიფიანი კატეგორიულად მოითხოვს ნიკ.

კოლიუბაკინისაგან: ფოტოპორტრეტები უნდა დავუბრუნოთ ერთმანეთსო (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №737. ფ. 1) და დიმიტრის ამ მოთხოვნას ნიკ. კოლიუბაკინი საქმის გაჭიანურებითა და უხალისოდ ასრულებს კიდევაც (იქვე, საქ. №1401. ფ. 1).

ძმისგან, გენერალ მიხეილ კოლიუბაკინისგან (კოლიუბაკინი I), რომ განესხვავებინათ, წყაროებსა და ლიტერატურაში ნიკ. კოლიუბაკინი ხშირად ასე იხსენიება: *კოლიუბაკინი II* (ნიკ. კოლიუბაკინზე იხ.: ქსე 1980: 582; ბროკჰაუზი-ეფრონი 1895: 806-807; ბოროზდინი 1934: 83-95 და შმდ.; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 292-293; მისი მეუღლის, ალექსანდრა ანდრეი კრიჟანოვსკის ას. კოლიუბაკინას, მოგონებები ნიკ. კოლიუბაკინზე იხ.: კოლიუბაკინა 1894: 379-407).

<sup>1</sup> (გვ. 143) **„ჩემი ჩამოსვლის მიზანი თქვენი აღმატებულებითვის უკვე ცნობილია ... უნდა გამოვარკვიო ან განსვენებული მთავრის ოჯახის ქონება და ყოველი საკუთრება“** – ა) სამეგრელოში დიმ. ყიფიანის *ჩასვლის მიზნის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 401-402; ბ) *განსვენებული მთავარი: იგულისხმება დავით დადიანი.*

<sup>2</sup> (გვ. 144) **„ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა მომამაგრა ნდობით აღჭურვილი პირები და ამის შესახებ მაცნობა გუშინ“** – დიმ. ყიფიანის მიერ ნახსენები *ნდობით აღჭურვილი პირები* იყვნენ: მცირეწლოვან მთავარ ნიკოლოზ დადიანისა და სამთავრო ოჯახის სახლთუხუცესი დავით ოტიას ძე ჩიქოვანი, ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესი დავით (დათა) სალიკის ძე ჩიქოვანი, აგრეთვე, მათი თანაშემწეები – სამთავრო სახლის მოხელეები: სიკო ჩიქოვანი და გოგისა ყიფიანი (ყიფიანი 2020: 85; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 397).

<sup>3</sup> (გვ. 144) **„ისარგებლეს რა არეული დროით...“** – *არეული დრო*: იგულისხმება სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყება.

## 61. ეკატერინე დადიანისადმი (გვ. 144-146)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №390. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1857 წ. 11 ოქტომბერი. გორდი]. ხელმოუწერელი.

ტექსტის თარიღისა (1857 წ.) და ადგილის (გორდი) დასადგენად ვიყენებთ თვითონ წერილის მონაცემს: „დღესვე მივმართე სამეგრელოს მმართველს“. სამეგრელოს მმართველნიკ. კოლიუბაკინს კი დიმ. ყიფიანმა 1857 წ. 11 ოქტომბერს მიმართა გორდიდან (იხ. წინა, მე-60, წერილი). ამას გარდა, დიმ. ყიფიანის 1857-1858 წწ. დღიურში ვკითხულობთ: „11 ოქტომბერი. მივიღე მთავრის მეუღლის მომართვა (№26)“. ამის შემდეგ დღიურის ავტორი ჩამოთვლის ეკატერინე დადიანის იმ მოთხოვნებს, რომლებზედაც დიმ. ყიფიანი თავის წინამდებარე წერილში უპასუხებს (დედანი ეკატერინე დადიანის მოთხოვნისა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №389. ფ. 2) და დასძენს: „იმავე 11 რიცხვში... ვაცნობე ეს ყველაფერი მის უგანათლებულესობას“ (ყიფიანი 2020: 86; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 397-398). სპეციალური განმარტების გარეშე დიმ. ყიფიანის ეს წერილი 1857 წ. 11 ოქტომბრით აქვთ დათარიღებული შ. გოზალიშვილსა (გოზალიშვილი 1951: 108, №11) და ე. კელენჯერიძეს [იხ. მის მიერ შედგენილი დიმ. ყიფიანის პირადი არქივის აღწერილობა (გვ. 49). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზი]. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დროს წერილის ავტორიცა (დიმ. ყიფიანი) და ადრესატიც (ეკატერინე დადიანი) გორდში იმყოფებიან, თუმცა მათი ურთიერთობა ოფიციალური ხასიათისაა და ამიტომაც არის ეს ურთიერთობა „გაფორმებული“ წერილობით.

წერილის ადრესატია *ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ას. დადიანი* (1816-1882), სამეგრელოს დედოფალი, რომე-



ლიც მცირეწლოვანი შვილების შესაფერისად აღზრდის სა-  
ბაბითა და სამეგრელოს სამთავროს დასუსტების, შემდეგ კი  
გაუქმების მიზნით, ალექსანდრე II-მ 1857 წელს პეტერბურგ-  
ში „მიიწვია“ (მხოლოდ 1868 წელს, სამეგრელოს სამთავროს  
გაუქმების შემდეგ, შეძლო მან სამშობლოში დაბრუნება).  
პეტერბურგში გამგზავრების წინ ეკატერინე დადიანმა სამ-  
თავრო ოჯახის ადგილ-მამულისა და ქონების მეურვეებად  
(„აპეკუნებად“) დანიშნა თავისი ძმა დავით ქავჭავაძე და სიძე  
(სოფიო ქავჭავაძის მეუღლე) ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი,  
თუმცა მათ საქმეს თავი ვერ გაართვეს და 1859 წელს ეკატ-  
ერინეს დაბეჯითებული თხოვნითა და მეფისნაცვალ ალ.  
ბარიატინსკის დავალებით მეურვედ დიშ. ყიფიანი დანიშნა.  
საკითხის შესახებ თვითონ დიშ. ყიფიანი თავის ბროშურაში  
„სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ წერს:  
„1859-დამ 1867-მდის აპეკუნად ვიყავ მთავრის სახლის სა-  
კუთრებაზედ კანონის ძალით, და 1867-დამ ამ 1868-ის აგვი-  
სტომდის იმავე საკუთრების მმართველად, პატრონებისაგან  
რწმუნების წერილების ძალით ... დავდეგ აპეკუნად 1859-  
ის წლის აპრილის თვეში ... ვიყავ სრულის უფლების მექონ  
აპეკუნად 1867-ის იანვრის 4-მდის“ (ყიფიანი 1869: 4-6; ყიფი-  
ანი 2020: 12-13).

მიუხედავად დიშ. ყიფიანის თავდადებული სამსახური-  
სა, მისი მეურვეობა ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისთან სა-  
სამართლო დავებითა და ყოფილი მეურვისადმი ვალის და-  
კისრებით დასრულდა, თუმცა 1836 წ. ნიკოლოზ დადიან-მინ-  
გრელსკიმ აღიარა დიშ. ყიფიანის სიმართლე და საქმე მორიგე-  
ბით დასრულდა. „მინგრელსკიმ სავსებით გამოისყიდა თავისი  
დანაშაული“ – წერს ამის შესახებ არჩილ ჯორჯაძე (ჯორჯაძე  
1989: 552; საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერა-  
ტურა, მათ შორის, 1871 წ. თბილისის საოლქო სასამართლოზე  
წარმოთქმული სიტყვა, იხ.: ყიფიანი 1869; ყიფიანი 2020: 11-  
33, 203-209, 314-316; ყიფიანი 2021: 34-57, 312-314; ჯორ-  
ჯაძე 1989: 443-453; ხუნდაძე 1936: 84-88; უთურაშვილი 1989:

54-81; აგრეთვე, მიმოწერა, ერთი მხრივ, დიმ. ყიფიანსა და ეკატერინე დადიანს, ხოლო, მეორე მხრივ, დიმ. ყიფიანსა და ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკის შორის წინამდებარე და მომდევნო ტომებში).

<sup>1</sup> (გვ. 144) **„ჩემ მიერ გუშინ მიღებულ თქვენს წერილში (№26)...“** – დედანი დიმ. ყიფიანის მიერ აქ ნახსენები წერილისა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ, №389. ფ. 2; მისი შინაარსი იხ. ყიფიანი 2020: 85-86; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 397-398.

<sup>2</sup> (გვ. 144) **„დღესვე მივმართე სამეგრელოს მმართველს, გენერალ-მაიორ კოლიუბაკინს“** – ნიკ. კოლიუბაკინისადმი დიმ. ყიფიანის აქ ნახსენები მიმართვა იხ. აქვე, წერილი №60.

<sup>3</sup> (გვ. 145) **„ს.-პეტერბურგში გამგზავრების წინ“** – პეტერბურგში „მინვეული“ ეკატერინე დადიანი სამეგრელოდან ზღვით (ფოთიდან) გაემგზავრა 1857 წ. 25 ოქტომბერს [„სცენა“ გამგზავრებისა აღწერილი აქვს კ. ბოროზდინს (ბოროზდინი 1934: 163-165; ყიფიანი 2020: 360-361; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 431-433)].

<sup>4</sup> (გვ. 145) **„შემდგომი მსვლელობის მისაცემად გადავცე სამეგრელოს მმართველ საბჭოს“** – ლავით დადიანის გარდაცვალების (1853 წ. 30 აგვისტო) შემდეგ იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მცირეწლოვანი მემკვიდრის, ნიკოლოზ დადიანის, მეურვედ და სამეგრელოს დროებით მმართველად ეკატერინე დადიანი დაამტკიცა და, ამასთანავე, შექმნა სამთავროს მმართველი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: გრიგოლ და კონსტანტინე ლევანის ძე დადიანები, ეპისკოპოსი ზაქარია ჭყონდიდელი (აქტები 1885: 262; 1854 წ. ზაქარია ჭყონდიდელი შეცვალა თეოფანე ჭყონდიდელმა). მეფისნაცვალმა ალ. ბარიატინსკიმ 1857 წ. ივლისში შექმნა ახალი საბჭო ი. დიუკრუასის ხელმძღვანელობით (აქტები 1904: 307-308). როცა დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილი იწერებოდა, სამეგრელოს მმართველი საბჭოს შემადგენლობა ასეთი იყო: თავმჯდომარე – ნიკ. კოლიუბაკინი; წევრები: ვალერიან ვერჟბიციკი,

ნიკოლოზ აბაშიძე, პეტრე დადიანი, ფარნაოზ გელოვანი, კონსტანტინე გაბუნია (კავკაზსკი კალენდარ 1857: 430).

<sup>5</sup> (გვ. 145) **„სადადიანო სვანეთსა და ლეჩხუმში მივემგზავრები სამთავრო ოჯახის საკუთრების გამოსარკვევად“** – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის საკუთრების ინვენტარიზაციის მიზნით დიმ. ყიფიანის მგზავრობა ლეჩხუმსა და სადადიანო (ქვემო) სვანეთში იხ. მისი „დღიური 1857-1858 წლებისა“ (ყიფიანი 2020: 88-105; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 400-416).

<sup>6</sup> (გვ. 145) **„ამ ქალაღდებსა და მათს ნუსხას ჩავაბარებ: ან სამთავრო ოჯახის სახლთუხუცესს, ან თქვენს სახლთუხუცესს, ან კიდევ – ორივეს“** – ა) სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სავალო ვაღდებულეებთან დაკავშირებული ქალაღდები დიმ. ყიფიანისგან დავით ოტიას ძე ჩიქოვანმა ჩაიბარა (ყიფიანი 2020: 88; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 400); ბ) სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სახლთუხუცესი, როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 406), იყო დავით ოტიას ძე ჩიქოვანი, ხოლო ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესი – დავით (დათა) სალიკის ძე ჩიქოვანი.

## 62. ალექსი კრუზენშტერნისადმი

(გვ. 146-147)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №741. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1857 წ.] 11 ოქტომბერი. გორდი. ხელმოუწერელი.

წინამდებარე წერილთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. აქვე, გვ. 141-142, 401-402, ხოლო ადრესატის შესახებ – გვ. 395-396.

ტექსტში დანერის **წელი** (1857) არ არის მითითებული. დასათარიღებლად საჭირო მონაცემების შესახებ იხ. აქვე, გვ. 407.

<sup>1</sup> (გვ. 146) „შევხვდით თავად ალ. ივ. გაგარინს და მისივე რჩევით ჩვენ იმავე დღეს გავემგზავრეთ გორდში“ – ჩვენ: გორდში დიმ. ყიფიანი მიხეილ (მიშელ) ჭილაშვილთან ერთად გაემგზავრა.

<sup>2</sup> (გვ. 146) „ჩემი ოფიციალური თანამდებობით ღირსებაც უნდა შემენარჩუნებინა“ – თანამდებობრივ ღირსებაში დიმ. ყიფიანი იმას გულისხმობს, რომ ამ დროს იგი მეფისნაცვლის საბჭოს წევრია.

<sup>3</sup> (გვ. 146) „მთავრის ქვრივისათვის მისი და მისი შვილების მომავლისადმი რწმენა შთაგვენერგა“ – ჯერ განრისხებულ, შემდეგ კი მორბილებულ ეკატერინე დადიანთან საუბარს დიმ. ყიფიანი უფრო ვრცლად თავის 1857-1858 წწ. დღიურში მოგვითხრობს (ყიფიანი 2020: 82-84; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 394-396).

<sup>4</sup> (გვ. 146) „თავისი შვილის...“ – იგულისხმება სამეგრელოს სამთავრო ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრე ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი.

<sup>5</sup> (გვ. 147) „სამეგრელოდან მისმა გასვლამ აქ მშვიდობიანად ჩაიაროს“ – ხელისუფლება შიშობდა, რომ ეკატერინე დადიანის პეტერბურგში გამგზავრება (ფაქტობრივად, გადასახლება) სამეგრელოში შფოთსა და არეულობას გამოიწვევდა და საფრთხის თავიდან ასაცილებლად მთავრობა საგანგებოდ ემზადებოდა კიდევაც, კერძოდ, სხვადასხვა ადგილას კაზაკთა ასეულები ჰყავდა მობილიზებული (შჩერბაკოვი 1884<sup>ა</sup>; შჩერბაკოვი 1884<sup>ბ</sup>: 126; ყიფიანი 2020: 361; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 433; საგულისხმოა, რომ სენაკის ოლქის უფროსი კ. ბოროზდინი გორდიდან ორპირში ეკატერინე დადიანის გასაცილებლად „ყაზახრუხების ასეულის თანხლებით“ გავიდა – ბოროზდინი 1934: 161). რაც შეეხება ვითარებისადმი თვითონ ეკატერინე დადიანის დამოკიდებულებას, როგორც დიმ. ყიფიანის „დღიურში“ ვკითხულობთ, დედოფალმა „მკაფიოდ გაიაზრა სამეგრელოდან გასვლისას სიმშვიდის შენარჩუნების აუცილებლობა... მთავრის მეუღლე გამოიყენებს მთელ თავის

გავლენას (ვინც რა უნდა თქვას, სამეგრელოში მას გავლენა აქვს), რათა მისი გამგზავრებისას უკმაყოფილების ხმა არ ისმოდეს“ (ციფიანი 2020: 84).

<sup>6</sup> (გვ. 147) **„აპირებს, აქედან 20 რიცხვში გასვლას და გემის მოლოდინში ფოთში ორიოდ დღე გაჩერდება“** – ამ ამბების თვითმხილველი კ. ბოროზდინი წერს: „[ეკატერინე] გორდიდან უნდა გამოსულიყო ოქტომბრის 24, დილაადრიანად; ღამეს გაათევდა ორპირში, ხოლო 25-ს ნავებით მდინარე რიონზე ფოთში ჩავიდოდა, სადაც გემი ელოდებოდა“ (ბოროზდინი 1934: 161).

<sup>7</sup> (გვ. 147) **„სადადიანო სვანეთში, სადაც შელწევა ჯერ კიდევ შესაძლებელია ... თუ სვანეთსა და ლეჩხუმში ორ კვირაში მოვრჩებით საქმეს“** – ა) როცა დიმ. ციფიანი სადადიანო სვანეთში *შელწევისა* და იქიდან *გამოღწევის* სირთულეზე წერს, მას *ამინდი* აქვს მხედველობაში [ეკატერინე დადიანი დიმ. ციფიანს სვანეთსა და ლეჩხუმში სასწრაფოდ გამგზავრებას ურჩევდა, „სანამ მოახლოებულ ზამთარს გზები არ ჩაუკეტავს“ (ციფიანი 2020: 86]; ბ) დიმ. ციფიანი ლეჩხუმსა და სადადიანო სვანეთში გორდიდან გაემგზავრა 1857 წ. 15 ოქტომბერს (ციფიანი 2020: 88), ხოლო იქიდან „სოფელ ზუბისა და კურთხის მთის გადალახვით“ გორდშივე 3 ნოემბერს დაბრუნდა (ციფიანი 2020: 104-105).

### 63. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი

(გვ. 148)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ციფიანის არქ., საქ. №394. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1857 წ. 13 ოქტომბერი. ხელმოწერელი.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 404-406.

<sup>1</sup> (გვ. 148) „მთავარი მიზანი სამეგრელოს სამთავრო ოჯახის უძრავი და მოძრავი საკუთრების მოვლა-შენახვა“ – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 401-402.

<sup>2</sup> (გვ. 148) „უკვე მქონდა პატივი მიმემართა თქვენთვის“ – დიმ. ყიფიანს მიერ ნახსენები მიმართვა იხ. აქვე, გვ. 143-144.

<sup>3</sup> (გვ. 148) „სადადიანო სვანეთში ჩემი გამგზავრების წინ“ – სადადიანო სვანეთში (ლექსუმის გავლით) დიმ. ყიფიანი გორდიდან გაემგზავრა 1857 წ. 15 ოქტომბერს, ლენტეხში კი 17 ოქტომბერს ჩავიდა (ყიფიანი 2020: 88-89).

## 64. ბეჟან ახვლედიანისადმი

(გვ. 149)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №399. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1857 წ. 25 ოქტომბერი. სოფ. ლაილაში. ხელმოუწერელი.

ბოლოში დიმ. ყიფიანის ხელითვე მიწერილია (რუსულ ენაზე): „მიმართვა გაგზავნილია ქართულ ენაზე“. აღნიშნული მიმართვა ქართულ ენაზე არ ჩანს და იგი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

როგორც ზემოთ ითქვა (გვ. 401-402), 1857-1858 წწ. დიმ. ყიფიანი სამეგრელოს სამთავრო ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მიზნით სამეგრელოში, ლექსუმსა და სადადიანო (ქვემო) სვანეთში იყო წარგზავნილი. ინვენტარიზაციის პარალელურად იგი შეძლებისდაგვარად ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებსაც აგვარებდა. ლექსუმის სოფ. ლაილაში დიმ. ყიფიანი 1857 წ. 25 ოქტომბერს იმყოფებოდა [ლაილაშისა და ლაილაშელთა შესახებ დიმ. ყიფიანი თავის 1857-1858 წწ. დღიურშიც წერს (ყიფიანი 2020: 98-99).

<sup>1</sup> (გვ. 149) **„დღეს 12 ნაფიცი პირისგან...“** – ნაფიცი პირების შესახებ დიმ. ყიფიანი თავის 1857-1858 წწ. დღიურში წერს: „უნდა შევადგინო როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების დანვრილებითი აღწერილობა. – უძრავი ქონების აღწერა უნდა მოხდეს სოფლის თანამდებობრივ პირთა და უხუცესთა მიერ ფიცის ქვეშ მიცემულ ჩვენებებზე დაყრდნობით. ამ გზითვე უნდა აღირიცხოს ადგილ-მამულისგან მიღებული შემოსავლები“ (ყიფიანი 2020: 90; საკითხის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ყიფიანი 2020: 90-92).

<sup>2</sup> (გვ. 149) **„ლაილაშელ ვაჭრებს, ალექსი და ივანე ჯანუაშვილებს, მათთვის ჩამორთმეული მიწა – წყვილი ხარით სახნავი ოთხი დღიური“** – დაცულია (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №398. ფ. 1) ალექსი და ივანე ჯანუაშვილების წერილობითი **თხოვნა** დიმ. ყიფიანისადმი:

„მის აღმატებულებას,  
უფალს დეისტვიტელნის შტანცსკის სოვეტნიკს და კავალერს  
**დიმიტრი იოვანეს ძეს ყიფიანს**

მენგრელიის სამთავრო ლაილაშის ქალაქში მცხოვრებ ვაჭრის  
**ალექსი და ივანე ჯანუაშვილისაგან**

თ ხ ო ვ ნ ა

ჩვენ გვქონდა ამავე ლაილაშის სასახლის მახლობლად სამამო ადგილი მდებარე, რომელიც გვქონდა ჩვენ და ჩვენს მამას, ვიდრე ორმეოცი წელი, რომელ ვსარგებლობდით მისგან, ვარჩენდით წვრილს ოჯახს ჩვენსას. – რაკი სასახლის მახლობლათ იყო, ჩამოგვართვა მთავარმა (დავით დადიანი იგულისხმება – თ. ჯ.) და ესთხოვეთ მთავარსა და გვაძლევდა მთავარი ჩვენს ადგილს ანუ სამაგიეროს, მაგრამ მოხელე კაცებმა გვიმტრეს, რა სამსახური ვერ შევძელით მის გამო, და არ დაგვანებეს მოხელეებმა, რომელ

ვართ მას გამო მოკლებული ჩვენის საკუთრებისაგან. მთავარიც გარდიცვალა და ჩვენ დავრჩით უკმაყოფილოთ და ჩვენ ამისათვის ვსთხოვთ მორჩილათ თქვენს აღმატებულებას, რომ მოკითხოთ ნაცვალს ბეჟანა ახვლედიანს და ყოველივეს ჩვენი სიმართლე და უკეთუ თხოვნა ჩვენი სიმართლე იყოს, ნამდვილ ჩვენი იყოს, ნუ მოვაკლდებით ჩვენს საკუთრებას, გვებოდოს განსამართლებლად თქვენდა, ხელმწიფო ჩვენო.

**ივანე მერაბას ძე ჯანუაშვილი,  
ალექსი ჯანუოვი**

ჩენზ [1857]-ს წელსა,

ღვინობის თვის [ოქტომბრის] კე [25]-ს დღესა“.

საბუთს დართული აქვს დიმ. ყიფიანის მინანერი (რუსულ ენაზე): „ლაილაშელი ვაჭრები ალექსი და ივანე ჯანუაშვილები ითხოვენ, დაუბრუნონ მიწის ნაკვეთი, რომელიც ჩამოართვეს მთავრის სახლთან, ეზოს მოსამრგვალებლად. – აღსრულებულია [1857 წლის] 25 ოქტომბერს (№9)“.

<sup>3</sup> (გვ. 149) **„ლაილაშელი ვაჭრები თავისუფალ სამთავრო მიწებზე არსებული საძოვრებისა და ტყის ხარჯზე გლეხთა თანასწორად უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი“** – დაცულია (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №397. ფ. 1) ლაილაშში მცხოვრებ სომეხთა და ებრაელთა თხოვნა დიმ. ყიფიანისადმი:

„მის აღმატებულებას,  
უფალს დეისტიტიელნის შტანცსკის სოვეტნიკს და კავალერს  
**დიმიტრი იოვანეს ძეს ყიფიანს**

ლაილაშის ქალაქსა შინა მცხოვრების ერთობ  
ქრისტიანთა სომეხთა და ებრაელთაგან

თ ხ ო ვ ნ ა



ჩვენ ვართ სხვა და სხვა ქვეყნებისაგან მოსული და მონდობილი მთავრის და მოსვლის დროიდან გვქონდა ჩვენ მოუშლელად ტყე, მინდორი და წყალი როგორათაც მთავრისაგან, ეგრეთვე ყოველის კაცისაგან. რაი დავესახლეთ ჩვენ აქ ლაილაშს და შეგვრიცხა მთავრებთან მოქალაქის წეს[ს]ა და კანონში და კიდევაც ესრედ ვცხოვრობდით მთავრების დროს და რაი შეიტყვეს გარდასვლა მთავრისა (იგულისხმება სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის გარდაცვალება 1853 წ. – თ. ჯ.), მცხოვრებთან სოფლისაგან შეიტანეს ქალაღი ახლად დადგინებულის უმაღლესისა მთავრობისა უფალს პრისთავს ბერიძის წინაშე, რომ ჩვენ, მცხოვრების ქალაქისა, არცა პირუტყვი და არცა ოთხფეხი არცა ტყესა და არცა მინდორს და წყალს არ შეეხოთ და ესრეთ უნდა დაგვამწყესიონ და ამოგვწყვიტონ, რომ არც ზროხა და არცა ცხენი ვიყოლიოთ და არცა ცეცხლის ასაგზნები და პურის გამოსაცხოზი შეშა არ მოვატანიოთ. რით უნდა ვიცხოვროთ, რომ მცხოვრებთან სოფლისმან ტყე და მინდორი თვითს საკუთრებაშიდ შეიტანეს და ჩვენ დღეს ესრეთ გვარჩობენ. – და უკეთუ მაგათი იყოს მოხსენებული ტყე და მინდორი, რასათვის მთავრების დროს არ გვიჩიოდენ, მაგრამ ცხარედ მძლავრობით გვაიძულებენ. ხელმწიფეო ჩვენო, ჩვენ გთხოვთ მორჩილად, რომ თუმცა მაგათ ნაყიდობის ქალაღი ექმნებათ და ანუ მთავრებისგან ნაბოძარის წერილი, მაშინ ჩვენ არ შევეხებით, თორემ სამთავრო ყოფილი და როგორათაც დღემდის გვქონია უზომავი, ეგრეთვე უნდა გვექნეს ჩვენც მოუბლელად (ასეა დედანში – თ. ჯ.) და თუ დავრჩობით უსამართლობით მათგან და ჩვენ გთხოვთ, ვითარცა მთავარსა და მართებლობისა, იმ სახეზედ რომ ქმნათ ამა ჩვენს თხოვნაზედ კანონიერი განკარგულება და აღარ ვჩიოდეთ უმაღლესს ადგილზედ განსაძლიერებლად თქვენდა, ხელმწიფეო ჩვენო.

ჩვენ [1857] წელსა, კე [25]-ს ოგდომბერს“.

თხოვნას ხელს აწერს ლაილაშის 47 მცხოვრები: სეფიაშვილები, მეგრელისშვილები, ონანიშვილები, ბათიაშვილები, დანიელაშვილები, ბინიაშვილები, მოძღვრისშვილები, მარდახიასშვილები, ბებერაშვილები, ჯანუაშვილები, კაჭკაჭიშვილები, მირონოვები. თხოვნის ტექსტს დართული აქვს დიმ. ყიფიანის მინაწერი (რუსულ ენაზე): „ლაილაშელი ვაჭრების თხოვნა, სხვა მცხოვრებთა თანასწორად ისარგებლონ ტყითა და საძოვრებით, აღსრულებულია ნაცვალისადმი 25 ოქტომბრის (№9) მიწერილობის საფუძველზე“.

## 65. ნინო და ეკატერინე დადიშქელიანებისადმი

(გვ. 149)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №400. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1857 წ. 31 ოქტომბერი. სოფ. მური]. ხელმოუწერელი.

ტექსტი მიწერილია ალ. ბარიატინსკისთვის გაგზავნილი წერილის (იხ. აქვე, წერილი №67) ბოლოში. ადრესატების, ნინო და ეკატერინე დადიშქელიანების, მითითების შემდეგ ფრჩხილებში წერია: „На грузинском языке“ („ქართულ ენაზე“). წერილის ქართული დედანი საბუთებში არ ჩანს.

წერილი თარიღდება (1857 წ. 31 ოქტომბერი) დიმ. ყიფიანის მიერ დავით (დათა, დათიკა) ჩიქოვანისადმი მიწერილი მომდევნო წერილის მონაცემის საფუძველზე: „დღეს თავად ჯამსუყის ქვრივმა და თავად თენგიზ დადიშქელიანის მეუღლემ გადმომცეს თხოვნა...“ ჯამსუყ დადიშქელიანის ქვრივისა და თენგიზ დადიშქელიანის მეუღლის მიერ დიმ. ყიფიანისთვის მურში გადაცემული *თხოვნა* კი 1857 წ. 31 ოქტომბრით თარიღდება (იხ. ყიფიანი 2020: 369).

<sup>1</sup> (გვ. 149) „თავადის ასულებს – დადიშქელიანებს“ – იგულისხმებიან სვანეთიდან გადახვენილი და ლეჩხუმში, დადიანების სასახლეში, თავშეფარებული *თენგიზ ჯამსუყის ძე დადიშქელიანის* დედა (ჯამსუყის ქვრივი) *ნინო ჩიქოვან-დადიშქელიანი* და თენგიზის მეუღლე *ეკატერინე ანჩაბაძე-დადიშქელიანი* (ე. ანჩაბაძე-დადიშქელიანის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 369-372).

<sup>2</sup> (გვ. 149) „თქვენს მდგომარეობას...“ – დადიშქელიანთა ოჯახის *მდგომარეობისა* და, საერთოდ, წინამდებარე წერილთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. აქვე, დიმ. ყიფიანის წერილი ალ. ბარიატინსკისადმი (№67), აგრეთვე, მასზე დართული შენიშვნები და კომენტარები.

<sup>3</sup> (გვ. 149) „ჩემდამი გადმოცემულ თხოვნაშია აღწერილი“ – დიმ. ყიფიანისთვის დადიშქელიანების მიერ გადაცემული *თხოვნა* („ჯამსუყ დადიშქელიანის მქვრივ ობოლთაგან უმდაბლესი ვ ე დ რ ე ბ ა“) იხ. ყიფიანი 2020: 369.

<sup>4</sup> (გვ. 149) „დაუყოვნებლივ ვაცნობებ ბატონ კავკასიის მეფისნაცვალს“ – იხ. აქვე, წერილი №67.

<sup>5</sup> (გვ. 149) „სახლთუხუცესს, თავად ჩიქოვანს, ვწერ...“ – იხ. წერილი №66.

<sup>6</sup> (გვ. 149) „სამეგრელოს დედოფალს...“ – იგულისხმება *ეკატერინე დადიანი*.

## 66. დავით (დათიკა) სალიკის ძე ჩიქოვანისადმი

(გვ. 150)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №400. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1857 წ. ოქტომბერი. სოფ. მური]. ხელმოუწერელი.

ტექსტი მიწერილია ალ. ბარიატინსკისთვის გაგზავნილი წერილის (№67) ბოლოში. ადრესატის, *დათიკა ჩიქოვანის*, მი-

თითების შემდეგ ფრჩხილებში წერია: „На грузинском языке“ („ქართულ ენაზე“). წერილის ქართული დედანი საბუთებში არ ჩანს.

წერილი თარიღდება (1857 წ. 31 ოქტომბერი. მური) ალ. ბარიატინსკისადმი ზემოაღნიშნული წერილის, აგრეთვე, წინამდებარე ტექსტშივე მოცემული მონაცემის მიხედვით: „დღეს თავად ჯამსუყის ქვრივმა და თავად თენგიზ დადიშქელიანის მეუღლემ გადმომცეს თხოვნა...“ ჯამსუყ დადიშქელიანის ქვრივისა (ნინო ჩიქოვან-დადიშქელიანის) და თენგიზ დადიშქელიანის მეუღლის (ეკატერინე ანჩაბაძე-დადიშქელიანის) მიერ დიმ. ყიფიანისთვის მურში გადაცემული *თხოვნა* კი 1857 წ. 31 ოქტომბრით თარიღდება (იხ. ყიფიანი 2020: 369).

<sup>1</sup> (გვ. 150) **„დარჩენილნი არიან არსებობისთვის აუცილებელი სარჩოს გარეშე“** – ამ საკითხსა და ზოგადად ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესის, *დავით (დათა, დათიკა) სალიკის ძე ჩიქოვანისადმი* დიმ. ყიფიანის მიერ მიწერილ წინამდებარე წერილთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ იხ. წერილი ალ. ბარიატინსკისადმი (№67), აგრეთვე, მასზე დართული შენიშვნები და კომენტარები.

<sup>2</sup> (გვ. 150) **„დახმარება იქნება სესხად გაცემული“** – ალ. ბარიატინსკისთვის გაგზავნილ წერილში (№67) დიმ. ყიფიანი აღნიშნავს, დადიშქელიანების დასახმარებლად განუული ხარჯი *დაუბრუნებელი* (безвозвратный) უნდა იყოსო, აქ კი წერს, რომ დახმარება *სესხად გაიცემაო* (...будет заимообразен). ეს სესხად გაცემული დახმარება, როგორც ამ წერილიდანვე ირკვევა, დადიანების ოჯახისთვის დადიშქელიანებს კი არ უნდა გადაეხადათ, არამედ ანგარიში უნდა წარდგენოდა „მთავრის ადგილ-მამულის სამეურვეო მმართველობას“, რომლის დაარსებაც იყო განზრახული.

<sup>3</sup> (გვ. 150) **„მოვახსენებ მეფისნაცვალს“** – იხ. მომდევნო (№67) წერილი მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისადმი.

## 67. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი (გვ. 150-152)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №400. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1857 წ. 31 ოქტომბერი. მური. ხელმოწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „Наместнику“ („მეფისნაცვალს“).

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 393-394.

<sup>1</sup> (გვ. 150) **„სადადიანო სვანეთიდან უკან მობრუნებულმა ლეჩხუმში, სოფ. მურში...“** – თუ რატომ იმყოფებოდა დიმ. ყიფიანი სადადიანო სვანეთსა და ლეჩხუმში, ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 401-402.

<sup>2</sup> (გვ. 151) **„აქ, სამეგრელოს მთავრის სასახლეში, ცხოვრობს“** – დადიანების მურის სასახლე 1865 წ. 4 მარტს დაიწვა [იხ. დიმ. ყიფიანის 1865 წ. 3 მაისის წერილი ეკატერინე დადიანისადმი (ზსიამ. ლ. ა. 1844)].

<sup>3</sup> (გვ. 151) **„სვანეთში დაბრუნება, მით უმეტეს, ახლანდელ ვითარებაში მათ არ შეუძლიათ“** – *ახლანდელი ვითარება*: იგულისხმება ზემო სვანეთის არეული მდგომარეობა კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანის მიერ ალ. გაგარინის მკვლელობის გამო (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2020: 363-365).

<sup>4</sup> (გვ. 151) **„ჯამსუყის ქვრივმა და თავად თენგიზის მეუღლემ მომმართეს თხოვნით – ვიხსნა ისინი შიმშილისგან“** – *ჯამსუყის ქვრივისა* (ნინო ჩიქოვან-დადიშქელიანი) და *თენგიზის მეუღლის* (ეკატერინე ანჩაბაძე-დადიშქელიანი) თხოვნა-ვედრების წერილი დიმ. ყიფიანისადმი იხ. ყიფიანი 2020: 369).

<sup>5</sup> (გვ. 151) **„დადიანების სახლთუხუცესისთვის, რომელიც თან მახლავს“** – იგულისხმება *დავით (დათიკა) სალიკის ძე ჩიქოვანი* (იხ. აქვე, წერილი №66).

<sup>6</sup> (გვ. 151) **„ეკატერინე ალექსანდრეს ასულის მიერ...“** – იგულისხმება *ეკატერინე დადიანი*.

<sup>7</sup> (გვ. 151) **„ვინაიდან გაღებული ხარჯი უნდა იყოს დაუბრუნებელი“** – *გაღებული ხარჯის დაუბრუნებლობის შესახებ* იხ. აქვე, გვ. 419.

<sup>8</sup> (გვ. 152) **„გასცეთ შესაბამისი განკარგულება დადიშქელიანების ოჯახისთვის დახმარების განვევის თაობაზე“** – დაცულია კავკასიის სამხედრო შტაბის ობერკვარტირმეისტერის 1857 წ. 16 ნოემბრის მიმართვა დიმ. ყიფიანისადმი იმის შესახებ, რომ თენგიზ ჯამსუყის ძე დადიშქელიანს დაენიშნათ თვეში 250 მანეთი [ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №403. ფ. 2; საბუთზე დიმ. ყიფიანის მინაწერია (რუსულ ენაზე): „ამის შესახებ 13 დეკემბერს (№22) ვაცნობე სახლთუხუცესს, თავად დავით ჩიქოვანს“].

## **ნმ. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი** (გვ. 152-153)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №401. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1857 წ. 31 ოქტომბერი. მური. ხელმოწერული.

საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 413. ლეჩხუმის სოფ. ორბელში გლეხებისთვის მიწების ჩამორთმევის შესახებ დიმ. ყიფიანი თავის 1857-1858 წწ. დღიურშიც წერს (ყიფიანი 2020: 102).

წერილის ადრესატი **დავით ოტიას ძე ჩიქოვანი (ჩიქოვანი)** იყო სამეგრელოს მთავარ ნიკოლოზ (ნიკო) დადიანისა და სამთავრო ოჯახის სახლთუხუცესი.

საქმეში დევს სოფ. ორბელის ნაცვალ ტატი ჩიქოვანის 1857 წ. 2 ნოემბრის მოხსენება *დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი*:

თქვენი მწერლის, მანუჩარ ჩიქოვანის, თანდასწრებით ციფნ-ყაროს შესახებ „გენერალ ყიფიანის“ განკარგულება აღვასრულე, ხოლო „საკავიისა და მოცენაშის ადგილები... შთება ჯერ ჩაუბარებლად და ან განიხილეთ საქმე ესე და თუ მიბრძანებთ, სიჩქარით აღვასრულებ“.

იქვეა დავით ჩიქოვანის მიერ 1857 წლის 2 ნოემბერს დიმი ყიფიანისათვის სოფ. ქულბაქიდან გაგზავნილი მოხსენება: თქვენი განკარგულება საკავიისა და მოცენაშის ორბელელ „ყმებთათვის“ დაბრუნების შესახებ „მოყვანილი არს სისრულეში“, ხოლო განკარგულებას კვინტაძისა და გვიშიანისთვის ციფნყაროს დაბრუნების შესახებ ფორმალური მხარეების მოგვარების შემდეგ აღვასრულებო.

<sup>1</sup> (გვ. 152) „რამდენადაც გლახები ხელოსანთა...“ – ხელოსანი: „გარკვეული თანამდებობის მქონე პირი (მებატონესთან ან სოფლად)“ (ქეგლ 1964: 1406). დიმი ყიფიანი ხელოსნებს უწოდებს *ათისთავებს* (ДЕСЯТСКИЕ), „რომლებიც თანამემწეობას უწევენ მამასახლისებს“ (აქვე, გვ. 254).

## 69. სიკო ჩიქოვანისადმი

(გვ. 153-154)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმი ყიფიანის არქ., საქ. №384. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1857 წ. 4 ნოემბერი. გორდი. ხელმოუწერელი.

---

\* დიმი ყიფიანს მინიჭებული ჰქონდა ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის (ДЕЙСТВИТЕЛЬНЫЙ СТАТСКИЙ СОВЕТНИК) ჩინი, რომელიც რუსეთის იმპერიის რანგთა ტაბელის მიხედვით, შეესაბამებოდა გენერალ-მაიორის სამხედრო და კონტრადმირალის საზღვაო ხარისხებს. ამიტომაც მაღალი სამოქალაქო ჩინის მქონე პირებს ზოგჯერ „სამოქალაქო გენერლებსაც“ უწოდებდნენ.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „მისს ბრწყინვალეობას, უფალს პორუჩიკს, კნიაზს სიკო ჩიქოანს“. იქვეა (ფ. 1v) დიმ. ყიფიანის მინაწერი სხვა პირთა დაჯილდოების შესახებ: ა) „ნ ნოემბერს – პრაპორშჩიკს, კნიაზს ფარნაოზ გიორგის ძეს გელოვანს, მენგრელიის მმართველისაგან (იგულისხმება გენერალი ნიკ. კოლიუბაკინი – თ. ჯ.) დანიშნულს. ოქროს საათი; 12 დეკემბერს, ორპირს – დედოფლის სახლთუხუცესს, პრაპორშჩიკს, კნიაზს დათა სალიკის ძეს ჩიქოანს. ოქროს კოლოფი“; და ბ) მიმართვა დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი (ფ. 2r) მინაწერით შემკობილი ოქროს კოლოფით მისი დაჯილდოების შესახებ (იხ. აქვე, წერილი №73). საქმეში დევს აგრეთვე კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორის, ა. კრუზენშტერნის, მიმართვა დიმ. ყიფიანისადმი, რომლის მიხედვითაც, ალ. ბარიატინსკის ბრძანებით, დიმ. ყიფიანისთვის სამეგრელოს სამთავროში მოხელეთა დასაჯილდოებლად ოქროთი და ვერცხლით ნაკეთი ნივთები გადაუციათ.

წერილის ადრესატი *სიკო მიქელის ძე ჩიქოვანი (ჩიქოანი)*, როგორც ეკატერინე დადიანის წარმომადგენელი, დიმ. ყიფიანს ახლდა სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულისა და ქონების ინვენტარიზაციის დროს (ყიფიანი 2020: 85, 87, 90, 362).

<sup>1</sup> (გვ. 153) **„სადადიანოს სვანეთში და ლეჩხუმში რომ ვმსვლელობდი ... მონდობილისა ჩემდა საქმისა“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 401-402.

<sup>2</sup> (გვ. 153) **„მენგრელიის მთავრინასაგან...“** – იგულისხმება ეკატერინე დადიანი.

<sup>3</sup> (გვ. 153) **„ყოვლისა მის შრომისა და სასჯელისათვის“** – *სასჯელი* (ასეა დედანში!): გარკვეულ კონტექსტში იგივეა, რაც *სარჯელი* [„სარჯელი: შრომა, გარჯა ან სატანჯველი“ (ჩუბინაშვილი 1984: 1112); „სარჯელი: საქმის მიჭირვება“ (ორბელიანი 1966: 55)].



<sup>4</sup>(გვ. 153) „მრჩობლ“ – „მრჩობლი: ორნილი, ორკეცი“ (ჩუბი-ნაშვილი 1961: 299); „მრჩობლი: ორი, გინა ორკეცი“ (ორბელიანი 1965: 524). აქ: *მრავალე ზის*.

<sup>5</sup>(გვ. 153) „კავკასიის ნამესტნიკის...“ – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

## 70. ალექსანდრე ნიკოლაისადმი

(გვ. 154-157)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №765. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** [1857 წ. ნოემბერი]. ხელმოუწერელი.

ტექსტის დათარიღებისთვის (1857 წ. ნოემბერი) ვიყენებთ თვითონ წერილის მონაცემს: „...ლეჩხუმიდან ბარის სამეგრელოში ჩამოსვლის მეორე დღეს, კერძოდ, ა. თ. 12-ში, თქვენი 4 რიცხვის წერილი მიმეღო“. დიმ. ყიფიანი *ლეჩხუმიდან ბარის სამეგრელოში* 1857 წ. *ნოემბრის* პირველ ნახევარში ჩამოვიდა [10 ნოემბერს გორდშია, 11 ნოემბერს კი სოფ. ხუნწის მოსახლეობას ხვდება (ყიფიანი 2020: 106)]. უნდა ვიფიქროთ, დიმ. ყიფიანი ალ. ნიკოლაის პასუხს მომდევნო დღეებში (ნოემბერშივე) მისწერდა.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 365-368.

<sup>1</sup>(გვ. 154) „ლეჩხუმიდან ბარის სამეგრელოში ჩამოსვლის მეორე დღეს...“ – ლეჩხუმსა და სამეგრელოში (აგრეთვე, სადადიანო სვანეთში) დიმ. ყიფიანის ყოფნის მიზეზსა და მიზანზე იხ. აქვე, გვ. 401-402.

<sup>2</sup>(გვ. 154) „დავით ალექსანდრეს ძესთან“ – იგულისხმება ძმა ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ას. დადიანისა, *დავით ჭავჭავაძე*, რომელიც წინამდებარე წერილის ადრესატ ალ. ნიკო-

ლაისტან ერთად იყო სამეგრელოს სამთავრო ოჯახის საკუთრების მეურვე (ალ. ნიკოლაი იყო ეკატერინე და დავით ჭავჭავაძეების სიძე – მეუღლე სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა). დიმ. ყიფიანი თავის თხზულებაში „სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი“ წერს: „1857-ში მთავრინა ეკატერინე [ალექსანდრეს ას.] პეტერბურღს მიბძანდებოდა თავისის შვილებითურთ და საფიქრებელი იყო, რომ იქ დიდ-ხანს დაჰყოფდნენ... აპეკუნად დანიშნა მთავრინამ სიძე თავისი და ძმა; და იმათთან მეც დამასახელა. მე ამაზე გადანყვეტილი უარი მოვახსენე მამინვე და მიზეზები პირველს იმათგანს დანვრილებით ვაცნობე. ორს წელიწადს უკან ისინიც გადადგნენ“ (ყიფიანი 2020: 12-13).

<sup>3</sup> (გვ. 154) **„ცხენისწყლისპირიდან...“** – ცხენისწყლისპირი (Усть-Цхенисцкали), ჩვენი ვარაუდით, მდებარეობდა საჭილაოს სოფელ ქვიშანჭალის (ყოფილი ორპირი, ამჟამად სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტში) მახლობლად (ყიფიანი 2020: 378).

<sup>4</sup> (გვ. 154) **„ეკატერინე ალექსანდრეს ასულს პირადად ვესაუბრე ... მისი თხოვნა მაყენებდა“** – ეკატერინე დადიანთან ამ საუბრის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 84-85.

<sup>5</sup> (გვ. 155) **„იმ ოჯახში მე ღვიძლ ადამიანად ვიყავი მიღებული“** – დიმ. ყიფიანის შვილის, ნიკოლოზ ყიფიანის, თქმით, „ალექსანდრე ჭავჭავაძე... დიდი მეგობარი იყო დიმიტრი ყიფიანისა, რომელიც იმის სახლში იყო მიღებული, როგორც ძმა“ (ყიფიანი 1894: 96; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 17). ალ. ჭავჭავაძე და დიმ. ყიფიანი ერთად მონაწილეობდნენ 1832 წლის შეთქმულებაში, 1840-იან წწ. ალ. ჭავჭავაძე იყო დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წევრი (ჯოლოგუა 2022: 59). დიმ. ყიფიანს ეკუთვნის გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული ნეკროლოგის ტიპის წერილი ალ. ჭავჭავაძის შესახებ (ყიფიანი 2017: 131-134). ალ. ჭავჭავაძის მეუღლემ, სალომე ორბელიან-ჭავჭავაძემ, სწორედ დიმ. ყიფიანს, როგორც ოჯახის ახლო მეგობარს, სთხოვა ტრაგიკულად დაღუპული პოეტის არქივის დამუშავება (აქვე, გვ. 32-33) და სხვ.

<sup>6</sup> (გვ. 155) **„ამჟამად ჩემზე დაკისრებულ დავალებას დავასრულებ“** – იგულისხმება სამეგრელოს სამთავრო ოჯახის საკუთრების ინვენტარიზაცია (იხ. აქვე, კომენტ. 1).

<sup>7</sup> (გვ. 157) **„თავადი ლორთქიფანიძე“** – *ირაკლი იოსების ძე ლორთქიფანიძე*, რომელიც ამ დროს არის სამეგრელოს სამთავრო ოჯახის მამულებისა და ქონების მოურავი (მმართველი). 1859 წ. ივნისში იგი დიმიტრი იფიანმა ამ თანამდებობიდან დაითხოვა (ი. ლორთქიფანიძის შესახებ იხ. აქვე, ეკატერინე დადიანისადმი დიმიტრი იფიანის 1859 წ. 13 აპრილისა და 25 ივნისის წერილები №№92, 97), თუმცა მოგვიანებით ი. ლორთქიფანიძე დააბრუნეს თავის თანამდებობაზე. 1863 წ. 25 ნოემბერს დიმიტრი იფიანი პარიზში სწერს ეკატერინე დადიანს: „დღევანდელი ჩემი წიგნის საგანი ეს გახლავს, რომ ირაკლი ლორთქიფანიძე რადგან თქვენთანვე ირიცხება და ამითი სამსახურის წარმატება აკლია, გთხოვს, თუ შეიძლებოდა, ისეთი რამე ქალაქი გამოუგზავნოთ აქაურს მთავრობას, რომ თქვენთანვე ირიცხებოდა, მაგრამ სამსახურიც არ ეკარგებოდა. ამ ქალაქის შავი ამასთანავე მომირთმევი“ (ზსიამ, ლ. ა. 1822).

იქვეა (ზსიამ, ლ. ა. 1822) ეკატერინე დადიანის მიერ პარიზიდან გამოგზავნილი წერილი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, დიმიტრი მირსკისადმი:

„ბ-ნ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს

მონყალეო ხელმწიფეო,

თავადო დიმიტრი ივანეს ძე,

ხელმწიფე იმპერატორის 1854 წლის თებერვლის უმაღლესი განკარგულებით ჩემთან ჩემივე დავალებების შესასრულებლად მსახურობს როტმისტრი, თავადი ლორთქიფანიძე, რომელიც კავკასიაში მოსამსახურე ოფიცრების უფლებებითა და პრივილეგიებით საარმიო კავალერიაში ირიცხება. – 1857 წელს, სამე-

გრელოს სამთავრო ოჯახის ს.-პეტერბურგში მინგვეის შემდეგ, უმაღლესი განკარგულებით ლორთქიფანიძე დატოვებულ იქნა სამეგრელოს მცირეწლოვანი მთავრის ადგილ-მამულის მმართველად და დღემდე ამ თანამდებობაზე იმყოფება, თუმცა სამხედრო სამსახურში დარჩენილია უშუალო უფროსის გარეშე და მოკლებულია იმ უპირატესობებსა და წახალისებებს, რომლებითაც ყველა მოსამსახურე სარგებლობს.

მე კმაყოფილი ვარ თავად ლორთქიფანიძის ათწლიანი შრომითა და შესანიშნავი სამსახურით. ეს კი მავალდებულებს, უმორჩილესად გთხოვოთ შუამდგომლობა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის, დიდი მთავრის, კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე, რათა თავადი ლორთქიფანიძე ჩარიცხულ იქნეს კავკასიის არმიის რომელიმე პოლკში და, ამასთანავე, დატოვოთ ჩემს სამსახურში. ჩემ მიერ მიცემული დავალებები იმ სახისაა, რომ ისინი თავად ლორთქიფანიძეს ხელს არ შეუშლის იმავდროულად სამსახურებრივი საქმეებიც შეასრულოს. ვინაიდან მას საამისოდ საკმარისი ცოდნაც აქვს და – შესანიშნავი მონაცემებიც, დარწმუნებული ვარ, თქვენს უშუალო განკარგულებაში ყოფნისას თავადი ლორთქიფანიძე კარგად გაართმევს თავს იმ დავალებებსაც, რომლებსაც თქვენ დააკისრებთ.

ჭემპარიტი პატივისცემით...

დეკემბერი 1863.

პარიზი“.

<sup>8</sup> (გვ. 157) **„მთავრის მეუღლის გამგზავრების შემდეგ“** – ეკატერინე დადიანი სამეგრელოდან (ფოთიდან) პეტერბურგში 1857 წ. 25 ოქტომბერს გაემგზავრა (იხ. აქვე, გვ. 409).

<sup>9</sup> (გვ. 157) **„გაუგზავნოთ მის უგანათლებულესობას ... თანდართული წერილი“** – თანდართული წერილი საქმეში არ არის.

<sup>10</sup> (გვ. 157) **„არ შემიძლია, მივიღო მეურვის ნოდება“** – მიუხედავად თავდაპირველი უარისა, დიმი. ყიფიანს მაინც მოუწია

სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულისა და ქონების მეურვეობა (იხ. აქვე, გვ. 408-409).

## 71. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი (გვ. 157-160)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №405. უცნობი ხელით ნაწერი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1857 წ. 6 დეკემბერი. თეკლათი. **ხელმოწერა:** Член Совета главного управления Закавказского края, действительный статский советник Кипиани.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 404-406.

<sup>1</sup> (გვ. 157) „**კოლიუბაკინ II-ს**“ – ნიკ. კოლიუბაკინს II-ს (ზოგჯერ – 2-ს) იმიტომ უწოდებდნენ, რომ მისივე ძმისგან, გენერალ მიხეილ კოლიუბაკინისგან (კოლიუბაკინი I) განესხვავებინათ.

<sup>2</sup> (გვ. 157) „**სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების აღწერისას, რომელიც მე მაქვს დაკისრებული, ნაფიცმა პირებმა...**“ – ა) დიმ. ყიფიანისთვის დაკისრებული საქმის შესახებ იხ. აქვე, გვ. 401-402; ბ) ნაფიცი პირების შესახებ იხ. აქვე, გვ. 414.

<sup>3</sup> (გვ. 158) „**დავობენ ზოგიერთი ადგილიდან მეთაუდის აკრეფის თაობაზე (ანუ ე. წ. მოდის გადახდევინებაზე)**“ – მეთაუდი (დედანში – ДЕСЯТИНА), იგივე **მოდი** (გადასახადის ფორმა). ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, „**Десятина:** „ათზედ ერთი ასალები რაისაცა“ (ჩუბინაშვილი 1971: 248).

<sup>4</sup> (გვ. 158) „**სიჭინავეები**“ – სოფ. ლესიჭინეს მკვიდრი სიჭინავეების პატიოსნებასა და მართლმორწმუნეობას დიმ. ყიფიანი საგანგებოდ აღნიშნავს თავის 1857-1858 წწ. დღიურში (ყიფიანი 2020: 107).

<sup>5</sup> (გვ. 159) „**დავაა ხოპის მონასტრის მხრიდან**“ – ხოპი იგ-  
ივია, რაც **ხოპი** (ძველ წყაროებსა და ლიტერატურაში: მდინ-  
არე ხოპი/ხოფი, ხოპის/ხოფის მონასტერი და სხვ.).

## 72. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი (გვ. 160-161)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №406. ავტოგრა-  
ფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1857 წ. 9 დეკემბერი.  
სენაკი. ხელმოწერელი.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 404-406.

<sup>1</sup> (გვ. 160) „**თეკლათელმა ნაფიცმა პირებმა...**“ – ა) რა მიზნით  
იმყოფებოდა დიმ. ყიფიანი თეკლათსა და აქ ჩამოთვლილ სხვა  
პუნქტებში, იხ. აქვე, გვ. 401-402; ბ) *ნაფიცი პირების* შესახებ  
იხ. აქვე, გვ. 414.

<sup>2</sup> (გვ. 160) „**დავა აქეთ ... ქორაქიძეებს**“ – სადავო საკითხებზე  
ჭალადიდელ ქორაქიძეებთან (კერძოდ, მანუჩარ ქორაქიძესთან)  
მწვავე საუბრის შესახებ დიმ. ყიფიანი თავის 1857-1858 წწ.  
დღიურშიც წერს (ყიფიანი 2020: 115-116).

<sup>3</sup> (გვ. 160) „**თავადის ასულ მენიკსა...**“ – იგულისხმება *მენიკ*  
(*მარიამ*) ნიკოლოზის ას. დადიანი, მეორე მეუღლე აფხაზეთის  
მთავარ მიხეილ (*ჰამუთ-ბეი*) შარვაშიძისა, ეკატერინე დადი-  
ანის ახლო მეგობარი. ცხოვრობდა სამეგრელოს სოფ. ქვაშიხ-  
ორში (მენიკ დადიანისა და მიხელ შარვაშიძის ურთიერთობის  
შესახებ იხ. ყიფიანი 2019: 68-69, 79-80, 108, 438).

## 73. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი (გვ. 161)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №384. ავტოგრა-

ფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1857 წ. 13 დეკემბერი. ორპირი. ხელმოუწერელი.

წერილს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „მენგრელი-ის მთავრის სახლთუხუცესს, პრაპორშჩიკს, კნიაზს დავით ჩიქოანს“.

საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 423.

<sup>1</sup> (გვ. 161) „**უხვად მავასხეთ...**“ – ვასხი: ვალი (ვასხება: ვალის მიცემა). აქ: ვალად დამდეთ, დამეხმარეთ, შემწეობა აღმოგიჩინეთ, ხელი შემინყვეთ.

<sup>2</sup> (გვ. 161) „**მთავრობისაგან მონდობილსა ჩემდა საქმისა-სა...**“ – მთავრობისაგან მონდობილი საქმის შესახებ იხ. აქვე, გვ. 401-402.

<sup>3</sup> (გვ. 161) „**კავკასიის ნამესტნიკის...**“ – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

1858

#### 74. ვასილ ინსარსკისადმი

(გვ. 162-167)

**ხელწერილი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №734. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4. **თარიღი:** 1858 წ. 14 იანვარი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ინსარსკის“. შემოკლებული სახით გამოქვეყნებულია წინამდებარე გამოცემის V ტომში (ყიფიანი 2020: 380-384).

წერილის ადრესატია **ვასილ ანტონის ძე ინსარსკი** (1814-1882), საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник; 1878 წლი-

დან), კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1857-1862), ალ. ბარიატინსკისთან დაახლოებული პირი (კავკასიაში ჩამოსვლამდე ბარიატინსკის კურსკის მამულების მოურავი იყო), მემუარისტი (მისი მოგონებები იბეჭდებოდა ჟურნალებში: „რუსკაია სტარინა“ და „რუსკი არხივ“). 1862 წ. ვასილ ინსარსკიმ დატოვა კავკასია და დაბრუნდა რუსეთში (მოსკოვში, სადაც ფოსტის დირექტორი იყო 1866-1872 წწ.). გარდაიცვალა პეტერბურგში, დაკრძალულია იქვე, ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

ამბავი, რომელსაც წერილი ეხება, კერძოდ, იმერელი აზნაურის, ელისაბედ ელიავასა (სოფ. ლანირიდან) და მეგრელი თავადის, ალექსი დგებუაძის (სოფ. სალხინოდან) გახმაურებული სასიყვარულო ისტორია დაიწყო იმით, რომ 1857 წ. იანვარში დგებუაძემ ქალიშვილის მშობლებისგან ფარულად წაიყვანა ელისაბედ ელიავა და მასზე ჯვარი დაიწერა. ამას მოჰყვა ქალის მშობლების სასტიკი წინააღმდეგობა: ჩივილი, დგებუაძისთვის ქალის მოტაცებისა და მასზე ძალადობრივი ჯვრისწერის ცრუ ბრალდება, კანონის სახელით დგებუაძის დევნა, ხელისუფლების დახმარებით ქალის წართმევა, დგებუაძის მიერ ცოლის დაბრუნების მცდელობისას მისი დაჭრა, დაჭრილის აფხაზეთში გადახვეწა და სხვ. ამ ისტორიის საფუძველზე დიმ. ყიფიანს დაწერილი აქვს უსათაურო და დაუმთავრებელი პიესა, რომელიც ჩვენი დასათაურებით („ალექსი დგებუაძისა და ელისაბედ ელიავას სიყვარულის ამბავი“) გამოქვეყნდა (პიესა, აგრეთვე, საქმესთან დაკავშირებული გარემოებები იხ. ყიფიანი 2021: 237-278, 419-435). საბოლოოდ მთელი ეს ამბავი დიმ. ყიფიანის ძალისხმევით მხარეთა შერიგებით, ჯვრისწერის კანონიერების აღიარებითა და წყვილის შეერთებით დასრულდა (იხ. აქვე, კომენტ. 10).

<sup>1</sup> (გვ. 162) **„უაღრესად შრომატევადი საქმე დაგვიკისრათ“** – იგულისხმება ვ. ინსარსკის დანიშვნა მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის კანცელარიის დირექტორად.



<sup>2</sup>(გვ. 162) **„საკითხი იმ დავალებას არ ეხება“** – აქ ნახსენები დავალების შესახებ იხ. აქვე, გვ. 401-402.

<sup>3</sup>(გვ. 162) **„საქმეში აქ, სამეგრელოში, „ნაშოენი“ რევმატიზმი რომ არ ჩარეულიყო“** – სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდში „ნაშოენი“ რევმატიზმისა და მისგან გამონვეული გაუსადღისი ტკივილების შესახებ დიმ. ყიფიანი თავის 1857-1858 წწ. დღიურშიც წერს (ყიფიანი 2020: 117). უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგ რევმატიზმი დიმ. ყიფიანს სიცოცხლის ბოლომდე – სტავროპოლის გადასახლებაშიც – პერიოდულად მწვავედ შეახსენებდა ხოლმე თავს [იხ. მისი 1887 წ. 19 მარტისა (ყიფიანი 1995: 93) და იმავე წლის 3 აპრილის (ჩხეტია 1947: 474) წერილები ნინო ჭილაშვილ-ყიფიანისადმი].

<sup>4</sup>(გვ. 164) **„მივიღებთ ერთობ მენამულ სურათს“** – მენამულ ანუ **სისხლიან** სურათს (დედანი: „...картина довольно багровая“).

<sup>5</sup>(გვ. 164) **„იმ ცნობილი ანდაზის თანახმად, 7 უბედურებაზე რომ მოგვითხრობს“** – იგულისხმება რუსული ანდაზა: „Семь бед, один ответ“ (ითქმის ისეთ ადამიანზე, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი დანაშაული, თუმცა მორიგი დანაშაულის რისკზე მიდის).

<sup>6</sup>(გვ. 164) **„უდანაშაულო სისხლი საკმაოდ დაიდვარა ქუთაისში“** – იგულისხმება 1857 წ. ოქტომბერში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ ალ. გაგარინის, თარჯიმან თ. არდიშვილისა და ჩინოვნიკ ნიკ. ილინის მკვლელობა, აგრეთვე, მზარეულ მაქს. კლიროვის დაჭრა კონსტანტინე (მურზაყან) დადიშ-ქელიანის მიერ (ამ ფაქტის, მისდამი დიმ. ყიფიანის დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2020: 97, 99-102, 363-368).

<sup>7</sup>(გვ. 165) **„ალექსანდრე ივანეს ძის...“** – იგულისხმება ალ. ბარიატინსკი.

<sup>8</sup>(გვ. 165) **„საკითხის გადაჭრა არც გენერალ-გუბერნატორისა და არც გუბერნატორის უფლებამოსილებებში არ**

**შედის**“ – ა) *გენერალ-გუბერნატორი*: ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე კონსტანტინე დადიშქელიანის მიერ მოკლული ალ. გაგარინი გენერალმა გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავმა შეცვალა; ბ) *გუბერნატორი*: ქუთაისის [სამოქალაქო] გუბერნატორი ამ დროს იყო გენერალი ნიკოლოზ ივანოვი.

<sup>9</sup>(გვ. 165) **„როგორც საბჭოს აქ მყოფ წევრს...“** – დიმ. ყიფიანი ამ დროს მეფისნაცვლის საბჭოს წევრი იყო და, შესაბამისად, შედიოდა იმ მმართველობით ელიტაში, რომელიც კავკასიას მართავდა.

<sup>10</sup>(გვ. 166) **„დამჭირდება კარტ-ბლანში“** – დიმ. ყიფიანმა მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისგან მიიღო *კარტ-ბლანში* (იხ. აქვე, წერილი №79) და საქმე საბოლოოდ, როგორც ზემოთ ითქვა, დაპირისპირებულ მხარეთა შერიგებით დაასრულა (ყიფიანი 2020: 118; აგრეთვე, აქვე, წერილი ალ. ბარიატინსკისადმი №83).

<sup>11</sup>(გვ. 167) **„გთხოვთ სასწრაფო პასუხს და, ველოდები რა ამ პასუხს...“** – წერილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, შავია და, ერთი შეხედვით, დაუსრულებელის შთაბეჭდილებას ტოვებს. სინამდვილეში, ვფიქრობთ, ტექსტი დასრულებულია და მრავალწერტილის შემდეგ ეტიკეტით გათვალისწინებული სიტყვები უნდა ვიგულისხმოთ („გთხოვთ ერწმუნოთ თქვენდამი ჩემს ღრმა პატივისცემას...“ და სხვ.).

## 75. ვასილ ინსარსკისადმი

(გვ. 167-169)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №735. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი**: 1858 წ. 15 იანვარი. ქუთაისი. ხელმოუწერელი.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 430-431.

<sup>1</sup> (გვ. 167) **„კეთილი საქმეებისათვის ვრცელი წერილებით რომ აგიკვლით“** – დიმი. ყიფიანს მხედველობაში აქვს ვ. ინსარსკისადმი წინადლით (14 იანვარს) გაგზავნილი წერილი (იხ. აქვე, წერილი №74).

<sup>2</sup> (გვ. 168) **„ქუთაისში ცხოვრობს 75 წლის კნენა აბაშიძე – ღვიძლი და გურიის უკანასკნელი მთავრისა“** – *კნენა აბაშიძე*: ელისაბედ (ლისა) სიმონ III გურიელის ასული ივანე (იოანე) აბაშიძისა, გურიის უკანასკნელი მთავრის, მამია V გურიელის, და.

<sup>3</sup> (გვ. 168) **„ქვრივი პოლკოვნიკ ივანე აბაშიძისა, რომელსაც დამნაშავედ იქნა ცნობილი 1820 წლის არეულობაში“** – *ივანე (იოანე) ქაიხოსროს ძე აბაშიძე* ერთ-ერთი მეთაური იყო იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყებისა. იგი, როგორც შვილიშვილი სოლომონ პირველისა, აჯანყებულებმა 1820 წ. იმერეთის მეფედაც კი გამოაცხადეს, თუმცა მალევე, აჯანყების დამარცხების შემდეგ, იგი იძულებული გახდა, გადახვეწილიყო ახალციხეში, სადაც 1822 წ. დეკემბერში მოკლეს (ივანე აბაშიძისა და იმერეთის აჯანყებაში მისი როლის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ.: მახარაძე 1942: 84-87, 94-95, 103-104; ბერძნიშვილი 1980: 94-95; გოგოლაძე 1973: 933-936; გურული 2017: 370-381; შარაძე 2006: 81-85; დოკუმენტური მასალა იხ. აქტები 1874: 391-405, 536-601).

<sup>4</sup> (გვ. 168) **„ძლივძლივობით გამოზარდა ორი ვაჟიშვილი“** – ივანე (იოანე) აბაშიძისა და ელისაბედ გურიელ-აბაშიძის ვაჟიშვილებიდან ამ დროს ცოცხალნი არიან **გიორგი** და **სიმონ აბაშიძეები**, რომელთაგან ჩვენ ისლა ვიცით, რომ გიორგი ბავშვობაში „პეტერბურგის სამხედრო საობლო განყოფილებაში“ იზრდებოდა (პაპავა 1990: 241; იხ. აგრეთვე, შარაძე 2006: 95-96). სიმონი მითითებულია ხელისუფლების მიერ 1820 წ. შედგენილ სიაში (მახარაძე 1942: 165; გიორგი ამ სიაში გამოტოვებულია). ამ დროს ცოცხალია აგრეთვე **ეკატერინე ივანეს (იოანეს) ას. აბაშიძე**, მეუღლე **როსტომ როსტომის ძე წერ-**

ეთლისა და დედა აკაკი წერეთლისა (ეკატერინე აბაშიძე-წერეთლის შესახებ იხ.: წერეთელი 1958: 24-26; ასათიანი 1940: 40-46; შარაძე 2006: 81, 85, 100-102).

<sup>5</sup> (გვ. 168) **„იმერეთის დედოფლისგან...“** – იმერეთის უკანასკნელი დედოფალი (სოლომონ II-ის მეუღლე) **მარიამ კაცია II-ის ასული დადიანი** უნდა იგულისხმებოდეს.

<sup>6</sup> (გვ. 168) **„ბატონიშვილი ბებისგან...“** – ?

<sup>7</sup> (გვ. 169) **„იმ მამულის სანაცვლოდ, რომლის გამოხსნა ხაზინისაგან უკვე შეუძლებელია“** – იმერეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ ახალციხეში გაქცეული ივანე (იოანე) აბაშიძის მამულები ხაზინას გადაეცა (მახარაძე 1942: 165).

<sup>8</sup> (გვ. 169) **„დაეხმარეთ თუნდაც თვეში 50 მანეთით“** – ალ. ბარიატინსკიმ დიმ. ყიფიანის თხოვნა გაითვალისწინა და ელისაბედ (ლისა) აბაშიძეს დახმარების სახით თვეში 50 მან. დაუნიშნა (ყიფიანი 2020: 118).

<sup>9</sup> (გვ. 169) **„ალ. ივ.-ძის...“** – იგულისხმება მეფისნაცვალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

<sup>10</sup> (გვ. 169) **„ჩემს განკარგულებაში გადმოცემული საათებიდან ერთ-ერთი ვაჩუქე“** – დიმ. ყიფიანს საათები ალ. ბარიატინსკის ბრძანებით სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების ინვენტარიზაციაში მონაწილეობისთვის იქაური მოხელეების დასაჯილდოებლად ჰქონდა გადაცემული (იხ. აქვე, გვ. 423).

## 76. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი

(გვ. 170-171)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №409. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1858 წ. 15 იანვარი. ქუთაისი. ხელმოწერული.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 393-394.

<sup>1</sup> (გვ. 170) **„თქვენ მიერ დაკისრებული საქმის...“** – ალ. ბარ-იატინსკის მიერ დიმ. ყიფიანისთვის *დაკისრებული საქმის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 401-402.

<sup>2</sup> (გვ. 170) **„ჩილიაევისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ მოვლინებულ პირთა თანხლებით პირადად ვიმყოფებოდი სამეგრელოს მთავრის კუთვნილ ყველა სოფელში“** – მიხ. ჭილაშვილისა (ჩილიაევის) და სხვა პირების თანხლებით *სამეგრელოს მთავრის კუთვნილ სოფლებში* (სადადიანო სვანეთი, ლეჩხუმი, სამეგრელო) დიმ. ყიფიანის ყოფნისა და წერილში ჩამოთვლილი საქმეების შესახებ იხ. დიმ. ყიფიანის „დღიური 1857-1858 წლებისა“ (ყიფიანი 2020: 79-118).

<sup>3</sup> (გვ. 170) **„ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისთვის...“** – იგულისხმება გენერალი გიორგი რევაზის (*რომანის, რომანოზის*) ძე ერისთავი.

<sup>4</sup> (გვ. 171) **„ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის...“** – იგულისხმება 1857 წ. ოქტომბერში კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანის მიერ მოკლული ალ. გაგარინი (ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი).

<sup>5</sup> (გვ. 171) **„ჩემი ავადმყოფობის გამო ერთი თვით იყო შეფერხებული“** – დიმ. ყიფიანი ამ დროს რევმატიზმისგან იტანჯებოდა (იხ. აქვე, გვ. 432).

<sup>6</sup> (გვ. 171) **„ჩილიაევს ვაბრუნებ თავისი ამჟამინდელი თანამდებობრივი მოვალეობის შესასრულებლად“** – მიხ. ჭილაშვილი (ჩილიაევი) ამ დროს ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოლქის მმართველის (იპ. დიუკრუასის) მოადგილე იყო (იხ. შესაბამისი ნწ. „კავკაზსკი კალენდარ“).

## 77. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი

(გვ. 171-172)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №410. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1858 წ. 19 იანვარი. ქუთაისი. ხელმოუწერელი.

ტექსტს თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „ОТЗЫВ НА №873“ („პასუხი №873 [მომართვაზე]“).

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 404-406.

<sup>1</sup> (გვ. 172) „სამთავრო ოჯახის მმართველი“ – იგულისხმება ირაკლი ლორთქიფანიძე (იხ. აქვე, გვ. 426-427).

<sup>2</sup> (გვ. 172) „მეურვეებისგან მიიღებს სათანადო უფლება-მოსილებას“ – *მეურვეები*: იგულისხმებიან ძმა და სიძე ეკატერინე დადიანისა: დავით ჭავჭავაძე და ალექსანდრე ნიკოლაი (იხ. აქვე, გვ. 424-425).

<sup>3</sup> (გვ. 172) „სახლთუხუცესებს...“ – იგულისხმებიან დავით ოტიას ძე და დავით (დათა) სალიკის ძე ჩიქოვანები.

<sup>4</sup> (გვ. 172) „ელიზბარ დადიანის თხოვნა მასზე დართული ქალაღდებიტურთ“ – ელიზბარ დადიანის თხოვნა და დართული ქალაღდებიტი საქმეებში არ ჩანს.

## 78. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი

(გვ. 172-175)

**ხელნაწერი**: ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №411. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი**: 1858 წ. 20 იანვარი. ქუთაისი. **ხელმოწერა**: Действительный статский советник Кипиани.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 404-406.

<sup>1</sup> (გვ. 173) „თავის დროზე გადაეცემა მეურვეობას“ – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულისა და ქონების მეურვეობის მოკლე ისტორია იხ. აქვე, გვ. 407-408.

<sup>2</sup> (გვ. 173) **„ყველა ან ზოგიერთი ნატურალური გადასახადის ფულადი სარგოთი შეცვლის შესახებ“** – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ავლადიდების ინვენტარიზაციისთვის განწესებულმა დიმ. ყიფიანმა 1857 წ. 30 სექტემბერს მიიღო მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის ინსტრუქცია, რომელშიც, სხვა მითითებებთან ერთად ესეც არის ნათქვამი: „შესაძლებელი სიზუსტით განისაზღვროს, თუ რა ოდენობის ფულადი გადასახადი უნდა იქნეს შემოღებული ნატურალური გადასახადის ჩასანაცვლებლად“ (ყიფიანი 2020: 79).

<sup>3</sup> (გვ. 174) **„გასვლის წერილობითი ნებართვისთვის...“** – გადასახადის გადამხდელს, რომელიც მეზატონის ადგილ-მამულიდან სხვა ტერიტორიაზე (სხვა მაზრაში) საშოვარზე დროებით გადიოდა (отлучка), ადგილობრივი მმართველობისგან უნდა აეღო სპეციალური საცხოვრებელი ბილეთი, რომელზედაც განსაზღვრული თანხა იყო დაწესებული [არსებობდა აგრეთვე „პლაკატური პასპორტი“ („Плакатный паспорт“), რომელიც გადასახადების გადამხდელი ფენის წარმომადგენლებს (გლეხები, ვაჭრები, ხელოსნები და სხვ.) სხვა ტერიტორიაზე (სხვა მაზრაში, სხვა გუბერნიაში; გამონაკლის შემთხვევაში – საზღვარგარეთ) ნასვლის უფლებას აძლევდა და ამაზედაც განსაზღვრული თანხა იყო დაწესებული].

## 79. გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე

### ერისთავისადმი

(გვ. 175)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №185. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1858 წ. 6 თებერვალი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** Член Совета главного управления, действительный статский советник Кипиани.

მთავარმმართველობის საბჭოს წევრი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი ყიფიანი.

წერილის ადრესატია **გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი** (1812-1891), გენერალ-ლეიტენანტი (1858 წლიდან), ერეკლე II-ის შვილიშვილი (ანასტასია ბატონიშვილის ძე), 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი (მიესაჯა გადასახლება არხანგელსკში. შეთქმულების ჩავარდნამდე მონაწილეობდა პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყების ჩახშობაში), „კავკასიის ომების“ მონაწილე, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი და მხარეში განლაგებული სამხედრო ძალების მეთაური (1858-1861); 1852 წ. დანიშნული იყო კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანად, რის გამოც, სხვა გიორგი ერისთავებისაგან რომ განესხვავებინათ, მეტსახელი **„ატამანი“** სიცოცხლის ბოლომდე შერჩა (ბიოგრაფიული ცნობები გ. რ. ერისთავზე იხ.: აქტები 1885: XXXIV; ბერძნიშვილი 1980: 230-232). გ. რ. ერისთავი იყო თავისი დროის თვალსაჩინო ქველმოქმედი და კულტურტრეგერი: ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე 1878 წ. დაარსებული „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა“, 1890 წ. საკუთარი ხარჯით კასპში „სასოფლო სკოლის“ დამაარსებელი, ასევე, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი და სხვ. (გ. რ. ერისთავის მოღვაწეობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ჯოლოგუა 2022: 55-57). გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია მშობლიურ ოძისში, საგვარეულო აკლდამაში.

გამოქვეყნებულია გ. რ. ერისთავის 1883 წ. 12 ნოემბრის წერილი დიმ. ყიფიანისადმი, რომლითაც იგი ადრესატს მადლობას უხდის „ახალი ქართული გრამმატიკის“ საჩუქრად გაგზავნისთვის: „გრამატიკა შენგან შეთხზული ჩემგან დაუვიწყარო ძველო გულითადო მეგობარო დიმიტრი ივანიჩ მოვიდა... ბევრჯელ კეთილად და ერთგულად შრომა გაგინევია და გიზრუნავს ქვეყნის კეთილ-მდგომარეობისთვის“ და სხვ. (წერილი სრულად იხ. ყიფიანი 2021: 405).



<sup>1</sup> (გვ. 175) **„კავკასიის მეფინაცვლის მიმდინარე იანვრის 24-ის №265 თქვენთვის ცნობილ მონერილობას“** – იგულისხმება მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის მიმართვა დიმ. ყიფიანისადმი, რომლითაც მეფისნაცვალ ადრესატს ალექსი დგებუაძის საქმეზე გამოძიების შეჩერების უფლებას აძლევს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №183. ფ. 1).

<sup>2</sup> (გვ. 175) **„შეჩერდეს თავად დგებუაძის მიერ პოდპორუჩიკ ელიავას ქალიშვილის მოტაცების საქმის გამოძიება“** – თავად ალექსი დგებუაძის მიერ პოდპორუჩიკ დავით (დათა) ელიავას ქალიშვილზე, ელისაბედ ელიავაზე, ჯვრისნერის საქმესა და მასთან დაკავშირებულ გარემოებებზე იხ.: აქვე, გვ. 162-167, 431-433; აგრეთვე, აქვე, წერილი ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №83.

## **80. გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე** **ერისთავისადმი** (გვ. 176-180)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №412. უცნობი ხელით გადათეთრებული (ერთგან დიმ. ყიფიანის ხელით ჩასწორებული). რუსულ ენაზე. ფ. 5. **თარიღი:** 1858 წ. 12 თებერვალი. ქუთაისი. ხელმოწერელი.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 439.

<sup>1</sup> (გვ. 176) **„...მეფისნაცვლის მონერილობის საფუძველზე ვასრულებ და რომელიც სამეგრელოს მთავრის ოჯახის ქონებისა და საკუთრების გამორკვევას ეხება“** – ა) მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის აქ ნახსენები *მონერილობა* (1857 წ. 30 სექტემბრისა) იხ. ყიფიანი 2020: 79-80; ბ) *მთავრის სახლის ქონებისა და საკუთრების გამორკვევის*, ანუ ინვენტარიზაციის შესახებ იხ. აქვე, გვ. 401-402.

<sup>2</sup> (გვ. 176) **„თქვენს ბრწყინვალეებას ვაახლებ ასლებს იმ აქტებისა“** – აქტების ასლები საქმეში არ დევს.

<sup>3</sup> (გვ. 176) **„შემოსავლის ტაბელს“** – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის შემოსავლის ტაბელი, შედგენილი დიმ. ყიფიანის მიერ, იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №417. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 4

<sup>4</sup> (გვ. 176) **„საინვენტარო დავთარს“** – დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი საინვენტარო დავთარი იხ. იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №416. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფ. 23.

<sup>5</sup> (გვ. 176) **„1857 წლის 12 დეკემბრის აქტს...“** – აქ ნახსენებები აქტის შესახებ დიმ. ყიფიანი ალ. ბარიატინსკისთვის 1858 წ. 28 თებერვალს წარდგენილ პატაკში წერს: „ფასის დადება საბეგრო პროდუქტზე, აგრეთვე, გლეხების მხრიდან პირადი სამსახურის განსაზღვრა მოხდა იმ აქტის საფუძველზე, რომელიც ჩემთან მყოფი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ 1857 წლის 12 დეკემბერს იქნა შედგენილი“ (აქვე, გვ. 184).

<sup>6</sup> (გვ. 176) **„სამეგრელოს მმართველისადმი ჩემი გასული იანვრის 20 რიცხვის მიმართვას (№6)“** – სამეგრელოს მმართველ ნიკ. კოლიუბაკინისადმი დიმ. ყიფიანის აქ ნახსენებები მიმართვა იხ. აქვე, წერილი №78.

<sup>7</sup> (გვ. 177) **„მთავრის ოჯახის ქონებისა და საკუთრების დაცვა-შენახვის შესახებ“** – ქონება და საკუთრება: ასეა დედანში (имущество и собственность), რაც თითქოს ერთსა და იმავეს უნდა ნიშნავდეს. ვფიქრობთ, აქ უძრავ-მოდრავი ქონება იგულისხმება.

<sup>8</sup> (გვ. 179) **„სამეგრელოს მთავარმა თავად ანჩაბაძეებს უბოძა სოფელი დარჩენი“** – ა) ანჩაბაძეების შესახებ იხ. აქვე, გვ. 189-190, 289-292; აგრეთვე, ყიფიანი 2020: 116, 377-378; ბ) დარჩენი: სოფ. **დარჩელი** დიმ. ყიფიანის ნაწერებსა თუ ზოგიერთ სხვა წყაროში **დარჩენის** სახელწოდებით იხსენიება (იხ. ყიფიანი 2020: 377).

<sup>9</sup> (გვ. 179) **„ამასწინანდელ ომში...“** – იგულისხმება ომერ-ფაშას შეჭრა სამეგრელოში.

<sup>10</sup> (გვ. 179) **„სამეგრელოს მმართველმა დედოფალმა...“** – იგულისხმება ეკატერინე დადიანი.

<sup>11</sup> (გვ. 180) **„ასეთებად დავასახელებდი: სამახელოს, სამაჭრელოს, სახუროს, სამოურავოსა და ძღვენს“** – სამახელო პურის მოსავალზე დაწესებული გადასახადია და სხვ. (აქ ჩამოთვლილ გადასახადთა რაობის შესახებ იხ.: ერისთავი 1927: 92-94; ერისთავი 1986: 119-121).

<sup>12</sup> (გვ. 180) **„ბატონ კავკასიის მეფისნაცვალს წარვუდგინო“** – მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისთვის წარდგენილი პატაკი იხ. აქვე, წერილი №82.

## 81. გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავისადმი (გვ. 181)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №413. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1858 წ. 12 თებერვალი. ქუთაისი. ხელმოწერელი.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 439.

<sup>1</sup> (გვ. 181) **„ამავე რიცხვით დათარიღებული წერილით (№14)“** – იგულისხმება გ. რ. ერისთავისადმი დიმ. ყიფიანის წინა (№80) წერილი.

<sup>2</sup> (გვ. 181) **„სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების გამორკვევა და აღწერა“** – იგულისხმება სამეგრელოს სამთავრო ოჯახის საკუთრების ინვენტარიზაცია (იხ. აქვე, გვ. 401-402).

<sup>3</sup> (გვ. 181) **„საქვენი წინამორბედის მიერ დანიშნული მაიორი, თავადი აბაშიძე“** – წინამორბედი: იგულისხმება ქუთაისის

გენერალ-გუბერნატორი ალ. გაგარინი – 1857 წ. ოქტომბერში მოკლული კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანის მიერ, ხოლო რაც შეეხება თავად აბაშიძეს, დადიანების საკუთრების ინვენტარიზაციაში მისი მონაწილეობის შესახებ დი. ყიფიანი წერს თავის 1857-1858 წწ. დღიურში (ყიფიანი 2020: 81, 87, 90, 93, 117).

## 82. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი (გვ. 182-191)

**ხელნაწერი:** ხეც. დი. ყიფიანის არქ., საქ. №415. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 11.

**სათაური:** Дело Высочайше учрежденной опеки над имениями Мингрельского Владетельного дома. О командований Действительного Статского Советника Кипиани в Мингрелию для составления инвентария имуществам и доходам Мингрельского Владетельного дома [სამეგრელოს სამთავრო სახლის ადგილ-მამულზე უმაღლესად დაარსებული მეურვეობის საქმე. სამეგრელოს სამთავრო სახლის ქონებისა და შემოსავლების ინვენტარიზაციისათვის სამეგრელოში ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, ყიფიანის, მივლინების შესახებ].

**თარიღი:** 1858 წლის 28 თებერვალი. ტფილისი.

**ხელმოწერა:** Действительный статский советник Кипиани.

საბუთს ბოლოში დართული აქვს მონაცემები:

Началось 1-го сентября 1857 года [დაწყებულია 1857 წლის 1 სექტემბერს].

Кончилось [დასრულდა]: .....

На „.....“ листах [ფურცელზე].

პატაკის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 393-394.

<sup>1</sup>(გვ. 182) **„1857 წ. 30 სექტემბრის წერილობითი დავალება (№4012) სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ქონების მთელი თავისი სიზუსტით გარკვევის შესახებ“** – აქ ნახსენები *წერილობითი დავალება* იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №385. ფ. 3.

<sup>2</sup>(გვ. 184) **„საინვენტარო დავთრის დანართი 3“** – საინვენტარო, აგრეთვე, სხვა დანართები წინამდებარე პატაკს არ ახლავს.

<sup>3</sup>(გვ. 185) **„ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის...“** – იგულისხმება *გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე ერისთავი*, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1858-1861 წწ.

<sup>4</sup>(გვ. 187) **„წერილობითი თანხმობით გარე საშოვარზე გასვლა“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 438.

<sup>5</sup>(გვ. 187) **„ტვირთს, ერთი მხრივ, ფოთს ან რედუტ-კალესა და, მეორე მხრივ, ცხენისწყლისპირს შორის ეზიდებიან“** – ა) *რედუტ-კალე*: ნავსადგური ხობისწყლის შესართავთან, დღევანდელი სოფ. ყულევი; ბ) *ცხენისწყლისპირი (УСТЬ-ЦХЕНИС-ЦКАЛИ)*: სამხედრო ბაზა საჭილას სოფ. ქვიშანჭალასთან (ყოფილი ორპირი). ცხენისწყლისპირის შესახებ იხ. ყიფიანი 2020: 116, 378.

<sup>6</sup>(გვ. 189) **„სალხინოელი გლეხები განიცდიან მიწის მწვავე ნაკლებობას ... ამ საქმეში მათი დანახარჯი ვერც კი ანაზღაურებს შემოსავალს“** – სალხინოელთა გასაჭირზე, ისევე, როგორც ამ პუნქტში ჩამოთვლილ სხვა საკითხებზე დიმ. ყიფიანი თავის 1857-1858 წწ. დღიურშიც წერს (ყიფიანი 2020: 98-99, 106).

<sup>7</sup>(გვ. 189) **„სოფელი დარჩენი“** – სოფელი *დარჩელი* დიმ. ყიფიანის ამ და სხვა ნაწერებში [ისევე, როგორც, სხვათა შორის, XIX ს. რუსულ წყაროებში (მაგალითისთვის იხ. აქტები 1888: 108, 109 და შმდ.)] იხსენიება **დარჩენის** ფორმით.

<sup>8</sup>(გვ. 189) **„ამასწინანდელი ომის...“** – ავტორი სამეგრელოში ომერ-ფაშას შეჭრას გულისხმობს.

<sup>9</sup> (გვ. 190) **„სამახეხოს, სამაჭრეხოს, სახუროს, სამოურაოს და ძღვენს“** – სამახეხოსა და ჩამოთვლილი სხვა გადასახადების შესახებ იხ. აქვე, გვ. 442.

<sup>10</sup> (გვ. 191) **„ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, ბ-ნ გენერალ-ლეიტენანტს, თავად ერისთავს ვაცნობე“** – ავტორს მხედველობაში აქვს გ. რ. ერისთავისადმი წარდგენილი 1858 წ. 12 თებერვლის მოხსენებითი ბარათი (იხ. აქვე, გვ. 176-180).

### 83. ალექსანდრე ბარიატინსკისადმი (გვ. 191-192)

**ხელნაწერი:** ხეც. დიშ. ყიფიანის არქ., საქ. №188. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1858 წ. 28 თებერვალი. ხელმოუწერელი.

პატაკის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 393-394.

<sup>1</sup> (გვ. 191) **„მონერილობა №265-ის მიღებისთანავე...“** – იგულისხმება ალ. ბარიატინსკის 1858 წ. 24 იანვრის მიმართვა დიშ. ყიფიანისადმი, რომელიც ალექსი დგებუაძის მიერ დავით ელიავას ქალიშვილის, ელისაბედის, ცოლად შერთვის გამო აღძრულ გამოძიებას ეხება (ხეც. დიშ. ყიფიანის არქ., საქ. №183. ფ. 1).

<sup>2</sup> (გვ. 191) **„შეფუდექი პოდბორუჩიკ დავით ელიავას შერიგების საქმეს... ალექსი დგებუაძესთან“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 162-167, 430-433.

<sup>3</sup> (გვ. 191) **„ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის...“** – იგულისხმება გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1858-1861 წწ.

<sup>4</sup> (გვ. 191) **„სამეგრელოს მმართველისა და ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორის...“** – ამ დროს სამეგრელოს მმართველია გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კოლიუბაკინი, ხოლო ქუთაი-

სის სამოქალაქო გუბერნატორი – გენერალ-მაიორი *ნიკოლოზ ივანოვი* (1852-1858.IV).

<sup>5</sup> (გვ. 192) „ქუთაისის გუბერნიის პროკურორის...“ – იგულისხმება ქუთაისის საგუბერნიო პროკურორი *ლევან ნიკოლოზის ძე ქორქაშვილი*.

#### 84. ნიკოლოზ კოლიუბაკინისადმი

(გვ. 192)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №414. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1858 წ. თებერვალი. ქუთაისი. **ხელმოწერა:** Член Совета главного управления, действительный статский советник Кипиани.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 404-406.

<sup>1</sup> (გვ. 192) „თქვენი აღმატებულების მიერ გასული წლის 18 დეკემბრის მონერილობასთან (№717) ერთად...“ – აქ ნახსენებები *მონერილობა* ნიკ. კოლიუბაკინისა იხ. ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №407. ფ. 2.

#### 85. ვასილ ინსარსკისადმი

(გვ. 193)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1386. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** [1858 წ. თებერვალი. ქუთაისი]. ხელმოწერელი.

ეს არის დიმ. ყიფიანის მინაწერი ვ. ინსარსკის 1858 წ. 4 მარტის წერილზე (*დიმ. ყიფიანის წინამდებარე ტექსტს ამ მონაცემის მიხედვით ვათარიღებთ*). ვ. ინსარსკის წერილის მიხედვით

კი ირკვევა: მეფისნაცვლის საბჭოს წევრებს, დიმ. ყიფიანსა და გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონს (ბაგრატიონ-მუხრანსკის) მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკისთვის მოხსენებითი ბარათით მიუმართავთ და უთხოვიათ, ჩინოვნიკებს უღვაშის ტარების უფლება მისცემოდათ. ალ. ბარიატინსკის, თავის მხრივ, ვ. ინსარსკის თქმით, ეს დაუშვებლად მიუჩნევია.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 430-431.

### 86. გრიგოლ ორბელიანისადმი (გვ. 193-195)

**ხელნაწერი:** ხეც. გრიგოლ ორბელიანის არქ., საქ. №687. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **ნაბეჭდი:** დიმიტრი ყიფიანის რამდენიმე პირადი წერილი. პუბლიკაცია მოამზადა თ. ჯოლოგუამ. უ. „კლდეკარი“, 1993, №1, გვ. 220-221. **თარიღი:** 1858 წ. 28 აპრილი. გორი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

დაცულია წერილის შავი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., №774. ფ. 2).

წერილის ადრესატი **გრიგოლ ორბელიანი** და დიმ. ყიფიანი ხანგრძლივი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სამსახურებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო და პირადი ურთიერთობით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი: ორივე მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, გრ. ორბელიანი დამფუძნებელი წევრი იყო დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848), 1857-1862 წწ. დიმ. ყიფიანი წევრი იყო მეფისნაცვლის საბჭოსი, რომელსაც გრ. ორბელიანი თავმჯდომარეობდა, ისინი თანამშრომლობდნენ თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკისა და „ქმნ-კვ საზოგადოების“ დაარსების საქმეებში და სხვ.; მართალია, გრ. ორ-



ბელიანმა, თავისი უკიდურესად გამახვილებული წოდებრივი თვითშეგნებიდან გამომდინარე, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია 1864 წ. ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის მიერ თავის წინამძღოლად („მარშლად“) აზნაურ დიმ. ყიფიანის არჩევას, თუმცა მალე დიმ. ყიფიანმა შერიგებისკენ პირველმა გადადგა ნაბიჯი და დროთა განმავლობაში მათ შორის ადრინდელი მეგობრული ურთიერთობა აღდგა (დიმ. ყიფიანისა და გრ. ორბელიანის ურთიერთობის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2020: 257-260, 452-453, 461-462; ყიფიანი 2021: 302-304, 379.

<sup>1</sup> (გვ. 193) „აქაურს ანზავს...“ – საქმე ეხება მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარის, გრ. ორბელიანისა და იმავე საბჭოს წევრ დიმ. ყიფიანისათვის ალ. ბარიატინსკის მიერ 1857 წ. მიცემულ დავალებას – ბატონყმობის გაუქმებისთვის წინასწარი ნიადაგის მომზადებას (ამ დროს უკვე იყო დაწყებული სამზადისი რუსეთის იმპერიაში ცნობილი საგლეხო რეფორმის გასატარებლად, რაც, ცხადია, თბილისის გუბერნიასაც ეხებოდა). ამის თაობაზე დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებში“ წერს: „[ალ. ბარიატინსკის] სურდა, გლეხთა რეფორმა იმ თავითვე დაეწყო; და სწორედ ეს საქმე ჩააბარა თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანს, რომელსაც ჩემთან ერთად უნდა დაემუშავებია და წარედგინა... ჩვენ წარუდგინეთ თ-დს ბარიატინსკის ჩვენი მოსაზრებანი 1858 წლის დამდეგს; იმან მოინონა და იმედი ჰქონდა გაატარებდა, მაგრამ შემდეგში უყურადღებოდ დასტოვეს“ (ყიფიანი 2020: 200-201). წინამდებარე წერილით ირკვევა, რომ საკითხთან დაკავშირებით დიმ. ყიფიანს თავადაზნაურობის წინამძღოლ ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანთან (იხ. მომდევნო კომენტარი) ერთად შეხვედრა ჰქონია გორელ (სავარაუდოდ, გორის მაზრის) თავადაზნაურობასთან.

<sup>2</sup> (გვ. 193) „ჰსცნობთ ჩვენის ლუბერნსკის მარშლისაგან“ – ამ დროს თბილისის გუბერნიის (ქართლ-კახეთის) „ლუბერ-

ნსკის მარშალი“ (თავადაზნაურობის წინამძღოლი) იყო ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.

<sup>3</sup> (გვ. 194) „**ენიაზის...**“ – იგულისხმება კავკასიის მეფის-ნაცვალი ალ. ბარიატინსკი.

<sup>4</sup> (გვ. 194) „**ალექსანდრეზედაც...**“ – იგულისხმება თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.

<sup>5</sup> (გვ. 194) „**კონა არის მესამე მედიატორე**“ – კონა უნდა იყოს **იაკობ (კონა) მირმანოვის ძე ერისთავი**, ძმა მანანა ორბელიანისა (კონა ერისთავზე იხ. ერისთავი 2022: 21-22, 188-189).

## 87. ელიზბარ ერისთავისადმი

(გვ. 195-196)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №640. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1858 წ. 25 ივლისი. ხელმოუწერელი.

ტექსტში გორის მაზრის უფროსის ვინაობა არ არის მითითებული. ამ თანამდებობაზე კი იმ დროს იყო ელიზბარ შანშეს ძე (ზოგიერთ რუსულ წყაროში – *Елизбар Павлович*) ერისთავი (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“).

კანდინოვის ვალის შესახებ იხ. აქვე, დიმ. ყიფიანის 1859 წ. 23 მაისის განცხადება გორის მაზრის სასამართლოსადმი (გვ. 219-223 და მასზე დართული შენიშვნები და კომენტარები).

თხოვნის ადრესატია ელიზბარ შანშეს ძე ერისთავი (1809-1871), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური [„ჩვენი ზაგოვორის თავი ელიზბარ იყო, ამისთვის რომ, დიდათ ცდილობდა, და ყოველს ადგილას მიმომსვლელი ის იყო, და შუა კაცი“ – წერს მის შესახებ საგამომძიებლო კომისიისთვის

მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში ალ. ორბელიანი (გოზალიშვილი 1935: 339)]. ელიზბარ ერისთავს მიესაჯა რიგით ჯარისკაცად სამსახური ფინეთში (ჰელსინგფორსში, დღევანდელ ჰელსინკიში) მდგარ ერთ-ერთ რუსულ პოლკში. სამშობლოში დაბრუნდა 1844 წელს და შევიდა სახელმწიფო სამსახურში. 1850-1860-იან წწ. იგი იყო გორის მაზრის უფროსი (სამსახური დაასრულა პოლკოვნიკის ჩინით, სამსახურიდან გასულს გენერალ-მაიორობა ებოძა). გარდაიცვალა გორში, დაკრძალეს გორის საკრებულო ტაძრის („სობოროს“) გალავანში. ბოლშევიზმის პერიოდში ტაძარი დაანგრიეს, ხოლო ელიზბარ ერისთავის საფლავი დაიკარგა, ისევე, როგორც საფლავი მისი მეუღლის – ქეთევან შალვას ას. ერისთავისა, რომელსაც ახალგაზრდობაში ლექსი („ქეთევან“) უძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა (საკითხის შესახებ იხ.: აბზიანიძე 1940: 379-381; ჩხეიძე 1997<sup>ა</sup>: 214-225; ჯოლოგუა 1997<sup>ა</sup>: 226-230).

ელიზბარ ერისთავსა და დიმ. ყიფიანს ხანგრძლივი ურთიერთობა და საერთო ინტერესები ჰქონდათ: ორივე მონაწილეობდა 1832 წლის შეთქმულებაში, ელიზბარი დამფუძნებელი წევრი იყო დიმ. ყიფიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“, 1864 წ. იგი მხარს უჭერდა დიმ. ყიფიანის კანდიდატურას თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის არჩევნებზე (ამ უკანასკნელი საკითხის შესახებ იხ. ჯოლოგუა 1997<sup>ბ</sup>: 163-168)... ელიზბარ ერისთავის შესახებ იხ.: გოზალიშვილი 1970: 37-40, 263-266; ბერძნიშვილი 1980: 234-235; ჩხეიძე 1997<sup>ბ</sup>; ჩხეიძე 2008; ჯოლოგუა 2022<sup>ა</sup>: 30-34.

<sup>1</sup> (გვ. 195) **„ასეთ შემთხვევაში უმორჩილესად გთხოვთ, იგი დააპატიმროთ“** – დაცულია ელიზბარ ერისთავის 1859 წ. 18 მარტის წერილობითი პასუხი – გორის სასამართლოს გადამწყვეტილების საფუძველზე მაზრის მმართველობამ კანდინოვის მთელ ქონებას ყადაღა დაადო („...наложил запрещение на все имущество Кандинова“). ამასთანავე, ელიზბარი დიმ. ყიფი-

ანს უკან უბრუნებს ციხეში კანდინოვის რჩენა-შენახვისთვის გაგზავნილ ფულს სასამართლოს საკანცელარიო, აგრეთვე, მიმონერის ხარჯის გამოკლებით (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №644. დედანი. რუსულ ენაზე. ფ. 1).

**88. ამიერკავკასიის მხარის  
მთავარსამმართველოს საბჭოსადმი**  
(გვ. 196-197)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №192. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **სათაური:** შებათ და ბუდუია ემუხვარების შესახებ. **თარიღი:** 1858 წ. 1 სექტემბერი. **ხელმოწერა:** Член Совета, действительный статский советник Кипиани.

იქვეა (იმავე ნომრით, ფ. 1) ტექსტში ნახსენები 1858 წ. 10 ივლისის ამონაწერი №952 მთავარსამმართველოს ჟურნალიდან და მიმართვა დიმ. ყიფიანისადმი, რომ მან საბჭოს წარუდგინოს დასკვნა შებათ და ბუდუია ემუხვარების გვაროვნული წარმომავლობის შესახებ.

<sup>1</sup>(გვ. 196) „სამურზაყანოს ოლქი უშუალოდ ჩვენს მმართველობაში, თუ არ მემულება, 1842 წლიდან შედის“ – სამურზაყანო, რომელიც ჯერ კიდევ XIX ს. დასაწყისიდან დადიანებისთვის იყო მიკუთვნებული, მთავარმართველ ე. გოლოვინის განკარგულებით, **1840 წელს** გამოეყო სამეგრელოს და ჩამოყალიბდა ცალკე ერთეულად – *სამურზაყანოს საბოქაულოდ*, იქ დამყარდა რუსეთის უშუალო მართვა-გამგეობა, ახალშექმნილი საბოქაულო ადმინისტრაციულად შავი ზღვის სანაპირო ზოლს დაექვემდებარა, ხოლო სამეგრელოს მთავარმა, ლევან დადიანმა, სამურზაყანოს დათმობისთვის ჯილდოს სახით სახელმწიფო ხაზინიდან 25 000 მან. მიიღო (აქტები 1885: 248-249).

## 89. რუსეთის მმართველი სენატისადმი (გვ. 197-205)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №546. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 3. **თარიღი:** 1858 წ. 8 სექტემბერი. ტფილისი. ხელმოუწერელი.

საბუთს თავზე დიმ. ყიფიანის ხელითვე აწერია (რუსულ ენაზე): „გაგზავნილია 1858 წლის 8 სექტემბერს“.

<sup>1</sup> (გვ. 197) **მმართველი სენატი** (Правительствующий сенат) – იმპერატორს დაქვემდებარებული უმაღლესი იურიდიული ინსტანცია რუსეთის იმპერიაში (მდებარეობდა პეტერბურგში).

<sup>2</sup> (გვ. 198) **„დავიბრუნოთ ბორჯომის მამულის მეთაფი ნაწილი, რომელიც ხაზინას თავად ავალოვებისგან აქვს შექცენილი“** – დიმ. ყიფიანის ბორჯომის მამულსა და ავალიშვილებთან დაკავშირებული საქმის შესახებ იხ. აქვე, გვ. 337-338.

<sup>3</sup> (გვ. 198) **„ზურაბ ავალოვისგან შევიძინეთ სხვა ავალოვებისგან გაუმიჯნავი მისი კუთვნილი ბორჯომის ადგილ-მამულის მეხუთედი ნაწილი“** – ზურაბ ავალიშვილის მამულის მეხუთედი ნაწილი, რომელიც დიმ. ყიფიანმა შეიძინა, იყო ავალიშვილების საერთო მამულის მეთაფი ნაწილი. ამიტომაც დიმ. ყიფიანი როგორც ამ, ისე სხვა ტექსტებში მის მიერ შექცენილ ავალიშვილების საერთო (გაუმიჯნავი) მამულის მეთაფე ნაწილსაც ახსენებს ხოლმე.

<sup>4</sup> (გვ. 199) **„სახაზინო ნაწილში ტფილისის გუბერნიის პროკურორის ამხანაგმა...“** – სახაზინო ნაწილში თბილისის გუბერნიის პროკურორის ამხანაგი (მოადგილე) ამ დროს იყო *ვალერიან ათანასეს ძე ჩეხოვსკი* (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“).

<sup>5</sup> (გვ. 200) **„1855 წლის 26 ივლისის ახსნა-განმარტებაში პალატას ვთხოვდი“** – აქ ნახსენები ახსნა-განმარტება იხ. აქვე, გვ. 103-107.

<sup>6</sup> (გვ. 205) „ხაზინასთან სასამართლო დავისას თავადი ავალოვები ჩემ წინაშე პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდნენ“ – ტექსტს დართული აქვს დიმი. ყიფიანის გვიანდელი ავტოგრაფული მინაწერი იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა წინამდებარე საჩივარს:

„მმართველმა საბჭომ საქმე განიხილა. მან მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მემამულე ყიფიანებმა ბორჯომის ადგილ-მამულის მათი კუთვნილი მეათედი ნაწილის შესახებ სარჩელი აღძრეს მხოლოდ ხაზინისა და არა ყოფილი მესაკუთრეების, თავად ავალოვების, წინააღმდეგ. მმართველმა სენატმა აღიარა, რომ ტფილისის სასამართლო პალატას არ ჰქონდა კანონიერი საფუძველი, გაეთვალისწინებინა პროკურორის ამხანაგის მიმართვა და ახსნა-განმარტება მოეთხოვა თავად ავალოვებისაგან, რომლებზედაც ყიფიანების სარჩელი არ ვრცელდება. ყოველივე ამის გამო მმართველმა სენატმა 1859 წლის 3 აპრილს გამოსცა ბრძანებულება (№1181), რომლის მიხედვითაც, ტფილისის პალატამ უნდა გააუქმოს ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველ ყიფიანის მიერ გასაჩივრებული განკარგულება თავისი შედეგებითურთ.

პალატამ 30 ივლისს ტფილისის პოლიციას დაავალა (№3108), ყოველივე ეს გამოეცხადებინა ჩემთვის და გადაეხდევინებინა სენატის მიერ ქალაქებზე განუხლები ხარჯი – 18 მან. და 60 კაპ.

ტფილისის პოლიციამ 22 აგვისტოს პალატას მოახსენა (№2879), რომ, თითქოს, მე 7 ოქტომბრიდან (№4085) სამეგრელოს მმართველად ვმსახურობ.

სამეგრელოს სამმართველო საბჭომ 3 ნოემბერს უპასუხა (№5262), რომ მე სამეგრელოში არ ვიმყოფები.

პალატამ 30 ნოემბერს პოლიციას მორიგი მიწერილობა გაუგზავნა.

პოლიციამ საქმის კურსში ჩამაყენა 1860 წლის 8 იანვარს და გადამახდევინა 18 მან. და 60 კაპ.“

## 90. ნიკოლოზ გულკევიჩისადმი (გვ. 205-207)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №702. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1858 წ. 24 ოქტომბერი. ხელმოუწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია (რუსულ ენაზე): „ნ. ვ. გულკევიჩს“.

წერილის ადრესატია **ნიკოლოზ ვასილის ძე გულკევიჩი** (1817-1876), საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник) და სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь). 1850-1870-იან წწ. საიმპერატორო კანცელარიაში განაგებდა კავკასიისა და ციმბირის კომიტეტებს.

<sup>1</sup> (გვ. 205) **„ადრინდელი სამსახურებრივი მეგობრობის გახსენებამ...“** – 1840-იან წწ. ნიკ. გულკევიჩი მაგიდის უფროსად მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“).

<sup>2</sup> (გვ. 206) **„ვლადიმერ პეტრეს ძეს...“** – უნდა იგულისხმებოდეს *ვლადიმერ პეტრეს ძე ბუტკოვი*, პეტერბურგში არსებული „კავკასიის კომიტეტის“ ჯერ საქმეთა მმართველი (1845 წლიდან), შემდეგ კი – თავმჯდომარე (1860-1865; „კავკასიის კომიტეტის“ შესახებ იხ. ყიფიანი 2018: 402-403).

<sup>3</sup> (გვ. 206) **„ავთანდილოვი, თავადი ბებუთოვი, თავადი თუმანოვი და ბ-ნი ბეზირგანოვი“** – აქ ჩამოთვლილი პირები არიან: *ზაალ (ზაქარია) სტეფანეს ძე ავთანდილოვი* (ამ დროს იგი კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს კანცელარიის მმართველია); *ბებუთოვი* [ამ დროს კავკასიის მმართველობაში არაერთი ბებუთოვი მსახურობდა. ძნელია თქმა, ვინ იგულისხმება აქ. ყოველ შემთხვევაში, ეს ვერ იქნება ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი, ინფანტერიის

გენერალი ვასილ ბებუთოვი, რომელიც ამ დროს ცოცხალი აღარაა (გარდაიცვალა 1858 წ. 10 მარტს)]; მიხეილ ბირთველის ძე თუმანოვი – თბილისის სამხედრო გუბერნატორისა და სამოქალაქო ნაწილის უფროსის საგანგებო დავალებათა მოხელე. რაც შეეხება ბეზირგანოვს, ამ დროს კავკასიის მმართველობაში ორი ბეზირგანოვი მსახურობს: სტეფანე დავითის ძე (თბილისის საგუბერნიო ფოსტმამისტერის მოადგილე) და ალექსანდრე სოლომონის ძე (კავკასიის გენერალ-ინტენდანტის კანცელარიის მმართველი – იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“). ძნელია თქმა, თუ რომელ ბეზირგანოვს გულისხმობს თავის წერილში დიმ. ყიფიანი.

## 91. ვასილ ინსარსკისადმი

(გვ. 207-211)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №194. უცნობი ხელით ნაწერი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 4. **თარიღი:** 1858 წ. 13 ნოემბერი. თბილისი. **ხელმოწერა:** Действительный статский советник Кипиани.

მიმართვას ბოლოში აწერია (რუსულ ენაზე): „მის აღმატებულებას, ვ. ა. ინსარსკის“. როგორც ზემოთ აღინიშნა, ტექსტი უცნობი ხელითაა ნაწერი, თუმცა დიმ. ყიფიანის ხელმოწერა ავტოგრაფულია.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 430-431.

<sup>1</sup> (გვ. 208) „ვეგენი ალექსანდრეს ძის...“ – იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი (1837-1842) ვეგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინი.

<sup>2</sup> (გვ. 208) „სახელმწიფო დამნაშავე ბესტუჟევის...“ – იგულისხმება დეკაბრისტული მოძრაობის მონაწილე და ამის



გამო ჯერ ციმბირში გადასახლებული, შემდეგ კი კავკასიაში ჯარისკაცად განწესებული მწერალი *ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბესტუჟევი (ბესტუჟევი-მარლინსკი)*.

<sup>3</sup> (გვ. 208) **„...პამშჩინის, ვანევისა და მაიერის ჩხრევისას“** – 1834 წელს აღიძრა საქმე დეკაბრისტ სტეფანე პალიცინის არაკეთილსაიმედო კავშირზე კავკასიის ხაზის სამხედრო ექიმ ნიკ. მაიერსა და პიატიგორსკის ქალაქის უფროს (Городничий) ნიკ. ვანევს შორის. ჩატარდა გამოძიება, თუმცა დანაშაულის არარსებობის გამო უანდარმერიის შეფის, ალ. ბენკენდორფის, ბრძანებით საქმე დაიხურა (მირონენკო 1988: 137). რაც შეეხება პამშჩინს, ჩვენ მისი ვინაობა ვერ გამოვარკვეით.

<sup>4</sup> (გვ. 209) **„კენინა თამარ კაციას ასულისადმი...“** – იგულისხმება *თამარ კაცია II დადიანის ასული*, მეუღლე აფხაზეთის მთავარ (1810-1821) საფარ-ბეი (გიორგი II) შარვაშიძისა.

<sup>5</sup> (გვ. 209) **„ნინოს, დასაქორწინებლად უმაღლესი ნებართვის გამოთხოვის შესახებ“** – *ნინო*: იგულისხმება *ნინო მუხრან-ბატონი*, ლევან V დადიანის ასული, გენერალ ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის (ბაგრატიონ-მუხრანსკის) მეუღლე. ნინოსადმი ილია ჭავჭავაძეს აპოლოგეტური წერილი („ნინო ბაგრატიონი“) აქვს მიძღვნილი (ჭავჭავაძე 1955: 236-240).

<sup>6</sup> (გვ. 209) **„ლონდონიდან ხრუანოვსკის გამგზავრების შესახებ“** – გენერალი *ვოიცეხ ხრუანოვსკი* (1793-1861) იყო გალიციელი პოლონელი, რომელიც 1810-1829 წწ. მსახურობდა რუსეთის არმიაში, თუმცა აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის 1830-1831 წწ. აჯანყებაში, რომლის დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში (პარიზში). გარდაიცვალა იქვე, დაკრძალულია მონმარტრის სასაფლაოზე.

<sup>7</sup> (გვ. 210) **„ზავილეისკის, მოქმედებებისა და მის მიერ ახალციხის საფაშოში ამოგებული მიწების შესახებ“** – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 64-72, 347-348. სიტყვები „მის მიერ... *ამოგებული* მიწების“ ტექსტში ასეა: **„Окупленных им... землях“**.

<sup>8</sup> (გვ. 210) „**10 თებერვლის...**“ – წელი არ არის მითითებული.

<sup>9</sup> (გვ. 210) „**ფელდმარშლისადმი...**“ – იგულისხმება კავკასიის ჯარების სარდალი (1826-1831) და მთავარმართებელი (1827-1831), ფელდმარშალი *ივანე პასკევიჩი*.

1859

## 92. ეკატერინე დადიანისადმი

(გვ. 211-214)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №704. ავტოგრაფი. შავი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1859 წ. 13 აპრილი. ხელმოწერელი.

თავზე დიმ. ყიფიანის ხელითვე აწერია: „დედოფალს“. გაგზავნილია თბილისიდან პეტერბურგში, სადაც იმ დროს ეკატერინე დადიანი შვილებითურთ იმყოფებოდა.

წერილის ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 407-409.

<sup>1</sup> (გვ. 211) „**ნამესტნიკთან მონერილი წიგნი...**“ – *ნამესტნიკი*: იგულისხმება მეფისნაცვალი ალ. ბარიატინსკი.

<sup>2</sup> (გვ. 211) „**გუშინისწინ დავითს გამოეგზავნა მეორე წიგნი...**“ – *დავითი*: დავით ჭავჭავაძე, ძმა ეკატერინე დადიანისა, რომელიც სამეგრელოს დედოფალმა პეტერბურგში გამგზავრების წინ სიძესთან (სოფიო ჭავჭავაძის მეუღლესთან), ბარონ ალექსანდრე ნიკოლაისთან, ერთად თავისი ადგილ-მამულისა და ქონების მეურვეებად („აპეკუნებად“) დანიშნა, თუმცა მათი საქმიანობით უკმაყოფილო დარჩა, 1859 წელს ისინი დაითხოვა და მეურვეობა დიმ. ყიფიანს სთხოვა.

<sup>3</sup> (გვ. 211) „**თქვენი ბრძანება ბარონსაც მოუვიდა**“ – *ბარონი*: იგულისხმება ალ. ნიკოლაი (იხ. წინა კომენტარი).

<sup>4</sup> (გვ. 211) **„...საქმეებიცა და ფულიც, რაც კნიღებით უნდა ყოფილიყო“** – კნიღებით: **წიგნებით** (რუს. Книга – წიგნი). იგულისხმება დავთარი.

<sup>5</sup> (გვ. 211) **„ღენერალ ლუბერნატორთან და მეგრელიის მმართველთან“** – იგულისხმებიან ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე ერისთავი და სამეგრელოს მმართველი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კოლიუბაკინი (ცოტა ხანში ამ თანამდებობაზე მას ძმა, მიხეილ კოლიუბაკინი, შეცვლის).

<sup>6</sup> (გვ. 212) **„გამოვალ სამსახურიდამ...“** – დიმ. ყიფიანი ამ დროს მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის საბჭოს წევრი იყო. მას მეფისნაცვალი წინასწარვე ჰყავდა გაფრთხილებული, რომ სამეურვეო საქმეების გამო შესაძლოა ხშირად დასჭირვებოდა სამეგრელოში ყოფნა და ამაზე ალ. ბარიატინსკისგან თანხმობაც ჰქონდა მიღებული (იხ. დიმ. ყიფიანის „მემუარები“. ყიფიანი 2020: 206).

<sup>7</sup> (გვ. 213) **„ირაკლის პატიოსნება და თქვენი ერთგულება უსაზღვრო არის და შეუგინებელი“** – იგულისხმება *ირაკლი ლორთქიფანიძე*, ეკატერინე დადიანის მდივანი, შემდეგ კი სამეგრელოს სამთავრო მამულებისა და ქონების მმართველი (მოურავი). ი. ლორთქიფანიძის შესახებ იხ. აქვე, გვ. 426-427.

<sup>8</sup> (გვ. 213) **„სალთუხუცესი ყოვლად უეჭველი ერთგულია თქვენი“** – სამეგრელოში ამ დროს ორი სახლთუხუცესია: სამთავრო ოჯახისა – *დავით ოტიას ძე ჩიქოვანი* და საკუთრივ ეკატერინე დადიანისა – *დავით (დათა) სალიკის ძე ჩიქოვანი*. ძნელი სათქმელია, რომელს გულისხმობს აქ დიმ. ყიფიანი (ეკატერინე დადიანი უშუალო და მთავარი მეურვე იყო სამეგრელოს სამთავრო ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრის, ნიკო დადიანისა და ამიტომ ორივე სახლთუხუცესი ფაქტობრივად ეკატერინეს ექვემდებარებოდა).

<sup>9</sup> (გვ. 213) **„თუ ირაკლი დავითხოვე“** – 1859 წ. 25 ივნისის წერილით დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანს გორდიდან ატყობინებს: „თავადი ირაკლი გავუშვი“ (იხ. აქვე, გვ. 226), თუმცა

მოგვიანებით ირაკლი ლორთქიფანიძე დაუბრუნდა თავის თანამდებობას (იხ. აქვე, გვ. 426).

<sup>10</sup> (გვ. 213) **„მე ნამესტნიკისაგან საქმე მაქვს მონდობილი“** – როგორც ჩანს, აქ იგულისხმება დავალება ალ. ბარიატინსკისა, დიმ. ყიფიანს შეედგინა მეფისნაცვლის მმართველობის 1857-1858 წწ. ანგარიში [დაცულია შავი ამ ანგარიშისა – ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №198. რუსულ ენაზე. ფ. 185; უფრო ვრცელი ანგარიში ალ. ბარიატინსკის მმართველობისა (1857-1859 წწ.) იხ. აქტები 1904: 1275-1394].

<sup>11</sup> (გვ. 213) **„თუ არ დამითხოვა, მომავალის ფორტით მოგახსენებთ“** – 1859 წ. 10 მაისის წერილით, დიმ. ყიფიანი ეკატერინე დადიანს აცყობინებს: „[ბარიატინსკიმ] ნება დამართო, გავემგზავრო სამეგრელოში და მეურვეობის საქმეები შეძლებისდაგვარად იქ მოვაგვარო“ (აქვე, გვ. 215).

### 93. ალექსი კრუზენშტერნისადმი (გვ. 214)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №742. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1859 წ. 9 მაისი. ხელმოუნერელი.

ტექსტის ბოლოში მითითებულია (რუსულ ენაზე): „მის აღმატებულებას, ა. თ. კრუზენშტერნს“.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 395-396.

<sup>1</sup> (გვ. 214) **„გადავეცი ჩემი კერძო ბიბლიოთეკა – დაახლოებით სამი ათასი ტომი, პირობებით, რომლებიც აღარ სრულდება“** – ა) **გადავეცი ჩემი კერძო ბიბლიოთეკა:** საკითხის შესახებ იხ. აქვე, წერილები №№40,53 და მათზე დართული შენიშვნები და კომენტარები; ბ) **პირობები:** აქ ნახსენები პირობები პუნქტობრივად იხ. ყიფიანი 2020: 270-271.

<sup>2</sup> (გვ. 214) **„მეფისნაცვლის კანცელარიის ყოფილ დირექტორს მივმართავდი...“** – იგულისხმება მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1851-1856) *მიხეილ შჩერბინინი* (იხ. აქვე, წერილი №40).

#### 94. ეკატერინე დადიანისადმი (გვ. 215-219)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №705. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 4. **თარიღი:** 1859 წ. 10 მაისი. ტფილისი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 407-409.

<sup>1</sup> (გვ. 215) **„ა. თ. 7 მაისს სახელმწიფო მდივან კრუზენშტერნს წარვუდგინე კიდევ ერთი, რიგით მესამე, წერილი“** – ამ წერილის რაობა და დაცულობა ვერ გამოვარკვეით.

<sup>2</sup> (გვ. 215) **„რიყის საქმის შესახებ...“** – ხელნაწერში: „...по делу о Рике“. საქმე ეხება **სოფ. რიყეს** (ზუგდიდის მახლობლად). ამ სოფელს დიმ. ყიფიანი გიორგი დადიანისადმი მიწერილ წერილშიც ახსენებს (იხ. აქვე, წერილი №99).

<sup>3</sup> (გვ. 215) **„მის ბრწყინვალეებას...“** – იგულისხმება მეფისნაცვალი **ალ. ბარიატინსკი**.

<sup>4</sup> (გვ. 216) **„თავად ლორთქიფანიძის შესახებ ახლაც გავიმეორებ იმას, რაც ადრე მოგწერეთ“** – იგულისხმება დიმ. ყიფიანის 1859 წ. 13 აპრილის წერილი ეკატერინე დადიანისადმი (იხ. აქვე, წერილი №92).

<sup>5</sup> (გვ. 216) **„გადაეცით ... ჩემს ახალგაზრდა მთავარს, რომ მის მეურვეს სჭირდება მხოლოდ ჯანმრთელობა“** – **ახალგაზრდა მთავარი:** იგულისხმება ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი, *მის მეურვეში* კი დიმ. ყიფიანი საკუთარ თავს გულისხმობს.

<sup>6</sup> (გვ. 217) **„არსებობს უაღრესად გამოწვლილვითი, უაღრესად გულმოდგინედ შედგენილი აღწერილობა“** – აქ ნახსენები აღწერილობის შესახებ იხ. დიმ. ყიფიანის „დღიური 1857-1858 წლებისა“ (ყიფიანი 2020: 79-118).

<sup>7</sup> (გვ. 217) **„ხელოსნებისა...“** – ხელოსანი: „მოხელე სოფელთა შინა“ (ჩუბინაშვილი 1961: 466), „გარკვეული თანამდებობის მქონე პირი (მებატონესთან ან სოფლად)“ (ქეგელ 1964: 1406). დიმ. ყიფიანი უწოდებს *ათისთავებს* (იხ. აქვე, გვ. 254).

<sup>8</sup> (გვ. 217) **„აღწერილობა სამეგრელოს საბჭოს გადაეგზავნა“** – სამეგრელოს საბჭოს წევრები ამ დროს იყვნენ: თავმჯდომარე – *მიხეილ პეტრეს ძე კოლიუბაკინი* (ამ პოსტზე ახალდანიშნული მისივე ძმა, ნიკოლოზ კოლიუბაკინი, შეცვალა); უფროსი წევრი – *სპირიდონ სიმონის ძე მაჭავარიანი*; უმცროსი წევრი – *ნიკოლოზ სიმონის ძე აბაშიძე*; წევრები – თავადების წარმომადგენლები: *ელიზბარ გიორგის ძე დადიანი*, *პეტრე ნიკოლოზის (ნიკოს) ძე დადიანი*; აზნაურების წარმომადგენელი – *კონსტანტინე მიხეილის ძე გაბუნია* (იხ. კავკაზსკი კალენდარ 1859: 12).

<sup>9</sup> (გვ. 218) **„...ჯერ კიდევ არ ვიცი“** – ხელნაწერში ამას მოსდევს მონაკვეთი, რომელიც ავტორს გადახაზული აქვს: „თქვენი უგანათლებულებსობა სხვათა შორის იმასაც მატყობინებს, რომ კანონი მეურვეს შემოსავლების 10%-ს ანიჭებს. ეს შეცდომაა: კანონი მეურვეს მხოლოდ 5%-ს ანიჭებს. რაც უფრო მეტია შემოსავალი, ცხადია, უკეთესია მეურვისათვის. ადრე კანონი მეურვეს ანიჭებდა ნახევარს იმ ახალი შემოსავლებისას, რომელთა წყაროები უშუალოდ მეურვის მიერვე იყო მოძიებული. ამჟამად ასეთი კანონი არ არსებობს. მაგრამ ეს მე ხელს არ შემიძლის, მოვიძიო შემოსავლის ახალი წყაროები, თუკი საამისო შესაძლებლობა მომეცემა“.

<sup>10</sup> (გვ. 218) **„თქვენი აღზევებული ოჯახი მე გულწრფელად იმიტომაც მიყვარდა, რომ მისგანაც სიყვარულს ვგრძნობდი“** – დიმ. ყიფიანს გულთბილი მეგობრობა აკავშირებდა ეკატერინე

დადიანის მშობლებთან: ალექსანდრე ჭავჭავაძესა და სალომე ორბელიან-ჭავჭავაძესთან (იხ. აქვე, გვ. 32-33, 325).

<sup>11</sup> (გვ. 219) **„ნაცვლად სილის შემოკვრისა, მადლობა მითხრათ“** – დიმ. ყიფიანის ეს მოლოდინი არ გამართლდა და მას მომდევნო წლებში ეკატერინე დადიანთან მწვავე ურთიერთობა და ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისთან სასამართლო დავები მოუწია (იხ. აქვე, გვ. 408-409).

<sup>12</sup> (გვ. 219) **„თუ ... ამის გამო სამსახურიდან გადადგომა მომინია...“** – დიმ. ყიფიანი 1862 წ. ივნისში სწორედ ეკატერინე დადიანისა და სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ინტერესთა დაცვისთვის დაითხოვეს (ფაქტობრივად, გააძევეს) სახელმწიფო სამსახურიდან (საკითხის შესახებ, აგრეთვე, წყაროები და ლიტერატურა იხ. ყიფიანი 2018: 424-425).

<sup>13</sup> (გვ. 219) **„მე და ჩემი ცოლი თავს მდაბლად გიკრავთ ... ელენე თავს უკრავს სალომესა და თამარს“** – ტექსტის ამ მონაკვეთში ნახსენები პირები არიან: **ცოლი** – ნინო ჭილაშვილ-ყიფიანი; **კოლია** – უფროსი ვაჟი დიმ. ყიფიანისა, **ნიკოლოზ ყიფიანი**; **მთავარი ნიკოლოზი** – ეკატერინე დადიანის ვაჟი ნიკოლოზ (ნიკო) დადიანი (მოგვიანებით დადიან-მინგრელსკი); **კოსტია** – ვაჟი დიმ. ყიფიანისა, **კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი**; **ანდრია** – უმცროსი ვაჟი ეკატერინე დადიანისა, **ანდრია დადიანი**; **ელენე** – ქალიშვილი დიმ. ყიფიანისა, **ელენე ყიფიან-ლორთქიფანიძე**; **სალომე** – ქალიშვილი ეკატერინე დადიანისა, **სალომე დადიან-მიურატი**; **თამარ** – ეკატერინე დადიანის ქალიშვილი **თამარ დადიანი**, პეტერბურგში გარდაცვლილი 1859 წელს.

## 95. გორის მაზრის სასამართლოსადმი

(გვ. 219-223)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №645. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1859 წ. 23 მაისი. ხელმოუწერელი.

იქვეა (საქ. №650. რუსულ ენაზე. ფ. 1) კანდინოვის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი ავტოგრაფული ჩამონათვალი („პროცესი სტეფანე ივ. კანდინოვთან 1858 წლის 25 ივნისიდან“):

1. პროცესი. გორის მაზრის უფროსისადმი. 1858 წ. 25 ივნისიდან – 1 ფურცელი.
2. შეტყობინება მაზრის უფროსისადმი №2155 – 1 ფურც.
3. ასლი გორის მაზრის სასამართლოს მიმართვისა ტფილისის პოლიციისადმი, №343 – 5 ფურც.
4. მისი დანართი – 1 ფურც.
5. კანდინოვის 1859 წ. 9 მარტის ახსნა-განმარტება – 4 ფურც.
6. ჩემი 1860 წ. 23 მაისის ახსნა-განმარტება – 2 ფურც.
7. ჩემი 1860 წ. 12 მარტის ახსნა-განმარტება – 2 ფურც.
8. 1862 წ. 4 ივნისის გადაწყვეტილება.
9. პალატის უწყება №6329.

#### დ. ყიფიანი

<sup>1</sup> (გვ. 219) **„კოლეგიის რეგისტრატორ ივანე კანდინოვის მიერ ჩემგან ნახსენები...“** – კანდინოვის სახელი და მამის სახელი სხვადასხვა (მათ შორის, გორისა და თბილისის სასამართლოებსა და პეტერბურგში არსებული მმართველი სენატის) ოფიციალურ მასალაში სხვადასხვაგვარად წერია; კერძოდ, 1858 წლის ჩათვლით – **სტეფანე ივანეს ძე კანდინოვი**, ხოლო 1859 წლიდან – **ივანე სტეფანეს ძე კანდინოვი** [ორივეს კოლეგიის რეგისტრატორის (Коллежский регистратор) ჩინი აქვს]. ჩვენი აზრით, ამ ფაქტს შეიძლება ასეთი ახსნა მოეძებნოს: შესაძლოა, 1858-1859 წწ. მიჯნაზე სტეფანე კანდინოვის ვალი მის შვილზე, ივანე კანდინოვზე, გადასულიყო.

<sup>2</sup> (გვ. 220) **„წარდგენილი აქვს გადახდის ხელწერილი“** – დაცულია აქ ნახსენები გადახდის ხელწერილის ასლი, რომელსაც თავზე დიმ. ყიფიანის ხელით აწერია: „ასლი ნაყალბევი ხე-



ლწერილისა, რომელიც თითქოს კანდინოვს მივეცი მის მიერ ვალის დაბრუნების შემდეგ“, ბოლოში კი მინაწერია: „ხელმონერა ჰგავს, თუმცა ნაყალბევია“ (როგორც ასლი, ისე დიმი. ყიფიანის მინაწერები რუსულ ენაზეა):

„1850 წლის 26 მარტს კოლეგიის რეგისტრატორ კანდინოვისგან მივიღე მის მიერ ჩემგან ორი, მიმდინარე თვის 15 და 20 რიცხვების, სავალო ხელწერილით აღებული ვალი ათას ოცდაათი მანეთი ვერცხლით. ამის შემდეგ აღნიშნულ სავალო ხელწერილებს არავითარი ძალა არ ექნება. მართალია, ვალდებული ვიყავი, სავალო ხელწერილები ბ-ნი კანდინოვისთვის უკან დამებრუნებინა, მაგრამ ამჟამად ამას ვერ ვაკეთებ, რადგან ხელწერილები დავკარგე. რაზედაც საკუთრად ხელს ვაწერ. დ. ი. ყიფიანი“ (ხეც. დიმი. ყიფიანის არქ., საქ. №641. რუსულ ენაზე. ფ. 1).

<sup>3</sup> (გვ. 221) „სპეციალური აღნიშვნის გარეშე...“ – ხელნაწერი: „...без заключительной кавычки“. „Кавычки“ რუსულ ენაზე „ბრჭყალებს“ ნიშნავს, თუმცა დიმი. ყიფიანი ოფიციალურ ქალღალღებზე ხელმონერისას იყენებდა არა ბრჭყალებს, არამედ გვარის ქვემოთ სვამდა ელიფსური ფორმის რკალს.

<sup>4</sup> (გვ. 222) „მიღებული არ არის მთავრული ასოს გამოყენება“ – 1917-1918 წწ. ორთოგრაფიულ რეფორმამდე რუსეთში ხელნაწერ ტექსტებში ჩვეულებრივი ამბავი იყო მთავრულ ასოებად განსხვავებული ასონიშნების გამოყენება. დიმი. ყიფიანი (*ივანეს ძე*) შესაძლოა აქ ამას გულისხმობდეს: *ИВАНОВИЧ* და არა: *ИВАНОВИЧ*, ან კიდევ შეიძლება მას მხედველობაში სხვა გარემოება ჰქონდეს: *ДИМИТРИЙ* (დიმი. ყიფიანი ზოგადად საკუთარი სახელის დანერვილობის ამ ფორმას იყენებდა და არა რუსულ ფორმას – *ДМИТРИЙ*) *ИВАНОВА СЫН* Кипиани და არა: *ИВАНОВА СЫН* Кипиани.

<sup>5</sup> (გვ. 223) „ჯერ კიდევ 1838 წლიდან ვმსახურობდე მთავარმმართველობაში“ – საკითხის შესახებ დიმი. ყიფიანი თავის

„მემუარებში“ წერს: „1838 წ. დასაწყისში [მთავარმართებლის] მაგიდის უფროსად დამნიშნეს სამეურნეო განყოფილებაში“ (ყიფიანი 2020: 156), თუმცა დიმ. ყიფიანის ნამსახურობის სიის მიხედვით, იგი მთავარმართებლის კანცელარიის მოხელედ დანიშნეს 1839 წ. 16 იანვარს, ხოლო იმავე წლის 8 თებერვალს კანცელარიის სამეურნეო განყოფილების მაგიდის უფროსად გადაიყვანეს (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №29, ფ. 89).

### 96. გიორგი მუხრანბატონისადმი (გვ. 223-225)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №199. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1859 წ. 10 ივნისი. ზუგდიდი. **ხელმოწერა:** Димитрий Кипиани.

ბოლოში (თარიღის შემდეგ) დართული აქვს ადრესატის ვინაობა (რუსულ ენაზე): „მის ბრწყინვალეობას, თ-დ გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის“.

წერილის ადრესატია **გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი)** (1821-1877) – ქეთევან ერეკლე II-ის ასულისა (1764-1840) და სახლთუხუცეს იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის (1757-1800) შვილიშვილი, შვილი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლის (1812-1839), კონსტანტინე მუხრანბატონისა, ძმა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის წინამძღოლის (1885-1891), ივანე მუხრანბატონისა; საიდუმლო მრჩეველი (*Тайный советник*), სენატორი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილის დაწერის დროს გ. მუხრანბატონი იყო კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი). 1872 წელს გ. მუხრანბატონმა თბილისში გამოაქვეყნა ბროშურა „О существе национальной

индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“ („ნაციონალური ინდივიდუალობის არსისა და მსხვილი სახალხო ერთეულების საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“; 1873 წელს გამოიცა პეტერბურგშიც, ხოლო 1877 წ. პარიზში დაიბეჭდა მისი ფრანგული თარგმანი). ავტორის შეხედულებით, მცირერიცხოვან ერთა გაბატონებულ ერებში სრული ასიმილაცია გარდაუვალი და პროგრესული მოვლენაა: „ის ხალხები, რომლებმაც აქამდე შეინარჩუნეს საკუთარი ტერიტორია და ენა, თავისი მცირერიცხოვნობის გამო მაინც განწირულნი არიან და ისინი სხვა, უფრო ძლიერი ხალხების, შემადგენელ ნაწილებად უნდა გადაიქცნენ... მცირე ხალხები ვერ შეძლებენ სრულყოფილი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნას, თავისი მშობლიური ენით ვერ შეიმეცნებენ საკაცობრიო ცივილიზაციის სიკეთეს... მსხვილ ეროვნულ ერთეულებში მცირერიცხოვანი ხალხის შერწყმა აუცილებელი და გარდაუვალი კანონზომიერებაა...“ და ა. შ.; გ. მუხრანბატონის ბროშურას ქართველ მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ს. მესხი, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსი, პ. უმიკაშვილი და სხვ.) მწვავე რეაქცია მოჰყვა (საკითხის შესახებ იხ. უთურაშვილი 1987: 155-165). გ. მუხრანბატონი გარდაიცვალა 1877 წლის 13 იანვარს საფრანგეთში (პარიზში). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში (ეპიტაფია იხ. ხუციშვილი 1961: 22).

<sup>1</sup> (გვ. 224) „ყოფილი სათავადაზნაურო კომისიებიცა...“ – იგულისხმება 1846 წ. მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით შექმნილი კომისიები, რომლებსაც როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში თავად-აზნაურთა წოდებრივი ღირსების საკითხი უნდა გაერკვია (იხ. აქვე, გვ. 327-328).

<sup>2</sup> (გვ. 224) „...თავად წერეთლის ა. თ. 4 რიცხვის №78 წერილს“ – დაცულია ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის (1858-1861) გრიგოლ სიმონის ძე წერეთლის (გრ. წერეთლის ნამსახურობის სია იხ. კეზევაძე 2009: 31-35) მიმართვა დიმი. ყიფიანისადმი (ვიმონშებთ სრულად):

„მონყალეო ხელმწიფეო,  
დიმიტრი ივანეს ძეგ

თქვენი აღმატებულება მეკითხებოდა, მართალია თუ არა, რომ პრაპორშნიკები დავით და სოლომონ, აგრეთვე, ჩინის არმქონენი: დიმიტრი, იოსებ, სიმონ, მანუჩარ, ზურაბ და ნიკოლოზ ნიჟარაძეები ფლობენ თავადურ ღირსებას და რა გზით შეიძლება ამის დამტკიცება?

მაქვს რა პატივი, ვიყო იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, ჩემს წმიდათანმიდა ვალად მიმაჩნია, მოგახსენოთ, მონყალეო ხელმწიფეო, რომ ხსენებულ პირთა და მათი ოჯახის წევრთა თავადური ღირსება, რომლითაც ისინი უხსოვარი დროიდან დღემდე სარგებლობენ, აქ არავითარ ეჭვს არ იწვევს. უფრო მეტიც, მთელს აქაურ თავადაზნაურულ საზოგადოებაში ერთობ უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა იმ ეჭვებმა, რომლებიც ქუთაისის ყოფილმა დროებითმა კომისიამ დათესა.

ერთადერთი მიზეზი ამ ეჭვებისა არის შემდეგი გარემოება: იმერეთის მეფეთა დროს სამი ღვიძლი ძმიდან ორი, აბესა და ზურაბ ნიჟარაძეები, სამეფო კარზე ხშირად ჩანდნენ, ხოლო მესამე ძმა, ბერი, გამოუსვლელად ცხოვრობდა თავის მამულში და ამიტომ საზოგადოება მას ნაკლებად იცნობდა. იმ კომისიის, ზემოაღნიშნული ბერის შთამომავალთა თავადური ღირსების თაობაზე ეჭვი რომ წარმოშვა, წევრები იყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც უაღრესად მწირი ცნობები ჰქონდათ ბერი ნიჟარაძეზე, ხოლო ზურაბი და აბესა იცოდნენ და თვლიდნენ მათ თავადებად. ამასთანავე, როგორც მთელი სიზუსტითა და საფუძვლიანობით გაირკვა, ნიჟარაძეებს თავადური ღირსება მინიჭებული აქვთ არა იმერეთის უკანასკნელ მეფეთა მიერ, არამედ გაცილებით უფრო ადრე – მე-17 საუკუნის მეორე ნახევრამდე. მათი წინაპარი ბახდირ ნიჟარაძე, როგორც ეს უკვე დადასტურებულია, სწორედ თავადთა ჩამონათვალშია იმ ფიცის წიგნში (დედანში: „...присяжный лист“ – თ. ჯ.), რომელიც 1650 წლის 14 სექტემბერს მეფე ალექსანდრეს

(იგულისხმება ალექსანდრე III, იმერეთის მეფე 1639-1660 წწ. – თ. ჯ.) მეფე ალექსი მიხეილის ძისტვის მიუცია და შეტანილია რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში. ეს კი 1847 წლის 14 თებერვლის ინსტრუქციის 22-ე პარაგრაფის II პუნქტის მიხედვით, რომელიც სახელმძღვანელოდ იყო მიცემული ქუთაისის ყოფილი დროებითი კომისიისთვის და ასეა ამჟამად დეპუტატთა საკრებულოსთვისაც, სხვა არაფერია, თუ არა პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ ზემოაღნიშნული პირები ფლობენ თავადურ ღირსებას. დადასტურებულია, რომ ბახდირ ნიჟარაძიდან მოკიდებული დღემდე მათ არ დაუკარგავთ ეს ღირსება და არც არასოდეს ყოფილან გამოსალების გადამხდელთა ფენას მიკუთვნებულნი.

მართალია, ხსენებული მტკიცებულება თავისთავად უდავო და უცილობელია, მაგრამ დეპუტატთა საკრებულოს მიერ საქმის წარმოებაში მიღებისას დამატებით სხვა აქტებიც იქნა წარმოდგენილი. ეს დამატებითი აქტები არ არის იმ ძალისა, რასაც ინსტრუქცია მოითხოვს, მაგრამ საკმარისია ეჭვების გასაფანტავად იმ შემთხვევაშიც კი, რომ არ შემონახულიყო ის პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც რუსეთის კანონთა კრებულშია შეტანილი.

გაცნობებთ რა ყოველივე ამას, თქვენო აღმატებულებავე, ვეყრდნობი აგრეთვე საკუთარ რწმენასა და საერთო აზრს თავადაზნაურობისას, რომლის წინამძღოლიც ვარ და რომელთა დამოკიდებულება საკითხისადმი ჩემთვის კარგად არის ცნობილი. ამიტომ, თუ ხსენებული ნიჟარაძეებისთვის თავადური ღირსების დამტკიცებას რაიმე სახის წინააღმდეგობა შეხვდება, მაქვს პატივი, უმორჩილესად გთხოვოთ, ჩემი ეს წერილი მიიღოთ როგორც ოფიციალური მიმართვა და წარუდგინოთ იგი კეთილმონყალე ხელმძღვანელობას.

ქეშმარიტი პატივისცემითა და სრული ერთგულებით,  
მაქვს პატივი, დავუთე თქვენი აღმატებულების  
უმორჩილესი მოსამსახურე  
თავადი **გრიგოლ წერეთელი**

4 ივნისი 1859 წლისა.

ქ. ქუთაისი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №199. რუსულ ენაზე. ფ. 2).

### 97. ეკატერინე დადიანისადმი (გვ. 225-226)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №706. ავტოგრაფი. ასლი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1859 წ. 25 ივნისი. გორდი. ხელმოწერელი.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 407-409.

<sup>1</sup> (გვ. 225) „**თავად კონსტანტინეს...**“ – იგულისხმება ეკატერინე დადიანის მაზლი *კონსტანტინე ლევანის ძე დადიანი*, რომელიც სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის, გარდაცვალების (1853 წ.) შემდეგ ნიკოლოზ I-ის მიერ დანიშნული იყო სამეგრელოს მმართველი საბჭოს ერთ-ერთ წევრად (აქტები 1885: 262; ყიფიანი 2020: 358).

<sup>2</sup> (გვ. 226) „**თავადი ირაკლი გაფუშვი**“ – იგულისხმება *ირაკლი ლორთქიფანიძე* (საკითხის შესახებ იხ. აქვე, აქვე, გვ. 426-427).

<sup>3</sup> (გვ. 226) „**სახლთუხუცეს თავისი უფლებები აღვუდგინე**“ – სამეგრელოში ამ დროს ორი სახლთუხუცესია: *დავით ოტიას ძე ჩიქოვანი* (სამთავრო სახლის სახლთუხუცესი) და *დავით (დათა) სალიკის ძე ჩიქოვანი* (ეკატერინე დადიანის სახლთუხუცესი). ძნელი სათქმელია, ამათგან რომელს გულისხმობს დიმ. ყიფიანი.

## 98. კორნელი ბოროზდინისადმი (გვ. 227-228)

**ნაბეჭდი:** კ. ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. [ტფილისი]: სახელმწიფო გამომცემლობა. 1934. გვ. 313-314. **თარიღი:** 1859 წ. 26 ივნისი. გორდი. **ხელმოწერა:** დ. ყიფიანი.

დიმ. ყიფიანის წინამდებარე წერილი ჩართულია კ. ბოროზდინის წიგნში „სამეგრელო და სვანეთი“ (დედანი წერილისა დაკარგულად უნდა ჩაითვალოს). იგი მოსდევს წიგნის შემდეგ მონაკვეთს: „დადგა ზაფხული, მოახლოვდა ივლისი. ამ თვეში საშინელი ცივება იცოდა სენაკში. წინა წლებსავით ავად არ გავხდე-მეთქი, და გადავწყვიტე ენკენისთვემდე მთელის ჩემის სამმართველოთი სადმე მთებში გადავბარგებულვიყავი. მთავრის საზაფხულო საცხოვრებელ ადგილს გორდს ამ მხარეში არცერთი ადგილი სჯობდა; თან ვიცოდი, რომ იქ დარჩენილი ცარიელი სახლები მოუვლელიობით ლპებოდა. ამიტომ დ. ყიფიანს მივწერე, ნება მოგვეცით ამ სახლებში დავდგეთ და, რაც ეღირება, მოგართმევთ-მეთქი. ამის პასუხად აი რა მომწერა ყიფიანმა...“ (ბოროზდინი 1934: 313).

წერილის ადრესატი **კორნელი ალექსანდრეს ძე ბოროზდინი** (1828-1896) იყო სახელმწიფო მოხელე, პროზაიკოსი, მემუარისტი, საქართველოში მსახურობდა 1853-1867 წწ.: ეკატერინე დადიანის მდივნად და შვილების აღმზრდელად (1853-1856), სენაკისა (1856-1861) და თელავის (1861-1865) მაზრების უფროსად, საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრად (1865-1867). ამის შემდეგ დატოვა საქართველო და ცხოვრობდა ჯერ მოსკოვში, 1870 წლიდან კი – პეტერბურგში, სადაც ბანქოს თამაშში ჩადენილი აფერისა და ვალებთან დაკავშირებული ქაღალდების გაყალბებისთვის გაასამართლეს

(კ. ბოროზდინზე იხ. ლეპიოხინი 1989: 316-317; იქვეა მისი თხზულებების ჩამონათვალი და ლიტერატურა მასზე).

კ. ბოროზდინი, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, ცდილობდა სამეგრელოს სამთავრო ოჯახის უფლებრივ დასუსტებასა და სამთავროს გაუქმებისთვის ნიადაგის მომზადებას, რის გამოც გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა დიმ. ყიფიანთან. შესაბამისად, დიმ. ყიფიანის, როგორც მეურვის, მოქმედებები მას ძირითადად ტენდენციურად აქვს გაშუქებული (იხ. ბოროზდინი 1934: 159-160, 280-282, 290-292, 311-320, 322, 324-328; საშვილიშვილო მოკავშირე... 2007: 52-68, 338-339).

<sup>1</sup> (გვ. 228) „**ნებას ვაძლევ თქვენს მეუღლეს**“ – კ. ბოროზდინის *მეუღლე* ქართველი იყო – *ოლლა პეტრეს ას. ქავთარაძე-ბოროზდინა* [„ჩემი სიდედრი იმერლის ქალი იყო და დიმ. ყიფიანს ნათესავად ხვდებოდა: დიდის ხნიდანვე იცნობდა ყიფიანს და დიდი მეგობრებიც იყვნენ“ – ნერს თავის მემუარებში კ. ბოროზდინი (ბოროზდინი 1934: 315)]. *ოლლა* და *კორნილი ბოროზდინების შვილი, ალექსანდრე ბოროზდინი (1863-1918)*, იყო ლიტერატურის ისტორიკოსი, მემუარისტი, მასონი, რუსული ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა თბილისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელსა (1891-1894) და პეტერბურგის უნივერსიტეტში (1895-1918) (ალ. ბოროზდინზე იხ. ლეპიოხინი 1989: 315-316).

## 99. გიორგი [დადიანისადმი]

(გვ. 228-229)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №703. ავტოგრაფი. გადათეთრებული. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1859 წ. 3 აგვისტო. გორდი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.



უშუალოდ წერილში ადრესატის მხოლოდ სახელია (გიორგი) მითითებული. დიმ. ყიფიანის არქივის აღწერილობის შემდგენელი ე. კელენჯერიძე ჩვენთვის უცნობ გარემოებებზე დაყრდნობით წერილის ადრესატად გიორგი დადიანს მიიჩნევს (აღწერილობა დიმ. ყიფიანის არქივისა იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამკითხველო დარბაზი, დიმ. ყიფიანის პირადი არქივი, გვ. 85). გიორგი დადიანია ადრესატად მითითებული დიმ. ყიფიანის არქივის შ. გოზალიშვილისეულ აღწერილობაშიც (გოზალიშვილი 1951: 120). ჩვენ ვიმეორებთ ამ მონაცემებს.

**გიორგი ნიკოლოზის** („დიდი ნიკოს“; დაახლ. 1764-1834) **ძე დადიანი** იყო აფხაზეთის მთავარ მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის (1806-1866) სიმამრი. გ. დადიანს სამეგრელოს სამთავრო ოჯახთან დავა ჰქონდა მიწებთან და გადასახადებთან დაკავშირებით [იხ. აქვე, გვ. კომენტ. 1; ხეც-ში (№№1115-1119) დაცულია გ. დადიანის 1863-1865 წწ. წერილები დიმ. ყიფიანისადმი (ძირითადად კერძო ხასიათისა), გაგზავნილი ნოლიდან, ჭკადუაშიდან და ლანჩხუთიდან].

<sup>1</sup> (გვ. 228) „**რიყის საქმეზედ...**“ – იგულისხმება სოფ. რიყე (ზუგდიდთან), რომელიც, როგორც ჩანს, სამეგრელოს სამთავრო ოჯახსა და გიორგი დადიანს შორის დავის საგანი იყო (დავა სხვა მიწებთან დაკავშირებითაც ჰქონდათ – იხ. აქვე, გვ. 158).

<sup>2</sup> (გვ. 229) „**პატარას თქვენს ნიკოს...**“ – იგულისხმება ნიკოლოზ (ნიკო) დადიან-მინგრელსკი.

<sup>3</sup> (გვ. 229) „**სამთავროდ უ[...]ჩესო...**“ – ხელნაწერი დაზიანებულია. ფურცლის მარჯვენა კიდე ჩამოხეულია და რამდენიმე წინადადების ბოლო სიტყვა/სიტყვები არ იკითხება.

<sup>4</sup> (გვ. 229) „**ვიზიტი გარდაგიხადო ჭკადუაშს**“ – გიორგი დადიანი ცხოვრობდა სოფ. ჭკადუაშში, აგრეთვე, ჰქონდა საზაფ-

ხულო სახლი „კურზუს საზღვართან, სვანეთის მთების ძირას, ზუგდიდიდან 65-70 კერსის მანძილზე“ (ყიფიანი 2019: 92).

### 100. დავით ოტიას ძე ჩიქოვანისადმი (გვ. 230)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №422. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ფ. 3. **თარიღი:** 1859 წ. 14 სექტემბერი. ხელმოუწერელი.

ეს არის დიმ. ყიფიანის მინაწერი სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სახლთუხუცესის, **დავით ოტიას ძე ჩიქოვანის**, მოხსენებაზე, რომლითაც დ. ჩიქოვანი ადრესატს აბარებს ეკატერინე დადიანის მიერ გამოგზავნილი ნივთების გაყიდვის ანგარიშს (თავზე დიმ. ყიფიანის ხელით რუსულად აწერია: „მიღებული მაქვს რვაასი მანეთი და ოთხმოცი კაპიკი და თანხა ზონარგაყრილ წიგნში ჩანერილია შემოსავლებში, 38-ე მუხლის ქვემოთ“).

1859 წელს ეკატერინე დადიანმა თბილისში გასაყიდად გამოგზავნა პარიზში ნაყიდი ნივთები, რომლის რეალიზაცია, როგორც ჩანს, დავით ჩიქოვანს ჰქონდა დავალებული (ნაწილი ნივთებისა ქუთაისში დარჩა და იქ გაიყიდა). დაცულია დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილი სია ამ ნივთებისა (ქართულ და რუსულ ენებზე; რუსულ ვარიანტს აქვს ხელმოწერა – Д. Кипиани): „ნივთნი მინგრელიის მთავრის საკუთვნელი ე. ი. პარიჟიდან მოტანილი“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №459. ფ. 4). სიაში ვკითხულობთ: „ერთი დიდი ბრონძის საათი. ფასი – 500 მანეთი, მეორე პატარა ტანისა ბრონძის საათი. ფასი – 300 მანეთი“ და ა. შ. (სიაში ჩამოთვლილია სხვადასხვა სახის, ზომისა და ფასის სასანთლები, ფარდები, აბრეშუმის ზონრები, აბრეშუმისვე ქსოვილები და სხვ.; შემოსული თანხის ჯამი, ამ სიის მიხედვით, არის 7265 მანეთი).

მიმართვას დიმ. ყიფიანის ხელითვე დართული აქვს: „მინ-  
ერილობა სახლთუხუცესთან 14 სექტემბერსა 1859, №155“.

### 101. ალექსი კრუზენშტერნისადმი (გვ. 230-243)

ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №423. სტამბურად ნაბეჭდი.  
რუსულ ენაზე. 4 გვ. **თარიღი:** 1859 წ. 6 ოქტომბერი. თბილისი.  
**ხელმოწერა:** Д. Кипиани.

წინამდებარე ნაბეჭდი მიმართვა გაგზავნილია „სამეგრე-  
ლოს მთავრის ქონებაზე უმაღლესად დამტკიცებული მეურვე-  
ობის“ სახელით და ხელმოწერულია, თუმცა ტექსტის ბოლო-  
ში რეალურ ავტორს ფანქრით მიუწერია – **Д. Кипиани**.

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 395-396.

<sup>1</sup> (გვ. 230) „**და ნ ა რ თ ი ვ**“ – საბუთებში არ ჩანს, კონკრეტ-  
ულად რომელი ტექსტის *დანართია* წინამდებარე მიმართვა.

<sup>2</sup> (გვ. 230) „**ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის...**“ – იგ-  
ულისხმება *გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე ერი-  
სთავი*.

<sup>3</sup> (გვ. 231) „**მეფისნაცვლის...**“ – იგულისხმება *ალ. ბარია-  
ტინსკი*.

<sup>4</sup> (გვ. 232) „**სამეგრელოს მმართველის**“ – იგულისხმება *მიხ.  
კოლიუბაკინი*.

<sup>5</sup> (გვ. 235) „**სოფლის საზოგადოება ირჩევს: სოფლის მამა-  
სახლისს ... სოფლის მოსახლეობის შიდა დავებისა თუ უთანხ-  
მოებების გასარჩევად**“ – დიმ. ყიფიანმა თავისი ამ მოსაზრების  
განსახორციელებლად შეიმუშავა სპეციალური დებულება,  
თუმცა მას კ. ბოროზდინის წერილის საფუძველზე გენერალ-

გუბერნატორი მიხ. კოლიუბაკინი წინააღმდეგა (ბოროზდინი 1934: 315-318; ჯორჯაძე 1989: 448-449).

<sup>6</sup> (გვ. 238) **„სულერთია, თუ როგორ ვილაპარაკებთ მასზე: როგორც სამეგრელოს მთავარზე, თუ როგორც კერძო მემამულეზე“** – სინამდვილეში წინამდებარე და არაერთი სხვა დოკუმენტური მასალის მიხედვით, როგორც ადგილობრივ, ისე კავკასიის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დიმ. ყიფიანის შეტაკებების არსებითი ხასიათის მიზეზი სწორედ ეს იყო: ვის ქონებას იცავდა და განაგებდა მეურვეობა (და, შესაბამისად, დიმ. ყიფიანი) – სამეგრელოს **მთავრისას**, როგორც დიმ. ყიფიანს სურდა, თუ სამეგრელოს **კერძო მემამულისას**, როგორც ხელისუფლებას სურდა. ეს კი, თავის მხრივ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამეგრელოს **სამთავროს** ყოფნა-არყოფნის საკითხთან (საკითხის შესახებ იხ. ჯორჯაძე 1989: 446-453).

<sup>7</sup> (გვ. 238) **„შემოდებამდე იყო ქართლ-კახეთში...“** – დედანში: „...в Грузии“ („საქართველოში“). აქ იგულისხმება აღმოსავლეთი საქართველო (ქართლ-კახეთი, თბილისის გუბერნია).

<sup>8</sup> (გვ. 243) **„მოითხოვოთ ვრცელი ახსნა-განმარტება ... ჩემსა და გენერალ კოლიუბაკინს შორის არსებული უთანხმოების შესახებ“** – აქ ნახსენები ახსნა-განმარტება იხ. აქვე, დიმ. ყიფიანის 1859 წ. 7 ნოემბრის მიმართვა იმავე ა. კრუზენშტერნისადმი (წერილი №104).

## 102. ალექსი კრუზენშტერნისადმი

(გვ. 244)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №743. ავტოგრაფი. შავი. რუსულ ენაზე. ფ. 1. **თარიღი:** 1859 წ. 29 ოქტომბერი. ხელმოწერული.

ბოლოში დართული აქვს (რუსულ ენაზე): „მის აღმატებულე-ბას, ა. თ. კრუზენშტერნს“.

საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 379.  
ადრესატის შესახებ იხ. აქვე გვ. 395-396.

### 103. ეკატერინე დადიანისადმი (გვ. 244-246)

**ხელნაწერი:** ზსიამ. ლ. ა. №1836. ავტოგრაფი. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 2. **თარიღი:** 1859 წ. ოქტომბერი. **ხელმოწერა:** დიმიტრი ყიფიანი.

უშუალოდ ტექსტს თარიღი არ უზის, თუმცა წერილის თავზე დიმიტრი ყიფიანის, როგორც ჩანს, გვიანდელი მინაწერია: „ЭТО ПИСАНО В ОКТЯБРЕ 1859 ГОДА“ („დაწერილია 1859 წლის ოქტომბერში“). ტექსტიც ამის მიხედვით თარიღდება.

წერილის ავტორისა და ადრესატის ურთიერთობის შესახებ იხ. აქვე, გვ. 407-409.

<sup>1</sup> (გვ. 244) **„მენგრელიის მმართველმა ... ღენერალ-ლუბერნატორისაგან ... ყოველივე ნამესტნიკს მოვახსენე“** – იგულისხმებიან: ა) სამეგრელოს მმართველი (1858-1861 წწ.) *მიხეილ კოლიუბაკინი*; ბ) ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (1858-1861 წწ.) *გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე ერისთავი*; გ) კავკასიის მეფისნაცვალი („ნამესტნიკი“) (1856-1862) *ალექსანდრე ბარიატინსკი*.

<sup>2</sup> (გვ. 244) **„გიორგი მუხრანსკის გავაშინჯე, რადგან იმის დეპარტამენტში უნდა შევიდეს“** – *გიორგი მუხრანბატონი* (მუხრანსკი, ბაგრატიონ-მუხრანსკი) ამ დროს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სასამართლოს საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი იყო (იხ. კავკასიის კალენდარ 1859: 5).

<sup>3</sup> (გვ. 245) **„მართვა და განმგებლობა ჩემს დაბრუნებაამდე არჩილ დადიანოვს მივანდე“** – მოგვიანებით, 1866 წლის

გაზაფხულიდან, სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სახლთუხუცესი არჩილ დადიანი ხდება. დაცულია მისი წერილი ეკატერინე დადიანისადმი (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №439. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1), რომელსაც აქ სრულად ვიმონუმებთ:

„მისს უგანათლებულესობას,  
უმონყალესს ხელმწიფას, მენგრელიის მთავრინას  
ეკატერინა ალექსანდრეს ასულს!

მხურვალის გულით ვევედრები ყოვლად ძლიერს ღმერთსა სიმართლით სუფევდეთ ერთად შვილებიანად. მე ჩემის მთავრის ნიკოლოზ დადიანისა და თქვენის მოწერილობით ბრძანებისაებრ ერთგულის სამსახურისადმი მივისწრაფე, დაფუძნებული ყოვლის გრძნობით, რათა ვაჩვენო სიმარჯვე და სისწორე მოლოდებისა, რასა შინაცა მითვისებს მე ჩვეულება, მაგრამ მაიძულებს სინიღისი რომელთამე დანახულებათათვის, რომელ სამთავრო სასახლე ზუგდიდისა, აბასთუმნისა, სალხინოსა და ბალი აბასთუმანისა ერთობ ნამხვთარა და გაფუჭებულა. ეგრეთვე ჯერ არ მინახავს, თორემ ლეჩხუმის სასახლეთა და ამგვართათვის მსგავსადვე მესმის. მსურს შევაკეთო ესენი, გარნა მე არცა მაქვს ჯერეთ ბრძანება ესრეთისა და არცა გახლავარ ჯერეთაც მიშვებულ ჩემის თანამდებობის უფლებაში, რასა შინაცა მანვეს ერთგული მხურვალეება გულს-მოდგინებისა თანამდებობისა განკეთილებისა და დაცვისათვის სასახლეთა, ტყეთა და ველთა და რავდენი რა ქმნილა გაფუჭება, გინა დაკლება. ამასთან სასახლის მოხელეთა, რომელთაცა თქვენ სცნობდით ერთგულად, იგინი განგდებულან და მათს ადგილზე არიან ისეთნი, რომელთაც არ იცნობდით და ვერცა მე ვსცნობ იმ ერთგულებაშიდ. ერთად იმისა, რომელ ერთგული მეჯოგე დათილა გოგელიანიც დათხოვნილა და იმის ადგილზე განწესებულის დროშიდ დიდი ზარალი მომხდარა ჯოგებისა. – მაგ ნაირათ ახალთ მოხელეთა ვერ ვატყობ, რომ შეიძლებოდეს

განშორება ზარალისა და უსწოროებისა. ეს გარემოება სასახლის მოხელეთათვის ამასთან მოვახსენე ოპეკუნს დიმიტრი ივანიჩს და ამათ ყოველთათვის მოველი თქვენსა ბრძანებასა უშურველის თავდადებით მეცადინე უბინოისა სამსახურისა მით, რათამცა მე საკუთრად მექმნეს ჩემის სახლთ-უხუცესის თანამდებობის უფლება, და სხვა ვინმე ოდიშს და ლეჩხუმს არ მეცილებოდეს. –

თქვენის უგანათლებულესობისა უმორჩილესი მოსამსახურე,  
სახლთხუცესი **არჩილ დადიანი**

3 მარტს 1866 წელსა.

ზუგდიდი“.

იქვეა (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №1114. დედანი. ქართულ ენაზე. ფ. 1) არჩილ დადიანის იმავე თარიღით გაგზავნილი წერილი დიმ. ყიფიანისადმი (ვიმონუმებთ სრულად):

„თქვენო აღმატებულებაჲ,  
მონყალეო ხელმწიფეჲ,  
დიმიტრი ივანეს ძეჲ!

თანახმად ჩემის მთავრის და მთავრინას ბრძანებისა და თქვენის მონწერილობისა, გახლავართ სამსახურსა შინა თვისისა თანამდებობისასა, რომლითაც მე მოვალედ ვპოვებ თავსა თვისსა დანახულნი ჩემიერ დამაბრკოლებელნი საგანნი მოვანწევინო ცნობადმდენ, რომელ მთავრის ნამსახურნი და ერთგულად იცნობებოდენ, ისეთნი მოხელენი არცა ერთნი არიან, და რომელნიც დაყენებულან, მე ვერ დავინახე სამთავრო სახლისადმი შესაფერს ერთგულებასა და სისწორეშიდ, რომლებთა დაუდევენლობით სასახლეები და ბაღი, ნამეტურ აბასთუმნისა, ერთობ წამხვთარა და გაფუჭებულია. ამასთან მრავალი უნესო მოქმედება და დავალება სჩანს მათ მიერ, რომელთა თანა სამსახურის შესრულებას საქნელოდ ვხედავ და ამ მოხსენებასა თანა ვითხოვ თქვენსა განკარ-

გულეზასა, რათა მექმნეს მე საკუთრივ უფლება ჩემისა სახლთ-უხ-  
უცესობის თანამდებობისა და სხვა ვინმე ოდიშს და ლეჩხუმს არ  
მეცილებოდეს თქვენის განკარგულების გარეშედ. —

თქვენის აღმატებულების უმორჩილესი მოსამსახურე,  
სახლთხუცესი, კნიაზი **არჩილ დადიანი**

3 მარტს 1866 წელსა.

ზუგდიდი“.

<sup>4</sup> (გვ. 245) **„სახუცესის სამდურავი აქვსთ ხელზედ დახვეუ-  
ლი“** — სამეგრელოში ამ დროს ორი სახუცესი (სახლთუხუცე-  
სი) იყო: სამთავრო ოჯახისა — *დავით ოტიას ძე ჩიქოვანი* და  
საკუთრივ ეკატერინე დადიანისა — *დავით (დათა) სალიკის ძე  
ჩიქოვანი*. ძნელი სათქმელია, ამათგან რომელს გულისხმობს  
დღმ. ყიფიანი.

<sup>5</sup> (გვ. 246) **„ჩემს პატარა ბატონს ნიკოს, ძმით და დები-  
თურთ“** — იგულისხმებიან ეკატერინე დადიანის შვილები: *ნი-  
კოლოზ (ნიკო), ანდრია, სალომე* და *თამარ დადიანები* (თამარი  
ამ წერილის დაწერიდან ცოტა ხანში პეტერბურგში გარდა-  
იცვალა).

<sup>6</sup> (გვ. 246) **„ნამესტნიკისათვის რომ წიგნი მოგიწერიათ და  
დიდი გამარჯვება მოგილოცავეთ“** — აქ უნდა იგულისხმებოდეს  
მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის მიერ შამილის დატყვევება  
ლუნიბში 1859 წ. 26 აგვისტოს (ვრცლად იხ. ზისერმანი 1890:  
283-296).

#### 104. [ალექსი კრუზენშტერნისადმი]

(გვ. 246-260)

ხეც. დღმ. ყიფიანის არქ., საქ. №424. სტამბურად ნაბეჭ-  
დი. ასლი. რუსულ ენაზე. 7 გვ. **სათაური:** „Переписка между  
генерал-майором Колюбакиным и действительным статским  
советником Кипиани“ [„მიმოწერა გენერალ-მაიორ კოლიუ-



ბაკინსა და ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველ ყიფიანს შორის“].  
**თარიღი:** 1859 წ. 7 ნოემბერი. ხელმოწერელი.

საბუთში არ ჩანს მიმართვის კონკრეტული ადრესატი. თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა (III; 6 ოქტომბრისა) და მომდევნო (V; 7 ნოემბრისა) დანართების ადრესატი ალექსი კრუზენშტერნია, ლოგიკური იქნება, რომ წინამდებარე დანართის ადრესატიც იგივე ა. კრუზენშტერნი იყოს.

ა. კრუზენშტერნის შესახებ იხ. აქვე, გვ. 395-396.

<sup>1</sup> (გვ. 246) **„ჩემი წინამორბედებისგან...“** – იგულისხმებიან თავდაპირველი მეურვეები: *დავით ჭავჭავაძე* და *ალექსანდრე ნიკოლაი* (საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 408).

<sup>2</sup> (გვ. 247) **„რასაც ადრე ბარონს ვწერდი“** – იგულისხმება ბარონი *ალექსანდრე ნიკოლაი*.

<sup>3</sup> (გვ. 247) **„მეფისნაცვლის ნებართვით...“** – იგულისხმება *ალექსანდრე ბარიატინსკი*.

<sup>4</sup> (გვ. 247) **„ჩავედი ზუგდიდში 4 ივნისს...“** – წინამდვილეში დიმი. ყიფიანი ზუგდიდში 3 ივნისს ჩასულა. 4 ივნისს იგი ზუგდიდიდან თბილისში მეუღლეს, ნინო ჭილაშვილ-ყიფიანს სწერს – გუშინ ჩამოვედიო [ვიმონმებთ წერილის მონაკვეთებს. სრულად იგი შესაბამის ტომში (წერილები ოჯახის წევრებისადმი) დაიბეჭდება]:

„უკვე ზუგდიდში ვარ. ჩამოვედი გუშინ, სალამოს 5 საათისთვის და აქაურ დიდებულ ბაღში დავბინავდი. ბარგი დაახლოებით ორი საათით ჩამოგვრჩებოდა. ამიტომაც, რაც არ უნდა მეგობრული ურთიერთობა მქონდეს მიხეილ პეტრეს ძესა და მარია ვასილის ასულთან (მიხეილ კოლიუბაკინი და მისი მეუღლე – თ. ჯ.), არ მინდოდა მათ მგზავრობისგან გაჭუჭყიანებული და გაუპარსავი დავნახვებოდი. თუმცა მიხეილ პეტრეს ძემ თვითონ მოიბრძინა და 6 საათისთვის ისევე, როგორც ვიყავი, თავისთან სადილზე ძალით წამიყვანა. ... ვერც წარმოიდგენ, ნიჩურკა, რა მშვენიერია

სამეგრელო, განსაკუთრებით, თუ იმ გზით ივლი, რომლითაც მე ვიარე – ზემო სამეგრელოს რომ ეძახიან. ძალიან მომინდა, დამეცა კარავი ყოველ გორაკზე, ყოველ მინდორზე და აქ დავრჩენილიყავი მთელი დღეების განმავლობაში, რათა დავმტკბარიყავი ხედებით, რომელთა სილამაზეს წარმოდგენითაც კი ვერ წარმოიდგენ. ეს გზა, უნდა გითხრა, ერთმანეთზე გადაბმული აღმართები და დაღმართები, ანუ გორები და ველებია. თავისთავად იგი მომქანცველია – 60 კილომეტრზე მეტ მანძილზეა გაჭიმული, მაგრამ როცა მზე არ აცხუნებს, სიცივე არ გსუსხავს, წვიმა არ გასველებს, ღრუბლები უზარმაზარ **ქოლგად** არის **ჰორიზონტის** თავზე გაშლილი, ადამიანი ისეთ შთაგონებასა და სიამოვნებას ეძლევა, რომ ფიზიკურ სიძნელებს იოტისოდენ ყურადღებასაც არ აქცევს და დაღლილობასაც სრულებით ვერ გრძნობს. – ასე ჩამოვედი ზუგდიდში და, თითქოს მე მელოდებოდაო, წვიმამაც დაუშვა და მთელი ღამე გადაუღებლად ასხამდა. ახლა დილის 8 საათია და აყვავებული ბუნება ისევ დღის შუქითაა გაბრწყინებული. – საქმეები, რომელთა გასასწორებლად აქ ვარ ჩამოსული, დიდ შრომას მოითხოვს. თუ მიხეილ პეტროვიჩთან უთანხმოება არ მომივიდა, ყველაფერი კარგად წავა“ (ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №816. რუსულ ენაზე. ფ. 1).

<sup>5</sup> (გვ. 247) **„ლორთქიფანიძე დავითხოვე“** – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის მამულებისა და ქონების მმართველის (მოურავის), *ირაკლი ლორთქიფანიძის*, *დათხოვნის* შესახებ იხ. აქვე, გვ. 426-427.

<sup>6</sup> (გვ. 248) **„მთავრის დაბრუნება სრულწლოვანების მიღწევამდე“** – ნიკოლოზ დადიანი მთავრის უფლება-მოვალეობათა შესრულებისთვის აუცილებელი ასაკისა (ოცი წლისა) 1867 წლის 4 იანვარს გახდა და მან იმპერატორ ალექსანდრე II-ს იმავე დღეს წარუდგინა უქვეშევრდომილესი მოხსენება მთავრის უფლებებზე ნებაყოფლობით უარის თქმისა და სამეგრელოს სამთავროში რუსეთის უშუალო მართვა-გამგეობის

შემოღების შესახებ (ტექსტი მოხსენებისა იხ. ყიფიანი 2017: 262-263).

<sup>7</sup> (გვ. 252) **„ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს...“** – იგულისხმება გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე ერისთავი.

<sup>8</sup> (გვ. 254) **„ასე, მაგალითად...“** [...] **[გიორგი რ. ერისთავისადმი]** – ტექსტს ბეჭდვის ხარვეზი აქვს – მართალია, წესისამებრ მე-4 გვერდს მე-5 მოსდევს, მაგრამ გვერდიდან გვერდზე გადასვლისას გამოტოვებულია მონაკვეთი; კერძოდ, გენერალ-კოლიუბაკინის პასუხის ბოლო ნაწილი და დიმ. ყიფიანის მიერ გიორგი რ. ერისთავისადმი მიმართვის პირველი მონაკვეთი. ტექსტის შევსება-გამთლიანებისთვის საჭირო სხვა წყაროების მოპოვება ჩვენ ვერ შევძელით.

<sup>9</sup> (გვ. 255) **„მეურვეობისადმი მამასახლისებისა და უმაღლესი სამოქალაქო სასამართლოს დაქვემდებარება არ შეესაბამება მეურვეობის საერთო წესებს“** – ეს წინადადება, როგორც ჩანს, ციტატაა მიხ. კოლიუბაკინის წერილის იმ მონაკვეთისა, რომელიც ბეჭდვის ხარვეზის გამო ტექსტში გამოტოვებულია“ (იხ. წინა კომენტარი).

<sup>10</sup> (გვ. 256) **„მცირეწლოვანი მთავარი იმყოფება უმაღლესი მფარველობის ქვეშ“** – უმაღლეს მფარველში იმპერატორი ალექსანდრე II იგულისხმება.

<sup>11</sup> (გვ. 256) **„აღწერილობის შედგენა დამეკისრა მე ... დაქვრივებული მმართველი დედოფლის წარმომადგენლები-სგან“** – სამეგრელოს სამთავრო ოჯახის ადგილ-მამულისა და ქონების საინვენტარო აღწერილობის შესახებ ვრცლად იხ. დიმ. ყიფიანის „დღიური 1857-1858 წლებისა“ (ყიფიანი 2020: 79-118).

<sup>12</sup> (გვ. 256) **„სამეგრელოს საბჭოს...“** – სამეგრელოს საბჭოს იმდროინდელი შემადგენლობა იხ. აქვე, გვ. 409-410.

<sup>13</sup> (გვ. 260) **„ოლქის უფროსს...“** – იგულისხმება სენაკის ოლქის იმდროინდელი უფროსი კორნელი ბოროზდინი.

## 105. ალექსი კრუზენშტერნისადმი (გვ. 260-297)

**ხელნაწერი:** ხეც. დიმ. ყიფიანის არქ., საქ. №425. სტამბუ-რად ნაბეჭდი. ასლი. რუსულ ენაზე. 9 გვ. **სათაური:** Записка Д.С.С. Кипиани, поданная начальнику главного управления Наместника Кавказского [ნამდვილი სამოქალაქო მრჩევლის, ყიფიანის, მოხსენება წარდგენილი კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსისადმი]. **თარიღი:** 1859 წ. 7 ნო-ემბერი. ხელმოუწერელი.

სათაურიდან ჩანს, რომ მიმართვის ადრესატია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსი. ამ თანამდებობაზე კი იმ დროს ალექსი კრუზენშტერნი იყო (იხ. შესაბამისი წლების „კავკაზსკი კალენდარ“).

ადრესატის შესახებ იხ. აქვე, გვ. 395-396.

<sup>1</sup> (გვ. 260) **„ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისთვის...“** – იგულისხმება *გიორგი რევაზის (რომანის, რომანოვის) ძე ერისთავი*, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1858-1861 წწ.

<sup>2</sup> (გვ. 261) **„ვალდებული გლეხებით არის დასახლებული“** – *ვალდებული გლეხები (Обязанные крестьяне)*: ყოფილი ყმაგლეხები, რომლებსაც რუსეთის იმპერიაში 1842 წელს შემოღებული წესის მიხედვით, მოპოვებული ჰქონდათ პირადი თავისუფლება, თუმცა ცხოვრობდნენ მემამულის მიწაზე და მასთან სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული გადასახადები ჰქონდათ დაკისრებული.

<sup>3</sup> (გვ. 263) **„პირი, რომელსაც მთავრის ტიტული ჰქონდა დამტკიცებული, 1857 წელს 10 წლისა იყო. ამის გამო სამეგრელოს მართავდა მისი დედა...“** – იგულისხმებიან: *ნიკოლოზ (ნიკო) დავითის ძე დადიანი* და მისი დედა – *ეკატერინე დადიანი*.

<sup>4</sup> (გვ. 263) **„უმაღლესად დანესებულ საბჭოსთან ერთად“** – აქ ნახსენები *საბჭოს* შესახებ იხ. აქვე, გვ. 409-410.

<sup>5</sup> (გვ. 263) **„1857 წელს იქ მოხდა არეულობა“** – იგულისხმება სამეგრელოს გლეხთა 1856-1857 წწ. აჯანყება უტუ მიქავას ხელმძღვანელობით, რაც ხელისუფლებამ სამეგრელოს სამთავრო ტერიტორიაზე რუსული ჯარის შეყვანის საბაზად გამოიყენა.

<sup>6</sup> (გვ. 269) **„ხელოსნები დგებიან სამეურნეო მმართველობისა და არა პოლიციის სამსახურში“** – *ხელოსნების* შესახებ იხ. აქვე, გვ. 422.

<sup>7</sup> (გვ. 269) **„დავისა თუ უთანხმოების სხვაგვარად გარჩევა...“** [...] **[მიხეილ კოლიუბაკინი] „...რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მთავარი სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ ნებაყოფლობით დათმობს მთავრის ნოდებას“** – ისევე, როგორც ალექსი კრუზენშტერნისადმი გაგზავნილ წინა წერილში, აქ ტექსტს ბეჭდვის ხარვეზი აქვს – მე-4 გვერდს მე-5 მოსდევს, თუმცა გვერდიდან გვერდზე გადასვლისას გამოტოვებულია დიმი. ყიფიანის ტექსტის ბოლო ნაწილი და მიხ. კოლიუბაკინის მიერ დიმი. ყიფიანისთვის მიწერილი პასუხის დასაწყისი.

<sup>8</sup> (გვ. 273) **„გიორგი რომანის ძეს მივმართე“** – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი *გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე ერისთავი* იგულისხმება.

<sup>9</sup> (გვ. 281) **„მის უგანათლებულებობას“** – იგულისხმება მცირეწლოვანი ნიკოლოზ დადიანის მთავარი მეურვე *ეკატერინე დადიანი*.

<sup>10</sup> (გვ. 283) **„ლენჩუმში ისე გავემგზავრე, ბოროზდინისთვის პასუხი არ გამიცია“** – მთელი ეს ისტორია კ. ბოროზდინს ტენდენციურად აქვს აღწერილი თავის მოგონებებში (ბოროზდინი 1934: 315-318).

<sup>11</sup> (გვ. 285) **„ლენჩუმის ოლქის უფროსსაც გაეგზავნა“** – *ლენჩუმის ოლქის უფროსი* ამ დროს არის კაპიტანი *კონსტანტინე მათეს ძე მიქელაძე*.

<sup>12</sup> (გვ. 289) „**დარჩენის...**“ – სოფ. *დარჩელი* (ამჟამად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელი) დიმ. ყიფიანის ნანგრევებსა და XIX ს. არაერთ წყაროში იხსენიება **დარჩენის** სახელწოდებით.

<sup>13</sup> (გვ. 290) „**ანჩაბაძეების დარჩენის მამულის კონფისკაციისა და მთავრის ადგილ-მამულისთვის მისი მიერთების შესახებ**“ – საკითხის შესახებ იხ. აქვე, გვ. 179, 189-190.

<sup>14</sup> (გვ. 291) „**1856 წელს, მთავრის მეუღლის მოსკოვში გამგზავრებამდე**“ – შვილების სათანადოდ აღზრდის საბაბით 1857 წ. პეტერბურგში შვილებითურთ „მინვეული“ ეკატერინე დადიანი მანამდე, 1856 წ. აგვისტოში, ამალით მოსკოვში, იმპერატორ ალექსანდრე II-ის კორონაციაზე, იმყოფებოდა. კორონაციის შემდეგ იმპერატორის მიერ პეტერბურგში მინვეული ეკატერინე დადიანი იქ 1857 წ. გაზაფხულამდე დარჩა (ბოროზდინი 1934: 68-71).

## დამონეზანი

- აბზიანიძე 1940:** აბზიანიძე გ., ნ. ბარათაშვილის ერთი ლექსის გენეზისი. „ლიტერატურის მატინე“. წგნ. 1-2. 1940.
- ავალიანი 1967:** ავალიანი გ. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან (ქართველი მხედართმთავრები რუსეთის არმიაში). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1967.
- არზანოვი 1827:** Арзановы. Опыт начертания Царства Армянского. Древняя история, украшенная 26 гравированными картинами. Москва: тип. С. Селивановского. 1827.
- ასათიანი 1940:** ასათიანი ლ. ცხოვრება აკაკი წერეთლისა. თბილისი: ფედერაცია. 1940.
- აქტები 1866:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. I. Тифлис: типография главного управления Наместника Кавказского. 1866.
- აქტები 1870:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. IV. Тифлис: типография главного управления Наместника Кавказского. 1870.
- აქტები 1874:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. VI. Ч. I. Тифлис: Типография главного управления Наместника Кавказского. 1874.
- აქტები 1881:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. VIII. Тифлис: Типография Главного Управления Наместника Кавказского. 1881.
- აქტები 1885:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. X. Тифлис: типография главного управления Наместника Кавказского. 1885.

- აქტები 1888:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. XI. Тифлис: типография канцелярии Главного начальствующего гражданскою частью на Кавказе. 1888.
- აქტები 1904:** Акты, собранные Кавказской археографической комиссией. Т. XII. Тифлис: Типография канцелярии Главного начальствующего гражданскою частью на Кавказе. 1904.
- ახვერდიანი 2002:** ახვერდიანი რ. გავრილ ტოკარევი – დაუმსახურებლად მივიწყებული დირექტორი. გაზ. „ქართული წიგნი“. 2002, თებერვალი, №2.
- ბალახაშვილი 1940:** ბალახაშვილი ი. ლიტერატურული წრეები და სალონები საქართველოში (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). თბილისი: საბლიტგამი. 1940.
- ბარათაშვილი 1922:** ბარათაშვილი ნ. ლექსები. ბედი ქართლისა. წერილები. ს. ფირცხალავას გამოცემა, ი. მეუნარგიას წინასიტყვაობით. ტფილისი: 1922.
- ბარბაქაძე 1998:** ბარბაქაძე ც. „მელიტონი... ტფილისისთვის ხომ არ ოხრავს?“ გაზ. „სიტყუაი“, III (მარტი). 1998, №3.
- ბეზნოსოვი 1989:** Безносов Э. Л. Вердеревский Евграф Алексеевич. // Русские писатели. 1800-1917. Биографический словарь. Т. I. Москва: „Советская энциклопедия“. 1989.
- ბერიძე 1977:** ბერიძე თ. ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია. თბილისი: მეცნიერება. 1977.
- ბერძენიშვილი 1965:** ბერძენიშვილი ნ. საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში. // ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წგნ. II. თბილისი: მეცნიერება. 1965.
- ბერძნიშვილი 1980:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბილისი: მეცნიერება. 1980.
- ბერძნიშვილი 1983:** ბერძნიშვილი მაქს. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. II. თბილისი: მეცნიერება. 1983.



- ბოგომოლოვი 1984:** Богомолов И. Из истории общественно-литературного содружества русского и грузинского народов (В. Соллогуб, Е. Вердеревский, А. Афанасьев-Чужбинский). // Богомолов И. Тропую дружбы. Тбилиси: издательство „Мерани“. 1984.
- ბოროზდინი 1934:** ბოროზდინი კ. სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი. თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. [ტფილისი]: სახელმწიფო გამომცემლობა. 1934.
- ბროკჰაუზი-ეფრონი 1895:** Брокгауза и Ефрона энциклопедический словарь. Кн. 30. Т. XV<sup>a</sup>. Санкт-Петербург: Типо-Литография И. А. Ефрона. 1895.
- ბუტკოვი 1869:** Бутков П. Г. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год (в 3 частях). Ч. II. Санкт-Петербург: Тип. Императорской академии наук. 1869.
- გერსამია 1950:** გერსამია ს. გიორგი ერისთავის თეატრი. თბილისი: სახელგამი. 1950.
- გოგოლაძე 1959:** გოგოლაძე დ. კაპიტალისტური სანარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830-1864 წწ.). თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1959.
- გოგოლაძე 1973:** გოგოლაძე დ. ბრძოლა ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ ოცეულში. // საქართველოს ისტორიის ნარკვევები (რვა ტომად). ტ. IV (ტომის რედაქტორი მ. დუმბაძე). თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1973.
- გოზალიშვილი 1935:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1935.
- გოზალიშვილი 1951:** დიმიტრი ყიფიანის არქივი. შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილმა. შ. ჩხეტიას რედაქციით. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. 1951.
- გოზალიშვილი 1970:** გოზალიშვილი გ. 1832 წლის შეთქმულება. ტ. II. თბილისი: მერანი. 1970.

- გომართელი 1966:** გომართელი ივ. კონსტანტინე დიმიტრის ძე ყიფიანი. // ივ. გომართელი. რჩეული თხზულებანი (ორ ტომად). შეადგინა, ნარკვევი „ივ. გომართელის ცხოვრება და მოღვაწეობა“ და ბიბლიოგრაფია დაურთო ვ. წონელიამ. ტ. II. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება. 1966.
- გოცაძე 1954:** გოცაძე მ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია. I. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1954.
- გრიშაშვილი 1952:** გრიშაშვილი ი. ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალის აკლდამა ვიბორგში. // ი. გრიშაშვილი. ლიტერატურული ნარკვევები. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა. 1952.
- გუგუშვილი 1937:** გუგუშვილი პ. ნიკ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის (ახალი მასალები). ჟურნ. „მნათობი“, 1937, №4.
- გუგუშვილი 1956:** გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. II. თბილისი: სახელგამი. 1956.
- გურგენიძე 1969:** გურგენიძე ნ. ძველი წიგნსაცავები საქართველოში. თბილისი: საბჭოთა საქართველო. 1969.
- გურული 2017:** გურული ვ. საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918). ნგნ. I. თბილისი: ქართული უნივერსიტეტი. 2017.
- დანელია 1993-1994:** დანელია ფ. „მსგავსი კაცები ერთობ იშვიათად იბადებიან“. დიმიტრი ყიფიანი საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალების მიხედვით. „საისტორიო მოამბე“. [ტ.] 65-66. 1993-1994.
- დიუმა 1970:** დიუმა ალ. კავკასია (მოგზაურობის შთაბეჭდილებანი). თარგმანი თ. ქიქოძისა. რედაქცია, შესავალი წერილი და შენიშვნები ა. განერელიასი. თბილისი: მერანი. 1970.
- ერისთავი 1927:** ერისთავი რ. ბატონყმობა სამეგრელოში. // ბოროზდინი კ., ერისთავი რაფ., მურიე. ბატონყმობა სამეგრელოში. თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი. ტფილისი: გამომცემელი ერმოლოაზ ნულაია. 1927.

<https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/201508>

(09.05.2023)

- ერისთავი 1986:** Эристави Р. Д. О крестьянском сословии в Мингрелии. // რ. ერისთავი. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები. გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ჯაგოდნიშვილმა. თბილისი: მეცნიერება. 1986.
- ერისთავი 2022:** ერისთავი ე. მემუარები. გამოსაცემად მოამზადა, რუსული ტექსტები თარგმნა და სამეცნიერო აპარატი დაურთო მ. ცერცვაძემ. თბილისი: არტანუჯი. 2022.
- ვათეიშვილი 1973:** Ватеишвили Д. И. Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века. Москва: Наука. 1973.
**დადიანი კონსტანტინე** (1819-1889) – სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის (1813-1853), ძმა; გენერალ-ლეიტენანტი, ალექსანდრე II-ის ფლიგელ-ადიუტანტი, მონაწილეობდა „კავკასიის“, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 და 1877-1878 წწ. ომებში; „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. სიცოცხლის ბოლო წლებში სენაკის მაზრაში მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად – 225, 409, 469

**დადიანი კოსტა** – მეგრელი თავადი – 158

**დადიანი ლევან** – იხ. ლევან V დადიანი

**დადიანი მარიამ** – იხ. მარიამ კაცია II-ის ას. დადიანი

**დადიანი მენიკ (მარიამ)** – აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძის მეორე მეუღლე [მანამდე დაქორწინებული იყო თავად გიორგი სიმონის ძე წერეთელზე (სხვა წყაროებით – წულუკიძეზე), თუმცა მალე დაქვრივდა] – 160, 429

**დადიანი ნიკოლოზ (ნიკო)** („დიდი ნიკო“) (დაახლ. 1764-1834) – ისტორიკოსი, დიპლომატი, გენერალ-მაიორი, 1804 წლიდან – სამეგრელოს უმაღლესი საგამგებლო საბჭოს წევრი. იღვწოდა სამეგრელოში ოსმალეთის ინტერესთა წინააღმდეგ და რუსული ორიენტაციის გაძლიერებისათვის. როგორც მეომარმა, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში, წლების განმავლობაში იყო სამეგრელოს სამთავროს მსაჯულთუხუცესი (მდივანბეგთუხუცესი). დაკრძალულია მარტვილის ტაძარში – 472

**დადიანი ნინო** – იხ. **მუხრანბატონი ნინო**

**დადიანი პეტრე** (1808/1813-1884) – ისტორიკოსის, მწერლის, დიპლომატისა და მსაჯულის, „დიდ ნიკოდ“ წოდებული ნიკოლოზ (ნიკო) დადიანის (დაახლ. 1764-1834), შვილი; სამეგრელოს საბჭოს წევრი – 158, 159, 183, 184, 410, 461

**დადიან-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)** (1847-1903) – სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი (1867 წ. იანვარში ნებაცოფლობით თქვა უარი მთავრის უფლებებზე), სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ბიბლიოფილი, დამფუძნებელი წევრი „ქმნ-კვ საზოგადოებისა“, რომელსაც 1885 წ. უძვირფასესი ბიბლიოთეკა შესწირა; 1859-1867 წწ. არასრულწლოვანი ნიკო დადიანის მამულებისა და ქონების მეურვე („ოპეკუნი“) იყო დიმ. ყიფიანი; გარდაიცვალა პეტერბურგში, დაკრძალულია მარტვილის ტაძარში – 219, 229, 239, 242, 246, 253, 273, 293, 364, 401, 406, 408, 409, 411, 421, 458, 460, 462, 472, 477, 479, 481, 483, 484

**დადიან-მიურატი სალომე** (1848-1913) – დავით (1813-1853) და ეკატერინე (1816-1882) დადიანების ქალიშვილი, ნაპოლეონ ბონაპარტის დის შვილიშვილის, პრინც აშილ მიურატის (1847-1895), მეუღლე. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია იქვე – 347, 462, 479

**დადიშქელიანები** – სამთავრო და თავადური გვარეულობა ზემო (ენ-გურის) სვანეთში – 159

**დადიშქელიანი (ანჩაბაძე-დადიშქელიანი) ეკატერინე (ჩიჩი)** (გარდ. 1879) – თენგიზ დადიშქელიანის მეუღლე. დაკრძალულია ფხოტრე-რის (ზემო სვანეთი) მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში – 11, 149, 151, 417-421

**დადიშქელიანი თენგიზ** (გარდ. 1885) – სვანეთის უკანასკნელი მთავრის, კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანის, ძმა; აქტიურად მონაწილეობდა 1875-1876 წწ. თავისუფალი სვანეთის ამბოხების ჩახშობაში, სვანეთის დიამბეგი, სიცოცხლის ბოლო წლებში – სვანეთის ბოქაულის თანამემწე (მოადგილე) – 150-152, 417-421

**დადიშქელიანი კონსტანტინე (მურზაყან)** – იხ. **კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანი**

**დადიშქელიანი (ჩიქოვან-დადიშქელიანი) ნინო** – ჯამსუყ დადიშქელიანის (1810-1855) მეუღლე – 11, 149, 151, 417-421

**დადიშქელიანი (შარვაშიძე-დადიშქელიანი) რუსუდან (ადილხე, ადილხან)** (1828-1866) – სვანეთის მთავრის, კონსტანტინე დადიშქელიანის, მეუღლე. ღვიძლი და აფხაზეთის სამთავრო სახლის წევრის, გრიგოლ შარვაშიძისა – 405

**დადიშქელიანი ჯამსუყ (ჯამსულ)** (1810-1855) – თათარხან დადიშქელიანის (გარდ. 1849) ძე, მოკლული ისლამ დადიშქელიანის მიერ – 150, 151, 417-421

**დავით ალექსანდრეს ძე** – იხ. **ჭავჭავაძე დავით**

**დავით დადიანი** (1813-1853) – სამეგრელოს მთავარი 1846-1853 წწ. (1840-1846 წწ. თანამმართველი მამასთან, ლევან V დადიანთან, ერთად; 1846-1853 წწ. ერთპიროვნულად განაგებდა სამთავროს); გენერალ-მაიორი, მწიგნობარი და ბიბლიოფილი; ცდილობდა სამეგრელოს სამთავროს მმართველობითი სისტემისა და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ევროპეიზაციას, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. გარდაიცვალა გორდის სასახლეში. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში – 157, 158, 160, 188, 347, 406, 409, 414, 416, 469

**დაკიშევიჩი მიხეილ** – დაბალი რანგის მოხელე კავკასიის მმართველობაში (1840-იანი წწ.) – 31

**დანელია ფელიქს** (1933-2001) – ჟურნალისტი, ისტორიკოსი, დიპ. ყიფიანთან დაკავშირებული საარქივო მასალის მკვლევარი – 307, 309, 312-317, 489

**დანიელაშვილები** – ლეჩხუმის სოფ. ლაილაშის მცხოვრებნი, მისდევდნენ ვაჭრობას – 417

**დგებუაძე ალექსი** – მეგრელი თავადი (სოფ. სალხინოს მკვიდრი), მთავარი პერსონაჟი დიპ. ყიფიანის დაუმთავრებელი პიესისა „ალექსი დგებუაძისა და ელისაბედ ელიავას სიყვარულის ამბავი“ – 162-167, 175, 191, 192, 431, 440, 445

**დგებუაძე ზაქარია** – იხ. **ზაქარია ჭყონდიდელი**

**დგებუაძეები** – მეგრელი თავადები – 164

**დე სენ ტომა** – იხ. **სენ ტომა ვლადიმერ დე**

**დესიმონი ანდრია** (1806-1879) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник). მონაწილეობდა 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომში (მონაწილეობა აქვს მიღებული ახალციხის აღებაში). სხვადასხვა დროს: კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი, ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი, კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი. დაკრძალულია მაცესტაში – 59

**დეტკოვსკი ივანე** – მოხელე კავკასიის მმართველობაში (1840-იანი წწ.) – 30

**დიმიტრი ივანიჩი** – იხ. **ყიფიანი დიმიტრი**

**დიუბუა დე მონპერე ფრედერიკ** (1798-1850) – შვეიცარიელი ისტორიკოსი, მოგზაური, გეოლოგი. 1831-1834 წწ. სამეცნირო მიზნებით იმოგზაურა ყირიმსა და ამიერკავკასიაში (ითვლება საქართველოში გეოლოგიური კვლევების ფუძემდებლად). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები საქართველოს ისტორიის საკითხებზე – 36, 47, 49

**დიუკრუასი (დიუკრუასი-დასპიკი) იპოლიტ** (გარდ. 1873) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), კავკასიის მთავარმმართველ

ველობის საბჭოს (1859 წლიდან მეფისნაცვლის საბჭო) წევრი, ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ოლქის მმართველი (1853 წლიდან), სამეგრელოს სამთავროს სამმართველო საბჭოს ხელმძღვანელი (1850-იანი წწ.); გარდაიცვალა თბილისში – 409, 436

**დიუმა ალექსანდრე** (მამა) (1802-1870) – ფრანგი მწერალი; 1850-იანი წწ. იმოგზაურა კავკასიაში და თავისი შთაბეჭდილებები ასახა წიგნში „კავკასია“ (თბ.: 1970) – 369, 489

**დოდაშვილი სოლომონ** (1805-1836) – ფილოსოფოსი, მეცნიერი (ფილოლოგი, ისტორიკოსი, გრამატიკოსი), ჟურნალისტი, პედაგოგი, ბიბლიოფილი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი და იდეოლოგი; გადაასახლეს ვიატკაში, გარდაიცვალა და დაკრძალეს იქვე; 1994 წ. გადმოსვენეს სამშობლოში; დაკრძალულია მთაწმინდის პანთეონში – 353

**დოლიძე ისიდორე** (1915-1982) – იურისტი, სამართლის ისტორიკოსი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი (1957-1960), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1960-1966) – 307, 493

**დუმბაძე მამია** (1915-1990) – ისტორიკოსი. იკვლევდა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურის ისტორიასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას – 488

## ე

**ებელინგი ალექსანდრე** (დაბ. 1825/1826) – კავკასიის საცენზურო კომიტეტის ცენზორი (1851 წლიდან), კარის მრჩეველი („Надворный советник“) – 116, 117

**ევგენი ალექსანდრეს ძე** – იხ. **გოლოვინი ევგენი**

**ევლახიშვილი (ევლახოვი) ივანე** (1825-1888) – მწერალი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი, მუსიკოსი, ჟურნალისტი; 1857 წელს სასამართლოს მოხელედ მსახურობს შემახაში – 31

**ეკატერინე** (წმ.) (287-305) – ალექსანდრიელი დიდმოწამე. რუსეთის

იმპერიაში არსებობდა მისი სახელობის ორდენი (დააარსა პეტრე I-მა) – 209

**ეკატერინე ალექსანდრეს ას.** – იხ. **ეკატერინე დადიანი**

**ეკატერინე II** (1729-1796) – რუსეთის იმპერატორი 1762-1796 წწ., „განათლებული აბსოლუტიზმის“ მიმდევარი; რამდენჯერმე დაამარცხა ოსმალეთი, რამაც კავკასიაში რუსეთის დამკვიდრება განაპირობა, 1783 წ. ერეკლე მეორესთან გააფორმა მფარველობითი ხელშეკრულება („გეორგიევსკის ტრაქტატი“) – 16, 306, 419-421, 423-427, 429, 437

**ეკატერინე დადიანი** (1816-1882) – სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ნ. ბარათაშვილის ტრფობის საგანი (პოეტმა უძღვნა რამდენიმე ლექსი, აგრეთვე, თავისი ლირიკული შედევრებისა და „ბედი ქართლისას“ ორი ავტოგრაფული კრებული, რომელთაგან ერთი დაკარგულად ითვლება); „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. გარდაიცვალა გორდში, დადიანთა საზაფხულო რეზიდენციაში. დაკრძალულია მარტვილის ტაძარში – 11-13, 142-144, 146, 151, 154, 155, 157, 211, 215, 225, 244, 259, 267, 281, 290, 329, 340, 362, 401-403, 406-409, 411, 412, 418, 442, 457-460, 462, 469, 470, 471, 473, 476, 477, 479, 483-485

**ელენე ბატონიშვილი** (1753-1786) – ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული. მეორე ქმრისგან (ზაქარია ანდრონიკაშვილი) ეყოლა ქალიშვილი ხორეშანი – დედა გრიგოლ და ეფემია ორბელიანებისა – 323, 353

**ელიავა გიგო** – იმერელი აზნაური – 166

**ელიავა დავით (დათა)** (გარდ. 1859) – იმერელი აზნაური (სოფ. ლანირი-დან) – 162, 164-167, 175, 191, 440, 445

**ელიავა ელისაბედ** (გარდ. 1860) – დავით (დათა) ელიავას ასული, ალექსი დგებუაძის მეუღლე, მთავარი პერსონაჟი დიმ. ყიფიანის დაუმთავრებელი პიესისა „ალექსი დგებუაძისა და ელისაბედ ელიავას სიყვარულის ამბავი“ – 164, 192, 431, 440, 445

**ელიავები** – იმერელი აზნაურები – 164



**ემუხვარი ბუღდია** – სამურზაყანოელი თავადი – 196, 197, 451

**ემუხვარი შებათ** – სამურზაყანოელი თავადი – 196, 197, 451

**ენგბრეხტი** – დაბალი რანგის მოხელე კავკასიის მმართველობაში (1840-იანი წწ.) – 31

**ერეკლე II (1720-1798)** – კახეთისა (1744-1762) და ქართლ-კახეთის (1762-1798) მეფე. მას მერე, რაც ევროპაში ვერ იპოვა მოკავშირე, სამეფოს ბედი დაუკავშირა რუსეთს – 1783 წ. გააფორმა „გეორგიევსკის მფარველობითი ტრაქტატი“. დაკრძალულია მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში – 15, 16, 65, 72, 306, 307, 323, 398, 439

**ერივანსკი** – იხ. **პასკევიჩი ივანე**

**ერისთავი (ერისთავები, ერისთვისშვილები)** – სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გამგებლობიდან ტრანსფორმირებული თავადური გვარი აღმოსავლეთ (ქსნისა, არაგვისა...) და დასავლეთ (გურიისა, რაჭისა...) საქართველოში – 70, 194

**ერისთავი გიორგი დავითის ძე (1813-1864)** – მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, პროფესიული ქართული თეატრის (1850) პირველი ხელმძღვანელი, ჟურნალ „ცისკრის“ (1852-1853) რედაქტორ-გამომცემელი; 1832 წლის შეთქმულების აქტიური წევრი [მისაჯა სამსახური ვილნოში (დღევანდელი ვილნიუსი) მდგარ „ფეხოსანთა კორპუსის ერთ-ერთ რაზმში“]. გარდაიცვალა სოფ. ხიდისთავში (გორის მაზრა). დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 361, 374-376, 488

**ერისთავი გიორგი რევაზის (რომანის, რომანოზის) ძე (1812-1891)** – გენერალ-ლეიტენანტი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (ანასტასია ბატონიშვილის ძე), ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი (1858-1861), „ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი – 11, 12, 175, 176, 181, 191, 254, 273, 274, 278, 285, 433, 436, 438, 439, 442, 444, 445, 458, 474, 476, 482-484

**ერისთავი ეკატერინე** – იხ. **ბარათაშვილ-ერისთავი ეკატერინე**

**ერისთავი ელიზბარ (1809-1871)** – გენერალ-მაიორი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური (ფინეთში გაგზავნეს რიგით ჯარისკაცად), მრეწველი (ატენის ხეობის სოფ. ღვარებში ჰქონდა

მინის ქარხანა). 1850-1860-იან წწ. იყო გორის მაზრის უფროსი. დაკრძალულია გორში (საფლავი დაკარგულია) – 12, 195, 449, 450, 497, 499

**ერისთავი ელისაბედ** (1864-1949) – ელიზბარ ერისთავის (1809-1871) ქალიშვილი, მემუარისტი – 394, 449, 490

**ერისთავი იაკობ (კონა)** (1817-1896) – მირმანოზ ერისთავის ძე, მანანა ორბელიანის ძმა, კოლორიტული პიროვნება და სახელგანთქმული მოჯირითე – 194, 449

**ერისთავი რაფიელ** (1824-1901) – მწერალი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ლექსიკოგრაფი, გამომცემელი, „ქშნ-კვ საზოგადოების“ პირველი გამგეობის წევრი, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ თავმჯდომარე (1884-1886), „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ერთ-ერთი ინიციატორი (1882), ქუთაისის გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელე (1855-1857), ზუგდიდის ოლქის (შემდგომში – მაზრის) უფროსი (1857-1867). დაკრძალეს მშობლიურ სოფ. ქისტაურში, საიდანაც 1938 წ. თელავში, ერეკლე II-ის სასახლის გალავანში, გადაასვენეს – 374, 442, 489, 490

**ერისთავი რევაზ** (1816-1881) – ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე (ეკატერინე ბარათაშვილის მეუღლე) – 323

**ერისთავი ქეთევან** (1826-1906) – ელიზბარ ერისთავის (1809-1871) მეუღლე, ი. ჭავჭავაძის კრიტიკის ადრესატის, რევაზ შალვას ძე ერისთავის (1828-1899), და. დაკრძალეს გორის საკრებულო ტაძრის, „სობოროს“, გალავანში (ამჟამად საფლავი დაკარგულია) – 450, 497, 499

**ერისთავი შალვა** – ქართლელი თავადი (XVIII-XIX სს.) – 305

**ერისთავი შანშე** (1765-1831) – პოდპოლკოვნიკი, რუსული ორიენტაციის მოხელე, მონაწილეობდა 1804 წ. მთიულეთის აჯანყების ჩახშობაში, მამა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეების, ელიზბარ (1809-1871), იასე (1807-1845), დიმიტრი (1811-1854) და მელანია (1808-1836) ერისთავებისა. დაკრძალულია იკორთაში, ქსნის ერისთავთა საგვარეულო სამარხში – 305

**ერისთავ-ორბელიანი ნინო** (1814-1887) – ლამისყანელი მემამულის, მაიორ თორნიკე იასეს ძე ერისთავის (გარდ. 1860) ასული, ივანე თამაზის (თომას) ძე ორბელიანის (1802-1866) მეუღლე – 390

**ერისთავისშვილები** – იხ. **ერისთავი (ერისთავები)**

**ერმოლაევი** – დაბალი რანგის მოხელე კავკასიის მმართველობაში (1840-1850-იანი წწ.) – 31, 355

**ერმოლოვი ალექსი** (1777-1861) – ინფანტერიისა და არტილერიის გენერალი, მნიშვნელოვანი ფიგურა ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში, საქართველოს მთავარმართველი 1816-1827 წწ., ხოლო 1816-1826 წწ. – კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (ორივე თანამდებობაზე ი. პასკევიჩმა შეცვალა) – 84

**ესპეხო იაკიმ (იეკიმ, აკიმ)** (1792-1847) – გენერალ-მაიორი, იმერეთის მმართველი (1837 წლის მარტიდან), ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და სამოქალაქო ნაწილის გამგე (1847). გარდაიცვალა ქუთაისში – 7, 20, 22, 313-317

**ეფრონი ილია** (1847-1917) – გამომცემელი, დამაარსებელი საგამომცემლო ფირმისა „ბროკჰაუზი-ეფრონი“, რომელმაც რუსულ ენაზე გამოსცა „ბროკჰაუზი-ეფრონის ენციკლოპედია“ (1890-1907) – 406, 488

### 3

**ვათეიშვილი ჯუანშერ** (1931-2019) – ისტორიკოსი (კვლევის ძირითადი სფერო: ქართულ-რუსული და ქართულ-დასავლეთევროპული ისტორიული ურთიერთობები), ალექსანდრე და პეტრე ბაგრატიონების სახელობის საერთაშორისო ფონდის (მოსკოვი) დამფუძნებელი და დირექტორი, მოღვაწეობდა თბილისსა და მოსკოვში – 377, 490

**ვანევი ნიკოლოზ** (დაბ. 1807) – ქ. პიატიგორსკის ჯერ ქალაქის უფროსი (Городничий), შემდეგ კი ქალაქისთავი (Городская голова) 1830-იან წწ. – 208, 456

**ვარშავსკი** – იხ. **პასკევიჩი ივანე**

**ვასილ ანტონის ძე – იხ. ინსარსკი ვასილ**

**ვასილენკო ივანე** – თბილისის გიმნაზიის ხატვისა და ხაზვის მასწავლებელი, ეკუთვნის ქართველი სამხედროებისა და არისტოკრატის წარმომადგენელთა პორტრეტები, საქართველოს პეიზაჟები და სხვ. – 117

**ვახტანგ VI (1675-1737)** – ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) (1703-1714), ქართლის მეფე (1716-1724), პოეტი, მეცნიერი. 1708-1709 წწ. თბილისში დააარსა პირველი ქართული სტამბა. მისი თაოსნობით შეიქმნა სამართლის ნიგნთა კრებული, რისთვისაც „სჯულმდებელი“ ეწოდა. 1724 წ. დახმარების იმედით გაემგზავრა რუსეთში, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. გარდაიცვალა ასტრახანში. დაკრძალულია იქვე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში. ადრინდელ წყაროებში ასეც იხსენიება: ვახტანგ მეხუთე („მეხუთე ვახტანგი“) – 50, 69, 81-83, 85, 86, 232, 348, 356-358, 493

**ვახტანგ ბატონიშვილი (XVIII ს.)** – 306

**ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757)** – ისტორიკოსი, გეოგრაფი, კარტოგრაფი, ვახტანგ VI-ის შვილი, ავტორი ნაშრომისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც წარმოადგენს საქართველოს გაბმულ ისტორიას უძველესი დროიდან („დასაბამიდან“) XVIII საუკუნის I ნახევრამდე და გამსჭვალულია ქართველთა ეთნიკური და პოლიტიკური ერთიანობის იდეით. 1724 წელს მამას გაჰყვა რუსეთში, იქვე დამკვიდრდა და იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვის დონის მონასტერში – 50, 69, 70, 348

**ვეზირიშვილი ბარბარე** – იხ. ბარათაშვილ-ვეზირიშვილი ბარბარე

**ვეზირიშვილი დიმიტრი (1825-1898)** – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 („ყირიმის“) და 1877-1878 წწ. ომების მონაწილე; ნიკოლოზ ბარათაშვილის სიძე (ბარბარე ბარათაშვილის მეუღლე) – 323

**ველიამინოვი ალექსი (1785-1838)** – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ჯარების შტაბის უფროსი და საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი (1816-1827); ხელმძღვანელობდა იმერეთის 1819-1820 წწ. აჯანყების ჩახშობას – 208, 210

- ვეიმერი ედუარდ** – პეტერბურგელი მესტამბე და გამომცემელი – 496
- ვენაბა მირზა აბდულ** – 210
- ვერდერეესკაია ბარბარე** – 126
- ვერდერეესკი ევგრაფი (ევგენი)** (1825-1867 წ. შემდეგ) – პოეტი, გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი (1854-1856), აღმანახ „ზურნას“ (1855) შემდგენელ-გამომცემელი – 9, 95, 368-373, 490
- ვერუბიცი ვალერიან** – სამეგრელოს მმართველი საბჭოს წევრი (1850-იანი წწ.), 1860-იანი წწ. სამოქალაქო მრჩეველის (Статский советник) ხარისხი აქვს და თბილისში სისხლისა და სამოქალაქო სასამართლო პალატის თავმჯდომარის მოადგილეა – 409
- ვლადიმერ პეტრეს ძე** – იხ. **ზუტკოვი ვლადიმერ**
- ვორონცოვა** (ქალიშვილობის გვარი – **ბრანიცკაია**) **ელისაბედ** (1792-1880) – მიხეილ ვორონცოვის (1782-1856) მეუღლე (ჯვარი დაინერეს 1819 წ. 20 აპრილს), „წმ. ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების“ ხელმძღვანელი – 10, 113, 388, 389
- ვორონცოვი მიხეილ** (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1844-1854), საფრანგეთის საოკუპაციო კორპუსის მეთაური (1814-1818). გარდაიცვალა ოდესაში; მეუღლესთან, ელისაბედ ბრანიცკაია-ვორონცოვასთან, ერთად იქვე, მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიაშია დაკრძალული – 8, 9, 26, 27, 37, 58, 61, 91, 113, 126, 128-131, 320-322, 324, 327-333, 336, 341, 343-345, 348, 355-357, 360, 361, 379, 380, 389, 393, 397, 400, 499
- ვრანგელი ალექსანდრე** (1804-1880) – ინფანტერიის გენერალი, ბარონი, „კავკასიისა“ და 1853-1856 წწ. რუსეთ-ოსმალეთის („ყირიმის“) ომების მონაწილე, განმსაზღვრელი მნიშვნელობის როლი შეასრულა 1859 წ. შამილის დატყვევებაში; გარდაიცვალა პეტერბურგში – 44

## ზ

- ზავადოვსკი (ზავოდოვსკი) ნიკოლოზ** (1788-1853) – კავკასიის სამხედრო ხაზისა და შავიზღვისპირეთში განლაგებული პოლკების

მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი (1840 წლიდან), რუსეთ-თურქეთის 1828-1829 და „კავკასიის“ ომების მონაწილე – 209

**ზავილესკი პეტრე** (1800-1843) – პოლონური წარმოშობის სახელმწიფო მოღვაწე, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი (1829-1832.1), ამიერკავკასიის სავაჭრო პალატის დამაარსებელი; 1832 წ. შეთქმულების აქტიური წევრი (გაათავისუფლეს, თუმცა პოლიციის მეთვალყურეობა დაუნესეს) – 64, 65, 72, 73, 210, 347, 348, 456

**ზავოდოსკი** – იხ. **ზავადოსკი ნიკოლოზ**

**ზალცმანი თედორე (თეოდორე)** – საქართველოში (ასურეთში) გამოსახლებული გერმანელი კოლონისტი, მრეწველი და მსხვილი კომერსანტი, საბოლოოდ დამკვიდრდა თბილისში, სადაც ფლობდა სასტუმროებს, ქარვასლას და სხვ.; თბილისის საპატიო მოქალაქე, „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების“ წამდგელი წევრი, არქიტექტორ ალბერტ ზალცმანის (1833-1897) მამა – 126-128

**ზაქარია ჭყონდიდელი (დგებუაძე)** – სამეგრელოს ეპისკოპოსი (1853-1854), სამეგრელოს მმართველი საბჭოს წევრი – 409

**ზისერმანი არნოლდ** (1824-1897) – სამხედრო ისტორიკოსი, მემუარისტი, პოლკოვნიკი; 1842 წლიდან მსახურობდა კავკასიაში (თბილისში), „კავკასიის ომის“ მონაწილე – 394, 479, 490

**ზნაჩკო-იავორსკი მიხეილ** – კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ჩინოვნიკი (1846-1847), შემდეგ წლებში: გუბერნატორის საგანგებო დავალებათა მოხელე სტავროპოლში, ერევნის გუბერნიის პროკურორი (1850-იანი წწ.) – 28, 61

**ზომერი ევგრაფ** (1812-1900) – პოლკოვნიკი, თბილისის საარტილერიო გარნიზონის მეთაური (1853 წლიდან; ამ დროს პოდპოლკოვნიკის ხარისხი ჰქონდა; სამხედრო სამსახურიდან გავიდა 1859 წ.). გარდაიცვალა ფსკოვის გუბერნიის ქ. ოსტროვში – 117

თ

თ. ჯ. – 309, 311, 345, 349, 351, 357, 367, 374, 414, 416, 423, 467, 468, 480; იხ. აგრეთვე: **ჯოლოგუა თამაზ**

**თამარ კაცია II-ის ას. დადიან-შარვაშიძე** (1778-1818) – აფხაზეთის მთავრის (1810-1821), საფარ-ბეი (გიორგი II) შარვაშიძის მეუღლე, აფხაზეთის მთავრის, მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძის, დედა – 209, 456

**თარხნიშვილები (თარხან-მოურავები, თარხანოვები,)** – თავადური გვარეულობა (ქართლი); სათავადოს ცენტრი – ახალქალაქი (ამჟამად სოფ. კასპის მუნიციპალიტეტში) – 72

**თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) დავით** (1762/1765-1839) – ერეკლე II-ის მიმბაში, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1820-1830-იანი წწ.), პოლკოვნიკი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და ძიება შეწყვიტეს), დაკრძალულია ერთანმინდის ტაძარში – 305, 332

**თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) კონსტანტინე** (1811-1869) – გენერალ-ლეიტენანტი, შემახისა და ბაქოს სამხედრო გუბერნატორი (1850-1860-იანი წწ.) – 8, 10, 39, 101, 331-333, 380, 381

**თაქთაქიშვილები (თაქთაქოვები)** – ქართლის თავადები, ბორჯომის ხეობის მემამულეები – 67, 68, 70

**თაყაიშვილი ექვთიმე** (1863-1953) – ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ნუმიზმატი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, ლინგვისტი... დაკრძალულია მთანმინდის პანთეონში – 307, 490

**თეიმურაზ ბატონიშვილი** (1782-1846) – გიორგი XII-ის ძე, მწერალი, მეცნიერი, ბიბლიოფილი, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, პარიზის სააზიო და კოპენჰაგენის სამეფო ანტიკვართა საზოგადოებების წევრი, პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. 1810 წელს გადაასახლეს პეტერბურგში, იქვე გარდაიცვალა, იქვეა დაკრძალული (ალექსანდრე ნეველის ლავრის წმ. თედორეს ეკლესიაში) – 353

**თეოფანე ეპისკოპოსი (გაბუნია)** (1803-1859) – სამეგრელოს ეპისკოპოსი (ჭყონდიდელი) 1854-1859 წწ. – 164, 409

**თუმანიშვილი (თუმანოვი) გიორგი** (1854-1920) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, იურისტი, მიხ. თუმანიშვილის (1818-1875) შვილი, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ ერთ-ერთი დამ-

ფუძნებელი, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ თანარედაქტორი (ვ. და კ. თუმანიშვილებთან ერთად; 1891-1904). დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანჯის სომხურ სასაფლაოზე – 366, 490

**თუმანიშვილი (თუმანოვი) მიხეილ** (1818-1875) – მწერალი, ჟურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი, ეთნოგრაფი, საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник); 1830-იან წწ. თბილისის გიმნაზიის მონაფეთა ლიტერატურული ჯგუფის ხელმძღვანელი, „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, ივ. კერესელიძის „ცისკარში“ გამოქვეყნებული „სალაყბოს ფურცლების“ ერთ-ერთი ავტორი. დაკრძალულია თბილისში, ხოჯავანჯის სომხურ სასაფლაოზე – 206, 207, 454, 455

**თურქისტანიშვილი (თურქისტანოვი) ივანე** – თბილისის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი, „სახელმძღვანელოების შემდგენელი კომიტეტის“ ქართული ენის განყოფილების წევრი – 359

## ი

**იაშვილი** – იმერელი თავადი – 35

**იეველი** – დაბალი რანგის მოხელე კავკასიის მმართველობაში (1840-იანი წწ.) – 32

**ივანოვი** – დაბალი რანგის მოხელე კავკასიის მმართველობაში (1840-იანი წწ.) – 32

**ივანოვი ანდრეი** – პეტერბურგელი წიგნით მოვაჭრე და გამომცემელი – 7, 8, 23-25, 318-320

**ივანოვი ნიკოლოზ** (1813-1873) – გენერალ-ლეიტენანტი (1866 წლიდან), ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი (1852-1858); მეუღლე ეკატერინე იაკობის ას. ორბელიანისა (1824-1875) – 433, 446

**ილინი ნიკოლოზ** (გარდ. 1857) – ჩინოვნიკი ქუთაისის გუბერნიის მმართველობაში (განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე), 1857 წ. ოქტომბერში მოკლა კონსტანტინე დადიშქელიანმა – 432, 496

**ინგოროყვა პავლე** (1893-1983) – ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ჟურნალისტი, კრიტიკოსი, პოლიტიკური და საზოგადო მოღ-



ვანე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს (შემდგომში პარლამენტის) წევრი – 498

**ინსარსკი ვასილ** (1814-1882) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), მემუარისტი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი (1857-1862) – 11, 12, 162, 167, 193, 207, 430, 431, 433, 434, 446, 447, 455

**იოანე ღვთისმეტყველი** – ქრისტეს მოციქულთაგანი – 323

**იოსელიანი პლატონ** (1809-1875) – ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი, ჟურნალისტი, გამომცემელი, ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი; ლიტერატურული და მსოფლმხედველობრივი პრინციპებით ეკუთვნოდა „მამების“ თაობას – 88, 359, 360

**ირაკლი II** – იხ. **ერეკლე II**

**ისიდორე** (ერისკაცობაში – **იაკობ ნიკოლსკი**) (1799-1892) – საქართველოს ეგზარქოსი 1844-1858 წწ.; საქართველოში ყოფნისას ენერგიულად იღვწოდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებში ისლამის შევიწროებისა და მართლმადიდებლური ქრისტიანობის გავრცელებისათვის. 1849 წ. მისი ინიციატივით შეიქმნა ბიბლიის ქართული თარგმანის შემსწორებელი პირველი კომიტეტი. 1858 წ. გადაიყვანეს კიევის მიტროპოლიტად. დაკრძალულია ს.-პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში – 376

**იუნგმეისტერი იული** (1814-1873 წ. შემდეგ) – პეტერბურგელი ნიგნით მოვაჭრე და გამომცემელი – 319

## კ

**კაზასი** – პოდპოლკოვნიკი (1830-იანი წწ.) – 208, 210

**კალისტრატე (ცინცაძე)** (1866-1952) – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1932-1952), საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 323

**კალუბანსკი (კალუბანსკი)** – იხ. **კოლუბანსკი**

**კანდელაკი დონარა** – მკვლევარი, თეატრალური მოღვაწე – 371, 491

- კანდინოვი ივანე** – კოლეგიის რეგისტრატორი (Коллежский регистратор), დიმ. ყიფიანის მოვალე – 219-221, 463, 464
- კანდინოვი სტეფანე** – კოლეგიის რეგისტრატორი (Коллежский регистратор), დიმ. ყიფიანის მოვალე – 195, 449-451, 463
- კანკრინი ეგორ** (1774-1845) – ინფანტერიის გენერალი, რუსეთის ფინანსთა მინისტრი 1823-1844 წწ. – 210
- კაჭკაჭიშვილები** – ლეჩხუმის სოფ. ლაილაშის მცხოვრებნი, მისდევდნენ ვაჭრობას – 417
- კეზევაძე მერაბ** – ისტორიკოსი, ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი – 466, 491
- კეკელიძე კორნელი** (1879-1962) – ლიტერატურათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი – 1, 301, 502
- კელენჯერიძე ელენე** – ფილოლოგი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელი. აღწერა ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული დიმ. ყიფიანის პირადი არქივი – 331, 333, 365, 381, 399, 407, 472
- კერესელიძე ივანე** (1829-1892) – მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრისა“ (1857-1875) და გაზეთ „ცისკრის“ (1887) რედაქტორ-გამომცემელი, დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში (ამჟამად დიდუბის პანთეონი) – 97, 98, 374-376, 495
- კვალიაშვილი (კვალიევი) ალექსანდრე** – დიმ. ყიფიანის დისწული (ანასტასია კვალიაშვილის ვაჟი) – 101, 381
- კვალიაშვილი ანასტასია** – დიმიტრი ყიფიანის და – 381
- კვინტაძე** – ლეჩხუმელი გლეხი – 152, 153, 422
- კიკოევი** – 93, 365
- კინწურეიშვილი** – დადიანების გლეხი – 160
- კლდიაშვილი ეფროსინე (ეფრო)** (1839-1913) – მსახიობი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის პროფესიული თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, დიმ. ყიფიანის ძმისწული (ქაიხოსრო ყიფიანის ას.), არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილისა (1865-1920) და ქიმიკოსის,

ოდესაში ებრაელთა ინტერესების დაცვისთვის მოკლული ალექსანდრე (საბა) კლდიაშვილის (1873-1905), დედა. გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალეს იქვე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში – 362

**კლიროვი მაქსიმე** – ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, ალ. გაგარინის მზარეული, 1857 წ. 20 ოქტომბერს მძიმედ დაჭრა კონსტ. დადიშქელიანმა – 432

**კოლი ანდრეი** – მოსკოველი I გილდიის ვაჭარი – 126

**კოლიუბაკინა** (ქალიშვილობის გვარი – **კრიჟანოვსკაია**) **ალექსანდრა** – გენერალ ნიკ. კოლიუბაკინის (1810-1868) მეუღლე, მწერალი, მემუარისტი – 406, 491

**კოლიუბაკინა** (ქალიშვილობის გვარი – **კრუკოვსკაია**) **მარია** (გარდ. 1901) – გენერალ მიხ. კოლიუბაკინის (1806-1872) მეუღლე, გარდაიცვალა მოსკოვში – 480

**კოლიუბაკინი მიხეილ (კოლიუბაკინი I)** (1806-1872) – გენერალ-ლეიტენანტი, ნიკ. კოლიუბაკინის (1810-1868) ძმა, სამეგრელოს მმართველი (1858-1861) – 8, 54, 239, 240 403, 406, 428, 458, 461, 474-476, 480-482, 484

**კოლიუბაკინი ნიკოლოზ (კოლიუბაკინი II)** (1810-1868) – გენერალ-ლეიტენანტი და სენატორი; მიხ. კოლიუბაკინის (1806-1872), ძმა; ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი და სამეგრელოს მმართველი (1857-1858), ერევნისა (1858-1861) და ქუთაისის (1861-1862) სამხედრო გუბერნატორი – 11, 12, 139, 142-145, 148, 157, 160, 171, 172, 177, 185-188, 192, 233, 235, 236, 243, 244, 247, 248, 254, 255, 258-260, 262, 264, 265, 267-269, 272-274, 276, 278, 283, 285-287, 289, 291, 292, 296, 297, 339, 400-407, 409, 412, 423, 428, 429, 437, 441, 445, 446, 458, 461, 498

**კოლოსოვსკი ივანე** (გარდ. 1879) – გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ცალკე კორპუსის გენერალ-ინტენდანტი 1850-იან წწ. – 10, 109, 386

**კოლუბანსკი** – საგუბერნიო მდივანი (Губернский секретарь) (1850-იან წწ.) – 133

**კოლუბანსკი (კალოუბანსკი, კალუბანსკი) ეფრემ** – თბილისის კალოუბნის ეკლესიის მღვდელი (გვარიც აქედან მოდის) – 133

**კომადა** – დაბალი რანგის მოხელე კავკასიის მმართველობაში (1840-იანი წწ.) – 32

**კონსტანტინე (მურზაყან) დადიშქელიანი** (1826-1857) – სვანეთის უკანასკნელი მთავარი, 1857 წ. მოკლა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ალ. გაგარინი, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს. 1862 წ. მისი ცხედარი გადაასვენეს ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში (არქიელის გორაზე) – 401, 405, 420, 432, 433, 436, 443, 496

**კორინთელ-ყიფიანი ეფემია** (გარდ. 1867-1871 წწ. შორის) – დიმ. ყიფიანის რძალი (ძმის, ქაიხოსროს, მეუღლე) – 362

**კოცებუ თედორე** – გერმანული წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე. 1826 წლიდან მსახურობდა კავკასიაში. კარიერა დაასრულა 1860 წელს კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრის თანამდებობაზე. „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი – 59

**კოხი კარლ ჰაინრიხ ემილ** (1809-1879) – გერმანელი მეცნიერი (ბოტანიკოსი) და მოგზაური, 1830-1840-იანი წწ. რამდენჯერმე იმოგზაურა კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში და თავისი შთაბეჭდილებები თუ დაკვირვებანი 1842-1843 წწ. ორ ტომად გამოაქვეყნა შტუტგარტში – 47

**კრიჟანოვსკაია ალექსანდრა** – იხ. **კოლიუბაკინა ალექსანდრა**

**კრუზენშტერნი ალექსი** (1813-1887) – სახელმწიფო მდივანი (Статс-секретарь), 1830-1831 წწ. პოლონეთის აჯანყების ჩახშობისა და რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. ომის მონაწილე, 1850 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის ვიცე-დირექტორი, 1856 წლიდან – დირექტორი, 1858 წლიდან ასრულებდა ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას – 10-13, 59, 112, 123, 142, 146, 206, 207, 214, 215, 230, 244, 246, 260, 395, 396, 398, 400, 403, 405, 410, 423, 459, 460, 474, 475, 479, 483, 484, 498

**კუზმინისტიფანე**–ნამდვილისამოქალაქომრჩეველი(Действительный  
СТАТСКИЙ СОВЕТНИК), ვოლოგდის სამოქალაქო გუბერნატორი 1834  
(21.II)-1836 (16.II) წწ. – 312

## ლ

**ლაბზინი ალექსანდრე** (1766-1825) – რუსი ფილოსოფოსი, მწერალი,  
მისტიკოსი, დამაარსებელი მასონური ლოჟისა „მომაკვდავი სფინ-  
ქსი“ – 342

**ლადინსკი პეტრე** (1784-1865) – გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასი-  
ის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი (1845-1847) – 8,  
27, 34, 39, 327, 329, 330, 332, 333

**ლაზარევი ოვანეს (ივანე)** (1735-1801) – პოლიტიკური და დიპლომატი-  
ური მოღვაწე, ეკატერინე II-ის ეპოქის ერთ-ერთი უმდიდრესი პირი  
იმპერიაში (იყო საიმპერატორო კარის იუველიერი). მის მიერ ანდერ-  
ძით დატოვებული თანხით დაარსდა მოსკოვის აღმოსავლურ ენა-  
თა ინსტიტუტი (1815) – 377

**ლევან V დადიანი** (1791-1846) – სამეგრელოს (ოდიშის) მთავარი (1805-  
1840; უშუალოდ ოდიშის მართვას 1811 წლიდან შეუდგა), სამთავ-  
რო ტახტი სიცოცხლეშივე გადასცა თავის მემკვიდრეს – დავით  
დადიანს, თუმცა მთავრის ტიტული სიკვდილამდე შეინარჩუნა;  
მხარს უჭერდა რუსეთის პოლიტიკას დასავლეთ საქართველოში –  
451, 456

**ლემკული ფერდინანდ** (1822-1894) – 1850-იან წწ. კავკასიის მეფის-  
ნაცვლის კანცელარიაში მსახურობდა ინჟინერ-ტექნოლოგის თან-  
ამდებობაზე (1880-იანი წლებიდან მსახურობდა ბაქოში) – 117

**ლეონიდე გიორგი** (1899-1966) – მწერალი, მეცნიერი, საზოგადო  
მოღვაწე. მისი ინიციატივით დაარსდა ქართული ლიტერატურის  
მუზეუმი (ამჟამად გ. ლეონიდის სახელობისა), ი. ჭავჭავაძის საგუ-  
რამოს სახლ-მუზეუმი, პერიოდული გამოცემა „ლიტერატურული  
მემკვიდრეობა“ და სხვ. – 1, 301, 321, 301, 491, 502

**ლეპოხინი მიხეილ** – რუსი ლიტერატურათმცოდნე – 471, 491

**ლიონიძე სოლომონ** (1754-1811) – სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მნიგნობარი, ორატორი, ერეკლე II-ის მდივანბეგ-მსაჯული, საქართველოს მეფე-მთავართა 1790 წლის სამოკავშირეო ტრაქტატის ინიციატორი, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთი შემოქმედი და ამ ტრაქტატით განსაზღვრული საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მეფე-ბაგრატიონთა უფლებების მტკიცე დამცველი. გარდაიცვალა ახალციხეში, დაკრძალეს იქვე – 353

**ლისოვსკი ანდრეი** – მოხელე კავკასიის მმართველობაში (1840-იანი წწ.) – 30

**ლიუღინი იაკობ** – მოხელე კავკასიის მმართველობაში (1840-იანი წწ.) – 28, 29

**ლობოდა** – სამხედრო პირი, კაპიტანი (1840-იანი წწ.) – 43, 44

**ლომსაძე შოთა** (1925-2003) – ისტორიკოსი, პოეტი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომებისა: „სამცხე-ჯავახეთი“ (თბ.: 1975; თბ.: 2011), „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი“ (თბ.: 1984) და სხვ. – 346, 348, 491

**ლორთქიფანიძე ელენე (ლოკა, ლოლა)** (1855-1890) – მწერალი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კვ საზოგადოების“ ნამდვილი წევრი (1879 წლიდან), დიმ. ყიფიანის ქალიშვილი, ანტონ ლორთქიფანიძის (1847-1894) მეუღლე; მოღვაწეობდა ქუთაისში, დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიმღერებისა და სასულიერო საგალობლების შეკრებასა და ნოტებზე გადატანას. მისი ინიციატივით გამოიცა „თარგმანნი საამო საკითხავთა თხზულებათა“ (1872), აღმანახ „ქართული ბიბლიოთეკის“ (ქუთაისი, 1883 წ.) ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქციის წევრი. გარდაიცვალა ქუთაისში, დაკრძალულია იქვე, წმ. გიორგის ეკლესიაში (გორის უბანი) – 219, 462

**ლორთქიფანიძე ირაკლი** (გარდ. 1881) – პოეტი (ლექსები და კრიტიკული წერილები აქვს გამოქვეყნებული ივ. კერესელიძის „ცისკარში“), ეკატერინე დადიანის მდივანი, შემდეგ – სამეგრელოს სამთავრო მამულების მმართველი (მოურავი). გარდაიცვალა ქუთაისში – 157, 213, 215-217, 226, 247, 426, 427, 437, 458-460, 469, 481

**ლორია ალექსანდრე** – მწერალი, ბიბლიოგრაფია, თანაავტორი (ნ. გურგენიძესთან ერთად) მონოგრაფიისა „საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში“ (თბ.: 1974) – 380, 491

## მ

**მაიერი ნიკოლოზ** (1806-1846) – გერმანული წარმოშობის სამხედრო ექიმი (მსახურობდა კავკასიის ხაზზე), მეგობრობდა კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან, რის გამოც 1834-1835 წწ. დაპატიმრებული იყო. გარდაიცვალა ქერჩში, იქვეა დაკრძალული – 208, 456

**მამია V გურიელი** (1789-1826) – გურიის უკანასკნელი მთავარი (1809-1826), რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, 1810 წ. რუსეთთან დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, გურია ავტონომიური უფლებებით შედიოდა რუსეთის იმპერიაში, ატარებდა ანტიოსმალურ პოლიტიკას, ხელს უწყობდა გურიის საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპეიზაციას. დაკრძალულია შემოქმედის მონასტერში – 434

**მარდახიაშვილები (მარდახიასშვილები)** – ლეჩხუმის სოფ. ლაილაშის მცხოვრებნი, მისდევდნენ ვაჭრობას – 417

**მარი ნიკო** (1864-1934) – ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი, აღმოსავლეთ-მცოდნე, არქეოლოგი – 497

**მარია ვასილის ასული** – იხ. **კოლიუბაკინა მარია**

**მარიამ კაცია II დადიანის ასული** (1783-1841) – იმერეთის დედოფალი (სოლომონ II-ის მეუღლე). 1811 წ. გადაასახლეს რუსეთში (ვორონეჟში), საბოლოოდ დამკვიდრდა პეტერბურგში, სადაც 1841 წ. მარტში გარდაიცვალა – 435

**მარლინსკი** – იხ. **ბესტუჟევი (ბესტუჟევი-მარლინსკი) ალექსანდრე**

**მარტიროსიანცი კ.** – თბილისელი მესტამბე და გამომცემელი – 490

**მაქსიმოვიჩი ალექსანდრე** (1799-1873 წ. შემდეგ) – რუსი კარტოგრაფი და მათემატიკოსი, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწე (მოადგილე) და საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე 1850-1860-იან წწ. – 9, 88, 97, 358, 359, 375

**მაქსიმოვიჩი პავლე** (1796-1888) – რუსი პედაგოგი, პეტერბურგის სასწავლო ოლქის ინსპექტორი და განათლების სამინისტროს სწავლულთა კომიტეტის წევრი, ნამდვილი სამოქალაქო მრჩეველი (Действительный статский советник), ძმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემწისა და საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარის (1850-იან წწ.), ალექსანდრე მაქსიმოვიჩისა (1799-1873 წ. შემდეგ) – 359

**მაყაშვილი რევაზ** – გორის მაზრის უფროსი (1850-იან წწ.), თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1846-1849 წწ. [იხ. შესაბამისი წლების „Кавказский календарь“; 1854-1867 წწ. თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო მისი შვილი – გრიგოლ მაყაშვილი (იხ. შესაბამისი წლების „Кавказский календарь“)] – 350

**მაჩაბელი გიორგი** (1813-1875) – ქართლელი თავადი, ივანე მაჩაბლის (1854-1898) მამა – 9, 77, 350, 352

**მაჩაბელი ივანე (ვანო)** (1854-1898) – მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური და საზოგადო მოღვაწე, გაზ. „დროების“ რედაქტორი (1883-1885), უ. შექსპირის მთარგმნელი („ჰამლეტი“, „ოტელო“, „იულიუს კეისარი“ და სხვ.) – 352, 498

**მაჩაბელი სვიმონ** (1794-1858 წ. შემდეგ) – პოეტი, 1832 წ. შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს, თუმცა მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესეს) – 352

**მაჭავარიანი სპირიდონ** – სამხედრო (გენერალ-მაიორი) და საზოგადო („ქმნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი) მოღვაწე. ოზურგეთის მაზრის უფროსი 1850-1857 წწ. (იმ დროს მაიორის ჩინი ჰქონდა), სამეგრელოს საბჭოს წევრი, დაკრძალეს შორაპნის მაზრის სოფ. ცხრანყაროს (ამჟამად ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) წმ. გიორგის ეკლესიაში – 461

**მახარაძე ნიკოლოზ** (1901-1990) – ისტორიკოსი, ძირითადად იკვლევდა ბოლშევიზმის ისტორიას საქართველოში – 434, 435, 492

**მეგრელიშვილები (მეგრელისშვილები)** – ლეჩხუმის სოფ. ლაილაშის მცხოვრებნი, მისდევდნენ ვაჭრობას – 417



**მეგრელიძე შამშე** (1922-1989) – ისტორიკოსი, ავტორი ნაშრომებისა: „აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წლებში)“ (თბ.: 1964), „ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები“ (თბ.: 1979) და სხვ. – 338, 353, 398, 492

**მელიქიშვილები (მელიქოვები)** – თავადური გვარეულობა. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ნუსხაში მელიქიშვილი (მელიქისშვილი) ქართლის თავადათა ნუსხაშია შეყვანილი – 70

**მელიქიშვილი (მელიქოვი) კონსტანტინე** – მონაწილეობდა ალ. ბარათინსკის მეფისნაცვლად დანიშვნის გამო თბილისში 1856 წ. 11 ნოემბერს გამართული ბალისა და საზეიმო ნადიმის ორგანიზებაში – 116

**მესხაძე ნანიკა** – ლეჩხუმის სოფ. ლაილაშის მკვიდრი – 149

**მესხი სერგეი** (1845-1883) – ჟურნალისტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, კულტურისა და განათლების პოპულარიზატორი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი (1869-1883; 1880-1881 წწ. – ი. ჭავჭავაძესთან ერთად „დროებისა“ და „ივერიის“ გაერთიანებული რედაქციის თანარედაქტორი). თვალსაჩინო ფიგურა XIX ს. ქართული კულტურის ისტორიაში. გარდაიცვალა აბასთუმანში. დაკრძალულია მშობლიურ სოფ. რიონში – 466

**მეუნარგია იონა** (1852-1919) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, „ქმნ-კგ საზოგადოების“ მდივანი, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის (ქართველიშვილისეული) გამოცემის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი. დაკრძალულია მშობლიურ სოფ. ცაიში – 323, 487, 492

**მელვინეთუხუცესი ლუარსაბ** – ქართლელი თავადი (XVIII-XIX სს.) – 305

**მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)** – იხ. **დადიან-მინგრელსკი ნიკოლოზ (ნიკო)**

**მირზოვეი ივანე (ოვანეს)** (გარდ. 1880) – თბილისის სომხური ბურჟუაზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი (დიდვაჭარი, ფაბრიკანტი, ნავთობის მრეწველი...). მისი საქმიანობა, ფაქტობრივად, ვრცელდებოდა მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით – 116

**მრონენკო სერგეი** – რუსი ისტორიკოსი, დეკაბრისტული მოძრაობის მკვლევარი – 456, 492

**მრონოვები** – ლეჩხუმის სოფ. ლაილამის მცხოვრებნი, მისდევდნენ ვაჭრობას – 417

**მირსკი დიმიტრი** – იხ. **სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი**

**მიურატი სალომე** – იხ. **დადიან-მიურატი სალომე**

**მიქავა უტუ** (1812-1878) – 1856-1857 წწ. სამეგრელოს აჯანყების მეთაური, გადაასახლეს არხანგელსკის გუბერნიაში, საიდანაც 1867 წ. დაბრუნდა – 484

**მიქაძე გივი** (1924-2008) – ლიტერატურათმცოდნე, ბიბლიოგრაფი, ლექსიკოგრაფი – 380, 492

**მიქელაძე კონსტანტინე** – ლეჩხუმის ოლქის უფროსი, კაპიტანი (1850-იანი წწ.) – 484

**მიხეილ ნიკოლოზის ძე (რომანოვი)** (1832-1909) – დიდი მთავარი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი და ჯარების სარდალი (1862-1881), რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1881-1905; 1905 წ. გადადგა პოსტიდან, თუმცა სიკვდილამდე დარჩა სახელმწიფო საბჭოს საპატიო თავმჯდომარედ). მისი მმართველობის დროს დამთავრდა რუსეთის იმპერიის თითქმის ნახევარ-საუკუნოვანი ომი ჩრდილოეთ კავკასიის დასამორჩილებლად – 337

**მიხეილ პეტრეს ძე (მიხეილ პეტროვიჩი)** – იხ. **კოლიუბაკინი მიხეილ**

**მიხეილ სიმონის ძე** – იხ. **ვორონცოვი მიხეილ**

**მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე** (1806-1866) – აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი (1822-1864), რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (მინიჭებულ ჰქონდა გენერალ-ადიუტანტის წოდებაც). 1864 წ. ჩამოართვეს მთავრის უფლებები და, მიუხედავად იმისა, რომ ითხოვდა საცხოვრებლად დატოვებას აფხაზეთში ან იმერეთსა და რაჭაში, რუსეთში გადაასახლეს. გარდაიცვალა ვორონეჟში. დაკრძალულია მოქვის ტაძარში – 108, 384-386, 429, 472

**მოსე** – ებრაელთა ბიბლიური წინასწარმეტყველი, განმათავისუფლებელი და სჯულმდებელი (წინასწარმეტყველად მიიჩნევენ როგორც იუდეველები, ისე ქრისტიანები და მუსლიმები) – 82

**მოძღვრიშვილები (მოძღვრისშვილები)** – ლეჩხუმის სოფ. ლაილაშის მცხოვრებნი, მისდევდნენ ვაჭრობას – 417

**მყედლოვი ზაქარია** – იხ. **მჭედლიშვილი ზაქარია**

**მსუქნიშვილი-გურგენიძე ნანა** – იხ. **გურგენიძე ნანა**

**მულიკოვსკი ალექსეი** – 1850-იან წწ. საგანგებო დავალებათა მოხელე ერევნის საგუბერნიო მმართველობაში, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების“ წევრ-კორესპონდენტი – 61

**მურავიოვი ნიკოლოზ** (1794-1866) – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, კავკასიის მეფისნაცვალი და ცალკე კორპუსის მთავარსარდალი (1854-1856). დაკრძალულია ზადონსკის (ვორონეჟის გუბერნია, ამჟამად ლიპეცკის ოლქი) მონასტერში – 132, 381, 384, 385, 387, 401

**მურვანოვი** – შორაპნის მაზრის ხარაგაულის უბანში მცხოვრები გლეხი – 338

**მურიე ჟან** – ფრანგი ორიენტალისტი, ჟურნალისტი (1889-1892 და 1899-1902 წწ. თბილისში გამოსცემდა ფრანგულენოვან ჟურნალს „ლე კოკაზ ილიუსტრე“), საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის პოპულარიზატორი – 489

**მუსხელიშვილი (მუსხელიოვი)** – გორის პოლიციის საქმისმწარმოებელი – 222

**მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) გიორგი** (1821-1877) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), სენატორი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, გარდაიცვალა პარიზში. დაკრძალულია სვეტიცხოვლის საგვარეულო სამარხში – 12, 81, 87, 223, 244, 357, 447, 465, 466, 476

**მუხრანბატონი ერეკლე (ირაკლი)** (1813-1892) – თავადაზნაურობის საკრებულოს წევრი (1850-იანი წწ.), ქეთევან ერეკლე II-ის ასულისა (1764-1840) და სახლთუხუცეს იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის (1757-1800) შვილიშვილი, გიორგი (1821-1877) და ივანე (1812-1895) მუხრანბატონების ძმა – 398, 399

**მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი, მუხრანსკი) ივანე** (1812-1895) – სამხედრო (გენერალ-ლეიტენანტი) და საზოგადო მოღვაწე, ერეკლე II-ის შთამომავალი (ქეთევან ბატონიშვილის შვილიშვილი), გავლენიანი მემამულე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“; 1885-1891), „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი, „ქშნ-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი და რიგით მეორე თავმჯდომარე (1882-1885). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 385, 456, 465

**მუხრანბატონი იოანე (ივანე)** (1757-1800) – ქეთევან ერეკლეს ას. ბატონიშვილის მეუღლე, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის სახლთუხუცესი, კრწანისის 1795 წ. ბრძოლის მონაწილე – 465

**მუხრანბატონი ირაკლი – იხ. მუხრანბატონი ერეკლე (ირაკლი)**

**მუხრანბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი) კონსტანტინე** (1779-1842) – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1812-1839 წწ.; დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში – 465

**მუხრანბატონი ნინო** (1816-1886) – ლევან V დადიანის (1791-1846) ასული, ივანე (იოანე) მუხრანბატონის (1812-1895) მეუღლე, დედა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის (1894-1900) კონსტანტინე მუხრანბატონისა (1838-1903). დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში, მეუღლის გვერდით – 209, 456, 498

**მჭედლიშვილი (მყედლოვი) ზაქარია** – მღვდელი, „სახელმძღვანელობის შემდგენელი კომიტეტის“ ქართული ენის განყოფილების წევრი (1850-იანი წწ.) – 359

**მხეიძეები** – მეგრელი თავადები – 160

## 6

**ნეველი ალექსანდრე – იხ. ალექსანდრე ნეველი**

**ნეიდგარტი ალექსანდრე** (1784-1845) – გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი და ცალკე კო-

რპუსის მეთაური (1842-1844). მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მმართველობის სამხედრო რეჟიმიდან სამოქალაქო სისტემაზე გადასვლაში; „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) წევრი – 210

**ნეჩკინა მილიცა** (1899-1985) – რუსი ისტორიკოსი, სსრკ და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – 492

**ნიკოლაი ალექსანდრე** (1821-1899) – შვედური წარმოშობის რუსი სახელმწიფო მოღვაწე, ბარონი. მთავარი ფიგურა იმ რეფორმების პრაქტიკული განხორციელებისას, რომლებიც მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ (1862-1881) კავკასიაში გაატარა; მეუღლე სოფიო ალექსანდრეს ას. ჭავჭავაძისა (1833-1862). გარდაიცვალა ბეთანიაში, საკუთარ მამულში; მეუღლესთან ერთად დაკრძალულია მშობლიურ ქ. ვიბორგში – 9, 11, 95, 97, 154, 365-368, 374, 408, 424, 425, 437, 457, 480, 490, 498

**ნიკოლაი ლეონტი** (1820-1891) – გენერალ-ლეიტენანტი, „კავკასიის ომების“ მონაწილე. ბერად შემდგარი გარდაიცვალა გრენობლის (საფრანგეთი) მახლობლად კარტუზიელთა ორდენის მონასტერში – 367, 368

**ნიკოლაი სოფიო** – იხ. **ჭავჭავაძე-ნიკოლაი სოფიო**

**ნიკოლაი-შარვაშიძე მარიამ (მაკა)** (1859-1919) – ბარონესა, რუსეთის სამეფო კარის ფრეილინა, ალ. ნიკოლაის (1821-1899) ქალიშვილი, გ. დ. შარვაშიძის (1847-1918) მეუღლე, დაკრძალულია თბილისში, ქაშვეთის ეკლესიის გალავანში – 366

**ნიკოლოზ I** (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი (1825-1855). სახელმწიფოს მართვაში აბსოლუტური მონარქიის მიმდევარი, თუმცა მის მიერვე ნახალისებულმა ბიუროკრატია იმპერატორის აბსოლუტიზმი ბიუროკრატული ტირანიით შეცვალა. გარდაიცვალა პეტერბურგში 1855 წლის 18 თებერვალს – 7, 19, 313, 322, 328, 344, 348, 397, 409

**ნინო** (წმ.) – ქართველთა განმანათლებელი – 389, 469, 471

**ნიჟარაძე აბესა** – იმერელი თავადი, ფარცხანაყანევის მოურავი (1800-იანი წწ.) – 467

- ნიჟარაძე ბახდირ** – იმერელი თავადი (XVII ს.) – 467, 468
- ნიჟარაძე ბერი** – იმერელი თავადი – 467
- ნიჟარაძე დავით** – იმერელი თავადი, პრაპორშჩიკი (1850-იანი წწ.) – 467
- ნიჟარაძე დიმიტრი** – იმერელი თავადი – 467
- ნიჟარაძე ზურაბ** – იმერელი თავადი – 467
- ნიჟარაძე იოსებ** – იმერელი თავადი – 467
- ნიჟარაძე მანუჩარ** – იმერელი თავადი – 467
- ნიჟარაძე ნიკოლოზ** – იმერელი თავადი – 467
- ნიჟარაძე სიმონ** – იმერელი თავადი – 467
- ნიჟარაძე სოლომონ** – იმერელი თავადი, პრაპორშჩიკი (1850-იანი წწ.) – 467
- ნიჟარაძეები** – იმერეთის თავადური საგვარეულო – 223, 224, 467, 468
- ნოზაძეები** – შორაპნის მაზრის სოფ. ფონაში მცხოვრები გლეხები – 338
- ნოჟევი ნიკოლოზ** (1778-1849) – ვოლოგდის ვიცე-გუბერნატორი (1832-1838 წწ.) – 7, 18, 310

## ო

- ობრაზცოვი კირილე** – იხ. **ბარიატინსკი (ობრაზცოვი) კირილე**
- ოდოევსკი ვლადიმერ** (1804-1869) – რუსი მწერალი, ჟურნალისტი და მუსიკათმცოდნე – 405
- ომერ-ფაშა (ლატასი მიხაილ)** (1806-1871) – სერბული წარმოშობის ავსტრიელი ოფიცრის შვილი, რომელმაც ისლამი მიიღო და შთამბეჭდავი კარიერა შეიქმნა ოსმალეთის სამხედრო ძალებში... 1868 წ. დატოვა სამხედრო სამსახური. გარდაიცვალა სტამბოლში. ომერ-ფაშა მთავარი პერსონაჟია ივო ანდრიჩის რომანისა „ომერ ფაშა ლატასი“ – 384, 442, 444
- ონანიშვილები** – ლეჩხუმის სოფ. ლაილაშის მცხოვრებნი, მისდევდნენ ვაჭრობას – 417

**ორბელიანები (ორბელიანოვები)** – ფეოდალური საგვარეულო აღმოსავლეთ საქართველოში [გვარის ფუძემდებლად ითვლება ორბელ ბარათაშვილი (XVI ს. I ნახევარი)] – 70

**ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე** (გარდ. 1869) – გენერალმაიორი, მანანა ორბელიანის (1808-1870) ვაჟი, „კავკასიის ომის“ მონაწილე, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1857-1864 წწ. (ამ პოსტზე დიმ. ყიფიანმა შეცვალა). ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა პეტერბურგში, სადაც ფლიგელ-ადიუტანტის ჩინით იმპერატორ ალექსანდრე II-ის ამაღლებაში ირიცხებოდა. გარდაიცვალა იალტაში. დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 120, 135, 138, 194, 390, 391, 395, 399, 448, 449

**ორბელიანი ალექსანდრე ვახტანგის ძე** (1802-1869) – მწერალი, ისტორიკოსი, ერეკლე II-ის შვილიშვილი (თეკლა ბატონიშვილის უფროსი ვაჟი), 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი (გადაასახლეს ორენბურგის გუბერნიაში, საიდანაც 1838 წ. „კავკასიის ხაზზე“ გადმოიყვანეს, ხოლო სამშობლოში 1840 წ. დააბრუნეს). გამოირჩეოდა მკაფიოდ გამოკვეთილი ანტირუსული სულისკვეთებით. დიდი ამაგი დასდო ივ. კერესელიძის „ცისკარს“. დაკრძალულია სიონის ტაძარში – 329, 341, 353, 450, 493

**ორბელიანი გრიგოლ** (1804-1883) – პოეტი, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდოს, ანდრია პირველწოდებულის ორდენის, კავალერი, კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს თავმჯდომარე (ხანგამოშვებით ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას), თბილისის გენერალ-გუბერნატორი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში – 12, 193, 318, 323, 332, 342, 368, 447, 448, 492

**ორბელიანი ვახტანგ** (1812-1890) – პოეტი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (გადაასახლეს კალუგაში), „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკისა“ (1842-1848) და „ქმნ-კგ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრი. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 318

**ორბელიანი ივანე** (1809-1866) – თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი („მარშალი“) 1854-1857 წწ.; დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 10, 114, 390, 392, 393

**ორბელიანი ილია** (1818-1853) – გენერალ-მაიორი, გრ. ორბელიანის ძმა, „კავკასიის ომის“ მონაწილე, შამილთან ტყვედ ნამყოფი (1842; მოგვიანებით შამილის ტყვე იყო მისი მეუღლეც – ბარბარე ილია ბატონიშვილის ას. გრუზინსკაია), დაიღუპა რუსეთ-ოსმალეთის 1853-1856 წწ. („ყირიმის“) ომში, ბაშკადიკლართან გამართულ ბრძოლაში. დაკრძალულია თბილისში, ქაშვეეთის ტაძარში – 369

**ორბელიანი მამუკა (მაკარ)** (1800-1871) – გენერალ-მაიორი, მონაწილეობდა რუსეთ-ირანის (1826-1828), რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829; 1853-1856), აგრეთვე, „კავკასიის“ ომებში; 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (მისეაჯა სამსახური „მალოროსიულ ყაზახთა პოლკში“); გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია თბილისის სიონის ტაძარში – 53-55, 57, 58, 338, 340, 342, 343

**ორბელიანი მანანა** (1808-1870) – 1832 წლის შეთქმულების მონაწილე (ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს, თუმცა საგანგებო მეთვალყურეობა დაუნიშნეს). 1840-იან წწ. თბილისში ჰქონდა ლიტერატურული სალონი, რომელშიც ჩამოყალიბდა ქართული პროფესიული თეატრისა და გიორგი ერისთავის „ცისკრის“ დაარსების იდეები. დაკრძალულია კუმისის წმ. სამების ეკლესიაში – 389, 395, 401

**ორბელიანი ნინო თორნიკეს ას. – იხ. ერისთავ-ორბელიანი ნინო**

**ორბელიანი სულხან-საბა** (1658-1725) – მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, განმანათლებელი, სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე – 423, 424, 492

**ორბელიან-ბარათაშვილი ეფემია** (1806-1849) – ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა – 323

**ორბელიან-ბარიატინსკაია ელისაბედ (ლიზიკო)** (1835-1899) – კავკასიის მეფისნაცვალ ალ. ბარიატინსკის (1815-1879) მეუღლე, რუსეთის საიმპერატორო კარის ფრეილინა, მთარგმნელი, პოლიგლოტი, გარდაიცვალა გერმანიის ქ. აახენში, დაკრძალულია მეუღლის გვერდით, კურსკის გუბერნიის სოფ. ივანოვსკოეში – 394



**ორბელიან-გაგარინა ანასტასია (ტასო)** (1825-1907) – მანანა ორბელიანის (1808-1870) ქალიშვილი, კონსტ. დადიშქელიანის მიერ მოკლული აღ. გაგარინის (1801-1857) მეუღლე. გარდაიცვალა მეუღლის მამულში (ქუჩუქ-ლამბათი; ამჟამად დასახლება უტიოსი), იქვეა დაკრძალული – 401

**ორბელიან-ჭავჭავაძე სალომე** (1795-1847) – ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846) მეუღლე. გარდაიცვალა თბილისში ქოლერისგან. დაკრძალულია მთანმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში – 8, 32, 325, 425, 462

**ორლოვი** – მოხელე კავკასიის მმართველობაში (1840-იანი წწ.) – 30

**ორლოვსკი კონსტანტინე** (1810-1876) – საიდუმლო მრჩეველი (Тайный советник), თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი (1860-1876), „ტფილისის კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკის“ (1842-1848) დამფუძნებელი წევრი – 28, 29

**ორჯონიკიძე ეთერ** (1927-2007) – ისტორიკოსი, ავტორი მონოგრაფიული ნაშრომებისა XIX ს. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის შესახებ – 394, 405, 493

### პ

**პალიცინი სტეფანე** (1806-1887) – დეკაბრისტი, 1832-1834 წწ. პოდპორუჩიკის ჩინით მსახურობდა თბილისის ქვეით პოლკში; 1836 წ. დატოვა სამხედრო სამსახური – 456

**პამშჩინი** – 208, 456

**პაპავა თამარ** (ქალიშვილობის გვარი – **გოგოლაშვილი**) (1888-1976) – მეცნიერი, მწერალი; 1923 წლიდან მეუღლესთან – აკაკი პაპავასთან – ერთად ცხოვრობდა ემიგრაციაში (გერმანია, ავსტრია), საბოლოოდ დაბრუნდნა არგენტინაში (ბუენოს-აირესში). გარდაიცვალა იქვე. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე – 353, 434, 493

**პაპავა ნანული** – ისტორიკოსი, XIX ს. საქართველოს ისტორიის, ყურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის მკვლევარი – 329, 493

**პასკევიჩი ივანე** (1782-1856) – ფელდმარშალი, კავკასიის მთავარ-მართებელი (1827-1831) და ჯარების სარდალი (1826-1831); ერევნის ალებისათვის მოპოვებული ჰქონდა გრაფ ერივანსკის (Граф Эриванский; 1828 წ.), ხოლო ვარშავის დამორჩილებისათვის – უგანათლებულეს თავად ვარშავსკის (Светлейший князь Варшавский; 1831 წ.) ტიტულები; რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წწ. ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ წინ აღუდგა ქართველი მუსლიმებისგან დაცლილ ჯავახეთში დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის გადმოყვანის ინიციატივას და იქ ოსმალეთიდან გადმოსული სომხები ჩაასახლა. გარდაიცვალა ვარშავაში. დაკრძალეს სოფელ ივანოვსკოეში (ყოფილი დემბლინი) – 27, 324, 348, 457

**პაჭკორიები** – სამეგრელოს მკვიდრი გლეხები – 171

**პეტრე ანტონის ძე (პეტრე ანტონიჩი)** – იხ. **ლადინსკი პეტრე**

